

არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ლ. მ. ნოზაძე,

ქართველურ ენათა ისტორიული
მორფოლოგიის საკითხები



გამომცემლობა „ანიჰერსალი“
თბილისი 2008

რედაქტორები: გიორგი გოგოლაშვილი
ლალი ეზუგბაია
რეცენზენტები: ვაჟა შენგელია
ლია ბაკურაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა — რუსუდან გრიგოლია

© არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

© ლ.მ. ნოზაძე

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎ : 22 36 09. 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-416-7

„კრებულში“ მოთავსებულია ავტორის მიერ სხვადასხვა საენათმეცნიერო ჟურნალში („იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, „საენათმეცნიერო ძიებანი“ და სხვ.) გამოქვეყნებული ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხებთან დაკავშირებული სტატიები.

ვფიქრობთ, იგი დააინტერესებს აღნიშნულ პრობლემებზე მომუშავე სპეციალისტებს.

შრომა ეძღვნება დიდი ქართველი ენათმეცნიერისა და მასწავლებლის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დაბადების ასათი წლისთავს.

ლამარა მელიტონის ასული ნოზაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობისათვის ქართულში	5
ინ-ენიანი ვნებითების ურთიერთმიმართების საკითხისათვის ქართულში	17
ვნებითისა და პოტენციალისის ფორმათა წარმოების ზოგი საკითხი კოლხურში	26
მედიაოქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში (წინასწარი მოხსენება)	65
ისევ მედიაოქტიური ზმნების შესახებ ქართულში	103
ხმოვანთმონაცვლე ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში	128
მყოფადის ჩამოყალიბებისათვის ქართულში	144
კავშირებითის ფორმათა წარმოებისათვის ზემოიმერულში	147
ფუძეთანხმობიან ანთროპონიმთა ბრუნების ერთი ტენდენციის შესახებ ქართულში	159
ემფატიკური • ქართულში	198
სახელობითი ბრუნვის მორფემასთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართველურ ენებში	233
ბრუნების ზოგი საკითხის შესახებ ქართულში	259
თანხმოვანთშესატყვისობის ერთი შემთხვევის გამო ქართველურ ენებში	282
ჯან-/ჯარ- ტიპის ფუძეების შესახებ ქართულში	294
თანხმოვანთა ზოგი ცვლილებისათვის ქართულში	309
რე ნაწილაკი ძველ ქართულში	320
ტბორე ფუძის აგებულებისათვის	350
ისევ გულისწმა კომპოზიტის შესახებ	365

პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობისათვის ქართულში*

წარმოების მიხედვით ქართულში გამოიყოფა ვნებითი გვარის ზმნათა ორი ჯგუფი¹: ერთს ვნებითის საწარმოებლად პრეფიქსები ახასიათებს, მეორეს ამავე ფუნქციით — სუფიქსები. პრეფიქსულ ვნებითს **ი-**, **ე-** თავსართები აწარმოებს (**ი-მალ-ებ-ა**, **ე-წერ-ებ-ა...**), სუფიქსურს — **-დ** ბოლოსართი, ძველ ქართულში **-დ-ს** პარალელურად — **-ენ** (**-ნ**)-იცი (**და-ბერ-დ-ა**, **აღ-ყუაფ-ნ-ა...**).

ვნებითის პრეფიქსული წარმოება ახასიათებს როგორც პირველად ზმნებს, ისე ნასახელარს. სუფიქსური წარმოება ჩვეულებრივია ნასახელარი ზმნებისათვის; არაიშვიათად გვხვდება პირველად ზმნებთანაც (**გა-ტყ-დ-ა**, **და-ჟსნ-დ-ა...** **გან-ვრც-ნ-ა**, **გან-სიფ-ნ-ა...**).

ვნებითის სუფიქსური ტიპი მეტად პროდუქტიულია. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ახალი ზმნებისაგან ვნებითს თითქმის მხოლოდ **-დ** სუფიქსი აწარმოებს.

აღსანიშნავია, რომ გვაქვს ერთი და იმავე ფუძისაგან ორგვარად — პრეფიქსით და სუფიქსით — ნაწარმოები ვნებითები; **და-ი-ჟანგ-ე-ბა** || **და-ჟანგ-დ-ებ-ა**, **მო-ე-წყინ-ებ-ა** || **მო-სწყინ-დ-ებ-ა**, **და-ე-თანხმ-ებ-ა** || **და-ს-თანხმ-დ-ებ-ა**, **ჩა-ე-საფრ-ებ-ა** || **ჩა-უ-საფრ-დ-ებ-ა**, **გა-ე-ქან-ებ-ა** || **გა-ქან-დ-ებ-ა**²...

ამ პარალელური ფორმებიდან თანამედროვე სალიტერატურო ქართული, ისევე როგორც ცოცხალი მეტყველება, უპირატესობას სუ-

* პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში „ქეის“-ები, II, 1961.

¹ გამოყოფენ ვნებითის მესამე ტიპსაც, ე. წ. უნიშნო ვნებითებს **თ ბ ე ბ ა**, **შ რ ე ბ ა**, **ღ გ ე ბ ა** ... რიგისას (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები; I, 1953 წ. § 358, გვ. 299; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 9, 1942 წ.). აღნიშნულ ზმნებს ვნებითობის მაწარმოებელი ნიშანი არა აქვთ და არც უნდა ჰქონოდათ. მაშასადამე, მათი ვნებითის ფორმებად მიჩნევა გაუშართლებელია (ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, უნიშნო ვნებითის ისტორიისათვის ქართულში: აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესია, 1949 წ., თეზისები, გვ. 10-11: **მ ი ს ი ვ ე**, **თ ბ ე ბ ა** ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 75-81; ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1959, გვ. 060.

² თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის ორივე ტიპის ფორმები კანონიერია.

ფიქსიან ფორმებს აძლევს¹. ვნებითვის პარალელური ფორმები წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს პრეფიქსული წარმოებიდან სუფიქსურზე გადასვლისას².

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სუფიქსური წარმოება ახასიათებს მთელ წყევბას ვნებიტებისა, რომლებიც ძველ ქართულში პრეფიქსებით იწარმოებოდა. ასეთებია:

ე-ქორწინ-ა, შდრ. და-ქორწინ-ღ-ა
ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებია და განკქორწინებენ: ლ 20.34.

და-მარილ-ა, შდრ. და-მარილ-ღ-ა
ყოველივე შესაწირავი მსხუერპლისა თქუენისაჲ მარილითა და იმარილენ ლევიტ. 2,13.

უკუეთუ მარილი იგი წბილ იყოს, რაითა, და იმარილოს: მრკ 9,50.

გამო-ე-საქურის-ა, შდრ. და-საქურის-ღ-ა
რამეთუ არისნ საქურის, რომელნი დედის მუცილიტგან იშვენს ეგრეთ და არიან საქურის, რომელნი კაცთაგან გამოისაქურისნენ: მ 19,12

შე-ე-ერთ-ა, შდრ. შე-ერთ-ღ-ა
რამეთუ შეიერთნეს კმანი წინამსწარმეტყუელთა და მამათმთავართანი: სასულ. პოეზ. ნგ 154-155.

ამას დღესა შეიერთნეს ზეცისა და ქუეყნისანი ერთობით ქებად შენდა: კიმ. 1, 187, 34.

შე-ე-შზად-ა, შდრ. შე-შზად-ღ-ა.
ქურკელნიცა მაშინ შეიშზადნეს, რაჟამს ებრძანა ერთად შეკრებაჲ წყალთაჲ: ექუს. 44, 16.

შე-ე-ზავ-ა, შდრ. შე-ზავ-ღ-ა
შეიყუარენ სასტერნი შენნი უფროს დენისა, არაფთუ რომელი იგი შეიზავებებს ქრისტსს მიერ, არამედ იგი, რომლითა წინამსწარ მთრვალობით დასულბა ნოვე: იპოლ. კა 17.

და-ე-მეგობრ-ენ, შდრ; და-მეგობრ-ღ-ენ
ფრიად და იმეგობრნეს ურთიერთას ზაბილოვან და პატრუარქი: მუქც. 739, 18.

ე-მოყურ-ენ, შდრ. და-მოყურ-ღ-ენ

¹ ზოგჯერ ამგვარად ნაწარმოები ვნებიტები მნიშვნელობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; შდრ. გა-ინაზ-ება || გა-ნაზ-ღ-ება, ე-ხერხ-ება || ხერხ-ღ-ება, გა-ე-ხმაუ-ება || გა-ხმაურ-ღ-ება... განსხვავებული მნიშვნელობები საფუძველს ქმნის ენაში ორივე ტიპის შენარჩუნებისათვის.

² ზოგ დიალექტში, მაგალითად, კახურში, ქართლურში თითქმის ერთადერთი წარმოებაა: გაქანდა, დასთანხმდა, მოსწყინდა...

და ი მ ო ყ უ რ ნ ე ს ჰეროდე და პილატე მას დღესა შინა, რამეთუ წინა მტერ
იყვნეს ურთიერთას: ლ 23,12.

აღმო-გ-ცენ-ა, შდრ. აღმო-ცენ-და

ხოლო თქმულ არს ცეცხლისა ამისთვის, ვითარმედ აღ მოეცენებ ის სა-
ბერველთაგან ეფესტოისთა მთასა რომელსაჲმე ზედა: ელინთ. 30, 5.

არა ბრძანა, რამთა თესლი და ნაყოფი ერთბამად აღ მოეცენოს, არამედ
რამთა აღ მოეცენოს და დაამწუანოს ქუეყანად: ექუს. 55, 3.

აღ-ე-შენ-ა, შდრ. ა-შენ-და

მისსა იკონომოსობასა აღ ე შენა მონასტერი; ცხ. ეფთჳმ. 84, 3.

კუალად ნიკოლ-წმიდად... მათითავე საჭმრითა აღ ე შენა: ათონ. 256, 10.

და-ე-მკედრ-ა, შდრ. და-მკედრ-და

სულსა შინა უკეთურა შიში ღმრთისად არა და ე მ კ ვ დ რ ე ბ ი ს : ზარზმ.
165, 12.

წარვიდის მარტომ უდაბნოდ და და ე მ კ ვ დ რ ი ს : სახისმეტყ. 49, 7.

და-ე-წეს-ა || გან-ე-წეს-ა, შდრ. და-წეს-და

აღვილსა, რომელსა და ე წ ე ს ი ს . არღარა განეშოროს ვიდრე სიკუდილმდე:
სწავ. 242, 19.

და გან ე წ ე ს ა , რამთა მიუკლებულად სამი კანდელი ენთებოდის: ათონ.
301, 3.

და-ე-მტკიც-ა || გან-ე-მტკიც-ა, შდრ. და-მტკიც-და

პირითა ჩხლთათამ ქებაჲ და ე მ ტ კ ი ც ე ბ ო დ ა : წარტყ. კვ 20.

მეყსეულად გან ე მ ტ კ ი ც ე ს ღერჯნი მისნი და კოკნი: მოციქ. 16,7.

აღ-ე-სრულ-ა, შდრ. ასრულ-და

მაშინ აღ ე ს რ უ ლ ე ბ ო დ ა თქმული იგი: იპოლ. ნბ. 5.

სიტყუად იგი მოციულისად ჩუენ შორის აღ ე ს რ უ ლ ო ს : ხანძთ. ილ 57.

გან-ე-შზადა, შდრ. გა-ე-შზადა-და

დღეს გან ე მ შ ა დ ე ბ ი ს ქუაბი მისთვის: სასულ. პოეზ. მთ 10

რამეთუ პირუტყუთა საზრდელი გან ე მ შ ა დ ა : ექუს. 50, 19.

შე-ე-შურ-ა, შდრ. შე-შურ-და

ე შ უ რ ე ბ ო დ ა რაქელ დასა თვისსა და პრქუა იაკობს: მეც მე შვილი: და-
ბად. 30, 1.

კაცი ვინმე აღძრვითა ეშმაკისათა შე ე შ უ რ ა ბერსა ვისმე და აღუდგა მტე-
რად: კიმ. I, 240 11.

მო-ე-ქსენ-ა, შდრ. გა-ახსენ-და

ხოლო ღუნის მნესა მას არა მო ე კ ს ე ნ ა იოსებ, არამედ დაავიწყდა: დაბად.
40, 23.

მ ე ო კ ს ე ნ ა მას ტყუობად იგი ძეთა ისრამლისათამ: წარტყ. ძვ. 5.

მაშინ მოექსენა ამირა ბუმლსა და პრქუა: ურპ. 337, 18.

მო-ე-გონ-ა, შდრ. მო-გონ-და

უწინარმს შშობელთა ჩემთა მო მ ე გ ო ნ ე : კიმ I, 12, 30.

მ ო ე გ ო ნ ა მამასა მისსა ჟამი იგი: C ი 4, 53.

შე-ე-შშია || მო-ე-შში-ა, შდრ. მო-შიე-და

ხოლო მოწვეთა მისთა შ ე ე მ შ ი ა : C მ 12, 1.

შ ე ე მ შ ი ა ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა: დაბად. 41, 55.

მ ო შ ე მ შ ი ო ს , რამ ეკამო მისანი, ფრიად შემაწუხებს: ასურ. 183, 29.

მო-ე-წყურა || შე-ე-წყურა, შდრ. მო-ს-წყურ-და

დიდისა მის სიციხისაგან ფრიად მ ო ე წ ყ უ რ ა ნეტარსა საბას: კიმ. II, 147, 2.
ვითარცა მიიწიენეს უდაბნოსა მას ურწყულსა, მ ო ე წ ყ უ რ ა მათ ფრიად:
ასურ. 151, 16.

შ ე ე წ ყ უ რ ა ერსა მას წყლითა და დრტყნიდა მუნ ერი იგი მოესთეს: გა-
მოსვლ. 17, 3.

გან-ე-შორა, შდრ. გა-შორ-და

აწ დაღაცათუ კორციითა გ ა ნ გ ე შ ო რ ე ბ ი , ხოლო სულითა მარადის შენ
თანა ვარ შეწევნად შენდა: ხანძთ. ოგ 22.

ვითარცა წუთ ერთ გ ა ნ ე ე მ ო რ ე მათგან, წარვიდეს: იბოლ. ნბ 2.

შე-ე-ერთა, შდრ. შე-უ-ერთ-და

უკუეთუ შენ ეზიარო წმიდასა ამას საყდარსა, ყოველნი შ ე მ ო გ უ ე ე რ თ ე -
ბ ი ა ნ : კიმ. 1, 83, 25.

განპვლენ ცანი კრეტსაბმელითა ჯორცთაიდა და შ ე მ ე ე რ თ ე ნ ჩუენ: საულ.
პოეზ. ტთ 43.

შ ე ე ე რ თ ა ძუალი ძუალა და ძარღვ ძარღუსა: კიმ. 1, 246, 34.

შე-ე-ნაწევრა, შდრ; შე-უ-ნაწევრ-და

რომლისა წამლისა ჭუმევითა ჯუალად შ ე ე ნ ა წ ე ე რ ა ეგე გელავსა შენსა:
დამაქ. 158, 13.

და-ე-მეგობრა, შდრ. და-უ-მეგობრ-და

სხუანი ვინმე მოვიდეს და დ ა ე მ ე გ ო ბ რ ნ ე ს მათ: სომხ.-ქართ. ლიტ.
ურთ., 17.

როგორც უკვე აღინიშნული გვქონდა, დასახელებული ვნები-
თებს თავისებურებას შეადგენს ის, რომ მათ თანამედროვე სალიტე-
რატურო ენაში სუფიქსური წარმოება ახასიათებთ¹. ეს იმას ნიშნავს,
რომ სალიტერატურო ქართულს აქვს ტენდენცია პრეფიქსული წარ-
მოების ვნებითები სუფიქსურით შეცვალოს, სუფიქსიანი ვნებითები
გააბატონოს².

¹ აღსანიშნავია, რომ ამ ზმნათა ნაწილს ძველ ქართულშივე მოეპოვება
სუფიქსით ნაწარმოები ფორმებიც: შდრ. აღუმაღლდე (ი. 12, 22), დაყოვნდებოდა
(მრავალ. 271, 211), (ასურ. 18, 1), დასრულდების (ექუს. 4, 22)...

² ამ დებულება ვერ არღვევს ვნებითის ის რამდენიმე მაგალითი, რომლებიც
ძველ ქართულში დასტურდება და ზემოაღნიშნული მოვლენის საპირისპიო ვითარებას
გვიჩვენებს, ესენია:

გან-ქსნ-და, შდრ. გა-მ-ქსნ-ა

აღნიშნული ფაქტი გარკვეული დასკვნის გამოტანას გვავალებს იმ ვნებიანების მიმართ, რომლებიც ძველ ქართულშივე მხოლოდ სუფიქსური წარმოებით არის ცნობილი, მაგრამ სანამ ამა შევეხებოდეთ, გავითვალისწინოთ ქართულის სხვა მონაცემები და დანარჩენი ქართველური ენების ჩვენება.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული სუფიქსური წარმოების ნაცვლად ვნებიანის პრეფიქსული ფორმები დასტურდება XIII-XVIII სს. ძეგლებში; მაგალითად:

გა-ფ-ვირ-ა, შდრ. გა-უ-ვირ-ღ-ა

ქუში გაწყრა: „როსტომს აქებთ, მ ე კ ვ ი რ ვ ე ბ ი ს მეტად მია“ შპნ. 3582,

1.

ე კ ვ ი რ ვ ე ბ ო დ ა სიტურფე მკვრეტელთა ვაჟართ მირისა: შვიდ. 914, 2.

შე-ფ-პირ-ა, შდრ. შე-პ-პირ-ღ-ა

რომე აქათ არ წახვიდე, შენ თუ ამას შე მ ე მ პ ი რ ო : ვ ტ, 112, 1.

ოსეთში კაცი გავზავენ ოსების საშოვნელად, ...მ ე მ პ ი რ ე ბ ი ა ნ ჭერ არა ჩანს რა: იესე, 94, 18.

და-ფ-ლონ-ა, შდრ. და-ლონ-ღ-ა.

მეფე ტარისა ქებასა დაკრთების და ე ლ ო ნ ე ბ ი ს : ვ ტ, 699, 3.

ესე შესმა, და ვ ე ლ ო ნ ე , კირი უფრო გამიკირდა: ომაინ. 100, 1.

და-ფ-ყოფნ-ა, შდრ. და-ა-ყოფნ-ღ-ა

ერთი თუე მუნ და მ ე ყ ო ვ ნ ე ბ ი ს : ვისრამ. 157, 2.

და ე ყ ო ვ ნ ე ბ ი ს , წასულა ჭერეთ ცოტაი ხანა: ვ ტ, 1241, 4.

და-ფ-პირ-ა, შდრ. და-ს-პირ-ღ-ა

მე რა და მ ე პ ი რ ვ ე ბ ი ს ეგეთი, რომელ შენებრსა გუარაინსა... მოვაცდუნებდე: ვისრამ. 72, 5.

გ ა ნ კ კ ს ნ დ ე ს საკრველნი იგი, რომლითა დამოეკიდა კიმ. 1, 141, 31: შდრ. ყოველთა კრულებანი გ ა ნ ი კ ს ნ ე ს : მოციქ. 125, 26

განწმდნ-ი, შდრ. გა-ფ-წმინდა

მეყსეულად გ ა ნ წ მ დ ნ ა იგი კეთროვანებისა მისგან: D მ 8, 3; შდრ.

გ ა ნ ი წ მ ი დ ე ნ ი თ და იყენით, რამეთუ წმიდა ვარი მე: ლევიტ. 11, 44

გან-ყინ-ღ-ა | შე-პ-ყინ-ღ-ა, შდრ. გა-ფ-ყინ-ა

გ ა ნ ყ ი ნ დ ე ს რამ სისხლი, შეიცვალების იგი ჯორცად: ექუს. 92,9

განიპნეს წყალნი, შე ქ ყ ი ნ დ ე ს და დადგეს: გამოსღვ. 15, მ; შდრ.

გ ა ნ ი ყ ი ნ ი ს იგი და შეიცვალის სიმტკიცედ ჭვისად: ექუს. 88, 18

მოსალოდნელი იყო, რომ ახალ ქართულს ამ პარალელური წარმოების ვნებიანებიდან თუკი ერთ-ერთი შერჩებოდა, ეს სუფიქსური ვნებითი იქნებოდა. გვაქვს პირიქით: მაგრამ, როგორც აღინიშნა, ამგვარი მაგალითები ძელ ქართულში მცირეა (შესაძლოა სუფიქსიანი ფორმები არც ძველი სამწერლობო ენისათვის ყოფილიყო ჩვეულებრივი) და საერთო სურათს ვერ ცვლის.

ოდეს კაცსა და ექიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი: ვ. ტ, 773, 4.

და-ე-ჩემ-ა, შდრ. და-ს-ჩემ-და

ესეც დიდი საკვირველებაა, რომ სწეულება არა და მეჩემა რა: იესე, 82, 28-29.

გა-ე-ოც-ა, შდრ. გა-ოც-და

რომე დაჯავ წელიწადი, თვე თორმეტი, გამეოცა: ვ. ტ, 1526, 1.

და-ე-პირისპირ-ა, შდრ. და-უპირისპირ-და

ორნივე ლაშქარნი და ექირისპირნეს ერთმანერთსა: ვისრამ, 22, 5.

და-ე-კერ-ა, შდრ. და-ა-კერ-და

და ეცქირა, გაიკონა, მონადირისა მახესა გაბმული იყო: ქილ. 409, 3.

სულ ყველა ვერ გავსინჯე, მარტო შობას და ვეცქირე: მოგზ. 36, 11.

და-ე-ბერ-ა, შდრ. და-უ-ბერ-და

ვარდი ახლად იფურჩქნების, შე ყვაილი და მებერა: ვ. ტ, 1526, 1.

გა-ე-შწარ-ა, შდრ. გა-უ-შწარ-და

ტბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამეშწარნენს: იქვ, 112, 1.

შე-ე-ძაგ-ა, შდრ. შე-ს-ძაგ-და

ვისაც სიტყვა იამება, შენცა უქო, თვარა უძაგო, არ ეძაგებ და შენ გა-
ცრუედე: სიბრძ. სიცრ. 68, 2.

ამა მიზეზითა ნუთუ დედ-წულთ ზრუნვათაგან თავი შეეძაგოს: ქილ. 263, 30.

სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული სუფიქსური წარ-
მოების ნაცვლად პრეფიქსული ფორმები დასტურდება XIX-XX საუ-
კუნის ძეგლებშიც:

ა-ე-ფოფხ-ა, შდრ. ა-ფოფხ-და

წისქვილის კარებს მიაღა, აეფოფხა, ქურდობას ჰბედავდა: ვაჟა, VI, 234, 12.

ჩა-ე-ნაო-კ-ა, შდრ. ჩა-უ-ნაო-კ-და

დედაბერს ტანჯვისაგან მთლად ჩანაოკებული სახე ხან გაეშლებოდა ოდნავ და
ხან უფრო ჩაენაოკებოდა: შ. არაგვ. I, 48, 13.

და-ე-გუბ-ა || მო-ე-გუბ-ა, შდრ. და-უ-გუბ-და

საფლავის ქვას დაშტერებოდნენ და ეტყობოდათ ორივეს ცრემლები ეგუბე-
ბოდათ: შ. არაგვ. II, 38, 24.

ხმა ჩაუწყდა, ვლარ-რა სთქვა, მოეგუბა თვალში ცრემლი: ილია, I, 192, 2.

გა-ე-მკლავ-ა, შდრ. გა-უ-მკლავ-და

მარტოდაც გამეკლავებ: შ. არაგვ. I, 362, 25.

შე-ე-სისხლბორც-ა, შდრ. შე-უ-სისხლბორც-და

უბე-კალთები და თქუენი თხემი შეეისხლბორცა ჩემ გულ-გონებას:
ვაჟა, I, 198, 36.

და-ე-ძობილ-ა, შდრ. და-უ-ძობილ-და

სულხანს კიდევაც ვაქვბ და კიდევ ვეძმობილები: ბაჩანა, 513, 23.

განა მე ის გითხარ, ქისტებთან დაიპირე ზავიო, ურჯულოს ეძმობილებო: ვაჟა, V, 416, 24.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ინდივიდუალური წარმოშობის და ხელოვნური წარმოების ცალკეულ მაგალითებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოთ დაახელებული ფორმები ცოცხალი, ხალხური მეტყველებისათვის არი დამახასიათებელი. მათი წარმომშობი წყარო დიალექტებია. ამა მოწმობს დიალექტების ჩვენება.

ქართული ენის დიალექტებში დასტურდება ვნებითის პრეფიქსული წარმოება ზოგ ისეთ ზმნასთან, რომელსაც სალიტერატურო ენაში სუფიქსური წარმოება ახასიათებს; მაგალითად:

ჩა-ე-შაქრ-ა, შდრ. ჩა-შაქრ-და

მემრე შხიდან ავიღებთ (ლეღვს), შავინახამთ, ცოტა ჩ ა ი შ ა ქ რ ე ბ ა ჩალაგებული: ა. მარტ. და გრ. იმნ. კახ. დიალექტი, 53, 10.

და-ე-კირ-ა, შდრ. და-ს-კირ-და

ჩემთან არ გინდა სიმამაცე, ა იქ გ ე კ ი რ ვ ე ბ ი ს , რო თავზე ფლანს დაგხურნეს: ბ. გაბ. პევეს. 137, 10.

და-ე-ჟანგ-ა, შდრ. და-უ-ჟანგ-და

კარგა მიყურე ხანჭარსა, ე ე ა ნ გ ე ბ ო დ ა წვერია: ა. შან. ხევეს. პოეზ. 455, 25.

და-ე-ცქირ-ა, შდრ. და-ა-ცქერ-და

რა დამაზნია, როდესაც ვაჟი ქალს დაეცქერება: ივ. ხორნ. ფშავ., 211, 14.

ერთი დღეი იღვა და ეცქირებოდა აი უმფროსი მოსამსახურე ქალი: ჟ. ნოდ. აჟარ. 18, 15.

ჩა-ე-ბარ-ა, შდრ. ჩა-ბარ-და

შენსავით მალე მაჩვენა, ვისაც შენ ჩ ა ე ბ ა რ ე ბ ი : ს. ებრალ. ქიხიყ. 162,5.

სახლო, მოგიკედეს ამგები, ვისაც შენ ჩ ა ე ბ ა რ ე ა : ივ. ხორნ. ფშავ., 224,5.

გა-ე-თხოვ-ა, შდრ. გა-თხოვ-და

ებელი არ გ ა ვ ე თ ხ უ ე ბ ი , სიტყვას გიჩივი გულითა: იმერხვე., 49, 13.

იგი აღრე გუეთხუა: მ. ძიძ. გურ.

და-ე-ფეთ-ა, შდრ. და-ფეთ-და

იმ გოგოს შემოეთვალა, შენ, ბიჭო, ჩემო ნეფეო, ქორწილს ნუ დააგვიანებ, მე შენთვის და ვ ე ე ფ ე თ ე ო : ბ. უშიჯ. ხალხ. სიტყვ., 389, 22.

გა-ე-ჰენ-ა, შდრ. გა-ჰენ-და

რო გ ა ვ ე ჰ ე ნ ე ხედან და დაჯვირე ვალლაჰი, მე შემეშინდა იმ ხმისა: ჟ. ნოდ. აჟარ. 25, 7.

გადაბტა წინ მელამ და გ ე ე კ ე ნ ა : მ. ხუბ. აჟარ. 38, 5.

მე-ე-შ-ა || მო-უ-შ-ი-ა, შდრ. მო-ში-ე-ა
 ერთ სოფელში შე ე ე შ ა და უნდა საქმელი: ე. გაბ. აჭარ. 37, 19.
 მე მივალ სახლში, მ ო მ შ ი ა : მ. ცინც. კიონ.-მარად. მეტყვ. 13.
 გა-ე-ჭავრ-ა, შდრ. გა-ჭავრ-ა
 იმ გომპარამ გ ე ე ჭ ა ვ რ ა : არნ. ჩიქობ., ქიზ. 75.
 იუმათ კიდენ გ ე ე ჭ ა ვ რ : თ. უთურგ., თუშ. 10.
 გა-ე-ბრაზ-ა, შდრ. გა-ბრაზ-ა
 გ ა მ ე ბ რ ა ზ ა , რატომ მექცევა იგრეთჟო: ნ. აბეს. კახ.

ამგვარად, ვნებიტის ისტორიულ ასპექტში განხილვა გვიჩვენებს, რომ წყება ვნებიტებისა, ძველ ქართულში რომ პრეფიქსით იწარმოება, თანამედროვე ხალიტიერატურო ენაში სუფიქსური წარმოებისაა.

სალიტიერატურო ქართულის სუფიქსური ვნებიტების ნაცვლად პრეფიქსული ფრმები გვხვდება XII-XX საუკუნეთა ძეგლებში, ასევე — ქართული ენის დიალექტებში¹.

ეს ნიშნავს: სალიტიერატურო ქართულს ახასიათებს სუფიქსური ვნებიტების გაბატონების ტენდენცია. იგი ვნებიტის პრეფიქსული და სუფიქსური წარმოებიდან უპირატესობას უკანასკნელს ანიჭებს. ასეთ პირობებში ბუნებრივი ჩანს საკითხი დაისვას იმ ვნებიტების მიმართაც, რომელთა მხოლოდ სუფიქსური წარმოებაა ჩვენთვის ცნობილი²; ხომ არ ახასიათებდათ მათაც თავდაპირველად პრეფიქსები?

საკითხის დადებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა უპირველეს ყოვლისა თვით ქართული ენის მონაცემთა გათვალისწინება³, რასაც მხარს უჭერს სხვა ქართველური ენების ჩვენებაც.

მეგრულ-ქანურისა და სვანურისათვის დამახასიათებლად მიიჩნევა ვნებიტის პრეფიქსული წარმოება⁴.

¹ როგორც ვნახეთ, ასეთი ვნებიტების რიცხვი საკმაოდ დიდია. საყურადღებოა ისიც, რომ მათი უმრავლესობა ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვებს წარმოადგენს.

² მხედველობაში გვაქვს ვნებიტები: ალუაუნა, განკაცნა, განთავისუფლდა, განცუფრდა, მოუძღურდა...

³ სადაც იქორწინების, აღმშენების, აღესრულების, მოფგონების, მოეწყურების... ფორმებია, იქ განდიდების, განსიკაცების, განსიკურების... ფორმებსაც უნდა მოველოდეთ.

⁴ დონიან ვნებიტის მეგრულ-ქანურში ქართულიდან შესულად მიიჩნევენ (არნ; ჩიქობაეა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 114).

ამგვარად, მეგრულ-ქანურსა და სვანურს დღემდე შენარჩუნებული აქვს ის მდგომარეობა, რომელიც ქართულისთვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი გარკვეულ პერიოდში.

თუკი ქართულში ვნებითის საწარმოებლად გამოყენებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ პრეფიქსები, მაშინ რით ავხსნათ ამავე ფუნქციის(?) მქონე სხვა რიგის ნიშნების: -ენ, -ედ სუფიქსების არსებობა? რა მიმართება უნდა ვივარაუდოთ პრეფიქსული და სუფიქსური წარმოების ვნებითებს შორის?

საფიქრებელია, რომ ვნებითის სუფიქსური ტიპი ქართულში გარკვეული დიალექტური წრის მონაცემია.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ XII-XX სს. ძეგლებსა და ქართული ენის დიალექტებში დასტურდება სუფიქსით ნაწარმოები ვნებითი გვარის ზმნათა ფორმები ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც თანამედროვე სალიტერატურო ქართული პრეფიქსულ წარმოებას მიმართავს.

XI-XVIII სს. ძეგლებიდან საამისო ნიმუშები:

გა-ღიმ-ღ-ა, შდრ. გა-ღ-ღიმ-ა

გ ა ღ ი მ ღ ი ს , ძოწი გააპის, კბილთაგან ელვა კრთებოდა: ვ. ტ. 1337, 2.
ყრამამან ოღნად მოილხინის, ბაგე გახენის გა-ცა-ღ ი მ ღ ი ს : შვიდ. 416, 1.

გამო-მგზავრ-ღ-ა, შდრ. გამო-ე-მგზავრ-ა

(რამინ) გ ა მ ო მ გ ზ ა ვ რ ღ ა მისითა მოყუარითა და ლაშქრითა: ვისრამ. 315, 23.

მო-ძალ-ღ-ა, შდრ. მო-ე-ძალ-ა

ესე ძიძამან არ იცოდა, გული ექცა და მ ო ს ძ ა ლ დ ა მიჯნურობა: ვისრამ. 78, 35.

სვანურში *ე-ე*-პრეფიქსიან ზმნათა ნამყო ძირითადის შუკრივებში გამოვლენილი -ენ, -ან, -ან სუფიქსებისა და ე. წ. ფუძედრეკად ზმნათა -ენ (-ნ) სუფიქსის ვნებითის ნიშნად მიჩევას დაბრკოლება ახალავს: დასახელებული სუფიქსები რომ ვნებითის მაწარმოებელი ნიშნები იყოს, ისინი უნდა გვქონდეს დრო-კილოთა ყველა ფორმაში, აღნიშნულისა და სხვა საბუთების საფუძველზე გამოთქულია მოსაზრება, რომ -ენ სვანურში არ უნდა იყოს ვნებითის მაწარმოებელი ნიშანი, იგი სხვა წარმოშობის აფიქსია (გ. მ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი , ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, სადისერტაციო შრომის ავტორეფერატი, 1953, გვ. 15; შდრ. G. Deeters, *Das kharthwelische Verbum*, 1930, 205-206; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , *Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик*; ბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, 1948, გვ. 64.

მო-ს-წონ-და, შდრ. მო-ე-წონ-ა
მ ო გ წ ო ნ დ ე ბ ი ს დამნახველთა თმა მელნია და გიშრისა: თეიმ. I, 122, 81.

შე-ქ-ფერ-და, შდრ. შე-ე-ფერ-ა
ხელმწიფისა შვილი არის, შ ე ქ ფ ე რ დ ე ბ ი ს ჩვენთან ჭდომა: ომაინ. 132, 4.

ა-ბაძ-და, შდრ. მი-ე-ბაძ-ა
მეც მათ ა ვ ბ ა ძ დ ი ო , სოფელი გაუშვიო: მოგზ. 47, 4.

და-ზარ-და, შდრ. და-ე-ზარ-ა
წყალსა და წყაროს შეხედავ და თვალის მოსხლეტა და გ ზ ა რ დ ე ბ ა : იქვე, 24, 16.

და-მოწმ-და, შდრ. და-ე-მოწმ-ა
ჩემთა და მ ო წ მ დ ი ნათქვამთა წყნარად არ სიტყვა ცქათითა: ომაინ. 355, 4.

XIX-XX სს. ლიტერატურიდან:

გა-თომ-დ-ებ-ა, შდრ. გა-ე-თომებ-ა
ის თანდათან თ ო შ დ ე ბ ო და , მაგრამ ხმას არ იღებდა: ა. ყაზბ. II, 256, 25.

გა-ტვრინ-და, შდრ. გა-ე-ტვრინ-ა
ბატკანსაც ეტყობოდა, იამებოდა და ტ ვ რ ი ნ დ ე ბ ო და და სიამოვნებით
იზმორებოდა: თ. რაზიკ. 239, 23.

მახარე სწრაფად მიიმალა ბურქებში და გ ა ტ ვ რ ი ნ და : შ. არაგვ. II, 371, 17.

გა-ყინ-და, შდრ. გა-ე-ყინ-ა
გონება შესდგა, გ ა ყ ი ნ და . კაცმა ვერ გასძრა ხელია: ა. ყაზბ. III, 244, 33.

გულმა ღრღნა დამიწყო, სისხლი ძარღვებში გ ა მ ი ყ ი ნ და : ილია, II, 103.

გა-უ-ჭიბრ-და, შდრ. გა-ე-ჭიბრ-ა
უნდა დაგანახვა, ეს და-მა რომ გ ა უ ჭ ი ბ რ დ ე ბ ი ა ნ ხოლმე ერთმანეთს
არითმეტიკაში: ნ. ლომ. 76, 38.

სეტყვა. ჰეჰა-ქუხილი, ელვა-ქარიშხალი და ყოველი მზრიდან მოვარდნილი ნიად-
ვარები... ერთმანეთს უ ჭ ი ბ რ დ ე ბ ო დ ნ ე ნ : ნ. ლომ. 137, 35.

გა-უ-ღიმ-და, შდრ. გა-ე-ღიმ-ა
მას ლაპარაკში სახე უ ღ ი მ დ ე ბ ო და . უ ღ ი მ დ ე ბ ო და შავი კუპრივით
თვალეები: ა. ყაზბ. I, 199, 1.

კოწიას სახე ბოროტად შეუთამამდა, გ ა უ ღ ი მ და ამ სიტყვების გაგონებაზე:
ვ. ნინ. 36, 26.

და-ნან-და, შდრ. და-ე-ნან-ა
თითქო მას (შზეს) ნ ა ნ დ ე ბ ა ქვეყნიერება, თითქო მას ნ ა ნ დ ე ბ ა მღვეი-
ვით ცათამდინ თავიბჭენილი მთანი: ა. ყაზბ. III, 561, 12.

და-ნ-ან-და მელანას ნუგეშო, დანანდა და გულმღულარედ ატირდა: ა. ხოშტ.
33, 34-35.

შე-უ-ხუთ-და, შდრ. შე-ე-ხუთ-ა
შემეშინდა, სული შ ე მ ი ხ უ თ და : დ. კლდ. 349, 7.
მე კვლდები... წარმოსთქვა გულმ და ხელახლა შ ე უ ხ უ თ და სული: ე. ნინ.
173, 9.

ჩა-უ-წვეთ-და, შდრ. ჩა-ე-წვეთ-ა
როსტომის და ანტონის სიცილი გულნატკენ მარაბდელს მაინც შხამივით ჩ ა -
უ წ ვ ე თ დ ა : მ. ჭავჭავ. მარაბ., 118.

ღიალექტებიდან:

ქნ-და, შდრ. ე-ქნ-ა

ზოგ დღეს ხუთი, ზოგ დღეს ათი შიქალილა (ნადირობა) ქ ნ დ ე ბ ი ს : არნ.
ჩიქობ. ფერეიდნ., 241, 29.

ის კინკველა რა ქ ნ დ ა ო ? თავგსა შეუქამიამ: პ. უმიკ. ხალხ. სიტყ. 277.

შე-ფერ-და || მო-ფერ-და, შდრ. შე-ე-ფერ-ა

თუ დახვდი უსაპურის ძეს, ქალის საქმროდ შ ა ხ ფ ე რ დ ე ბ ი : ა. შან. ხეცს.
759, 6.

ქოროლლის ერთი ჰემე ვიცი, ქართულა სულ არ მ ო ფ ე რ დ ე ბ ა ის და ჰაი-
დე: მ. ხუბ. აპარ. 27, 5.

შე-ხათრ-და, შდრ. შე-ე-ხათრ-ა

რო მუდამ შენთან ყოფნითა არვისგან შ ა მ ხ ა თ რ დ ე ბ ო დ ა : ივ. ხორნ.
ფშავ., 200, 1.

ა-უ-ხილ-და, შდრ. ა-ე-ხილ-ა

(ზანზარამ) თავი დას უთხრა: შენ იქით იყურე ეხლაო. მე თვალე ბ ა მ ი -
ხ ი ლ დ ე ბ ა ო და არ შეგეშინდესო: ა. მარტ. და გრ. იმნ. კა. ტექსტ.
160, 8.

მო-აჩვენ-და, შდრ. მო-ე-ჩვენ-ა

ვარდის ფერათ მ ა ჩ ვ ე ნ დ ე ბ ი , როგორც გამსილი მთვარეო: ჟ. ნოდ. აპარ.,
114, 15.

ზე და მთვარეთ მ ა ჩ ვ ე ნ დ ე ბ ა , ჩიტი მგონია მერცხალი: მ. ხუბ. აპარ. 42,
18.

ანგლოზათ მ ო მ ა ჩ ვ ე ნ დ ი , რომ გადაგარე თვალეები: ჟ. ნოდ. აპარ. ტექსტ.
67, 9.

მო-ს-წონ-და, შდრ. მო-ე-წონ-ა

ყველა ხალხს რო მ ო ს წ ო ნ დ ე ბ ა , მომ და შენ ნუ მ ო ქ წ ო ნ დ ე ბ ა :
იქვე, 81, 3-4.

ბიკიზა გოგოს ამეირჩევს დედამ, თუ მოსწონდება: შ. ძიძ. კობ., 202.

ერთხელ ვიხილე, ბატონო, მომწონდა (მომეწონა) შენი სახეო: ჟ. ნოდ. აპარ.,
114, 14.

უ-ახლ-და, შდრ. ე-ახლ-ა

ლევანმა და ალექსანდრემ შემოჰყარეს პირი პირსა, იახლეს თან მსახულები, ყვენი
კარზე უ ა ხ ლ დ ე ს ა : პ. უმიკ. ხალხ. სიტყვ., 122, 2 (ხევი).

შე-ს-წირ-და, შდრ. შე-ე-წირ-ა

ნეტა ეს ჩემი ქარვასლა ახლა ვის უნდა დარჩესა...

ოდეს სინილა გაწყდება, ეჩმიადისნ შე ს წ ი რ დ ე ს ა : პ. უმიკ. ხალხ. სიტყ.,
121, 27.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ვნებიტის წარმოებაში ისტორიულად გამოხტულებას უნდა პოულობდეს ორი სხვადასხვა დიალექტური წრე, ერთს ვნებიტის საწარმოებლად მხოლოდ პრეფიქსები ახასიათებდა, მეორე ამ ფუნქციით სუფიქსურ წარმოებას იყენებდა. მათგან პრეფიქსული წარმოება ქართული ენის ძირითადი და ამავე დროს არქაული ფენის კუთვნილება ჩანს. ეს ფენა აკავშირებს ქართულს სხვა ქართველურ ენებთან, სუფიქსები შედარებით ახალი ფორმაციისა უნდა იყოს¹. -ენ, -ედ ვნებიტის მაწარმოებელი ნიშნებით ქართული სხვა ქართველური ენებისაგან განცალკავებით დგას.

¹ ვნებიტის მაწარმოებელი სუფიქსები ახალი ფორმაციისად მიაჩნია ივ. ქავთრაძეს (ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 310-311) და გ. მაკვარიანს (ზმნის მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, სადისერტაციო შრომის ავტორეფერატი, 1953, გვ. 15).

ინ-ენიანი ვნებიტების ურთიერთმიმართების საკითხისათვის ქართულში*

ქართულში ვნებიტი გვარის ზმნები იწარმოება პრეიქსიტაც და სუფიქსიტაც. ვნებიტის სუფიქსური წარმოება იყენებს -დ ბოლოსართს. -დ ბოლოსართი ერთპირიან ვნებიტსაც აწარმოებს (შენ-დ-ე-ბა, კეთ-დ-ება... ის) და ორპირიანსაც (უშენ-დ-ება, უკეთ-დ-ება... ის მას). იგი უცვლელი რჩება ზმნის პირის რაოდენობის ცვლელადობის მიუხედავად. ეს ბუნებრივიცაა, -დ ვნებიტის საწარმოებელი ნიშანია და არა პირისა².

განსხვავებული ვითარებაა პრეფიქსულ ვნებიტებთან.

პრეფიქსული ვნებიტი ორ ნიშანს იყენებს: **ე-ს** — ერთპირიანი ფორმების საწარმოებლად (ი-წერება, ი-მალება ის), **ე-ს** — ორპირიანი ფორმებისათვის (ე-წერება, ე-მალება... ის მას). ეს იმას ნიშნავს: პრეფიქსული წარმოების ერთპირიანი ვნებიტი რომ ორპირიანი გახდეს, ზმნის კონსტრუქციის ცვლასთან (ობიექტური პირის გაჩენა) ერთად საჭირო ხდება **ე-ნიშნის** შეცვლა **ე-ნით**, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნიშნებს საერთო არაფერი აქვთ ზმნის პირის აღნიშვნასთან.

ძველი ქართული ენის გარკვეული მონაცემები გვავარაუდებინებს, რომ აღნიშნული ვითარება პრეფიქსულ ვნებიტებში არ უნდა იყოს თავდაპირველი.

ძველ ქართულში საკმაო რაოდენობით დასტურდება **ე-პრეფიქსით** ნაწარმოები ისეთი ვნებიტები: რომელთაც მხოლოდ ერთი პირი — სუბიექტი — უკავშირდება. ამგვარ ზმნათა ერთ წყებას ქმნის **ე. წ. დაებადა ტიპის** ვნებიტები, მაგალითად:

აღ-ე-მართა: ვინამთგან გოლგოთას აღმართა ჭუარი, მაშინ აღამ

* პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში — „იკე“, ტ. IX-X, 1958.

² ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებს ქეცვის წარმოება მოქმედებითი გვარის ზმნებში. ერთი და იგივე **ე-ნიშანი** (იხ. გ. რ. ო. გ. ა. ვ. ა., კუთვნილებითი აფიქსი **ე-ქართველურ** ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში: „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. III, № 2-5) გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას — სასუბიექტო ან საობიექტოს — იმის მიხედვით თუ როგორი პარებაა ზმნაში წარმოდგენილი, სუბიექტური და პირდაპირობიექტური (სასუბიექტო ქცევა), თუ სუბიექტური და ორივე ობიექტურ პირი — პირდაპირი და ირიბი (საობიექტო ქცევა) ქეცვის ნიშანი **ე-ნიშანი** ინდიფერენტულია ზმნის პირის რაოდენობის მიმართ.

აღეპართა დაცემისაგან: სასულ. ტიგ. 154.

მეყსეულად აღეპართა სახლი იგი დაცემული: კიმ. I 159, 3.

გან-ე-მართა: ხოლო მოსლვასა წმიდისა გრიგოლისსა ყოველი წესი საღმრთოდ განეპართა: ხანძთ. იმ. 43.

ცოცხალ იქმნა კაცი იგი და განეპართა პირი მისი: კიმ. I 231, 34.

გან-ე-შადა: განეშადა კეთილად მის მირ საქმეშ იგი... პირველი: მრავალთ. 297, 2.

რომელნიმე (ნერგნი) შემამკობელად კაცობრივთა ტაბლათა განეშადნეს: ექუს. 61, 35.

გამო-ე-კუეთა: კულად იხილე ლოდი იგი დანიელისი, რომელი გამოეკუეთა თვნიერად ჳელისა კაცთაჲსა: კიმ. I 184, 27.

და-ე-ბადა. შაბათი კაცისათჳს დაებადა, და არა თუ კაცი შაბათისათჳს: DE მრკ 2, 27.

ვაწვმო... სეტყუად დიდადი ფრიად, რომელ ეგვევითარი არა ყოფილიყოს ეგვპტეს, ვინაჲთგან დაებადა, ვიდრე აქამომდე: გამოსლე. 9, 18.

და-ე-ბექდა: მოაკუდინე სიკუდილი, მჳსნელო, ჳორცითა საფლავსა შინა რაჲ დაებექდე: სასულ. ტზ 489.

და დღეს აღმოპბრწყინდი საფლავით, რომელსაცა შინა დაებექდე: სასულ. სლზ 137.

და-ე-ბუროხ: აწ ბრძანენ მეფობამან შენმან მოცემად ტყვი, რომლისა მიერ დაებუროხ წმინდაჲ ეკლესია: ათონ. 302, 14.

და-ე-თესა: დაეთესა სიტყუად წმიდისა სახარებისაჲ... წმიდათა მოციქულთა მიერ: კიმ. I 106, 30.

და-ე-მარხა: მას ჟამსა გარდაიცვალა ღმრთისმსახური იგი ჳელმწიფშ და დაემარხა ხანძას: ხანძთ. ლგ 33.

ნეტარი მიქელ... პარხთა შინა მრავალთა წელიწადთა ცხოვნდა და აღრამესრულა, მუნვე დაემარხა: ხანძთ. ლშ 27.

და-ე-ნერგა: ესე არს ძელი ცხოველმყოფელი..., რომელი დაენერგა თხემისა ადგილსა: სასულ. სდბ 121.

აღიფხუერ და დაენერგე ზღუასა: ლკ 17, 6.

და-ე-ფლა: მოკუდა მდიდარი იგი და დაეფლა: ლკ 16, 22.

მოკუდა დებორა... და დაეფლა ქუეშე მუხასა მას: დაბ. 35, 8 და სხვ.

რა შეიძლება ითჳვას ზემოაღნიშნული ვნებითების შესახებ? პირ-

ველადია თუ არა მათთან ე-პრეფიქსის გამოყენება ერთპირიანი ფორმების საწარმოებლად?

დაებადა ტიპის ვნებითების სათანადო მოქმედებითებს ძველ ქართულში უკავშირდება ორი პირი — სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი, მაგრამ მათთვის ნიშანდობლივია დრო-კილოთა მეორე ჯგუფის ფორმებში მესამე ობიექტური პირის ნიშნის ხმარება (შდრ. აღ-შ-მართა, და-შ-ნერგა, და-შ-ფლა...¹). ძველ ქართულში დრო-კილოთა მეორე ჯგუფში სახელობითში დასმულ მესამე პირის ობიექტს ზმნაში პირის გამოხატვა, ჩვეულებრივ, არ შეეძლო. ამის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება², რომ აღნიშნულ ზმნებს ძველისძველად უნდა ჰქონოდათ მიცემითში დასმული ობიექტიც, მაგრამ ენის განვითარების პროცესში იგი უნდა დაჰკარგოდათ³.

ამგვარად, **დაებადა** ტიპის ვნებითების ერთპირიანობა მეორეულ მოვლენად არის მიჩნეული.

მეორეული ჩანს ერთპირიანობა შემდეგი ე-ნიანი ვნებითებისაც: **და-ე-შკვდრა**, აჰა ესერა მთაჲ იგი, რომელსა ზედა ღმერთი **დაეშკვდრა**: სასულ. პე 266.

აქა **დაგემშკვდრო**, რამეთუ მთნავს ესე: ასრუ. 20, 30.

და-ე-შყარა: მბრწყინვალმ სუეტი იგი ჩამოვიდოდა ადგილად თქსსა... და **დაეშყარა** ჯელთშეუხებელად კაცთაგან: მოქც. 781, 3.

და-ე-ყუდა: იძია მცირმ სენაკი და მუნ **დაეყუდა**: შუშ. 26, 3.

სურვილი მოიწია მის ზედა, რაჲთა... **დაეყუდოხ** უდაბნოსა ადგილსა: კიმ. II 143, 24.

და-ე-შენა: და დაუტევა ნაზარეთი, მოვიდა, **დაეშენა** კათარნაომს: მთ 4, 36.

¹ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე , სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 74-83.

² ი კ ვ ე , 74-83.

³ არ იქნებოდა სწორი ყოველთვის, როცა კი ზმნას ძველ ქართულში ნამყოფი ირითადის წყებაში მესამე ობიექტური პირის ნიშანი აღმოაჩნდება, ისტორიულად ასეთ ზმნასთან ირიბი ობიექტი ვივარაუდოთ. ძველ ქართულში კ ს პრეფიქსები მუდამ არ იხმარება წესის მიხედვით მესამე ობიექტური პირის ნიშანი ზოგჯერ გვხვდება იქაც, სადაც ძველი ქართულის ნორმების მიხედვით მოსალოდნელი არ არის, და პირიქით, არ ჩანს იქ, სადაც წესის მიხედვით უნდა იხმარებოდეს (შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე , სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 127-129).

დაეშენოს ერი ჩემი ქალაქსა მშვიდობისასა: ესაია 32, 18 და სხვ.

დასახელებული ვნებითები სემანტიკურად ერთ ჯგუფს ქმნიან; გამოხატავენ მოქმედებას გარკვეულ ადგილთან მიმართებით: დაემკვდრა... მთასა, დაეშენა ქალაქსა, დაეყუდა... ადგილსა... სავარაუდებელია, აღნიშნულ ზმნებთან ხმარებული სახელები — მთა, ქალაქი, ადგილი... ძველისძველად ირიბი დამატება ყოფილიყო. ენის განვითარებს პროცესში ისინი ადგილის გარემოებად იქცნენ¹. ამის შედეგად წარმოშობით სამპირიანი ზმნა (მხედველობაში გვაქვს ზემოდასახელებული ვნებითების სათანადო მოქმედებითები: დაამკვდრა, დაამყარა, დაამენა...) ორპირიანი გახდა, ე-ნით ნაწარმოები მათი შესატყვისი ორპირიანი ვნებითები — ერთპირიანი² (შდრ. ა. შ ა - ნ ი ძ ე , ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 322).

მაშასადამე, ამ წყების ზმნებთანაც ე-ნის გამოყენება ვნებითის ერთპირიანი ფორმების საწარმოებლად არ უნდა იყოს თავდაპირველი³.

ცალკე ჯგუფს ქმნის ე-პრეფიქსით ნაწარმოები ვნებითები, რომელთა ერთპირიანობა პირველადი რიგის მოვლენა ჩანს. ასეთი ვნებითების ნიმუშებად მიგვაჩნია:

აღ-ე-ბრულა: ასული ჩემი ადესრულებს: მრკ 5, 23. მაშინ ადესრულა თქმული იგი იერემია წინასწარმეტყუელისაჲ, მთ 2, 17.

სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ ჩუენ შორის ადერულოს: ხანძთ. იდ 57.

აღ-ე-ტყუა: წარიყვანე ეგე სწრაფით სახელ შენდა და მუნ ადეტყუას: კიმ. I 310, 31:

¹ ამგვარ ახსნას არ უნდ ეწინააღმდეგებოდეს ის ფაქტი, რომ ზემოგანხილულ ზმნებთან იხმარება ადგილის ზმნისართებიც (შდრ. დაეყუდა მუნ, აჟა დაემკვიდრა...). აღნიშნულ ზმნებს ადგილის ზმნისართები მას შემდეგ შეიძლებოდა დაკავშირებოდა, როცა მათთან ხმარებული სახელები ადგილის გარემოებად იქნა გაგებული.

² ეს ეხება დაემადა ტიპის ვნებითების ნაწილსაც, ზმნებს: დაეთესა, დაენერგა, დაემაარა, დაეფლა...

³ ცალკე არ შეეჩერდებით ისეთ ვნებითებზე, როგორცაა: დაეძინა, მიერულია, გაედესა და მისთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ აღნიშნული ტიპის ზმნათა ოდინდელი ორპირიანობა აშკარაა. დასახელებულ ზმნებს უკავშირდება მხოლოდ ერთი პირი, მიცემითში დასმული სახელი, წარმოშობით ობიექტი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მათ თავდაპირველად სახელობითში დასმული სახელიც — სუბიექტი — უნდა დაკავშირებოდა.

აღ-ე-ღო, აღეხუნეს: და ვითარცა ცისკარი **აღედებოდა**, მცირედ მი-
ერულა დათა მათ ჩემთა, მოქც. 779, 12.

და მეყსეულად **აღედო** პირი მის და ენაჲ: DE ლკ 1, 64.

მყის **აღედო** თუალი მისი და აღივსო იგი ნათლითა: კიმ. I 304,
11.

სამარენი **აღეხუნეს** დღეს და მკუდარნი აღდგეს: სასულ. ტიე
208.

კლდენი განსქდეს და საფლავნი **აღეხუნეს**: სასულ. რმთ 171.

გან-ე-გებობს: ესე ყოველი სიტყვთ იპყრობების და წესიერებით **განე-
გებობს**: ელინთ. 44, 4.

ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ **განეგებოან**: ათონ. 314,
20.

გან-ე-ახლა: და მივიდა სახლსა მას კერპთასა, სადა იგი მეორედ **გა-
ნეახლა**: აპოლონი: კიმ. I 144, 19.

გან-ე-მრავლა: საგონებელ მიჩს, ვითარმედ ზეცით იყო კაცი იგი და
ესე **განემრავლა** მოწერილი: მოქც. 784, 14.

გან-ედო, განეხუნეს: სასუფეველი ცათაჲ **განედებობს** და მართალნი
შეველენან მას შინა: წარტყუნ. კთ 13.

გან-ე-ხუნ-ენს: ბეთლემს **განედო** ედემი პირველ დაჯშული: სასულ
პა 159.

და უხაროდენ ყოველსა სოფელსა, რამეთუ დღეს დაეჯშა ჯოჯობე-
თი და **განედო** სასუფეველი: ბოლნ. 79, 14.

განეხუნეს ცანი და სული წმინდაჲ გარდამოჯდა მის ზედა: კიმ.
II 69, 23.

არაჲ **განეხუნენ** ბჰენი ქალწულებისა შანისანი: კიმ. I 180, 26.

გან-ე-ყუნეს: ოდეს ალაშენეს ბაბილონს გოდოლი და **განეყუნეს**
მუნ ენანი: ქართლ. 1, 11.

გან-ე-მტკიცა: კაცობრივი ნებაჲ მისი... არა განილია, არცა განქარ-
და, არამედ უფრომსად **განემტკიცა**: კიმ. I 100, 28.

შენ მიერ აღემართნეს დაცემულნი და **განემტკიცნეს** დაცემად-
ნი: სასულ. ეა 26.

და-ე-მტკიცა: დღეს **დაემტკიცა** თქუმული იგი პირველი: სასულ.
რნგ 45.

კაცთა უგუნურებითა **დაემტკიცა** კერპთმსახურებაჲ: კიმ. I 47,
23.

პურიასტანს **დაემტკიცა** აღდგომაჲ ქრისტჳსი: სასულ. სლ 162.

- და-ე-კლა:** ვიდრე მიღებამდე მისსა დაეკლა ვითარცა ცხოვარი: წარტყუნ. ებ 2.
- და-ე-შალა:** არა დაეშალა, არცა სივლტოლად იკუმია შიშისათეს: კიმ. II 46, 8.
- და შეაჭრებდეს, რადამცა მიპრიდა და დაეშალა: აბო 69, 7. იყვნეს იგინი დამკვდრებულ კლდესა მას შინა, რომელსა დაეშალა მოსე წინაწარმეტყუელი, ასურ. 13, 11.
- და-ე-ფარა:** მაშინ ყოველი პირი ქუეყანისად დაეფარა: ექუს. 42, 3. დაეფარა ვარსკულავი, ვითარცა ჰურიანი უდაბნოსა დაუტევენა მოსე: მრავალთ. 277, 15.
- დავდევით ტყუვილით სასოებად ჩუენი და ტყუვილითავე დაგეფარენით: ესაია 28, 15.
- და-ე-წესა:** მიეირთვან დაეწესა, რათა ქართველნი სუმონწმინდას ეამსა წირვიდენ: ათონ. 314, 11.
- ხოლო აწ მზე დაეწესა საზომსა ზედა დღისასა: ექუს. 67, 19.
- და-ე-უენა:** და დაეუენა ხრწნილებად დაფლვითა ჳორციითა მისთად-თა: სასულ. რმშ 140.
- დაეუენა სისხლი იგი ყრმათად: მოქც. 777, 14.
- მობმა-უყავ მწუერვალთა მათ, რადთა დაეუენოს შენი ეგე გულისთქუმაჲ: იპოლ. კ 292.
- და-ე-უო:** და დაეკრა ფერვი მათი ქუეყანასა და დაეუო პირი მათი: კიმ. I 253, 21.
- და-ე-ვშა:** ვინათვან განაძეს მთავარეპისკოპოსი ელია, დაევშა ცად და არა წჳმა ხუთ წელ: კიმ. II 191, 13.
- მოვიდა სიძე იგი და მზანი იგი შევიდეს მის თანა ქორწილსა მას, და დაევშა კარი: C ლკ 4, 24.
- და-ე-ვშნეს:** ცანი სამ წელ და ექუს თუე: C ლკ 4, 24.
- და-ე-ბრკოლოს:** განეპყრნეს ჳელნი და ილოცვიდეს ღმრთისა მიმართ წმიდა ნინო და იტყოდა, რათა არა დაებრკოლოს საქმე ესე, რომელსა წარმართებულ არს მეფე, ქართლ. 70, 12.
- ე-ბრძანა:** ჳურჳელნიცა მაშინ შეიმზადნეს, რაჳამს ებრძანა ერთად შესაკრებელად შეკრებაჲ წყალთად: ექუს. 44, 17.
- და კუალად იტყვან, ვითარმედ ებრძანა წყალთა შეკრებაჲ შესაკრებელს ერთსა: ექუ. 42, 24.
- ე-კურთხა:** მუნამდის მთავარდიაკონი ვიყავ და გეკურთხე მღდელად საფლავესა ზედა საუფლოსა: ათონ. 276, 22.

- წარ-ე-წიროს:** არა წარეწიროს, რომელი იწროებასა იყოს ვიდრე ეამადმდე: ესაია 8, 22.¹
- ადესრულა** ტიპის ერთპირიანი ვნებითები დასტურდება XII-XX საუკუნეების ძეგლებშიც, აგრეთვე ქართულ ენის დაილექტებში. მაგალითად:
- და-გ-ე-ყენები:** გზა გრძელი, საქმე სასწრაფო მიც, ღია დაგეყენები: ვეფხ. ტყ. 1015, 4.
- დაგ-ე-ბნიგე:** იგი ვნახე, დაგებნიგე, გონებანი გამიშმაგნა: ვეფხ. ტყ. 569, 1.
- მო-ე-რწყო:** ფრიდონს რა ესმა, ატირდა, სისხლითა მოერწყო ველი: ვეფხ. ტყ. 644, 3.
- და-ე-თრთვილოს:** საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთრთვილოს, დაცა-ეწროს: ვეფხ. ტყ. 177, 2.
- და-ე-ბორკილა:** იცოდა გრძნეულმან ძიძამან, რომელ ისარი მართებულად შესტყორცა... გრძნეულებითა და შელოცვითა ქარი დაე-ბორკილა: ვისრამ. 76, 39.
- და-ე-სკვნა:** და მეექვსეს დღეს მათ ორთა სწორუბოვართა გმირთა ომი დაესკვნა: ომაიან. 80, 24.
- ყივჩაღეთში მეფის წასვლა მტკიცედ დაესკვნა: ვ. ბარნ. 217, 7.
- გა-ე-წურა:** გაეწურა ღამე: ამირან-დარეჯ. 30, 6.
- ჩა-ე-წურა:** დასაღამოვდა, მზეც ჩაეწურა: დ. გურამ. 246, 2.
- გა-ე-ლო:** ქალებმა ერთურთს შეხედეს, ქონისა კარი გაელო: ბაჩ. 305, 4.
- ე-რწევთან:** როცა ქარი უბერავს, სხვა ხეები ერწევთან, მხოლოდ ხმელი წიფელი არ ინძრევა: ვაჟა V 87, 2.
- ე-ხვეოდენ:** ეხვეოდენ ბილიკებად გზები დანაქანები: გ. ტაბ. 160, 17.
- შემო-ე-ღება:** ამ დროს შემოეღება კარები: ა. ყაზბ. III 529, 7.

¹ ზემოდასახელებული ვნებითები ზოგჯერ ორი პირის გაგებას იძლევა, მაგ.:

არა განმელო მე კარი ესე ქუესკნელისა ბნელისაი: წარტყუნ. მ 20.

განეხუნეს თუალნი მეფესა მას: კიმ. I 159, 20.

მიხილეს მე კაბუკთა და დაშეშალნეს: იობ. 29, 8.

ეშმაკსა პირი დაეყავნ: კიმ. I 201, 11.

განმიხუნ... ბჰენი სამოთხისანი, რომელნი დამეგშნეს ურჩებითა: სასულ. ვე. 3.

დიალექტებიდან ამგვარი ზმნების ნიმუშებია:

ე-რწებოხ: გაარბოლებს ცხენს და ხან ერთკე **ერწებოხ**, ხან სხვაკედ:
ბ. გაბ. ჰევს. 202, 10.

ე-რხეოდეს: ასრე უნდა პატარძალი **ერხეოდეს** ვერხვივითა: მესხ. ძვ.
საქ. III 298, 15.

ე-ტარევ: (არსენად) ბუვერ **ეტარევ**, ცოტამ **ეტარევ**, უკანაყ მოლ-
დაშთან დაბრუნევაში ხედავს... რ. ღამბ. ინგ. 251.

გა-გ-ე-თხუებო: ებელი არ **გაგეთხუებო**, სიტყვას გიჩივი გულითა:
იმერხევ. 49, 13.

გე-ე-ღება, მე-ე-ხურება: ერთი მარტო ალაყაფი კარები **გეეღება**
და **მეეხურება:** კავთისხევ.

მოველით მასპინძლისასა, **გაეღო** ეზოს კარია: ივ. ხორნ. ფშავ.
151, 13.

გე-ე-ჰენა: გადახტა მელამ წინ და **გეეჰენა:** მ. ხუბ. აქარ. 35, 6.

აღესრულა ტიპის ზმნების არსებობა ქართულში¹ გვაგვარაუდებ-
ბინებს, რომ ძველისძველად ე-პრეფიქსს უნდა ეწარმოებინა როგორც
ორპირიანი, ისე ერთპირიანი ვნებითის ფორმები. ამგვარი წარმოები-
სას ზმნის პირიანობა განისაზღვრებოდა მისი კონსტრუქციით (შდრ.
ერთპირიანი ფორმა — დაემალა, დაეყო, განელო... იგი — ორპირიან
ფორმას — დაემალა: დაეყო, განელო... იგი მას). ძველ ქართულში
დადასტურებული ფაქტები ამ სისტემის გადმონაშთს უნდა წარმო-
ადგენდეს.

თუკი ე-პრეფიქსიც აწარმოებდა ერთპირიან ვნებითს, როგორ ავ-
ხსნათ ენაში ამავე ფუნქციის მქონე მეორე აფიქსის, **ე-ნის** არსებობა?

ნ. მარი ვარაუდობდა, რომ ისტორიულად ე- მიღებულია **ა**
ხმოვანთა ჯგუფის შერწყმით: **ა—ე—ე—ე**². სპეციალურ ლიტერატურ-
რაში მიუთითებენ ამგვარი ახსნის უსაფუძვლობაზე³ (ჩვენნი აზრით

¹ შესაძლებელია, ზემოდასახელებული ვნებითებიდან ყველა ძველისძველი
ქართულიდან არ მომდინარეობდეს, მაგრამ როდესაც მათს სიძველეზე ვლაპარაკობთ,
უპირველეს ყოვლისა მხედველობაში გვაქვს თვითონ წარმოები პრინციპი.

² Н. Я. М а р р, Грамматика древне-литературного грузинского языка, Ленинград,
1925, გვ. 138-141.

³ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკი საფუძვლები, § 418, გვ. 365; ივ.
ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში,
თბილისი, 1954, გვ. 309.

ამგვარი ვარაუდი გამორიცხული არ არის).

ძველ ქართულში (resp. საერთო ქართველურში) **ი-** და **ე-** ფონეტიკურად დამოუკიდებელი ორი სხვადასხვა აფიქსია, შეიძლება გვევარაუდა, რომ ისინი სხვადასხვა დიალექტური წრიდან მომდინარეობენ (თუმცა ამგვარ ახსნასაც გარკვეული დაბრკოლებები ახლავს).

ვნებითობის **ი-**პრეფიქსი გენეზისურად უკავშირდება მოქმედებითი გვარის ზმნათა სასუბიექტო ქცევის **ი** ნიშანს⁴. სავარაუდებელია, **ე-**პრეფიქსიანი ვნებითიც ისტორიულად უკავშირდებოდეს **ე-**ს შემცველ მოქმედებითი გვარის ზმნებს, მაგრამ არა მხოლოდ სამპირიანებს, როგორც ვარაუდობენ ამას სპეციალურ ლიტერატურაში⁵, არამედ ორპირიანებსაც. ქართულში **ე-**ნიანი ორპირიანი გარდამავალი ზმნის მაგალითიც დასტურდება: **ეძიბეს** (შდრ. **შიგეც** — სამპირიანი ზმნა).

⁴ ა. შ ა ნ ი ძ ე , ქართული ზმნის საქცევი: ტფილისის უნივერსიტეტის ოაზბე, VI, 1927, გვ. 325-333; მ ი ს ი ვ ე , ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 363-365.

⁵ ა. შ ა ნ ი ძ ე , ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 365.

ვნებითისა და პოტენციალისის ფორმათა წარმოების ზოგი საკითხი კოლხურში¹

სპეციალისტების მიერ კარგა ხანია გამოყოფილია ვნებითისა და პოტენციალისის მაწარმოებელი ნიშნები კოლხურში¹.

ვ ნ ე ბ ი თ ი გვარის მაწარმოებელ ფორმანტებად მეგრულში მიჩნეულია პრეფიქსები: **ო-**, **ა-**, **ო-** და სუფიქსი **-დ**. შენიშნულია, რომ ამ აფიქსებით ნაწარმოებ ვნებითის ფორმებს მეგრულში დრო-კილო-თა პირველ ჯგუფში დაერთვის **-უ** სუფიქსი. იგი დამახასიათებელია ე. წ. უნიშნო ვნებითებისთვისაც:

0- — **-უ:** ტიბ-**უ-ნ** „თბება“, ხომ-**უ-ნ** „ხმება“, სქირ-**უ-ნ** „შრება“, სქიდ-**უ-ნ** „რჩება“...²

ო- — **-უ:** **ო-კვირ-უ-ნ** „იჭრება“, **ო-თას-უ-ნ** „ითესება“, **ო-კვათ-უ-ნ** „იკვეთება“, **ო-ხაშ-უ-ნ** „იხარშება“, **ო-ცალ-უ-ნ** „იცელება“...

ა- — **-უ:** **ა-კვირ-უ-ნ** „ეჭრება“, **ა-თას-უ-ნ** „ეთესება“, **ა-კვათ-უ-ნ** „ეკვეთება“, **ა-ხაშ-უ-ნ** „ეხარშება“, **ა-ცალ-უ-ნ** „ეცელება“...³

¹ თეზისები დაბეჭდილია. იხ. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 52-ე სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1993, 21-24 დეკემბერი. აღნიშნული სტატია სრულად პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XXXIV, 2000.

¹ Н. Я. М а р, Грамматика чаиского (лазского) азыка. С.-Пб., 1910, стр. 57-61; И. А. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка С.-Пб., 1914, стр. 070-071; ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 110-116; მ ი ს ი ვ ე, პოტენციალისის კატეგორია ქართულურ ენებში, ენიმკის მოამბე, I. 1937, გვ. 32-37; მ ი ს ი ვ ე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1948, გვ. 100-102; ქ. დ ა ნ ე ლ ი ა, ვნებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში, თბილისის სხელმწიფო უნივერსიტეტი, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, 1976, გვ. 165-175; რ. შ ე რ ო ზ ი ა, პოტენციალისის კატეგორია ქართულურ ენებში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერი), 1984 და სხვ.

² როგორც ცნობილია, უგვარო დინამიკურ ზმნათა როდენობა ქართულსა და კოლხურში მეტად შეზღუდულია. ამ ტიპის ფუძეები უმეტესად საერთოა ქართულსა და კოლხურში (გ. რ ო გ ა ვ ა, ნამყო უსრულის -ოდ სუფიქსის შედგენილობისათვის ქართულში, ივე, VI, 1954, გვ. 81; ქ. დ ა ნ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 167).

³ სპეციალურ ლიტერატურაში **ო-** და **ა-** პრეფიქსიანი ვნებითის ფორმები წარმოდგენილია ორმაგი სუფიქსაციითაც (**ო-თას-უ-უ-ნ**, **ა-კვირ-უ-უ-ნ**... ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 071; ქ. დ ა ნ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 165-175),

ე — უ: ე-სრულებ-უ-ნ „უსრულდება“, ე-წუხებ-უ-ნ „უწუხდება“, ე-სურებ-უ-ნ „ესტუმრება“...

ო — უ: ო-ჩქურ-უ-ნ „ეჩქარება“, ო-ვერდ-უ-ნ „ევედრება“, ო-ხიოლ-უ-ნ „უხარია“, ო-ტყ-უ-ნ „ატყვია“, გი-ო-ფორ-უ-ნ „აფარია“...⁴

ო — უ მოდელით მეგრულში იწარმოება ე. წ. „მიჩნევის“ ვნებითი პირველი სერიის მწკრივებში: მ-ო-ჰიპარ-უ-ნ „მეპატარაა“, მ-ო-გინძარ-უ-ნ „მეგრძელა“...⁵ მეორე სერიის ფორმებში ოს ნაცვლად ე-პრეფიქსია წარმოდგენილი: მ-ე-ჰიპარ-უ, მ-ე-გინძარ-უ...⁶

...დ — უ: თან-დ-უ-ნ „თენდება“, შინ-დ-უ-ნ „სივდება“, ჰითონ-დ-უ-ნ „წითლდება“, შქურონ-დ-უ-ნ „შინდება“, შურ-დ-უ-ნ „იღლება“, ცვითონ-დ-უ-ნ „ყვითლდება“, რჩქინ-დ-უ-ნ „ჩნდება“, ცორ-დ-უ-ნ „ლბება“, ჩხონ-დ-უ-ნ ცხონდება“ და სხვა⁷ (აღსანიშნავია, რომ -დ სუფიქსით ნაწარმოები ვნებითის ფორმები მეგრულში მცირერიცხოვანია).

შენიშვნა: ვნებითის გარდა უ სუფიქსი მეგრულში დაერთვის სტატიკურ ზმნებს: დგ-უ-ნ „დგას“, ბ-უ-ნ „ბეჭს“, ჭან-უ-ნ „წვეს“, ულ-უ-ნ „აქვს“, გ-უ-ნ

ზოგჯერ — გრძელი უთი (ე-ჰარ-უ-ნ... გ. რ ო გ ა ვ ა . დასახ. ნაშრ., გვ. 79-84); ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ამგვარი ფორმები ორგვარი დაწერილობით მოჰყავს: ე-თას-უ-ნ (ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 113), ე-თას-უ-უ-ნ (პოტენციალისის კატეგორია ქართულურ ენებში, გვ. 33).

ტ. გ უ დ ა ვ ა და თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე ე / ა პრეფიქსიან ვნებითებს მარტივი უ დაბოლოებით გადმოცემენ: ვ-ო-რ-დ-უ-ქ „ფიზრდება“, ვ-ე-შერებ-უ-ქ „ფიუდება“ (ტ. გ უ დ ა ვ ა , თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე , თანმშოვანტოპოლექსები მეგრულში, თსუ, კრებული: ა. შ ა ნ ი ძ ე , 1981, გვ. 218).

⁴ იხ. დასახ. ნაშრომები.

⁵ კ. დ ა ნ ე ლ ი ა , დასახ. ნაშრ., გვ. 172.

⁶ პრეფიქსიან ვნებითს უ დაბოლოება ახასიათებს მაშინაც, როცა ზმნის ფუძეში წარმოდგენილია სხვა სუფიქსიც. ამის ნიმუშია ე-რ-ტუ-აფ-უ-ნ „ლბება (ლტყება)“... დეპონენტები: ე-ხვამ-აფ-უ-ნ „ილოცება“, ე-ქუ-აფ-უ-ნ „იწყველება“, ე-გორ-აფ-უ-ნ „იგინება“, ე-ჰარ-აფ-უ-ნ „იწერება“... ე. ი. „გუნების“ ვნებითები: მ-ა-ძიცი-აფ-უ-ნ „მეცინება“, მ-ა-ნგარ-უ-აფ-უ-ნ „მეტყობა“, მ-ა-ბირ-უ-აფ-უ-ნ „მემღერება“ და სხვა (კ. დ ა ნ ე ლ ი ა . დასახ. ნაშრ., გვ. 170-173).

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ზმნათა ძირებზე დართული უ-აფ (მ-ა-ძიცი-უ-აფ-უ-ნ...) მოქმედებითის ფორმებშიც ვლინდება უ-ანის სახით (ო-ძიცი-უ-ან-ს...).

⁷ ნიმუშები დამოწმებულია ნაშრომებიდან: ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს , ჰანურის გრამატიკული ანალიზი..., გვ. 114; გ. რ ო გ ა ვ ა , დასახ. ნაშრ., გვ. 82; კ. დ ა ნ ე ლ ი ა , დასახ. ნაშრ., გვ. 174.

„გავს“, ჯოგ-უ-ნ „სძაგს“, კირ-უ-ნ „აბია“, შქ-უ-ნ „ასვია“, თას-უ-ნ „სთესია“, თხორ-უ-ნ „მარხია“...¹

ლ ა ზ უ რ შ ი ვნებითის ფორმები იწარმოება **ო-** და **ა-** პრეფიქსებით, ძალზე იშვიათად — **-დ** სუფიქსით. პრეფიქსანი ვნებითის ფორმებს დრო-კილოთა პირველ ჯგუფში, ჩვეულებრივ, დაერთვის სუფიქსი **-ე**, გარკვეულ შემთხვევებში — **-უ**². **-უ** გვაქვს უვარო დინამიკურ ზმნათა და ღონიანი ვნებითის ფორმებშიც:

ო- — **-უ**: ტუბ-უ-ნ „თბება“, ღურ-უ-ნ „კვდება“, სქიდ-უ-ნ „რჩება“, ჭკოდ-უ-ნ „წყდება“, დგით-უ-ნ „დგება“...

ო- — **-ე**: **ო-ჭკირ-ე-ნ** „იჭრება“, **ო-ჭარ-ე-ნ** „იწერება“, **ო-ჭვ-ე-ნ** „იწვის“, **ო-ჭკომ-ე-ნ** „იჭმევა“, **ო-შე-ე-ნ** „ისმევა“...

ა- — **-ე**: **ა-ჭკირ-ე-ნ** „უჭრება“, **ა-ჭარ-ე-ნ** „ეწერება“, **ა-ჭვ-ე-ნ** „ეწვის“, **ა-თას-ე-ნ** „ეთესევა“...³

ო- — **-უ**: გუ-**ო-ქთ-აფ-უ-რ** (გ. კარტ. II, 304₁₆) „გაბრუნდები“, გამა-**ბ-ო-თხვ-აფ-უ-რ-მა** (ა. ჩიქ. II 84₂₇) „გავთხოვდებიო“, ვარ **ბ-ო-კი-თხ-აფ-უ-რ-მა** (ს. ჟღ. 54₂₈) „არ ვკითხულობო“, მოთ **ო-შირ-აფ-უ-ტას-მა** (ა. ჩიქ. II 61₁) „არ დაილიოსო“, გო-**ო-თურ-აფ-უ-თ** (ა. ჩიქ. II 57₂₃) „დაეთრევიო“, **ო-მტ-აფ-უ-ნან** (ი. ყიფშ. 36₂₇) „გარბიან“, ჩქინ მუსლიმანი ვარ ვ-**ი-ყოფ-უ-რ-თ-ია** (ი. ყიფშ. 52₅) „ჩვენ მუსლიმანი არ გავხდებითო“, მუ-**ო-შვაჯ-ებ-უ-ნ** (გ. კარტ. II, 309₂₀) „ისვენებს“, **ო-ჩალიშ-ებ-უ-ნან** (ა. ჩიქ. II 30₇) „მუშაობენ“ და სხვა⁴.

ა- — **-უ**: ბერე ვარ **ა-(ყ)ვაფ-უ-ტუ** (ს. ჟღ. 49₁₀) „შვილი არ უჩნდებოდა“, მოდ **გ-ა-შქუინ-აფ-უ-ტან** (ა. ჩიქ. II 47₃) „ნუ შეგეშინდებათ“, მო **ა-ნტალ-აფ-უ** (|| მო **ა-ნტალ-ე**) (გ. კარტ. I 185₁₂) „ნუ გაერევი“, მევ-**ა-გნ-აფ-უ-რ** (გ. კარტ. II 303₂₉) „ვხვდები“, დო-**მ-ა-ჭკინ-დაფ-უ-ნან-მა** (გ. კარტ. II 315₂₇) „ვიღლებითო“ და სხვა⁵.

... **-დ-უ**: მო-**მ-წონ-დ-უ-ნ** „მომწონს“, გამო-**ჭკონ-დ-უ-ნ** „მავიწყდება“, მო-**ლორ-დ-უ** „მოტყუვდა“, გა-**ბ-წყენ-დ-უ-რ** „накрываю“...⁶

¹ იხ. დასახ. ნაშრომები.

² აღსანიშნავია, რომ **-უ** ფორმანტის წინ ყოველთვის წარმოდგენილია თმატური სუფიქსი, ჩვეულებრივ — **-აფ**, ზოგჯერ — **-ოფ**, **-ებ** (გ. კ ა რ ტ ო ზ ი ა).

³ ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , დასახ. ნაშრ., გვ. 110-112.

⁴ ესარგებლობთ გ. კარტოზიას მასალებით.

⁵ ესარგებლობთ გ. კარტოზიას მასალებით.

⁶ ნ. მ ა რ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 57, 61; ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , დასახ. ნაშრ., გვ. 168.

შენიშვნა: სუფიქსი -ჟ ან მისი ფარლი -ბ სტატიკურ ზმნებს ლაზურშიც დაერთვის, მაგრამ მეგრულისაგან განსხვავებით ძალზე იშვიათად: ო-გ-ჟ-ნ „აგზია“, ძ-ბ-ნ „ბევს“ (შდრ. ძ-ჟ-ნ), დოლი-ღ-ბ-ნ „(მიგ) ღვას“ (შდრ. მეგრ. ღ-ჟ-ნ) და სხვა⁷.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეგრულ-ლაზურის პასივის ფორმებში წარმოდგენილი -ჟ და -ე ბოლოსართები ზმნებს არ გადაჰყვება მეორე სერიის მწკრივებში; მაგალითად:

პირველი სერია: მეგრ. ფ-სქიდ-ჟ-ქ „ერჩები“, ვ-ი-ფულ-ჟ-ქ „ვიმალეები“, ვ-ი-უჩარ-ებ-ჟ-ქ „გვშავდები“, მ-ა-თას-ჟ-ნ) „მეთესება“, ფ-შინ-დ-ჟ-ქ „ვისივდები“... ლაზ. პ-ტუბ-ჟ-რ „ვთბები“, ვ-ი-ჰკირ-ე-რ „ვიჰკრები“, ი-შირაფ-ჟ-ნ „ილევა“, მუ-ი-შვაჯებ-ჟ-რ „ისვენებ“, მ-ა-ჰკირ-ე-ნ „მეჰკრება“, ა-ნტალაფ-ჟ-რ „გაერევი“, გომო-ჰკონ-დ-ჟ-ნ „მავეწყდება“...

მეორე სერია: მეგრ. ქულოფსქიდ-ი „დავრჩი“, დიფუვლ-ი „დავიმალე“, გევუჩარ-ი „გავშავდი“, დუმათას-უ „დამეთესა“, დოფშინდ-ი „გავსივდი“... ლაზ. გოპტუბ-ი „გავთბი“, დოვიჰკირ-ი „დავიჰკერი“, დიშირ-უ „დაილია“, მუიშვაჯ-ი „დაისვენე“, გომაჰკირ-უ „გამეჰკირა“, ანტალ-ი „გაერიე“, გომოჰკონდ-უ „დამავიწყდა“...⁸

აღსანიშნავია, რომ პასიურ ზმნათა აწმყოს ფორმებში გამოვლენილი -ჟ და -ე სუფიქსებით მეგრულ-ლაზური სინქრონიულ დონეზე მკვეთრად განსხვავდება ქართულისაგან⁹. როგორც ცნობილია, ქართულმა ამგვარი სუფიქსები არ იცის. რაც შეეხება საკუთრივ ვნებითობის მაწარმოებელ ნიშნებს, სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ისინი კოლხურს, ძირითადად, საერთო აქვს ქართულთან. კ. დანელიას დაკვირვებით, უფრო მეტიც, — ვნებითი გვარის მაწარმოებელი აფიქსებით კოლხური მთლიანად ქართულს მიჰყვება¹⁰. კერძოდ, ცნობილია, რომ კოლხურ ვნებითი გვარის მაწარმოებელ ბ- და ა- პრეფიქსებს ქართულში ბ- და ე- ფორმანტები შეესატყვისება: კოლხ. ბ-ჰარუნ, ქართ. ბ-წერება; კოლხ. ა-ჰარუნ, ქართ. ე-წერება... ვნებითის ე- პრეფიქსიანი წარმოება მეგრულში (ე-სახელებურ¹¹,

⁷ კ. დანელია, დასახ. ნაშრ., გვ. 168.

⁸ დუმათას-უ, დიშირ-უ, გომაჰკირ-უ, გომოჰკონდ-უ და მისთ. ფორმებში -ჟ მესამე პირის ნიშანია.

⁹ -ჟ და -ე სუფიქსების დიაქრონიული ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ.

¹⁰ კ. დანელია, დასახ. ნაშრ., გვ. 165-175.

ე-სუმრებუ¹ნ...) ქართულიდან შეთვისებულად ივარაუდება¹.

ვნებითი გვარის მაწარმოებლად მიჩნეული ო- პრეფიქსი მეგრულში (ვ-ო-ვერდ-უ-ქ „ვევედრები“, ო-ჩქარ-უ-ნ „ეჩქარება“, ო-ხი-ოლ-უ-ნ „უხარია“...), რომელიც თითქოს ქართულისაგან განსხვავებული ვნებითობის აფიქსი ჩანს, კ. დანელიას აზრით, ქართულის სტატიკურ ვნებითებში დადასტურებული ა- პრეფიქსის (აბია, აგდია, ატყვია...) კანონზომიერი შესატყვისია. ავტორის თქმით, შემთხვევითი არ არის, რომ მეგრულშიც ო- ხშირად სტატიკურ ზმნებს აღმოაჩინდებათ ხოლმე: მ-ო-ბარ-უ-ნ „მ-ა-ბარ-ია“, გი-მ-ო-ფორ-უ-ნ „მა-ა-ფარ-ია“, მ-ო-ტყ-უ-ნ „მ-ა-ტყვია“... (ქართული ა- და მეგრული ო- პრეფიქსების თავდაპირველი ფუნქცია მკვლევრისათვის ნათელი არ არის)².

რაც შეეხება მეგრულის „მიჩნევის“ ვნებითებში წარმოდგენილ ო- პრეფიქსს, ნაცვლად მოსალოდნელი ქართულის ე³ს კანონზომიერი შესატყვისი ა- პრეფიქსისა (შდრ. მ-ო-ჭიჭ-არ-უ-ნ „მ-ე-პატარა-ევა“, მ-ო-გინძარ-უ-ნ „მ-ე-გრძელ-ე-ა...“), კ. დანელია პოლისემიურ ფორმათა გამიჯვნის საჭიროებით ხსნის. მისი აზრით, თუ „მიჩნევის“ ვნებითები მეგრულში ა- პრეფიქსით იქნებოდა ნაწარმოები, როგორც ეს მოსალოდნელი იყო ქართულის ვითარებიდან ამოსვლით, მაშინ პასივის მხ. რიცხვის ფორმები დაემთხვეოდა წყვეტილის აქტიური შინაარსის ფორმებს: *მ-ა-ჭიჭარ-უ-ნ „მეპატარაევა“, შდრ. მ-ა-ჭიჭ-უ „მაპატარავა“... ამდენად, დაასკვნის ავტორი, მეგრული ქართულს ვერ დაუპირისპირდება ვერც ო- პრეფიქსით³.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ვნებითის მაწარმოებელი აფიქსები კოლხურისა და ქართულისათვის საერთო ჩანს, მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. თანამედროვე მეგრულ-ლაზურში პრეფიქსული წარმოებაა გაბატონებული, ვნებითობის პროდუქტიული მაწარმოებელი პრეფიქსებია. ვნებითის სემანტიკის გამომხატველი ახალი ზმნები აქ მხოლოდ პრეფიქსების საშუალებით იწარმოება (შდრ. ეკონსერვებუ¹ნ „კონსერვდება“, ცემენტებუ²ნ „ცემენტდება“, იფორმებუ³ნ „ფორმდება“...). -დ კოლხურში არ არის მოქმედი, ცოცხალი აფიქსი. იგი ძირითადად ძველი ფორმაციის ზმნებშია დადასტურებუ-

¹ კ. დ ა ნ ე ლ ი ა , დასახ. ნაშრ., გვ. 175

² კ. დ ა ნ ე ლ ი ა , დასახ. ნაშრ., გვ. 171-173.

³ კ. დ ა ნ ე ლ ი ა , დასახ. ნაშრ., გვ. 172-173.

ლი და ისიც ძალზე შეზღუდულად მაშინ, როცა ქართულში (როგორც თანამედროვე, ისე ძველში) -დ სუფიქსი პრეფიქსებთან ერთად ვნებითი გვარის ფორმათა აქტიური მაწარმოებელია. ახალი ზმნებისაგან ვნებითის ფორმები მათი (- / ე- და -დ აფიქსების) საშუალებით იწარმოება (მღრ. დაბომბა, დახტამბა, გაფილტრა...; გააქტიურდა, დაკონსერვდა, გაფორმდა...).

კოლხურში დონიანი ვნებითების წარმომავლობის შესახებ სპეციალისტთა შორის აზრთა სხვაობა⁴. ვნებითის წარმოების სუფიქსური

⁴ როგორც ცნობილია, სიენათმეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს ქართული -დ სუფიქსის გენეზისთან დაკავშირებითაც. მკვლევართა ნაწილის აზრით, ვნებითობის მაწარმოებელი -დ მიღებულია -ნ (← -ენ)სგან ფუძის ბოლოკიდურ ნ, რ, ლ თანხმოვნებთან დისიმილაციის გზით. *გან-მღიდრ-ნ-ა > გან-მღიდრ-დ-ა... (ა. შ ა ნ ი ძ ე, ნასახელარი ზმნები ქართულში, თხზულებანი, I, 1957, გვ. 43; მ ი ს ი ვ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 289-290; თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1976, გვ. 184-205 და სხვა). სხვა თვალსაზრისის მხედვით -ენ / -ნ და *-ედ / -დ ვნებითობის დამოუკიდებელი აფიქსებია (ვ. თ. ო ფ ე რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II, ენიკის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 533-536; გ. მ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ვნებითის სუფიქსური ტპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში, „მაცნე“, I, 1973, გვ. 108-121; თ. გ ა მ ე რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 2613; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ვნებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, თბ., 1968, გვ. 41-42 და სხვა).

ა. შანიძის ზემოგანხილული თვალსაზრისის (-დ < -ნ) საწინააღმდეგო არგუმენტად ასახელებენ ძველ ქართულში -დ ფორმანტის დადასტურების შემთხვევებს არანარნარა თანხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებთან: დამძიბდა ისუნ 19, 49; დაღუმდეს, სას. პოეზ. სებ; აღბირგდა, თხრობაჲ 22, 22-23 და მისთ. ამ ფაქტის ახსნა ავტორის მოცემული აქვს: ნ. რ, ლ თანხმოვნებთან წს დისიმილაციით მიღებული -დ ძველ ქართულშივე იფართოვებს მოქმედების არეს, თანდათან ვრცელდება არანარნარა თანხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებშიაც და ახალ ქართულში გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს (ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 43-44). ძველ ქართულ ძეგლებში ფიქსირებული პარალელური ფორმები: აღბორგნა || აღბორგდა, აღყუაენა || აღყუაედა, განცხადნა || განცხადდა... ამ პროცესის ამსახველი ნიმუშებია. ფორმათა ამგვარი მერყეობა გარდამავალი პერიოდისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი -ნ (/ -ენ) ფორმანტი იმავე პოზიციაში არ განიცდის დისიმილაციას, არ გადადის დში, ხსნიან იმით, რომ მორფონემატური პროცესები გარკვეულ გრამატიკულ ფუნქციებთან

დაკავშირებით განსხვავებულად შეიძლება რეალიზდებოდეს (თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 199).

ჩენი აზრით, არსებითი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ ძველ ქართულში ვნებითობის -ნ სუფიქსი ნ, რ, ლ თანხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებთან ძალზე იშვიათად გვხვდება. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ასეთი სულ ოთხამდე ნიმუშია დადასტურებული, რაც შემთხვევითი შეიძლება იყოს (შდრ. ალუაჯიშვილი, სსს. პოეზ. პა 149; განემდიდრნე, მარჯალთ. 299, 6; განთენნა, ზარზმ. 155, 19; განშწარნებოდის, ეკლეს. 104, 28).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში სრულიად მართებულად შენიშნულია, რომ ვნებითის მაწარმოებელი -დ სუფიქსი დამოუკიდებელი ფორმანტი რომ იყოს, როგორც ვარაუდობს ამას მკვლევართა გარკვეული ნაწილი, მაშინ ძველ ქართულში აღნიშნული ფუნქციით უნდა ვადასტურებდეთ -დ'ს ხმოვნიან ვარიანტსაც - ელ'ს მსგავსად -ენ (-ი-ნ) მორფემისა. როგორც ცნობილია, ქართული ენის უძველეს წერილობით ძეგლებში -ედ სუფიქსი ამ დანიშნულებით ფიქსირებული არ არის (თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 199).

ქედ, სხედ, წუედ, წყედ, ხუედ, კუედ, ქედ და სხვა ზმნურ ფუძეებში ედ მიმდევრობის დადასტურება არ გამოდგება იმის საბუთად, რომ -დ სუფიქსი ვნებითის ფორმებში (განძლიერდა, დამდაბლდა...) ედ'ისაგან მიმდინარედ ჩაუთვალოთ. აღნიშნული ფუძეებისაგან ნაწარმოები ზმნური ფორმები: ქედ, სხედ, მისწუედ, მოვწყუედ, ჰხუედ, მოქკუედ, გარდამოქედ ისტორიულად უგვარო დინამიკურ ზმნათა ფორმებია ისევე, როგორც განვხემ, განვქედ, დავდეგ, დავქვენ, განვტეფ, განვშერ და სხვა. ხსენებულ ფორმებში ედ ისტორიულად ისევე არ არის პასივის ნიშანი, როგორც ეშ, ელ, ეგ, ენ, ეფ, ერ და მისთ. განვქემ ტიპის ზმნებში. ისინი ფუძის შემადგენელი ელემენტებია. ერთი და იმავე სემანტის განმეორება სხვადასხვა ფუძეში არ არის საკმარისი არგუმენტი მისი სუფიქსად, მით უმეტეს, ვნებითობის ფორმანტად კვალიფიკაციებისათვის (უგვარო დინამიკურ ზმნათა შესახებ იხ. ქ. ლომთათიძე, თბება ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში, იკვ. IV, 1952, გვ. 75-81; გ. მაქავარიანი, „უნიშნო ვნებითი“ ქართველურ ენებში, ქესს, I, 1959, გვ. 101-130; თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 184-205 და სხვა).

ფეიქობთ, არ არის გასაზიარებელი არც კუედ ფუძის ის ეტიმოლოგია, რომელიც წარმოადგინა კ. გაჩეილაძემ, კლვა > *კულა-ედ-ებ > *კულ-დ-ებ > კულ-ებ > კულ-ების (კ. გაჩეილაძე, კუედ ფუძის სტრუქტურისათვის, იკვ. XXI, 1979, გვ. 68-81). არ არის მისაღები იმის გამო, რომ:

ა) ხსენებული ზმნის მასდარის ფორმაში -აგ თემისნიშნისეული -ვ'ს გადასმა ფუძის შიგნით (კლვაკულა) ძველ ქართულში ძალზე იშვიათი მოვლენაა (ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, 1971, გვ. 96).

ბ) არ არის დადასტურებული სხვა შემთხვევა ვნებითის -დ უფიქსით წარმოებისა -აგ თემისნიშნიან ზმნათა მასდარისაგან.

გ) კუედ ფუძის ზემოთ წარმოდგენილი ინტერპრეტაცია კლვა > კულა-ედ >

ტიპი კოლხურში (მეგრ. შქურონ-დ-უ-ნ „შინდება“, ჩენ-დ-უ-ნ „ჩერდება“, კითო-დ-უ-ნ „წითლდება“..., ლაზ, გომოქკონ-დ-უ-ნ „დაშავიწყდება“, მომწონ-დ-უ-ნ „მომწონს“ და მისთ.) მკვლევართა ნაწილს ქართულიდან შეთვისებულად მიაჩნია¹.

საპირისპირო თვალსაზრისისაა კ. დ ა ნ ე ლ ი ა. მისი აზრით ვნებიტის ფორმათა წარმოება -დ სუფიქსით ისტორიულად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო კოლხურისთვისაც². ღონიანი ვნებიტების ძალზე მცირერიცხოვანი ნიმუშები კოლხურში³ მკვლევრის ვარაუდით ოდესღაც ფართოდ გავრცელებული წარმოების გადმონაშთია, რომელიც უფრო გვიან პრეფიქსულმა წარმოებამ შეცვალა⁴.

აღნიშნული თვალსაზრისი ემყარება იმ ფაქტს, რომ ვნებიტის -დ სუფიქსი კოლხურში ჩვეულებრივ დასტურდება იმ ზმნურ ფუძეებში, რომლებიც ქართულის სათანადო ფუძეთა კანონზომიერ შესატყვისებს წარმოადგენენ (შდრ. მეგრ. თან-დ-უ-ნ, ქართ. თენ-დ-ებ-ა; მეგრ. შინ-დ-უ-ნ, ქართ. სივ-დ-ებ-ა; მეგრ. კითონ-დ-უ-ნ, ქართ. წითლ-დ-ებ-ა...), ან ფიქსირებულია ქართულთან საერთო ისეთ ფუძეებში, რომელთაც თვით ქართულში ღონიანი წარმოება არ ახასიათებს⁵ (შდრ. მეგრ. დო-შურ-დ-უ, ქართ. და-შურ-ა; ლაზ. მო-მ-წონ-დ-

კულ დღ'ს ძველი ქართულის დონეზე პასივის მოქმედ, ცოცხალ სუფიქსად სახავს, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. აღნიშნული ფონეტიკური პროცესის (გარკვეულ პოზიციაში თემისნიშნისეული ვ'ს გადასმა ფუძეში) არსებობა კი არ შეიძლება ვივარაუდოთ უძველეს ქართულში (ის, რაც მეტად იშვიათია ძველ ქართულში, ჩვეულებრივ — ახალში, არ შეიძლება იყოს დამახასიათებელი უფრო ადრეული ეპოქის ქართულისათვის).

ამგვარად, ზემოთ წარმოდგენილი არგუმენტები, ვფიქრობთ, მზარს უკერს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ვნებიტის -დ სუფიქსი წარისაგან მომდინარედ მიიჩნევა.

¹ ნ. მ ა რ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 57; ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. დასახ. ნაშრ., გვ. 114 და სხვა.

² ამავე აზრისაა გ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი (იხ. მ ი ს ი, ვნებიტის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში, „მაკნე“, № 1, 1973).

³ ლაზურში -დ- სუფიქსით ნაწარმოები ვნებიტის ფორმები, როგორც კ. დ ა ნ ე ლ ი ა შენიშნავს, თითზე ჩამოსათვლელია. სულ ოთხამდე ასეთი ნიმუშია დაფიქსირებული. მეგრულში შედარებით მეტია. აქ ოკამდე ამგვარი ფორმაა დადასტურებული (კ. დ ა ნ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 173-174).

⁴ კ. დ ა ნ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 173-174.

⁵ კ. დ ა ნ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 173-174

უ-ნ, ქართ. მო-მ-წონ-ს¹...).

ვარაუდი სავსებით დასაშვებია და საკმაოდ არგუმენტირებული, მაგრამ ჩვენი აზრით, უდავო არ არის. სანამ მას დაწვრილებით განვიხილავდეთ, ერთი ამთავითვე უნდა აღინიშნოს: თანამედროვე მეგრულში ლაზურთან შედარებით სიმრავლე დონიანი ვნებითების მხოლოდ ქართულის გავლენით შეიძლება აიხსნას იმ შემთხვევაშიც, თუ მათ საკუთრივ კოლხური წარმოების გადმონაშთად ჩავთვლით. მაგრამ გასარკვევია, ქართულის გავლენა ვნებითის ფორმათა წარმოებაზე კოლხურში გამოიხატება მხოლოდ დონიანი ფორმების დაკონსერვებაში, თუ იგი უფრო მეტია — ქართული წყაროა -დ სუფიქსით ნაწარმოები ვნებითებისა კოლხურში, როგორც ვარაუდობს ამას ზოგი მკვლევარი. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გაცეცხს პასუხი კითხვას: შესაძლებელია თუ არა საზოგადოდ ვნებითის სემანტიკის გამოხატვევლი ფორმანტის სესხება.

ზმნური ფუძის მაწარმოებელი აფიქსის სესხების ფაქტი კოლხურში დადასტურებულია. სახელდობრ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქართული წარმომავლობის აწმყოს თემატური ნიშანი -ებ კოლხურში ფიქსირებულია ქართულიდან შეთვისებულ ფუძეებში (მდრ. აკეთენს, აწუხენს, აშენენს, არიგენს², ვიბადებუქ, ვისუფთებუქ, ვიშენებუქ, ესახელებუ^ნ ეწუხებუ^ნ, ესურებუ^ნ...), იგი აქ

¹ როგორც ჩანს, მკვლევარს მხედველობაში აქვს თანამედროვე სალიტერატურო ენა, თორემ უფრო ადრეული ხანის ლიტერატურულ ძეგლებსა და ქართული ენის დიალექტებში წონ- ფუძისაგან დონით ნაწარმოები ვნებითის ფორმები დადასტურებულია: მო გ წ ო ნ დ ე ბ ი ს დამნახველთა თმა მელნისა და გიშრისა, თეიმ. I, 122, 81; ყველა ხალხს რო მოს წ ო ნ დ ე ბ ა, მომ და შენ ნუ მოქ ქ ო ნ დ ე ბ ა, ჯ. ნოდ., აჭარ. ტექსტ. 61, 3; მეც არ მომ წ ო ნ დ ე ბ ა... ზოგი გარეცხილი, კ. კ უ ბ ლ ა შ ვ ი ლ ი, ქვემო-იმერული დიალექტი, თსუ შრ., ტ. 187 და სხვა.

² როგორც ცნობილია, -ენ მეგრულში მიღებულად ითვლება შემდეგ გარდაქმნების გზით, -ება-ფეჟა-ფმა-ენ (ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კანურის გრამატიკული ანალოზი, გვ. 133-134).

ტ. გუდავასა და თ. გამყრელიძის აზრით, მეგრულში ფუძის მაწარმოებელი სუფიქსები: -უნ, -ან, -ენ მომდინარეობს შესაბამისად -უშ, -აშ, -აფ, ებ თემატური ნიშნებისაგან ბაგისმიერი მ, ფ, ბ ელემენტების ნარით შეცვლის შედეგად თანხმოვნების (ს, ქ, თ) წინა პოზიციაში დგ-უმს > დგ-უნ-ს „დგამს“. ვი-კუ-აფქ > ვი-კუ-ან-ქ „ვიწყებ“, ა-კეთ-ებ-თ > ა-კეთ-ენ-თ „აკეთებთ“ (ტ. გ უ ლ ა ვ ა, თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 214-218).

გვხვდება ქართულ-კოლხურ საერთო მასალაშიც³: ა-ჭითარ-ენ-ს „აწითლებს“ (ვნ. ი-ჭითარ-ებ-უ-რ-ნ...), ა-უჩარ-ენ-ს „აშავებს“ (ვნ. ი-უჩარ-ებ-უ-რ-ნ), ა-ყვითარ-ენ-ს (ვნ. ი-ყვითარ-ებ-უ-რ-ნ) და სხვა⁴.

ეს იმას ნიშნავს, რომ თეორიულად არ არის გამორიცხული შესაძლებლობა ქართული წარმომავლობის -ებ თემატური სუფიქსი გვხვდებოდეს ისეთ კოლხურ ფეძებთანაც, რომელთა შესატყვის ქართულ ფუძეებში იგი დადასტურებული არ არის⁵. და მაშასადამე, თუ დავუშვებთ ვნებითი გვარის მაწარმოებელ ფორმატთა სესხების შესაძლებლობას საზოგადოდ, ვნებითობის -დ სუფიქსის დადასტურება საკუთრივ კოლხურ ფუძეებში ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც შესატყვისი ქართული ფუძე არ არის ნაწარმოები აღნიშნული აფიქსით (შდრ. მეგრ. დო-შურ-დ-უ, ქართ. და-შურ-ა...), არ გამოდგება მისი (-დ მორფემის) ქართულიდან ნასესხობის საწინააღმდეგო უცილობელ არგუმენტად).

და მაინც, ჩვენი აზრითაც თვალსაზრისს კოლხურში ვნებითობის -დ ფორმანტის ქართული წარმომავლობის შესახებ სერიოზული დაბრკოლებები ახლავს, უპირველეს ყოვლისა — ზოგადი ხასიათისა; სახელდობრ: ქართველურ ენათა მონაცემებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ვნებითის სემანტიკის აღმნიშვნელი მორფემის სესხება არ ხდება⁶. კოლხურის ფაქტობრივი მასალა არ უქერს მხარს ვარაუდს -დ სუფიქსის ქართულიდან მომდინარეობის შესახებ.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია შენიშნული, კოლხურში

³ ეს ფაქტი შენიშნული აქვს ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს , დასახ. ნაშრ., გვ. 134).

⁴ აღსანიშნავი, რომ დონიანი ვნებითის ფორმებში -ებ სუფიქსი კოლხურში დადასტურებული არ არის.

⁵ ბუნებრივია, ისეთ ვითარებაში, როცა ნასესხები ფორმები დიდი ოდენობითაა, შესესხებელ ენაში გამოიყოს ნასესხები ენის სახელური, თუ ზმნური მაწარმოებელი ელემენტები და დაერთოს საკუთარ ფუძეებს.

⁶ თავისთავად თემატური სუფიქსის სესხების ფაქტი კოლხურში არ იძლევა საფუძველს ვნებითობის ფორმანტთა სესხების დასაშვებად. აწმყოს ფუძის მაწარმოებელი აფიქსი და ვნებითის -დ სუფიქსი სხვადასხვა რანგის ელემენტებია. სუფიქსურ მორფემათა თანამიმდევრობაში (განლაგებაში) მათ სხვადასხვა ადგილი უკავიათ (-დს — 1, თემის ნიშანს — 2). რაც წარმოადგენს პირობას იმისას, რომ ისინი განსხვავებულად „იქცეოდნენ“ (მორფემათა რანგების შესახებ ქართულში იხ. მ. დ ა მ ე ნ ი ა , ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები, 1982, გვ. 42-56; ა. ო ნ ი ა ნ ი , ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, 1898, გვ. 49-51).

ენებითი დონით ეწარმოება ძალზე მცირერიცხოვან ზმნებს და ძირითადად ისეთებს, რომლებიც უძველესი ხმარებისაა და ხშირად ქართულის შესატყვისებს წარმოადგენენ. მაგალითად: ლაზ. გომო-ჰკონდ-უ-ნ „მაღიწყდება“ მომ-წონდ-უ-ნ „მომწონს“, მეგრ. შინდ-უ-ნ „სივდება“, ეორდ-უ-ნ „ლაება (ყარს)“, შქურონდ-უ-ნ „შინდება“, ჰითონდ-უ-ნ „წითლდება“, შურდ-უ-ნ „იღლება (შურება)“, ჩხონდ-უ „ცხონდა“, გოთანდ-უ „გათენდა“¹ და სხვა².

კოლხურში არ არის დადასტურებული დონიანი ფორმები ახალი ზმნებისა; უფრო მეტიც, ქართულიდან შეთვისებულ ფუძეებში ენებითობის დ სუფიქსი აქ შეცვლილია პრეფიქსული (თუმცა ე-/-ე-და არა კოლხური ე-/-ა-) წარმოებით. შესაბამისი აქტივის ფორმა წარმოდგენილია ასევე ქართული ებ თემატური ნიშნით³; ა-კეთ-ენ-ს — ე-კეთ-ებ-უ-ნ (შდრ. ა-კეთ-ებ-ს — კეთ-დ-ებ-ა...), ა-შენ-ენ-ს —

¹ ლაზურ გოთან-უ „გათენდა“ ფორმაში ენებითის ფორმანტი — დ დაკარგული ჩანს. აღსანიშნავია, რომ უსუფიქსო ფორმა გან-თენ-ა დასტურდება ძველ ქართულშიც: იყო პარასკევ და განთენებოდა შეფთად, ლ 23, 54; ვითარცა განთენა... მთ 27, 1 და სხვა.

თენ ფუძეში -ნ-ს ვერ მივიჩნევთ ენებითის სუფიქსად (თენ-), როგორც ვარაუდობს ამას ა. შანიძე (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 41-41). CV სტრუქტურის ზმნური ძირები არ არის დამახასიათებელი ქართულისათვის.

თენ ფუძეს ვერ ჩავთვლით მიღებულად ვერც *თენ-ნ ფორმისაგან ნ-ს დაკარგვის გზით; ასეთ შემთხვევაში აუხსნელი რჩება გათენდა ფორმის არსებობა ძველ ქართულში (შდრ. ვიმნაიშვილი, მამათა ცხოვრებანი, 1975, გვ. 424). ვფიქრობთ, თენ მიღებული უნდა იყოს გარკვეულ დიალექტურ წრეში თენდ-ისაგან დ-ს დისიმილაციური დაკარგვით გათენდა ფორმაში, სადაც რამდენიმე წინაენისმიერი თანხმოვანი იყრის თავს. საპირისპირო თვალსაზრისისას — ქართ. გან-თენ-ა, ლაზ. გო-თან-უ-ს თავდაპირველ (ამოსავალ) ფორმებად მიჩნევის შემთხვევაში ისინი ინტერპრეტირებულ უნდა იქნენ „უნიშნო ენებითებად“. ამგვარი ზმნები კი (გან-ძელ, გან-ე-ქერ, და-შურ...) სალიტერატურო ქართულში ენებითის — დ ფორმანტს არ დაირთავენ (შდრ. ჰ. ფენრბი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 1990, გვ. 147).

² ი. ბელიჩიშვილის აზრით, მეგრულ-ლაზური დოწკინდუ ქართული დიალექტური დოწკნდას სესხებისა და ადაპტაციის შედეგს უნდა წარმოადგენდეს (იხ. მისი, საერთო-ქართველურ სიბილანტთა სისტემა ფუნქციონალური ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, V, 1980, გვ. 52).

³ როგორც აღინიშნა, ქართული წარმომავლობის — ებ თემატური სუფიქსი დასტურდება კოლხურ ფუძეებთანაც: აკითარენს „აწითლებს“ აუჩარენს „აშავებს“ და სხვა.

•
•-შენ-ებ-უ-ნ, ა-სუფთ-ენ-ს — •-სუფთ-ებ-უ-ნ, უ-წუხ-ენ-ს — ე-წუხ-ებ-უ-ნ, უ-სრულ-ენ-ს — ე-სრულ-ებ-უ-ნ და სხვა⁴.

-დ სუფიქსი კოლხურში ქართულიდან რომ იყოს შეთვისებული, ე. ი. შედარებით ახალი ფორმაციის მაწარმოებელთან რომ გვქონდეს საქმე, მაშინ მას (-დ ფორმანტს) აქ ხშირად უნდა ვადასტურებდეთ და ამასთან — ახალ ზმნებანაც. როგორც აღინიშნა, ეს ასე არ არის. ზემოთ წარმოდგენილი არგუმენტაციის გამო ჩვენც ვფიქრობთ, რომ თვალსაზრისი კოლხურში ვნებითის მაწარმოებელი -დ სუფიქსის ქართულიდან მომდინარეობის შესახებ გასაზიარებელი არ არის.

ჩვენი აზრით, დაბრკოლებები ახლავს იმ მოსაზრებასაც, რომლის მიხედვითაც თანამედროვე მეგრულ-ლაზურში დადასტურებული დონიანი ვნებითის მცირერიცხოვანი ფორმები გადმონაშთია ადრე ფართოდ გავრცელებული სუფიქსური წარმოებისა, რომელიც ვნებითი ფორმათა პრეფიქსაციის ძლიერი ტენდენციის შედეგად შეავიწროვა თავსართულმა წარმოებამ⁵.

⁴ სესხების პროცესისადმი -ებ და -დ ფორმანტების განსხვავებული დამოკიდებულება, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად განპირობებული უნდა იყოს მეგრულ-ლაზური „ენობრივი ფონით“ — ქართული წარმომავლობის -ებ თემატური ნიშნის გავრცელებისათვის კოლხურში სათანადო ნიადაგი არსებობდა. კოლხური (მეგრულ-ლაზური) ზმნის სისტემას გააჩნია ანალოგიური საკეთარი სუფიქსები: -უმ, -ამ, -აფ; შდრ. დგუშს „დგამ“, მეჩაშს „მისცემს“, იკაფს „იწყევბს“ (-უმ < -ამ; თ > უ მომდევნო შს გავლენით: ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 32; ტ. გ უ ღ ა ვ ა, თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 215; შდრ. არქაბ. კორ-ომ-ს „ყვარობს“, კარ-ომ-ან „წერენ“, ბ-გორ-ომ-ტი „ფიქვბდი“, კითხ-ომ-ტუ „კითხავდა“ და სხვა. ლ. ნ ა დ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, მასდარის წარმოების შესახებ კანურში, იკვ, XVII, 1970, გვ. 140).

ვნებითობის -დ სუფიქსი ასე ფართო მასშტაბის ორენოვნების მიუხედავად ქართულის გავლენით ვერ გავრცელდა მეგრულ-ლაზურში, საფიქრებელია, იმის გამო, რომ ვნებითის ფორმათა წარმოება სუფიქსით არ არის ნიშანდობლივი კოლხურისათვის (ამგვარი სესხების შესაძლებლობა მით უფრო გამოაჩიხულია კოლხურის განვითარების უფრო ადრეულ ეტაპზე, როცა თანამედროვე დონის ქართულ-კოლხური ენობრივი კონტაქტები და ორენოვნების მსგავსი სიტუაცია ნაკლებ სავარაუდოა).

სესხების თვალსაზრისით -ებ და -დ სუფიქსების განსხვავებული „ქმედება“ გარკვეულ წილად განპირობებული უნდა იყოს იმითაც, რომ თემატური ნიშანი და ვნებითობის მაწარმოებელი სუფიქსი, როგორც აღინიშნა, სხვადასხვა რანგის ელემენტებია.

⁵ კ. დ ა ნ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 174.

როგორც ცნობილია, საპირისპირო ტენდენციას დადასტურებული ქართულში. ვნებიტის ფორმატა წარმოების რეტროსპექტული განხილვა გვიჩვენებს, რომ ძველ ქართულში ფიქსირებული ვნებიტის პრფიქსული ფორმები ახალ ქართულში გარკვეულ შემთხვევაში იცვლება სუფიქსურით¹. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ასეთებია: აღმალლა (> ახ. ქართ. ამალლა...), გამოსაქურისა (> ახ. ქართ. დასაქურისა...), განღმრთო, განშოშულა, დამარია, დამწიფა, დანაწილა, დაყენა, მოიოჭრა, შეზავა, შემზადა, შეფერთა, აღსრულა, აღეშნა, აღმოცმნა, განემტკიცა, დამეკვრა, დამბანკა, დამწესა, დამწყარა, განფერძნა, დამეგობრა, შეფერთა, შეფეშრა, მოეცენა, მოფონა, შეენაწევა, მოეწყურა, მოემშია და სხვა.²

გდასვლა პრეფიქსაციიდან სუფიქსაციაზე — განვითარების ასეთ ტენდენციას ავლენს ვნებიტი გვრის ფორმატა წარმოების დიაქრონიული ანალიზი ქართულში. ისტორიულად ამგვარი ტენდენცია ივარაუდება დამახასიათებლად ქართველურ ენათა მორფოლოგიური სისტემსათვის საზოგადოდ (პირის კატეგორიის აღნიშვნა, აბსტრაქტულ და ნაზმნარ სახელთა წარმოება და სხვა).

ქ. დანელიას ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით ასახსნელია, ამ ზოგადი ტენდენციისაგან რატომ უნდა ქმნიდეს გამოწკლის კოლხურში ვნებიტის ფორმატა წარმოება. რის გამო უნდა

¹ აღნიშნული მოვლენის შესახებ დაწვრილებით იხ. ლ. ნოზაძე, ვნებიტი გვარის ზმნათა ორგვარად წარმოების ურთიერთობისათვის ქართულში, საქ. მეცნ. აკად. ასპირანტთა V სამეცნ. კონფ., 1954, გვ. 23-25; მისივე, პრფიქსული და სუფიქსური ვნებიტების ურთიერთობისათვის ქართულში, ქესს, ტ. II, 1961, გვ. 63-71 ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 310-311 (უნდა აღინიშნოს, რომ იმ სტატიაში, რომელიც ავტორს თავის ზემოხსენებულ ნაშრომში აქვს მიითვებული: ი. ქავთარაძე, XII-XVIII სს. ქართული ისტორიის საბუთების ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი, ენის ინსტიტუტის VI სამეცნ. სესია, 1949, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 8-9 — მრავალი წვრილმანი საკითხია განხილული, მაგრამ ვნებიტის ფორმატა წარმოების შეახებ საერთოდ არაფერია ნათქვამი).

² აღსანიშნავია, რომ ამგვარ ზმნათ უმრავლესობას ძველ ქართულშივე მოეპოვება სუფიქსით ნაწარმოები ვნებიტის ფორმებიც: აღმალლდე (ი. 12, 12), აშენდა (ათონ. 27, 20), აღმოცენდა (ათონ. 70, 23), განმტკიცნა (ასურ. 18, 1), განღმრთნა, განშოშულდა, დასრულდები (ექუს. 4, 22), დაყოვნდებოდა (მრავალ. 271, 21), მომწიფნა, შემურდა (ათონ.) და სხვა.

შეცვლილიყო აქ ასე ერთიანად სუფიქსური წარმოების ვნებითები პრეფიქსულით?

აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, ქართულში ვნებითის პრეფიქსული ფორმების შეცვლა სუფიქსურით ხდება არა სპონტანურად, რამედ გარკვეული კანონზომიერებით. იგი ფორმალური ნიშნის მიხედვით ასე შეიძლება აღიწეროს: ახალ ქართულში დონიანი ფორმებით, როგორც წესი, იცვლება ძველი ქართული ენის ძეგლებში დადასტურებული პრეფიქსით ნაწარმოები ის ვნებითები, რომელთა შესაბამისი მოქმედებითი -ებ თემისნიშნანია³: ძვ. ქართ. დამძარილა > ახ. ქართ. დამარილდა (შდრ. დამარილებს), დამძიფთა > დამძიფდა (შდრ. დაამძიფებს)⁴, აღმოეშნა

³ როგორც ცნობილია, გარდამავალ ზმნებთან -ებ თემატურ ნიშანს ისევე, როგორც კაუზატიური ფუნქციის მქონე ატიქსს — ეგს. -ენს, ჩვეულებრივ ახლავს ა- პრეფიქსი (ა- თავსართის უქონლობა -ებ სუფიქსიან გარდამავალ ზმნებთან მეორეული მოვლენაა, მიღებული ა's რელექციის შედეგად პრევერბიან ფორმებში: განპშაღებს < *განპაშაღებს, შეკზავებს < *შეკაზავებს, განპნახევერებს < *განპნახევერებს, განპნაწილებს < *განპანაწილებს...).

ა- პრეფიქსი, როგორც წესი, არ გვხვდება -აგ, -ამ, -ო სუფიქსიან ზმნებთან. ამადღის, აყვედრის, აბრალის, ასწავლის ტიპის ფორმებში ა- პრეფიქსი მეორეული ჩანს. იგი აღნიშნულ ზმნებში გაჩენილი უნდა იყოს იმავე ფუძისაგან ა- — ებ ატიქსებით ნაწარმოებ ფორმათა გავლენით; შდრ. ა-მადღ-ებ-ს, ა-ყვედრ-ებ-ს, ა-ბრალ-ებ-ს, ა-სწავ-ებ-ს (ძვ. ქართ.). ზოგი მათგანის უპრეფიქსო (უანო) ფორმა დადასტურებულია სამწერლო ქართულში: მსწავლო (ფსალ. 6. 2); გსწავლის, სწავლი (მ. სწავ. 147, 24); ჰყუედრინ (მ. სწ. 116, 19); გყუედრიდენ (მთ. 5, 15); გყუედრის (აკაკი); ჰყუედრიდა (ლ. არდ.) და სხვა.

⁴ არსებობს შინაგანი კავშირი ვნებითის სუფიქსურ წარმოებასა და -ებ თემისნიშნთან მოქმედებითს შორის ისევე, როგორც პრეფიქსიანი ვნებითისა და -აგ სუფიქსიანი აქტივების შემთხვევაში. -აგ თემისნიშნანი მოქმედებითის კონვერსიული პასივი, როგორც წესი, პრეფიქსული წარმოებისაა. ვნებითის ფორმებში -აგ სუფიქსის უმარცვლო ვარიანტი -გ ჩვეულებრივ წარმოდგენილია ძველ ქართულში (დაპმარბაგს — დაიმარბგეს...). სუფიქსური ვნებითის შესაბამისი აქტივი -ებ თემისნიშნანია. -ებ თემატური ნიშანი ახაიათებს ამ ტიპის ვნებობებსაც: განაწითლებს — განწითლდების, შეაწუხებს — შეწუხნების... (ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 289).

ფიქრობთ, სუფიქსური ვნებითების ანალოგიით -ებ თემატური ნიშანი, სადაც იგი სრულიად კანონზომიერად არის წარმოდგენილი, ვრცელდება პრეფიქსით ნაწარმოები ვნებითის ფორმებშიც. -ებ'ის წინ თემისნიშნისეული -გ, ჩვეულებრივ იკარგვის... ახ. ქართ. იტან(ვ)ების, დაიმალ(ვ)ების, გამოსისახ(ვ)ების...; შდრ. ძვ. ქართ. ირწყვების, იკითხვების, იხილვების... ახ. ქართ. დაიხვნება, დიკვლება, დიწვნება... (-ებ'ს დაკარგვის შესახებ -ებ'ის წინამავალ პოზიციაში იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე,

დასახ. ნაშრ., გვ. 411, ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს დაბოლოებისათვის ძველ ქართულში, ძვ. ქართ. ენის კათ. შრ. ტ. 19, 1976, გვ. 79-85).

პრეფიქსიანი ვნებითის -ებ-დართული ფორმები საკმაოდ ხშირად გვხვდება უკვე ძველ ქართულშივე. ახალ სალიტერატურო ენაში პრეფიქსული წარმოების ვნებითები, როგორც ცნობლია, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (იწვის, იძვრის, ერთვის...) -ებ სუფიქსის გარეშე საერთოდ არ იხმარება.

-ებ თემატური ნიშანი იფართოებს ხმრავების არეს არა მარტო ვნებითი გვარის ზმნებში — აქტივის ფორმებშიც. შდრ. ჰევედრის, ამდლის, აბრალის... თანამედროვე ქართულში გავრცელებულ ფორმებს: 'და'აყვედრებს, 'და'ამადლებს, 'და'აბარალებს...

ამ მოვლენის ამსახველია ძველი ქართული ენის ძეგლებში -ებ- სუფიქსიანი აქტივების დადასტურების შემთხვევები მოსალოდნელი -აჟიანი ფორმების ნაცვლად: შფოთებს, განკურნებს, აღჰმართებს...

ძველი ქართული ენის ტექსტებში ფიქსირებული ვნებითის ფორმა — მიეგებვის (მასდარი — წინამიგებვაჲ) საფუძველს იძლევა აღვადგინოთ ამ ფუძის -აჟიანი აქტივი: *მიკებაგს; შდრ. ახ. ქართ. მიკებაგებს, მიეგებება, მიკებაგება (-ებ იკერს არქაული -ეგ სუფიქსის ადგილს აკერთხევს ზმნაში).

მეორეული უნდა იყოს -ებ თემატური სუფიქსი იმ აქტიურ ზმნათა ფორმებშიც (მათი რიცხვი შედარებით მცირეა), რომელთა შესაბამისი პასივი პრეფიქსიანია. ასეთებია: აღვსებს შდრ. აღვსების), აღაგებს (აღიგების), განაებს (განაებების), დასდებს (დაიდების), აღანთებს (აღენთების), განაღებს (განეღების), და სხვა.

როგორც აღინიშნა, პრეფიქსით ნაწარმოებ ვნებითებს უპირატესად -აჟ სუფიქსიანი მოქმედებითები შეეფარდება. უნდა გვკონოვდა: *ჟს-აჟს — *ი-ჟს-ვ-ი-ს, *ნთ-აჟს — *ი-ნთ-ვ-ი-ს და მისთ.

განხილულ ზმნათა ჯგუფში -ებ'ის მეორეულობაზე მიუთითებს ისიც, რომ მათ -ებ თემის ნიშანი, განსხვავებით -ებ'იანი აქტივებისაგან, რომელთა შესაბამისი პასივი სუფიქსური წარმოებისაა, არ გადაკვეცება თურქოზობითის ფორმებში (დაცულია შედარებით ადრინდელი ვითარება). მაგალითად აღვსებს — აღლესიეს (აღვსების)...; შდრ. განათიცხებს — განუფიცხებიეს (განუფიცხების...).

მოქმედებითი გვარის ზმნებში -აჟ თემატური ნიშნის -ებ'ით შენაცვლებას სხვა შემთხვევაში თან სდევს ვნებითის პრეფიქსული ფორმების შეცვლა სუფიქსურით, როცა ამის შესაძლებლობას იძლევა ვნებითის სუფიქსური წარმოების წესი (ამის შესახებ — ქვემოთ): *დაჰმაროღავს — დაიჰმაროღავს > დაჰმაროღებს — დაჰმაროღდება, *განჰუმტკიცავს — განუმტკიცავს — განუმტკიცებს განუმტკიცდება...

ვნებითის წარმოების სუფიქსური ტიპი და -ებ თემატური ნიშანი ერთდროულად წარმოიქმნია (ერთის არსებობა განაპირობებს მეორის არსებობას) და რელატიური თვალსაზრისით გვიანდელი ფორმაციისა -აჟ თემატურ სუფიქსსა და ვნებითის პრეფიქსულ წარმოებასთან შედარებით. ამაზე მეტყველებს რეტროპექტულად (ახალი ქართულიდან ძველისაკენ) -ებ ფორმანტის, ასევე სუფიქსური ვნებითების გამოყენების სიხშირის კლება, -აჟ სუფიქსისა, ასევე პრეფიქსიანი ვნებითების კი — მატება.

> აღმოცენდა (შდრ. აღმოაცენებს), მოეწყურა > მოსწყურდა (შდრ. მოაწყურებებს) და სხვა.¹

პრეფიქსული ვნებითების სუფიქსურით შეცვლის პროცესში, ბუნებრივია, მოქმედებს ის შეზღუდვები, რაც ნიშანდობლივია სუფიქსური წარმოებისათვის. კერძოდ, ვნებითის ფორმათა წარმოება სუფიქსებით არ არის დამახასიათებელი (ტიპური) პირველადი ზმნებისათვის, ასევე — გაუხმოვანებელი² ფუძეებისათვის³, მით უმეტეს იგი არ შეიძლება გვხვდებოდეს ცალთანზმოვნიან ძირებთან⁴. ამიტომ

¹ აღნიშნული ტიპის ყველა პრეფიქსიანი ვნებითი თანამედროვე ს ა ლ ი - ტ რ ა ტ უ რ ო ქართულში არ შეცვლილა სუფიქსით. ასეთებია: გაემგზავრება: დაეზარება, დამონება, მოეწონება, ჩაეწვეთება და სხვა. მაგრამ ამგვარ ზმნათა — სუფიქსიანი ფორმები რიგ შემთხვევაში დასტურდება ქართული ენის დიალექტებსა და ადრეული პერიოდის ძეგლებში: მოსწონდება (აქარ.), შახფერდება (ბეეს.), შამხათრდება (ფშავ.), დაფარდება (ქართლ.), გამოემგზავრდება, მოსძალდება (ვისრამ.), დამზარდება (მოგზ.), ჩაუწვეთდება (მ. ჭავჭავაძე), გონება უბინდდებოდა (გ. გეგეშ.) და სხვა, რაც იძლევა საფუძველს ვივარუდოთ, რომ ფორაწარმოების თვალსაზრისით შესაბამისობა აქტივსა და სათანადო პასივს შორის დამყარდება სალიტერატურო ენაშიც. ე. ი. აქაც ამგვარი -ებ'იანი მოქმედებითის კონვერსიულ პასივად პრეფიქსიანების ნაცვლად დამკვიდრდება დონიანი ფორმები.

² -ებ სუფიქსთან დაკავშირებით ფუძის განხმოვანების შესახებ მსჯელობაა თ. უთურგაიძის დაახელებულ ნაშრომში.

³ ალორძნდა, განჰნდა, განწმნდა, განგრძდა, განერცნა, განყვდა, დაბრძდა, დაქსნდა ტიპის ფორმები ძველი ქართულისათვის გამოჩაყლისებია. აღნიშნულ ზმნათაგან ახალ ქართულში — სუფიქსიანი ვნებითის ფორმები, წესის შესაბამისად, მარცვლოვანი ფუძებით არის წარმოდგენილი; შდრ. ალორძინდა, გამხნევდა, დაბრძავდა... (აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში ზოგი მათგანის პრეფიქსული ფორმებია ჩვეულებრივი; მაგ., განჰესნეს მოციქ., განწმინდენით ლევიტ., განგრძენიან მთ. ეს., განჰკაფნეს და Опис. სხვა).

⁴ ცალთანზმოვნიან ზმნურ ძირებს (ასეთი ოცამდე ზმნაა: ა-ბ-ს, ა-ბ-ს, დ-ის, ე-ც-ის, უ-ფ-ის, უ-ნ-ებს, ალ-ა-ფ-ებს, ა-ჭ-ებს, გან-ა-ბ-ებს, გან-ა-დ-ებს, გან-ა-ქ-ებს, მი-ს-ც-ემ-ს და სხვა) საგანგებოდ განვიხილავთ სხვაგან. აქ მხოლოდ წინასწარ შევნიშნავთ, რომ ცალი თანზმოვნით წაროდგენილი ზმნური ძირები ქართველურ ენებში, ჩვენი აზრით, მეორეული წარმოშობისაა, მიღებული ფუძის გამარტივების შედეგად. ისტორიულად ქართველურ ენებში არ უნდა არსებულებოდა ცალი თანზმოვნისაგან შემდგარი ზმნური ფუძე ისევე, როგორც არ არსებობს რეალურად (ფაქტობრივად) ცალთანზმოვნიანი სახელური ფუძეები. ეს მით უფრო სავარაუდოა, თუ გასაზიარებელია ა. ჩ ი ქ ბ ა ვ ა ს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც „ზმნა სახელური ფუძეებიდან მოდის, სახელურ ფუძეს ემყარება“; ა. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, სახელის ფუძის აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 122 და შმდ.) თუმცა

სრულიად კანონზოიერია, რომ ამგვარი ფუძეებისაგან ნაწარმოები პრეფიქსული ვნებითები (თუმცა მათი შესაბამისი აქტივი -ებ თემის-ნიშნაინია), ახალ ქართულში არ შეცვლილა სუფიქსურით (შდრ. ძღება, ივსება, ინთება, ევნება, ერგება, 'ალ'ფგზნება, ეხება...; არა გვაქვს: ღ-ღებ-ა, ვს-ღ-ებ-ა, ნთ-ღ-ებ-ა და მისთ.).

რაც შეეხება ვნებითის ფორმთა წარმოების ტიპის ცვლის (პრეფიქსული > სუფიქსური) სემანტიკურ საფუძველს, ზოგადად შეიძლება ითქვას: ახალ ქართულში დონიანი ვნებითით, ჩვეულებრივ, იცვლება ძველ ქართულ ძეგლებში დადასტურებული იმავე ფუძისაგან ნაწარმოები ის პრეფიქსული ფორმები, რომელთაც ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ, ფუნქციურად იდენტური არიან; შდრ. ძვ. ქართ. დ ა ი მ ა რ ი ლ ა „ბევრი მარლი დააყარეს, დაამარილეს“ > ახ. ქართ. დ ა მ ა რ ი ლ და „id“; ა ღ მ ო ე ც მ ნ ა „ამოვიდა მიწიდან, ამოიზარდა (მცენარე)“ > ახ. ქართ. ა ღ მ ო ც ე ნ დ ა „id“ და სხვა.

საკითხი არსებითად არ იცვლება, თუ ზმნური და სახელური ძირის ნეიტრალობის (გაუდიფერენციაციებლობის) თვალსაზრისიდან ამოვალთ.

ა. ჩიქობავას ზემოთ აღნიშნული მოსაზრება, როგორც ცნობილია, ეყარება სახელური და ზმნური ფუძეების ანალიზს ქართველურ ენებში, რის შედეგადაც მკვლევარი გამოყოფს -vc სრუქტურის ერთსა და იმავე სუფიქსებს (-ალ, -ან, -არ, -ავ, -ელ, -ენ, -ევ, -ედ და სხვა) როგორც სახელებში, ისე ზმნებში (ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ.; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართველურ ენებში, საქ. მცნ. აკად. მოამბე, III, №5, 1952, გვ. 489-498).

აქვე უნდა შევნიშნოთ, შემთხვევითი არ არის, რომ ვ. თოფურია ზმნურ ფუძეებში ვერ ადასტურებს, მისი აზრით, ქართველურ სუფიქსთა სტრუქტურული მოდელების მიხედვით მოსალოდნელ -ოზ ელემენტს (ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 493).

ჩვენი აზრით, -ოზ სუფიქსი არ გამოიყოფა არც სახელებში. თუ სწორია წან-ზმნურ ძირთან წნოზ- ფუძის დაკავშირება: *წ(ა)ნ-ოზ, მაშინ -ოზ სუფიქსი აქ - ურ'იდან მომდინარედ უნდა დავსახოთ: *წნ-ურ-ი > წნ-ორ-ი; შდრ: ტ ბ ო რ - ი ფორმის ერთ-ერთი შესაძლო ეტიმოლოგია: ტბური > ტბორ-ი (დაწვრილებით -ოზ სუფიქსთან დაკავშირებით იხ. ლ. ნ ო ზ ა ძ ე, ტბოზე ფუძის აგებულებისათვის, იკვ. XXXI, 1993, გვ. 65-67).

-ოზ სუფიქსის უქონლობა ქართულში შემთხვევითი არ არის. საენათმეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ საერთოდ „ო ვოკალიზმის მქონე სუფიქსები იშვიათია. ისინი, როგორც წესი, სრულსაფებურიანი სუფიქსის *ე (resp. *ა) ხმოვნის შერწყმით არიან მღებული წინამავალ *ჟ (ფუძისეულ თუ სუფიქსისეულ) ელემენტთან“ (თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა კ ე ვ ა რ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 307-309).

საერთოდ კი ამ ორი მოდელის — პრეფიქსული და სუფიქსური წარმოების ვნებითები, როგორც ცნობილია, ახალ სალიტერატურო ქართულში, არსებითად, ძველ ქართულშიც მნიშვნელობითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათ შორის ფუნქციები, ძირითადად, განაწილებულია. ამის გამოა, რომ ისინი (პრეფიქსიანი და სუფიქსიანი ვნებითები) თანაარსებობენ ერთ ენობრივ სისტემაში და, როგორც წესი, ერთმანეთში არ ირევიან, ერთი მეორეს არ ცვლის¹. ქართულში არ შეიძლება გვქონდეს: დათესდა, დამალდა, გათოხნდა და მისთ. ნაცვლად დაითესა, დამალა, გათოხნასი და პირიქით, ისტორიული ეპოქის ქართულისათვის არ არის ჩვეულებრივი (ტიპური) ფორმები: აღმყუავა, განმფიცხა, განმცრუვა, განმმდიდრა, განმმწარა და სხვა². აქ რეგულარულად გვხვდება: აღყუავნა, განფიცხნა, განცრუვნა, განმდიდრდა, განმმწარდა...

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ვნებითის ჩვეულებრივი სემანტიკის გარდა პრეფიქსიანი ფორმები, როცა ისინი ნასახელარია, ინსტრუმენტატივობას გამოხატავენ (შდრ. *ობარება*, *ითოხნება*, *ებომბება*, *ისტამბება*, *ფილტრება* და *მისთ*).³ სუფიქსურისა — გარდაქცევითობას⁴ (განმდიდრდა, „მდიდარი გახდა“, განჰაპუკნა „ჰაპუკი გახდა“...⁵)¹, ზოგი მკვლევარის აზრით, ასევე — მოქმე-

¹ გამონაკლისს ქმნის ა- — ებ აფიქსიანი აქტივის შესაბამისი პრეფიქსული წარმოების პასივები (მათი რიცხვი შედარებით მცირეა), რომელთა ნაწილს ძველ ქართულშივე მოეპოვება იმავე ფუძისაგან სუფიქსით ნაწარმოები ფორმებიც იდენტური სემანტიკით. როგორც აღინიშნა, ახალ სალიტერატურო ქართულში მათგან დონიანი წარმოებაა გაბატონებული; შდრ. *ბე. ქართ. აღმშენებს — აღმშენა / აღმშენდა > ახ. ქართ. აშენდა; ანალოგიურია: აღმოფცენა / აღმოცენდა, განგშორა / განშორდა, მოფშშია / მოშიფდა, მოფწყურა / მოწყურდა, მოფგონა / მოაგონდა და სხვა.*

² ძველი ქართული ენის ძეგლებში დადასტურებული ამ ტიპის ვნებითები (ვნებითის *მ-* / *ე-*ნიანი ფორმები მოსალოდნელი სუფიქსური ფორმების ნაცვლად): აღმამალდა, დამამარილა, დამამწიფა, აღმამშნა, დამამწანარა, შემამურა და მისთ. უძველესი ფორმაციის გადმონაშთია.

³ *ბ. ქორბენაძე*, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, 1975, გვ. 140-141.

⁴ *ა. შანიძე*, ნასახელარი ზმნები ქართულში..., გვ. 37; *ბ. ქორბენაძე*, დასახ. ნაშრ., გვ. 139-141; *თ. უტურგაიძე*, დასახ. ნაშრ., გვ. 192-193 და სხვა.

⁵ *რჩება შთაბეჭდილება, რომ გარდაქცევითობას გამოხატავს დონიანი ვნებითის ის ფორმები.*

დების დაწყებითობას, ინხოატივს² (დულდება „დულილს იწყებს“; ასეთივეა: წუხდება, ღელდება...; ძვ. ქართ. აღბორგნა, აღჟღავნეს და სხვა)³.

თუ ვნებითის პრეფიქსულ წარმოებასთან ერთად კოლხურისათვის ისტორიულად ასევე დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო სუფიქსური წარმოებაც, მაშინ მათ შორის ფუნქციათა განაწილების თვალსაზრისით დაახლოებით ისეთივე ვითარებაა სავარაუდო, როგორც ძველ ქართულშია. ასეთ შემთხვევაში ასახსნელია, პრეფიქსულმა წარმოებამ ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე რატომ შეითვისა ის გრამატიკული მნიშვნელობები (ფუნქციები), რომელსაც ვნებითის სუფიქსური ტიპი გამოხატავდა, რის გამოც, უნდა ვიფიქროთ, ეს უკანასკნელი მოდელი კოლხურში, შეიძლება ითქვას, გაქრა.

რომელთა ფუძედ გამოყენებულია ატრიბუტივები, ამ ფუნქციით ნახმარი სხვა სახელები.

¹ აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში სპორადულად დასტურდება შემთხვევები, როცა პრეფიქსით ნაწარმოები ვნებითები გამოხატავენ გარდაქცევითობას; მაგ. განდმრთო, განდშიშულა, დამძწიფა, მოფოჭრა, შეფერთა, განდმტკიცა და სხვა. ეს იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ არქაული ეპოქის ქართულში ვნებითის სუფიქსური წარმოების გავრცელებამდე პრეფიქსული ვნებითები ითავსებდა იმ ფუნქციასაც, რაც ძველი ქართულის დონეზე საუკეთესოა სუფიქსური ვნებითებისათვის — გარდაქცევითობის სემანტიკის გამოხატვა. ეს იმას ნიშნავს: ისტორიულად ქართულში ამ თვალსაზრისითაც ისეთივე ვითარება უნდა გვქონოდა, როგორც დამახასიათებელია თანამედროვე სევანურისა და მეგრულ-ლაზურისათვის (შდრ. სვან. მეჩი „მოხუცი“ — იმჩი „იბერება, მოხუცი ხდება“, მეშხე „შავი“ — იმშხი „იშავება, შავდება“, წკრნი „წითელი“ — იწრანი „იწითლება, წითლდება“, ჰარანე „არაყი“ — იარანე „იარაყება, არაყი ხდება“...; მეგრ. კითა „წითელი“ — იკითარებუნ „იწითლება, წითლდება“, უჩა „შავი“ — იუჩარებუნ „იშავება“, კიკე „პატარა“ — იკიკარებუნ „იპატარავება“, კუთა „ყვითელი“ — იკუთარებუნ „იყვითლება“... ლაზ. ბადი „მოხუცი“ — იბადენ „იბერდება, იმობუცება“, ხჩე „თეთრი“ — იხჩანენ „ითეთრება“, მჩხუ „მსხვილი“ — იმჩხუნენ „იმსხვილება“...

² ბ. ჯორბენაძე, ინხოატივი ქართულში, იკვ, XXVIII, 1989, გვ. 172-187; მისივე, მოქმედების დაწყებითობის ფუნქციის გამოხატვა ძველ ქართულში, ა. შანიძე — 100, საიუბილეო კრებული, 1987, გვ. 106-118.

³ გ. მაკავარიანის აზრით, -დ-ღ-დ, -ჩ-ენ ფორმანტები ისტორიულად უკვარო დინამიკურ ზმნათა მწარმოებელი ნიშნებია, „მადინამიკურებელი“ ელემენტებია (გ. მაკავარიანი, უნიშნო ვნებითები ქართულურ ენებში... გვ. 129; მისივე, ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართულურ ენებში..., გვ. 108-121; იხ. აგრეთვე მ. სუხიშვილი, სუფიქსიან ვნებითთა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკვ, XXII, 1980, გვ. 126-133.

სიმპტომატურია ისიც, რომ კოლხურში აქტიურ ზმნათა აწმყოს ფუძის მაწარმოებელ ფორმანტთა შორის -აფ || -ამ (> მეგრ. -ან) სუფიქსის როლი შედარებით უმნიშვნელოა⁴, როცა მის შესატყვისად მიჩნეული -ებ თემატური ნიშანი⁵ ყველაზე გავრცელებული მორფე-
მაა ქართულში⁶.

არც ის არის შემთხვევითი, რომ კოლხურ (მეგრულ-ლაზურ) ორ-
დინალურ ვნებითის ფორმებში, როგორც წესი, არ არის წარმოდგე-
ნილი -აფ (>*აბ) თემატური სუფიქსი, როცა ქართულში (როგორც
ახალში, ისე არსებითად ძველშიც) -ებ თემის ნიშანი (როგორც -ნ/
-დ სუფიქსიან, ისე -/ე- პრეფიქსიანი ფორმებში) ჩვეულებრივია
(შდრ. ქართ. ი-/ე-თეს-ებ-ი-ს, გან-ლალ-ნ-ებ-ი-ს, გან-წთლ-დ-ებ-ი-ს...,
კოლხ. ი-ა-თას-უ/ე-^ნ, ჰითონ-დ-უ-^ნ...). -ებ ფორმანტის არსებობა
კი, როგორც ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, ორგანულად არის და-
კავშირებული ვნებითის სუფიქსურ წარმოებასთან.

ამ არგუმენტებზე დამყარებით ვვარაუდობთ, რომ თანამედროვე
მეგრულ-ლაზურში დადასტურებული დონიანი ვნებითის ფორმები
(რაკი მათი ქართულ ნასესხობებად მიჩნევა ჰირს), უნდა წარმოად-
გენდეს გადმონაშთს არა ადრე ფართოდ გავრცელებული მოვლენისა,
არამედ ჩანასახს ვნებითის სუფიქსური წარმოებისა, რომელმაც კოლ-

⁴ მხედველობაში გვაქვს ე. წ. პირველადი კაუზატივები, -ააფ||-ამ წარმოების
ტიპი: ღობვამს „მარბავს“; გოწკაშს „ახნის“; ოწირაშს „აჩვენებს“; ნოკირაფს „კრის“...
ოცქვანს „აქებს“; ორგუანს „რგავს“...

⁵ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, თანამედროვე მეგრულ-ლაზურში
დადასტურებული -ამ, -აფ სუფიქსები (რომელთაგანც ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა -ამ
ფორმანტს -აფ-ის ვარიანტად მიიჩნევს). როგ შემთხვევაში წარმოადგენს კანონზომიერ
ფონეტიკურ შესატყვისის ქართული -ეფ სუფიქსისა და არა -ებ-ისა; ქართ. -ეფ; კოლხ.
-აფ > -ამ (-ეფ სუფიქსის განსხვავებული რეფლექსები კოლხურში განსხვავებული
პოზიციით შეიძლება იახსნას. აღნიშნულ საკითხს კვლავ შევხებით ქვემოთ); შდრ. ა.
ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ჰანურის გრამატიკული ანალიზი..., გვ. 132-133; ნ. ნ ა თ ა ძ ე ,
თემის ნიშნები ქართველურ ენებში, იკვ, XI, 1959, გვ. 135; ტ. გ უ დ ა ვ ა , თ.
გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 214-215; შ. ი ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი , თემის
ნიშნათა ფუნქციისათვის ქართველურ ენებში, „მაცნე“, № 1, 1986, გვ. 134.

⁶ სრულიად კანონზომიერია, რომ კოლხურში აწმყო დროის ძირითად
მაწარმოებლად გვევლინება და ყველაზე მეტად გავრცელებულია ქართული -აფ
თემატური ნიშნის შესატყვისი -აშ (> -აშ) ფორმანტი (ამის შესახებ დაწვრილებით
— ქვემოთ). -აშ (> -უნ მეგრ.) სუფიქსიანი აქტივის კონვერსიული პასივი — -ე-/
პრეფიქსიანი ვნებითები ასევე გაბატონებულია კოლხურში.

ხურში, ქართულისაგან განსხვავებით, განვითარება ვერ ჰპოვა¹.

როგორადაც არ უნდა ავხსნათ დონიანი ვნებითების არსებობა კოლხურში — მივიჩნევთ მათ გადმონაშთად ვნებითის სუფიქსური წარმოების ჩანასახისა, თუ ჩამოყალიბებული, დასრულებული წარმოებისა, ვფიქრობთ, გასაზიარებელია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც კოლხური ვნებითის წარმოების სუფიქსური ტიპით ავლენს საერთოს ქართულთან.

რაც შეეხება პოტენციალის (შესაძლებლობის) კატეგორიას, როგორც ცნობილია, მისი გამომხატველი ფორმები მეგრულ-ლაზურში იწარმოება ერთგვარად — *o-* და *a-* პრეფიქსებით (*o*'თი — ერთპირიანი ზმნები, *a*'თი — ორპირიანები), რომელთაც პირველი სერიის მწკრივებში დაერთვის *-e* სუფიქსი²: *o-ჰკომ-ე-ნ* „შიძლება იჰამოს“, *o-თას-ე-ნ* „შიძლება დაითესოს“, *o-მე-ე-ნ* „შიძლება შეისვას“..., *a-ჰკომ-ე-ნ* „შეუძლია ჰამოს“, *a-თას-ე-ნ* „შეუძლია თესოს“, *a-მე-ე-ნ* „შეუძლია შესვას“³ და სხვა⁴.

¹ ასეთივე აზრი გამოთქმული აქვს გ. მაკავარიანს (მისი, ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში, „მაცნე“, I, 1973).

² მეგრულ-ლაზურში *e* ელემენტი ფუძის ბოლოკიდურად აქვს ზოგ სტატიკურ ზმნასაც: *ხე-ნ* „ზის“, *ორე-ნ* „არის“, მიოხე „აინია“, *ორწყე* „ხედავს“, *უჟინე* „უუჟრებს“ და სხვა (იხ. დასახ. შრომები).

³ ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 110-113; მისივე, პოტენციალის კატეგორია ქართველურ ენებში, ენიმქის მოამბე, I, 1937, გვ. 32-37 და სხვა.

⁴ როგორც ცნობილია, *o-ე* და *a-ე* აფიქსებით ნაწარმოები ფორმები ლაზურში, მეგრულისაგან განსხვავებით, გამოხატავენ ჩვეულებრივი ვნებითის სემანტიკასაც; შდრ. *o-ჰარ-ე-ნ* „იწერება“, *o-ჰე-ე-ნ* „იწვის“, *a-ჰარ-ე-ნ* „ეწერება“, *a-ჰე-ე-ნ* „ეწვის“... მეგრულში ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად *o-ე* და *a-ე* წარმოებაა ჩამოყალიბებული: *o-ჰარ-ე-ნ*, *a-ჰარ-ე-ნ*...

ა. ჩიქობავას ვარაუდით თანამედროვე მეგრულში არსებული ვითარება მეორეულია, მეგრულის ინოვაციაა. განვითარების უფრო ადრეულ ეტაპზე მეგრულშიაც ისეთივე ვითარება უნდა გვექონოდა, როგორც ამჟამად ლაზურშია — *o-ე* და *a-ე* წარმოებაში შეთავსებული უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი ვნებითიცა და პოტენციალისიც. ამ წარმოების ძირითადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო პოტენციალისი. ჩვეულებრივი ვნებითი კი (*o-ე* და *a-ე*) დიდფრენციაციის გზით შემდეგ უნდა მიგვეღო. საზოგადოდ, პოტენციალისი კატეგორია ქართველურ ენებში მკვლევრის აზრით უძველესი ფორმაციის წარმონაქმნია, რომელიც წინ უსწრებდა გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებას (ა. ჩიქობავა, ჰანურის

ქართულისა და სვანურისაგან განსხვავებით⁵ პოტენციალისის გამოხატველ ზმნებს კოლხურში უღვლილების სრული პარადიგმა მოეპოვება — ეწარმოება დრო-კილოთა მეორე სერიის მწკრივებიც. პოტენციალისის ფორმებისათვის დამახასიათებელი -ე სუფიქსიც, მსგავსად ვნებითებისათვის ნიშნდობლივი -უ და -ე ფორმანტებისა, ზმნებს აორისტსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში არ გადააქვება. აქაც პოტენციალისის ნიშნად რჩება მხოლოდ მაწარმოებელი პრეფიქსები **ე-** და **ა-**:⁶

აწმ. **ე-ჰკირ-ე-ნ** „შეიძლება დაიქრას“, **ე-ლინ-ე-ნ** „წალება შეიძლება“, **ა-ჰკირ-ე-ნ** „შეიძლება დაქრას“, **ა-ლინ-ე-ნ** „წალება შეუძლია“...

აორ. **დ-ე-ჰკირ-უ** „დაქრა შესაძლებელი გახდა“, **ე-ლინ-უ** „წალება შესაძლებელი გახდა“, **დ-ა-ჰკირ-უ** „დაქრა შეძლო“, **ა-ლინ-უ** „წალება შეძლო“⁷ და სხვა⁸.

იმის გამო, რომ გარდაუვალ ზმნათა აწმყოს ფორმებისათვის დამახასიათებელი -უ და -ე ელემენტები კოლხურში მოქმედებითი გვარის ზმნათა თემატური სუფიქსების მსგავსად ზმნებს არ გადააქვება

გრამატიკული ანალიზი, გვ. 110-113; მისივე, პოტენციალისის კატეგორია ქართულურ ენებში, გვ. 32-37; იხ. აგრეთვე, ქ. ლ. მ. თ. ი. ძე, პოტენციალისის (შესაძლებლობის) და უნებურობის კატეგორია აფხაზურ-აბაზურ ზმნებში, სმამ, ტ. 163. 1955, გვ. 252 და სხვა).

⁵ როგორც ცნობილია, **ე** და **ე** პრეფიქსებით ნაწარმოები გარდაუვალ ზმნათა ფორმები პოტენციალისის სემანტიკას გამოხატავს ქართულსა და სვანურშიც: **ეჰმევა** „შეიძლება იკამოს“, **ესმევა** „შეიძლება შეისვას“, (**არ**) **ეთქის** „(არ) შეიძლება ითქვას“, **ეჰმევა** „შეუძლია კამოს“, **ესმევა** „შეიძლება შეისვას“... სვან. **ალა მჰი** „ეს იკმევა“, **ალა მთქუნი** „ეს ისმევა“... მაგრამ აღნიშნულ ენებში პოტენციალისის კატეგორია ისე მკვეთრად გამოხატული არ არის, როგორც კოლხურში (**ა. ჩიქობავა**, დასახ. შრომები).

⁶ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 071; **ა. ჩიქობავა**, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 111 და სხვა.

⁷ დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმებში აწმყოსათვის დამახასიათებელი ბოლოკიდური **ე** ასევე არა გვაქვს ზოგ სხვა ტიპის ზმნასთანაც: აწმ. მირულე „მირბის“, უჭინე „უეურებს“... — აორ. ქიმირულ-უ, ქუჭინ-უ... (**რ. შეროზია**, დასახ. ნაშრ., გვ. 38).

⁸ სპეციალისტთა აზრით დროის შინაარსი პოტენციალისის სემანტიკის ზმნებს გვიან უნდა დაკავშირებოდა. თავიდან მათ განვრცობითი ასპექტი უნდა აღენიშნათ. ვფიქრობთ, დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები შესაძლებლობის გამოხატველ ზმნებთან ვნებითის გავლენით ჩამოყალიბდა.

მეორე სერიის მწკრივებში (შდრ. აწმ. ვ-ი-ფულ-უ-ქ „ვიმალები“, ა-ლინ-ფ-რ' „წადება შეუძლია“... — აორ. დიფუელ-ი, აღინ-უ...)¹ და მათ ზმნის ფუძეში თემის ნიშნის პოზიცია უკავიათ — ყოველთვის სავრცობის წინ დგანან (სქიდ-უ-დ-უ „რჩებოდა“, ორწყ-ე-დ-უ „ხედავდა“, ი-თას-უ-დ-უ „ითესებოდა“, ი-კკომ-ე-დ-უ „კამა შეიძლებოდა“, ა-შვ-ე-დ-უ „ესმეოდა“... შდრ. თას-უნ-დ-უ „თესავდა“, ო-რგუ-ან-დ-უ „რგავდა“...), ისინი (აუსლაუტური -უ და -ე ელემენტები) ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, ჩვენი აზრით, სრულიად მართებულად სინქრონიულ დონეზე კვალიფიცირებულია თემატურ აფიქსებად².

განსხვავებულია -ე და -უ სუფიქსების დიაქრონიული ინტერპრეტაცია.

ა. ჩიქობავას ვარაუდით მეგრულ-ლაზური პოტენციალისის ფორმებში დადასტურებული ბოლოკიდური -ე (იშვენ', ათასენ'...) ხოლმეობითის (პერმანსივის) ისტორიული ნიშანია, ქართული -ი (თლას, მკეს, უწყის, იწვის, ისუმის...) და სვანური -ი (აშხი „წვავს“, აწხი „ხნავს“, იშხი „იწვის“, იწხი „იხვნის“, იმჩი „ბერდება“, ხეტხნი „უბრუნდება“...) სუფიქსების კოლხური ეკვივალენტი³, მათი შესატყვისი⁴.

მკვლევარის აზრით კოლხური პოტენციალისის ფორმა ნაწარმოებია დრო-კილოთა მეორე ჯგუფის ნაკვთთა ფუძისაგან (ნამყო-ძირითადის ფუძისაგან) და ბუნებრივია, მაწარმოებელი ელემენტიც (სუფიქ-

¹ ეს ფაქტი და ისიც, რომ -უ კოლხურში დაერთვის ყველა ტიპის ვნებითს (ე. წ. უნიშნო, ი-, ა-, ე-, ო- პრეფიქსიანებს, დონიან), ასევე — სტატიკურ ზმნებს, გამოიციხავს ვნებითობის ფორმანტად მის კვალიფიკაციას (გ. როგავა, ნამყო-უსრულის -ოდ სუფიქსის შედგენილობისათვის ქართულში, იკე, VI, 1954, გვ. 82; ქ. დანელია, დასახ. ნაშრ., გვ. 167-169 და სხვა; შდრ. ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 110-116; მისივე, პოტენციალისის კატეგორია ქართულურ ენებში, გვ. 32-37.

² თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 226-230, 274, 277; ქ. დანელია, დასახ. ნაშრ., გვ. 165-175; რ. შეროზია, დასახ. ნაშრ., გვ. 31-38.

³ ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 115; მისივე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, გვ. 101-107.

⁴ ა. ჩიქობავას აზრით, სვანურის ზოგი ზმნის აწმყოს ფორმებში დადასტურებული -ე სუფიქსი (შდრ. სვ. აკრ-ე „აღებს“, ანკ-ე „აფაყებს“, ბზ. ატყბ-ე „ხორცულს წვავს“, ლუპკრ-ე „ვაკრობს“ და მისთ.) შესაძლოა წარმოადგენდეს ხოლმეობითის -ს სუფიქსის კოლხურ ვარიანტს (ა. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა..., გვ. 102-104).

სი ე) ჰქონდეს. მისი სიტყვით: „საკმარისია პოტენციალისის ფორმას ჩამოვაცილოთ **ე**- პრეფიქსი და **ე**- სუფიქსი და მივიღებთ ნაკვთთა მეორე ჯგუფის ფუძეს (ნამყო ძირითადის ფუძეს): ი-შგ-ენ; -შგ-; შდრ. ქართ. -სგ-...

პოტენციალისის შესაბამის წარმოებაში ქართული ზმნა აწმყოს ფუძის სუფიქსებს შეიცავს: ი-შგ-ე-ნ, შდრ. ი-სმ-ებ-ა..., ი-ჰკომ-ე-ნ შდრ. ი-ჰმ-ებ-ა..., ი-ჰკირ-ე-ნ, შდრ. ი-ჰრ-ებ-ა...⁵

შენიშვნა: ა. ჩიქობავას აზრით, არც მეგრულის პრეფიქსიანი ვნებითის ფორმები: ი-ჰ-უ-უ-ნ „იწვის“, **ე**-ჰკომ-უ-ნ „იკმევა“ და მისთ. არის დამყარებული სათანადო მექმედებითის აწმყოს ფუძეზე (იგულისხმება თემატური სუფიქსის მქონე მოქმედებითი გვარის ზმნათა აწმყოს ფუძე: ჰ-ვ-უნ-ს „წვავს“, ჰკომ-უნ-ს „კამს“ — ლ. ნ.), მისი თქმით, კოლხურში „ვნებითი გვარის ზმნებს გვარის მაწარმოებელი სხვა სუფიქსი აწმყოში არ დაერთვის“. ავტორის აზრით, ვნებითის ფორმათა წარმოება კოლხურში ამ ნიშნითაც განსხვავდება ახალი ქართულისაგან, სადაც, როგორც ცნობილია, „ვნებითის რეალური ფორმები აწმყოში სათანადო მოქმედებითის ფუძისაგან იწარმოება და ბუნებრივია, თუ შეიცავს აწმყოს მოქმედებითის სუფიქსებს, ხშირად ებ სუფიქსით გართულებულს: სგ-ამ-ს — ი-ს-მ-ებ-ა (ი-ს-გ-მ-ებ-ა)...“⁶

აღნიშნული თვალსაზრისის ძირითადი დებულებები გაზიარებულია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. განსხვავებული მოსაზრებები არსებობს -ჟ სუფიქსის გენეზისთან დაკავშირებით.

ი. ყიფშიძე **ე**-რდ-უ-უ-ნ „იზრდება“, **ე**-ჰარ-უ-უ-ნ⁷ „იწერება“ ტიპის ზმნათა პირველ ჟს ფუძეში განვითარებულად თვლის და ოს-გან მომდინარედ მიიჩნევს: ი-რდ-ო-უ-ნ⁸ > ი-რდ-უ-უ-ნ⁹. ი რ დ ო - უ¹⁰ რ¹¹ ფორმას იგი ადასტურებს მეგრულის კილოკავებში⁸.

ა. ჩიქობავას აზრით „დურ-ჟ-ნ ტიპის ზმნებში -ჟ ვნებითობის მაწარმოებელია, რომელიც ქართულში -ა ტიპის არსებობას ვარაუდობს. მისი თქმით „ასეთი ვნებითი ქართულში ნაშთების სახით თუა შემონახული,, ისიც ფუნქციის ცვლით: გვულისხმობ დგ-ა-ს ზმნას და ზოგ სხვას, რომელსაც ა მრავლობითში უჩნდება: წვ-ა-ნ-ან, გვ-ა-ნ-

⁵ ა. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა..., გვ. 101; მისივე, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 131.

⁶ ა. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა..., გვ. 100-101.

⁷ როგორც ზემოთ აღინიშნა, ი. ყიფშიძე და ზოგი მკვლევარი მეგრულის **ე**-რდ-პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებს ორმაგი სუფიქსაციით (**ჟ**-**ჟ**) წარმოადგენს.

⁸ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 071.

ან...¹.

სხვა თვალსაზრისისაა გ. როგავა. იგი მეგრულის -ჟ სუფიქსს უგვარო დინამიკურ ზმნათა (ტიბ-ჟ-¹ნ, ხომ-ჟ-¹ნ...) კუთვნილებად მიიჩნევს და ქართულის ოდ სავრცობის ო ელემენტის (რომელიც, მისი აზრით, აწმყოს ფორმაში უნდა გვექონოდა: *თბ-ო-ს, *თბ-ო-დ-ა...) ტოლფარდად თვლის. მკვლევრის ვარაუდით, ამ უძველესი ტიპის ზმნებიდან უნდა იყოს -ჟ სუფიქსი გადასული უფრო გვიან ჩამოყალიბებულ ძინიანი და ანიანი ვნებითის ფორმებში, რომელთაც უნდა ჰქონოდათ ქართული ძ ს ტოლფარდი -ჟ სუფიქსი.

ამგვარად, გ. როგავას აზრით ი - / ა - ჰ ა რ - ჟ - ¹ ნ ტიპის ზმნათა ფრმები მიღებულია შემდეგი გარდაქმნების გზით: *ი-ა-ჰარ-ე-უ-ნ > ი-ა-ჰარ-ე-უ-ნ > ი-ა-ჰარ-ჟ-ნ ი. ყიფშიძის მიერ დადასტურებულ ი რ დ ო უ ¹ ნ ¹ („იზრდება“) ფორმას იგი გარდამავალ საფეხურად თვლის².

თ. გამყრელიძე და გ. მაჰავარიანი კოლხურ უგვარო დინამიკურ ზმნათა აწმყოს ფორმებში წარმოდგენილ -ჟ სუფიქსს (სქიდ-ჟ-ნ „რჩება“...) *აჟ თემის ნიშანს უკავშირებენ. ვარაუდობენ, რომ ამ ტიპის ზმნებისათვის ისტორიულად *აჟ თემატური სუფიქსი საზოგადოდ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი³.

*-აჟ თემატური ნიშნისაგან თვლის მიღებულად კოლხურ -ჟ'ს კ. დ ა ნ ე ლ ი ა ც. მისი აზრითაც უგვარო დინამიკურ ზმნათა აწმყოს ფორმებში დადასტურებული -ჟ (ღურ-ჟ-ნ „კვდება“...) ქართული -აჟ თემის ნიშნის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია, რომელიც მიღებულია შემდეგი ცვლილებების გზით: ავოგავაჟავაჟ⁴; ასე

¹ ა. ჩ ი ქ ბ ა ვ ა , კანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 115.

² გ. რ ო გ ა ვ ა , დასახ. ნაშრ., გვ. 82-84.

³ აღნიშნული ვარაუდი ემყარება -ოზ სუფიქსის ანალიზს. როგორც ცნობილია, უგვარო დინამიკურ ზმნათაგან მოქმედებითი გვარის ფორმები იწარმოება ა- — -ოზ აფიქსებით: თბება — ათბობს, ხმება — ახმობს... -ოზ კი საეკიალურ ლიტერატურაში მიღებულად ითვლება ფუძისეული გ ელემენტისა და -გბ სუფიქსის ე ხმოვნის შერწყმით: გ-ებ > -ოზ (D. De c e t e r s, Das hkartwelische verbum, § 218, გვ. 126; ე. ო ს ი ძ ე, ერთი ტიპის ზმნათა აწმყოს ფუძის ავებულებისათვის ქართულში. ქესს, III, 1963, გვ. 16). თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ი ს ა და გ. შ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი ს აზრით *ჟ *ჟ-ებ კომპლექსში *-აჟ თემატური სუფიქსის ნულ-საფეხურიანი ვარიანტია (დასახ. ნაშრ., გვ. 274).

⁴ მკვლევრის აზრით, ოა-ჟ პროცესისათვის გ'საც უნდა შეეწყო ხელი, თემცა, მისი თქმით, უამისოდაც დასტურდება ასეთი გადასვლა: დო-ჰარ-ე < *დო-ჰარ-ო „დაწერა“... (ე. დ ა ნ ე ლ ი ა , დასახ. ნაშრ., გვ. 169-171).

რომ: ღურ-უ-ნ < ღურ-უვ-ნ < ღურ-ოვ-ნ⁵. ამ გზით ჩამოყალიბებული -უ პასიურ ზმნათა თემის მაწარმოებლად იქცა და ყველა ტიპის ვნე-ბითს ახასიათებს⁶.

სპეციალურ ლიტერატურაში, ძირითადად, შენიშნულია ის წინა-აღმდეგობები, რომლებიც ზემოგანხილულ თვალსაზრისებს ახლავს; კერძოდ, აღნიშნულია, რომ თუ ი-თას-ჟ-ნ ტიპის ფორმებს ჩა-ვთვლით მიღებულად *ი-თას-ე-უ > *ი-თას-ო-უ > ი-თას-უ-უ > ი-თას-ჟ გარდაქმნების შედეგად, ასახსნელია, როგორ მოხდა ერთ ხმოვან სუ-ფიქსზე -ეზე მეორე — უ ხმოვანი სუფიქსის დართვა.

შენიშნულია ისიც, რომ თუ მეგრულის ჭვარულ კილოკავში და-დასტურებული ირღჟ („იზრდება“) ტიპის ფორმებში ო ხმოვანს უს აღრინდელ სახედ მივიჩნევთ, გასარკვევია, რაღაა ოს მომდევნო უ, რა წარმოშობისაა იგი.

თავის მხრივ უნდა დავძინოთ: არც ისაა დამაჯერებელი, განხი-ლულ შემთხვევაში ო>უ პროცესი ვს გავლენით აიხსნას. ამგვარი ინ-ტერპრეტაციის (ღურ-ოვ-ნ > ღურ-უვ-ნ > ღურ-უ-ნ...) წინააღმდეგ მი-უთითებს მეგრულში ი-ბ-რდ-ო-უ-ქ ფორმის არსებობა⁸. დამოუკიდებ-ლად (კომბინატორული ცვლილებების გარეშე) კი, როგორც ცნობი-ლია, ო იძლევა უს სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში (პაუზის წინ): ქართ. წებო: მეგრ.ლაზ. ჰაბუ < *ჰაბო, ქართ. დაწერა: მეგრ.-ლაზ. დოჰარუ < *დოჰარო...⁹

⁵ კ. დ ა ნ ე ლ ი ა ს ვარაუდით, „ღურ-უ-ნ“ ტიპის წარმოება ამოსავლად უნდა გულისხმობდეს არა კულ-ებ ტიპის თემას, არამედ კულ-ავ ტიპს; შდრ. მო-კულ-ავ-ი (იქვე).

⁶ კ. დანელიას უ-ჟ დაბოლოების (ი-ჰარ-უ-უ-ნ...) პირველი უ იმავე ოდენობის ელემენტად მიიჩნია. რაც ის უ, რომელიც პასიურ ზმნათა თემას აწარმოებს. თვლის, რომ ამ უს აღრინდელი სახე -ო (ოვ) დასტურდება მეგრულში, ი-ბ-რდ-ო-უ-ქ (> ი-ბ-რდ-უ-უ-ქ) „იზრდები“. ამგვარად, მისი აზრით: ი-ბ-რდ-ო-უ-ქ > ი-ბ-რდ-ო-უ-ქ > ი-ბ-რდ-უ-უ-ქ; მკვლევარი არაფერს ამბობს მომდევნო უს შესახებ (კ. დ ა ნ ე ლ ი ა , დასახ. ნაშრ., გვ. 169-171).

⁷ რ. შე რ ო ზ ი ა , დასახ. ნაშრ., გვ. 32-40 (შდრ. გ. რ ო გ ა ვ ა , დასახ. ნაშრ., გვ. 82-84; კ. დ ა ნ ე ლ ი ა , დასახ. ნაშრ., გვ. 169-171).

⁸ როგორც აღინიშნა ი-რდ-ო-უ მიიჩნევა ი-რდ-უ-უ ფორმის გარდამავალ საფეხურად (*ი-რდ-ოვ-უ > ი-რდ-ო-უ > ი-რდ-უ-უ). ასეთ შემთხვევაში ცხადია, ვს მონაწილეობა ო-უ პროცესში გამოირიცხვლია (შდრ. თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე , გ. მ ა ჰ ა ვ ა რ ი ა ნ ი , დასახ. ნაშრ.; კ. დ ა ნ ე ლ ი ა , დასახ. ნაშრ., გვ. 169-171).

⁹ თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე , გ. მ ა ჰ ა ვ ა რ ი ა ნ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 158; კ. დ ა ნ ე ლ ი ა , დასახ. ნაშრ., გვ. 158.

ჩვენი აზრით, კოლხურის პოტენციალისისა და ვნებითის ფორმებში დადასტურებული -ფ და -ჟ სუფიქსები (ი-შე-ფ-ნ „ისმევა“, ა-ჰკირ-ჟ-ნ „ეჭრება“...) სხვაგვარ დიაქრონიულ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. ქართულის ვითარების გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება კოლხურში პოტენციალისისა და ვნებითის ფორმათა წარმოებასთან დაკავშირებული რიგი საკითხის გარკვევა, მათ შორის -ფ და -ჟ სუფიქსების გენეზისის დადგენაც.

სპეციალისტთა შორის დავას არ იწვევს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ხოლმეობითის გრამატიკული კატეგორია ისტორიულად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო სამსავე ქართველური ენისათვის: სვანურის, ქართულისა და კოლხურისათვის. სვანურსა და ქართულში ხოლმეობითის ისტორიულ ნიშნად მიჩნეულია -ო სუფიქსი. -ო უნდა გვქონოდა კოლხურშიც.

პოტენციალისის ფორმებში წარმოდგენილი -ფ სუფიქსი (იქკომ-ფ-ნ, ათას-ფ-ნ...), რომელიც ჩვენი აზრით არასწორად საკუთრივ კოლხურის ისტორიული ხოლმეობითის ნიშნად მიიჩნევა, არ არის წარმოქმნილი ფონემათა არტიკულაციური გადაწვევის შედეგად ქართველურ ენათა შიშინა წრეში. ხმოვანთშესატყვისობის ფორმულა — ქართ. **ო**: კოლხ. **ფ**, რომელიც წამოაყენა ნ. მარმა¹ და გაზიარებული იქნა მკვლევართა ნაწილის მიერ², უმართებულო ჩანს.

გ. კლიმოვის დაკვირვებით, ხმოვანთშეფარდება ქართ. **ო**, კოლხ. **ფ** დასტურდება მხოლოდ აფიქსებში (რომ დავაზუსტოთ — სუფიქსურ მორფემებში). ხმოვანთა ამგვარი თანაფარდობის ნიმუშები სხვა შემთხვევაში, რაც ყველაზე არსებითია — ლექსიკურ მასალაში —

¹ ნ. მარმა აღნიშნული ხმოვანთშესატყვისობა ივარაუდა ქართულ-ლაზური სახელობითი ბრუნვის აფიქსების მიხედვით: ქართ. სიზმარ-**ო**: ლაზ. იზმოჯ-**ფ**; ქ. ასულ-**ო**: ლ. ოსურ-**ფ**; ქ. ქათამ-**ო**: ლ. ქოთემ-**ფ**; ქ. ცრემლ-**ო**: ლ. ჩელამურ-**ფ**; ქ. ნელ-**ო**: ლ. ლარდ-**ფ** (Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Пб., 1910, стр. 9-10, 161).

² ა. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 49-54, 188; მისივე, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 6-9, 441; ვ. თოფჩია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იკვ. VI, 1954, გვ. 450; ს. ჟღენტო, კანურ-მეგრულის ფონეტიკა, 1953, გვ. 44; გ. მაქავარიანი, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 69, 1958, გვ. 265 და სხვა.

ფიქსირებული არ არის; შდრ. ქართ. **ობანს**: კოლხ. **ობონ¹უმ²**; ქართ. **ოწერების**: კოლხ. **ოჰარენ³**; ქართ. **ცხვირი**: კოლხ. **ჩხვინდი**; ქართ. **წითელი**: კოლხ. **ჭითა**; ქართ. **პირი**: კოლხ. **პიჯი**; ქართ. **შვიდი**: კოლხ. **შქვითი...**³ ამიტომ ბოლოდროინდელ საენათმეცნიერო გამოკვლევებში, სრულიად მართებულად, ხმოვანთშესატყვისობის ფორმულა — ქართ. **ო**: კოლხ. **ე** გაზიარებული არ არის⁴.

ამგვარად, კოლხური პოტენციალისის ფორმებში დადასტურებული -**ე** ფორმანტის (იჰკომენ⁵ „იჰმევა“, აშუენ⁶ „ესმევა“...) ახსნის ერთადერთი შესაძლებლობა რჩება — ვივარაუდოთ იგი მიღებულად პოზიციურად⁵, კომბინატორული ფონემათცვლილებების შედეგად⁶.

³ შდრ. ქართულ-კოლხური ხმოვანთშესატყვისობის სხვა შემთხვევები — ქართ. **ა**: კოლხ. **ო** (აგებს: **ოგანს**, ასი: **ოში**, ქათამი: **ქათამი**, ცხრა: **ჩხორთ...**); ქართ. **ე**: კოლხ. **ა** (ეწვის: **აჰვენ⁷**, თესავს: **თასუნს**, სიძე: **სიჯა...**).

⁴ Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962. стр. 36-38; მ ი ს ი ე ვ, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, стр. 25; თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 64-72; ა. ო ნ ი ა ნ ი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, 1989, გვ. 92 და სხვა.

⁵ როგორც ცნობილია, ქართველურ ენებში კომბინატორული ფონემათცვლილებები განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული აუსლაუტსა და ანლაუტში მორფემათა საზღვარზე.

⁶ თ. გამყრელიძე და გ. მაჰავარიანი კოლხურ -**ე** და ქართულ-სვანურ -**ო** თემატური სუფიქსისათვის საერთო-ქართველურში ამოსავლად უშვებენ [უე] დიფთონგურ კომპლექსს, რომელშიც [უე] და [უე] ფონემათა კონტრაქციის შედეგად ქართულ-სვანურში აუსლაუტურ პოზიციაში **ო**- მოგვცა (ქართ. ***უ**-**ჰ**-**ე** > **ვ**-**ჰ**-**ი**... სვან. ***ხ**-**ა**-**ს**-**ე** > **ხ**-**ა**-**ს**-**ი** „ვაკეთებ“...), ხოლო -**ა** კომპლექსი (საერთო-ქართველურ ***-ე** სუფიქსს კოლხურში კანონზომიერად უნდა მოეცა -**ა**) ისტორიულად დამოწმებულ მეგრულ-ლაზურში ასიმილაციით წარმოდგენილი იქნა -**ე** სუფიქსის სახით; შდრ. ლაზ. ი-ჰ-ენ. ქართ. ი-წ-ის-...

ამგვარი რეკონსტრუქციის ფაქტობრივ დადასტურებას მკვლევრები პოულობენ სვანურის ბალსზემოურ დაილექტში, სადაც რიგი ზმნებისა -**ო** სუფიქსს ნამყოფწვეტელში -**ე**მ ფორმით წარმოგვიდგენენ ა-ჰ-**ო** „აცხობს“ — ა-ჰ-**ე**-და „აცხობდა“... (თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 227-230).

ხსენებულ (სვანურ) ფორმათა სხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, 1967, გვ. 76-78. ამასთან, თ. გამყრელიძისა და გ. მაჰავარიანის ზემოთგანხილული თვალსაზრისი რიგ საკითხს აღძრავს, სახელდობრ:

შეიძლება თუ არა უმარცვლო (არასრული წარმოების ხმოვანმა) **ა**-მა გამოიწვიოს **ა** და **ე** ხმოვნების ასიმილაცია? საეარაულო **ა** > **ე**; **ე** > **ო** პროცესისათვის ჩვენი აზრით ანალოგად არ გამოდგება მეგრული მესი < მაისი, სენი < საინი... ქ. დიალ.

კერძოდ, ჩვენი აზრით -ე აღნიშნულ ფორმებში ჩამოყალიბებული უნდა იყოს ქართული არქაული -ეგ სუფიქსის კოლხურ შესატყვისი *აჲ თემის ნიშანზე ისტორიული ხოლმეობითის -ო სუფიქსის დართვით წარმოქმნილი ფონეტიკური ცვლილებების გზით: -ავ-ი > -ა-ი > -ე¹; *ი-ჰკომ-ავ-ი-ნ > *ი-ჰკომ-ა-ი-ნ > *ი-ჰკომ-ე-ნ-; შდრ. ქართ. ი-ჰ(ა)მ-ეგ-ი-ს² („იჰმევა, შეიძლება იჰამოს“); *ა-ჰკომ-ავ-ი-ნ > *ა-ჰკომ-ა-ი-ნ > ა-ჰკომ-ე-ნ³; შდრ. ქართ. ე-ჰ(ა)მ-ეგ-ი-ს („ეჰმევა, შეუძლია ჰამოს“)...⁴

ლეიდა-ი > ლეიდე, ლეიდა-ის > ლეიდეს და მისთ. ნიმუშები. ამ პროცესში მარცვლოვანი ოს მონაწილეობაა ნაგვლისხმევი (იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა , გრამატიკული მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში... გვ. 447-451; აგრეთვე — თ. გამყრელიძე, გ. მაკავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 165-167. აქ, ხაზგასასმელია ისიც, რომ ააჲ, ეაჲ პროცესი, როგორც ცნობილია, არ არის საერთო-ქართველური მოვლენა. იგი არ არის დამახასიათებელი მთელი რიგი დიალექტისათვის).

აღნიშნული ავტორები თვლიან რომ მათ მიერ რეკონსტრუირებული ს. ქართ. *ეჲ (> ქართ.-სვან. -ო, კოლხ. -ე) სუფიქსის სტრუქტურა შეესაბამება ქართველური სუფიქსური მორფემის ტიპურ ფონოლოგიურ მოდელს გახმოვანების სრულ საფეხურზე, რომელიც -vც ფორმულით განისაზღვრება, სადაც თანხმოვნითი ელემენტის ადგილს ხშირად უმრცვლო სონანტი იკავებს -vs (შდრ. *ალ/*-ელ, *-არ/*-ერ, *-ამ/*-ემ. *ან/*-ენ... თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე , გ. მ ა ჰ ა ვ ა რ ი ა ნ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 230).

თ. გამყრელიძისა და გ. მაკავარიანის მიერ რეკონსტრუირებული *ეჲ სუფიქსი მაინც განმხოლოებულად დგას ზემოთ ჩამოთვლილ სუფიქსური მორფემათა რიგში. დანარჩენებისაგან განსხვავებით მას არ მოეპოვება *-აჲ ვარიანტი.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ cv-/(sv-) სტრუქტურის პრეფიქსული მორფემის თავიკიდურ ელემენტად, ჩვეულებრივ, იგივე თანხმოვნებია წარმოდგენილი, რაც cv-/(sv-) სტრუქტურის სუფიქსებში გვაქვს (მა-მე-, ნა-ნე-, ლა-ლე-, რა-რე...), აქ გამონაკლისი გვაქვს ამ მხრივაც.

აღნიშნული მონაცემები ვ. თოფურჩიას ძირითად არგუმენტთან ერთად (იხ. დასახ. ნაშრ.), ვფიქრობთ, გარკვეულ დაბრკოლებას ქმნის საერთო-ქართველურში *-ეჲ სუფიქსის რეკონსტრუქციისათვის.

¹ შდრ. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, გვ. 101-107; გ. რ ო გ ა ვ ა , დასახ. ნაშრ., თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე , გ. მ ა ჰ ა ვ ა რ ი ა ნ ი , დასახ. ნაშრ. და სხვა.

² აღსანიშნავია, რომ ეგ სეგმენტი (სავარაუდოა, ისტორიულად თემატური სუფიქსი) ისევე, როგორც ე ხმოვნის შემცველი სხვა თემის ნიშნები, არ „რედუცირდება“; მაგ განიბნევის, მოეცემის, განელეხის...; შდრ. მოიკლვის (მოკლავს), დაიდგის (დასდგამს)... (შდრ. გ. მ ა ჰ ა ვ ა რ ი ა ნ ი , კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, იკე, XXVII, 1988, გვ. 81-82).

³ სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ აჲგ > აჲ > ე დამახასიათებელია კოლხურისათვის. იგი დასტურდება ქართულიდან შესულ სიტყვებში: შდრ. მეგრ. ხვე < *ხვაი < ხვაი, ჰვე < *ჰვა < *ჰვაი < ჰვაი, ნათესე < ნათესავი, კილე < მკლავი,

როგორ უნდა ავხსნათ ე ელემენტი კოლხურ სტატიკურ ზმნათა აუსლაუტში, მეგრულ-ლაზურ.: ხე'ნ „ზის“, ორენ „არის“, მიოხე „აჩნია“, უკინე „უყურებს“ და მისთ. ფორმებში?

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის ზმნებშიც ე მიღებულია ზემოაღწერილი გარდაქმნების გზით: *ავი > *-აი > -ე (აწმყოს თემატიური სუფიქსი დამახასიათებელია სტატიკური ზმნებისთვისაც)⁵. არც ისაა გამორიცხული, რომ პოტენციალისის ფორმებში ჩამოყალიბებული ე შემდგომ ანალოგიით იყოს გავრცელებული სტატიკურ ზმნებში (პოტენციალისსა და სტატიკურ ზმნებს ისტორიულად აკავშირებს განგრძობითობის, დიურატიულობის გამოხატვის სემანტიკა)⁶.

კარე < კარავი, ამბე < ამბავი... (გ. თ ო ფ უ რ ი ა, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში..., გვ. 450; თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე. გ. მ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 165-167; ტ. გ უ ლ ა ვ ა, თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 241); ლაზ. ცხენიტყე < ცხენისტყავი და სხვა.

აღნიშნულ პროცესს ვარაუდობენ საკუთრივ კოლხურ ფორმებშიც, კერძოდ, ტ. გულდავა და თ. გამყრელიძე ავი კომპლექსის ამგვარი ტრანსფორმაციით (*ავი > -აი > ე) თვლიან მიღებულად მეგრულ ე- სუფიქსიან აორისტის ფორმებს: ვ ლ ო რ ე („ვიყვირე“) < *ვლორაი < *ვლორავე; ვოკარაფე („ვაწერიწე“) < *ვოკარაფაი, < *ვოკორაფაი, < *ვოკარავე; შღრ. ამ თვალსაზრისით ქართული დიალექტური -ეჟ-ა აორისტიანი ფორმები და ვ - წ ე რ - ე ვ - ი ტიპისა (ტ. გ უ ლ ა ვ ა, თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 241).

ბოლოკიდური ე ელემენტი ზოგი სვანური ზმნის ფორმებში: აკრე „აღებს“, ატყბე „ხორცეულს წვაეს“... დიაქრონიულად -ეჟ სუფიქსის ნაშთი უნდა იყოს (გ. მ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 103); შღრ. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა..., გვ. 102-104).

სვანურის დიალექტებში: ლნტ. ი შ ხ ა მ ე || ი შ ხ ა მ ა ვ ი, ლშხ. ი შ ხ მ ე || ი შ ხ ა მ ა ვ ი „იშხამავს“ ტიპის ფორმების დადასტურება (იხ. კ. გაგუა, აჟ (-ავ) ელემენტის საკითხისათვის სვანურ ზმნაში, იკვ. XXXIII, 1995, გვ. 170-174) საკითხს სვამს: სვანური ზმნის აწმყოს ფორმებში ფიქსირებული ბოლოკიდური -ე ზოგ შემთხვევაში ხომ არ არის ისტორიულად მიღებული აჟა > აჟ > -ე გარდაქმნების შედეგად?

⁵ ამის შესახებ დაწერილებით — ქვემოთ.

⁶ მეგრული ზმნის დრო-კილოთა მეოთხე ჩგუფის მწკრივებში: ნიკვირუენ „მიკვრია“, ნოთასუენ „მიოთესია“, ნოკარუენ „მიწვრია“ და მისთ. ფორმებში ე ელემენტი სხვა წარმოშობისაა. გ. რ ო გ ა ვ ა ს აზრით იგი ნაშთია ო რ ე ნ („არის“) მეშველი ზმნისა, რომელიც დაერთვის ნო- პრეფიქსითა და ა- სუფიქსით ნაწარმოებ მიმღეობის ფორმას: ნო-კვირ-უ-ენ < *ნო-კვირ-უ-ორენ < *ნაკერ არის“ (თურმ. III), ნო-კვირ-უ-ე-დ-უ < *ნო-კვირ-უ-(ო)რე-დ-უ (თურმ. IV) და სხვა (გ. რ ო გ ა ვ ა, დრო-

შენიშვნა: ლაზურის ზოგ სახელთა მხ. რიცხვის ფორმებში გამოვლენილი აუსლაუტური **ე** (კუჩხე „ფეხი“, ოსურე „ასული“, ქოთუმე „კათამი“, იზმოჭე „სიზმარი“, ჩელამურე „ცრემლი“...), ასევე მრ. რიცხვის **-ფე** ფორმანტის ბოლოკიდური **ე** ელემენტი სპეციალისტების აზრით მეორეული წარმოშობისაა, მიღებული კომბინატორული ცვლილებების შედეგად. კერძოდ, გ. კლიმოვის ერთ-ერთი დამკვებით ლაზურ სახელთა ბოლოკიდურში დადასტურებული **ე** ელემენტი (კუჩხე, ოსურე და მისთ.) ახალ, საკუთრივ ლაზურ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელმაც, საფიქრებელია, განდევნა ძველის-ძველი **ე**. ეს **ე** შეიძლება გამოყოფილიყო მრ. რიცხვის **-ფე** / **-ფე** მორფემიდან. მაგრამ თვით აღნიშნული აფიქსის ბოლოკიდური **ე**ს წარმოშობა მკვლევრისათვის ნათელი არ არის¹.

ჩვენ ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ლაზური მრ. რიცხვის მორფემის **-ფე** ვარიანტის ბოლოკიდური **ე** ფუძეთანხმობიან სახელებში მიღებულია **ე**სგან **-ფე** სუფიქსის **ე** ხმოვანთან ასიმილაციით: ***ე-ფე-ე** > **ე-ფე-ე**; ***კოჩ-ეფ-ე** > **კოჩ-ეფ-ე**?..., ხოლო ხმოვნის მომდევნო პოზიციაში წარმოდგენილი ალომორფი **ვ-ფე** (კატუ-ფე, ორძო-ფე, ბურცხა-ფე...), როგორც ზ. კუმბურჩიძე ვარაუდობს, შესაძლოა მიღებული იყოს **ვ-ე-ფე**სგან **ე**ს დაკარგვის შედეგად ხმოვნის მომდევნო პოზიციაში მას შემდეგ, რაც **ე**ს ასიმილატორული გავლენით **ე** > **ე** პროცესი განხორციელდა; ე. ი. აღნიშნული თვალსაზრისის მიხედვით, ლაზურში **ვ-ფე-ე** > **ვ-ფე-ე** > **ვ-ფე**: ***კატუ-ეფ-ე** > **კატუ-ეფ-ე** > **კატუ-ფე**... (შდრ. მეგრ. კატუ-ეფ-ი...). თუმცა მთლად გამორიცხული არც ის შესაძლებლობაა, რომ **-ფე** ალომორფი მიღებული იყოს **-ფე**სგან თანხმობის მომდევნო პოზიციაში ჩამოყალიბებული **-ფე** ვარიანტის ანალოგიით (ფორმათა პარადიგმული გათანაბრების პროცესში); ე. ი. ლაზ. ***კატუ-ფე** > **კატუ-ფე**... **კოჩ-ეფე** ტიპის ფორმათა გავლენით.

ლაზურ სახელთა მხ. რიცხვის ფორმებში დადასტურებული **ე** კი (კუჩხე, ქოთუმე...) შესაძლოა, მართლაც, მიღებული იყოს მრავლობითობის **-ფეჩაფე** სუფიქსის გავლენით²; არც ისაა გამორიცხული, რომ იგი წარმოქმნილი იყოს რაიმე სხვა სახის კომბინატორული ცვლილების შედეგად⁴.

რაც შეეხება მეგრულ-ლაზურის ვნებითის ფორმებში წარმოდგენილ **-უ** სუფიქსს, იგი ჩვენი აზრით ჩამოყალიბებული უნდა იყოს ქართულის **-აჯაგ** თემის ნიშნის ზანურ შესატყვის ***-აჯაგ** მორფემის

კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვებები ქართველურ ენებში, იკვ, V, 1953, გვ. 23 და შემდ.

¹ გ. კლიმოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

² С. Г. Климов, Активный палсж в грузинском и других картвельских языках (рукопись), ვიოწმებთ გ. კლიმოვის დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 38.

³ გ. კლიმოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 38; ა. თნიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

⁴ შდრ. ა. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 49-50, 54; ე. თოფურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 450 და სხვა.

ნულ-საფეხურიან -გ(*ჟ) ვარიანტზე ასევე პერმანსივის -ო ფორმანტის დართვის შედეგად წარმოქმნილი გო კომპლექსის შერწყმით; *ჟ-ო>ჟ⁵: *ი-თას-ჟი-ინ > ი-თას-უ^რნ⁶; შდრ. ქართ. ი-თეს-ვი-ის; *ა-ხოწ-ჟი-ინ > ა-ხოწ-უ^რნ⁶; შდრ. ქართ. ე-ჟნ-ვი-ის...

შენიშვნა: ვნებითის (აგრეთვე პოტენციალისის) ფორმებში **ე** სუფიქსი თემის ნიშნის მომდევნოდ აუცილებელი ელემენტია ქართულსა და სვანურში. ქართულში (ჩვეულებრივ სვანურშიც) პასიური ზმნები არ გვხვდება -**ო** ფორმანტის გარეშე (შდრ. ძვ. ქართ. დაიმარხვის, განისხმის, ეკრძაღვის, ერკუძის, გარდაეცმის..., სვან. იჟმე „ითიბება“, იმჩი „ბერდება“, ხეშხი „ეწვივს“ და

⁵ ივარაუდება, რომ უფრო ადრეულ საფეხურზე პოზიციაში **ც-ვ** წარმოდგენილი იყო უმარცვლო **ჟ** (თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. შ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 58). **ჟი** აუ ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი პროცესია (შდრ. ა. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 115; თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. შ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 274; ქ. დ ა ნ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 169-171 და სხვა).

⁶ ამ გზით - **გ(ჟ)** თემატური ნიშნისა და **ე** ფორმანტის შერწყმით უნდა იყოს წარმოქმნილი -**უ** სუფიქსი კოლხური სტატიკური ზმნებისა (დღუნ „დაგას“, ქანუნ „წვეს“, თასუნ „სთესია“, ოგზუნ „აგზია“...) და „უნიშნო ვნებითს“ (სქიდუნ „ჩრება“, ღურუნ „კვდება“...) აწმყოს წრის ფორმებშიც.

როგორც ცნობილია, პირველად სტატიკურ ზმნებსა და უგვარო დინამიკურ ზმნათა ფუძეებში -**აგ(ლ-აჟ)** თემატურ სუფიქსს ვარაუდობენ ქართულშიც (*კრთ-აუ (შდრ. კრთის), *ძრწ-აუ (შდრ. ძრწის), თრთ-აუ (შდრ. თრთის), *კულ-აუ (შდრ. მოკულ-ავი) და სხვა (ი. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. შ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 274-275).

ჩვენი აზრით, ხსენებული ტიპის ზმნებს -**აგ** თემის ნიშნის გარდა დრო-კილოთა პირველ ჯგუფში, კოლხურის მსგავსად, უნდა დართოდეთ პერმანსივის -**ო** სუფიქსიც. უნდა გვქონოდეს: *კრთ-ვი-ის, *ძრწ-ვი-ის, *თრთ-ვი-ის, *კულ-ვი-ის და მისთ. (შდრ. ისვრის **ე3**ისრ-ვი-ის **ე3**რ¹ისარ-ავი-ის... ვ თ ო ფ უ რ ი ა, სახელთა ხმოვანთავსართიანი წარმოება, უნივ. შრ., ტ. 29, გვ. 185; ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 63-64 და შემდეგ). აღსანიშნავია, რომ უძველესი ქართულისათვის ალაღვენენ ამ ტიპის რიგ **ე**-სუფიქსიან ზმნურ ფორმებს: *ცხვის, *ლხვის, *თრვის (ე. ო ს ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 16).

ამგვარად, ხოლმეობითის ისტორიული ფორმანტი **ე**, შემდგომ ფუნქციურად ცვლილი - აწმყოს თემატური სუფიქსი - შემოგვინახა მეგრულ-ლაზური გარდაუვალი ზმნის სისტემამ, ოღონდ ფონეტიკურად სახეცვლილი - **ე** და -**უ** მორფემის სახით. გარდამავალი ზმნის უღვლილების პარადიგმიდან იგი სრულიად განიღვენა კოლხურში მოქმედი უნიფიკაციის მძლავრი ტენდენციის გამო და -**უ**მ (> მეგრ. -უნ) სუფიქსით შეიცვალა (თემის ნიშანთა უნიფიკაციის შესახებ კოლხურში იხ. ა. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, კანურის გრამატიკული ანალიზი..., გვ. 122, 134; თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. შ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 254).

სხვა)¹. მეგრამ ძველ ქართულში ვნებითი გვარის ფრმები, როგორც ცნობილია, ხშირად გვხვდება -ებ სუფიქსით გართულებული. ზოგი მათგანი არც იხმარება -ებში დაბოლოების გარეშე; შდრ. ირწყევბის, იტანჯების, გამოსახების, ისუმების, ითქუმების და სხვა.²

პრეფიქსიანი ვნებითისა (ირწყევბის...) და უგვარო დინამიკურ ზმნათა (კუდების, თბების...) ფორმებში -ებ მორფემის დართვა მეორეულია, გვიანდელი მოვლენაა, სუფიქსური ვნებითის გავრცელების ეპოქისა. კოლხური ორდინალური ვნებითის (ასევე - პოტენცილისის) ფორმებში -ების შესატყვისი სუფიქსი, ჩვეულებრივ, არ გვხვდება. მეგრულ-ლაზურში დაცულია ის ვითარება, რაც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ქართული-სათვის³.

აღნიშნულ ფონეტიკურ გარემოცვაში (C-ში) ჩამოყალიბებული -ჟ კოლხურში იქცევა პასიურ ზმნათა ზოგად თემატურ სუფიქსად და ანალოგიით (ფორმათა პარადიგმატული გათანაბრების პროცესში) ვრცელდება სუფიქსიანი ვნებითებში⁴ (კითონ-დ-ჟ-ნ „წითლდება“, გომოქკონ-დ-ჟ-ნ „დაშავიწყდება...“) და იმ ზმნურ ფორმებშიც, რომელთაც უკვე ახასიათებთ სხვა სუფიქსი: იბად-ებ-ჟ-ნ „იბადება“, ირტუ-აფ-ჟ-ნ „ლბება (ლტყება)“, იკუ-აფ-ჟ-ნ „იწყევლება“, იგორ-აფ-ჟ-ნ „იგინება“⁵ და სხვა⁶.

¹ თუ სვანური პასივის ფორმებში -ი სუფიქსი არ ჩანს, იგი მოკვეცილად ივარაუდება (ვ. თ. ო. ფ. რ. ი. ა. სვანური ენა, I, ზმნა... გვ. 1790180).

² დაწერილებით იხ. ლ. ბ. ა. რ. ი. ძ. ე., დასახ. ნაშრ., გვ. 79-95.

³ მეგრულ-ლაზურ სხვადასხვა სემანტიკის ვნებითის ფორმებში -აფ (ქართ. -ებ) სუფიქსის დადასტურება (შდრ. მეგრ. აბირუაფუ ნ „ემღერება“, იხვამაფუ ნ „ილოცება“, იშერებუ ნ „შტერდება“... ლაზ. გოთურაფუთ „დაეთრევით“, ანტლაფუ (ანტალუ) „გაერევი“, მუშევაჭებუნ „ისვენებს...“) მათ მეორებულობასა და შედარებით სიახლესე მიუთითებს.

⁴ სუფიქსური ვნებითის კონვერსიული აქტივისათვის არ არის დამახასიათებელი -აჟტ (კოლხ. -ოჯტჟ) თემის ნიშანი.

⁵ ნიშნებს ვიპოვებთ კ. დ. ა. ნ. ე. ი. ა. ს. დასახელებული ნაშრომიდან.

⁶ თ. გაყარელიძისა და გ. მაკუარიაანის აზრით მეგრული ო-სქირ-უ-ან-ს (ლაზ. ო-სქირ-ამ-ს) „ამბობს“, ო-ხომ-უ-ან-ს (ლაზ. ო-ხომ-ამ-ს) „ახმობს“ და სხვა ამ ტიპის კაუზატიური წარმოების აქტივებში თემისნიშნისეული -ჟ ელემენტი შესაბამის უგვარო დინამიკურ ზმნათა ფუძეებიდან მომდინარეობს; შდრ. სქირ-ჟ-ნ „შრება“, ხომ-ჟ-ნ „ხმება“... (ლაზ. -ჟ დაკარგული აქვს კაუზატივებში: ო-სქირ-ამ-ს > *ო-სქირ-ვ-ამ-ს < *ო-სქირ-ჟ-ამ-ს...). ამგვარ ფორმებში ჩამოყალიბებული -ჟ-ან სუფიქსი ინტერპრეტირებული იქნა კაუზატივის მაწარმოებელ მორფემად საზოგადოდ და

პრეფიქსული ვნებითის ფორმათა ზემოთ წარმოდგენილი ინტერპრეტაციის შემდეგ (ი-ზონ-უ-ნ < *ი-ზონ-უ-ი-ნ; შდრ. ქართ. ი-ვ(ა)ნ-გ-ი-ს...), ბუნებრივია, მათი შესაბამისი აქტივის ფორმებში დადასტურებული -უმ (<ომ) > -უნ (მეგრ.) სუფიქსი, რომელიც კოლხურში აწმყოს ფუძის ძირითადი და ყველაზე გავრცელებული მაწარმოებელია⁷, მივიჩნიოთ კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისად -აგ⁸ თემატური ნიშნისა⁹ და არა მხოლოდ -აშისა¹⁰. მაშასადამე, ქართ. თეს-აგ-ს, კოლხ. *თას-ოგ-ს > თას-ომ-ს > თას-უმ-ს (> მეგრ. თას-უნ-ს)...¹¹

გავრცელდა სხვა ტიპის ზმნებშიც: ი-ბირ-ს „მღერის“ — ო-ბირ-უან-ს „ამღერებს“, კარ-უნ-ს „წერს“ — ო-კარ-აფ-უან-ს „აწერინებს“; შდრ. ლაზ. ო-კარ-აფ-ამ-ს... (თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 61, 277 და შემდგ.).

გ. გულდავას ვარაუდით უ-ან/ უ-აფ (<*ა-ფ) შეეფარდება ქართულ ე-ეზბ დაბოლოებას (იხ. მ ი ს ი, -უან დაბოლოების შესახებ მეგრულ კავშირებში, საენათმეცნიერო კრებული, I, 1984, გვ. 72-75; შდრ. გ. რ ო გ ა ვ ა, აორისტის და კავშირებითი II-ის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ეგ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, №8, 1945).

⁷ ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 059-069; ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კანურის გრამატიკული ანალიზი..., გვ. 133.

⁸ კოლხურ -ომ თემატურ ნიშანს -აგ სუფიქსის კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისად მიიჩნევს ნ. ნათაძე (იხ. მ ი ს ი, თემის ნიშნები ქართულ ენებში, იკე, XI, 1959, გვ. 132; შდრ. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 132-134; თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 254; ტ. გ უ ლ ა ვ ა, თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 214-215; მ. ი ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 134).

⁹ ჩვენ გასაზიარებლად მიგვაჩნია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც -ამ თემის ნიშანი ქართულში ისტორიულად -აგ სუფიქსის ფონეტიკურ ვარიანტად მიიჩნევა (ნ. ნ ა თ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 141-142). მაგრამ ასახსნელია, რატომ დამკვიდრდა -ამ (<აე) მხოლოდ რამდენიმე ზმნურ ფუძეში: აბაშს, ღვაშს, სუაშს, აღიქუაშს, განახაშს, 'გარდა'თქუაშს და სხვა (მათი ხმარების სიხშირის გამო?).

¹⁰ როგორც ცნობილია, -ამ სუფიქსი სალიტერატურო ქართულში გავრცელებულობის მიხედვით უმნიშვნელო როლს თამაშობს — სულ თექვსმეტამდე ზმნაშია დადასტურებული. -აგ კი, კოლხური -უმ ჭუნის მსგავსდა, ფართოდ გავრცელებული ფორმანტია დრო-კილოთა პირველი ქვეფის მწკრივებში და დამახასიათებელია სწორედ პრეფიქსიანი ვნებითის კონფერსიული აქტივებისათვის.

¹¹ როგორც ცნობილია, ვამ მოგაცვლება თემატურ სუფიქსებში (თესაგს > თესაშს...) ფართოდ არის გავრცელებული ქართული ენის მთელ რიგ დიალექტებში, მის როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ წრეში. ქართული ენის რიგი დიალექტისათვის ასევე დამახასიათებელია შან პროცესიც: თესაშს > თესანს... (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ლ. ნ ო ზ ა ძ ე, თანხმობანთა ზოგი ცვლილებისათვის

ამგვარი თვალსაზრისი გასაგებს ხდის, რატომ არის ასე ფართოდ გავრცელებული -უმ (> -უნ მეგრ.) თემატური სუფიქსი კოლხურში¹, როცა -ამ სალიტერატურო ქართულში ძალზე შეზღუდულადაა წარმოდგენილი (სულ რამდენიმე ზმნურ ფუძეშია ფიქსირებული) და ხსნის იმასაც, თემის ნიშნების მიხედვით კოლხურში რატომ განსხვავდება ასე მკვეთრად აქტივისა და სათანადო პასივის ფორმები.

როგორც აღინიშნა, კოლხური *-ომ (ლაზ. -ომ/-უმ, მეგრ. -უნ) ძირითადად ქართ. -ავ თემატური ნიშნის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია, მისი ფუნქციონალური ტოლფარდი. -ავ/-ვ სუფიქსის განსხვავებული რეფლექსები კოლხურ მოქმედებითისა და ვნებითის ფორმებში — მოქმ. -ომ, ვნებ. -უ — განპირობებულია განსხვავებული პოზიციებით. კერძოდ, ქართული -ავ სუფიქსის ვ'ს შესატყვისად კოლხურში -მ (/მეგრ. -ნ) გვაქვს ხმოვნის მომდევნო პოზიციაში: ლაზ. გუბუშს „ხარშავს“, ფხორხუმ „ვნერხავ“, ტახუმთ „ტეხავთ“..., მეგრ. ბარუნს „ბარავს“, თასუნქ „სთესავ“, ხონუნთ „ხნავთ“...; თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში ხმოვნის წინ წარმოდგენილი -ვ(-ჲ)² (-ავ თემატური ნიშნის უხმოვნო, ნულ-საფეხურიანი ვარიანტი) მომდევნო -ო ფორმანტთან (ხოლმეობითის ისტორიულ ნიშანთან) შერწყმით იძლევა -ჟს: *ი-თას-ჟ-ინ > ი-თას-ჟ-ინ „ითესვის“, *ი-ხორ-ჟ-ინ > ი-ხორ-ჟ-ინ „იხერხვის“ და მისთ.

ამგვარად, ირკვევა, რომ კოლხურშიც ვნებითისა და პოტენციალისის პირველი სერიის ფორმები, წინააღმდეგ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისისა, ემყარება არა ნამყო-ძირითადის, არამედ აწმყოს ფუძეს; ნაწარმოების შესაბამი-

ქართულში, იკვ. XX 1978, გვ. 125-133.

¹ აღსანიშნავია, რომ თემატური სუფიქსებით აწმყოს ფუძის გაფორმების პროცესი კოლხურში ქართულთან შედარებით გაცილებით შორსაა წასული. თანამედროვე მეგრულ-ლაზურში თემის ნიშანი დასტურდება ისეთ ზმნებთანაც, რომელთა შესაბამისი ფორმები სალიტერატურო ქართულში ათემატურია; შლრ. ლაზ. კარ-უმ-ს, მეგრ. კარ-უნ-ს, ქართ. წერ-ს; ლაზ. ბონ-უმ-ს, მეგრ. ბონუნ-ს, ქართ. ბან-ს; ლაზ. სტინ-უმ-ს, მეგრ. რშინ-უნ-ს, ქართ. სტვენ-ს; მეგრ. კკომ-უნ-ს, ქართ. კამ-ს და სხვა.

² ვმ და უ ფონემათა დისტრიბუციისა და ურთიერთმიმართებათა შესახებ ქართველურ ენებში იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, ლასახ. ნაშრ., გვ. 25-64

სად ***-ოგჩგ** და ***-აგ** თემატური სუფიქსებით, რომელთაც დაერთვის ხოლმეობითის ისტორიული ნიშანი ***-ო**.³

რაც შეეხება სახელწმინდების — მასდარისა და მიმღეობის ფორმათა წარმოებას, ცნობილია, რომ მეგრულში **-უნ** (<-უმ) თემისნიშნისა ზმნას **უ-** — **-ა** ტიპის მასდარი შესატყვისება: თას-უ-ნ-ს — თას-უ-ა („თესვა“), ტახ-უნ-ს — ტახ-უ-ა („ტეხვა“), ჭარ-უნ-ს — ჭარ-უ-ა („წერა“) და სხვა⁴. მასდარის ფორმებში წარმოდგენილ უს მიიჩნევენ ***აჟტჟ** თემის ნიშნის ვარიანტად #**(c)ც** — **v#** პოზიციაში. აქედან თვლიან მას გადასულად სხვა პოზიციაში (ბარუ-ა, ტახ-უ-ა და მისთ.)⁵.

ვარაუდობენ, რომ ზემოთ განხილული მასდარის ტიპის ფორმებიდან **უ-ა** წარმოება ანალოგიით არის გავრცელებული იმ მასდარებშიც, რომელთა შესაბამისი ზმნური ფუძეები აწმყოში არ იწარმოება **-უნ** თემატური სუფიქსით: ტყაბარ-უ-ა — ტყაბარ-ან-ს „ატყავენ“, ლასირ-უ-ა — ლასირ-ან-ს („ლესავს“), დარაჯ-უ-ა — დარაჯ-ენ-ს („დარაჯობს“) და სხვა.⁶

მიმღეობის ფორმებში დადასტურებული ბოლოკიდური **-უ** (მეგრ. **შუკუღუ** „მკედელი“, **მაგურაფუ** „მოსწავლე“, **მაძირაფუ** „მნახველი“,

³ შდრ. ა. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი... გვ. 115; მისივე, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში..., გვ. 101-107 და სხვა მკვლევართა ნაშრომები.

⁴ ნ. ნათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 140, 142; ლ. ნაღარეიშვილი, მასდარის ფუძის საკითხისათვის ზანურში, „მაცნე“, 1964, №9, გვ. 262-263 და სხვა.

⁵ თ. გამყრელიძე, გ. შაკავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 56-62; შდრ. ტ. გუდავას მოსაზრება, რომლის მიხედვითაც უა ტიპის მასდარში **უ-ოგ** (< -აე) ისაგან მომდინარეობს და ამდენად თემის ნიშნის ნაშთს წარმოადგენს. იგი წარმოქმნილია გს წინამავალ ოთან შერწყმის გზით ხმოვნის წინა პოზიციაში: ტახ-ავს — ტახ-უნ-ს, *ტახავა > ტახუა (ტ. გუდავას თვალსაზრისის ვიმოწმებთ ნ. ნათაძის დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 142).

აღნიშნული თვალსაზრისისათვის დაბრკოლებას ქმნის ის, რომ მასდარის მაწარმოებელი **-ა** ფორმანტის (ისევე, როგორც სხვა ხმოვნის აფიქსების) წინა პოზიციაში **-აგ** (კოლხ. ***-ოგ**) თემატური სუფიქსი, განსხვავებით **ფ** (კოლხ. ა) ხმოვნის შემცველი თემის ნიშნებისაგან (ქართ. **-ეგ**, **-ემ**, **-ებ**; კოლხ. **-ამ**, **-აფ**), არ შეიძლება წარმოდგენილი იყოს სრული გახმოვანებით (შდრ. ქართ. თეს-ავს — თეს-ფა...; მაგრამ — კურთხევა, მიცემა, ცხონება..., კოლხ. შეჩამა, ჩხონაფა, რძლაფა...); ამდენად, *ტახ-ავა, *ტახ-ოვა ფორმათა რეკონსტრუირება კოლხურში არარეალურია.

⁶ ლ. ნაღარეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 262-263.

უგურაფუ „უსწავლელი“, უძირაფუ „უნახავი“..., ლაზ. მუშუმუ „მსმენელი“, მკჷკომუ „მკჷმელი“, უგუბუ „მოუხარშავი“, უქარუ „დაუწერელი“...),¹ ასევე ის -ჟ, რომელიც ლაზურ ო- — -ჟ ტიპის მასდარებში გვაქვს (შდრ. ო-ჷკომ-უ „კამა“, ო-შუმ-უ „სმა“, ო-ჷარ-უ „წერა“...),² სხვა წარმოშობისაა. მას სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში წარმოდგენილ ქართული ელ მიმდევრობის რეფლექსად მიიჩნევენ: ალ#>აჟ#>ოჟ-უ; ქართ. ბედელი-ი: მეგრ.-ლაზ. ბალუ (<*ბალოუ < *ბალაჟ < *ბადალ...) და სხვა. ამ გზით თვლიან მიღებულად მიმლეობის -ჟ სუფიქსაც: ჷკად-უ (მეგრ. მ-ჷკად-უ) „მკედელი“, მ-შუმ-უ (ლაზ.) „მსუმელი“ ტიპის ფორმებს.³

სპეციალურ ლიტერატურაში ბოლო დროს გამოთქმული მოსაზრების მიხედვით ქართულ სახელურ ფუძეთა ელ დერივანტის შესატყვისად მიჩნეული -ჟ კოლხურში შედეგი უნდა იყოს არა ლ → ჟ გადასვლისა, რაც სვანურისათვის არის დამახასიათებელი, არამედ ფუძის ლაბიალური ელემენტის სუფიქსის ხმოვანზე ზემოქმედებისა და აუსლაუტის ლ- (რ-)-ს დაკარგვისა; შდრ. ჯ. ემ-ელ-: მეგრ. ზომულა, ცხოგ-ელ: ჩხოუ || ჩხუ...⁴

აღნიშნულ თვალსაზრისს, ჩვენი აზრით, გარკვეული წინააღმდეგობები ახლავს; უპირველეს ყოვლისა ის, რომ, კოლხურში, როგორც ცნობილია, ლაბიალური ფონემების გავლენით ჟ“ში, როგორც წესი, გადადის ო ხმოვანი და არა ა ხმოვანი. ჯ. თაგვ; ლაზ. „მ“თუგ-ი; ჯ. სამ-ი: კოლხ. სუმ-ი..., შდრ. ჯ. მწერ-ი: ლაზ. მჷჯაჷ-ი, ჯ. ლეკვ-ი: მეგრ. ლაკვ-ი... (მხედველობაში არა გვაქვს ხმოვანთა კონტრაქციის შედე-

¹ ქართულ-კოლხური შეპირისპირებითი მასალა აქაც და სხვა შემთხვევაშიც მოგვეჯს სათანადო ლიტერატურიდან.

² სპეციალურ ლიტერატურაში ნაჩვენებია, რომ ლაზური მასდარი ო- — -ჟ ტიპისათვის მორფოლოგიური სტრუქტურით ქართულ მყოფადის მიმლეობას (სა- — ელ წარმოებას) შეესაბამება, რაც იმის მანიშნებლად მიჩნეოთ, რომ ქართველურ დიალექტთა ევოლუციის ადრინდელ პერიოდში მასდარი და მიმლეობა ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიწნული არ უნდა ყოფილიყო (ა. ჩ ი კ ო ბ ა ვ ა, მასდარისა და მიმლეობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში: იც, V, 1953, გვ. 33-48).

³ თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ნ ი, დასაბ. ნაშრ., გვ. 88-94.

⁴ ა. ა რ ა ბ უ ლ ი, სახელისა და ზმნის დერივაციის ურთიერთმიმართების საკითხები ქართველურ ენებში, ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომისა, თბილისი, 1997, გვ. 23-25.

გად უ-ს მიღების შემთხვევები).

ფიქრობთ, განხილულ ვარაუდს დაბრკოლებას უნდა უქმნიდეს აგრეთვე ქ. ჰყინტლ: მეგრ. ჰყინტუ, ქ. ოფლ: მეგრ. უფუ ტიპის შეფარდებანი.

ზ ე მ ო თ ქ მ უ ლ ი რ ო მ შ ე ვ ა ჯ ა მ ო თ: მეგრულში (შეღარებით იშვიათად — ლაზურში) ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს ფორმებში ფუძის ბოლოკიდურად, როგორც ცნობილია, წარმოდგენილია უ ელემენტი; შდრ. მეგრ. ხომუ'ნ „ხმება“. ოკირუ'ნ „იკრება“, აპარუ'ნ „ეწერება“, ეწუხებუ'ნ „უწუხდება“, ოვერდუ'ნ „ევედრება“, თანდუ'ნ „თენდება“..., ლაზ. ლურუნ „კვდება“, ომტაფუნ „გარბის“, ანტალაფუნ „გა'ერევა“, გომოქკონდუნ „მავიწყდება“...

უ მეგრულ-ლაზურში დაერთვის სტატიკურ ზმნებსაც; შდრ. მეგრ. დგუ'ნ „დგას“, ლაზ. ოგზუ'ნ „აგზია“...

პოტენციალისის გამომხატველ ფორმებში აღნიშნულ პოზიციაში ე გვაქვს: ოკომენ'ნ „შეიძლება იქამოს“, ათასენ'ნ „შეუძლია თესოს“... (ლაზურში ე ჩვეულებრივია ვნებითის ფორმებშიც: ოპარენ „იწერება“, აჰვენ „ეწვის“...).

ვნებითისა და პოტენციალისის დრო-კილოთა პირველი სერიის ფორმებში წარმოდგენილი უ და ე ელემენტები სპეციალურ ლიტერატურაში სინქრონიულ დონეზე, სრულიად მართებულად, კვალიფიცირებულია თემატურ სუფიქსებად (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, კ. დანელია, რ. შეროზია). სადავო ჩანს მათი დიაქრონიული ინტერპრეტაცია.

პოტენციალისის ფორმებში დადასტურებული -ე სუფიქსი, რომელიც, ჩვენი აზრით, არასწორად საკუთრივ კოლხურის ზოლმეობითის ნიშნად მიიჩნევა, არ უნდა იყოს მიღებული ხმოვანთა გადაწევის შედეგად. ხმოვანთშესატყვისობის ფორმულა — ქართ. თ: კოლხ. ე, რომელიც წამოაყენა ნ. მარმა და გაზიარებული იქნა მკვლევართა ნაწილის მიერ (ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ს. ულენტი...), უმართებულოა (გ. კლიმოვი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი...).

ფიქრობთ, არც ის თვალსაზრისია მართებული, რომლის მიხედვითაც ვნებითის ფორმებისათვის დამახასიათებელი აუსლაუტური -უ მიღებულია დამოუკიდებლად, მხოლოდ ქართული -აჰ სუფიქსის კოლხური შესატყვისის *-ოჰ თემისნიშნის ფონეტიკური ცვლილების გზით (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, კ. დანელია...).

ვვარაუდობთ, რომ ე სუფიქსი პოტენციალისის ფორმებში მიღე-

ბულია პოზიციურად, კომბინატორული ცვლილებების შედეგად; სახელდობრ, ქართული არქაული -**ევ** სუფიქსის კოლხურ შესატყვისი ***-ავ** თემის ნიშანზე პერმანსივის ***-ო** სუფიქსის დართვით წარმოქმნილი ფონეტიკური ცვლილებების გზით: ***-ავ-ო** > ***-ა-ო** > **-ე**; ***ი-ჰკომ-ავ-ი-ნ** > ***ი-ჰკომ-ა-ი-ნ** > ***ი-ჰკომ-ე-ნ**, შდრ. ქართ. ი-ჰ(ა)მ-ევ-ის „იჰმევა, შეიძლება იჰამოს“... (შდრ. კოლხ. ხვე < ხვაგი, ჰვე < ჰვაგი...).

ხოლო პასიურ ზმნათა თემატური ნიშანი **-უ** წარმოქმნილი უნდა იყოს ასევე ხოლმეობითის ***-ო** ნიშნისა და ქართულის **-ავ * -გ** სუფიქსის კოლხურ შესატყვისი ***-ოვ ჰვ** თემის ნიშნის **-ვ (*-ჴ)** ელემენტის შერწყმით: ***-ჴ-ო>-უ**; ***ი-თას-ჴ-ი-ნ** > **ი-თას-უ-ნ**, ქართ. ი-თეს-ვი-ს... (შდრ. ქართ. თეს-ავ-ს; კოლხ. თას-უმ-ს/თას-ოი-ს (***/თას-ოვ-ს**)...)

ქართული **-ავ ჰვ** თემატური სუფიქსის განსხვავებული რეფლექსები კოლხურ მოქმედებითისა და ვნებითი გვარის ფორმებში (მოქმ. **-უმ**, ვნებ. **-უ**) განსხვავებული პოზიციებით აიხსნება.

ამგვარად, ირკვევა, რომ კოლხურშიც, ქართულის მსგავსად, ვნებითისა და პოტენციალისის პირველი სერიის ფორმები, წინააღმდეგ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისისა, ემყარება არა ნამყო ძირითადის ფუძეს, არამედ — აწმყოს ფუძეს, ნაწარმოებს შესაბამისად ***-ოვ ჰვ** და ***-ავ** თემატური სუფიქსებით, რომელთაც დაერთვის პერმანსივის ისტორიული ნიშანი ***-ო**.

კოლხური, სვანურისაგან განსხვავებით, ავლენს სრულ იზომ-რფიზმს ქართულთან არა მხოლოდ ვნებითის მაწარმოებელი აფიქსების მიხედვით, როგორც მიაჩნიათ, არამედ ფორმის სტრუქტურის მხრივაც, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ენათა შემდგომ სიახლოვეზე.

მედიაოქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში^{*} (წინასწარი მოხსენება)

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ერთ-ერთი კლასიფიკაციის მიხედვით გამოყოფილია ე. წ. მედიაოქტივ ზმნათა ჯგუფი¹.

ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშნებია: პირდაპირ-ობიექტური პირის უქონლობა, ნამყო-ძირითადის წყებაში სუბიექტის ბრუნვად მოთხრობითი, დრო-კილოთა მესამე სერიის ფორმათა წარმოება ინვერსიულად.

მედიაოქტივ ზმნებს მხოლოდ ერთპირიანი ან ორპირიანი ფორმები შეიძლება ჰქონდეს, სამპირიანი კი — არა.

ამგვარ ზმნათა უმრავლესობა I და II სერიის მწკრივებს აწარმოებს ფორმათა შენაცვლების გზით.

მედიაოქტივი ზმნები უმთავრესად სახელთა ფუძეებისაგან კეთდება, ანდა მეორეული წარმოებისაა. ფუძედ შეიძლება გამოყენებული იქნას: ა) არსებითი სახელი, ბ) ზედსართავი სახელი, გ) მიმღეობა, დ) მასდარები (ჩვეულებრივ, ე. წ. პირველადი მასდარი), ე) კომპოზიტი, ვ) ზმნისართი.

მაგალითად:

ა) ზეიმობს, თამაშობს, ნადირობს, ქეიფობს, ჰლალატობს, სღარაჯობს, ჰყარაულობს...

ბ) ზარმაცობს, ამაყობს, ჩქარობს, ნერვიულობს, ცელქობს, კოჭლობს, ჭიუტობს...

გ) მოძრაობს, მოქმედებს, მეცადინეობს, სარგებლობს, ლოცულობს, კლებულობს...

დ) შიმშილობს, სრიალებს, შრიალებს, ბრიალებს, ბუზღუნებს, ხეტილობს...

ე) შეამდგომლობს, წინამძღვრობს, ავადმყოფობს, დღესასწაულობს, ვაჟკაცობს, ცახცახებს, ხარხარებს, ზანზარებს, კანკალებს...

ვ) ძალადობს, ავადობს...

* პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში: იკე, XIX, 1974, გვ. 25-53.

¹ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, 314-315, 424-426, 484-499.

კუმშვადი ფუძეები ზმნაში შეკუმშული სახით არის წარმოდგენილი. მაგ.: სამხრობს, ვახშობს, სწამლობს, ბობოქრობს, ვაქრობს, ნაღვლობს, ფხიზლობს, შუამავლობს...

ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებული სახელის ფუძეები ზმნაში ზოგჯერ იკვეცება. მაგ.: არსებობს, დაობს, შრომობს, ჰრქენს, მეფობს, საუზმობს, ხელმწიფობს, უქმობს...

თუ სახელის ფუძე ზმნაში არ იკვეცება, იგი განივრცობა ვინით, რომელიც არ ჩანს ო ხმოვნის წინ, ასევე — ო, უ ხმოვნის შედმეგ, როცა მას ხმოვანი მოსდევს, სათანადო ფონეტიკურ პირობებში ვინი აღდგება¹.

მაგ.:

გუნდაობს (შდრ. იგუნდავა), ციგაობს (შდრ. იციგავა),

მორიგეობს (შდრ. იმორიგევა), მომპირნეობს (შდრ. იმომპირნევა),

უცხოობს (შდრ. იუცხოვა), ცრუობს (შდრ. იცრუვა)²...

მეორეული წარმოებისაა ზმნები: ცურაობს (შდრ. ცურავს), გორაობს (შდრ. გორავს), ხტუნაობს (შდრ. ხტუნავს), დაგელაობს (შდრ. დაგელავს), ბუქნაობს (შდრ. ბუქნავს), ჭანაობს (შდრ. მიქანავს)...

ამგვარ ფორმებს გვიჩვენებს რიგი სხვა ზმნაც: თევზაობს, ბანა-

¹ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე. დასახ. შრ., გვ. 430.

² მელოაქტივ ზმნათა ფორმებში (იციგავა, იმორიგევა...), ასევე ა, ე, ო ხმოვნებზე დამთავრებულ სახელთა ფუძეებისაგან ნაწარმოებ მოქმედებითი გვარის ზმნებში (ასხვავებს, ააშკარავებს, ატყუვებს, ამხნევეს, აფართოვებს, აახლოვებს...) გ ელემენტი განვითარებული უნდა იყოს ხმოვანთა შორის არსებული პიატუსის თავიდან ასაცილებლად.

საყურადღებოა, რომ ქართულში აღნიშნულ პოზიციაში ვინი გვაქვს დ ე რ ი ვ ა ც ი ი ს გზით მიღებულ სახელთა ფორმებშიც, როცა სადერივაციოდ გამოყენებული სუფიქსი არ შეიცავს ლაბიალურ ფონემას. ასეთებია: შე-ე, ხა-ე, ხე-ე, ნა-არ... მაგ.: მე-რძე-ე, მე-ტყე-ე, მე-ეზო-ე, თანა-მე-დრო-ე, მე-მიმინო-ე, სა-რძე-ე, სა-ახო-ე, სა-ბზე-ე: სი-სუფთა-ე, სი-ბრმა-ე, სი-მხნე-ე, სი-ახლო-ე, სი-მყუდრო-ე, სი-ვიწრო-ე, სი-მკიდრო-ე, ნა-ტყე-ვარ-ი, ნატყე-ვარ-ი...

აღსანიშნავია, რომ სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებში ვინი არა გვაქვს: ხ ე ე ბ ი, ტ ყ ე ე ბ ი, ე ზ ო ე ბ ი ... (ფლექსია? შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე. დასახ. შრ., გვ. 109).

ობს, ბურთაობს, კენჭაობს, კიდაობს, კყუმპალაობს³...

ზოგჯერ მედიოაქტივ ზმნათა ფუძე პირველადი ჩანს: ყეფს, დულ-ს, წუხს, ქუხს, ჰკბენს, სჩქმეტს, კენესის, ტირის, კივის, გორავს, ფეთ-ქავს, ნანობს...

მედიოაქტივ ზმნათა დიდ უმრავლესობას დრო-კილოთა I და II ჯგუფის ფორმები განხვავებულად აქვს ნაწარმოები. სახელდობრ, ნამ-ყო-ძირითადის წყებაში ერთპირიან მედიოაქტივ ზმნებს **o**- პრეფიქსი ახასიათებს, აწმყოს წრის ფორმები ნაწარმოები აქვს იმავე ფუძისა-გან, მაგრამ **o** პრეფიქსის გარეშე, მხოლოდ აწმყოს სუფიქსების: **-o**, **-ავ**, **-ებ**, **-ობ** დართვით, ზოგჯერ — უსუფიქსოდაც⁴. მაგ.:

ყეფს — **o**ყეფა, დულს — **o**დულა, ქუხს — **o**ქუხა, კენესის — **o**კ-ენესა: ხვნეშის — **o**ხვნეშა, ტირის — **o**ტირა, ბოლავს — **o**ბოლა, ბრუნავს — **o**ბრუნა, ცეკვავს — **o**ცეკვა, ქეიფობს — **o**ქეიფა, მეფობს — **o**მეფა...

მედიოაქტივ ზმნათა ეს ტიპია ძირითადი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში (პირობითად მას იმეფა ტიპის ზმნებს ვუწოდებთ)⁵.

³ ვარაუდობენ, რომ **o** უ რ ა ო ბ ს , თ ე ვ ზ ა ო ბ ს ტიპის ზმნები წარმოქმნილია ან-ზე გათავებულ სახელთა ფუძეებისაგან ნაწარმოებ ობიანი საშუალო ზმნების ანალოგიით: შდრ. გუნდაობს, ციგაობს, მუშაობს... (ა. შ ა ნ ი ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 430).

o უ რ ა ო ბ ს (შდრ. ურავს) ტიპის ზმნები საფუძველს იძლევა საკითხი დავსათ: თ ე ვ ზ ა ო ბ ს ტიპის ზმნებისთვისაც ზომ არ შეიძლება ვივარაუდოთ - ავ სუფიქსიანი ფორმები: *თ ე ვ ზ ა ვ ს , *ბ ა ნ ა ვ ს , *ბ უ რ თ ა ვ ს , *ჰ ი ღ ა ვ ს ...

⁴ ა. შ ა ნ ი ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 313-314, 424-426, 484-485.

⁵ მედიოაქტივ ზმნათა აწმყოს წრის ფორმები: ყ ე ფ ს , ც უ რ ა ვ ს , ც ე კ ვ ა ვ ს , ს ა დ ი ლ ო ბ ს ... ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს თვალსაზრისით სტატიკური ზნის ფორმებია, არსებული ქართულში გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებამდე (იხ. ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948, გვ. 106-112; მ ი ს ი ვ ე , ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, გვ: 051; მ ი ს ი ვ ე , ქართული ზმნის უღვლილების სისტემის საკითხები, ივე, XVI, 1968, გვ. 5-13).

ჩენი აზრით, ყეფს, ცურავს, ცეკვავს, ნადირობს, სადილობს... უპირისპირდება ხატავს, სწერს, სთხოვს... ზმნებს არა სუბიექტის აქტივობის ან სტატუსის მიხედვით (ორივე ჯგუფის ზმნები დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი ზმნებია და ამ ნიშნით ერთნაირად უპირისპირდებიან სძინავს, ჰღვიძავს, წევს, თესია, წერია, უპყრია... ს ტ ა ტ ი კ უ რ ზმნებს). არამედ პირდაპირი ობიექტის უქონლობით. საყურადღებოა: რომ ქართული

მყოფადის წრეში იმეფა ზმნათა ფორმები იწარმოება **ი-პრე-**ფიქსითა და **-ებ** სუფიქსით ყველა შემთხვევაში, მაშინაც როცა აწ-მყოში **-ებ** თემატური სუფიქსია და მაშინაც, როცა მათ **-ი, -აგ, -ობ** სუფიქსები, ანდა ათემატური აწმყო ახასიათებთ¹. მაგ.: გრუხუნებს — იგრუხუნებს, ტრიალებს — იტრიალებს², ყვირის — იყვირებს, ჰყვირის — იჰყვირებს, ცურავს — იცურებს, ზრუნავს — იზრუნებს, მგზავრობს — იმგზავრებს, თამაშობს — ითამაშებს, ჭეხს — იჭეხებს³, დღეს — იღუღებს⁴...

ენის განმარტებითი ლექსიკონის მესამე ტომში (რედაქტორი ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა.), დის, დიდაკობს, დიდულობს, დიდობს, დაბტის, დაცურავს, დაფრინავს და მისთ. კვალიფიციტრებულთა როგორც დინამიკური ზმნები. ამ ტიპის ზმნათა ფორმების ისტორიული და შედარებითი განხილვა ამართლებს მათს მგვარ კვალიფიციტისას.

¹ იხ. ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 487.

² როცა აწმყოში **-ებ** სუფიქსია, მყოფადისა და აწმყოს წრის ფორმებს შორის განსხვავებას მხოლოდ **ი** პრეფიქსი ქმნის.

³ გამოწაკლის ქმნის ფ რ ე ნ ს , ს ტ ვ ე ნ ს ზმნათა მყოფადი: ი ფ რ ე ნ ს , ი ს ტ ვ ე ნ ს .

⁴ თვლიან, რომ რიგ შემთხვევაში ერთპირიან საშუალ (სტატეკურ — არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა) ზმნებს ნამყო-ძირითადისა და მყოფადის წყებაში ნასესხები აქვს დონიანი ვნებითის ფორმები (იხ. ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 314-315; არნ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , დასახ. ნაშრ., გვ. 072-073; ზ. კ უ მ ბ უ რ ი ძ ე , მყოფადის წარმოება ქართულში, „მაკნე“, 1967, № 6, გვ. 241-242, 246)... მაგ. დღეს — აღღღდა, აღღღდება; წუხს — შეწუხდა, შეწუხდება; ფრინავს — აფრინდა, აფრინდება; ყვავის — აყვავდა, აყვავდება...

ჩვენი აზრით, აღნიშნული და ყველა მსგავსად დაპირისპირებული წყვილები ერთი და იმავე პარადიგმის წევრები არ არიან. ისინი სხვადასხვა ნიუანსს გადმოსცემენ, განსხვავებული სახის მოქმედებას აღწერენ. აღღღდა, შეწუხდა, აფრინდა, აყვავდა... ზმნათა აწმყო: დღუღდება, წუხდება, ფრინდება, ყვავდება... (შესაძლებელია, ზოგჯერ იშვიათად ხმარებული, ნაკლებ გავრცელებული ფორმები ვნებითისა) და არა დღეს, წუხს, ფრინავს, ყვავის... იღღდა, იწუხა, იფრინა... კი სხვა არაფერია, თუ არა დღეს, წუხს, ფრენს... ზმნათა ნამყო ძირითადის ფორმები.

ამდენად, იღღდა — აღღღდა, იწუხა — შეწუხდა, იფრინა — აფრინდა, იავაზაკა — გაავაზაკდა, იზარმაცა — გაზარმაცდა... სხვადასხვა პარადიგმის წევრებია. ისინი აწმყოში სხვადასხვა მიმართებებს ქმნიან. მათი განხილვა ერთ სიბრტყეზე, ჩვენი აზრით, უმართებულოა. ამგვარ ანალოზს შარს უკერს მედიოაქტივ ზმნათა აწმყოს ფორმების ისტორიაც (ამის შესახებ — ქვემოთ).

• სუფიქსიანი მედიოაქტივი ზმნათა აწმყოს წყებასა და ნამყო-ძირითადის (ასევე მყოფადის) წრის ფორმებს შორის განსხვავებას ქმნის ისიც, რომ ამგვარ ზმნებთან აწმყოს წყებაში ზმნური ფუძეა გამოყენებული, ნამყო-ძირითადისა და მყოფადის წრის ფორმები ამავე ზმნის მასდარის ფუძეს ემყარება⁵.

მაგ.: დის — იდინა, იდენს; რბის — ირბინა, ირბენს; ქრის — იქროლა, იქროლებს; თრთის — ითრთოლა, ითრთოლებს; კრთის — იკრთოლა, იკრთოლებს; ბღავის — იბღავლა, იბღავლებს; კივის — იკივლა, იკივლებს; ყივის — იყივლა, იყივლებს⁶...

ერთპირიანი მედიოაქტიური ზმნის ფუძისაგან ზოგჯერ საობიექტო ქცევის ფორმებიც იწარმოება: დულს — უდულს; წუხს — უწუხს, ჩქეფს — უჩქეფს, ხტის — უხტის, კრთის — უკრთის, თრთის — უთრთის, ტირის — უტირის, კვნესის — უკვნესის, ცურავს — უცურავს, ღელავს — უღელავს, ბრწყინავს — უბრწყინავს, ცახცახებს — უცახცახებს, ძაგძაგებს — უძაგძაგებს, ლაყლაყებს — ულაყლაყებს, თამაშობს — უთამაშობს...

ასეთ ზმნათა ორპირიანი ფორმების ხმარება, ჩვეულებრივ, აწმყოს წრის მწკრივებით არის შემოფარგლული⁷.

⁵ შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 429, 488.

⁶ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გამნაკლისს ქმნის ტ ი რ ის, ყ ვ რ ის, ქ ყ ვ ი რ ის ზმნები. მოსალოდნელი იყო, რომ მსგავსად სხვა — სუფიქსიანი მედიოაქტივი ზმნებისა, რომელთაც — ლ სუფიქსიანი მასდარი ახასიათებს, აქაც ნამყო-ძირითადისა და მყოფადის წყებაში გამოვლინდებოდა მასდარისაგან ნაწარმოები ფუძეები: *ი ტ ი რ ლ ა ← ი ტ ი რ ი ლ ა, *ი ყ ვ ი რ ლ ა ← *ი ყ ვ ი რ ი ლ ა, *ი ქ ყ ვ ი რ ლ ა ← *ი ქ ყ ვ ი რ ი ლ ა, შდრ. ყ ი ვ ი ს — ი ყ ი ვ ლ ა ← *ი ყ ი ვ ი ლ ა ...

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სამსავე შემთხვევაში ზმნის ფუძე რ თანზომონთ ბოლოვდება: ტ ი რ ის, ყ ვ ი რ ის, ქ ყ ვ ი რ ის. შემთხვევითია ეს, თუ არსებობს რაიმე კავშირი ამ ორ მოვლენას შორის? ფონეტიკურად ეს ფაქტი თითქოს არ იხსნება, რლ თანმიმდევრობა სიტყვის ბოლოს მორფემათა ზღვარზე ქართულისათვის დამახასიათებელი ჩანს: შდრ. საცქერლად, სამღერლად, სატირლად...

წესისაგან გამონაკლისს ქმნის ტ ყ უ ის ზმნის ნამყო-ძირითადის ფორმა: ი ტ ყ უ ა ნაცვლად *ი ტ ყ უ ი ლ ა სი. შეიძლება გვეფიქრა, ეს გამონაკლისი ამავე ფუძისაგან სხვა ფორმების ი ტ ყ უ ე ბ ა (იტყუა), ი ტ ყ უ ე ბ ს (მოატყუა, მიიტყუა) გავლენის შედეგია.

⁷ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 489.

ზემოთ განხილულ ზმნათა ნაწილს პირდაპირ-ობიექტური პირი შეიძლება ახლდეს და შეიძლება — არა. ასეთ შემთხვევაში გვაქვს ომონიმური ფორმები: ტირის, მღერის, ნანობს, დარდობს, გლოვობს, დღესასწაულობს, ვაჭრობს, ზეიმობს... იგი || იგი მას...¹

ი მ ე ფ ა ტიპის ზმნათა თავისებურებაა ისიც, რომ ისინი პრევერბს სრული ასპექტის აღსანიშნავად, ჩვეულებრივ, არ დაირთავენ², მით უფრო, თუ ნასახელარი ზმნებია (შდრ. ითევზავა, იეჭიმა, იჩქარა, ისადილა, იმეფა...).

პრევერბს ერთგზისი ფორმების საწარმოებლად დაირთავს ი მ ე ფ ა ტიპის ზმნათა ერთი ჯგუფი, რომელთა ფუძეც რაიმე სახის ხში-ანობას აღნიშნავს, მაგ. დაიყვირა, დაიყეფა, დაიყვილა, დაიბღავლა, დაიქუხა, დაიგრუხუნა... (იყვირა, იყეფა, იყვილა... მრავალგზისის ფორმებია).

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ პრევერბის დართვისას ამგვარი ზმნები *ე-პრეფიქის* გარეშე იხმარება. მაგ.: დაჰკივლა (დაიკივლა), დასტვინა (დაისტვინა), შეჰფრუტუნა (შეიფრუტუნა), შეჰყეფა (დაიყეფა), შეჰყვირა (დაიყვირა)...³ ამავე რიგისაა მოთოვა, მოწვიმა⁴.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ზოგჯერ *ე-პრეფიქის* მედიაქტივ ზმნათა აწმყოს ფორმებშიც შეიძლება გვქონდეს⁵. ეს ზმნები უღვლილების სხვა მოდელს ქმნის. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ზმნები მყოფადისა და ნამყო-ძირითადის წრის ფორმებს, ჩვეულებრივ, პრევერბის დართვით აწარმოებს. მაგ.: ცდინის — 'გა'ცი-ნებს, 'გა'ცინა; ილხენს — მოილხენს, მოილხინა; ისვენებს — დაისვენებს, დაისვენა; იბუღებს — დაიბუღებს, დაიბუღა; იჩოქებს — და-

¹ ი ქ ვ ე . გვ. 497.

² ი ქ ვ ე . გვ. 320, 492.

³ ი ქ ვ ე . გვ. 492.

⁴ დასტურდება ცალკეული შემთხვევა, როცა მედიაქტივ ზმნასთან პრევერბი გამოიყენება მიმართულების აღსანიშნავად. გაიქროლა, გაინავარდა, გაიხრიგინა, გაილევა...

წაივარჩიმა, წაივანშმა, წაიკაიფა, წაილოცა და სხვა მსგავს შემთხვევაში წა-პრევერბი ახალ მნიშვნელობას აწარმოებს, ოდნაობით ხარისხს გამოხატავს. წა-პრევერბის ეს ფუნქცია ახლად განვითარებული ჩანს (იხ. თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ოდნაობის ფორმათა ისტორიისათვის ქართულურ ენებში; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIX, № 5, 1962).

⁵ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 485.

ოჩოქებს, დაოჩოქა; ოზამთრებს — დაოზამთრებს, დაოზამთრა; ოლაშ-
ქრებს — გაოლაშქრებს, გოლაშქრა... (ამგვარ ზმნებს ჩვენ პირობი-
თად ი ც ი ნ ა ტიპის ზმნებს ვუწოდებთ)⁶.

ამგვარად, თუ მედიოაქტივ ზმნას აწმყოშიაც **o-** პრეფიქსი ახასი-
ათებს, ე. ი. თუ არა გვაქვს **o** პრეფიქსის მიხედვით დაპირისპირე-
ბული წყვილები, მაშინ ასეთი ზმნები ნამყო-ძირითადისა და მყოფა-
დის წრის ფორმებს, ჩვეულებრივ, პრევერბის დართვით აწარმოებს.
ამგვარ ზმნებთან პრევერბი ასრულებს იმ ფუნქციას, რასაც **o-** პრე-
ფიქსი — მეფობს — იმეფა, იმეფებს; სადილობს — ისადილა, ისადი-
ლებს; ნადირობს — ინადირა, ინადირებს და მისთ. ზმნებში. ამდენა-
დ, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მეფობს — იმეფა ტი-
პის ზმნათა **o-** პრეფიქსი ასპექტის საწარმოებელი თავსართია⁷. სხვა
იყო მისი ფუნქცია ისტორიულად, ამაზე — ქვემოთ.

ერთი წყება ნასახელარი მედიოაქტივი ზმნებისა ორპირიანია⁸:
სუბიექტური პირის გარდა მათ ეწყობათ ირიბობიექტური პირი⁹.
ასეთი ზმნები ნამყო-ძირითადისა და მყოფადის წრის ფორმებს აწარ-
მოებენ თავისივე ფუძეზე **უ-/o-** პრეფიქსის დართვით. მაგ.: ჰრქენს —
ურქინა, ურქენს; ერთგულობს — უერთგულა, უერთგულებს;
ჰმტრობს — უმტრო, უმტრობს; ჰპატრონობს — უპატრონა, უპატ-
რონებს; ჰლალატობს — ულალატა, ულალატებს...

ამგვარ ოპოზიციაში **უ-/o-** პრეფიქსიანი ფორმები სრული ასპექ-
ტისაა¹⁰.

ზოგჯერ ერთი და იმავე ფუძისაგან ნაწარმოებია როგორც ორპი-
რიანი, ისე ერთპირიანი ფორმები. ერთპირიან ზმნებს მყოფადისა და
ნამყო-ძირითადის ფორმები **o-** პრეფიქსით ეწარმოებათ, ორპირიანებ-
ს — **უ-/o-** პრეფიქსით¹¹. მაგ.: ჰბელადობს — უბელადა (შდრ. ბელა-
დობს — იბელადა), ექიმობს — უექიმა (შდრ. ექიმობს — იექიმა), ჰ-

⁶ მედიოაქტივ ზმნათა წარმოება საზოგადოდ, და კერძოდ, აღნიშნული ჯგუფის
ზმნებიც მოიცავს სხვადასხვა სემანტიკისა და (**o-**პრეფიქსის გამოყენების მიხედვით)
შეესაძლებელია, სხვადასხვა ფორმაციის ერთეულებს.

⁷ შდრ. ზ. კ უ მ ბ უ რ ი ძ ე, მყოფადის წარმოება ქართულში, „მაცნე“, 1967.
№ 6, გვ. 238-243.

⁸ ჰკბენს, სჩქმეტს, ჰბწყენს ზმნები გამონაკლისის წარმოადგენენ.

⁹ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 489.

¹⁰ ი ქ ვ ე, გვ. 359.

¹¹ ი ქ ვ ე, გვ. 489.

მასპინძლობს — უმასპინძლა (შდრ. მასპინძლობს — იმასპინძლა),
კმეკურნალობს — უმეკურნალა (შდრ. მეკურნალობს — იმეკურნალა), ჰყა-
რაულობს — უყარაულა (შდრ. ყარაულობს — იყარაულა), სწამ-
ლობს — უწამლა (შდრ. წამლობს — იწამლა), სწინამძღვრობს — უწი-
ნამძღვრა (შდრ. წინამძღვრობს — იწინამძღვრა), ჰხელმძღვანელობს
— უხელმძღვანელა (შდრ. ხელმძღვანელობს — იხელმძღვანელა)...

საყურადღებოა, რომ ზოგი ორპირიანი მედიოაქტივი ზმნა აწ-
მყოფივე უ- პრეფიქსით წარმოგვიდგება¹. მაგ.: უალერსებს — უა-
ლერსა, უბღვერს — უბღვირა, უდარაჯებს — უდარაჯა, უთვალთვა-
ლებს — უთვალთვალა, უკირკიტებს — უკირკიტა, ულოლიავებს —
ულოლიავა, უმზერს — უმზირა, უნანავებს — უნანავა, უნიცარტებს —
უნიცარტა, უსამძიმრებს — უსამძიმრა, უტრიალებს — უტრიალა,
უყურებს — უყურა, უცქერის — უცქირა, უხმობს — უხმო²...

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ დრო-კილოთა I და II ჯგუფში უნიშ-
ნო და ა პრეფიქსიანი ფორმებიც ენაცვლება ერთმანეთს. პირდაპირ-
ობიექტური პირი მათაც აკლიათ. მაგ.: ჰკოცნის — აკოცა, სჯობნის
— აჯობა, ჰრგებს — არგო, სწყენს — აწყენა, ვნებს — ავნო...

აღნიშნულ დაპირისპირებაშიაც ა- პრეფიქსიანი ფორმები სრუ-
ლი ასპექტისაა, უნიშნო — უსრულისა (ამგვარ ზმნათა რიცხვი მცო-

¹ ზ. კ უ მ ბ უ რ ი ძ ე. მყოფადის წარმოება ქართულში, „მაცნე“, 1967, № 6, გვ. 241.

² ერთი მხრივ უღუღს, უწუხს, უჩქედს, უდარაჯებს... და, უალერსებს, უხმობს... მეორე მხრივ, სხვადასხვა წარმოების ზმნებია მიუხედავად იმისა, რომ ორსავე შემთხვევაში უ- პრეფიქსია გამოყენებული, ეს სხვადასხვაობა ასახულია უღვილებშიც.

უღუღს, უწუხს... ტიპის ზმნებს, როგორც აღინიშნა, დრო-კილოთა მეორე ჯგუფის ფორმები, ჩვეულებრივ არ ეწარმოებათ (შდრ. დუღს — იდუღა, უღუღს—; წუხს — იწუხა, უწუხს—...), უ ხ მ ბ ს ტიპის ზმნებს ასეთი ფორმები აქვს: უხმო, უდარაჯა, უალერსა...

თანამედროვე სალიტერატო ენაში უღუღს ტიპის ზმნათა უ- საობიექტო ქცევის მაწარმოებელია. ქცევის მიხედვით ისინი უპირისპირდებიან ერთპირიან მედიოაქტო ზმნებს აწმყოში: დუღს — უღუღს (დუღს მისი), წუხს — უწუხს (წუხს მისი), ჩქედს — უჩქედს (ჩქედს მისი)...

უ ხ მ ბ ს ტიპის ზმნები ქცევის გაგებას, ჩვეულებრივ, მოკლებული არიან. მათ საპირისპირო ცალი არა აქვთ, ქცევათა სისტემაში ისინი განცალკევებით დგანან. ისტორიულად უ ხ მ ბ ტიპის ზმნათა სახით წარმოების სხვა წესთან უნდა გვეკონდეს საქმე (ამის შესახებ — ქვემოთ).

რეა და ცალკე ტიპად არ გამოიყოფა. ა. შ ა ნ ი ძ ე ს ისინი თავისებურ ზმნათა შორის აქვს განხილული³.

მედიაოაქტივ ზმნათა ზემოთ განხილული თავისებურებანი მთელ რიგ საკითხს სვამს.

რა წარმოშობისაა **ი-**, **უ-/ო-** პრეფიქსები აღნიშნული ტიპის ზმნებში?

აწმყოსა და ნამყო-ძირითადის ფორმათა დაპირისპირება, რომელიც ახასიათებს მედიაოაქტივ ზმნათა დიდ უმრავლესობას თანამედროვე ქართულში, არის თუ არა თავდაპირველი მოვლენა, ახასიათებდა თუ არა ის ძველისძველ ქართულსაც? ეს იმას ნიშნავს:

რა მიმართებაა ისტორიულად მედიაოაქტივ ზმნათა უღვლილების ზემოთ განხილულ ტიპებს შორის: ერთპირიან ზმნათა **მ ე ფ ო ბ ს** — **ი მ ე ფ ა** და **ი ც ი ნ ი ს** — **ი ც ი ნ ა** ტიპის წარმოებებს შორის, ერთი მხრივ, და ორპირიან **პ რ ქ ე ნ ს** — **უ რ ქ ი ნ ა** და **უ ხ მ ო ბ ს** — **უ ხ მ ო** ტიპის წარმოებათა შორის, მეორე მხრივ?

როგორ ავხსნათ მედიაოაქტივ ზმნებთან პირდაპირ-ობიექტური პირის უქონლობა? უნდა მივიჩნიოთ ის ძველ, პირველად მოვლენად, თუ მეორეული წარმოშობის ფაქტად?

რა კავშირია ისტორიულად ერთპირიანი მედიაოაქტივი ზმნისა და იმავე ფუძის ორპირიან ფორმებს შორის: დღესასწაულობს **ი გ ი** - და დღესასწაულობს **ი გ ი მ ა ს**, ნანობს **ი გ ი** და ნანობს **ი გ ი მ ა ს**... ისტორიულად ისინი ომონიმური ფორმებია, თუ მათ შორის კავშირი გენეტურია: ერთი მეორისაგან მომდინარეობს?

რა მდგომარეობაა მედიაოაქტივ ზმნათა წარმოების მხრივ ძველ ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში?

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ერთპირიანი საშუალო გვარის ზმნები: მეფობს, ვახშობს, ნადირობს... დანაკლის ფორმათა შესავსებლად (II და III სერიის ფორმები, მყოფადის წრე) სესხულობს (იყენებს) თავისივე ფუძის ზმნის სასუბიექტო ქცევის ფორმებს, ორპირიანი კი: სდარაჯობს, სწამლობს, ჰხელმძღვანელობს... — საობიექტო ქცევის ფორმებს, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებით: პირდაპირ-ობიექტური პირის გამოორიცხვით: **ი მ ე ფ ა მ ა ნ**, **ი ვ ა ხ შ მ ა მ ა ნ**,

³ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 359, 543; ზ. კ უ მ ბ უ რ ი ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 243.

უღარაჯა მან მახ, უწამლა მან მახ...¹ ეს პირდაპირი ობიექტი, მაგალითად, ი ც ხ ო ვ რ ა ზმნასთან, ა. შ ა ნ ი ძ ი ს აზრით, შეიძლება იყოს უკუქცევითი ნაცვალსახელი თ ა ვ ი, რომელიც დაიკარგა, რადგანაც ერთადერთი იყო და ამიტომ ადვილად საგულისხმებელი. პირდაპირი ობიექტის დაკარგვით ზმნა გარდამავლობას კარგავს, საშუალოს უთანაბრდება და მისი დანაკლისი ფორმების შევსებასაც კისრულობს. ი ც ხ ო ვ რ ა ზმნის აქტივ წარმოებას მხოლოდ მისი სინტაქსური ძალა (სუბექტის ბრუნვა) და მორფოლოგიური ნიშანი (ინვერსია მესამე სერიაში) მოწმობს. მაგრამ თუ ზმნამ ეს ნიშნებიც დაკარგა, მაშინ წარმოშობით აქტივი ფორმა ნამდვილ პასივად გადაიქცევა. ავტორის აზრით, განვითარების ასეთი გზა უნდა ჰქონდეს გავლილი ძნიან ვნებითს ქართულში².

ამგვარი ახსნის შემთხვევაში განმარტებას მოიითხოვს მთელი რიგი საკითხი.

ივარაუდება, რომ ვნებითი მოქმედებითისაგან იწარმოება³. აქტივ-პასივი ერთმანეთის კონვერსიული სახეა. ის პირი, რომელიც აქტივში პირდაპირ-ობიექტურია, სუბიექტური ხდება პასივში და პირუკუ — სუბიექტური პირი პასივისა აქტივის ობიექტური პირია⁴. მპრეფიქსიანი ვნებითის ფორმათა ზემოთ წარმოადგენილი ახსნის შე-

¹ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 314, 484-498.

ნამყო-ძირითადისა და მყოფადის წრის შწკრივებს ც ხ ო ვ რ ო ბ ს, ჩ ი ე ი ს, წ უ ხ ს და მისთ. ერთპირიანი სტატიკური ზმნებისათვის გარდამავალ ზმნათაგან ნასესხებად თვლის ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა (იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, 1968, გვ. 211; მ ი ს ი ე ვ ე, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 072-073); ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, (იხ. „ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში“, 1954, გვ. 26, 29, 72, 102, 110, 147...) და სხვა.

ლაქრონიული თვალსაზრისით ა ს ინტერპრეტაციისათვის იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, იკვ. XI, 1959, გვ. 151-168

² ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 363-364; შღრ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში, ენიმკის მოამბე, XII, 1942, გვ. 221-239.

³ ეს ენება პრეფიქსიან ვნებითს (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 363-365; ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948, გვ. 26; მ ი ს ი ე ვ ე, ქართული ენის ზგადი დახასიათება, 060).

⁴ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 291-296.

მთხვევაში გაუგებარი ხდება, როგორ არის შესაძლებელი აქტივისა და პასივის ამგვარი მიმართება — კონვერსია.

თუ გავიზიარებთ ვარაუდს, რომლის მიხედვითაც რიგი საშუალო (სტატიკური) ზმნა სადილობს, მეფობს, ჰრქენს, სწამლობს... ტიპისა დანაკლის ფორმებს (II და III სერია, მყოფადის წრე) ივსებს სესხების გზით თავისივე ფუძის მოქმედებითი გვარის ზმნათაგან პირდაპირ-ობიექტური პირის გამორიცხვით, მაშინ უნდა აიხსნას, როგორ არის შესაძლებელი ასეთი სესხება, როცა საშუალო ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარმოები თვით მოქმედებითი გვარის ზმნები (სასუბიექტო ან საობიექტო ქცევისა), როგორც წესი, არ არსებობს; არა გვაქვს: ისა დილა მან იგი, იმეფა მან იგი, იავაზაკა მან იგი, ურქინა მან მას იგი, უწამლა მან მას იგი... (შდრ. სტატ. ვნებ. აკერია — ეკერა, ვნებ. ეკერება — დაეკერა; აკრავს — ეკრა, ვნებ. ეკვრის — მიეკრა; ანთია — ენთო, ვნებ. ენთება — დაენთო; აფარია — ეფარა, ვნებ. ეფარება — დაეფარა; ჰყრია — ეყარა, ვნებ. ეყრება — დაეყარა; აცხია — ეცხო, ვნებ. ეცხება — დაეცხო; სწერია — ეწერა, ვნებ. ეწერება — დაეწერა...)⁵.

თუ საშუალო ზმნათა (ყევს, დღესასწაულობს, სწამლობს, პატრონობს...) დანაკლისი ფორმები (იყევთა, იდღესასწაულა, უწამლა, უპატრონა...) წარმოშობით თავისივე ფუძის მოქმედებითი გვარის ფორმებია, სადაც პირდაპირ-ობიექტური პირი შემდგომ გაუჩინარდა, დავეუშვათ იმიტომ, რომ ის ერთადერთი იყო და ამიტომ ადვილად საგულისხმებელი, ასახსნელია მაინც, რატომ არ შეგვრჩა ისინი აწმყოს წყებაშიც. რატომ არ გვაქვს აწმყოში *იყევს იგი, *იდღესასწაულობს იგი, *უწამლობს იგი მას, უპატრონობს იგი მას (შდრ. ნ. ძირ. ფორმები: იყევთა, იდღესასწაულა, უწამლა, უპატრონა...).

თუ ერთპირიან მედიოაქტივ ზმნებთან ი-პრეფიქსის არსებობის გამო გაუჩინარებულად უკუქცევითი ნაცვალსახელი თავი არის სა-

⁵ სულ ორიოდ ზმნაა ისეთი, რომელსაც თავისივე ფუძისაგან ეწარმოება სასუბიექტო ქცევის ფორმა. როცა თვით მედიოაქტივ ზმნათა რიცხვი ათასამდე აღწევს (ვეყარებით ზ. კუშბურიძის მონაცემებს: იხ. მყოფადი ქართველურ ენებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1968, გვ. 151). ასეთებია: მედიოაქტივი იდუღა წყალმა შდრ. მან აიდუღა წყალი, იდინა ხიხლმა შდრ. მან იდინა ხიხლი... ვფიქრობთ, ეს თანხვედრაც შემთხვევითია, მედიოაქტივსა და სათანადო გარდამავალ ზმნას შორის მიმართების წესიც დარღვეულია.

გულისხმებელი, რა ვივარაუდოთ დაკარგულად უპრეფიქსით წარმოების შემთხვევაში: უვმო, ურქინა, უწამლა, უდარბაზა („ვეფხ. ტყ.“), უსალამა („ვეფხ. ტყ.“, „ვისრამ.“), უმასპინძლა („ვეფხ. ტყ.“), უალერსა („ვეფხ. ტყ.“), უორგულა („ვეფხ. ტყ.“), უთვალთვალა, უნისკარტა...?

ისმის სხვა კითხვაც: რატომ უნდა ჰქონდეს ს ი ს ტ ე მ უ რ ი ხა-სიათი პირდაპირი ობიექტის გაუჩინარებას და ისიც, როგორც წესი, მხოლოდ იმ მოქმედებითი გვარის სასუბიექტო თუ საობიექტო ქცევის ზმნებთან, რომელთა გამოყენებას თავისი დანაკლისი ფორმების შესავსებად საჭიროებს სათანადო საშუალებას (სტატიკური) ზმნები (ამასთან ერთად — თანაბრად სამსავე ქართველურ ენაში)?¹

პირის გაუჩინარების ცალკეული შემთხვევები ქართულში ისტორიულად არის დადასტურებული. ძველი ქართულის სამპირიანი ზმნები: პ რ ქ ვ ა ნ , ა რ ც ხ ვ ნ ა , ა რ წ მ უ ნ ა , ა მ ხ ი ლ ა... თანამედროვე ქართულში ორპირიანია. პირდაპირი ობიექტი დაკარგულად შეიძლება ვივარაუდოთ შე ხ ე დ ნ ა² ზმნაში და სხვა.

ასევე არ არის შეუძლებელი უპრეფიქსიან ზმნათა ზოგიერთპირიანი ფორმა. ისევე როგორც ორპირიანი ფორმა უპრეფიქსიანი ზმნებისა, ისტორიულად მიღებული იყოს, მართლაც, უტუქტევითი ნაცვალსახელის თ ა ვ ი ს , ან სხვა პირდაპირი ობიექტის გაუჩინარების გზით, მაგრამ ასეთი, ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთეული შემთხვე-

¹ „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ კითხულობთ: „საიდან მოდის ლ, ოლ, ენ, უნ, რომლებიც ზოგიერთ ზმნას უწინდება (იკივ-ლ-ებ-ს, იქრ-ოლ-ებ-ს, ილ-ენ-ს, იხტ-უნ-ებ-ს? — პასუხი: იმავე მოქმედებითიდან: ა-კივ-ლ-ებ-ს, აქრ-ოლ-ებ-ს, აღ-ენ-ს, ახტ-უნ-ებ-ს. ამ ფორმების ს ა ვ ა რ ა უ დ ე ბ ე ლ ი ს ა თ ა ვ ი ს ო იქნება: *იკივლ-ებ-ს, *იქროლ-ებ-ს, *ილენ-ს, *იხტუნ-ებ-ს“ (ა. შ ა ნ ი ძ ე , დასახ. შრ., გვ. 488). კიდევ: „გარდაუვალი ზმნების ფუძეთაგან (ვტირი, ვყივი, ვრბივარ, ვსადილობ...), ნაწარმოები გარდამავალი ფორმები ასეთია: ვატირებ, ვყივლებ, ვარბენ... მათი ს ა თ ა ვ ი ს ო ქცევის ფორმებია: *ვიტირებ, *ვიყივლებ, *ვირბენ, *ვისადილებ, რომლებიც დანაკლის ფორმებს უტყებენ საშუალებას“ (იქვე, გვ. 494); სხვაგან: „(ვპატრონობ, ვსლარაჯობ...) ზმნის ფუძისაგან მოქმედებითი გვარის ფორმებია: ვ ა პ ა ტ რ ო ნ ე ბ , ვ ა დ ა რ ა ქ ე ბ . მათი ს ა ს ხ ე ი ს ო ქცევის ფორმებია: *ვუპატრონებ, *ვდარაჯებ... რომლებიც გამოყენებულა საშუალებით ზმნის დანაკლისი ფორმების შესავსებად“ (იქვე, გვ. 496).

² არნ. ჩ ი ქ ო ბ ვ ა ვ ა , ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ენიმის მოამბე, XII, 1942, გვ. 238.

ვა შეიძლება იყოს, სისტემური ხასიათი მას არ უნდა ჰქონოდა, ახალი მოდელი ვერ უნდა შეექმნა, ისევე როგორც არ შეუქმნია ეს პირის გაუჩინარებას სხვა შემთხვევაში (შდრ. არწმუნა, არცხუნა, შეხედნა და მისთ.).

სადაც პირდაპირ ობიექტად უკუქცევითი ნაცვალსახელი თ ა ვ ი იგულისხმება, ჩვენი აზრით, ძირითადად, დაცულია კიდევ ძველ ქართულსა და სხვა ქართველურ ენებშიც (შდრ.: წარიწყმიდოს თ ა ვ ი თჳსი: მ. 10, 39; მოიკლავს თ ა ვ ს ა თჳსსა, ი 8, 22; განიკურნე თ ა ვ ი შენი: ლ. 4, 23; თ ა ვ ი თჳსი დაიმდაბლა: მრავ. 194, 24 და მრავალი სხვა).

ძველი ქართულისა და სხვა ქართველური ენების მონაცემთა გავალისწინება, ჩვენი აზრით, სხვაგვარ ვითარებას გვაგვარაუდებინებს.

ფორმათა წარმოების თვალსაზრისით მედიოაქტივი ზმნები ძველ ქართულში (სალიტერატურო ენა მე-5 საუკუნიდან მე-11 საუკუნის დამლევამდე³) არსებითად თანამედროვე ქართულისებურ ვითარებას გვიჩვენებს. I და II სერიის ფორმათა დაპირისპირება **o-** პრეფიქსის მიხედვით (მეფობს — იმეფა ტიპი) გვაქვს ძველ ქართულშივე. მაგ.:

ტირს — **იტირა:** (მეგობარნი შენნი) სულ-თქუმით **ტი რ ა ნ:** სწავ. 5, 21... ქურიენი მათნი არა ი ტ ი რ ნ ე ს: ფსალ. 211, 64.

ყვრ^oხ — **ყვრა:**... ლეკუნი ლომთანი **ყ ვ რ ი ე დ:** ფსალ. 281, 21r... შეიპყრის და ი ყ ვ რ ნ ი ს მას ზედა: ესაია 31, 4.

ყეფს — **აღ^oყეფა:** ყ ე ფ დ ე ს ურთიერთას და იტყოდეს: კ. I, 190, 37. არა ა ღ ი ყ ე ფ ნ ე ს ძალღმან ენითა თჳსითა თქუენ ზედა: აპოკრიფ. 32, 29.

ქუხს — **იქუნა:** და ქ უ ხ ნ და უფალი ცით გამო: ფსალ. 34, 14. უფალი აღმალდა ცათა შინა და ი ქ უ ხ ა: ფსალ. 425, 10.

გლოგს — **იგლოვა:** ვტირ მე და ვ გ ლ ო მ ქალაქისა მისთჳს: წარტყ. დ 9. და არათუ ჯორციელთა თქუმათა და ქადებათათჳს რაჲ მე ჰ გ ლ ო ვ დ ა ...: ათონ. 79, 22... არამცირედ ი გ ლ ო ვ ე ს მამათა ლავრისათა ქერისაებრ: ზარზმ. 176, 27.

ღრტუნავს — **იდრტუნა:** დ რ ტ ვ ნ ე ნ მოწაფენი მისნი ამისთჳს: იოვ. 6, 61. და ი დ რ ტ უ ი ნ ე ს ღმრთისა და თქუეს: ფსალ. 205, 19.

ზრუნავს — **იზრუნა:** ნუ ჰ ზ რ უ ნ ა ვ თ სულთა თქუენთათჳს:

³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ვ ა ვ ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 018.

მ. 6, 25. ვ ი ზ რ უ ნ ე და დავშუერ...: კ. II 140, 29.

მრუშებს — იმრუშა: მ რ უ შ ე ბ დ ე ს და ვილოდეს სიცრუვით: ოშკ. ბიბლ., იერემ. 23, 14. რომელმან განტყევებული შეირთოს, მანცა ი მ რ უ შ ა : მ. 5, 32.

ვაებს — ივაა: ვ ა ე ბ და ძლიერად და იტყოდა... K I 269, 31. არა ი ვ ა ა არცა ერთმან ძეთა ისრაზლისათამან ენითა თვისითა: ისუნ. 10, 21.

სადილობს — ისადილა: და ყ ო ლ ი ქ ყ ო ნ ა ს ო დ ი ლ ო ბ - დ ა : ბაქ. ბ., I მ. 14, 25.

დღესასწაულობს — იდღესასწაულა: ხოლო ვ დ დ ე ს ა ს წ ა - უ ლ ო ბ დ ე თ ჩუენ ფსალმუნითა: მრავლ. 10, 31. დღესასწაულთ ესე წმიდად ი დ დ ე ს ა ს წ ა უ ლ ე ს : ანტიოქ. 54, 36.

ფილოსოფოსობს — იფილოსოფოსა: ...ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ო - ბ ე ნ მამულსა სიბრძნის მოყუარებასა... ხრონ. 170, 2... სამნი... წე-ლიწადნი ი ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ნ ა მის თანა: ხრონ: 169, 5.

ვაჭრობს — ივაჭრა:... ქუეყანასა ამას იქცეოდეთ და ვ ა ჭ რ ო ბ - დ ი თ : დაბად. 42, 34 ... უწყოდის, რად-იგი ი ვ ა ჭ რ ე ს : ლ 19, 15C.

ამ ტიპის ზმნათა სხვა მაგალითებია: და მრავლად ი მ დ ი დ - რ მ ე ტ ყ უ ე ლ ა უფლისათჳს და ერისა მისისათჳს: ხრონ. 105, 5. ვ ი ს ი ძ ვ ე და ვ ი მ რ უ შ ე და ვ ი ა ვ ა ზ ა კ ე : სწავ. 205, 18; ი კ რ ჩ ხ ი ა ლ ნ ა უშუერად: ასურ. 208, 40. ი მ შ ი ე , რადთა გან-სძღე, ი წ ყ უ რ ე , რადთა ჰსუა: სწავ. 289, 16. რომელთა ი ქ ო რ - წ ი ნ ე ს სიხარულითა მეუღლისადათა: სწავ. 224, 10; ... ი ყ ი ვ ლ ე ს და აღიზახეს ერმან მან ისრაელისმან: I მეფ. 17, 20. ი მ ა ქ ე ბ ლ ა . დებორა და ბარაკმან: მსაჯ. 36, 5, 1¹...

ძველ ქართულში დასტურდება მედიოაქტივ ზმნათა იცინის — იცინა ტიპიც. მაგ.:

ისიძავს — ისიძვა: ჰრქუეს, ვითარმედ ის ი ძ ა ვ ს იგი: წარტყ. ნდ 21. ის ი ძ ვ ი დ ა დედად მათი: მსესი 25. მრავალგზის ვ ი - ს ი ძ ვ ე და ვ ი მ რ უ შ ე : სწავ. 100, 3.

იმუჯლავს — იმუჯლა: მარადის ი მ უ ჯ ლ ა ვ ნ : კ. II 98, 15. ი მ უ ჯ ლ ნ ა , ევედრებოდა მას: მრკ 10, 17 C.

¹ აღნიშნულ ზმნათაგან ზოგი დამოწმებული აქვს ა. შანიძეს მედიოაქტივის ნასესხებ ფორმათა ისტორიის განხილვისას, იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 498-499.

იცინის — **იცინა**: ვაჲ თქუნდა, რომელნი იცინით აწ: ლ 6, 26 C... განვიცინნი მათ მიმარ: იობ. 29, 24.

ისათხევის || **ისათხელობს** — **ისათხევა**: ისათხევი-
დეს სათხეველითა ზღუასა: მრკ 1, 16 C. წიაღთა მათ ეგუპტისათა
ისათხელობენ: ექუსთ. 83, 2.

ისერებს — **ისერა**: ნუ ისერებ კცინათა მოშურნისა: ბა-
ქარ. ბიბლ. იგვ., 23, 6. კცინი შთალნი რა ისერებდენ
შნთა... ბაქარ. ბიბლ. ზირაქ. 9, 21... ისერონ და სამხარი კა-
მონ: ეფთჳ. 43, 6.

იბუდებს — **დაიბუდა**: ვერცა რაჲ მფრინველი იბუდებს:
ასურ. 67, 15. მფრინველთა ცისათა და იბუდეს რტოთა მისთა:
ლ 13, 19.

დაიბანაკებს — **დაიბანაკა**: დაიბანაკებს ანგელოზი უფლი-
საჲ გარემოდს მოშიშითა მისთა... ფსალ. 79, 8. ... დაიბანაკეს
წმიდათა მათ აღგილსა მას ზემოქსენებულსა: ზარზმ. 154, 18 და სხვ.

ძველი ქართული რიგ შემთხვევაში განსხვავებასაც გვიჩვენებს
თანამედროვე ქართულთან შედარებით. ძველ ქართულში **ი-
ბრეფიქსი** აწმყოს წყებაში დასტურდება **ზოგ**
ისეთ მედიოაქტივ **ზმნასთანაც**, რომელსაც
თანამედროვე ქართულში აწმყოს წრის ფორ-
მათა უთავსართო წარმოება ახასიათებს. მაგ.:

იგლოვს შდრ. **გლოვობს**: გონებაჲ არა იგლოვს და სული
არა ჭუვის: წარტყ. კთ, 26. არლარა ვტირ, არლარა ვიგლოვ:
მრავლ. 21, 1. იგლოვდა ერი მისი მის ზედა: შსესი, 276, 5... არამ-
ცირედ იგლოვეს მამათა ლავრისათა ჭერისაებრ: ზარზმ. 176, 27.

ისტუნეს შდრ. **სტვენს**: სხუანი ეშმაკნი ისტუნედეს ... კ. 1
225, 19. ყოველი, რომელი განვიდოდის... მას შინა და ის-
ტვინოს: ამბაკ. 342, 3, 1.

იბრდლუნეს შდრ. **ბრდღვინავს**: ვითარცა მკეცი ბოროტნი
იბრდლუნედეს: წარტყ. ივ, 12. კბილ-ღრჳენით იბრდლუ-
ენდიან მის ზედა: წარტყ. ივ, 30. ... ზედა მიუვიდოდა და იბ-
რდლუნედა: კ. 11, 147, 35. ... იბრდლუნესა ლომმან შამ-
ბით თჳსით ნადირსა არ მქონემნ: S 417, 208, 8.²

² ვსარგებლობთ საქ. სსრ მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული
„ფიზიკთაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო ფონდით.

იმარხავს შდრ. მარხულობს: რად ჩუენ ფარისევლნი ვი-
მარხავთ ფრიად, ხოლო მოწაფენი შენნი არა იმარხვენ? მ.
9, 14 C. რკვირიაკითი — კვირიაკედ იმარხავს... კ. | 164, 1. ...
იმარხეს მას დღესა შინა: მსაჯულ. 20, 26.

ილოცავს შდრ. ლოცულობს: დამშ ყოველ ილოცავს დაღ-
დებით: კ. || 33, 16... ამა ეგერა ილოცავს მუნ: საქმე 62, 11.
ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად: მ 6, 6.

ილაღადებს შდრ. ღაღადებს: ილაღადებდეს (ღაღადებდეს
ღ) და არავინ იყო მკსნელ მათდა: ფსალ. 42 ზ. ილაღადებდით
(ღაღადებდით ღ) ღმრთისა ყოველი ქუეყანაჲ: ფსალ. 162, 1C.

ისადილებს შდრ. სადილობს: ხოლო მათ მომზადეს ძლუენი მო-
სლვად იოსებისა სამხრად, რამეთუ ესმა, ვითარმედ ისადილებს
მუნ: დაბად. 43, 25.

ისამხრებს შდრ. სამხრობს: მაშინ ებიფანე ასწავებდა ტაბლსა
მას ზედა, რომელნი — იგი ისამხრებოდეს (ისამხრებდეს ჭ):
კვრ. 119, 13. ... ვითარცა ისამხრონ, კუალად წარიტყვს მღღე-
ლი ლოცვასა მათ ზედა: ხრონ. 167, 31.

იმრუშებს შდრ. მრუშობს: ყოველნი იმრუშებენ კრებული
უწესოთაჲ: ოშკ. ბიბლ. იერემ. 9, 2. მოიყვანა მან დედაკაცი სიძვი-
საჲ..., რომლისა თანა იმრუშებდა: ხანძთ. წვ 5. იმრუშებ-
დეს იგინი ცოლთა თანა-მოქალაქეთასა: ოშკ. ბიბლ. იერემ. 29,
23... რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა: მ. 5, 32.

იხარებს შდრ. ხარობს: იხარებენ ვმითა სახიობისაჲთა:
იობ. 21, 12. ამისათჳს იხარებდეს გული ჩემი: კ. |, 277, 29.
თიკანი ერთი არასადა მომეც მე, რაჲთამცა ვიხარე მეგობართა
ჩემთა თანა: ლ. 15, 29 C.

ივაჭრებს || ივაჭრობს შდრ. ვაჭრობს: და ივაჭრებენ გან-
საცდელთა მათგან გლახაკთაჲსა: — ცხ. ბას. A 305, 11. დაეშმნენით,
ივაჭრობდით მას შინა... დაბად. 34, 10. დაემკვდრნედ ქუეყა-
ნასა ზედა და ივაჭრობდენ მას ზედა: დაბად. 34, 21. დავეთ
მუნ წელიწადი ერთი და ვივაჭროთ და შევიძინოთ: მიტროფ.
თარგმ. ეკლეს. 56, 9.

ინადირობს შდრ. ნადირობს: ... უმრავლესთა ჟამთა ინადი-
რობნ იგი ადგილთა მათ ცხროქა წოდებულთა: ზარზმ. 154, 14.
მონადირენი იგი ჰინდოეთისა ზღუსანი გვხრობენ სხუათათჳს და
რომელნი-იგი ინადირობენ ზღუასა ეგვტისასა — სხუათათჳს:

ექუსთა 98, 11-12... ძალღებთა... ი ნ ა დ ი რ ო ბ დ ა ...: ზღაპრ. 24, 13. და ვითარცა ი ნ ა დ ი რ ე ს , წარვიდეს და განთქუეს ჰანზავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა: ასურ. 164, 32.

იმღერ 'მ'ს შდრ. **მღერის**: ხოლო სხუანი ი მ ღ ე რ ი ა ნ : ზღაპრ. 13, 21. ... ი მ ღ ე რ დ ი თ ვითარცა ვერძნი: ფსალ. 318, 6. ა ღ ი მ - ღ ე რ ნ ა ყრმამან მუცელსა მისსა: ლ. 1, 14 C.

ინანის შდრ. **ნანობხ**: ვიგლოდ და ვ ი ნ ა ნ ი ცოდვათა ჩემთათჳს: კ. I 57, 7. ი ნ ა ნ დ ე ნ საქმეთა მათთვის ბორტთა: სწავ. 123, 1. ... რომელთა სძულდეს მართალი, მათ ი ნ ა ნ ო ნ : ფსალ. 81, 22 და სხვ.¹

განხილულ ზმნებთან არა გვაქს **ე**- პრეფიქსის ხმარების მიხედვით ის დაპირისპირება დრო-კილოთა I და II ჯგუფის ფორმებს შორის, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე სალიტერატურო ენისათვის და, სხვა შემთხვევაში, თვით ძველი ქართულისთვისაც (აწმყოს ფორმებში **ე**- პრეფიქსი მედიოაქტივ ზმნებთან ძველ ქართულშივე გადმონაშთის ხასიათს ატარებს). გვაქვს მხოლოდ დროის (ასპექტის) მიხედვით დაპირისპირებული წყვილები: იგლოვს აწმ. — იგლოვა ნ. ძირ., ისტუენს აწმ. — ისტუნა ნ. ძირ., იმარხავს აწმ. — იმარხა ნ. ძირ., ილოცავს აწმ. — ილოცა ნ. ძირ., ისიძავს აწმ. — ისიძვა ნ. ძირ., ისამხრებს აწმ. — ისამხრა ნ. ძირ., ისადილებს აწმ. — ისადილა ნ. ძირ., იმრუშებს აწმ. — იმრუშა ნ. ძირ...

ძველ ქართულში მედიოაქტივ ზმნათა აწმყოს ფორმებში **ე**- პრეფიქსის არსებობა და თანამედროვე სალიტერატურო ენაში მისი უქონლობის ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ასეთი ცვლილება განეცადა იმ მედიოაქტივ ზმნებსაც, რომელთა **ე**- პრეფიქსიანი ფორმები აწმყოს წყებაში არ დასტურდება უკვე ძველ ქართულში, უფრო ზუსტად, — ძველი ქართული ენის იმ ძეგლებში, რომლებიც ამ მიზნით იქნა დამუშავებული ჩვენ მიერ: დრტუნავს, მეფობს, კელობს, დღესასწაულობს, რუდუნებს, კელმწიფებს, მოძღურობს, ჳმობს და მისთ.²

¹ აღნიშნულ ზმნათაგან ზოგი (იგლოვს, ისიძავს, ილოცავს, ინანის, იმღერის, ისათხელის, ივაკრობს) სხვადასხვა მიზნით (დრო-ნაკლობის, ქცევანაკლობის თვალსაზრისით) განხილული აქვს ივ. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე ს (იხ. ჳმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954).

² საყურადღებოა, რომ ზოგ ამ ჳმნათა პრეფიქსული ფორმა დასტურდება შემდგომი საუკუნის ძეგლებში. მაგ.: ამა მიზნისათვის სირიცა მას ჳედა იდრტვინავს... ესოპე 55, 6. სხვანი წარმართნი სხვათა დღეთა ი დ ღ ე ს ა ს წ ა უ -

არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ქართული ენის განვითარების უფრო ადრეულ ეტაპზე, ძველისძველ ქართულში **o**- პრეფიქსი საზოგადოდ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ამგვარ ზმნათა აწმყოს წრის ფორმებისათვისაც. უნდა გვექონოდა ერთგვარად ნაწარმოები ზმნური ფორმები დრო-კილოთა ორსავე ჯგუფში. განსხვავება, რომელსაც ადგილი აქვს აწმყოსა და ნამყო ძირითადის წყებაში მედიოაქტივ ზმნებთან (დრტვნავს — იდრტვნა, დღესასწაულობს — იდღესასწაულა, ზრუნავს — იზრუნა...), წარმოქმნილი უნდა იყოს ფონეტიკურ ნიადაგზე. მედიოაქტივ ზმნათა უპრეფიქსო ფორმები აწმყოში (დრტვნას, დღესასწაულობს, სადილობს, სამხრობს...) მეორეული ჩანს, მიღებული **o**- პრეფიქსიანი ფორმებისაგან ხმოვნის დაკარგვის შედეგად.²

ლო ბ ე ნ: საბა III, 242, 30. უნდა დამიარბონ ეს ჩემი განზრახვა ჩემმა შვილებმა, რომ ყოველს საუფლოს დღეს... ერთად იდღესასწაულობდნენ: საქ. სიძ. I 204, 31.

სადაც ისტუნს, იბრდლუნს, ილაღადებს, იმრუშებს, ინადირობს... ფორმები გვხვდება, იქ მოსალოდნელია აწმყოში გვექონოდა იდრტვნავს, იდღესასწაულებს, იკლებს, ირულუნებს, იხელმწიფებს და მისთ. ფორმებიც.

¹ თუ აწმყოს ფორმებს სუფიქსებად აქვს -ებ, -ენ, ისინი უვლელად რჩება მყოფადის ფორმებშიც. ყველა სხვა შემთხვევაში მყოფადში გვაქვს -ებ სუფიქსი მაშინაც, როცა აწმყოსა და მყოფადის ფორმათა დაპირისპირება ემყარება **o**, უპრეფიქსებს და მაშინაც, როცა იგი აწმყოს უხმოვნო და მყოფადის **o**- პრეფიქსიანი ფორმების მიხედვით ხდება. მაგ.: რგებს — არგებს, სწეწს — აწეწს, შრიალებს — იშრიალებს, სტვენს — ისტვენს, რქენს — ურქენს... შდრ. კოცნის — აკოცებს, სჯობნის — აჯობებს, ტიროს — იტირებს, მეფობს — იმეფებს, სწამლობს — უწამლებს...

ძველ ქართულში პარალელურად არსებულ ფორმებს შორის: სადილობს || ისადილებს, სამხრობს || ისამხრებს, მრუშობს || იმრუშებს... აწმყოს სუფიქსების მიხედვით სხვაობა მეორეულია. —**o**ბ სუფიქსი -ებ-ისაგან მიღებულად მიიჩნევა (იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ზმნის ზოგადი დახასიათება, 062; შდრ. Н. Я. Масс, Грамматика древнерусской литературы, М., 1925, გვ. 155-156).

-ებ-**o**ბ მონაცვლეობა ძველსა და ახალ ქართულში გვაქვს სხვა შემთხვევაშიც: დღესასწაულებს || დღესასწაულობს, მრუშებს || მრუშობს, ორჯულებს || ორჯულობს, მეტყველებს || მეტყველობს, ამპარტავენებს || ამპარტავენობს... ჰიკიკიებს || ჰიკიკიობს, კისკისებს || კისკისობს, კაკანებს || კაკანობს, კანკალებს || კანკალობს, კაშკაშებს || კაშკაშობს... —ებ და —**o**ბ სუფიქსთა მონაცვლეობის სხვა მაგალითები განხილული აქვს ა. შ ა ნ ი ძ ე ს: აპირებს || აპირობს, აძლებს || აძლობს, აწებს || აწობს... (ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 418).

² ამგვარ ცვლილებას ვარაუდობს ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ჰრგებს — არგო, ჰენებს — ავნო, სტვენს — ატენა, სწეწს — აწეწა... ტიპის ზმნებში (იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში,

ამგვარად, მედიოაქტივ ზმნათა მეფობს — მეფა ტიპის წარმოება ისტორიულად მიღებული ჩანს ოცინის — ოცინა ტიპის წარმოებისაგან.

•, ასევე ა, ე, უ პრეფიქსების დაკარგვის ფაქტები ზოგ მედიო-აქტივ ზმნასა და სხვადასხვა ტიპის ზმნებში შენიშნულია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.³ მოცემულია ცდა ო- ხმოვნიანი ზმნების აღდგენისა ო- პრეფიქსებიანი მასდარების მიხედვით. მაგ.: *ი ყ მ ის, შდრ. სიყმილი, *ი ძ ვ ის, შდრ. სიძვა, *ი ც ო ნ ის, შდრ. სიცონილი, *ი ც ბ ის, შდრ. სიცბილი, *ი შ დ ვ ის, შდრ. სიშდვილი... *ი ს რ ის, შდრ. სისრა, *ი ჩ ქ უ რ ის, შდრ. სიჩქურე, *ი ბ ო რ გ ის, შდრ. სიბორგილი, *ი მ შ ის, შდრ. სიმშილი...⁵

ი ც ო ნ ის, ი ღ უ წ ის, ი მ ლ ე რ ის, ი ნ ა ნ ის... ზმნებში ო- პრეფიქსის დაკარგვის ფაქტი აღნიშნული აქვს ი. ქავთარაძეს. უძველესი ხანის ქართულში იგი ო- პრეფიქსის არსებობას შესაძლებლად თვლის სხვა ჯგუფის ზმნებშიც (ე. წ. *verbum sentiendi*) შურს, სურს, დუმს, წუხს და მისთ.⁶

ძველი ქართულის პარალელურ ფორმათაგან: ო ღ უ წ ის || ჰ ღ უ წ ის, ო ც ა ვ ს || ს ც ა ვ ს უპრეფიქსო ფორმები ო- პრეფიქსიანი ფორმებისაგან მიღებულად მიაჩნია არნ. ჩიქობავას. ასევე ო ხმოვანს თვლის იგი დაკარგულად ძველი ქართულის მონადირეს (← მოინადირეს), გჭირს (← გიჭირს) და სხვა ფორმებში.⁷

„სათანაოს“ ფორმებს „საზედაოსაგან“ — ა- პრეფიქსიანი ფორმებისაგან მომდინარედ მიიჩნევს ა. შანიძე. მისი აზრით: დაჰკუე -

იკვ. XI, 1959, გვ. 1660.

³ იხ. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, § 96; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი მეორე, 1943, § 441; მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 499; ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, § 21; არნ. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, იკვ. XI, 1959, გვ. 151-168; ალ. ჰინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 100...

⁴ იხ. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, § 96.

⁵ იხ. ივ. ქავთარაძე, დასაბ. ნაშრ., § 21.

⁶ იქვე, გვ. 274.

⁷ არნ. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, იკვ. XI, 1959, გვ. 158-159.

თ ა ← * დაჰაკუეთა, დასდვა ← * დაჰადვა და სხვა.¹

ძველი ქართლისა და სხვა ქართველური ენების მონაცემების საფუძველზე ისტორიულად ათავიღურ ხმოვანს ვარაუდობს არნ. ჩიქობავა რიგ გარდამავალ და გარდაუვალ სტატიკურ ზმნათა ფორმებში: დასთესა ← * დაჰათესა, დაჰბადა ← * დაჰაბადა, დასთხია ← * დაჰათხია... ხნავს ← * ჰახნავს, (შდრ. სვან. აწნი), კლავს ← * ჰაკლავს (შდრ. სვან. ადგარი), ხატავს ← * ჰახატავს (შდრ. სვან. ახტავი)... ჰრგებს ← * ჰარგებს, სტკენს ← * ჰატკენს... ჰყავს ← * ჰაყავს და სხვა.²

ე ხმოვანს მიიჩნევს ამოღებულად ა. შანიძე შესტრფის ზმნაში: * შეჰეტრფის → შესტრფის (შდრ. ეტრფის).³ არნ. ჩიქობავას ვარაუდით ძველი ქართული ჰბრძავს მიღებულია * ჰებარძავს ფორმისგან (შდრ. ებრძვის).⁴

უ ხმოვანს თვლიან დაკარგულად ზმნებში: შეჰყურებს ← * შეჰყურებს (შდრ. უყურებს), * დასტრიალებს ← * დაჰტრიალებს (შდრ. უტრიალებს),⁵ დასცხრა ← * დაჰცხრა, შეჰმატენ ← * შეჰმატენ, დათმობს ← * დაჰთმობს, შეჰრია ← * შეჰრია...⁶

პრეფიქსული წარმოების სიძველე შენიშნულია სხვა შემთხვევაშიც: მასდარის წარმოება (სლვა, სრბა, სიქადული, სიბორგილი...),⁷ აბსტრაქტულ სახელთა წარმოება (სიმჰნე, სიჯელოვნე, სივაჟე...),⁸ სახელების ხმოვანთავსართიანი წარმოება (ილია, შდრ. ლლია, მეგრ. რლია; იდაყვი, შდრ. მეგრ. დუჟი; იფქლი, შდრ. სვ. ფექი; აჩრდილი, შდრ. ჩრდილი...),⁹ ენებიტის ფორმათა წარმოება (ძვ. ქართ. აღეშენა,

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 441.

² არნ. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში: იკე, XI, 1959, გვ. 151-168.

³ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 388.

⁴ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 153.

⁵ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 388.

⁶ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 157, 161.

⁷ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 224-230.

⁸ იქვე, გვ. 208-238.

⁹ ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: IV, ხმოვანთავსართიანი სახელები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXXI B, 1947, გვ. 451-459.

აღმოცენა, დაიპარილა..., შდრ. ახ. ქართ. აშენდა, აღმოცენდა, დამარილდა...) ¹⁰ და სხვა.

პრეფიქსაცია ქართული ენის უძველესი დამახასიათებელი ბრინციბია (არნ. ჩიქობავა). მით უფრო ამ მხრივ გამოხატვის არ უნდა ქმნიდეს ისეთი სიძველის ზმნები, როგორც ე. წ. მედიო-აქტივი ზმნებია, უძველეს ქართულში პრეფიქსული წარმოება დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ამ ტიპის ზმნებისათვისაც.

ძველ ქართულში მედიოაქტივი ზმნები დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმებს იშვიათად ი პრეფიქსის გარეშე აწარმოებს, თანამედროვე სალიტერატურო ენაში ი პრეფიქსიანი წარმოება გვაქვს. ¹¹ მაგ.: წყმს — წყმა, შდრ. იწვიმა: წყმნ მართალთა ზედა და ცოდვილთა: მ 5, 45 C. უკუეთუ არა წყმოს: კ II, 198, 12.

მეფობს — ჰმეფა, შდრ. იმეფა:... არქელაოზ მეფობს ჰური-ასტანსა ზედა: მ 2, 22. მეფე დავით VIII 19 წელი ჰმეფა: ქართ. ცხ. II, 16. ¹²

ქადაგებს — ქადაგა, შდრ. იქადაგა:... ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა: მ 6, 2. ქადაგა და თქუა: ზღაპრ. 36, 12.

წინაწარმეტყუელებს — წინაწარმეტყუელა, შდრ. იწინასწარმეტყველა: კეთილად სამე წინაწარმეტყუელებდა ესადა თქუენთს... მრკ. 7, 6 C... ვითარი წინაწარმეტყუელა წმიდამან კ. II, 197, 7.

რუდუნებს — რუდუნა: რუდუნებნ და შექმნის ჰურჰური: ოშკ. ბიბლ. I, 289, V. რავდენი ვრუდუნე ყოფად: ოშკ. ბიბლ. 2, 1 და სხვ.

მედიოაქტივ ზმნათა ამგვარი წარმოება იმ მოვლენის ჩანასახი ჩანს, რომელიც ქართულში ვერ განვითარდა განსხვავებით მეგრული-სა და ჰანურისაგან (ამის შესახებ ქვემოთ).

მედიოაქტივ ზმნათა აწმყოს ფორმებში ი-პრეფიქსის დაშვების სასარგებლოდ მიუთითებს სხვა ქართველური ენების — სვანურისა და მეგრულ-ჰანურის მონაცემებიც.

სვანურში მედიოაქტივ ზმნათა წარმოება, არსებითად, თა-

¹⁰ ლ. ნოზაძე, პრეფიქსული და სუფიქსური ენებითების ურთიერთობისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხი, II, 1961, გვ. 63-72.

¹¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 498.

¹² მაგალითი ამოღებულია ა. შანიძის შრომიდან: ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 498.

ნამედროვე ქართული სეპურია. აქაც მედიოაქტივ ზმნათა ერთი წყება აწმყოს ჯგუფში **ე- პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი, ნამყო-ძირითადის და მყოფადის წრისა ე- პრეფიქსიან ფუძეს ემყარება (მ ე - ფ ო ბ ს — ო მ ე ფ ა ტიპი).**¹ მაგალითები ბალსზემოური კილოდან:

აწმ.	მე. უსრ.	ნ. ძირ.
კილი 'კივის'	იკილინი	ლნაჟილ ²
ყული 'ბლავის'	იყულინი	ლნაჟული
ზული 'ზმუის'	იზულინი	ლნაჟული
კვამე 'ბოლავს'	იკვამინი	ლნაჟვამე
შლუვე 'თოვს'	იშლდინი	ლნაჟშლვე
კვეც 'კვენისის'	იკვეცინი	ლნაჟკვეც და სხვ. ³

მაგრამ სვანურშიაც ამ ტიპის ზოგ ზმნას აწმყოშივე **ე-პრეფიქსი**

¹ ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა., სვანური ენა, I ზმნა, იბ. მისი შრომები, ტ. I, 1967, გვ. 115. მედიოაქტივ ზმნათა ეს ჯგუფი განხილული აქვს კ. გ. ა. გ. უ. ა. ს. სადისერტაციო ნაშრომში: დრონაკლი ზმნები სვანურში (ხელნაწერი), თბილისი, 1967, გვ. 228-259.

² ვარაუდობენ, რომ სათავისო ქვეყის **ე- პრეფიქსი პრევერბისეულ აწმყოშია** (ლშ. ვ. დ. აქვეს). ლა- პრევერბთან მ-ს სახითაა დარჩენილი, სხვაგან კი იკარგვის (ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა., დასაბ. ნაშრ., გვ. 138).

მ. ქ. ა. ლ. დ. ა. ნ. ი. ს. ა. შ. რ. ი. თ., ლა- პრევერბთან ზმნებში მ. მესამე სუბიექტური პირის ნიშნის ლს დარბილების შედეგია, წინდებულისეული ხმოვნის უმლაუტის გამოშწვევი ქვეყის **ე- რედუცირებულია** (იბ. მისი მს გენეზისისათვის სვანურში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი, 1959, გვ. 96-99). ჩვენი საკითხისათვის არსებითია ის, რომ ორსავე შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ფორმებში **ე- პრეფიქსი იკარგება.**

³ ლაშხურში მედიოაქტივ ზმნათა მყოფად-უსრულის ფორმები, ჩვეულებრივ, **ე- პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი, რაც ქმნის გამონაკლის სვანურის სხვა კილოთაგან. მაგ. ყ უ ლ ნ ი 'იბლავებს, კ ი ლ ნ ი 'იკივებს', ზ უ ლ ნ ი 'იზმველებს', შ ლ უ ე ნ ი 'ითოვს'...** (იბ. კ. გ. ა. გ. უ. ა., დასაბ. ნაშრ., გვ. 228-229).

მყოფად-უსრულის ფორმებში: **ლ ე მ ყ უ ლ ნ ე 'დაიბლავებს' ლ ე მ ზ უ ლ ნ ე 'დაიზმველებს', ლ ე მ შ ლ უ ე ნ ე 'მოთოვს',** **ე- ივარაუდება** (იბ. ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა., დასაბ. შრ., გვ. 138; მ. ქ. ა. ლ. დ. ა. ნ. ი., დასაბ. შრ., გვ. 96-99). ლაშხურისათვის **ე- პრეფიქსიანი ფორმები არ არის მთლად უცხო არც მყოფად-უსრულის ფორმებში: ი კ ვ ე ც ე ნ ი 'იკვენებს', ი გ ა ლ ვ ა ს ნ ი 'ივბლებს', და სხვ. (იბ. ზ. კ. უ. მ. ბ. უ. რ. ი. ძე. მყოფადი ქართველურ ენებში, სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაწერი), თბილისი, 1968, გვ. 242). თუ გავითვალისწინებთ იმ საერთო ტენდენციასაც, რასაც ქართველური ენები ავლენს **ე- პრეფიქსის მიმართ, უნდა ვთქვათ, რომ ლაშხურის ვითარება მეორეულია, ლაშხურშიაც მყოფად-უსრულში სხვა კილოების ანალოგიური ვითარება უნდა გვეჩვენოს.****

ახასიათებს. მათი ეკვივალენტი ზმნები თანამედროვე ქართულში უპრეფიქსო ფორმებს გვიჩვენებს. მაგ.:

	აწმ.	მყ. უსრ.	ნ. ძირ.
ბქ.	ოკლი 'კოკლობს (კელობს)'	ოკლუნი	ლან მკილ
ბქ.	ოკვიჩი 'კოკლობს'	ოკვიჩუნი	ლან მკვიჩ
ბზ.	ითხვიან რ 'ნადირობს'	ითხვიარანი	ან დთხვიარე
ზსვ.	ოკლმან ხი 'თევზაობს'	ოკლმანხი	ან ნკლმანხე
ბზ.	იმზირ 'ლოცულობს'	იმზირანი	ლან მემზირე
ბზ.	ითვეფ 'ისვრის (თოფით)'	ითფუნი	ან დთვეფ
გსვ.	ოგენი 'ტირის'	ოგენუნი	ლან მგენე
ბზ.	ოურწყოვი 'მარხულობს'	ოურწყოვანი	ან დურწყოვე
ბზ.	ოლკევი 'მარხულობს'	ოლკეპუნი	ან დლკეპე
ლშხ.	ინგლოვ 'გლოვობს'	ინგლოვანი	ენგნგლოვე
ზსვ.	ოქეიფ 'ქეიფობს'	ოქეიფანი	ლან მქეიფე
ზსვ.	იმსახვირ 'მსახურობს'	იმსახვირანი	ლან მმსახვირე
ზსვ.	ოღვპან რ 'ვაკრობს'	ოღვპარანი	ან დღვპარე

ამავე რიგისაა: ბქ. ინჟან რ (ნ. ძირ. ან დგნჟარე) 'ჯავრობს', უშგ. ისჩი ვან რ (ნ. ძირ. ისჩივრე) 'ჩივის', უშგ. ილოცავი 'ლოცულობს': ბქ. ითეიჯ (ნ. ძირ. ან დთეიჯე) 'გამპირიანობას იჩენს', ბქ. ილრინ (ნ. ძირ. ან დლერ) 'ცურავს', ბქ. ინგზან რ (ნ. ძირ. ან დგნგზარე) 'მგზავრობს' და სხვა.

ვფიქრობთ, შესაძლებელია ამ კონტექსტში იქნას განხილული ის ერთპირიანი ზმნებიც, რომელთაც აპრეფიქსთან ერთად -ან, -ანლ, -ანლ, -ანლ სუფიქსები ახასიათებს, მაგ.: ბქ. იტაბვან რ (ნ. ძირ. ან დტაბვალე) 'სადილობს', ბქ. იდიხსან რ (ნ. ძირ. ან დდიხსალე) 'დიასახლისობს', ბქ. ივანშმან რ (ნ. ძირ. ან დვანშმალე) 'ვანშმობს', ბზ. ივზირან || ივზირანლ (ნ. ძირ. ლან მვეზირანლ) 'თათბირობენ', ბქ. ითუნრიკან რ (ნ. ძირ. ან დთუნრიკალე) 'თოხარიკობს', ბზ. იკუნტრუშან რ (ნ. ძირ. ან დკუნტრუშალე) 'კუნტრუშობს', ბზ. ისგრკან რ (ნ. ძირ. ლან მსგრკალე) 'სარკეში იცქირება', ბქ. ილოდელ (ნ. ძირ. ლან დლოდალ) 'ლოდავს', ბქ. იკოჯან რ (ნ. ძირ. ან დკოჯალე) 'კლდე-კლდე დადის', ლშხ. იკვმატან რ (ნ. ძირ. ან დსკვმატალე) 'კვმატობს' და სხვა.⁴

⁴ საილუსტრაციო მასალის ნაწილი ამოღებული გვაქვს ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა. ს. მონოგრაფიიდან — სვანური ენა, I, ზმნა, 1967; ასევე — სვანურ-ქართული

თუკი ახასიათებს რაიმე სპეციფიკური აღნიშნულ ფორმებს, იგი -წლ, -წლ, -წ, -წლ სუფიქსების გამოყენებასთან არის დაკავშირებული და არა **ე-პრეფიქსთან**.¹

აღსანიშნავია, რომ სვანურის ზოგ დიალექტში ზემოთ განხილულ ზმნათა აწმყოს უპრეფიქსო ფორმებიც გვხვდება. მაგ.: ბზ. კ ვ ა ჩ ხ ე, ლშხ. კ ა ჩ ხ ვ ე 'კოკლობს', შდრ. ბქ. ი კ ვ ჩ ხ ი; ლშხ. ღ ვ ა კ რ ე 'ვ ა კ რ ო ბ ს', შდრ. ზსვ. ი ღ ვ კ ა რ; ლშხ. ქ ე ი ფ ე 'ქ ე ი ფ ო ბ ს', შდრ. ზსვ. ი ქ ე ი ფ ე, ი ქ ე ი ფ ა ლ; ლშხ. მ ს ა ხ უ რ ე 'მსახურობს', შდრ. ზსვ. ი მ ს ა ხ ვ ი რ ...

სვანური ენის მონაცემთა შინაგან ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ სვანურის განვითარების უფრო ადრეულ ეტაპზე **ე-პრეფიქსი** უნდა გვქონოდა მედიოაქტივ ზმნათა აწმყოს იმ ფორმებშიც, სადაც ის დღეს არა გვაქვს.

კ ა ნ უ რ შ ი მედიოაქტივი ზმნები უღვლილების სამ ტიპს გვიჩვენებს². ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმ ჯგუფის ზმნებია, რომელთაც აწმყოს წყებაშიც **ე-პრეფიქსი** ახასიათებთ. წარმოების მიხედვით ისინი ქართულის **ე ც ი ნ ი ს — ე ც ი ნ ა** ტიპს განეკუთვნებიან. აღსანიშნავია, რომ ზოგი მათგანი კანონზომიერ შესატყვისის წარმოადგენს იმ ზმნური ფუძეებისა, რომელთაც ძველ ქართულშივე აწმყოს ფორმათა უპრეფიქსო წარმოება ახასიათებთ. მაგ.:

ლექსიკონიდან (ხელნაწერის სახით ინახება ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში).

აღნიშნული სუფიქსები მოქმედების განმეორებაზე, მრავალგზისობაზე მიუთითებს (იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. შრ., გვ. 234; თ. შ ა ნ ა ძ ე ნ ი ძ ე, სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში ბალსზემოური კილოს მიხედვით: იკვ. VI, 1954, გვ. 192-194). მათი ეს წარმოება კარგად ჩანს იქ, სადაც ოპოზიციური წყვილები არსებობს, მაგ.: ბზ. ი პ რ რ 'ფრენს', შდრ. ი პ ე რ უ ნ ა ლ 'ფრენს (მრავალგზის)'; ბქ. ღ ა კ კ ე 'კაპასობს, ყბედობს', შდრ. ი ღ ა კ კ ე ლ 'კაპასობს, ყბედობს (მრავალგზის)'; ბქ. ი რ ა გ ე 'იგვიანებს' შდრ. ი რ ა გ უ ნ ა ლ 'იგვიანებს (მრავალგზის)'; უშგ. ი ლ ო ც ა ვ ი 'ლოცულობს', შდრ. ლშხ. ი ლ ო ც ა ვ ა ლ 'ლოცულობს (მრავალგზის)'; ბზ. ი ლ ჩ ა კ ა ლ 'ლჩაქს იხვევს (მრავალგზის)'; ბქ. ი ე ფ უ ნ ა ლ 'აბაზანას იღებს (მრავალგზის)' და სხვა (მასალა ამოღებულია ზემოთ დასახელებული სვანურ-ქართული ლექსიკონიდან).

² ასეთი ზმნები კანურშიც ერთპირობანია, სუბიექტის ბრუნვა მოთხრობითია, შესამე სერიის ფორმებს ინვერსიულადაც აწარმოებენ: უ ნ ჩ ვ ი რ უ ნ, უ ნ გ ო რ უ ნ, უ გ ზ ა ლ უ ნ (შდრ. ინჩვირელერენ, ინგორელერენ...).

აწმ.

ინჩვირს 'ცურავს'
 ინგორს 'გორავს'
 იბურბალს 'ბრუნავს'³
 იგზალს 'მგზავრობს'
 იპიჩვამს 'მარხულობს'
 იბირს 'მღერის'
 იმგარს 'ტირის'
 იხორონამს 'ცეკვავს'
 დივალამს 'ელავს'
 ინქორს 'ამთქნარებს'
 იღუშუნს 'ფიქრობს'
 იჟვალამს 'ისვენებს'
 ისინაფამს 'მუსაიფობს'
 იჩალიშამს 'ჩალიჩობს'

ნ. ძირ.

ინჩვირუ 'იცურავა'
 ინგორუ 'იგორავა'
 იბურბალუ 'იბრუნა'
 იგზალუ 'იმგზავრა'
 იპიჩვეუ 'იმარხულა'
 იბირუ 'იმღერა'
 იმგარუ 'იტირა'
 იხორონუ 'იცეკვა'
 დივალუ 'იელვა'
 ინქორუ 'დაამთქნარა'
 იღუშუნუ 'იფიქრა'
 იჟვალუ 'დაისვენა'
 ისინაფუ 'იმუსაიფა'
 იჩალიშუ 'იჩალიჩა'
 და სხვა.⁴

სხვა მოდვლებს ქმნის ის მედიოაქტივი ზმნები, რომლებიც აწმყოს წყებაში ი- პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი. ასეთ ზმნათა ნაწილი დრო-კილოთა მეორე ჯგუფის ფორმებს ი- პრეფიქსით აწარმოებს ისევე, როგორც მ ე ფ ო ბ ს — ი მ ე ფ ა ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში. მაგ.:

აწმ.

ხორონაფს 'ცეკვავს'
 წიაფს 'წივის'
 ლალუფს 'ყეფს'
 მლორაფს 'ბლავის'

ნ. ძირ.

იხორონუ 'იცეკვა'
 დიწიუ 'დაიწივლა'
 დილალუ 'დაიყეფა'
 დიმლორუ 'დაიმბლავლა'

³ ი ნ ჩ ვ ი რ ს , ი ნ გ ო რ ს , ი ბ უ რ ბ ა ლ ს და ზოგ სხვა ზმნათა სუბიექტის ბრუნვა მერყევიანია. იგი მოთხრობითშიც შეიძლება შეგვხვდეს და სახელობითშიც: ინჩვირს კოჩი || კოჩიქ, ინჩვირე კოჩი || კოჩიქ...

⁴ ჰანური საილუტსრაკიო მასალა, ძირითადად, ხოფური კილოკავისაა. ვიყენებთ სხვა კილოკავის მონაცემებსაც. ნიმუშები ამოღებულია ტექსტებიდან: Н. Я. М а р р, Грамматика чаиского (лазского) языка. СПб. 1910; ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანური ტექსტები, I, 1929; II, 1936; ს. ყ დ ე ნ ტ ი, ჰანური ტექსტები, 1938; ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, ჰანური ტექსტები, 1939. ვიყენებთ ჩვენ მიერ ჰან სტულენტოვან (ო. მემიშიში, ნ. კაკაბაძე, ი. თანდილაფა — სოფ. სარფიდან) ჩაწერილ ნიმუშებსაც.

ყიფს 'ყივის'
ღირინს 'ღრინავს'
სტვინუფს 'სტვენს'

დძიუ 'დაივილა'
დღირინუ 'დაიდრინა'
დსტვინუ 'დაისტვინა'
და სხვა.

მეორე ჯგუფი ასეთი ზმნებისა ნამყო-ძირითადის წყებაშია ც პრე-ფიქსის გარეშეა წარმოდგენილი: ანალოგიურია ძველი ქართულის მ ე ფ ო ბ ს — ჰ მ ე ფ ა წარმოებისა. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ერთიდაიგივე ზმნა იუღვლება ორივე მოდელის მიხედვით. მაგ.:

აწმ.

პეტელაფს 'ბლავის (ცხვარი)'...
ხიხინაფს 'ჰიხინებს'
კრუხინს 'კრუხუნებს'
კარკალაფს 'კაკანებს'
მლორაფს 'ბლავის'
კუსაფს 'კვენის'
ვალუფს 'ელავს'
ხორონაფს 'ცეკვავს'

ნ. ძირ.

პეტელუ 'იბლავლა (ცხვარმა)'
ხიხინუ 'იჰიხინა'
კრუხინუ 'იკრუხუნა'
კარკალუ 'იკაკანა'
მლორუ 'იბლავლა'
'დო'კუსუ 'იკვენესა'
გომვალუ 'გაიელვა'
ხორონუ 'იცეკვა'

და სხვა.¹

ანალოგიური ვითარებაა მ ე გ რ უ ლ შ ი ც.² მეგრულში მედიო-აქტივი ზმნები უღვლელების სამ მოდელს ქმნის.

ერთი ჯგუფის ზმნებს დრო-კილოთა ორსავე სერიის ფორმებში ო- პრეფიქსი ახასიათებს (ოცინის — ოცინა ტიპი). საკითხის შესწავლისათვის განსაკუთრებით საყურადღებო სწორედ ეს ზმნებია. მაგ.:

¹ აღნიშნული ზმნები მყოფადს, ჩვეულებრივ, აწარმოებენ კავშირებითი მეორისაგან ხოფურში — უნონ მეშველი ზმნის დართვით: ინჩირას ინონ 'იკურავებს', იბირას ინონ 'იმლერებს', ლალას ინონ 'იეფებს'...

² მეგრულში მედიოაქტივი ზმნათა დამახასიათებელი ნიშანია ერთბირიანობა და ინვერსია დრო-კილოთა შესამე სერაში, სუბიექტის ბრუნვა საკლასიფიკაციო ნიშნად არ გამოდგება. მოთხრობითში დასმული სუბიექტი ნამყო-ძირითადის ჯგუფში მეგრულს ახასიათებს ვნებითი გვარის ზმნებთანაც (იხ. ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ქანურს გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 105).

აწმ.

ნ. ძირ.

ონჯუანს 'ისალამოვებს'
 ობურჯანს 'შფოთავს'³
 ოხვამანს 'ლოცულობს'
 ომოჭვანს 'კრუხავს'
 ობურთანს 'ბურთაობს'
 ოჯგვიჭგვინანს 'გამოიყურება (ტლანქი რამ)'⁴

'ღ' ოონჯუ 'დაისალამოვა'
 ობურჯუ 'იშფოთა'
 ოხვამუ 'ილოცა'
 ომოჭ'ვ'უ 'იკრუხა'
 ობურთუ 'იბურთავა'
 ოჯგვიჭგვინუ (?)

ოპიჩვანს 'მარხულობს'
 ობირს 'მღერის'
 ო'ნ'გარს 'ტირის'
 ონჭუანს 'ისწრაფვის'
 ორგენს || ორგუნს || ორგანს 'გლოვობს'
 ოგანს 'ქრის'⁵
 ოგურუანს 'სწავლობს'

ოპიჩვუ 'იმარხულა'
 ობირუ 'იმღერა'
 ო'ნ'გარუ 'იტირა'
 ონჭუ 'ისწრაფა'
 'ღ' ორგუ 'იგლოვა'
 ოგუ 'იქროლა'
 ოგურუ 'ისწავლა'

მეორე ჯგუფის ზმნებს დრო-კილოთა პირველ ჯგუფში (აწმყოს წყებაში) უპრეფიქსო ფორმები ახასიათებს, ნამყო-ძირითადის წყებაში — ო პრეფიქსიანი (მეფობს — ომეფა ტიპი). ეს წარმოება ძირითადია ქართულისათვის. მეგრულში იგი მეტწილად ქართულიდან ნა-სესხებ ფუძეებში გვხვდება. მაგ.:

აწმ.

ნ. ძირ.

გვარგვალანს 'ხვარხვარებს'
 ორჩანენს 'ოჩნობს, ზარმაცობს'
 ცხოვრენს 'ცხოვრობს'
 ქეიფენს 'ქეიფობს'
 დარდენს 'დარდობს'
 ნადირენს 'ნადირობს'
 ცოცხლენს 'ცოცხლობს'
 ფიქრენს 'ფიქრობს'

ოვარგვალუ 'იხვარხვარა'
 ოორჩანუ 'იოჩნა, იზარმაცა'
 ოცხოვრუ 'იცხოვრა'
 ოქეიფუ 'იქეიფა'
 ოდარდუ 'იდარდა'
 ონადირუ 'ინადირა'
 ოცოცხლუ 'იცოცხლა'
 ოფიქრუ 'იფიქრა' და სხვა.

³ ნიმუში ამოღებულია არნ. ჩიქობავას შრომიდან: ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, იკვ. XI, 1959, გვ. 153.

⁴ მაგალითი ამოღებულია არნ. ჩიქობავას შრომიდან: სახელის ფუძის უძველესი აგებულება, გვ. 25.

⁵ იქვე, გვ. 168.

სხვა ჩვეულების მედიოაქტივი ზმნები დრო-კილოთა ორსავე სერაში
 • პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი. წარმოება ანალოგიურია ძვე-
 ლი ქართულის მ ე ფ ო ბ ს — ჰ მ ე ფ ა ტიპის წარმოებისა, თანამედ-
 როვე ქართულმა ის არ იცის. მაგ.:

აწმ.

სხაპუნს 'ცეკვავს'
 ლალუნს 'ყეფს'
 ქულანს 'კოქლობს'
 ფურინუნს 'ფრენს'
 კვათანს || კვათუნს 'წვეთავს'
 'ნ'ჩურუნს 'ცურავს'
 კვინს 'წვიმს'
 გურგინუნს 'გრგვინას'

ნ. ძირ.

'ქო'სხაპუ 'იცეკვა'
 ლალუ 'იყეფა'
 ქულუ 'იკოქლა'
 'ქო'ფურინუ 'იფრინა'
 კვათუ 'იწვეთა'
 'ქო'ნ'ჩურუ 'იცურა'
 'დო'კვინუ 'იწვიმა'
 'გო'გურგინუ 'დაიგრგვინა'
 და სხვ.

მედიოაქტივ ზმნათა ზემოთ განხილული სამი ტიპი მეგრულ-ქა-
 ნურში ისტორიულად ერთზე დაიყვანება. მათთვის ამოსავალი ის მო-
 დელი უნდა იყოს, სადაც • პრეფიქსი გვაქვს როგორც ნამყო-ძირითა-
 დის, ისე აწმყოს წრის ფორმებში. მაგ.: ჰან. ინჩვირს — ინჩვირუ,
 იბურბალს — იბურბალუ, მეგრ. იხვამანს — იხვამუ, იონჯუნს —
 დიონჯუ...

აწმყოს ფორმებში პრეფიქსების დაკარგვის შედეგად ვიღებთ
 უღვლილებს მეორე ტიპს: ჰან. ხორონაფს — იხორონუ, სტვინუფს
 — დისტვინუ, მეგრ. გვარგვალანს — იგვარგვალუ, ორჩანეს — იორ-
 ჩანუ...

ბუნებრივია, რომ •-ს დაკარგვის პროცესი არათანაბრად მიმდი-
 ნარეობს მეგრულსა და ჰანურში, ასევე — მათს კილოკავებში. მაგ.:
 ხორონაფს (ხოფ.) 'ცეკვავს', შდრ. იხორონამს (ათინ., ვიწ.-არქაბ.);
 ვალუფს (ხოფ.) 'ელავს', შდრ. დივალამს (ათინ.); იხვამუფს || ხვა-
 მუფს 'ლოცულობს' (ხოფ.), მეგრ. იხვამანს 'ლოცულობს', შდრ. ხვამუ-
 ლენს; იგურუნს 'სწავლობს', შდრ. გურათულენს; ირგგენს || ირგანს
 'გლოფობს', შდრ. რგუნს; ჰან. ინჩვირს 'ცურავს', შდრ. მეგრ. 'ნ'ჩუ-
 რუნს...

პროცესის შემდგომი საფეხურია • პრეფიქსის მოშლა ნამყო-ძი-
 რითადის ფორმებშიც, მეგრ., სხაპუნს 'ცეკვავს' — სხაპუ 'იცეკვა', ქუ-

ლანს 'კოკლობს' — ქულუუ 'იკოკლა', ჰან. ლალუფს — 'ყეფს' — ლალუ 'იყეფა', პეტელაფს 'ბლავის' — პეტელუ 'იბლაველა'...

ეს დაკარგვის პროცესი დამთავრებული არ არის. ამიტომაც, რომ, მაგალითად, ჰანურში ერთი და იგივე ზმნა დრო-კილოთა მეორე ჯგუფში • პრეფიქსითაც შეიძლება შეგვხვდეს და უპრეფიქსოდაც; ხსორონუ || ხორონუ 'იციკვა', მლოროუ || მლორუ 'იბლაველა'...

ამგვარად, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ორი ტიპი მეფობს — მმეფა, მცინის — მცინა დასტურდება სამსავე ქართველურ ენაში: ქართულში, სვანურსა და მეგრულ-ჰანურში. მეგრულ-ჰანურისათვის, სვანურისა და ქართულისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია მესამე ტიპიც — მედიოაქტივ ზმნათა წარმოება პრეფიქსის გარეშე დრო-კილოთა ორსავე სერაში. ძველ ქართულში ამ მოვლენის მხოლოდ ჩანასახი გვაქვს (მეფობს — მმეფა ტიპი).

მოვლენის ისტორიული შესწავლა გვიჩვენებს, რომ მედიოაქტივ ზმნათა ფორმებში პრეფიქსები იშლება. ამის შედეგად წარმოების ერთი ტიპი, კერძოდ, მცინის — მცინა ტიპის წარმოება იცვლება მეორით, მეფობს — მმეფა ტიპის წარმოებით. მაგ., აწმ. მგლოვს — ნ. ძირ. მგლოვა, შდრ. ახ. ქართ. გლოვობს — მგლოვა; აწმ. მმარხავს — ნ. ძირ. მმარხა, შდრ. ახ. ქართ. მარხულობს — მმარხულა; აწმ. მლოცავს — ნ. ძირ. მლოცა, შდრ. ახ. ქართ. ლოცულობს — მლოცა; აწმ. მმრუშებს — ნ. ძირ. მმრუშა, შდრ. ახ. ქართ. მრუშობს — მმრუშა...

მედიოაქტივ ზმნათა • პრეფიქსიანი ფორმები აწმყოში ისეთ შემთხვევაში, როცა ქართულში ის არა გვაქვს (ზოგი მათგანი ქართულის კანონზომიერ შესატყვისის წარმოადგენს, სხვა შემთხვევაში მათი შინაარსობრივი ეკვივალენტები გვაქვს მხოლოდ, ანდა ქართულიდან ნასესხები ფუძეებია), დასტურდება სხვა ქართველურ ენებშიც — მეგრულ-ჰანურსა და, განსაკუთრებით, სვანურში. მაგ.:

ხვანურში: მთხვიარ (აღთხვიარე) 'ნადირობს', მკლმანი (ანკლმანი) 'თევზობს', მთვეფ (აღთვეფე) 'ისვრის თოფით', მკლი (ლმკილ) 'კელობს, კოკლობს', მკეჩხი (ლმკეჩხი) 'კოკლობს', მქეიფ (ლმქეიფე) 'ქეიფობს'; მმსახვიარ (ლმმსახურე) 'მსახურობს'; მნგზარ (აღნგზარე) 'მგზაურობს' და სხვა.

ჰანურში: მჩვიარს (მჩვიარუ) 'კურავს', მნგორს (მნგორუ) 'გო-

რავს', **იბურბალს** (**იბურბალუ**) '**ბრუნავს**', **ინქორს** (**ინქორუ**) '**ამთქნარებს**', **იხორონამს** (**იხორონუ**) '**ეკეკავს**', **იგზალს** (**იგზალუ**) '**მგზავრობს**'...

მეგრულში: **იბირს** (**იბირუ**) '**მღერის**', **ინგარს** (**ინგარუ**) '**ტირის**', **იპიჩვანს** (**იპიჩვუ**) '**მარხულობს**', **იხვამანს** (**იხვამუ**) '**ლოცულობს**', **იონჯუანს** (**დოონჯუ**) '**ისამლამოვებს**'...

ძველი ქართულისა და სხვა ქართველური ენების მონაცემთა გათვალისწინება საფუძველს იძლევა ვაივარაუდოთ, რომ **ი** პრეფიქსი აწმყოს ფორმებში საზოგადოდ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი მედიოაქტივ ზმნებისათვის. **ი**-პრეფიქსის მიხედვით აწმყოსა და ნამყო ძირითადის ფორმათა დაპირისპირება აღნიშნულ ზმნებთან მეორეული ჩანს, მიღებული აწმყოს ფორმებში პრეფიქსის დაკარგვის შედეგად. **ე. ი. მ. ე. ფ. ო. ბ. ს. — ი. მ. ე. ფ. ა. ტ. ი. პ. ს.** წარმოება ისტორიულად მიღებული ჩანს **ი. ც. ი. ნ. ი. ს. — ი. ც. ი. ნ. ა.** ტიპის წარმოებისაგან. **ცურავს, გორავს, დრტყნავს, მეფობს, დღესასწაულობს, სამხრობს, დადადებს** ტიპის ზმნათა უპრეფიქსო ფორმები აწმყოში შემდეგდროინდელია. ამგვარ ზმნებთან აწმყოს **ი** ხმოვანი დაჩნდება ნამყო-ძირითადში ისევე, როგორც **ა ხმოვანი — პრგებს — არგო, ვნებს — ავნო, სტკენს — ატკინა, სწყენს — აწყინა...** ზმნათა შემთხვევაში (**არგებს, ავნებს...** ძველი ქართულისათვის აწმყოს ფორმებია, **პრგებს, ჰვნებს...** ახალი ქართულის ვარიანტებია).¹

მედიაოაქტივ ზმნათა წარმოება **ი** პრეფიქსის გარეშე დრო-კილოთა ორსავე ჯგუფში, **ე. ი. ფორმათა** სრული დეპრეფიქსაცია, რაც, ძირითადად, დამახასიათებელია მეგრულ-ჭანურისათვის, მოვლენის განვითარების შემდგომი, ბოლო ეტაპია (**შდრ. მეგრ. სხაპუნს — სხაპუ 'ცეკვავს — იცეკვა', ქულანს — ქულუუ 'კოკლობს — იკოკლა', ჰან. ლალუფს — ლალუ 'ყეფს — იყეფა', ხორონაფს — ხორონუ 'ცეკვავს — იცეკვა'...**).

ხომ არ შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ისტორიულად **ს ტ უ - ე ნ ს || ი ს ტ უ ე ნ ს, ბ რ დ ლ უ ე ნ ს (→ ბ რ დ ღ ე ნ ა ვ ს) || ი ბ - რ დ ლ უ ე ნ ს, გ ლ ო ვ ს || ი გ ლ ო ვ ს, მ რ უ შ ე ბ ს || ი მ რ უ შ ე ბ ს, ღ ა ღ ა დ ე ბ ს || ი ღ ა ღ ა დ ე ბ ს, ს ა დ ი ლ ო ბ ს || ი ს ა დ ი ლ ე ბ ს...**

¹ პრგებს — არგო, ჰვნებს — ავნო... ფორმათა ამგვარი ინტერპრეტაციისათვის იხ. ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, ივე, XI, 1959, გვ. 164, 166.

ვარიანტებს შორის სხვაობა მორფოლოგიურია და არა ფონეტიკური. როგორც ჩვენ ვფიქრობთ; რომ იმთავითვე არსებობდა ერთიანი ფუძისაგან ნაწარმოები როგორც **o**- პრეფიქსიანი, ისე უპრეფიქსო ფორმები. მათგან უპრეფიქსო ფორმა (სტუენს, ბრდლუენს, გლოვს, მრუშებს, ლალადებს, სადილობს...) გარდაუვალი სტატიკური ზმნისა იყო, პრეფიქსიანი (ისტუენს, იბრდლუენს, იგლოვს, იმრუშებს, ილა-ლადებს, ისადილებს...) — გარდამავალი დინამიკური ზმნისა, სადაც **o** რეფლექსურ-უკუქცევით შინაარსს გამოხატავდა, უკავშირდებოდა უ-კუქცევითი ნაცვალსახელი თავი? ვფიქრობთ, ამგვარი ვარაუდისათვის საფუძველი არ რჩება.

თუ ისტუენს, იბრდლუენს, იგლოვს, იმრუშებს, ილალადებს, ისადილებს ტიპის ზმნებთან უკუქცევითი ნაცვალსახელი **თ ა ვ ი ა** საგულისხმებელი, იგი უნდა ვივარაუდოთ მათ უპრეფიქსო ფორმებთანაც: სტუენს, ბრდლუენს, გლოვს, მრუშებს, სადილობს... თავისთვის, თავის თავს.² ძველ ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში უპრეფიქსო და **o**- პრეფიქსიან ფორმებს შორის — სტუენს || ისტუენს, გლოვს || იგლოვს, მრუშებს || იმრუშებს, ლალადებს || ილალადებს, ჰან. ხორონაფს || ხორონამს 'ცეკვავს', ხვამუფს || ხვამუფს 'ლოცულობს', სვან. ღვაქრე || იღვჰარ 'ვაჰრობს', ქეიფე || იქეიფ 'ქეიფობს'... — სემანტიკის მიხედვით არ არსებობს არავითარი განსხვავება. არა გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ ის არც უფრო ადრეულ პერიოდისათვის.

თუ პარალელურად არსებულ ვარიანტებს: სტუენს || ისტუენს, გლოვს || იგლოვს, მრუშებს || იმრუშებს, ლალადებს || ილალადებს... ისტორიულად ორ სხვადასხვა მორფოლოგიურ ოდენობებად მივიჩნევთ, უღვლილების სხვადასხვა მოდელს მივაკუთვნებთ, მაშინ აუხსნელი დარჩება, რატომ გაქრა აწმყოს წყების ფორმები პრეფიქსიან ზმნათა პარადიგმიდან (შდრ. ძვ. ქართ. ნ. ძირ. იქუხა, აწმ.—; ნ. ძირ. იყეფა, აწმ.—; ნ. ძირ. იდრტუნა, აწმ.—; ნ. ძირ. იდღესასწაულა, აწმ.—; ნ. ძირ. იკრჩხიალა, აწმ.—; ნ. ძირ. იავაზაკა აწმ.—...).

არსებითია ისიც, რომ სტუენს, გლოვს, მრუშებს, მეფობს... ტიპის ზმნათა უპრეფიქსო ფორმებს მხარს არ უჭერს სხვა ქართველური ენების მონაცემებიც. ჰან. ინჩვირს 'ცურავს', ინგორს 'გორავს',

² აქ დაისმის სხვა საკითხიც: რატომ დაიკარგა **თ ა ვ ი ა** ამგვარ ზმნებთან, როცა სხვა შემთხვევაში ის დაკულია? შდრ. მოიკლავს, განიკურნავს, განიმართლებს, შეირცხვენს... თავს.

ებურბალს 'ბრუნავს', ოხორონამს 'ცეკვავს'... მეგრ. ონჯუანს 'ისალა-
მოვებს', ონჯარს 'ტირის', ობირს 'მღერის', ობურჯანს 'შფოთავს'...
სვან. ოკლი 'კელობს', ოთხვიარ 'ნადირობს', ოკელმზნი 'თევზაობს',
ონგზარ 'მგზავრობს', ომსახვირ 'მსახურობს', ოქეიფ 'ქეიფობს', ო-
ვანშმელ 'ვანშობს'... ისტორიულად ამ ტიპის ზმნათა პრეფიქსიან
ფორმებს გვავარაუდებინებს.

**სტუნეს || ისტუნეს, ბრდლუნეს || ობრდლუნეს, გლოვს || ოგ-
ლოვს, მრუშებს || ომრუშებს, ღაღადებს || ოღაღადებს...** ფუნქციი-
თაც ერთია და აგებულებითაც, მათ შორის სხვაობა ფონეტიკურია -
და არა მორფოლოგიური. ისტორიულად უპრეფიქსო ფორმები მო-
მდინარეობს პრეფიქსიანი ფორმებისაგან.¹

ასევე უ-/ო- პრეფიქსი უნდა ვივარაუდოთ ისტორიულად ორპი-
რიან მედიოაქტივ ზმნათა აწმყოს წყებაშიც: ჰრქენს, ჰკებენს, სწამ-
ლობს... ჰ რ ქ ე ნ ს — უ რ ქ ი ნ ა ტიპის წარმოება მიღებული უნდა
იყოს უ ქ მ ო ბ ს — უ ქ მ ო ტიპის წარმოებისაგან.

ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა ძველ ქართულში ზოგი
უ/ო პრეფიქსიანი ფორმის არსებობა აწმყოს წყებაში, როცა თანა-
მედროვე სალიტერატურო ენაში უპრეფიქსო წარმოება გვაქვს. მაგ.:

აწმ. უკებენს, შდრ. ახ. ქართ. ჰკებენს: უბრძანე ვეშაპსა და უკ-
ბენდეც მათ: ამოს 304, 95 4. და იყოს დან გუელ გზასა ზედა...
უკბენდეც ტერფთა ცხენთასა და დაეცეს მკედარი მართლუყუნ:
დაბად. 49, 17.

აწმ. ურქენს, შდრ. ახ. ქართ. ჰრქენს: რქითა თქუენითა უ რ -
ქ ე ნ დ ი თ : ეზეკ. 34, 91. უკუეთუ ვისპანმე კურომან უ რ ქ ი ნ ო ს

¹ საყურადღებოა, რომ აფხაზურ-ადიღურ ენებში ქართულის ე. წ. მედიოაქტივ
ზმნათა ფარდი ზმნები დინამიკურია. დინამიკური ზმნები მორფოლოგიურად
გასხვავდება სტატიკური ზმნებისაგან. ადიღურ ენათა სტატიკურ ზმნებს
ისტორიულად დინამიკურ ზმნათაგან მომდინარედ თვლის გ. როგავა.
წარმოშობით დინამიკური ზმნის ფორმებად მიჩნია მას ქართულში „უპურიეს“ ტიპის
სტატიკური ზმნებიც (Г. В. Рогова, Динамические и статические глаголы в адыгских
языках, იყ, VIII, 1956, გვ. 459-467; შდრ. ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე. ზმნის ძირითადი
კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, გვ. 183-185).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით ბაცბურის ჩვენება.
ბაცბურში ქართული მედიოაქტივი ზმნები (მუშაობს, რაკრაკებს, ხარხარებს...
გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ზმნებად არის გაფორმებული) იხ. რ. გ ა გ უ ა, სესხების
ზოგადი წესები ბაცბურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო სესია,
1972, გვ. 26).

კურსა მოყუსისასა... გამოსლვ. 21, 35.

ამგვარ ვარაუდს მხარს უჭერს სვანური წარმოებაც. სვანურში ორპირიან მედიოაქტივ ზმნათა აწმყოს ფორმებში ზოგჯერ უ-/ო-პრეფიქსის ეკვივალენტი ო-/ო- პრეფიქსია წარმოდგენილი. მაგ.:

ბზ. ხ ო ლ უ ა გ გ რ ე 'სწამლობს (უწამლობს)' — ოთლუაგგრე 'უწამლა'.

ბზ. ხ ო ლ ლ ა ტ ი 'ღალატობს (უღალატობს)' — ხოლლატე, ოთ-
ლალტე 'უღალატა'.

ბზ. ხ ო დ რ ა ჯ ი 'უდარაჯებს' — ოთდარჯე 'უდარაჯა'.

ბზ. ხ ო პ ა ტ რ ო ნ ე 'პატრონობს' — ხოპატრონა 'უპატრონა'
და სხვა.

ამგვარად, ჩვენ შევეცადეთ ძველი ქართულისა და სხვა ქართველური ენების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გვეჩვენებინა, რომ ისტორიულად იმ ეფა, უწამლა ტიპის ზმნათა ფორმები მეფობს, სწავლობს ტიპის ზმნათა საკუთარი ფორმები (და არა ნასესხები). სხვაობა მათ შორის მეორეულია, წარმოქმნილი ფონეტიკურ ნიადაგზე, კერძოდ, აწმყოს ფორმებში პრეფიქსების დაკარგვის შედეგად. აწმ. *იმრუშებს → მრუშებს — ნ. ძირ. იმრუშა, აწმ. *იმეფებს → მეფობს — ნ. ძირ. იმეფა, აწმ. *ურქენს → ჰრქენს — ნ. ძირ. ურქინა, აწმ. *უწამლობს → სწამლობს — ნ. ძირ. უწამლა...

რაც შეეხება პირდაპირ ობიექტს, იგი, ჩვენი ვარაუდით, ამ ტიპის ზმნებს დაკავშირებული იმ წესით, რაც ნორმაა სხვა გრადამავალი ზმნებისათვის, ე. ი. „გარეგანი ობიექტის“ სახით არ უნდა ჰქონოდეთ. ვფიქრობთ, იმ ეფა, ურქინა ტიპის ზმნათა სახით საქმე უნდა გვექონდეს წარმოების სხვა წესთან.²

სიმპტომატურია, რომ იმ ეფა მან, ურქინა მან მას ტიპის წარმოება, ძირითადად, ნასახელარ ზმნებს ახასიათებს. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივი ჩანს პირდაპირი ობიექტის უქონლობასა და ზმნის ფუძედ სახელის გამოყენების ფაქტს შორის შინაგანი კავშირი ვივარაუდოთ (ცხადია, ამ ფაქტს არ შეიძლება რაიმე დამოკიდებულება ჰქონდეს უკუქცევითი ნაცვალსახელის — თავის ოდინდელ არსებობასთან).

² დამახასიათებელია, რომ ამგვარ ზმნებს არა აქვს რიგი მორფოლოგიური კატეგორია: ქცევა, გვარი, გეზი და სხვა.

„პირდაპირი ობიექტი“ იმეფა, ურჩინა ტიპის ზმნებისა უნდა იყოს ის, რაც ამ ზმნათა ფუძეებშია წარმოდგენილი, ე. ი. „პირდაპირი ობიექტი“ აღნიშნულ ზმნებთან „შინაგანი ობიექტის“ სახით უნდა გვქონდეს. იმეფა, ისერა, ინადირა, ურჩინა, უწამლა... ზმნათა „პირდაპირი ობიექტია“, ჩვენი აზრით, მეფე, სერი, ნადირი, რქა, წამალი...

ამ თვალსაზრსით ყურადღებას იქცევს ძველ ქართულში დადასტურებული ე. წ. კომპოზიტი ზმნები, ე. ი. ისეთი კომპოზიტები, რომელთა ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს ზმნა წარმოადგენს. ზმნურ კომპონენტად უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება ჰყოფს ზმნა. იხმარება იგი როგორც აწყოს, ისე ნამყო-ძირითადის წყებაში, იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით, ზოგჯერ **ე**, **უ** პრეფიქსებსაც ირთავს. დამახასიათებელია, რომ კომპოზიტში მონაწილე ზმნა ყოველთვის პრევერბის გარეშეა წარმოდგენილი.

ზმნიანი-კომპოზიტის სახელად ნაწილად შეიძლება იყოს: 1) არსებითი სახელი, 2) ზედსართავი სახელი, 3) ნაზმნარი სახელი, 4) უფორმო სიტყვა. სახელადი ნაწილი ამგვარ კომპოზიტებში ყოველთვის წინ უსწრებს ზმნურს და, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ფუძის სახით.¹

ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი ზმნიანი კომპოზიტები, რომელთა პირველ წევრად არსებითი (ან ნაზმნარი) სახელია. მაგ.:

ნუ ქელ-ჰყოფ საქმესა მაგას: ასურ. 123, 25. ტაძრობას-ჰყოფდა მდიდართა თანა: მრკ 6, 21 C. მაშინ დალაღ-ჰვეს ყლთა სარკინოზთა: კ. 1, 171, 9... სავანე-ყონ ღამესა მას შინა: საბა 16, 26, მრავალნი... ინაჯ-იდგმიდენ აბრაჰამის თანა: მ 8, 11. ინაჯ-იდგა ათორმეტთა მოწაფეთა თანა: მ 26, 20 C. ამბორს-უყოფდა მთ და იტყოდა: საბა 17, 34. ჰმა-უყო მათ და ჰრქუა: მ 20, 32 C. თავ-უყავ მამასა და დედასა: მ 15, 4 C. ... მზირ-უყავთ ვენაჯოვანასა შინა: მსაჯ.

¹ ე. ო ს ი ძ ე, „ღაღად-უო“ ტიპის ზმნები ძველ ქართულში: იკვ. XII, 1960, გვ. 267-273; მ. მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი, კომპოზიტები ქართულ ენაში: თბილისის სახ. უნ. შრომ., ტ. 67, 1957, გვ. 172-177; ჰ. თ ე ვ ზ ა ძ ე, რთული ზმნები ძველ ქართულში: ა. ს. პეშინის სახ. თბილისის პედ. ინსტ. შრ., ტ. XIII, 1959, გვ. 297-408.

21, 20... ს ი ტ ყ უ ა - უ გ ო ს მას ერთისა წილ სიტყვსა მისისა ათა-
სისაგან: იობ. 9, 3 და სხვა.

ამ კომპოზიტი-ზმნების სუბიექტი დრო-კილოთა მეორე წყებაში ყოველთვის მოთხრობით ბრუნვაში დგას. პირდაპირი ობიექტი ასეთ ზმნებს ცალკე არ მოეპოვება. ჯ ე ლ - ჰ ყ ო ფ , ღ ა ღ ა დ - ყ ო , ჯ მ ა - უ ყ ო , თ ა ვ - უ ყ ა ვ ... რთულ ზმნათა პირდაპირი ობიექტი მის შემადგენლობაშივე შემავალი სახელური ნაწილია.²

აღწერითი ფორმებიდან ორგანულ წარმოებაზე გადასვლისას³ გარკვეული ტიპის ზმნებში, არსებითად, შენარჩუნებული იქნა იგივე მდგომარეობა: ღ ა ღ ა დ - ყ ო მ ა ნ , შ დ რ . ი - ღ ა ღ ა დ - ა მ ა ნ , ხ ა დ გ უ რ - ყ ო მ ა ნ , შ დ რ . ღ ა - ი - ხ ა დ გ უ რ - ა მ ა ნ , მ უ ტ ღ ნ ი - დ ა ი დ გ ნ ა მ ა ნ , შ დ რ . ი - მ უ ტ ღ ნ - ა მ ა ნ (მრ. 10, 17 C), ჯ მ ა - უ ყ ო მ ა ნ მ ა ს , შ დ რ . უ - ჯ მ - ო მ ა ნ მ ა ს , მ შ ი რ - უ ყ ო მ ა ნ მ ა ს , შ დ რ . უ - მ შ ი რ - ა მ ა ნ მ ა ს ...

წარმოების ორსავე შემთხვევაში პირდაპირი ობიექტი ზმნის უშუალო შემადგელობაში შედის: პირველში — აღწერითად, მეორეში — ორგანულად. რთული ზმნის სახელადი ნაწილი — პირდაპირი ობიექტი — ორგანული წარმოებისას თვით იქცევა ზმნად პირის ნიშნის, თემის ნიშნისა და **ი-**, **უ-** პრეფიქსების დართვით.⁴ იმრუშებს, იღაღადებს, ინადირობს, ურქენს, უჯმობს... ზმნებთან (ისინი აწმყოს ფორმებია ძველ ქართულში) სხვა ობიექტი საკირო არ არის. ის თვით ზმნაშია.

ზოგჯერ მედიაოქტივ ზმნათა ფუძეებისაგან „გარდამავალი“ წარმოებაც გვაქვს. ზმნასთან წარმოდგენილია „გარეგანი“ ობიექტიც. მაგ.:

...ბრძანა მოწოდებაჲ მონათაჲ მათ... რაჲთა უწყოდის, რაჲ -
ი გ ი ი ვ ა კ რ ე ს : ლ . 19, 15 C. ე ს ე ს ი ტ ყ უ ა მ ი ლ ო ც ა : კ . I
274, 22. ღ ა ი ლ ო ც ა ლ ო ც ვ ა მ ი ა კ ო ბ და თქუა: დაბად. 28, 20.
გ წ ს უ ე ნ ე ბ ა ს ა მ ის ს ა არ ა ი ნ ა ნ ის : ისოზირაქ. 20, 21. მ ა რ -
ხ ვ ა მ ი მ ა რ ხ ე თ ჩემთვის: ზაქარია 360, 7, 5; დ ღ ე ს ა ს წ ა უ -

² ე . ო ს ი ძ ე , დასახ. შრ., გვ. 277; მ . მ რ ე ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი . დასახ. ნაშრ., გვ. 173-174; შდრ. ი . ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 20, 120...

³ ზმნის აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის შესახებ საზოგადოდ იხ. ი . ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე . ზმნის აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის ისტორიიდან ქართულში: იყ. ტ. XIV, 1964.

⁴ **ი-**, **ე-** / **უ-** პრეფიქსები აღნიშნულ შემთხვევაში შესაძლებელია იყოს სახელთაგან ზმნური ფუძის საწარმოებელი თავსართი.

ლი ესე წმიდად იღღესასწაულეს: ანტიოქ. 54, 36. იგ-
ლოვა იგი უნ ერმან პრომისამან: კ. I 139, 18. ქურციკნი
მათნი არა იტირნეს: ფსალ. 211, 64.

ამ წესით დაკავშირებული პირდაპირი ობიექტი იმეფა ტიპის
ზმნებთან, ჩვენი აზრით, მეორეულია, შემდგომ განვითარებული.¹

ამ მხრივაც გვაქვს ანალოგია „ღაღად-ყო“ ტიპის ზმნებთან.
რთული ზმნების ერთ ჯგუფში სახელური ნაწილის პირდაპირ ობიექ-
ტად გაგება დაიჩრდილა. ამ ზმნებმა ახალი დამატება გაიჩინეს.² მაგ.:

ანუ ერთისა მის სიტყვსათვის, რომელ ღაღად-გყავ მათ
შორის, ვისაჩები მე თქუენ მიერ: საქმ. 180, 21... აღთქუმა-ყო
მოქმედთა მათ მიმართ თითოედი სატირი: მ. 20, 2 C... გული-
ს-მა-ყო იესუ ზრახვა იგი მათი: მ. 9, 4 C... მაშინ დრო-ყვეს
აღსლვაჲ პავლსი: საქმ. 110, 2... რა იგი ცოლ-იყო... მრკ. 6,
17 და სხვ.

ეს საკითხს სვამს საზოგადოდ მ-პრეფიქსით ნაწარმოები ისეთი
ნასახელარი ზმნების მიმართ, რომელთა ორპირიანობა სტაბილური
ჩანს, მაგრამ ურადღებას იქცევენ სხვა მხრივ: არა აქვთ ჩამოყალიბე-
ბული ქცევის სრული სისტემა: იტჯრთა (ვიტჯრთეთ სიმძიმე
დღისად: მ. 20, 12), იხარკა (... არცა სიტყუათა შემკობასა ვი-
ხარკებ: წარტყ. გ. 13), იკუმილა (ვიკუმილვე საკუმილავი ღამისად
პირველი: აპოკრიფ. 19), ისტუმრა (აღღა უცხოჲ ისტუმრე იგი:
ბოლნ. 43, 12), დაიმოწაფა (იესუ უმრავლესთა დაიმოწაფებს:
ი 4, 1)... ხომ არ არის მათთანაც მეორე პირი — პირდაპირი ობიექ-
ტი — შემდგომ განვითარებული, ე. ი. ხომ არ არის ასეთი ზმნები
წარმოშობით იმეფა ტიპისა? ეს კითხვა ასევე ისმის უ-პრეფიქ-
სით ნაწარმოები იმ სამპირიანი ზმნების მიმართაც, რომლებიც არ
იძლევიან სათანადო ქცევის გაგებას. უფრო მეტიც: ასეთი კითხვა შე-
იძლება დაისვას მ-, უ-პრეფიქსებით ნაწარმოებ ნასახელარ ზმნათა
მიმართ საზოგადოდ.

ამგვარად, იმეფა, ურქინა ტიპის ზმნათა წარ-

¹ ამ წარმოების უნდა იყოს პირდაპირი ობიექტი რიგ ორპირიან ზმნასთან
იუარა, იფიქრა, ინაღვლა, იმკურნალა, იყვირა, იღრი-
ალა...

² ე. ოსიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 268; მ. მრეველი შვილი, დასახ. ნაშრ.,
გვ. 174; ჰ. თევზაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 404.

მოება ისტორიულად ნასახელარ ზმნათა წარმოებაა. მაშინ როგორ ავხსნათ ის შემთხვევები, როცა იმეფა, ურქინა ტიპის წარმოებას მიჰყვება ზმნები, რომელთა ფუძეც არ ჩანს ნასახელარი, ანდა ნაწარმოები საერთოდ: ყეფს, დულს, ქუხს, ყივის, ფეთქავს...

ახსნა ორგვარი შეიძლება იყოს: შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზმნები, რომლებიც დღეს პირველადი ჩანს, წარმოშობით ნასახელარია, ანდა მეორეული წარმოებისაა. დასაშვებია ისიც, რომ ამგვარ ზმნათა მეორე სერიის ფორმები ნაწარმოები იყოს იმეფა, უკმო ტიპის ნასახელარ ზმნათა ანალოგიით.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს დრო-კილოთა მეორე ჯგუფში რიგ შემთხვევაში მასდარის ფუძეთა გამოყენება, როცა პირველი სერიის ფორმები ზმნურ ფუძეს ემყარება. მაგ.: ყივის — იყივლა, კივის — იკივლა, დის — იდინა, ქრის — იქროლა...³

შეიძლება დაგვასკვნათ: I. თანამედროვე სალიტერატურო ენაში მედიოაქტივ ზმნათა უმრავლესობა (როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი ზმნები) I და II სერიის ფორმებს განსხვავებულად აწარმოებს. აწმყოს წყებაში ასეთი ზმნები, ჩვეულებრივ, პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი: მეფობს, ვახშობს, ჰრქენს, სწამლობს, სდარაჯობს... ნამყო-ძირითადის ჯგუფში (ასევე მყოფადის წყებაში) მათ **o** ან **უ**-პრეფიქსი ახასიათებთ: **o** — ერთპირიან ფორმებს: **იმეფა** (იმეფებს), **ივახშმა** (ივახშმებს), **იჩქარა** (იჩქარებს)..., **უ**-**o** — ორპირიანებს: **ურქინა** (ურქენს), **უწამლა** (უწამლებს), **უდარაჯა** (უდარაჯებს)...

მოვლენის ისტორიულ-შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ მედიოაქტივ ზმნის ფორმათა ამგვარი დაპირისპირება მეორეულია. სხვაობა, რომელიც არსებობს აღნიშნულ ზმნათა აწმყოსა და ნამყო-ძირითადის წრის ფორმებს შორის, წარმოქმნილი უნდა იყოს ფონეტიკურ ნიადაგზე. მედიოაქტივი ზმნებისათვის **o**-, **უ**-პრეფიქსები ისტორიულად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო აწმყოს წყებაშიაც. სტვენს, დრტვინავს, დღესასწაულობს, სადილობს, ხელმწიფობს, დლადებს, მრუშობს, ჰკბენს, ჰრქენს ტიპის ზმნათა უპრეფიქსო ფორმები აწმყოში შემდეგდროინდელია, მიღებული პრეფიქსის დაკარგვის შედეგად. ისტორიულად **o** ს ტ ვ ი ნ ა , **o** დ რ ტ ვ ი ნ ა , **o** მ რ უ შ ა ,

³ შტრ. ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 429; ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, გვ. 68.

• დღესასწაულა, უკბინა, ურქინა... სტვენს, დრტვინავს, მრუშობს, დღესასწაულობს, სადილობს, ჰკბენს, ჰრქენს... ზმნათა საკუთარი ფორმებია (და არა ნასესხები!), ისევე როგორც — ავნო, არგო, აწყინა, ატკინა... ჰვნებს, ჰრგებს, სწყენს, სტკენს... ზმნებისა. **ი-, უ-, ა-** პრეფიქსებს ახალ ქართულში ასპექტის გამოხატვის ფუნქცია უკავშირედება.

არც ფორმათა ისტორია და არაც სემანტიკური ანალიზი, ჩვენი აზრით, არ უკერს მხარს ე. წ. მედიოაქტივ ზმნათა აწმყოს წრის ფრმები მივიჩნიოთ სტატიკური ზმნის ფორმებად. ყუფს, ცურავს, ნადირობს, სადილობს, სწამლობს... დინამიკური, აქტიური ზმნებია ისევე როგორც ხატავს, სწერს, სთხოვს... სხვაობა მათ შორის პირდაპირი ობიექტის ქონა-არქონაშია. სტატუსის მიხედვით აღნიშნული ზმნები ერთნაირად უპირისპირდება საკუთრივ სტატიკურ ზმნებს — თესია, წერია, ჰგონია და მისთანებს:

II. მედიოაქტივ ზმნებს: **იღაღადა, ისერა, დაისადგურა, იმუჯლნა, უკმო, უმზირა, ურქინა...** პირდაპირი ობიექტი არ უნდა ჰქონოდათ არც ისტორიულად. ობიექტი ამგვარ ზმნებში ფუქედ არის გამოყენებული, წარმოდგენილია „შინაგანი ობიექტის“ სახით. ისტორიულად აღნიშნულ ზმნათა „ობიექტი“, ჩვენი აზრით, უნდა იყოს **ღაღად-ი; სერ-ი, სადგურ-ი, მუჯლნ-ი, ვმა, მზირ-ი, რქა...** ისევე, როგორც არის ეს შესაბამის რთულ ზმნებში: **ღაღად-ყო, ხერობა-ყო, სადგურ-ყო, მუჯლნი-დაიდგნა, ვმა-ყო, მზირ-ყო...**

ამდენად, იმეფა ტიპის ზმნათა ერთპირიანობა ისევე, როგორც ორპირიანობა ურქინა... ტიპის ზმნებისა, თავდაპირველი მოვლენა უნდა იყოს. მეორე პირი იმეფა ტიპის ზოგ ზმნასთან შემდეგ უნდა იყოს განვითარებული.

ისევ მედიოაქტიური ზმნების შესახებ ქართულში*

ა. შანიძის კლასიფიკაციის მიხედვით, როგორც ცნობილია, ქართულში გამოიყოფა სამი გვარი: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი. საშუალი გვარის ზმნებს (წვიმს, ცურავს, მეფობს, ძევს, სძულს...), მისი თქმით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მცირე გამონაკლისს, საკუთრად მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვებათ. დანარჩენი მწკრივები კი შევსებული აქვთ იმავე ფუძის სხვაგვარად ნაწარმოებ ფორმათა საშუალებით. იმის მიხედვით, თუ როგორ ივსებენ ამ დანაკლისს, გამოირჩევა ორი ჯგუფი: მედიოაქტივი ზმნები და მედიოპასივები.

მედიოაქტიური ზმნები, მკვლევრის აზრით, დანაკლის ფორმათა შესავსებად თავისივე ფუძის მოქმედებითი გვარის ზმნათა სათავისო ქცევის ფორმებს იყენებს ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებით — პირდაპირობიექტური პირის გამორიცხვით. ამის გამო ისინი რამდენადმე მოქმედებითი გვარის თვისებას იზიარებენ: III სერიის ფორმებს ინვერსიულად იკეთებენ. ამას თან ერთვის სინტაქსური მოვლენაც: სუბიექტის ბრუნვად ასეთ ზმნებთან მოთხრობითია II სერიაში და მიცემითი — მესამეში: დულს წყალი, იდულებს წყალი, მაგრამ: იდულა წყალმა, უდულნია წყალს (შანიძე, 1973, 304-305).

საინტერესოა ამ მსჯელობის გაგრძელება: „უეჭველია, რომ ორივე რიგის „იდულებს“ (მხედველობაშია, იდულებს წყალი, იდულებს წყალს — ლ.ნ.) ერთია წარმოშობით, მაგრამ ფუნქციონალური განსხვავება მათ შორის ისე დიდია, რომ ყოვლად შეუძლებელია მათი მიჩნევა ერთი ზმნის ფორმად. პირიქით, ერთპირიანი „იდულებს“ არა ორპირიან „იდულებს“-თან არის, არამედ ერთპირიან „დულს“-თან, რომელსაც ის დანაკლის ფორმებს უვსებს“ (შანიძე, 1973, 473).

არნ. ჩიქობავა, როგორც ცნობილია, არ იზიარებს თვალსაზრისს

* წაკითხულია მოხსენებად არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 59-ე სამეცნ. სესიაზე (იხ. სესიის მასალები 2000, 44-45. სტატია გადაეცა დასაბუქვად იკვს XXXV ტომში 2001 წლის თებერვალს). ოჯი დამატებაა ნაწრომისა: მედიოაქტივი ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში (წინასწარი მოხსენება). შესრულდა ლექსიკოლოგიის განყოფილებაში 1964-1965 წლებში. დაბეჭკდა 1974 წ.. იკვ. XIX, გვ. 25-53.

საშუალო გვარის დამოუკიდებელ ერთეულად გამოყოფის შესახებ. ამ გვარის ზმნებს იგი სტატიკურ ზმნათა კლასში აერთიანებს,¹ მაგრამ ორსავე მკვლევარს მედიოაქტიურ (სტატიკურ — არნ. ჩიქობავა) ზმნათა უღლების სისტემასთან დაკავშირებით აქვს საერთო თვალსაზრისი (და ეს არსებითია ჩვენთვის). როგორც ა. შანიძე, ისე არნ. ჩიქობავა მედიოაქტიურ („სტატიკურ“) ზმნათა აწმყოს უხმოვანპრეფიქსო (ყევს, წუხს, ცხოვრობს...) და აორისტის სერიის ო-პრეფიქსიან ფორმებს (იყევა, იწუხა, იცხოვრა...), ჩვენი აზრით, სრულიად მართებულად, ერთ პარადიგმაში განიხილავენ,² ოღონდ არნ. ჩიქობავა (ა. შანიძისაგან განსხვავებით) — აორისტის ფორმებთან იყენ. („იყენებს“) კვალიფიკაციის მიწერით. შდრ., ა. შანიძე: დულს წყალი, იღულა წყალმა, უღულნია წყალს... არნ. ჩიქობავა: ავადმყოფობს

¹ აღნიშნული თვალსაზრისის საწინააღმდეგო არგუმენტები ვრცლად წარმოდგენილია ნაშრომში (ნოზაძე, 1974, 25-530). აქ შევინშნავთ ზოგადად: ფუნქციურ-სემანტიკური სხვაობა უდავო სტატიკურ ზმნებსა (ღვას... თესია... სახლობს...) და მედიოაქტიურ ზმნებს შორის (ყევს, ხობავს, ყვირის...) ენამ გამოხატა მათს პარადიგმაში — მორფოლოგია-სინტაქსის სფეროთა დონეზე: ღვას იგი — იღა იგი... თესია იგი — ეთესა იგი... სახლობს იგი — ესახლა იგი... შდრ. ყევს იგი — იყევა მან... (შდრ. აგრეთვე ამ ზმნათა აღწერითი ფორმები: ყევს — შეუფარეა... თესია — დათესილია... დევს — დადებულია...) განსხვავება აღნიშნული ტიპის ზმნებს შორის, ვფიქრობთ, უნდა აისახოს მათს გრამატიკულ კვალიფიკაციაში (შდრ. ჩიქობავა, 1948, 106-112; 1950, 051; 1967, 5-13, ასევე — სხვა ავტორთა ნაშრომები).

² საწინააღმდეგო თვალსაზრისისას — სინქრონიულ დონეზე მათი სხვადასხვა პარადიგმებდ მიჩნევის შემთხვევაში, ასახსნელია, რატომ აკლია ერთს სწორედ ის შერეუბები, რაც გააჩნია მეორეს: აწმ. დულს (სტატ.), აორ.—, მყ.—, თურმ.—; შდრ. აორ. იღულა (დინამ.), მყ. იღულებს, თურმ. უღულნია, აწმ.—...

აქვე უნდა შევინშნოთ, ჩვენთვის არ არის ნათელი, რის საფუძველზეა მიჩნეული ქველ-ის III ტომში (ტომის რედაქტორი ვ. თოფურია, 1953) წარმოდგენილ მედიოაქტიურ ზმნათა გარკვეული ნაწილის პარადიგმის წევრებად II სერიის შესაბამის ფუძეთა ო-პრეფიქსიანი ფორმები: დავობს (იყენ. იღავა, უღავია) გარდუე-დინამ., დარლობს (იყენ. იღარდა...), დეზერტირობს (იყენ. იღეზერტირა...), დედღუნებს (იყენ. იღედღუნა...), დღესასწაულობს (იყენ. იღღესასწაულა...), ეკიობობს (იყენ. იეკიობა), ეკვიანობს (იყენ. იეკვიანა...)..., ხოლო მედიოაქტიურ ზმნათა ზოგი ფორმის ხმარება — შემოფარგლული მხოლოდ ნაკთთა აწმყოს წყებით. ასეთებია ასევე გარდაუვალ დინამიკურ ზმნებად კვალიფიცირებული სალექსიკონო ერთეულები: დარაჭობს (მხოლოდ ნაკთთა აწმყოს წყებაში), დირიუორობს (მნაწ), დრტინავს (მნაწ), დუღუნებს (მნაწ), დულს (მნაწ), ელატს (მნაწ), ეკვობს (მნაწ) და სხვა.

(იყენ. იავადმყოფა, უავადმყოფა)³...

ორივე ავტორი ამ კლასის ზმნათა აორისტიკის სერიას ნასესხებად თელის, წარმოშობით სათაეისო ქცევის ფორმებად მიიჩნევს.

ჩვენს აღრინდელ ნაშრომში (ნოზაძე, 1974, 25-510), სადაც ვრცლად არის განხილული მედიოაქტიური ზმნების წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები, შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ამ კლასის ზმნათა (ყევს, ყვირის, ხოხავს, სამხრობს...) აორისტიკის *o*-პრეფიქსიანი ფორმები (ყეეფა, ყეევირა, *o*ხოხა, *o*სამხრა...) ისტორიულად არ არის ნასესხები. ისინი მედიოაქტიურ ზმნათა პარადიგმის ორგანული, საკუთარი ფორმებია. დიაქრონიულად ცვლილება მედიოაქტიური ზმნების | სერიაშია მომხდარი.

კერძოდ, ამ სისტემის ზმნათა აწმყოს წყების აღრინდელ ფორმებში *o*-პრეფიქსი იშლება, რის შედეგადაც ყალიბდება „დეფექტური“ პარადიგმა, დაპირისპირებული სერიათა მიხედვით ფუძის თავიკიდური ხმოვნის (ძირითადად, *o* ხმოვნის) ქონა-არქონის ნიშნით: აწმ. *o*ყუნესს — აორ. *o*ყუნესა → აწმ. *o*ყუნესის — აორ. *o*ყუნესა, ასევე: *o*ბრდლუენს — *o*ბრდლუნა → *o*ბრდლუნავს — *o*ბრდლუნა, *o*გლოვს — *o*გლოვა → *o*გლოვობს — *o*გლოვა...

³ ჩვენ ტერმინით „მედიოაქტიური“ აღნიშნავთ უგვარო, აქტიურ (დინამიურ) ზმნათა იმ ჯგუფს, რომლის ძირითადი მახასიათებლებია: დრო-კილოთა I და II სერიის ფუძეთა დაპირისპირება *o*- (ასევე — უ=) პრეფიქსის მიხედვით, აორისტიკი მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშნად -*es* სუფიქსი, III ჯგუფის ფორმათა წარმოება ინვერსიულად, II სერიის მწკრივებში სუბიექტი — ერგატივში, პირდაპირი ობიექტის უქონლობა.

არნ. ჩიქობავამ, როგორც ცნობილია, საშუალო გვარის ფორმები — მედიოაქტიური (ეურავს, ტრიალებს, ბანდიტობს...) და მედიოპასიური (ღვას, წევს, სძულს...), ასევე — სტატიკური ვნებითები (თესია, კილია, ყრია...), ჩვენი აზრით, უმართებულოდ ერთ სისტემაში — სტატიკურად კვლიფიციურებულ ზმნათა კლასში გაერთიანა. აღნიშნულ ზმნათა სინქრონიული და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ისტორიულ-შედარებითი ანალიზი მხარს ან უკერს საკითხის ამგვარ გადაწყვეტას (იხ. ნოზაძე, 1974, 25-51).

რაც შეეხება მედიოპასიურ ზმნებს (წევს, ღვიძავს...), ჩვენც მათ სტატიკურ ზმნათა ჯგუფში განვიხილავთ სტატიკურ ვნებითებთან (თესია, კილია, უპყრია...) ერთად (ნოზაძე, 1974, 27). მოგვიანებით საკითხი ასევეა გადაწყვეტილი ბ. გიგინეიშვილის სტატიაში (იხ. გიგინეიშვილი, 1987, 87-91), შდრ. Deeters (1930, 116-119), სადაც აკლს, შურს, აბს, წევს და სხვა. სტატიკურ ზმნათა როგორც განხილულია აქტიური ზმნებიც: დუღს, თოვს, ქუხს და მისთ.

აღნიშნული ვარაუდი, უპირველეს ყოვლისა, ემყარება ძველი ქართულის ჩვენებას, ასევე — სხვა ქართველური ენების მონაცემებს.

ძველ ქართულში მედიოაქტიური ზმნები I სერიის მწკრივებში, ჩვეულებრივ, O- პრეფიქსით არის წარმოდგენილი: წუხს, ტირის, ქუხს, ყეფს, ყურის და მრავალი სხვა. იშვიათად, გამონაკლისის სახით, ამ პოზიციაში ზოგ მედიოაქტიურ ზმნასთან o- თავსართი გვხვდება. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მათ (რომლებიც ენას შემორჩა) უპრეფიქსო წარმოება ახასიათებს. მაგალითად:

აწმ. აქუელს, იბრღლუენს, ისტუენს, იგლოვს, იკუნენს⁴ იწ, იმლერწი, ინანწი, ითხეელის, ისიძავს, ილოცავს, იხარებს, იმრუშებს, ისამხრებს, ისერებს, ინადირობს, ივაჰრობს⁵...

ძველ ქართულში, ძირითადად, ფიქსირებულია ამ ზმნათა II სერიის ფორმებიც: იბრღლუნა, ისტუნა, იგლოვა, იალმლერა, ინანა, ისიძა, ილოცა, იხარა, იმრუშა, ისამხრა და სხვა. შემთხვევითია, რომ ზოგი მათგანი (იქუელა, იკუნესა, იქურტიტა...) დადასტურებული არა გვაქვს (ნოზაძე, 1974, 25-51).

⁴ კუნეს — < *კუნ-ენ (თუ *კუნის)... Vogel, 1947, 48; ფენრიხი — სარჯველაძე, 2000, 281-182.

⁵ ამ რიგის ზმნათა სათანადო ილუსტრაციები განხილულია ჩვენს ნაშრომში (ნოზაძე, 1974, 25-51). დამატებით წარმოვადგენთ ახალ მასალას ზოგი ფორმისათვის:

იქურტდა იგი კარით მ.ცხ. 261r; ყოველნი მტერნი შენნი ისტუენდეს O გოდ. იერ. 2, 16; ვითარცა ჭარბნი, იქედნენი ისტუნვიდეს: წარტყ. ივ 13; იცინიედ უგუნურად და სტუნვედ მ. ცხ. 23, 32; დაუკურდეს, ისტუნონ და თქუან O III მფ. 9, 8; იქუელდა იგი და აღმოპურიდა თელგმასა მ. ცხ. 126 r (შდრ. ვინ იქუელდეს... კარაბ. 109, 28; ყოველი ესე ქალაქი იქუნესის მისთვის ფლკტ 136, 12; მღღელნი მისნი კუნესიან O გოდ. იერ. 1, 4; ისიძვა თამარ... და მიდგომოდ არს სიძეთა დაბ. 38, 24, დედანიცა იგი და ქმარნი მათნი ყოველნივე გამტერიანდეს, გორვიდეს პატერ. I. 94, 1, შდრ. გამტერიანდეს, გორვიდეს მ. ცხ. 195 r; ვა დაეცა იგი ქუეყანასა, გორვიდა და პეროოდა მრკ. 9, 20; შეაკოლტის ერთად და ინგორის მარტულასა მას ზედა სახის მეტყ. იზ. 11; იწ 7; ვითარცა ლომი იმულრობს Sin - 97, 37 V; კაცადკაცი ცოლისა მიმართ მოყუნისა თქისა იქურნობდა (ქურნობდა O) J იერ. 5, 8; ასული იგი საულისი იქურობდა სარკემლით გამო O II მფ. 6, 16; იქურა კარსა მ. ცხ. 391 V; შდრ. სარკემლით სახლისაგან მისისა გზასა ზედა ქურობს იგ. სოლ. 7, 6... მუნ უბრძნო ვეშასა და უკებენდეს მათ. O ამოს, 9, 3; რომელი დაარღუევდეს ზღუდესა, უკბინოს მას O ვკლ. 10, 8; შდრ. გუელი ჰკებენდა Q II, შქ. 8, 15... (მასალა ძირითადად ამოღებულია ი. აბულაძის ლექსიკონიდან, 1973).

ძველი და ახალი ქართულის ზოგ ფორმათა შეპირისპირებითი ანალიზი ავლენს ხმოვანპრეფიქსების მოშლის ტენდენციას მედიოაქტიურ ზმნათა I სერიის მწკრივებში. სხვა ქართველურ ენათა მონაცემები კიდევ უფრო მკვეთრად გახაზავს ამ პროცესის რეალურობას.

რიგი სვანურ-კოლხური შესატყვისი ფუძე ქართულში **o-** თავსართის აღდგენას უჭერს მხარს ზოგ ისეთ ფორმაში, რომელიც ძველ ქართულ ტექსტებში ფიქსირებულია უპრეფიქსო ვარიანტის სახით. შდრ., სვან. იკლი — ქ. კელობს (←*იკელის), ლაზ. ინჩირს — ქ. ცურავს (←*იცურს), ინგორს — ქ. გორავს (←*იგორს, შდრ. იგორვიდა, პატერ. I, 94, 1), ინქორს — ქ. *იფქნარს „ამთქნარებს“⁶...

არქაული ეპოქის ქართულში მედიოაქტიურ ზმნათა აწმყოს სერიაში **o-** თავსართს გვაგვარაუდებინებს მათი სვანურ-კოლხურ სემანტიკურ ეკვივალენტთა სტრუქტურულ მოდელებთან შეპირისპირებაც. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა სვანური, საერთოდ ცნობილი მისთვის დამახასიათებელი არქაიზმებით. მაგალითად,

სვან. ბზ ბბჷკი (ლბბბჷკი)⁷ „დაღის“, ზსგ. ფჷნი (ლბბგჷნე) „ტირის“, ბზ. თთჷფე (ბდთჷფე) „ისერის (თოფით)“, ბზ. თხჷინარ (ბდთხჷინარე) „ნადირობს“, ბზ. იმარგ (ბნმარგი) „ხარობს, ვარგობს“, ზსგ. ინყჷნე (ლბბნყჷნე) „მასლაათობს“, ბზ. ფურწყჷრჷ (ბდურწყჷრჷ) „მარხულობს“, ბზ. იქრანი (ბნქირდე) „ქირობს“, ზსგ. იქეიფე (ლბბქეიფე) „ქეიფობს“, ბქ. იღრი (ბდღერი) „ცურავს“, ბზ. ილჷჷმი (ბდლჷჷმე) „მარხულობს“, ზს. იყდი (ბნყიდ) „ყიდულობს“... შდრ. ბზ. ხოლჷაგგრე (ოთლჷაგგრე) „სწამლობს, *ხუწამლის“, ბზ. ხოლლატი (ხოლლატი) „ლალატობს, *ხუღალატი“ და სხვ. (იხ. თოფურია, ქალღანი, 2002, აგრეთვე — ნოზაძე, 1974, 25-51).

ლაზ. ბირს (ბბირუ) „მღერის“, ბბურბალს (ბბურბალუ) „ბრუნავს“, ბგზალს (ბგზალუ) „მგზავრობს, *იგზავს“, ბბვამამს (ბბვამუ) „ლოკულობს“, ბჩალიშამს (ბჩალიშუ) „ჩალიჩობს“, ბსინათამს (ბსინათუ) „მუსაიფობს“, ბბორონამს (ბბორონუ) „ცეკვავს“...

მეგრ. ბგანს (ბგუ) „ქირის“, ბნგარს (ბნგარუ) „ტირის“, ბბურჯანს

⁶ *ფქნარ - არქეტიპი ქართულ-კოლხური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა ზ. სარჯველაძემ (1970, 235) ქართველურ ენათა მასალა შეპირისპირა არნ. ჩიქობავამ (1938, 339-340).

⁷ აქ და სხვა შემთხვევაშიაც ფრჩხილებში მოცემულია დასახელებული ზმნის შესაბამისი ფორმა აორისტში. მასთან შეწყობილი სუბიექტი, ცხადია, ერატივია.

(ებურჯუ) „შფოთავს“, აპიჩვანს (აპიჩვუ) „მარხულობს“, იმოკვანს (იმოკვუ) „კრუხავს“. ებურთანს (ებურთუ) „ბურთაობს“...⁸

ამ შეპირისპირებაში არსებითია ჩვენება მედიოაქტიურ ზმნათა ზემოთ განხილული პარადიგმის (ქართ. აწმ. ისტუენს — აორ. ისტუნა, სვან. აწმ. ემზირ „ლოცულობს“ — აორ. ლაჰმეზრე „ილოცა“, ლაზ. აწმ. ეგზალს „მგზავრობს“ — აორ. ეგზალუ „იმგზავრა“, მეგრ. აწმ. ინგარს „ტირის“ — აორ. ინგარუ „იტირა“...) სიძველისა, რომელიც ლაზურში, განსაკუთრებით სვანურში გვიანდელ პერიოდამდე მოქმედი ჩანს.

ამგვარად, აღნიშნული სისტემის ზმნათა შინაგანი და შედარებითი რეკონსტრუქცია არქაული ეპოქის ქართულში (resp. ქართველურ ენებში) აწმყოს ჭგუფის ფორმებში ხმოვანთავსართებს აღგვადგენინებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სისწორეს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისის — პრეფიქსაცია ქართველურ ენათა მორფოლოგიის (ფორმათა ფლექსია, დერივაცია) უძველესი დამახასიათებელი პრინციპია (ჩიქობავა, 1942; 1959, 151-168; თოფურია, 1979, 92-101; გამყრელიძე — მაჭავარიანი, 1965, 373...)⁹

ბუნებრივია, რომ ამ მხრივ გამონაკლისს არ ქმნის ისეთი სიძველის ზმნები, როგორიც მედიოაქტიური ზმნებია. თავდაპირველად, საწყის ეტაპზე, ხმოვანთავსართიანი წარმოება საზოგადოდ დამახასია-

⁸ იენენს, აჟელს. ისტუენს. ისიძეს, ილოცავს და მისთ. *იწუნს, *იტირს, *იყურს, *იქუნს და სხვა ამგვარ ფორმათა არსებობასაც გულისხმობს ისევე, როგორც სვან. იკლი || იქუჩხი „კოკლობს“, ემზირ „ლოცულობს“, ეგუნე „ტირის“ და სხვა. *იკლი „კივის“, *იჟული „ბღაღის“, *იქუმი „ბოლავს“ და მისთ. ამ ჭგუფის სხვა ზმნათა აპრეფიქსიან ფორმებს გვავარაუდებინებს. მსგავსად, კოლხ. ინგორს „გორავს“, ეგზალს „მგზავრობს“, იბირს „მღერის“, იგანს „ქრის“, აპიჩვანს „მარხულობს“ და ა.შ. ამ ენებში ისტორიულად მედიოაქტიურ ზმნათა აპრეფიქსიანი ფორმების აღდგენას უჭერს მხარს.

⁹ აღნიშნულ თვალსაზრისს განამტკიცებს ჩვენს მიერ პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული კლდევის შედეგებიც: ვნებითის პრეფიქსული წარმოება ქართველური ზმნისთვის დამახასიათებელი ძველის-ძველი მოვლენაა. სუფიქსური ვნებითები შედარებით ახალი წარმონაქმნია, პროდუქტი — იმ ეპოქისა, როდესაც ქართველურ ენათა ზმნურ სისტემაში სუფიქსაცია საზოგადოდ იკათვავს გზას (ნოზაძე, 1961, 63-72; 2000, 174-196).

ათებელი უნდა ყოფილიყო ამ კლასის ზმნებისთვისაც.

მაშასადამე, მედიაოაქტიურ ზმნათა „ღეფექტური“ პარადიგმა: წუხს — იწუხა, სვან. კილი „კივის“ — ლმჯილე „იკივლა“, ლაზ. ლა-ლუფს „იყეფს“ — დილაღლუ „დაიყეფა“, მეგრ. გვარგვალანს „ხვარ-ხვარებს“ — იგვარგვალუ „იხვარხვარა“... ისტორიულად დადასტურებული ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში მეორეულია, მიღებული სრული (მთლიანი) პარადიგმისაგან | სერიის მწკრივებში •-პრეფიქსის მოკვეციის შედეგად: იკუნესს — იკუნესა → კუნესის — იკუნესა, სვან. *იკუეც „იკვენეს“ — ლმჯუეც „იკვენესა“ → კუეც — ლმჯუეც...¹⁰

აღსანიშნავია, რომ ამ პროცესის გარდამავალი საფეხური — მედიაოაქტიურ ზმნათა ერთიდაიმავე ფუძის •-ხმოვანთავსართიანი და უპრეფიქსო ვარიანტები აწმყოს წყებისა დასტურდება ძველ ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში.

ქართ. იგლოვს || გლოვი¹, იკუნესს || კუნესის, იბრდღუენს || ბრდღუნავს, ისტუენს || სტუნავს, იგორვის || გორავს, ილაღადებს || ლაღადებს, იქვრობს || კვრობს, იქვრობს || ქვრობს, ... სვან. იკუ-ჩხი || კუჩხე, იღუქპარ || ღუქპრე... კოლხ. დივალამს || ვალუფს, იხვამუფს || ხვამუფს, იხორონამს || ხორონაფს, იჩვირის || ჩვირუნს, ირგენს || რგუნეს... (საილუსტრაციო მასალა იხ. ზემოთ, აგრეთვე — ნოზაძე, 1974, 25-50).

ამ რიგის პარალელურად ხმარებული ერთეულები •-პრეფიქსიანი და უთავსართო ფორმები მნიშვნელობითაც იდენტურია და გრამატიკული ფუნქციითაც.¹¹ მათ შორის სხვაობა ფონეტიკურია და არა

¹⁰ ბუნებრივია, რომ •-პრეფიქსის მოშლის პროცესი ქართველურ ენებში (resp. მათ დიალექტებში) არათანაბრად რეალიზდება. ამის შედეგად ერთიდაიმავე სემანტიკური ჯგუფის, ზოგჯერ — ერთიდაიმავე ფუძის ზმნა **აღნიშნული პროცესის გზით ჩამოყალიბებული სხვადასხვა სტრუქტურული მოდელის მიხედვით იფლავს**; შდრ. სვან. ინგზაწერი, ლაზ. იგზალს — ქართ. გზავრობს; შდრ. სვან. ინგლოვ — ქართ. გლოვობს, სვან. ილოკუი — ქართ. ლოკულობს; სვან. იგუნჩი, კოლხ. იმგარს / ინგარს — ქართ. ტირის, ლაზ. იჩვირის — ქართ. ცურავს, მეგრ. ივანს — ქართ. ქრის; მეგრ. იმოქვანს — ქართ. კრუხავს... შდრ. აგრეთვე: მღერის — დიალ. იმღერის, ბქ. იკუჩხი „იკულობს“ — ბზ. კუჩხე „იძ“, მეგრ. იხვამანს „ლოკულობს“ — ლაზ. (ხოფ.) ხვამუფს „იძ“ და სხვ.

¹¹ საყურადღებოა, რომ ძველ ქართულში ამგვარი პარალელური ვარიანტები ზოგჯერ გვხვდება ერთსადაიმავე კონტექსტში (სხვადასხვა რედაქციის ტექსტში):

იმავე ფუძის იდენტური მნიშვნელობის ე-პრეფიქსიან და უპრეფიქსო ფორმებს: ბრდღლენს || ბრდღლნავს, ეკუნეს'ი'ს || კუნესის, ამრუშებს || მრუშებს, ეკურობს || კურობს და მისთ. აგრეთვე, სვან. ეტუჩხი || კუაჩხე („კოკლობს“), ღლუპარე || ლუაპრე („ავაკობს“), კოლხ. ინჩვირს || ჩურუნს („კურავს“), ხვამუფს || ხვამუფს („ლოკულობს“), ირგენს || რგუნს („გლოვობს“) რიგის ენობრივ ერთეულებს სინქრონიული ანალიზის დონეზე მაინც რატომ ეძლევა განსხვავებული კვალიფიკაცია? რა ნიშნის მიხედვით მიიჩნევა უპრეფიქსო ფორმები სტატიკურ, ე-პრეფიქსიანები — დინამიკურ ზმნებად?

როგორც ცნობილია, სტატიკურობა — დინამიკურობა, რომელიც არნ. ჩიქობავას მიერ ქართველური ზმნის ერთ-ერთ ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნად არის მიჩნეული, სემანტიკური კატეგორიაა: სტატიკური ზმნა აღნიშნავს მდგომარეობას, დინამიკური — პროცესს (ჩიქობავა, 1950, 051). ამ ნიშნით კუნესის და ეკუნესს, ბრდღლნავს და ბრდღლენს, მრუშებს და ამრუშებს, სვან. ეტუჩხი და კუაჩხე („კოკლობს“), კოლხ. ინჩვირს და ჩურუნს („კურავს“) რიგის ფორმები არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ვფიქრობთ, მათ კვალიფიკაცია ერთნაირი უნდა მიეცეს.¹³

მიუხედავად ამისა, თუ მაინც ეკუნესს || კუნესის ტიპის პარალელურ ვარიანტებს წარმოშობით სხვადასხვა მორფოლოგიურ ოდენობებზე მივიჩნევთ, ასახსნელია რატომ „გაკრა“ ე-პრეფიქსიან დინამიკურ ზმნათა ფორმები: აქუელს, ეკუნესს, ისტუნს, ღლოცავს, ამრუშებს, ისამხრებს, ამპარტავენებს რიგისა (რომელთა რიცხვი, ცხადია, ძველ ქართულში დადასტურებული ფაქტებით არ შემოიფარგლებოდა) აწმყოს წყების პარადიგმიდან (ისტუნს, ამრუშებს, ამპარტავენებს... ახ. ქართულში მყოფადის ფორმებია. აწმყის წყებაში მათი უპ-

¹³ მედიოაქტიური ზმნები: ყეფს, ცურავს, ხობავს, მრუშობს, საშრობს, ნადირობს რიგისა აქტიური (დინამიკური) ზმნებია ისევე, როგორც ბარავს, წერს, სთხოვს, ღლოცავს, აქებს და სხვ. აქტიურობის ხარისხი განპირობებულია პირდაპირი ობიექტის ქონა-არქონით, ასევე — ზმნის ფუძის სემანტიკით. სტატუსის მიხედვით აღნიშნული ზმნები ერთნაირად უპირისპირდება საკუთრივ სტატიკურ ზმნებს: დგას, წევს, სძინავს, თესია და მისთანებს.

ყეფს, ტირის, ცეკვავს, ავაზაკობს ტიპის ზმნათა დინამიკურ (აქტიურ) ზმნებად კვალიფიცირებას, ჩვენი აზრით, ვერ უარყოფს ახალი ცნებების (ტერმინების) შემოტანის მცდელობა — მითითება რეალური და გრამატიკული (აბსოლუტური და შეფარდებითი) მდგომარეობის განსხვავებულობაზე, მოქმედების პროცესის (დინამიკის) სტატიკურად წარმოსახვის ფორმაზე. საბოლოოდ ესეც, არსებითად, პირდაპირი ობიექტის ქონა-არქონის მიხედვით სხვაობაზე დაიყვანება (შდრ. ჟორბენაძე, 1975, 177; სუხიშვილი, 1976, 10-11).

რეფიქსო ვარიანტები ფუნქციონირებს: სტვენს, მრუშობს, ამპარტაგ-
ნობს ..).

ვარაუდი იმისა, რომ მყოფადის გამოხატვის ახალ სისტემაზე (იხ. კუმბუ-
რიძე, 1968) გადასვლასთან დაკავშირებით ე-პრეფიქსიანმა მედიოაქტიურ-
მა ფორმებმა შწკრივი შეიცვალეს — მყოფადის წრეში გადავიდნენ, ვერ
სანის საკითხს. ამასთან ფაქტობრივადაც არ არის სწორი.

ძველ ქართულში მედიოაქტიურ ზმნათა აწმყოს ე-პრეფიქსიანი ფორმე-
ბი: აქუელს, იბრღლუნს, იმღერის, ისიძავს და მისთ. მცირერიცხოვანია.
ასინი გადმონათის ხასიათს ატარებენ. სრულიად სამართლიანად შენიშნა-
ვენ, რომ ამ სისტემის ზმნები | სერიის ფორმებში შემთხვევათა აბსოლუ-
ტურ უმრავლესობაში ე-პრეფიქსის გარეშე იხმარება (Енукашвили, 1974,
25). შდრ., ყფეს. წუხს, ყჯრის, ცურავს, ლელავს, ვალალებს, კელობს, ავა-
ზაკობს და მრავალი სხვა.

მედიოაქტიურ ზმნათა აწმყოს ფორმებში ე-თავკიდური ხმოვანი, არსებო-
თად, მყოფადის ჩამოყალიბებამდე გაცილებით ადრე, უძველეს ქართულშია
მოცემული. ამდენად, გვიანდელ ეპოქაში (XI ს. შემდგომ) ჩამოყალიბებულ
მყოფადის შწკრივებში წარმოდგენილი მედიოაქტიურ ზმნათა ე-პრეფიქსი-
ანი ფორმები: აქუფებს, იღულებს, იფვირებს, იავაზაკებს, იცურებს და სხვ.
არ შეიძლება იყოს გადასული აწმყოს წყვილიდან. ის, რაც არ არსებობდა,
არ იყო იველუბრივი ძველ ქართულში, ვერ გადაინაცვლებდა გვიან წარ-
მოქმნილ მყოფადის ჭკუფში.

შემდეგ, თუ ძველ ქართულ ძეგლებში ფიქსირებულმა აწმყოს ე-თავსარ-
თაანმა დინამიკურმა ზმნებმა უღლების სისტემაში მომხდარი ზემოთ აღ-
ნიშნული ცვლილებების გამო მყოფადის წრეში გადაინაცვლა, რატომ არ
გადაეკვა მათ თავისი თემატური სუფიქსები: -ე, -ავ, -იზ; რატომ შეიცვა-
ლა ისინი ებ თემის ნიშნით. შდრ. ძვ. ქ. აწმ. იქუნესს, ილოცავს, ინა-
ღირობს... აბ. ქ. მყოფ. ივენესებს, ილოცებს, ინაღირებს...¹⁴

არ არის სადავო, მედიოაქტიურ (ისევე, როგორც სხვა სისტემის) ზმნათა
მყოფადის წრე ახალია, ჩამოყალიბებული მყოფადის გამოხატვის ახალ
სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მაგრამ, ჩვენი აზრით, არა აწ-
მყოს წრის ე-პრეფიქსიან ფორმათა მყოფადში გადაინაცვლების გზით, რო-
გორც თვლიან ამას სპეციალისტები, არამედ — მეორე სერიის

¹⁴ ყველა ზემოაღნიშნული (და ზოგი სხვა) დაბრკოლება მოიხსნება, თუ მივიღებთ თვალსაზრისს — აწმყოს წრეში მედიოაქტიურ ზმნათა უპრეფიქსო ფორმები დიაქრონიულად მეორეულია (მხედველობაშია არქაული ეპოქის, ძველი წარმოშობის ზმნები). მიღებული ე-თავკიდური ხმოვნის მოკვეციის შედეგად: აქუნესს → ექუნესს...

ფუძეზე -ებ თემატიკური სუფიქსის დართვით.¹⁵

ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მედიაოქტიურ ზმნათა მყოფადში მხოლოდ -ებ თემის ნიშანი გვაქვს ყველა შემთხვევაში — მაშინაც, როცა აწმყო ათემატიურია და იმ შემთხვევაშიაც, როცა აწმყოს წრის ფორმებში -ა, -აგ, -ებ, -ობ სუფიქსებია წარმოდგენილი (შდრ. ყეფს — იყეფა, იყეფებს; კენესს — იკენესა, იკენესებს; ბოლაგს — იბოლა, იბოლებს; შრიალგბს — იშრიალა, იშრიალგბს; მეფობს — იმეფა, იმეფებს... და ისიც — რატომ არის ასახული მეორე სერიაში არსებული ვითარება მყოფადის ფორმათა წარმოებაში (შდრ. ყვირის — იყვირა, იყვირებს; მაგრამ: ყივის — იყივლა, იყივლებს...).

ამ ვარაუდს მხარს უჭერს სხვა ფაქტობრივი მონაცემიც — ძველ ქართულ ძეგლებში (VII—XI სს.) მედიაოქტიურ ფორმათა დადასტურება აორისტის ჭგუფის მწკრივებში (იყრა, ისამხრა, იმრუშა, ილოცა, იქუხა, იყივლა, იკრჩხილა და სხვ.), როცა ამ სისტემის ზმნათა მყოფადის წრის ფორმები (იყვირებს, ისამხრებს, იყივლებს...) საშწერლობო ქართულში გაცილებით გვიან გვხვდება.

დაბოლოს, აზრი იმის შესახებ, რომ მედიაოქტიურ ზმნათა სისტემა (ყეფს — იყეფა მოდელი) თითქოს ძველი ქართულის გვიანდელ პერიოდში ჩასახული და ამიტომ ტერმინი „მედიაოქტიური“ ძველი ქართულისათვის ნაკლებად გამოდგება, ფაქტობრივად არ არის სწორი. მას არ უჭერს მხარს არც ამ მოვლენის ანალიზი.

აღნიშნული პარადიგმა და, მაშასადამე, მისი აორისტის წყების ფორმები (აწმყოს ჭგუფის ოპრეფიქსიან ფორმათა სიძველე დავას არ იწვევს) დასტურდება ძველი ქართულის აღდრინდელ ძეგლებში, მათ შორის ხანმეტ ტექსტებშიც (მართალია, შედარებით იშვიათად, გასაგები მიზეზის გამო — მათი საეკლესიო ხასიათი, ამ თვალსაზრისით დაბუშავებული ძეგლების განსაზღვრულობა): ხისადილნეს მრ. 21, 15; ვილოცო მრ. 14, 3 r (ხანმ. ტექსტ.); ვიხაროლ 15, 19 (იქვე); არა ხიმრუშო მ. 5, 27; იწრაფა ხანმ. მრ. 147 ა; არა იბრდლჯნესა ლომან S 417, 208,8; ისიძეა ზირ. 23, 33, O; ისტჯონ მფ. III 9,8 O; იყვრანის ეს. 31,7; იყივლეს მეფ. I 17, 20, O; იყივლის ექუს. 114, 16; იკრჩხიალნა შტბ. 339,19; იდრტჯნეს ფსალ. 205, 19; იქუხა ფსალ. 425, 10; ივანის ექუს. 82, 22; ისერონ ეფთფ. 43,6; იმშოე... იწყურე სწავ. 289, 16 და სხვა.

ეს და სხვა გვიანდელ წერილობით წყაროებში დამოწმებული მსგავსი მა-

¹⁵ -ებ სუფიქსის დართვით — იმიტომ, რომ ქართულში თემის ნიშნებს შორის ოგი ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული სუფიქსია. მეორად ფუძეებს უპირატესად ოგი აწარმოებს (ამის შესახებ ვრცლად იხ. ნოზაძე, 2000, 178-185).

გალითები: ივანე ისუნ. 10, 21; 2 არავინ აღიკუპმინა იქვე; იმ-სხემა შქ. 26, 25 Q; იმაქებლა შსაქ. 365, 1Q; იფილოსოფოსა ხრონ. 10, 5; იმდიდრმეტყუელა ხრონ. 105, 5 და მრავალი მისთ. მოწმობს იმას, რომ მედიოაქტიურ ზმნათა ე-პრეფიქსიანი ფორმები II სუ-რიის შწკრივებში დიდი ხანია დამკვიდრებულია ცოცხალ მეტყველებაში.

რაც უფრო არსებითია, ტირ¹ის — იტირა მოდელი, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, დასტურდება სხვა ქართველურ ენებშიც: შდრ.: სვან. კუკ (აორ. ლამკუკ) „ვენის“... ლაზ. წიადს (აორ. დიწი) „წი-ვის“... მეგრ. გვარჯვალანს (აორ. ივარჯვალუ) „ხვარხვარებს“... ეს კი იმას ნიშნავს — აღნიშნული ტიპის მარადიგმა (მედიოაქტიურ ზმნათა ხის-ტემა) არ არის ახალი, ჩამოყალიბებული ძველი ქართულის გვიან-დელ ეტაპზე. იგი რეკონსტრუირდება პროტოქართველურში (შდრ. ენქაშვილი 1974, 24-25; სუხიშვილი 1999, 29-30).

თუ ვარაუდი სწორია, მაშინ ასახსნელია, რამ განაპირობა ისტორიულ ქართველურ ენებში მედიოაქტიურ ზმნათა I სერიის ფორმებში ე- (ასევე — უ-) ხმოვ-ნის მოკვეცა და, საზოგადოდ, პრეფიქსაციის მო-შლა არქაული ეპოქის ქართველურ ენათა ზმნურ სისტემებში?

ჩვენი აზრით, ეს პროცესი ისტორიულად დაკავში-რებული უნდა იყოს აღნიშნულ ენებში სუფიქსა-ციის წარმოქმნასთან, კერძოდ, ქართულ-კოლხურ ზმნურ სის-ტემებში — *-vc* სტრუქტურის მორფემების, ძირითადად, თემის ნიშნე-ბის¹⁶ (საფიქრებელია, ასევე — მრავლობითობის *-ან<ენ* ფორმანტის) ჩამოყალიბებასთან.

თემატური სუფიქსის დართვა¹⁷ (უნდა ვიფიქროთ, სუბიექტის

¹⁶ ჩვენთვის არ არის მთლად ნათელი — სუფიქსის როლი ამ პროცესში. სხვადასხვა წარმოდგინების (resp. ფუნქციის) — ბოლოსართი პრეფიქსულ ხმოვანთა რედუქციის თვალსაზრისით სხვადასხვა შედეგს იძლევა. შდრ. ფლოფს — გლოფს, მგრამ — მნანს, სცს — ეცნ, სვან. აკლი, აკუჩხი ბქვ. (კუჩხე ბზ.) „კოკლობს“ და სხვ. საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

¹⁷ ამ თვალსაზრისით უარესად საინტერესოა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების, კერძოდ, ხევსურულის ჩვენება. სტატიკური ვნებითის ფორმებში ქართულის სხვა ქვესისტემებისათვის დამახასიათებელი *ა*-პრეფიქსი ხევსურულში იკვეცება — *აჟ* თემის ნიშნის დართვისას. შდრ. აგია — ხეკს. ღგაჟ, აგროვია — ღგროვაჟ, აწყვია — სწყაჟ, აბარია — ღბარაჟ, ავალია — ღვალაჟ, აცხია — სცხაჟ, ასხია — სსხაჟ... (ხევსურულის ზოგი ეს მონაცემი — ცალთახმოვნიანი ზმნური

მრავლობითობის -ან მორფისა(ც)¹⁸ განაპირობებს ფუძის თავკიდური ხმოვნის მოკვეცას, რედუქციას იმ პრეფიქსული ხმოვნებისა, რომელთა ფუნქცია მოცემულ ეტაპზე დაბნელებულია,¹⁹ დაჩრდილულია.²⁰

ძარბი: ძვ. ქ. ა-ბ-ს, დიალ. ღ-ბ-ავ, ა-გ-ია, დიალ. ღ-გ-ავ სხვა თვალსაზრისით გაანალიზებული აქვს ა. არაბულს, 1988, 14-16).

¹⁸ სტატიკურ ვნებითეში ფუძის თავკიდური ა- ხვესურულში ჩვეულებრივ არ არის წარმოდგენილი მრავლობითი რიცხვის ფორმებშიც, ვფიქრობთ — მრავლობითობის -ან სუფიქსის გავლენით. მაგ., აბია — ხევს. ღბიან, აწყვია — სწყვიაან, აცვია — სცვიან... იგინი... (მრავლობითობის -ან სუფიქსს უკავშირებს არნ. ჩიქობავა მ-ქონ-ან ფუძეში თავკიდური ა- ხმოვნის მოკვეცას: მ-ა-ქუ-ან — მ-ქონ-ან იგინი; შდრ. ძვ. ქ. აქუნს / აქუნდა, აქუას / აქუანდეს; 1947, 386; 1959, 151).

შესაძლებელია არ იყოს შემთხვევითი მედიოპტივის ზმნურ ფორმათა რიცხვის მიხედვით ამგვარი განაწილების დადასტურება ძვ. ქართულში: ყოველი ეს ქალაქი იკუნესის მისთვის, ფლკტ. 136, 12; შდრ. მღღელნი მისნი კუნესიან O გოდ. იურ 1, 4 (აბულაძე, 1973).

¹⁹ შდრ. ძვ. ქ. ბზრდლენს — ბზრდლავს, მაგრამ: განბერტყს — განბერტყავს..., ასვე: აწყვია — ხევს. სწყვავ „id“, მაგრამ — უწყვავ „უწყვია“...

ფფიქრობთ, ხმოვან-მორფემის მკვეთრად გამოხატული ფუნქციური დატირთულობა, აღნიშნულ შემთხვევაში კუთვნილებითი სემანტიკის გამოხატვის დანიშნულება აბრკოლებს რედუქციის პროცესს, მისი აბსოლუტური სახით (ავტომატურად) რეალიზებას.

აქვე უნდა დავძინოთ: მიუხედავად იმისა, რომ ქცევის კატეგორიას აღადგენენ. სქართვ. ფუძე-ენაში, ქართულ-კოლხურსა და განსაკუთრებული სიზშირით — სვანურში დასტურდება ფუძე-ენის უშუალოდ დიფერენციალური პერიოდის ზმნური, შედარებითი მარტივი სისტემის (აქტიურ ზმნათა სისტემის) გადმონაშთები ო. უ- პრეფიქსებით, რომლებიც ქცევის კატეგორიის „გარეშე ღვანან“, წინ უსწრებენ მას. მხედველობაში გვაქვს:

ძვ. ქ. აქულს, აქუნესს (*← აქუნესს), ისტუნს, ბზრდლენს, ბდრტუნს... ურქენს „ორქენს“, უკბენს „კბენს“... კოლხ. ბნჭირს „კურავს“, ბნგორს „გორავს“, ბნქორს „ამთქარებს“, ბნგარს „ტირის“, ბგანს „ქრის“, ბგზალს „მგზავრობს“.. სვან. ბკლი „კელობს“, ბქნჩი „კოკლობს“, ბგუნნი „ტირის“, ბღრი „კურავს“, ბნგზარს „მგზავრობს“...

ჩვენი ვარაუდი უპირველეს ყოვლისა ამგვარ ფაქტებს ემყარება. კუთვნილების გამოხატველი ფორმები: ითვსავს, იცხოვრებს (ირჩენს...) თავს... უხნავს, უთხრის... რიგისა შედარებით გვიანდელი წარმონაქმნია. ჩვენს მიერ აქ და აღინიშნულ ნაშრომში (1974) წარმოდგენილი თვალსაზრისის განხილვისას ეს დონეები გათვალისწინებული უნდა იქნას, უნდა განიჩინოს (შდრ. სუხიშვილი, 1999 და სხვ.).

²⁰ ზემოთ განხილული ნიმუშები ყურადღებას იქცევენ იმ მხრივაც, რომ ამ რიგის ფორმებში -vc სტრუქტურის სუფიქსის დართვა იწვევს პრეფიქსული (პერიფერიული)

ძველ ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში ამ მოვლენის მხოლოდ გადმონაშთებია დასტურდება.²¹ ძვ. ქ. ო-უნეს-ს — კუნეს-ის, ო-გლოვს — გლოვ-ის || გლოვ-ობ-ს, ო-ბრდლუენ-ს — ბრდლუნ-ავ-ს, ო-სტუნენ-ს — სტუნ-ავ-ს, *ო-გორ-ს (შდრ. ოგორვიდა, ლაზ. ინგორს) — გორ-ავ-ს, *ო-კელ-ს (შდრ. სევან. ოკლი) — კელ-ობ-ს²²... ლაზ. ო-ნ'ჩვირ-ს — მეგრ. რ'ჩურ-უნ-ს²³...

ხმოვნის მოკვეცას დისტანციურად — ხმოვნით გათიშულ პოზიციასში (შდრ. შანიძე, 1957, 316; 1973, 26). მაგ., ძვ. ქ. მაქუნ — მქონან, ობრდლუნს — ბრდლუნავს... აბარია — დიალ. ღბარავ. აგროვია — ღგროვავ, ახვევია — ჰხვევიან... (შდრ. აგრეთვე: ნა-აბ(ა)რი, ნა-არ(ა)მ-ი... ნა-ტაბლ(ა)-ი, ნა-სახ(ე)-ი... გოგოლაშვილი, 1975, 21-24; ბურკელაძე, 1971, 60-63).

²¹ ერთ-ერთ პოზიციას, სადაც ხორციელდება ფუძის თავიკიდური ა-ს და ზოგი სხვა პრეფიქსული ხმოვნის მოკვეცა, CV'C' — სტრუქტურის პრეფერბის დართვა ქმნის. მათი უპრეფიქსო ვარიანტები აქედან უნდა იყოს გავრცელებული. რამდენიმე ნიმუში სხვადასხვა პერიოდის ქართულიდან:

დააკეთა მრკ. 9, 20 DE შდრ. დააკეთა იკვე, C; განმზადეთ გზამ უფლისამ მრკ. 1, 2 (შდრ. აბ. ქ. გაამზადეთ);... დაუცხრა ქარი იგი მთ. 14, 32 C, შდრ. დასცხრა ქარი იგი, იკვე, DE... (მასალა ამოღებულია ა. ჩიქობავას შრომიდან, 1959, 151-168)... დადაგეს თავსა გუირგუნი (ვეფხ. 1187), შდრ. თავსა გუირგუნი დასდა (ვეფხ. 45, შანიძე, 1973, 378).. დიალექტებიდან: მგელს დავაკეთე კბილები შდრ. ვარ: მგელსა დაესციეთე კბილები (იკვე). იქნებ შორიდან შაკითხო (< შავგყითხო), რა გესიზმრება ღვთიანო (ვაეა). გამავიდ, დახუდ ქობი, ზედ ქუდ დახურ, ზედ ბაკო მახურ (კინკარაული, 1960, 326)... [ლორმა] დასტაკა ეშვი, ქვაბი გაამტერია (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 1979, 42)...

²² შესაძლებელია, ამ მოვლენის გამოძახილთან გვეკონდეს საქმე სვანურის დიალექტებში. შდრ., ბქ. ოქუჩხი, ბზ კუჩხე, ზსვ. ოლუქარ, ლშ. ლუაქრე, ზსვ. ოქიფ ლშ. კიეფე...

როგორც ამ შეპირისპირებიდან ჩანს, სვანურში ზოგ მელიოაქტიურ ზმნათა იმ ფორმებში, სადაც ბოლოკიდურად -ე ხმოვანია, თავიკიდური ო- არ არის წარმოდგენილი. ისმის კითხვა — იმიტომ ხომ არაა, რომ -ე წარმომავლობით ფრაგმენტული *ეგ (→ ე) თემის ნიშნის გადმონაშთია — სვანურში გარკვეულ (საწყის) ეტაპზე სუსტად მოქმედი გრამატიკული ნორმის ერთგვარი ასახვა, გამოძახილი? საკითხი შესასწავლია.

²³ ხმოვანთავსართებისა და სუფიქსურ მორფემათა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სვანურის მონაცემებს.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართველურ ენათაგან სვანური მკვეთრად გამოირჩევა ხმოვანთავსართთან ზმნათა (და არა მხოლოდ ზმნათა) დიდი სიუხვით. ქართულის შესაბამისი სემანტიკური ჩუფისა და სტრუქტურის ზმნებს სვანურში ხშირად ფუძის თავიკიდურად ხმოვნები (ა-, ო-, ო...) აქვთ. ეს პრეფიქსები ზოგჯერ გლინდება ქართულ-კოლხურის შესატყვის ფუძეებში, თავს იჩენს ამ ენებიდან

სერიის ფორმებში თემატური სუფიქსების დართვის შედეგად „იმხვრევა“ თავდაპირველი ერთიანი პარადიგმა მედიოაქტიურ ზმნათა უღლებისა. ყალიბდება „დეფექტური“ (არაერთიანი) სისტემა სერიათა მიხედვით განსხვავებული ფუძეებით, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ქართულისა და სხვა ქართველური ენებისათვის: აწმ. ძვ. ქ. იბრდლუენს — აორ. იბრდლუნა → ახ. ქ. ბრდლვინაგს —

შეთვისებულ მასალაშიც (მათი გრამატიკული ფუნქცია საცვლევია). რამდენიმე ნიმუში:

ხაყა „ჰყავს“, ხაშა „შურს“, აბდუნი „ბედავს“, ადგარი „კლავს“, აკლუნი „ლუწავს“, ალწი „თესავს“, ალწი „შეღუსავს“, ალწი „რავს“, ანწი „ხედის“, წყავს“. აქრუნი „კარავს“, აყლ „ნაყავს“, აშხრი „თხრის“, აშქლი „ქედავს“, აშუდი „რეცხავს“, აშხი „წვავს“, აშხი „კარავს“, აცხუ „ცხვავს“ (შდრ. მეგრ. ცხუ „აღუქვა“), აშურე „ლესავს“ (შდრ. ქ. სასარგვი), აწლუნი „წალავს“, აწურუნი „წურავს (ყურბენს)“, აწი „აგზობს“ (შდრ. მეგრ. ჰუნს „წვავს“), აწმე „თიბავს“, ახტუნი „ხატავს“, აწნი „ხნავს“, აწბ „ხარშავს“ (შდრ. მეგრ. გიბუნს „id“), აწმი „ქოსვს“ (შდრ. ძვ. ქ. საგუხალი) და მრავალი სხვა (გსარგებლობთ „სვანური ლექსიკონით“, ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000). ამ რიგის ზოგი მასალა განხილული აქვს არნ. ჩიქობავას, იყვ, XI, 1959. — პრეფიქსიანი ფორმები გაანალიზებულია ზემოთ, გვ. 5, ვრცლად — ნოზაძე, 1974, 25-53; 2000, 44-45. ზოგ ქართველურ ფუძეთა დაკავშირების შესახებ იხ. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯულაძე, „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, თბ., 2000).

ეს ფაქტი — პრეფიქსულ ხმოვანთა განსაკერებელი სიხშირე — სხვა მონაცემებთან ერთად, ვფიქრობთ, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ქართულ-კოლხურისაგან განსხვავებით ისტორიულად სვანურში არ ჩამოყალიბებულა თემატური სუფიქსთა ერთიანი სისტემა.

თავის მხრივ, თემის ნიშანთა სისტემის უქონლობა სვანურში და, ამის საპირისპიროდ, ხმოვანთავსართიან ზმნურ ფუძეთა დადასტურება დიდი სიხშირით მანიშნებელი უნდა იყოს იმისა, რომ ამ ორ მოვლენას შორის შინაგანი კავშირი არსებობს — ერთი განაპირობებს მეორეს.

აღნიშნული მოვლენის ანალიზისას, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სვანურში, სხვა ქართველურ ენათაგან განსხვავებით, ასევე არა გვაქვს სუბიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი მორფემა /-ან/ქ/-ენ/ (როგავა, 1968, 74-77; ონიანი, 1978, 206-208 და სხვ.), რომელიც, შესაძლებელია, ისტორიულად გარკვეულ როლს ასრულებდეს ხმოვან-თავსართების მოკვეცის პროცესში (რატომ — ან — ასახსნელია). შდრ.: ძვ. ქ. აქუს — ჰქონან, ოქუნესის — კუნესიან, აწყვი — დილ. სწყვიან...

ამასადაამე, ამ შემთხვევაშიაც სვანური თავისი არქაიზმით — მისთვის ნიშანდობლივი პრეფიქსაციით — განცალკევებთ ღვას, უპირისპირდება ქართულ-კოლხურს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ენათა (ქართულ-კოლხურის) შემდგომ სახლოვეზე.

ობრდღენა, კოლხ. ინჩირს — ინჩირუ → ჩორუნს — ინჩირუ...²⁴

შედარებით გვიანდელ ეპოქაში ამ გზით ჩამოყალიბებული მედიოაქტიურ ზმნათა უღლების მოდელი, I და II სერიაში **ე-** (ასევე — **ჟ-**) პრეფიქსის ქონა-არქონის მიხედვით დაპირისპირებული ფუძეებით (კუნესის — **ე**კუნესა, ცურავს — **ე**ცურა, პრქენს — **ჟ**რქენია...), იქნა შემდგომ გამოყენებული ამ სისტემის ახალ ზმნათა საწარმოებლად. ახალ ქართულში ეს მოდელია გაბატონებული.²⁵

²⁴ მეორე სერიის შწკრივებში ზოგ მედიოაქტიურ ზმნათა უპრეფიქსო ფუძეები (მეფობს — **ჰ**მეფა მოდელი), რომელიც დასტურდება ძველ ქართულში (შდრ. ქაღაცებს — ქაღაგა, რუღუნებს — რუღუნა, წყმს — წყმა...), უფრო ხშირად — კოლხურში (შდრ. ლაზ. ხიხინაფს „კიხვინებს“ — ხიხინუ „კიხვინა“, მლორაფს „ბლაფს“ — მლორუ „ბლაფლა“... მეგრ. ლალუნს „ყფუს“ — ლალუ „ყყფა“, ქულანს „კოკლობს“ — ქელუე „კოკლა“, კვათუნს „წვეთავს“ — კვათუ „წვეთა“, სხაპუნს „ყყავს“ — ქო²სხაპუ „ყყავა“...), ფორმათა პარადიგმატული გათანაბრების შედეგად აწმყოს უპრეფიქსო ფუძეები ჯრცელდება II სერიაშიც.

ამ ენობრივი პროცესების გზით ჩამოყალიბებული სამი მოდელი მედიოაქტიური ზმნებისა, რომლებიც დასტურდება ქართულურ ენებში, ისტორიულად ერთ (თავდაპირველ) მოდელზე დაიყვანება. I (საწყისი) მოდელი: **ობრდღენს** — **ობრდღენა** → II მოდელი: **ობრდღენავს** — **ობრდღენა** (ფონეტ.) → III მოდელი: **ობრდღენავს** — **ობრდღენა** (ფორმათა უნიფიკაცია — პარადიგმის გასწორება). შდრ. რუღუნებს — რუღუნა, ლალუნს — ლალუ.

²⁵ ბუნებრივია, რომ ახალი ზმნები აღნიშნული მოდელით დაუბრკოლებლად იწარმოება თანამედროვე ქართულშიც. შდრ. ბანდიტობს — იბანდიტა, დეზერტირობს — იდეზერტირა, მიტიჩგობს (ო.ჩხ.) — იმიტიჩგა („ლიტ.საქ.“), პროფესორობს — იპროფესორა, ხელიგნობს — იხელიგნა... (ამგვარ ფორმაწარმოებათა შესახებ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში იხ. ვ. კალანდაძე, 1979, 141-156).

ზოგჯერ ახლად წარმოქმნილი მედიოაქტიური ზმნის უღლების პარადიგმაში „ადაპტაციისათვის“ გარკვეული დროა საჭირო. მაგრამ, როცა ამგვარი ზმნა დამკვიდრებულია აწმყოს წრეში, იგი ბუნებრივად აწარმოებს II სერიის შწკრივებსაც. მაგალითად, თუ აწმყოში ჩვეულებრივია ფორმა ნებოერობს, აორისტში ასევე ბუნებრივი იქნება — ინებოერა; შდრ. ნებოერობს — ინებოერა, ბობოქარობს — იბობოქარა, მაგრამ: ბობოქარობს — იბობოქრა და სხვ. (შდრ. სუბიშვილი, 1999, 28-30).

აქტიურ ზმნათა გარკვეულ ჯგუფს, ჩვეულებრივ, სიარულის (სვლის), სუბიექტის სივრცეში გადაადგილების აღმნიშვნელ **და-**, **მე-**, **მო-**... პრეფიქსებიან ზმნას, მედიოაქტიური ზმნებისაგან (ყფუს, ყვირის, ხობავს, შრიალებს, მეფობს...) განსხვავებით არ ეწარმოება II სერიის შწკრივთა ფორმები „სესხების“ გზითაც კი (მათ უპრეფიქსო ფორმებს ისინი მოეპოვება). ასეთებია: დაქრის, დადის, დანავარდობს, დამაქანკლობს, მიცურავს, მოფრინავს, მოხობავს და სხვ. ამ რიგის ზმნებთან და ზოგ სხვა შემთხვევაშიაც პრეფიქსს შემოქავეს სპეციფიკური სემანტიკა,

შენშვნა: ბუნებრივია, რომ ძვ. ქართულსა და სხვა თანამედროვე ქართველურ ენებში ზემოთ განხილული პროცესის დამადასტურებელი მხოლოდ სუსტი მინიშნებები გვაქვს. ჩვენს მიერ არქაული ეპოქისათვის ნაგარაუდვეი კანონზომიერების (მედიაოპტიურ ზმნათა ათემატურ ფუძეს *ე-* თავსართიანი ფორმა შეესაბამება და პირიქით, თემისნიშნის — უპრეფიქსო) აშახველი ნიმუშების მხოლოდ ცალკეული (ერთეული) შემთხვევები დასტურდება გდმონაშთების სახით (სურათი დაბნელებულია). მაგალითად, ა) ეჟუელს, ისტუენს, ეჟურეტს... კოლბ. ინჩირს, ინქორს, ფზალს, ინგარს, ბირს... ბ) დრტუნაგს, ბრწყინაგს, როკაგს, მრუშემს, ლაღადემს... კოლბ. ლალუფს, ვალუფს, ყიაფს, წიაფს, მლორაფს, სტინუფს, გვარგვალანს, სხაპუნს... უფრო ხშირია აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევები. იგი ორგვარი სახისაა: ა) მედიაოპტიურ ზმნათა უხმოვანპრეფიქსო ფორმები ათემატურია: ყეფს, წუხს, დულს, ქუხს, წყმს... კოლბ. კვინს, ღირინს... ბ) მედიაოპტიურ ზმნათა *ე-* პრეფიქსიანი ფორმაში წარმოდგენილია თემატური სუფიქსიც: ეკუნესის, მღერის, ინანის, ილოცაგს, ისიძაგს, ისტუნვადეს (წარტყ.), ეგორგოდა (პატერ.),²⁶ მრუშემს, ისამზრებს, ექრობს, ექრნობს...²⁷ კოლ. აპრეჟამს / აპრეჟანს, სხეჟამს / სხეჟანს, სხეჟამუფს, ეჟვალამს, ეგანს, ბურჟანს, მოკვანს...²⁸

რომელიც შეუთავსებელია აორისტის მწკრივებისათვის (შდრ. სუბიშვილი, 1999, 28-30).

²⁶ შედარებით გვიანდელ ტექსტებში ფიქსირებულია ფორმები: იდრტუნაგს, იეჟვამს...

²⁷ აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში ზოგჯერ აწმყოსაგან ნაწარმოებ მწკრივებში *ე-*პრეფიქსიანი მედიაოპტიურ ზმნათა უთემისნიშნო ფუძეა წარმოდგენილი, აწმყო თემისნიშნისა. ასეთებია: ვინანე (კ. I 57, 7) შდრ. ინანლით მ 4, 17; ინანდე ზირ. 12, 12 O; მღეროდ At II—11, 203 v (ი. აბულ.). შდრ. მღეროდით (ფსალ.) და სხვ. თავდაპირველი, ამოსავალი ვითარება ნაწარმოებ მწკრივებშია დაცული. ესუფიქსო უწყვეტლისათვის (ინანდა, მღერდა...) დასაყრდენი უნდა ყოფილიყო ესუფიქსო აწმყო (*ინანს, = მღერს...).

ჩვენთვის აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ამგვარი რეკონსტრუქცია ადასტურებს სისწორეს თვალსაზრისის, რომლის მიხედვითაც *ე-* პრეფიქსიანი მედიაოპტიურ ფორმებს უთემისნიშნო ფუძე შეესაბამება, და რომ ფორმები: მღერის, ინანის და მისთ., რომლებიც ძველ ქართულში აღნიშნული წესისაგან გამონაკლისს ქმნის, გეოგრაფიული (არა გეოგრაფიული, ამ რიგის ფორმები — ინანდა, მღერდა... *ე-* სუფიქსის რედუქციის შედეგად იყოს მიღებული).

²⁸ ზოგი მათგანის კონტამინაციური გზით წარმომავლობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს: ეკუნესს / კუნესს → ეკუნესის, მღერს / მღერის → მღერის, ისტუენს / სტუნაგს → ისტუნაგს, იდრტუენს / დრტუნაგს → იდრტუნაგს, იეჟფს / ყეჟფაგს → იეჟფაგს... საგარაუდოა, ანალოგიურად იყოს მიღებული სხვა ფორმებიც (არის ახსნის

ამგვარ „დარღვევათა“ მიზეზი გასაგებია — ისტორიულად დადასტურებულ ქართულსა და სხვა თანამედროვე ქართველურ ენებში მედიოაქტიურ ზმნათა უღლების სისტემა სხვადასხვა ფორმაციის (resp. დიალექტურ) ელემენტთა ნარევი სისტემაა. შედარებით გვიანდელი ნაერთია (ნოზაძე, 1974, 29; ჟორბენაძე, 1975, 81).²⁹

რაც შეეხება პირდაპირ ობიექტს, იგი ჩვენი აზრით, როგორც უკვე აღრე გვქონდა აღნიშნული (ნოზაძე, 1974, 47-50), ამ ტიპის ზმნებს დაკავშირებული იმ წესით, რაც ნორმაა სხვა აქტიური (resp. გარდამავალი) ზმნებისათვის, ე. ი. „გარეგანი ობიექტის“ სახით არ უნდა ჰქონოდათ.³⁰ ილაღდა. ისერა, იმუკლნა, უკმო, ურქინა... სისტემის ზმნებში პირდაპირი ობიექტი ფუძედ არის გამოყენებული, წარმოდგენილია „შინაგანის ობიექტის“ სახით.³¹ ისტორიულად ამგვარ ზმნათა „ობიექტი“ უნდა იყოს: დაღად-ი, სერ-ი, მუკლნ-ი, კმა,

სხვა შესაძლებლობაც — ფორმათა პარადიმატული და სინტაგმატური გათანაბრების პროცესების მოქმედება).

²⁹ ამის ერთ-ერთი ნიმუშია თხევლ- ფუძე. ფორმაწარმოების სხვადასხვა ეტაპია ასახული მისი უღლების პარადიგმებში: ითხველიდეს მრ. 1, 16; ისათხველიდეს მთ. 4, 8; ისათხველებდეს მთ. 4, 18 G ისათხველობდენ ექუს. 83, 2 (მოსალოდნელია *სათხველობს ფორმაც. იგი ჩვენ დადასტურებული არა გვაქვს).

³⁰ თუ ის ფაქტი, რომ რიგი მედიოაქტიური ზმნა დროის, სივრცის, ზომის და სხვ აღნიშვნელ სახელებს (ბევრი, ცოტა, დიდი ხანი, ისეთი და ა.შ.) თითქოს მართავს პირდაპირი ობიექტს ბრუნებში — სახელობითსა და მიცემითში („ბევრი ისინი, მგერამ ცოტა ილაპარაკე“, „კაი ხანი იმარბულეთ“, ბევრი ივაჩიშა, დიდი ხანი იმეფა...), წარმოდგენს საფუძველს იმის სამტკიცებლად, რომ ისინი შინაგანად გარდამავალი ზმნებია (სუხიშვილი, 1999, 30), მაშინ ამავე არგუმენტით იგივე შეიძლება ითქვას იმავე ფუძის უბრეფიქსო (აწმყოს) ფორმების შესახებაც და ზოგი სხვა სისტემის ზმნებთან დაკავშირებით: დიდხანს მეფობს, ბევრს ვარჯიშობს, კაი ხანი მარბულობს... შდრ. დიდხანს სძინავს (წევს...) — დიდხანს || დიდი ხანი ეძინა (იწვა, ეკიდა...), ბევრს დაღის — ბევრი იარა და ა.შ.

ამგვარი სახელები დროის (ადგილის...) გარემოების ფუნქციის ასრულებენ. მათი სხვადასხვა ბრუნვის ფორმათა (სახელობითისა თუ მიცემითის) ხმარება არ არის დამოკიდებული ზმნის რაგვარობასა და, არსებითად, არც დრო-კილოთა სერიებზე (დაწერილობით იხ. ზურაბიშვილი, 1979, 203-217).

³¹ ტერმინ „შინაგანი ობიექტის“ სხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის საზოგადოდ და, კერძოდ, ქართულში იხ. სუხიშვილი, (1986, 105; 2005, 67); აგრეთვე — აღნიშნულ ნაშრომებში დასახელებული სხვა ავტორები.

რქა... ისევე, როგორც არის ეს შესაბამისი რთულ ზმნებში: დალად-ყო, სერობა-ყო, მუკლნი — დაიღვნა, კმა-უყო... პირდაპირი ობიექტი „გარეგანი ობიექტის“ სახით „იმეფა“ ტიპის ზოგ ზმნასთან შემდეგ უნდა იყოს განვითარებული სრული სინტაგმის მქონე ზმნათა ანალოგიით. რამდენიმე ნიმუში:

განვიდა გარე და ტიროდა მწარედ მთ. 26, 75. შდრ.: რაქაელ სტიროდა შევილთა თჯსთა მთ. 2, 18; იგლოვდეს ღჯნოფ და იგლოვდეს ვენაჯი ეს. 24, 7 იერ. (ი. აბულ.). შდრ.: იგლოვა იგი ერმან ჰრომისამან კ. I 139, 18; შეიკრძალენ იგინი და ინანდი O იგ. სოლ.... შდრ. განსუენებასა მისსა არა ინანის ისო ზირ. 20, 21 და სხვ.

სინქრონიული ანალიზისას ამ რიგის მასალა უნდა განხილული იქნას როგორც სინტაქსური კონსტრუქციის ლაბილურობის ნიმუში, შემთხვევა — როცა ფორმით ერთიდაიგივე ზმნა კონტექსტის მიხედვით შესაძლებელია ერთპირიანიც იყოს და ორპირიანიც (ე.ი. დაკვალიფიცირდეს ომონიმურ ფორმებად) შდრ. იგლოვს იგი „მგლოვიარეა“ — იგლოვს იგი მას, განელების იგი — განელების იგი მას³²... და, განირჩეს იმ მოვლენისაგან, როდესაც საქმე გვაქვს ერთსა და იმავე ფუძეზე დაყრდნობილ ზმნურ ფორმათა სხვადასხვა მოდელით წარმოებასთან. მაგ., ბიჯ-ი: 1. დააბიჯებს (ერთპ.) აწმ. ნაბიჯებს ადგამს, დადის. 2. დააბიჯებს (2/3 პირ.) მყოფ. დაადგამს ფეხს (რასმე, რამეზე)...

ამგვარ შემთხვევებში „პირნაკლი“ ფორმები დამოუკიდებელი წარმოებებია. არ არის მიღებული სათანადო „მეტპირიანი“ ფორმებისაგან ობიექტის გაუჩინარების გზით. შეხედნა, უყურა რიგის ზმნებისაგან განსხვავებით, სადაც პირდაპირი ობიექტი დაკარგულად ივარაუდება — კონსტრუქცია სტაბილურია (შდრ. სუხიშვილი, 1999, 23-24).³³

პირდაპირი ობიექტის ოდინდელი არსებობის უდავო არგუმენ-

³² ამ რიგის მასალა ვრცლად არის განხილული ჩვენს ნაშრომში (იხ. ნოზაძე, 1958, 129-135).

³³ საყურადღებოა, რომ არნ. ჩიქობავა რიგ უ- თავსართიან ფორმებს: დაუცხრა იგი „დაცხრა“, დაუთმო მან იგი „მოითმინა“, შეუძლო მან იგი „შეძლო“ და მისთ. ჩვენი აზრით, სრულიად მართებულად, არ თვლის მიღებულად სათანადო ორპირიანი და სამპირიანი ფორმებისაგან პირდაპირი ობიექტის გაუჩინარების შედეგად. იგი თავდაპირველ მოვლენად არის მიჩნეული (ჩიქობავა, 1959, 160-161).

ტად, ჩვენი აზრით, ასევე არ გამოდგება ზოგ მედიოაქტიურ ფორმაში - ნ ელემენტის (რომელიც ობიექტის მრავლობითობის ფორმანტად არის კვალიფიცირებული) დადასტურება. მხედველობაში გვაქვს ზმნები: შეიპყრის და იყრნის მას ზედა ესადა 31, 4; იკრჩხილნა უშუერად ასურ. 208, 40; იბრლუნნესა ლომმან S 417, 208, 8; ალიყფნეს ძაღლმან აპოკრ. 32, 29; ალიმლერნა ყრმამან მუცელსა მისსა ლ. 1, 41 C; განიციინა სარა გულსა თქსსა დაბ. 18, 12 და სხვ. (მდრ. მოხედნა ლ. 1, 68 C...).

ძველ ქართულში - ნ ფორმანტი ყოველთვის არ არის ფიქსირებული „წესის“ მიხედვით. ზოგჯერ იგი არა გვაქვს იქ, სადაც ძველი ქართულის ნორმების მიხედვით მოსალოდნელი იყო. ჩვენთვის ცნობილი ასეთი გამონაკლისია მოქცევა და დარღვევა ზმნათა ვნებითის ფორმები, რომლებიც II სერიის მწკრივებში საერთოდ არ დაირთავენ - ენ/-ნ სუფიქსს: მიწადვე თქსა მიიქციან სინ. მრ. 263, 18 (და არა მიიქცინან). და მეყსეულად დაირღუეს კლიტენი იგი, იქვე, 71, 24 (და არა დაირღუნეს) და სხვ. (იმნაიშვილი, 1975, 80).

როგორც ვხედავთ, აღნიშნულის საპირისპირო ვითარებას გვიჩვენებს ზოგი ზემოთ წარმოდგენილი „ნ-მეტი“ ფორმა მედიოაქტიური ზმნებისა: იყრნა, იკრჩხილნა... ეს საკითხები საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

რაც შეეხება ტავტოლოგიურ გამოთქმებს: ილოცა ლოცვაჲ... დაბ. 28, 20; დღესასწაული იდღესასწაულეს... ანტიოქ. 54, 36; იშაბათენით შაბათნი თქუენნი... L ლევიტ. 23, 21; იგალობა გალობაჲ ესე... რიცხ. 21, 17 (ი. აბულ., 1973) და მისთ., ჩვენი აზრით, აქაც მეორეულ მოვლენასთან უნდა გვკონდეს საქმე. „შინაგანი ობიექტი“ გამონაწევრებულია (გამოყოფილია) ფუძისაგან, გამოტანილია „გარეგან ობიექტად“. ამგვარი გამოთქმები არაბუნებრივი, ხელოვნური ჩანს ისევე, როგორც შესაბამის რთულ ზმნათა შემთხვევაში: ლოცვა-ყო ლოცვაჲ...

შეიძლება დავახკვნათ: თანამედროვე სალიტერატურო ენაში (არსებითად, ძველ ქართულშიც) მედიოაქტიურ ზმნათა უღლება „დეფექტური“ სახით არის წარმოდგენილი. აწმყოს წყებაში ამ ჭგუფის ზმნათა ფუძეებს, ჩვეულებრივ, არ ერთვის ხმოვანთავსართი, აორისტის მწკრივებში მათ **ე-** (ზოგჯერ — **უ-**) პრეფიქსი ახასიათებთ: ყეფს — იყეფა, კვნესის — იკვნესა... ჰებენს — უჰებინა, ჰრქენს — ურქენინა...

მედიოაქტიურ ზმნათა ფორმაწარმოების ისტორიულ-მედარები-

თი განხილვა გვიჩვენებს, რომ ამ კლასის ზმნათა უღლებების სისტემაში არსებული ეს დაპირისპირება I და II სერიის ფუძეებისა - **o** (ასევე - **u**) პრეფიქსის ქონა-არქონის ნიშნით მეორეული (შემდევდროინდელი) მოვლენაა. თავდაპირველად (საწყის ეტაპზე) **o**- (**u**-) თავსართი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ამ ჩვუფის ზმნათა აწმყოს წრის ფორმებისთვისაც; ე.ი. უნდა გვქონოდა ერთიანი, მთლიანი პარადიგმა მედიოაქტიურ ზმნათა უღლებების სისტემაშიც.

შდრ., ძვ. ქ. აწმ. **o**გლოვს — **o**ორ. **o**გლოვა, **o**სტუნეს — **o**სტუნა, **o**სიძავს — **o**სიძევა, **o**ლოცავს — **o**ლოცვა, **o**მრუშებს — **o**მრუშა, **o**ხარებს — **o**ხარა. **o**სამხრებს — **o**სამხრა, **o**ნადირობს — **o**ნადირა... **u**კბენს — **u**კბინა, **u**რქენს — **u**რქინა...

სვან. აწმ. **o**ბწვი (**o**ორ. **o**ლამბაჲ) „დადის“, **o**გუნი (**o**ორ. **o**ლამგუნი) „ტირის“, **o**თხუიპარ (**o**ორ. **o**პდთხუიარე) „ნადირობს“, **o**მზირ (**o**ორ. **o**ლამმეზრე) „ლოცულობს“, **o**ნგზარ (**o**ორ. **o**პდგზარჲ) „მგზავრობს“, **o**კლი (**o**ორ. **o**ლამკლი) „კელობს, კოქლობს“; **o**კუჩხი (**o**ორ. **o**ლამკუჩხი) „კოქლობს“...

oლზ. **o**ნჩვირს „ცურავს“ — **o**ნჩვირუ „იკურა“, **o**ნგორს „გორავს“ — **o**ნგორუ „იგორა“, **o**გზალს „მგზავრობს“ — **o**გზალუ „იმგზავრა“ **o**ბურბალს „ბრუნავს“ — **o**ბურბალუ „იბრუნა“, **o**ნქორს „ამთქნარებს“ — **o**ნქორუ „დაამთქნარა“...

მეგრ. **o**ბურჯანს „შფოთავს“ — **o**ბურჯუ „იშფოთა“; **o**ხვამანს „ლოცულობს“ — **o**ხვამუ — „ილოცა“, **o**ბირს „მღერის“ — **o**ბირუ „იმღერა“, **o**განს „ქრის“ — **o**გუ „იქროლა“, **o**რგანს „გლოვობს“ — **o**რგუ „იგლოვა“...

მედიოაქტიურ ზმნათა I სერიის ფორმებში **o**- ხმოვნის მოკვეცისა და საზოგადოდ, პრეფიქსაციის მოშლის პროცესი არქაული ეპოქის ქართველურ ენათა ზმნურ სისტემებში დაკავშირებული უნდა იყოს ამ ენებში სუფიქსაციის წარმოქმნასთან, კერძოდ, —VC სტრუქტურის მორფემების, ძირითადად, თემის ნიშნების (საფიქრებელია, ასევე — მრავლობითობის ზოგი სუფიქსური ფორმანტის) ჩამოყალიბებასთან.

თემატური სუფიქსების დართვა (ასევე — სუბიექტის მრავლობითობის ან მორფისაც) უნდა განაპირობებდეს თავკიდური ხმოვნის მოკვეცას, რედუქციას იმ პრეფიქსული ხმოვნებისა, რომელთა ფუნქცია მოცემულ ეტაპზე დაბნელებულია. ძველ ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში ამ მოვლენის მხოლოდ გადმონაშთები დასტურ-

დება. შდრ., ძვ.ქ. ონგორის — გორავს, ობრდლუენს — ბრდლუნავს...
კოლხ. ონგორის „ცურავს“ — ჩურუნს „id“... შდრ. ძვ. ქ. მაქუნან —
მქონან...

სვანურში თემის ნიშანთა ერთიანი, ჩამოყალიბებული სისტემის
უქონლობა და ამის საპირისპიროდ ხმოვანთავსართიან ზმნურ ფუძე-
თა პოვნიერება დიდი სიხშირით (შდრ. ინგზარ „მგზავრობს“, ილრი
„ცურავს“, ილქუმი „მარხულობს“, ანჰყი „წყსავს“, აშთხრი „თხრის“,
აშკაღი „ქედავს“, აშყუღი „რეცხავს“, აშხი „წვავს“, აჰი „აცხობს“, აჰ-
ნი „ხნავს“, აჰში „ქსოვს, *გუსავს“ და მრავალი სხვა) ამ ორ მოვლენ-
ას შორის არსებულ კავშირზე მიუთითებს და ადასტურებს აქ წარ-
მოდგენილი თვალსაზრისის მართებულობას.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტთა სტატისტიკურ ვენბითებში
არსებული თანამედროვე ვითარება — VC სტრუქტურის მორფემათა
(აგ, ან) დართვის შედეგად ქართულის სხვა ქვესისტემებისათვის დამახა-
სიათებელი — პრეფიქსის რედუქცია (შდრ. აგია — დიალ. ლგავ, აწყვია —
დიალ. სწყვავ, აგროვია — დიალ. ლგროვავ... აკვია — დიალ. სკვიან, ას-
ხა — დიალ. კსხიან...) ჩვენს მიერ ისტორიულად ნავარაუდევნი ზოგადი
პროცესის კრძო გამოვლენაა.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქ და
ზოგ სხვა სტატიაში წარმოდგენილი ჩვენი კვლე-
ვის შედეგები, არსებითად, დადასტურებაა და
განვითარება არნ. ჩიქობავას დებულებებისა: „ისტო-
რიულად ქართულ ზმნას დიდი ცვლილებები გა-
ნუცდია... ცვლილებებია მომხდარი იმ თავსართ-ბო-
ლოსართებში, რომლებიც ფუძის შემადგენლობაში
შედის... ცვლილებათაგან ზოგი მორფოლოგიის
სფეროს განეკუთვნება, ზოგი ფონეტიკური ხასია-
თისა ჩანს.

ცვლილებები პრეფიქსებსაც განუცდია, ოღონდ აქ ფონეტიკაზე
(ხაზი — ლ. ნ.) მეტი ცვლილებები მოდის, ვინემ — მორფოლოგიაზე
(ჩიქობავა 1959, 151).

ლიტერატურა

აბულაძე 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

არაბული 1998 — ა. არაბული, ზოგი ცალთანზმოვნიაანი ზმნური და სახელური ძირის ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში, ქესს, თბ., 1998.

ბურჭულაძე 1971 — გ. ბურჭულაძე, სახელთა ოდენ პრეფიქსული წარმოება ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბ., 1971.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 — თ. გამყრელიძე, მაჭავარიანი სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

გიგინეიშვილი 1987 — ბ. გიგინეიშვილი, ძველი ქართული ენის გრამატიკიდან, „მრავალთავი“ XIV, თბ., 1987.

გოგოლაშვილი 1975 — გ. გოგოლაშვილი, სახელთა პრეფიქსული წარმოება, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბ., 1975.

გოგოლაშვილი 1981 — გ. გოგოლაშვილი, სახელთა ფუძისეული ხმოვნის რედუქციასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართულში, ქესს, ტ. V, თბ., 1981.

ზურაბიშვილი 1979 — თ. ზურაბიშვილი, მიცემითისა და სახელობითის გაქვავებულ ფორმათა გამოყენება დროის გამოხატვისას, ქესს, წიგნი მეორე, თბ., 1979.

თოფურია, ქალდანი 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

თოფურია 1979 — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, IV, ხმოვანთანთავსართოვანი სახელები, შრომები, III, თბ., 1979.

იმნაიშვილი 1975 — ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი (გამოკვლევა და ლექსიკონი), თბ., 1975.

კალანდაძე 1979 — ვ. კალანდაძე, რთული სახელებისაგან (კომპოზიტებისაგან) ნაწარმოები ზმნებისა და რთული ზმნების მართლწერისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქესს, წიგნი მეორე, თბ., 1979.

ნოზაძე 1958 — ლ. ნოზაძე, ინ-ენიანი ვნებითის ურთიერთობისათვის ქართულში, იკე, IX-X, თბ., 1958.

ნოზაძე 1961 — ლ. ნოზაძე, პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობისათვის ქართულში, ქესს, ტ. II, თბ., 1961.

ნოზაძე 1974 — ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, თბ., 1974.

ნოზაძე 2000 — ლ. ნოზაძე, ვნებითისა და პოტენციალის ფორმათა წარმოების ზოგი საკითხი კოლხურში, იკე, XXXIV, თბ., 2000.

ონიანი 1978 — ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978.

როგავა 1968 — გ. როგავა, მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ან სუფიქსისათვის ქართულში, იკე, XVI, თბ., 1968.

სარჯველაძე 1970 — ზ. სარჯველაძე, ორი ზანური ზმნური ძირის ძველქართული შესატყვისებისათვის; საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 58, № 1, თბ., 1970.

სურმავა 1996 — ნ. სურმავა, „აქეს“ ზმნის უღლების თავისებურება აქარულში, ქესს, VI, თბ., 1996.

სუხიშვილი 1976 — მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1976.

სუხიშვილი 1999 — მ. სუხიშვილი, გარდამავლობა, ერგატიულობა და გვარი ქართულში, ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომისა, თბ., 1999.

სუხიშვილი 1986 — მ. სუხიშვილი, გარდამავალი ზმნები ქართულში, თბ., 1986.

სუხიშვილი 2005 — მ. სუხიშვილი, ბრუნვაცვალეზადი სუბიექტის მქონე ორვალენტიანი ზმნების გრამატიკული სტატუსის საკითხი ძველ ქართულში, არნოდ ჩიქობავას საკითხავები, XVI, თბ., 2005.

უთურგაიძე 1976 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატიური სტრუქტურა, თბ., 1976.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

ფუტკარაძე 1996 — ტ. ფუტკარაძე, ენობრივი პოტენცია და რედუქციის საკითხი ქართულში, ქესს, VI, თბ., 1996.

შანიძე 1957 — ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

ჩიქობავა 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

ჩიქობავა 1947 — არნ. ჩიქობავა, აქუს- ფუძის უცნობი ვარიანტებისათვის ძველს ქართულში, თბ. უნ. შრომ., XXX / XXXIb, 1947.

ჩიქობავა 1948 — არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948.

ჩიქობავა 1950 — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ, ტ. I, თბ., 1950.

ჩიქობავა 1959 — არნ. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, იკე, XI, თბ., 1959.

ჩიქობავა 1968 — არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის უღვლილების სისტემის საკითხები, იკე, XVI, თბ., 1968.

კუმბურიძე 1968 — ზ. კუმბურიძე, მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში, თსუ ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები, 11, თბ., 1968.

ჯორბენაძე 1975 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.

დეეტერსი 1930 — Deeters, Das khartwelische verbum, L, 1930.

ენუქიშვილი 1974 — Р. Ш. Енукишвили, Глагол среднего залога в древнегрузинском языке, автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологический наук, Тб., 1974.

ხმოვანმონაცვლე ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში*

ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, როგორც ცნობილია, ვანაკუთრებულ ჩგუტს ქმნის ე. წ. ფუძედრეკადი (ხმოვანმონაცვლე) ზმნები. სალიტერატურო ენაში მათთვის დამახასიათებელია დრო-კილოთა პირველი სერიის ფორმათა ათემატური (უთემისნიშნო) წარმოება და ფუძის გახმოვანება ენით, რომელიც მეორე სერიის მწკრივებში შენაცვლებულია ო ხმოვნით (ე-ო): ვ-დრეკ — ვ-დრეკ-ე (ვ-დრეკ-ო), ვ-გრეხ — ვ-გრეხ-ე (ვ-გრეხ-ო), ვ-ცვეთ — ვ-ცვეთ-ე (ვ-ცვეთ-ო) და სხვა (შანიძე, 1973, გვ. 390-393, 408).

მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფუძეებში, თურქმობით პირველსა, მასდარსა და მიძლეობებში ხმოვანმონაცვლე ზმნათა ფუძეებში წარმოდგენილია ე: გრეხენ: დაუგრეხია, დაგრეხა, დაგრეხილი...

ფუძედრეკად ზმნათა მნიშვნელოვანი ნაწილი ახალ ქართულში (სამწერლობო ენასა და დიალექტებში) დაირთავს -აგ თემის ნიშანს, რის შედეგადაც პირველი სერიის მწკრივებში წარმოიქმნება ვარიანტები: ვ-დრეკ || ვ-დრეკ-ავ || ვ-დრეკ-ავ, ვ-გრეხ || ვ-გრეხ-ავ || ვ-გრეხ-ავ, ვ-წყვეტ || ვ-წყვეტ-ავ || ვ-წყვეტ-ავ (შანიძე, 1973, გვ. 392, 408; ცერცვაძე, 1941, გვ. 181-189; თოფურია, 1970, გვ. 203-205; თოფურია, 1965, გვ. 84; ბაბუნაშვილი, 1977, გვ. 29-35 და სხვა).¹

ეს ვარიანტები (სხვადასხვა კომბინაციით) ერთმანეთის მონაცვლედ გვხვდება სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში.²

* თეზისები დაბეჭდილია. იხ. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 52-ე სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1990 წლის 21-24 დეკემბერი, გვ. 18019. სტატია პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში: „ქსნ“-ი, VII, 1998.

¹ თანაპედროფე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით ფუძედრეკად ზმნათა -აგ სუფიქსიანი ფორმები საზოგადოდ უმართებულად არის მიჩნეული (თოფურია, 1965; თოფურია, 1970; თოფურია — გიგინეიშვილი, 1968). თუმცა თემისნიშნიანი ფორმების ენაში გაბატონების ტენდენცია იმდენად ძლიერია, რომ გამოყენების თვალსაზრისით ისინი, როგორც სრულიად სამართლიანად შენიშნავს ე. ბაბუნაშვილი, გაუთანაბრდა უთემისნიშნოებს (ბაბუნაშვილი, 1977, გვ. 302).

² აწმყის ფუძის არქაული — ათემატური წარმოება საზოგადოდ, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია მთის კილოებისათვის (ხევსურული, ფშაური...), თუმცა

მხოვანმონაცვლე ზმნათა პარალელური ფორმები დასტურდება ერთსა და იმავე ავტორთა, ზოგჯერ ერთსა და იმავე ზმნასთან. აღსანიშნავია, რომ აგ-სუფიქსიანი ურედუქციო ფუძეები ფიქსირებულია როგორც აღმოსავლეთ (უბირატესად), ისე დასავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ენაში.

ნიმუშები: იკვნეტავდა, ჩხრეკავდნენ, დაგწყვეტ (ე. ნინოშვი.); ჰგლეჯავს || ჰგლეჯს (რ. ერისთ.); სრესავსო || სრესდნენ (ვ. ბარნ.); ჟღეტავს || ჟღეტენ, თქვლევფავს || თქვლევფენ (ი. გოგობ.); მოიფშენეტავს || იფშენეტს, ჰყლეტავდა || ჰყლეტა (ვაჟა); წმენდავს || წმენდა (კ. ლოთქ.) და სხვა.

ურედუქციო ფორმები გვხვდება სხვა ავტორებთანაც: წმენდავს (ილია), ჩხვლეტავდა (ნ. ლომ.), იკვნეტავდა (ა. ყაზბ.), ბლეტავდა, დაგხურეტავთ, გაუჩხრეკავ (მ. ჯავახ.), გვკრეჰავენ (გ. ლეონ.), სხეპავდა, წყეპავენ (მ. მრეველ.) და სხვა.³

-ავ თემისნიშნით ხმვანმონაცვლე ზმნათა პარალელური ვარიანტები ფუძის **ი** და **ე** განმოვანებით ფიქსირებულია ქართული ენის დიალექტებში, კერძოდ, **ქ ვ ე მ ო ი მ ე რ უ ლ შ ი** : გლეჯავს || გლეჯავს, კრეფავს || კრეფავს, კეფჩავს || კეჩჩავს, ჩხრეკავს || ჩხრეკავს, გაფხეკავს || გაფხეკავს, გატლევავს || გატლევავს... (კუბლაშვილი, 1985, გვ. 157).

ამგვარი პარალელური ფორმები, როგორც სპეციალისტები შენიშნავენ, ჩვეულებრივია **ლ ე ჩ ხ უ მ უ რ შ ი** : წყვეტავ || წყვიტავ, ხურეტავ || ხურიტავ, ჟღეტავ || ჟღიტავ, ღრეკავ || ღრეკავ, ღღეტავ || ღღიტავ, კრეფავ || კრეფავ, სრესავ || სრესავ, წმენდავ || წმენდავ, ხლეჩავ || ხლეჩავ, კრეჰავ || კრეჰავ, გლეჯავ || გლეჯავ (ალაიძე, 1941; კაკიტაძე, 1987, 140-141) და სხვა.⁴

ფი არ არის უცხო არც ქართული ენის ბარის დიალექტებისათვის.

³ ნიმუშები დამოწმებულია ვ. თოფურის (1936, გვ. 232), ა. თაყაიშვილის (1974, გვ. 17) ნაშრომებიდან, აგრეთვე — ჰეგლ'ის რეატომულიდან.

⁴ სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ გრეხავს ტიპის ვარიანტები დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის, გრეხავს — დასავლურისათვის. მაგრამ შემოთწარმოდგენილი მასალის განხილვა გვიჩვენებს, რომ ღრეკავს, გლეჯავს, წყვეტავს ტიპის წარმოება გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს დიალექტებშიც. მხოვანმონაცვლე ზმნათა წარმოების თვალსაზრისით განსხვავებას ამ ორი ჯგუფის დიალექტებს შორის ქმნის ის, რომ აღმოსავლურ დიალექტებში, განსაკუთრებით კახურში გრეხ-ავ ყალიბი

შენიშვნა: ლუზტურში **o-** გახზოვნების ფუძეებს ემყარება თურმეობითი პირველის წარმოება: გოუკოქია, გოუწმინდია, გოუსრისია, გოუდრაქია... (კაკიტაძე, 1987, გვ. 141).

ქართული ენის დიალექტებში პარალელური ვარიანტებით არის წარმოდგენილი ფუძედრეკად ზმნათა სახელზმნებიც: საწყისი (გახლე-ჩვა || გახლიჩვა, გალევჩა || გალიჯვა...) და მიმლეობა: გახლეჩული || გახლიჩული, გაგლეჯული || გაგლიჯული... (კაკიტაძე, 1987, გვ. 141; ქურდაძე, 1993, გვ. 44-45).¹

აღსანიშნავია, რომ წარმოშობით **ენ-** სუფიქსიანი ზმნური ფორმები ახალ ქართულში **-აგ** (ასევე **-ებ**) თემატური ნიშნის დართვისას, ჩვეულებრივ, ერთი ვარიანტით — **ენით** არიან წარმოდგენილი: ბზნავს (შდრ. ბზენა), ბრწყინავს (შდრ. ბრწყენა), ქშინავს (შდრ. ქშენა), ღრინავს (შდრ. ღრენა), ხვრინავს (შდრ. ხვრენა) და სხვა (ქართულისათვის არ არის ბუნებრივი ფორმები: *ბზენავს, *ბრწყენავს *ქშენავს და მისთ.).

უტრადღებას იქცევს ისიც, რომ რიგი ფუძედრეკადი ზმნებისა, ჩვეულებრივ, არ დაირთავს **-აგ** თემის ნიშანს. ასეთებია: ამხელს, აპერს, ახელს, იშვერს, უმზერს, უჭვრეტს და მისთ.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ქართულში ხმოვანმონაცვლე ზმნებს უპირისპირდება გარკვეული ჯგუფი ზმნებისა, რომელთა ფუძეში წარმოდგენილი **ე** ხმოვნის სუფიქსის (**-აგ**, **-ენ...**), მით უფრო **-ე**, **-ო...** ხმოვნების დართვისას არ რედუცირდება, არ გადადის **o**ში: კვეთ-აგ — კვეთ-ე (კვეთ-ო), კვეც-აგ — კვეც-ე (კვეც-ო), ხვეწ-აგ — ხვეწ-ე (ხვეწ-ო), ჩეხ-აგ — ჩეხ-ე (ჩეხ-ო) და სხვა.

გაბატონებულია. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში **გ რ ი ხ - ა გ** ტიპის წარმოება აქაც დასტურდება: შდრ. გააკუთტამს (ჩიქობავა, 1925, გვ. 65); გაუთქვფამ, დაგრხსამდნენ... (იმნაიშვილი — მარტიროსოვი, 1956, გვ. 87). ბუნებრივია, რომ ამგვარი (რედუცირებული) ფორმები ხმოვანმონაცვლე ზმნებისა **ე-** ხმოვნის შემცველი **აგ-** თემისნიშნის ფორმების გვერდით გვხვდება ქართულშიც: მოზილამ, ავჯრამამთ, მოგლიჯამდა, გაუთქვფამთ, დაუფინამთ, დაცრიფამთ, აფხიკამ..., შდრ. ფლეფამ, მოზელამ, ჰყრეფამდა, უფენამდით, დახვრეტამენ, მოუჩხრეკამ, შრეტამს... (სალარიძე, 1978, გვ. 72; იმნაიშვილი, 1974, გვ. 205).

¹ უფრო ადრე ზამოთგანხილული მოვლენა შენიშნული აქვს ი. ცერცვაძეს გურულში (შდრ. დაიჭირავს, დაჭირვა, საჭირავი, მჭირავნი („კვეფხისტყაოსანი“; გაუღანთვა, აღხილვა, მოჭირვა, საფრინავი (საბა) დ სხვა (ცერცვაძე, 1941, გვ. 181-189).

ასეთი დაპირისპირება ხმოვანმონაცვლე და არახმოვანმონაცვლე ზმნებისა შეინიშნება მაშინაც, როდესაც მსგავსი (ზოგჯერ იდენტურ-რი) ფონემური შედგენილობის (სტრუქტურის) ფუძეებთან გვაქვს საქმე: იჭერ — იჭერ-ე შდრ. წერ — წერ-ე; წყვეტ (წყვეტ-ავ) — წყვეტ-ე, შდრ. ხვეტ (ხვეტ-ავ) — ხვეტ-ე; ცვეთ (ცვეთ-ავ) — ცვეთ-ე, შდრ. წვეთ-ს (წვეთ-ავს) — იწვეთ-ა; ზელ (ზელ-ავ) — ზელ-ე, შდრ. თელ-ავ (თელ-ე); გლეს (გლის-ავ) — გლის-ე, შდრ. ლეს (ლეს-ავ) — ლეს-ე და სხვა.

ფუძედრეკად ზმნათა წარმოებასთან საკითხთა წყებაა დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა უნდა გაირკვეს, სალიტერატურო ქართულში ათემატურ ხმოვანმონაცვლე ზმნათა პირველი სერიის ფუძეში წარმოდგენილი ე ხმოვანი რატომ არის შეცვლილი იწით ნამყო-ძირითადის წყებაში (და-გრეხ — და-გრეხ-ე, და-გრეხ-ო...), როცა იმათე პოზიციაში (ხმოვანი სუფიქსების დართვისას) სხვა შემთხვევებში ე გვაქვს; შდრ. გრეხ-ენ, და-უ-გრეხ-ია, და-გრეხ-ა, და-გრეხ-ილ-ი.

როგორ ჩამოყალიბდა ქართულში ხმოვანმონაცვლე ზმნათე აგ-თემისნიშნისანი ფუძეები ი- გახმოვანებით დრო-კილოთა პირველი სერიის ფორმებში (გრეხ-ავ, ზლიჩ-ავ, ცვეთ-ავ...).

გარკვეულ სისტემებში (უპირატესად — დასავლურ დიალექტებსა და ზოგ შემთხვევებში — სამწერლობო ქართულში) ამავე სერიის მწკრივებში რატომ წარმოიქმნება პარალელური ვარიანტები: გრეხავ || გრეხავ, გლეჯავ || გლეჯავ და მისთ. (შრ. აგრეთვე სახელზმნები: გრეხვა || გრეხვა, დაგრეხული || დაგრეხული...).

თანამედროვე ქართულში რატომ არის ერთი ვარიანტით — იწით წარმოდგენილი -ენ სუფიქსი პირველი სერიის მწკვივებში: ბზინავს, ბრწყინავს, ხვრინავს..., ე. ი. რატომ არა გვაქვს ასეთ ზმნებთანაც პარალელური ფორმები: ბზენავს || ბზინავს, ბრწყენავს || ბრწყინავს... (შდრ. გრეხავს || გრ-იხავს...).

რატომ არ ირთავს რიგი ფუძედრეკადი ზმნებისა -ავ თემის ნიშანს: ახელს, აჭერს, იშვერს, უმზერს, უჭვრეტს და სხვა.

რატომ იუღვლის მსგავსი ფონემური შედგენილობის (ანალოგიური სტრუქტურის) ფუძეები სხვადასხვა მოდელის მიხედვით; შდრ. ვწერ — ვწერ-ე, მაგრამ ვ-ი-ჭერ — და-ვ-ი-ჭერ-ე; ვ-ცვეთ — ვ-ცვეთ-ე, მაგრამ წვეთს — ი-წვეთ-ა და სხვა.

სპეციალურ ლიტერატურაში აქ დასმულ კითხვებზე პასუხი, ძირითადად, გაცემულია.

არნ. ჩიქობავას ვარაუდის მიხედვით ხმოვანმონაცვლე ზმნათა აორისტსა და ხოლმეობითის ფორმებში წარმოდენილი ფუძისეული Θ მიღებულია ეს ფონეტიკური რედუქციის (დავიწროების) შედეგად ხმოვანი სუფიქსების (-ე, -ო) დართვის გამო: დავდრეკე > დავდრე-კე... (ჩიქობავა, 1940, გვ. 36-38).

მაგრამ ასეთი თვალსაზრისისას ასახსნელია, ს ა ლ ი ტ ე რ ა - ტ უ რ ო ქ ა რ თ უ ლ ს ა და მთელ რიგ დიალექტებში რატომ არ განხორციელდა იგივე პროცესი ანალოგიურ პოზიციაში სხვა შემთხვევებში, კერძოდ, ფორმებში: ღრეკენ, გაულრეკეია, ღრეკა, გადრე-კილი და მისთ.

არნ. ჩიქობავა მათგან მხოლოდ მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმებს (გრეხენ, გლეჯენ...) ეხება და თვლის, რომ -ენ სუფიქსის დართვისას არ ხდება ფუძისეული Θ ხმოვნის რედუქცია ($\Theta > \Theta$ პროცესი) საფიქრებელია იმიტომ, რომ „აწმყოს წარმოება უფრო ახალი ფორმაციისა და -ენ სუფიქსის გამოყენება ისეთი დიალექტური წრიდან მომდინარეობს, სადაც რედუქცია ისე ძლიერი არ უნდა ყოფილიყო“ (ჩიქობავა, 1940, გვ. 57).

ჭირს ავტორის ამ აზრის გაზიარება. ძნელი წარმოსადგენია ისეთი ვითარება, როდესაც გარკვეული დიალექტური წრიდან საერთო-ქართველურში მხოლოდ ერთი — მრ. რიცხვი მესამე პირის ფორმა ვრცელდება; მით უმეტეს, რომ ქართული ენის არცერთ დიალექტსა და არც სამწერლობო ქართულში (ძველსა თუ ახალში) არ არის ფიქსირებული გ რ ი ხ ე ნ ტიპის წარმოება. რაც უფრო არსებითია, დიალექტებზე მითითებით ვერ ავხსნით დანარჩენ ფორმებს: დაუგრეხია, დაგრეხა, დაგრეხილი და მისთ.

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნულ ურედუქციო ფორმებს მრ. რიცხვის მესამე პირში, თურმეობით პირველსა, მასდარსა და მიმლეობებში ერთგვაროვანი იტერპრეტაცია უნდა მიეცეს.

აზრის ორგვარი შესაძლებლობა ჩანს; ერთი — მორფოლოგიური. გრეხენ, დაგრეხა, დაგრეხილი და მისთ. ფორმებში არ ხორციელდება $\Theta > \Theta$ პროცესი იმის გამო, რომ ისინი განიცდიან აწმყო-მყოფადის ფორმათა ზმნური პარადიგმის 'და'ვგრეხ, 'და'გრეხ, 'და'ვგრეხს, 'და'ვგრეხთ... გავლენას (გამყრელიძე — მაქავარიანი, 1965, გვ. 186.¹

¹ როგორც ცნობილია, პირველი თურმეობითის ფორმები (ძირითადად), ასევე — მასდარი და მიმლეობა აწმყოს ფუძისაგან იწარმოება. ამ სისტემებში, სადაც

შეიძლება გვევარაუდა ისიც, რომ მსგავს ფონეტიკურ გარემოცვაში (ამ შემთხვევაში — ხმოვანი სუფიქსების დართვის პირობებში) თუ სხვადასხვა შედეგები გვაქვს (გრძხ-ე, შდრ. გრძხენ, დაუგრძხია, დაგრძხა, დაგრძხილი...) იმის გამო, რომ მორფონემატური პოცესები გარკვეული გრამატიკული ფუნქციების მიხედვით შესაძლოა განსხვავებულად რეალიზდებოდეს (უთურგაიძე, 1976, გვ. 199). ჩვენ პირველი ვარაუდი მიგვაჩნია უფრო მართებულად, თუმცა არც მეორე შესაძლებლობაა გამოსარიცხი.

სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს დრო-კილოთა პირველი წგუფის ფორმებში ხმოვანმონაცვლე ზმნათა რედუცირებული — **ე-** განხმოვანების მქონე **აგ-** თემიანი ფუძეების (გრძხ-ავ, გლძჟ-ავ...) გენეზისთან დაკავშირებით.

ა. შანიძის აზრით, „ზოგიერთ ხმოვანმონაცვლე ზმნას **-ავ** დაერთო მეორე სერიის თემაზე და მივიღეთ პარალელური ფორმები: ვლეს და ვგლესავ, ვგრძხ და ვგრძხავ, ვკრეჟ და ვკრეჟავ, ვჟლენტ და ვჟლენტავ“... (შანიძე, 1973, გვ. 392).

ამ თვალსაზრისისაა ი. ცერცვაძეც. მისი თქმით, „აწმყოში **ე-** ხმოვნიანი ფუძე ნამყო-წყვეტილიდან მოდის (ანალოგიით?)... ფუძეზე სუფიქსის დართვა კი საჭირო გახდა აწმყოსა და ნამყო-წყვეტილის ფორმათა გასარჩევად“ (იხ. ცერცვაძე, 1941, გვ. 189; აგრეთვე კერენჩხელიძე, 1941, გვ. 110).

ფუძედრეკად ზმნათა **-ავ** სუფიქსიან ურედუქციო ფორმებს: კრეჟ-ავ, ვ-გრძხ-ავ, ვ-ჟლენტ-ავ, ვ-ხლენ-ავ და მისთ., რომლებიც ა. შანიძის მონაცემებით ენაში რედუცირებული ფორმების პარალელურად არსებობს: კრეჟ-ავ || კრეჟ-ავ... აღნიშნული ავტორები, ბუნებრივია, აწმყოსაგან მომდინარედ მიჩნევენ (შანიძე, 1973, გვ. 408-49; ცერცვაძე, 1941, გვ. 181-189).

დრო-კილოთა მეორე სერიის ფუძეს: დრძჟ-, გრძხ-, ცვთ- (შდრ. დრძჟ-ე, გრძხ-ე, ცვთ-ე...) ვარაუდობენ ამოსავლად ხმოვანმონაცვლე ზმნათა პირველი სერიის **-ავ** თემიანი რედუცირებული ფორმებისა-

დამკვიდრებულია გ რ ი ხ ა ვ ს ტიპის წარმოება (იგულისხმება ქართული ენის დასავლური დიალექტები: ლეჩხუმური, ქვ. იმერული და სხვა). აღნიშნულ ფორმებში, რ. ქურდაძის აზრით, გავრცელებულია აწმყოს ფუძე **ე-** განხმოვანებით: დაუგრძხია, დაგრძხა, დაგრძხილი... (ქურდაძე, 1994, გვ. 11-12; შდრ. კაკიაძე, 1987, გვ. 141 და სხვა).

თვის (დრიკ-ავ, გრიხ-ავ, ცვით-ავ...) თ. გამყრელიძე, გ. მაქავრიანი (1965, გვ. 192, 211 დ შდგ.), ბ. ჯორბენაძე (1975, გვ. 117) და სხვანი.

ჩვენი აზრით, ზემოთგანხილულ თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ს — ხმოვან-მონაცვლე ზმნათა მეორე სერიის ფორმებში ხ მო ვ ა ნ ი ს უ - ფ ი ქ ს ე ბ ი ს (-ფ, -ფ) დართვის შედეგად ფუძისეული ე ს ფონეტიკური რედუქციის გზით მიღებული ფ-გახმოვანების ფუძეები: დრჟ- (*დრჟე-ე > დრჟე-ე), გრხ- (*გრხე-ე > გრხე-ე) და მისთ. გადავიდა პირველ სერიაში და დაერთო -ავ თემატური ნიშანი (დრჟე-ავ, გრხე-ავ...), სერიოზული დაბრკოლებებ ახლავს, სახელდობრ:

ა) მიჩნეულია, რომ არ ა რ ა ფ უ ძ ე დ რ ე კ ა დ ი, ი ს ტ ო რ ი უ - ლ ა დ ათემატური ზმნები შემდგომ თემის ნიშნებს დაირთავენ ა წ - მ ყ ო ს ფ უ ძ ე ზ ე : ვ-კვეც > ვ-კვეც-ავ, ვ-კვეთ > ვ-კვეთ-ავ, ვ-ჯოც > ვ-ჯოც-ავ და სხვა. ამ წესისაგან რატომ უნდა ქმნიდეს გამონაკლისს ფუძედრეკადი ზმნები?

ბ) ის ფონეტიკური გარემოცვა, რომელიც წარმოიქმნება ნამყო-ძირითადის წყებაში, სადაც მკვლევართა ერთსულოვანი აზრით, ხორციელდება ე > ი პროცესი (გრეხ > გრხე-ე...), აწმყოს ფორმებშიც გვაქვს: *გრე-ავ > გრხე-ავ, *ცვეთ-ავ > ცვეთ-ავ... რატომ არის აუცი-ლებელი ე > ი გადასვლა ვივარაუდოთ განხორციელებულად მინ-ცადამიანც (მხოლოდ) ნამყო-ძირითადის ფორმებში?¹

გ) არ არის სადავო, რომ -ავ თემისნიშნიან ხმოვანმონაცვლე ზმნათა ურედუქციო ფორმები: დრჟე-ავ, გლევ-ავ, ცვეთ-ავ და მისთ მიღებულია აწმყოს ათემატურ ფუძეზე -ავ ფორმანტის დართვით; არა აქვს მნიშვნელობა იმას, აღნიშნულ ფორმებს (გრეხ-ავ ტიპს) მი-ვიჩნევთ „ფუძედრეკალ“ ზმნებთან (გრხე-ავ: ცვეთ-ავ...) შედარებით გვიანდელ წარმონაქმნად, თუ მასზე ადრეულ ფაქტად. მთავარი აქ ა წ მ ყ ო ს ფ უ ძ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი ა : -ავ თემი-სნიშნიან ხმოვანმონაცვლე ზმნათა ურედუქციო ფორმები (დრჟე-ავ ტიპი) პირველი სერიის ფუძეს ემყარება.

¹ სალიტერატურო ქართულში ე ხმოვნის არსებობა იმავე პოზიციაში (ხმოვანი სუფიქსების დართვის ვითარებაში) ფორმებში: გრეხენ, დაუგრეხია, დაგრეხა, დაგრეხილი და მისთ. ასახსნელია ყველა შემთხვევაში დამოუკიდებლად იმისა, გ რ ი ხ - ა ვ ტიპის ფუძეებს ვივარაუდებთ გავრცელებულად მეორე სერიის მწკრავებიდან, თუ ჩამოყალიბებულად პირველ სერიაში, რაკი ვუშვებთ დრიკ-ე < *დრჟე-ე პროცესს (ახსნის სხვა შესაძლებლობა კი ხმოვანმონაცვლე ზმნათა მეორე სერიის ფორმებისა არ არსებობს).

ზემოთგანხილული თვალსაზრისის მიხედვით გამოდის, რომ ხმოვანმონაცვლე ზმნათა აწმყო-მყოფადის წრის ფორმები ხან ნამყო-ძირითადის ფუძე ემყარება (შდრ. ღრიკ-ავ, გრიხ-ავ, წყვიტ-ავ...), ხან აწმყოსას (ღრეკ-ავ, გრეხ-ავ, წყვეტ-ავ...), რაც ახსნის არათანმიმდევრულობაზე მიუთითებს, ამდენად მის ერთ-ერთ ნაკლს წარმოადგენს.

ღ) თუ ხმოვანმონაცვლე ზმნათა პირველი სერიის მწკრივებში გახმოვანების მქონე ფუძეები გავრცელებულია ნამყო-ძირითადის ფორმებიდან, როგორც ვარაუდობს ამას მკვლევართა გარკვეული ნაწილი, მაშინ ასახსნელია ამგვარი (ი ხმოვნის შემცველი) ფუძეები აწმყო-მყოფადის წრეში რაიტომ არ გვხვდება -ავ თემის ნიშნის გარეშე, ე. ი. რაიტომ არა გვაქვს ვ-ღიკ, ს-ღრიკ, ვ-ღრიკ-თ, ს-ღრიკ-თ, ღრიკ-ენ და მისთ. (შდრ. ე- გახმოვანების ათემატური ხმოვანმონაცვლე ზმნები: ვ-ღრეკ, ს-ღრეკ, ღრეკ-ს...)²

იგივე კითხვა რომ განვაგრცოთ: რაიტომ ემთხვევა (თუ ასე ვივარაუდებდით) ხმოვანმონაცვლე ზმნათა აორისტის — ი- გახმოვანების ფუძეების — გავრცელება ღრო-კილოთა პირველი ჯგუფის ფორმებში -ავ თემატური სუფიქსის დართვის ტენდენციას?³

ისმის სხვა კითხვაც (ჩვენი აზრით, არსებითი ხასიათისა): შეიძლება თუ არა ზმნური ფუძე ერთი სერიიდან გავრცელდეს მეორეში ისეთ შემთხვევაში, როცა ასეთ ფუძეებში წარმოდგენილ მონაცვლე ხმოვნებს (პირველ სერიაში — ე'ს, მეორეში — ი'ს), როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, გ ა რ კ ვ ე უ ლ ი მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი ფ უ ქ ც ი ა ა კ ი ს რ ი ა — გამოხატოს დაპირისპირება გარდამავალი ფუძედრეკადი ზმნის აწმყოსა და აორისტის ფუძეებისა: ვ-ღრეკ — ვ-ღრიკ-ე... (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 185, 192 და შმდ.) ვფიქრობთ, არ შეიძლება.

შენიშვნა. ვრალდი იმისა, რომ ი- გახმოვანების ფუძეები აწმყოში (გრახ-ავ...) გავრცელებულია აორისტი წყების ფორმებიდან (გრახ-ე...), ა ვ ტ ო მ ა ტ უ -

² აწმყო-აორისტის ფორმათა გარჩევის საშუალება ასეთ შემთხვევაშიაც რჩება — ესაა მწკრივის ნიშნები: აწმ. ვ-ღრიკ — აორ. ვ-ღრიკ-ე... (შდრ. ცურცვაძე, 1941, გვ. 188-189).

³ -ავ თემის ნიშნის დართვა ხმოვანმონაცვლე ზმნათა ფუძეებზე შედარებით ახალი მოვლენაა (საშუალო ქართულში ამგვარი ნიშნები გვხვდება სპორადულად), როცა ფუძედრეკად ზმნათა სისტემა ძელოსძელ წარმონაქმნად ითვლება იგი სპეციალისტთა აზრით საერთო-ქართველურ დონეზე რეკონსტრუირდება.

რად გამორიცხავს ე— ხმოვანთა ფუნქციური მონაცვლეობის არსებობას ფუძედრეკად ზმნათა ულელილების სისტემაში საზოგადოდ.

თუ ასეთი დამკვიდრების ივარაუდება, რომ აბლაუტის სისტემა ხმოვანმონაცვლე ზმნათა ჯგუფში დარღვეული იყო აორისტის ფუძეთა განზოგადებამდე, მაშინ საჭიროა განიხარტოს:

ა) ვ-დრეკ / ვ-დრეკ-ე მოდელის არსებობისას (ვ-დრეკ-ავ ტიპის ჩამოყალიბებად) რაში გამოიხატებოდა აბლაუტური სისტემის მოშლა აღნიშნულ ზმნათა ჯგუფში?

ბ) რამ განაპირობა იგი? დრო-კლოთა მეორე ჯგუფის ფორმებში — აორისტში, ხოლმეობითში მწკრივის ნიშნები -ე, -ა ფუძედრეკად ზმნებს დაერთდა არქაული ეპოქის ქართულშიც. ახალ ქართულში ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. ამდენად, აღნიშნულ ფაქტს ვერ მივიჩნევთ აბლაუტის მოშლის მიზეზად ხმოვანმონაცვლე ზმნებში (შდრ. ცერცვაძე, 1941, გვ. 183, 186; გამყრელიძე, მაკვათრიანი, 1965, გვ. 185; ჟორბენაძე, 1975, გვ. 117 და სხვა).¹

ზემოთმოაღნიშნულ დაბრკოლებათა გამო ვვარაუდობთ, რომ ხმოვანმონაცვლე ზმნათა აწმყოს ფუძეები ე- განხმოვანებით: ვ-დრეკ-ავ, ე-გრძ-ავ და მისთ. არ არის გავრცელებული ნამყო-ძირითადის ფორმებიდან (ე-დრეკ-ე, ე-გრძ-ე...), როგორც მიიჩნევეს ამას მკვლევართა გარკვეული ნაწილი. ისინი მიღებული უნდა იყოს -ავ ფორმანტის დართვით პირველი სერიის ფუძეზე, ე'ნიანზე (და არა მეორე სერიისაზე — ე'ნიანზე) ისევე, როგორც ხდება ეს სხვა არახმოვანმონაცვლე ზმნათა შემთხვევაში; ე. ი. გრძ > გრძ-ავ... (შდრ. სთეს > ს-თეს-ავ...).

გრძ / გრძ-ავ მონაცვლეობის საფუძველი ფონეტიკურია (ე ე'ს ფონეტიკური რედუქციის შედეგია). აწმყოს წრის მწკრივებში ინიანი ფორმები: ბრძ-ავ, გლძ-ავ, ხლძ-ავ და მისთ. რედუქციის საფეხურს წარმოადგენენ ისევე, როგორც მეორე სერიის ფორმები: 'და'ბრძ-ე, 'და'გლძ-ე, 'გა'ხლძ-ე, და სხვა. ორსავე შემთხვევაში ე'ს რედუქციას (ე > ე) იწვევს მომდევნო ხმოვანი სუფიქსი: აორისტის ფუძეში — ე ფორმანტი (შდრ. დრეკ — დრეკ-ე...), აწმყოს ფუძეში — -ავ თემის ნიშანი: დრძ-ავ (შდრ. დრეკ...)²

¹ განხილულ საკითხებზე მკვლელობა წარმოდგენილია ქვემოთაც.

² ვ თოდურისა აზრით, ბრწუნავს, ქმნავს, ხერხნავს, ფრინავს... *ბრწუნავს, *ქმნავს, *ხერხნავს... ფორმებისაგან მომდინარეობს: შდრ. ქმნ-ა, ლრძნ-ა, ფრძნ-ა...

შენიშვნა: ხმოვანმონაცვლე ზმნათა აწმყოს ფორმებში აგ სუფიქსის დართვა და ფუძის ო- გახმოვანება შინაგან კავშირშია: ოს აწმყოს ფუძეებში აგ ფორმანტის არსებობა განაპირობებს: ვ-ღრძა-ავ... (შღრ. ვ-ღრძა-ავ...). ამიტომია, რომ ო ხმოვნის შემცველი ფუძეები აწმყოში აგ თემატური ნიშნის გარეშე (ვ-ღრძა, ვ-გრძ, ვ-ცვთ და მისთ.) არა გვაქვს, როცა თემატური ფორმები ფუძის ვ- გახმოვანებით (ვ-ღრძა, ვ-გრძ, ვ-ცვთ...) ქართულისათვის ჩვეულებრივია. ხ მ ო ვ ა ნ მ ო ნ ა ც ვ ლ ე ზ მ ნ ა თ ა ა წ მ ყ ო ს ფ უ ძ ე ე ბ ზ ე (ვ-ღრძა, ვ-გრძ...) აგ სუფიქსის დართვის გამო ეს რედუქციის გზით (ე > ი) ო გახმოვანების ფუძეების (ღრძა-ავ < *ღრძა-ავ წყვეტავ ← *წყვეტავ...) ჩამოყალიბების შედეგად მოიშალა „აბლაუტის სისტემა“ განხილულ ზმნათა კლასში დიგვი აგლუტინაციურმა ტიპმა — აფიქსაციამ შეცვალა: ³ ვ-ღრძა — ვ-ღრძაე > ვ-ღრძა-ავ (* ვ-ღრძა-ავ) ⁴ — ვ-ღრძა-ე...

(თოფურია, 1942). ი. ქავთარაძის ვარაუდითაც, ბრწყენ-ავ > ბრწყენ-ავ, ფრენ-ავ > ფრენ-ავ. ენ ილრიკება: ენ > ენ (ქავთარაძე, 1954, გვ. 118, 126), გრ. იმნაიშვილი და ა. მარტიროსოვი თვლიან, რომ აგ/ -ამ თემის ნიშანი ზოგჯერ იწვევს ფუძის ღრძას: გაეთქვფთავ. დაგრძამდენენ... (გრ. იმნაიშვილი, ა. მარტიროსოვი, 1956, გვ. 87).

არცერთს ამ მკვლევართაგანს არ მოუცია არგუმენტაცია ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისისა. დასახელებულ ავტორებთან შედარებით ვრცელ განხილავს ფუძეღრძაკად ზმნებს ა. თაყაიშვილი. ამგვარ ზმნათა აწმყოს ფორმებში მომხდარ ცვლილებებს იგი აგ სუფიქსის დართვას მიაწერს, ტყე > ტყე-ავ > ტყე-ავ. მათგან ტყე-ავ ფორმას გარდაამავალ საფეხურად თვლის (თაყაიშვილი, 1974, გვ. 16-17, 20^ფ).

აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ ტყე-ავ ფორმა არ შეიძლება გარდაამავალ საფეხურად მივიჩნიოთ ე > ო პროცესში. ამისათვის საკირო იყო ავტორს აღნიშნულ ფუძეში დაეშვა ემ კომპლექსი: *ტყე-ავ > ტყე-ავ (სხვა საკითხია, რამდენად რეალური იქნებოდა ასეთი დაშვება). იდენტური ფონემა: გრძ > გრძ-ავ > გრძ-ავ (ე > ე > ი) არ შეიძლება წარმოადგენდეს შუალედურ რგოლს ე > ო გარდაქმნისას.

³ აღნიშნული მოვლენის სხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის იხ. ცერცაძე, 1941, გვ. 183, 187; გამყრელიძე, მკავარიაძე, 1965; ქორბენაძე, 1975, გვ. 116-118 და სხვა.

⁴ ღ რ ი კ - ა ვ ტ ი პ ი ს ფ ო რ მ ა თ ა ზ ე მ ო თ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი ინტერპრეტაციისას ისმის, ჩვენი აზრით, ერთი მეტად სერიოზული საკითხი: შეიძლება თუ არა ღრძაკად ფუძეთა აგ სუფიქსით გაფორმების პერიოდისათვის ეს რედუქცია (ე > ი) ქართულში ცოცხალ, მოქმედ ფონეტიკურ პროცესად მივიჩნიოთ? ვფიქრობთ, რომ შეიძლება საკითხის ასე გადაწყვეტას ერთგვარად მხარს უჭერს ცოცხალ მეტყველებაში (დალაქტებში) დადასტურებული ფაქტები ეს ოში გადასვლისა (თუმცა

ქართული ენის რიგ დიალექტსა (უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს კილოებში) და ცოცხალ, სასაუბრო მეტყველებაში, ასევე სამწერლობო ქართულში დადასტურებული ფორმები: გრეხავ, ხლენავ, წყვეტავ, ცვეთავ და მისთ. ნაცვლად მოსალოდნელი გრეხავ, ხლენავ, წყვეტავ, ცვეთავ... ფორმებისა გრეხ, ხლენ, წყვეტ, ცვეთ ტიპის პარადიგმის შემოქმედების შედეგია. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ გრეხ-ავ ტიპის ფორმები ფიქსირებულია იმ სისტემებში, სადაც რეალურად არსებობს ან დასაშვებია, მეტყველის ცნობიერებაში შემონახულია გრეხ, გლფე, ცვეთ ტიპის ფორმათა წარმოების ტრადიცია. სადაც არა გვაქვს ასეთი ვითარება, არა გვაქვს არც გრეხ-ავ² მოდელი.³

წარმოქმნილი სულ სხვა საფუძველზე — დისიმილაციური და ასიმილაციური პროცესების შედეგად).

დისიმილაციის გზით ესგან ეს მიღება ეა ხმოვანკომპლექსში გავრცელებული პროცესია ქართული ენის დიალექტებში. აქ ჩვეულებრივია ასეთი ფორმები: შაატყო, შაასრულა, შაადარე... ძიძიგური, 1954, გვ. 115. (ამგვარი ფაქტები არ არის უცხო არც სალიტერატურო ქართულსათვის: იამა < ეამა, გეახელი < გეახელი, ქრისტეანი < ქრისტეანი... იან < ეან: ა. შანიძე)

ქართული ენის კილოებში (მესხურში, მთარაკულში, თუშურში, გურულში...) ასევე დადასტურებულია წინამავალი ეს დისიმილაციური დავიწროება იმ ხმოვანკომპლექსში: შეებრალა, დეცა, გამბეკიდა... კლდეები, ტყეები... (ძიძიგური: 1954, გვ. 119).

ე ხმოვნისაგან ენის მიღების ერთ-ერთი გზა მომდევნო ენთან ასიმილაციაა: წილი, გიქნა. დმინახვენ, გეგმარკოს... (ძიძიგური, 1954, გვ. 108).

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ არ არის გამოირცხელი იმის შესაძლებლობაც, დ რ ი ე-ავ ტიპის ფორმები აწყოში ჩამოყალიბებული იყოს II სერიის ფორმათა (დრეკ-ე) ყალიბის მიხედვით (ეს აზრი გამოთქვა მ. მაჭავარიანმა მოხსენების დროს). ასეთი ინტერპრეტაციისას იხსნება ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობები. კომპრომისული თვალსაზრისია და, ალბათ, უფრო მისაღებიც.

¹ აღნიშნული თვალსაზრისისათვის (დრეკ-ავ < *დრეკ-ავ...) დაბრკოლებას, როგორც სრულიად სამართლიანად შენიშნავს ა. თაყაიშვილი, არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აგ სუფიქსის დართვა სხვა შემთხვევაში (ლეს-ავ, თეს-ავ, ხვეწ-ავ...) არ იწვევს ფუძისეული ხმოვნის რედუქციას. ხსენებულ ზმნათა ჩგუფში ე არ გადადის ეში არც მეორე სერიის ფორმათა წაროებისას: ლეს-ე (ლეს-ო), თეს-ე (თეს-ო) და სხვა (თაყაიშვილი 1974, გვ. 16; შდრ. ცერცვაძე, 1941, გვ. 182).

² ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კახურის ჩვენებას, სადაც, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ფუძედრეკად ზმნათა გრეხ ა ვ ს ტიპია გაბატონებული. მიზეზი ნათელია — ამ დიალექტში დასაშვებია გრეხ ს ტიპის წაროებაც.

თანამედროვე ქართულში არ დასტურდება (არ არის ჩვეულებრივი) -**ინ** სუფიქსიან (წარმოშობით ფუძედრეკად) ზმნათა: ბზინავს, ბრწყინავს, ღრინავს, ხვრინავს და მისთ. ფორმათა -**ენ** სუფიქსიანი ვარიანტები: ბზენავს, ბრწყენავს, ღრენავს, ხვრენავს, და სხვა იმიტომ, რომ არა გვაქვს (არ არის ბუნებრივი) ბზენს, ბრწყენს, ღრენს და მისთ. ფორმები.⁴

³ ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით უნიფიცირებული ახსნა ეძლეა აწმყოს ფუძეთა წაროების აპრინციპს ქართულში — აჲ სუფიქსიანი ფორმები დრო-კილოთა პირველ ჯგუფში ყველა შემთხვევაში (როგორც ხმოვანმონაცვლე, ისე არახმოვანმონაცვლე ზმნებთან) ნაწარმოები აწმყოს ათემატურ ფუძეზე -აჲ თემის ნიშნის დართვით: ლეწ > ლეწ-აჲ, ღრეკ > ღრეკ-აჲ || ღრეკ-აჲ...

⁴ ხომ არ შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ღრეკავს, გლეჯავს, ხლეჯავს ტიპის წარმოება შედეგია არა საკუთარი, ფუძედრეკად ზმნათა პრადიკმის (ღრეკ-ს, ხლეჯ-ს...) გავლენისა, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, არამედ არახმოვანმონაცვლე ზმნათა მოდელისა, სადაც პირველი სერიის ფორმებში (ისევე, როგორც მეორისაში) ფუძე წარმოდგენილია მხოლოდ ე- გახმოვანებით: თესავს, ცვლავს, ლეწავს და სხვა. ეს მით უფრო შეიძლებოდა გვეფიქრა იმის გამოც, რომ დასავლურ დიალექტებში, სადაც ღრეკავს, გრეხავს ტიპი ასევე დასტურებულია. ამჟამად ხმოვანმონაცვლე ზმნათა ათემატური წარმოება (ღრეკ, გრეხ.) არ არის აქტიური.

მიუხედავად ამისა ჩვენი პასუხი დასმულ კითხვაზე უარყოფითია (საკითხის სხვაგვარი ახსნა მოცემულია ზემოთ). ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა ბრწყენავს, ბზენავს, ბრღლვენავს და მისთ. ფორმათა არარსებობა თანამედროვე ქართულში, როცა ასეთი დაშვებისას ასიმილატორად მიჩნეული ფორმები: თესავს, თელავს, ბერავს და მისთ. ჩვეულებრივია. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ბრწყენავს ტიპის არარსებობა თანამედროვე ქართულში განპირობებულია ბრწყენს, ბზენს ტიპის არარსებობით.

-ენ სუფიქსიან ფორმებზე -აჲ თემის ნიშნის დართვა სხვა ფუძედრეკად ზმნებთან შედარებით გაცილებით ადრეა დაწყებული (მღრ. ძვ. ქართ. ბრწყინვა, ბზინვა, ღრტყნვა, აღმოფყნვა, ხურინვა, ლუმინვა, შემინვა...) და ამიტომ პროცესიც უფრო შორსაა წასული („ფრინავს“ ტიპის ზმნებში -აჲ სუფიქსის დართვას აღინიშნულ მოულოდნელ მიჩინევს რ. ქურდაძე (1995, გვ. 78 103-105).

ამგვარ ზმნებთან თანამედროვე ქართულში პრეცედის ბოლო ეტაპის აშახველი ფორმები — მხოლოდ -ინ სუფიქსიანი ზმნებია დამკვიდრებული: ბზინავს, ბრწყინავს, ღრინავს, ქმინავს და სხვა. ბზენს / ბზენავს, ბრწყენს / ბრწყენავს და მისთ. -ენ სუფიქსიანი ფუძედრეკადი ზმნებისათვის განვლილი საფეხურია. ასეთია პერსპექტივა სხვა ხმოვანმონაცვლე ზმნებისაც, ღრეკ-აჲ, ხლმ-აჲ, წყვიტ-აჲ, კრფ-აჲ, ღრეც-აჲ, ევლოფ-აჲ, ხვრეც-აჲ და მისთ. ფორმებისა (აღმოსავლეთ საქართველოში დიალექტებში არსებული ვითარება — ფუძის ე- გახმოვანების მქონე -აჲ სუფიქსიანი ფორმების ღრეკ-აჲ, ხლმ-აჲ, წყვეტ-აჲ... გაბატონებული მდომარეობა ზემოთაღნიშნული

როგ ფუძედრეკად ზმნებთან -აგ სუფიქსის დაურთველობა (ახელს, ახელს, აპერს, აშვერს, უჭვრეტს...) ფუძის მარცვლიანობით ჩანს განპირობებული. საენათმეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ -აგ ფორმანტი, ჩვეულებრივ, დაერთვის ერთმანცვლიან ხმოვანმონაცვლე ზმნას, თუ იგი სალიტერატურო ენაში იშვიათი ხმარებისა არ არის. მოცემულია ამ წესისაგან გამონაკლისების ახსნის ცდაც (ბაბუნაშვილი, 1977, გვ. 31-35).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხმოვანმონაცვლე ზმნებს უპირისპირდება დიდი ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც ფუძეში ასევე შეიცავენ ე-ხმოვანს, მაგრამ იულვლიან სხვა მოდელის მიხედვით — ნამყო-ძირითადის წყებასა და დრო-კილოთა პირველი ჯგუფის ფორმებში -აგ სუფიქსის დართვისას ფუძისეული ე არ რედუცირდება, არ გადადის ი²ში: ვ-თეს-აგ — ვ-თეს-ე, ვ-ბერ-აგ — ვ-ბერ-ე, ვ-თელ-აგ — ვ-თელ-ე და სხვა (შდრ. ვ-დრ-ეჟ — ვ-დრ-იჟ-ე, ვ-დრ-იჟ-აგ...).

ჩვენი აზრით, ეს მოვლენა არ არის განპირობებული ფუძის სტრუქტურით (მისი ფონემატური შედგენილობით), როგორც მიიჩნევს ამას ზოგი მკვლევარი (ერთელიშვილი, 1970, გვ. 99-104).¹ ე ხმოვნის განსხვავებული „ქცევა“ (რაც განპირობებს უღვლილების სხვადასხვა მოდელის არსებობას ქართულში) შეინიშნება მსგავსი ფონემური შედგენილობის, შეიძლება ითქვას, იდენტური სტრუქტურის ფუძეებშიც კი; მაგ.: წერ — წერ-ე, შდრ. იჭერ — 'და'იჭერ-ე; ხვეტ — 'და'ხვეტ-ე, შდრ. წყვეტ — წყვეტ-ე; წვეთ-ს — იწვეთ-ა, შდრ. ცვეთ-ს — ცვეთ-ა...

შესაძლოა, აღნიშნულ მოდელებს შორის სხვაობა განპირობებული იყოს ისტორიულად (არქაული ეპოქის ქართულში) სხვადასხვა თვისებრიობის (სივრძე-სიმოკლის მიხედვით დაპირისპირებული) ე²ს არსებობით.² საკითხი რთულია და დამატებით კვლევას მოითხოვს.

ტენდენციის საწყის საფეხურს წარმოადგენს. დასავლურ დიალექტებს (ქვ. იმერულს, ლეჩხუმურს და სხვა) მათვის დამახასიათებელი პარალელური ფორმებით: დრეჟ-აგ || დრ-იჟ-აგ, წყვეტ-აგ || წვეტ-აგ, გლეს-აგ || გლის-აგ... გარდამავალი ადგილი უჭირავს.

¹ როგორც თვითონ ავტორი შენიშნავს, დრეჟადი ფუძეების ზოგადი მოდელი, რომელიც ფუძისეულ ე ხმოვანთან სონანტის მეზობლობას ითვალისწინებს. ყველა ზმნას ვერ მოიცავს (ერთელიშვილი, 1970).

² თ. გამყრელიძე, გ. მაკავარიანი გარკვეულ ზმნათა კლასში ა, ე ხმოვანთა სივრძის საფეხურს ვარაუდობენ ზოგ პოზიციაში (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. გამყრელიძე — მაკავარიანი, 1965, გვ. 240-262...).

ზემოთ ნათქვამი რომ შევაჯამოთ: ქართულში, როგორც ცნობილია, გამოიყოფა გარკვეული ჯგუფი ზმნებისა, რომელთა ფუძეები დრო-კილოთა პირველსა და მეორე ჯგუფში ერთმანეთს უპირისპირდება შინაგანი ხმოვნის მონაცვლეობით: ე (I სერიაში) — ი (II-ში). სალიტერატურო ენაში მათთვის დამახასიათებელია ათემატური აწმყო: ვ-დრეკ — ვ-დრეკ-ე, ვ-გრეხ — ვ-გრეხ-ე...

ხმოვანმონაცვლე ზმნათა მნიშვნელოვანი ნაწილი ახალ ქართულში (სამწერლობო ენასა და დიალექტებში) დაირთავს -აჟ თემის ნიშანს, რის შედეგადაც ენაში წარმოიქმნება ვარიანტები: ვ-დრეკ || ვ-დრეკ-ავ || ვ-დრეკ-ავ, ვ-გრეხ || ვ-გრეხ-ავ || ვ-გრეხ-ავ...

სპეციალურ ლიტერატურაში ვ-დრეკ-ავ, ვ-ხლიჩ-ავ, ვ-ცვით-ავ ტიპის ფორმათა ორგვარი ახსნა არსებობს.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით ამგვარი (ი ხმოვნის შემცველი) ფუძეები: დრეკ-, გრეხ-, ხლიჩ- და მისთ. დრო-კილოთა პირველ ჯგუფში გავრცელებულია მეორე სერიის ფორმებიდან, რომელთაც აწმყო-მყოფადის წყებაში დაერთვის -აჟ თემის ნიშანი: ვ-დრეკ > ვ-დრეკ-ე > ვ-დრეკ-ავ... (ა. შანიძე ი. ცერცვაძე, თ. გამყრელიძე, გ. მაკეაშვილი, ბ. ჯორბენაძე და სხვა).

სხვა თვალსაზრისის მიხედვით ფრინავს, ცვითას, წყვობავს და მისთ. ფორმები მიღებულია აწმყოს წყებაში ე- განხმოვანების ფუძეებზე -აჟ სუფიქსის დართვის გამო წარმოქმნილი ე > ი პროცესის შედეგად: ბრწყინ-ავს < *ბრწყენავს, გლოჯავს < *გლეჯ-ავს... (ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ა. თაყაიშვილი...).

ნაშრომში განხილულია ის დაბრკოლებები, რომელიც პირველ თვალსაზრისს ახლავს, გააზრებულია მეორე მოსაზრება, მოცემულია მისი დასაბუთების ცდა.

ლიტერატურა

ალავიძე, 1941 — გ. ალავიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისი პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. II, ქუთაისი, 1941.

ბაბუნაშვილი, 1977 — ე. ბაბუნაშვილი, ფუძედრეკალი ზმნების ერთი თავისებურება ქართულში, თსუ შრომები., ტ. 174, 1977.

გამყრელიძე — მაჭავარიანი, 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონატთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.

ერთელიშვილი, 1970 — ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი, 1970.

თაყაიშვილი, 1974 — ა. თაყაიშვილი, კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, ქესს, IV, თბილისი, 1974.

თოფურია, 1936 — ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, თსუ შრ., ტ. III, 1936.

თოფურია, 1942 — ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, აკადემიის მოაბე, ტ. III, № 5, 1942.

თოფურია, 1965 — ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1965.

თოფურია, 1970 — ვ. თოფურია, -აგ სუფიქსიანი ზმნების მართლწერა, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი, 1970.

თოფურია — გიგინეიშვილი, 1974 — ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1974.

იმნაიშვილი, 1974 — გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბილისი, 1974.

იმნაიშვილი — მარტიროსოვი, 1956 — გრ. იმნაიშვილი, არ. მარტიროსოვი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956.

კაკიტაძე, 1987 — კ. კაკიტაძე, აწმყოს ფუძის წარმოებისათვის ქართული ენის ლეჩხუმურ კილოში, „მაცნე“, I, 1987.

კვერენჩელიძე, 1941 — გ. კვერენჩელიძე, კაუზატივის წარმოებისათვის გურულში, თსუ სტუდენტთა სამეცნ. შრომ., კრებული, I, თბილისი, 1941.

კუბლაშვილი, 1985 — კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქემოიპერული დიალექტი, თბილისი, 1985.

ხალარიძე, 1978 — თ. ხალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბილისი, 1978.

უთურგაიძე, 1976 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატიური სტრუქტურა, თბილისი, 1976.

ქავთარაძე, 1954 — ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიები ძველ ქართულში, თბილისი, 1954.

ქურდაძე, 1993 — რ. ქურდაძე, აგ თემის ნიშნის ხმრავების შესახებ ხმოვანმონაცვლე ზმნები, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტ. სამეცნ. კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1993.

ქურდაძე, 1994 — რ. ქურდაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნათა პირველი სერიის ფუძის შესახებ, ბესარიონ ჭორბენაძის სამეცნ. კონფერენცია, თბილისი, 1994.

ქურდაძე, 1995 — რ. ქურდაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნათა პირველი სერიისა და სახელზმნის წარმოების შესახებ, იკე, XXXIII, თბილისი, 1995.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის სფუძვლები, I, თბილისი, 1973.

ჩიქობავა, 1940 — არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიმკის „მოამბე“, V-VI, თბილისი, 1940.

ცერცვაძე, 1941 — ი. ცერცვაძე, ფუძედრეკად ზმნათა თავისებური წარმოებისათვის, თსუ სტუდენტთა სამეცნ. შრომ. კრებული, I, თბილისი, 1941.

ძიძიგური, 1954 — შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954.

ჭორბენაძე, 1975 — ბ. ჭორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, 1975.

მყოფადის ჩამოყალიბებისათვის ქართულში*

სპეციალურ ლიტერატურაში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ასპექტი ძველ ქართულში უღლების კატეგეგორია იყო და სერიათა მიხედვით განირჩეოდა — I სერიის მწკრივები (ზმნისწინიანი და უზმნისწინო) უსრულ ასპექტს გამოხატავდა, II სერიისა — სრულს, მაგრამ შემდგომ (XI-XVII სს.) ამ სისტემამ არსებითი ცვლილება განიცადა — სრული ასპექტის გამოხატვის ფუნქცია ზმნისწინიან ფორმას დაუკავშირდა, უსრულისა — უზმნისწინოს. ამას შედეგად მოჰყვა მთელი რიგი სხვა ცვლილებები, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევა I სერიის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა გათიშვა და მყოფადის წრის მწკრივთა ჩამოყალიბება (ა. შაინძე, ზ. ქუმბურაძე...).

სხვაგვარია ვითარება მედიოაქტიურ მზნებთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, ამ სისტემის მზნები სრული ასპექტის (მყოფადის) გამოსახატავად, როგორც წესი, პრევერბს არ დაირთავს. ახალ ქართულში ამ ზმნათა ფორმები აწმყოსა და მყოფადის წრეში, ასევე — აორისტის წყების მწკრივებში თემატური სუფიქსების გარდა **o-(/ჟ-)** პრეფიქსით უპირისპირდება ერთმანეთს:

დულს — იდულღებს, იდულა; კენესის — იკენესებს, იკენესა; ცურავს — იცურებს, იცურა; მეფობს — იმეფებს, იმეფა... სწამლობს — უწამლებს, უწამლა...

ძველ ქართულში I სერიის მწკრივებში, როგორც სრულიად სპარტლიანად არის შენიშნული საენათმეცნიერო ლიტერატურაში, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ამ სისტემის ზმნათა უპრეფიქსო ფორმებია ფიქსირებული (რ. ენუქიშვილი).

იშვიათად, გამონაკლისის სახით დასტურდება ზოგი მათგანის **o-** თავსართით ნაწარმოები ვარიანტებიც, მაგალითად:

იგლოვს / გლოვ'ის', იკუნესს / კუნესის, იბრდღუნეს / ბრდღუნავს, ისტუნეს / სტუნავს, ინანის / ნანობს, იგორავს (იგორვიდა) / გორავს, ილაღადებს / ლაღადებს, იმრუშებს / მრუშობს, იჭვრობს / ჭვრობს...

მიიჩნევენ, რომ ასპექტის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით **o-** პრეფიქსიანმა ფორმებმა მწკრივი შეიც-

* დაიბეჭდა 2002 წ. „არნ. ჩიქობავას საკითხავები“, XIII, გვ. 66-68.

ვალა — მყოფადის წრეში გადაინაცვლა.

მაშასადამე, აღნიშნული თვალსაზრისის მიხედვით ივარაუდება, რომ ამ გზით არის ჩამოყალიბებული მწკრივთა მყოფადის ჯგუფი მედიოაქტიურ ზმნათა უღვლილების სისტემაში.

ვფიქრობთ, ამგვარ თვალსაზრისის სერიოზული წინააღმდეგობები ახლავს. ამასთან, ფაქტობრივადაც არ ჩანს მართებული. კერძოდ:

ის, რაც ძველ ქართულში იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს (იჭუელს, იკუნესს, იგორავს...), ნაკლებ სავარაუდოა სათავეს უდებდეს გაცილებით გვიან წარმოქმნილი მყოფადის რიგის მწკრივთა ფორმების ჩამოყალიბებას მედიოაქტიურ ზმნათა უღვლილების პარადიგმაში.

და კიდევ, თუ ძველ ქართულ ძეგლებში ფიქსირებულმა აწმყოს • თავსართიანმა დინამიკურმა ზმნებმა უღვლილების სისტემაში მომხდარი ზემოთაღნიშნული ცვლილებების გამო მყოფადის წრეში გადაინაცვლა, რატომ რა გადაჰყვა მათ თავისი თემატური სუფიქსები: -ი, -ავ, -ობ. რატომ შეიცვალა ისინი -ებ თემის ნიშნით; შდრ. ძვ. ქართ. ა წ მ. იკუნესის, ილოცავს, ინადირობს... ახ. ქართ. მყოფ. იკუნესებს, ილოცებს, ინადირებს...

არ არის სადავო, რომ მედიოაქტიურ, ისევე როგორც სხვა სტრუქტურის ზმნათა მყოფადის წრე შედარებით ახალია, ჩამოყალიბებული ასპექტის გამონატვის ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მაგრამ, ჩვენი აზრით, არა აწმყოს წრის • პრეფიქსიან ფორმათა მყოფადში გადაინაცვლების გზით, როგორც თვლიან ამას, არამედ — მეორე სერიის ფუძეებზე -ებ თემატური სუფიქსის დართვით.¹

ამით უნდა აიხსნებოდეს ის ფაქტი, რომ მედიოაქტიურ ზმნათა მყოფადში მხოლოდ -ებ თემის ნიშანი გვაქვს ყველა შემთხვევაში — მაშინაც, როცა აწმყო ათემატურია და იმ შემთხვევაშიაც, როცა აწმყოს წრის ფორმებში -ი, -ავ, -ებ, -ობ სუფიქსებია წარმოდგენილი (შდრ. ყეფს — იყეფა, იყეფებს; მღერის — იმღერა, იმღერებს; ბოლავს — იბოლა, იბოლებს; შრიალავს — იშრიალა, იშრიალებს; მეფობს — იმეფა, იმეფებს...), და ისიც — რატომ არის ასახული მე-

¹ -ებ სუფიქსის დარგით — იმიტომ, რომ ქართულში თემის ნიშნებს შორის იგი ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტული სუფიქსია. მეორად ფუძეებს უპირატესად იგი აწარმოებს.

ორე სერიაში არსებული ვითარება მყოფადის ფორმათა წარმოებაში (მდრ. ყვირის — იყვირა, იყვირებს; მაგრამ: ყვის — იყივლა, იყივლებს...).

ვფიქრობთ, ამ ვარაუდს მხარს უჭერს სხვა ფაქტობრივი (ქრონოლოგიური დონის) მონაცემებიც — ძველ ქართულ ძეგლებში (VII-XI სს) მედიოაქტიურ ფორმათა დადასტურება აორისტის ჯგუფის მწკრივებში (იყურა, ისამხრა, იმრუშა, ილოცა, იქუხა, იყივლა, იკრჩხილა, იკურა და სხვ.), როცა ამ სისტემის ზმნათა მყოფადის წრის ფორმები (იტირებს, იქუხებს, ისამხრებს, ილოცებს, იყივლებს...) სამწერლობო ქართულში გაცილებით გვიან გვხვდება.¹

¹ ლ. ნოზაძე, ისევ მედიოაქტიური ზმნების შესახებ ქართულში, 2000, გადაცემულია დასაბუქდად იყ-ს XXXV ტომში.

კავშირებითის ფორმათა წარმოებისათვის ზემოიშვება

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კავშირებითის ფორმებს, როგორც ცნობილია, ე-, ა-, თ- სუფიქსები აწარმოებს. მათგან -ე ბოლოსართი პირველი კავშირებითის² ერთადერთი მაწარმოებელია: წერდეს, ხატავდეს, მეფობდეს, თბებოდეს, იხვნებოდეს, შენდებოდეს...

მეორე კავშირებითს სამივე: ე-, ა-, თ- სუფიქსი აწარმოებს. მათი გამოვლენა ამჟამად მორფოლოგიურად არის შეპირობებული. ისინი გარკვეულ ფუძეებთან გვხვდება.

-ე სუფიქსი მეორე კავშირებითის მაწარმოებლად გვაქვს ე. წ. უნიშნო და ღონიან ვნებითებთან (ვათბეს, ვაშრეს, ვათეთრდეს...), ასევე — ზოგ სხვა გარდაუვალ ზმნასთან (წავიდეს, დაიბნეს, დაინგრეს, დაეცეს...). გარდამავალთაგან ერთადერთია ც-ემ ფუძის ზმნები, რომელთაც მეორე კავშირებითის ფორმები -ე სუფიქსით აქვთ ნაწარმოები (მისცეს, გასცეს, გადასცეს, გამოსცეს, ჩასცეს...).

მეორე კავშირებითში -ა სუფიქსს დაირთავენ ზმნები, რომლებიც წყვეტილს აწარმოებენ -ი ელემენტით (ე. წ. ნართაული ძინთ), ან ნულოვანი ალომორფით (მოკლას, მოხნას, დაძრას, გაცრას...). -ა გვაქვს აგრეთვე ზოგ პრეფიქსიან ვნებითთან (დაიწვას, დაიფქვას, დაეხას...).

-თ ბოლოსართით მეორე კავშირებითს აწარმოებენ ზმნები, რომლებიც წყვეტილში -ე დაბოლოებას მიიღებენ (ააშენოს, აქოს, დააწერინოს, დაიძალოს...).

ფორმათა წარმოების თვალსაზრისით მესამე კავშირებითში, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, მეორე კავშირებითის ანალოგიური ვითარება გვაქვს.³ აქაც საწარმოებლად გამოყენე-

* ნაშრომი არსებითად წარმოადგენს ნაწილს მოხსენებისა „ზემოიშვება“ თვისებურებანი სოფ. გრიგალათის მეტყველების მიხედვით“. წაკითხული იქნა ენათმეცნიერების ინსტიტუტში 1958 წელს.

² პირველ კავშირებითში აქაც და სხვა შემთხვევაშიაც იგულისხმება აწმყოსა და მეოფადის კავშირებითი.

³ კავშირებითის მაწარმოებელ სუფიქსთა განაწილების შესახებ იხ. არნ. ჩიკობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 142; ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები (მეორე გამოცემა), თბ., 1973, გვ. 433-434, 439-440; ა. კიზირია, ქართული ენა, თბილისი, 1974, გვ. 101; გ.

ბულია სამი სუფიქსი: -ე, -ა, -ო — გარდამავალ ზმნებთან (დაეხსნა-ს, მოეკლას, დაეწვას, დაეწეროს, გაეთიბოს, აეშენებოხს...), -ე — გარდაუვალებთან (დამალოდეს, გასთეთრებოდეს, დარჩენოდეს...).¹

ზემოიპყრულ დიალექტში კავშირებითის -ე, -ა, -ო სუფიქსთა განაწილების განხილული წესი რამდენადმე დარღვეულია. აქ კავშირებითის ფორმებში -ო ბოლოსართი გვაქვს იქაც, სადაც სალიტერატურო ქართულის მიხედვით ის მოსალოდნელი არ არის. მაგალითად:

პირველი კავშირებითი: გ ი ხ ა რ ო დ ო ს, კაათ წევიდა საქმე-ი... სანამ დ ა ე დ ე ბ ო დ ო ნ, წამოხტება ეს ქოსატყუილა... სანემლი აკვანში ჩ ა ა წ ვ ე ნ დ ო ნ, პატარა ფიცარს გამოჰკრიან... კაათ რო მ უ შ ა ო ბ დ ო ნ, რა გვიჰირდა... უნდა ი ც ო დ ო ნ ესი... მეორეს რო მ ა მ ც ე მ დ ო ნ, რა აჯოფებს... სანამ ისინი გ ა ა მ ზ ა დ ე ბ - დ ო ნ, მე ქვე მოვალ... უნდა ე ფ ე რ ე ბ ო დ ო ნ ი ბოვშეს... ეგენი რო არ ხ ე დ ა ვ დ ო ნ, ვინ დამიყენეფს ვენახს... ქე მაინ აღარ გ ვ ა წ ყ ა ლ ე ბ დ ო ნ... რო ის წ ა ვ ლ ი დ ო ნ, რა მიჰირს... ნეტა მ ე ი ტ ა ნ ე ბ დ ო ნ... რო მ ს ა ხ უ რ ო ბ დ ო ნ, კაი შენე... გულიანათ რო ე კ ი დ ე ბ ო დ ო ნ, ასე კი არ ჩაოხრთებოდა საქმე... არ გ ვ ზ ვ ე რ ე მ დ ო ნ და პლანს არ იღებდონ... ხონურს არ აკეთებდონ... ასე რო ი პ რ ი ა ნ ო ბ დ ო ნ... ჩემ გადასახურავს მაინც მ ო მ ა ხ მ ა რ დ ო ნ... ესენი რო შეილათ გ ა დ ა მ ე ქ ე ც ე ო - დ ო ნ... არ იციან ჭრეთი, აბა, ი ც ო დ ო ნ... რო რამეს ა ძ ლ ე ვ - დ ო ნ, კაი შენე... ახლა რო აკეთებდონ, კაი... ყურძნის წვენს მაინც მ ო გ ვ ი ტ ა ნ დ ო ნ... ერთ სავალდებულო ენას რო შე მ ო - იღებდონ... ნეტა ძმისწულები ი ქ ნ ე ბ ო დ ო ნ კაათ... სანამ გ ა მ ო ა რ კ ვ ე ვ დ ო ნ, მეიცადე... სანამლი ჩ ა მ ო ა რ თ მ ე - ვ - დ ო ნ, ჩამოდი... ადამიანს კ ლ ა მ დ ო ნ და არც მოვეხმარო?!... კათე-ში რო ლ ა პ ა რ ა კ ო ბ დ ო ნ... რო შ ქ ა მ დ ო ნ, სულ ვერ გოუშვეფ... ნეტაი, აქ არ მ ე ჯ ა ვ რ ე ბ ო დ ო ნ!... ანგრე რო მ ე ფ ე რ ე - ბ ო დ ო ნ!... სანამლი კვერცხის დებას მ ო ი წ ყ ე ბ დ ო ნ... ისეთ არ გაყვება, რო ნ ა თ ლ ა ვ დ ო ნ... რო უ ვ ლ ი დ ო ნ, ისედაც არ იქნებოდა... ნეტაი კი გ ა მ ა გ ზ ა ნ ი დ ო ნ... ძმები რო არ ქ ო რ წ ი ლ - დ ე ბ ო დ ო ნ, ერთმანეთს შეაბერდებოდენ სიკვდილამდინაო... ნეტა -

გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, დრო-კილოთა მეორე სერიის ნაკვეთულთა წარმოება ახალ ქართულში (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი, 1982, გვ. 83-98.

გარდამავალთაგან აქაც ერთადერთია ც-ემ ფუძის ზმნები, რომლებიც მესამე კავშირებითის ფორმებს -ე ბოლოსართით აწარმოებენ (მიეცეს, გაეცეს, გამოეცეს...).

კარქა მ ე ყ ო ლ ო ბ ო დ ო ნ...

მეორე კავშირებითი: ორი წლის რო გახთოს, მოკეტოსო... ჭერეთი გვიან არაა, არ შეეგეშინდოს... უნდა გადმოხტოს და მისცოს... შეიძლება ისე მოგიხთოს, რო პასუხისგებაში მიქცონ... ეს ბოვშვი გეიზარდოს, დავაშკაცდოს, ხეზე შევიდოს და დეიდუპოს... მაინდამინ ხვალ უნდა წახვიდო?... ორჯელ უნდა ჩევიდო... სიმიღზე არ მივიდოს საჭინელი... რომ გამოხვიდო, მკერდამდი შამოვვწვდება წყალიო... ბაგრატის თხილზე გედევიდოთ... ჩვენ რო აქ მივიდოთ, ზეით უნდა ევიდოთ... შევიდონ და ეუარონ შიგა... ჩვენთან ჩამოვიდონ ხომე... რო მოვიდონ, უკან გავზნანი... გაწყდონ ეგენი, ერთ დღეს გაწყდონ... გავსკდოთ... რო გასკდონ, არ გავყვები... უნდა მიცვინდონ ქალები... მოკეტონ-მეთქი — გევიფიქრე... ოლონდ მამცილდონ, წევიდონ და მეტი რა მინდა!... იქით ვეღარ წავლიან, უნდა დაბრუნდონ... უნდა დააკეტონ ამ ოთხ ბოვშვს... ადგონ და მიწერონ... ფულს ყრის გზაზე, რო გამომიდგონ, მიხვთონ, ამ გზით მიდისო... ვაითუ გამოგვიდგონ უკან... ხვლიდან უნდა შეუდგონ მუშაობასა... ლობიო უნდა მამცონ... ხელფასი საიდან მოქცონ... ერთი კილო მაინც მიცონ... ნეტა გაჩერდონ... შოუძლიათ აქეთ მოყონ მატარებელს... ცოლქმარი ერთმანეთს არ უნდა დაშორდონ... უნდა შეწუხთონ რაცხაზე... ბოვშვები რო აღარ დამიბრუნდონ?... უნდა დაცალცალდონი ე ქალები... რომ მოკედონ, არ მივცემ... რო შექხთონ, გიცნობენ... ბოჯიჭგი მივეცი ქვეიდანა, ბავშვები არ მიწვდონ-მეთქი... გახდონ ავათა და ჩვენც ვნახავთ... ჭერ არც მინდა, რო გასუქდონ... წყალში არ ჩავარდონ... აღარ იციან, რას გამორჩონ... ფულის გულითვინა ლამის გაგიჟდონ ხალხი... ვაგზანი ახლა ქუთაისში, იქნება დარჩონ იქა... ვაი, გადაშენდონ ისინი... ასე დაბერდონ ჩემი შვილები... გაბრაზდონ, რა!... ლამის თავზე დაასხდონ... როდი მინდა, რო გაჩერდონ... ერთმანეთს უნა შეურიგდონ... გადაბრძანდონ მერე და კრიფონ ჩვენს ვენახშიო...

მესამე კავშირებითი: გლახათ რათ უნდა მამკიდებოდონ...²

² საილუსტრაციო მაგალითები ამოღებულია ნაშრომებიდან: ქ. ძოწენიძე.

ზემოიშვების შესახებ არსებული სპეციალური ლიტერატურიდან კავშირებითის წარმოების თავისებურებათა ამსახველი ნიმუშები ჩვენ სრულად წარმოვადგინეთ. მასალაზე დაკვირვება ცხადს ხდის, რომ:

ა) ზემოიშვულ დიალექტში კავშირებითის ფორმებში -*ა* სუფიქსი ენაცვლება სალიტერატურო ქართულის -*ე* ბოლოსართს (შდრ. დავაჟკაცდოს, შევიდოს, შეურიგდონ, მეფერებოდონ, ჩააწვედონ...). -*ა* ფორმანტი ცვლილებას არ განიცდის. მოხნოს, მოჭროს, მოკლეთ, დაძრონ... წამრება არაა ტპური ზემოიშვულისათვის.

ბ) მონაცვლეობა: სალიტერატურო *ე* — დიალექტური *ა* მეორე კავშირებითში ძირითადად ხორციელდება მესამე სუბიექტური პირის ფორმებში¹, უპირატესად მრვალობით რიცხვში, გვხვდება სხვა პირებსა და მხოლოდით რიცხვშიც (შდრ. გახთოს, მოკვტოს, გადმოხტოს, მამცილდონ, მიხეთონ, გაწყდონ, გავსკდოთ...)².

გ) პირველ კავშირებითში სალიტერატურო ქართულის *ე*-ს საპირისპიროდ -*ა* გვაქვს მხოლოდ მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმებში (შდრ. კლამდონ, მუშაობდონ, ქორწილდებოდონ...). მრავლობითი რიცხვის სხვა პირებსა და მხოლოდობით რიცხვში საზოგადოდ *ე*—*ა* მონაცვლეობა არ დასტურდება. ზემოიშვულისათვის არ

ზემოიშვულ კილოკავი. აღ წულუკიძის ქუთაისის სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, 1952-53, გვ. 91, მისივე, ზემოიშვული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 28, 63-64, 89, 1290158, 191, 219; მ. დამენია, გრამატიკული ანალოგიის ერთი შემთხვევა ზემოიშვულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ნ. შარის სახელობის ენის ინსტიტუტი, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა მესამე სამეცნიერო კონფერენცია, 1950, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 7; ლ. ლეჟავა, ზემოიშვულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, იკვ, IX-X, 1958, გვ. 184; ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 441, 443, 455, 458. ვიყენებთ აგრეთვე სხვადასხვა წლებში ხარაგოულის რაიონში მივლინებების დროს ჩვენ მიერ შეკრებილ მასალას (სოფლები: გრიგალეთი: ციციური, წაჭვა, წითა, ფონა).

¹ *ე* — *ა* ცვლისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომელი პირის ობიექტია ზმნაში წარმოდგენილი (შდრ. მამცემდონ, მეფერებოდონ, გეყოლებოდონ, დამიბრუნდონ, შეურიგდონ...).

² გამონაკლისს წარმოადგენს ვედ ფუძის ზმნები, სადაც *ე*—*ა* მონაცვლეობას სისტემური ხასიათი აქვს: მეორე კავშირებითის ფორმებში ყველა პირსა და ორსავე რიცხვში სალიტერატურო ქართულის *ე*-ს ნაცვლად წარმოდგენილია *ა* (შდრ. მოვიდო, მოხვიდო, მოვიდოს, მოვიდოთ, მოხვიდოთ, მოვიდონ. ასეთივე ვითარება სხვა პრევერბის დართვის შემთხვევაშიაც).

არის ჩვეულებრივი ფორმები: ვაშენებდით, აკეთებდით, გიყვებოდით, დაუბრუნებდით, შეხვდით და მისთ.³

როგორ ავხსნათ ზემოთხსენებულში კავშირებითის აღნიშნულ ფორმებში სალიტერატურო ქართულის ე სუფიქსის ფარდად ო ფორმანტის გამოვლენა?

ზემოთხსენებულის აქ განხილულ ფორმებს სპეციალურ ლიტერატურაში ო სუფიქსიანი კავშირებითის ანალოგიით ხსნიან.⁴ ე—ა მონაცვლეობის ასახსნელად ეს საკმარისი არ არის. ანალოგიაზე მითითება მოვლენის დახასიათებაა შედეგის მიხედვით, თვით ცვლილების მიზეზი აუხსნელი რჩება. ანალოგისეული წარმოება თავს იჩენს მაშინ, როცა ენაში გარკვეული შინაგანი ტენდენციები ამოქმედდება.

აღნიშნული მოვლენა, ვფიქრობთ, ვერ აიხსნება ვერც ფორმათა უნიფიკაციის ტენდენციით.⁵ ასეთი ახსნის შემთხვევაში გარუკვეველი რჩება:

ა) რატომ ენაცვლება ზემოთხსენებულში კავშირებითის -ო სუფიქსი სალიტერატურო ქართულის ე ხმოვანს და ა-ს — არა, ე. ი. რატომ არ არის დამახასიათებელი ზემოთხსენებულისათვის ფორმები: მოვხნო, მოკლო, მოჭროს, გავცროთ, დამძრონ და მისთ., როცა გვაქვს: შევიდოს, დაეჯეკადოს, გადმოხტოს, გავსკდოთ, მოკვდონ და სხვა.

ბ) რატომ ვლინდება ე-ს ნაცვლად ო პირველი კავშირებითის მხოლოდ მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ფორმებში. ე. ი. რატომ გვაქვს აშენებდონ, ხნავდონ, დარჩებოდონ, მეფერებოდონ... და არა გვაქვს ვაშენებდო, ხნავდო, დარჩებოდოთ, მეფერებოდოთ და სხვა.

განხილულ მოვლენასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს გრამატიკული ომონიმიის ის შემთხვევები, რომლებიც ტ ი პ უ რ ი და ყ ვ ე ლ ა ზ ე გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ი ა ახალ სალიტერატურო

³ პირველი კავშირებითის მხოლოდობითი რიცხვის ფორმაში ე-ს ფარდად ო სუფიქსის ხმარების ერთადერთი შემთხვევა — გ ი ხ ა რ ო ლ ო ს — დადასტურებული ქ. ძოწენიძის მიერ კვიათურის რაიონში, შესაძლებელია ინდივიდუალური ხმარებისაც, საერთო სურათს ვერ ცვლის.

⁴ ო. ჯ. ძოწენიძე, ზემოთხსენებული კილოკავი, 1973, გვ. 28, 63-64, 89... პ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგანური მეტყველება, იყ. ტ. VIII, 1956, გვ. 137.

⁵ შ. ვ. თოფურიძე, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იყ. ტ. VII, 1975, გვ. 459.

ქართულში. მხედველობაში გვაქვს ფორმათა დამთხვევა,¹ რომელიც წარმოიქმნება მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტურ პირში, ერთი მხრივ, უწყვეტელსა (resp. I ხომლეობითსა) და პირველ კავშირებითში საზოგადოდ ყველა ზმნასთან და მეორე მხრივ, წყვეტილსა და მეორე კავშირებითის მწკრივებში დონიან და ე. წ. უნიშნო ვნებითებთან, ასევე — ზოგ სხვა გარდაუვალ ზმნასთან. წერდნენ, იმალებოდნენ, ვაჟკაცდებოდნენ, თბებოდნენ, მოდიოდნენ ... უწყვეტლის ფორმებსაც წარმოადგენენ და პირველი კავშირებითისასაც, ასევე — დავაჟკაცდნენ, გათბნენ, დავარდნენ, დაეცნენ, მოვიდნენ ... საზიარო ფორმებია² წყვეტილისა და მეორე კავშირებითისათვის.³ აღნიშნული ომონიმური ფორმები არც სუბიექტის რიცხვის მიხედვით განიჩრევიან, ყველა შემთხვევაში ზმნასთან შეწყობილია მესამე პირის სუბიექტი მრავლობით რიცხვში. მსგავს ფორმათა გასარჩევად საჭირო ხდება კონტექსტის გათვალისწინება.⁴

ზემოიმერულმა დიალექტმა აღნიშნულ სირთულეს თავი დაადწია — კავშირებითისა და ნამყო დროის მსგავს ფორმათა განსხვავებლად კავშირებითის მესამე პირის მრავლობით რიცხვში სალიტერატურო ქართულის ე-ს ნაცვლად (თ სუფიქსიანი კავშირებითის ანა-

¹ სხვადასხვა მწკრივის მსგავსი ფორმების შესახებ იხ. ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 453.

² აგვარ ფორმებს ჩვენ პირობითად განვიხილავთ როგორც ომონიმურს.

³ ფორმათა აღნიშნული დამთხვევა წარმოიქმნება იმის შედეგად, რომ ახალ სალიტერატურო ქართულში უწყვეტელში — ყოველგვარ ზმნას, წყვეტილში — გარდაუვალებს მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -(6)ენ სუფიქსი დაერთვის. -(6)ენ ელემენტი მრავლობითი რიცხვის მესამე პირში გვაქვს კავშირებითის ფორმებშიც (I კავშირებითში — ყოველგვარ ზმნასთან, II კავშირებითში — დონიან და ე. წ. უნიშნო ვნებითებთან, ასევე ზოგ სხვა გარდაუვალ ზმნასთან), რაც ქმნის ომონიმის საფუძველს.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში -(6)ენ სუფიქსი მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად წყვეტილში მოუღის პრეფიქსიანი ვნებითებსაც. მაგრამ მათ მეორე კავშირებითში თ ხმოვანი აბასიათებთ, ამიტომ წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმები ამ ტიპის ზმნებთან ერთმანეთს არ ემთხვევა (შდრ. დაიმაღნენ / დაემაღნენ წვეტ. — დაიმაღონ / დაემაღონ II კავშირ.).

სპეციალისტების თვალსაზრისით კავშირებითის -(6)ე ელემენტი იშლება ე (მწკრივისა) და ნ (რიცხვის) ნიშნებად, წყვეტილის -(6)ენ დაბოლოება განუყოფელია (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 178), მაგრამ ამას მეტყველისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ლოგიით) ო ხმოვანი⁵ გაავრცელა.⁶ ამგვარი ცვლილების შედეგად ზემოიშარულში ჩამოყალიბდა ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული ფორმები, ერთი მხრივ, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი ს ა (ნათლავდონ, ამზადებდონ, ეფერებოდონ... | კავშირ., დაცალცალდონ, გაბრაზდონ, გაწყდონ, მივიდონ... || კავშირ.) და, მეორე მხრივ, ნ ა მ ყ ო დ რ ო ი ს ა⁷ (ნათლავდენ, ამზადებდენ, ეფერებოდენ... უწყვეტ., დაცალცალდენ, გაბრაზდენ, გაწყდენ, მოვიდენ... წყვეტ.).⁸

⁵ ო (და არა ა) იმიტომ, რომ იგი ერთ-ერთი პროდუქტული მაწარმოებელია || კავშირებითისა, ა სუფიქსის გამოყენების არე მეტად შეზღუდულია. ხევსურულსა და მზესურში კავშირებითის ფორმებში -ფ, -ო სუფიქსების ნაცულად ა-ს გავრცელების მიზეზი საცვლევია.

⁶ ასეთი ახსნისას გასაგები ხდება, რატომ ენაცვლება ო სუფიქსი ფ-ს და არა ა-ს და ისიც, რატომ აქვს ფ—ო მონაცვლობას სისტემური ხასიათი ე-თი ნაწარმოები კავშირებითის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმებში.

⁷ ანალოგიური ვითარება გვაქვს დრო-კილოთა მესამე ჯგუფში გარდაუვალ ზნებთან || თურმეობითისა და III კავშირებითის შუკრივებში. დ ა მ ა ლ ო დ ნ ე ნ, შ ე კ ი თ ხ ო დ ნ ე ნ, მ ო რ ი დ ე ბ ო დ ნ ე ნ... ორსავე შუკრივის ფორმებს წარმოადგენენ. მსგავს ფორმათა გასარჩევად მოსალოდნელი იყო აქაც კავშირებითის შუკრივი ფ-ს ნაცულად ო დამკვიდრებულიყო. ის ერთადერთი მაგალითი, რომელიც ქ. ბოწინიძეს აქვს დადასტურებული ხარაგოულის რაიონში — მ ა მ კ ი დ ე ბ ო დ ო ნ — ვარაუდს ამართლებს.

⁸ აღსანიშნავია, რომ წყვეტილისა და მეორე ხოლმეობითის ფორმათა დამთხვევას სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითების, ასევე მოქმედებითი გვარის უპარცლო-ფუძიან ზმნათა პირველსა და მეორე პირში ა. შანიძე მიიჩნევს იმის მიზეზად, რომ „მთის კილოებმა განსხვავებული ფორმები შეიმუშავეს || ხოლმეობითის პირველსა და მეორე სუბ. პირში ოდ მარცვლით (ფშურმა) ან იდ-ით (ხევსურულმა, თუშურმა) და ასეთი ფორმები სოფოველთაოდ გაატარეს“ (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 451).

უწყვეტელის შუკრივში დ და ოდ სუფიქსიან ზნებთან ა-ს დამკვიდრებას ვ. თოდუროიას აზრით (უნიფორმაციის ტენდენციასთან ერთად) „ხელი შეუწყო უწყვეტლისგან I კავშირებითის, რომელსაც ანალოგიური ფორმა ჰქონდა, გამიჯნის ტენდენციამ“ (იხ. ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, ივე, VII, 1955, გვ. 458).

|| კავშირებითში სალიტერატურო ქართულის ფ-ს ნაცულად ო-ს ორი გრამატიკული დროის II წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმალური დამთხვევის გაჩვევის მოთხოვნილებით ხსნის მ. დ ა მ ე ნ ი ა (იხ. დასახ., ნაშრ.). თეზისებიდან არ ჩანს, რა მასალას ეყრდნობა ავტორი. მას არა აქვს გათვალისწინებული I კავშირებითის ვითარება. არ არის ფაქტობრივად ზუსტი მისი არც ის დებულება, რომ ზემოიშარულში თითქოს მეორე კავშირებითის ფ სუფიქსი ენაცვლება ო ორსავე რიცხვში და ყველა პირში (იგულისხმება ყოველგვარ ზმნასთან — ლ. ნ.) და მას სისტემური ხასიათი აქვს. ეს არ ჩანს თვით ავტორის მიერვე მოყვანილი ნიმუშებიდან. მას განზოგადებული აქვს „ვიდა“ ზმნასთან არსებული ვითარება, სადაც, მართლაც, ყველა პირსა და ორსავე რიცხვში გასაგები მიზეზის გამო —

მეორე კავშირებითში მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებიდან **ა** ანალოგიით (ფორმათა გათანაბრების პროცესში) გავრცელდა პარადიგმის სხვა წევრებზე (შდრ. გახთოს, გადმოხტოს, დავაყკადოს, მოკვდტოს, გამოხვიდო, შეგეშინდოს, გავსკდოთ...).

პირველ კავშირებითში **ე**—**ა** მონაცვლეობა მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმებს არ გასცილებია. აქ პროცესი საწყის საფეხურზეა შერჩენილი. ზემოიმერულისათვის ნიშანდობლივი ფორმებია: აკეთებდონ, იძალებდონ, დაბერდებდონ, გაწყდებდონ... მრავლობითის სხვა პირებსა და მხოლოდობით რიცხვში საზოგადოდ **ა** სალიტერატურო ქართულის **ე**-ს ადგილს (აშენებდოს, ვემალებდო, დაბერდებდოთ, გაწყდებდოთ და მისთ.) ზემოიმერულისათვის დამახასიათებელი არ არის.² პირველ კავშირებითში ამჟამად დაცულია ის ვითარება, რაც **ე**—**ა** სუფიქსთა მონაცვლეობის თავდაპირველ საფეხურზე დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მეორე

ხმარების სისშირე — სალიტერატურო **ე**-ს საპირისპიროდ II კავშირებითის ფორმებში წარმოდგენილია **ა** (მოვიდო, მოხვიდო, მოვიდოს, მოვიდოთ, მოხვიდოთ, მოვიდონ). საუბრადგნობა, რომ აღნიშნული ფორმები დასტურდება იმერეთის იმ მხარეშიაც, სადაც **ე**—**ა** მონაცვლეობის სხვა შემთხვევა შენიშნული არ არის: ოკრიბულში (იხ. ო. კახაძე, ოკრიბულის თავიებუებანი, იკვ, VI, 1954, გვ. 176), ხანურ-ზეგნურში (იხ. პ. გაჩეჩილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 137). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზემოიმერულშიც პირველ ნიმუშს კავშირებითის ფორმებში **ე**—**ა** ცვლისას სწორედ **გედ** ფუძის ზმნები წარმოადგენენ.

მისცა ზმნის წყვეტილისა და მეორე კავშირებითის ფორმები მრავლობითი რიცხვის მესამე პირში არ ემთხვევა ერთმანეთს (შდრ. მისცეს წყვეტ. — მისცენ II კავშირ.), მაგრამ სხვა უ სუფიქსიან ზმნათა ანალოგიით, სადაც **ე**—**ა** ცვლის პირობა — ფორმათა აღნიშნული სახის ომონიმია არსებობდა, ამ ზმნაშიაც II კავშირებითში **ე**-ს ადგილი **ა** ხმოვანმა დაიკავა (შდრ. მისცონ, მისცოს).

საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, **ე**—**ა** მონაცვლეობას ზემოიმერულში ვივარაუდებთ წარმოქმნილად II კავშირებითის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმებში და აქედან გავრცელებულად I კავშირებითში, თუ აღნიშნულ ცვლილებას განვიხილავთ როგორც სინქრონულად მომხდარ პროცესს ორსავე კავშირებითის მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში. ვარაუდი ერთსავე შეიძლება და მეორისაც. მაგრამ ის ფაქტი, რომ **ა** სუფიქსი წარმოშობით II კავშირებითის მაწარმოებელია და ისიც, რომ **ა** სალიტერატურო ქართულის **ე**-ს საპირისპიროდ II კავშირებითში მრავლობითი რიცხვის მესამე პირის გარდა გვაქვს სხვა ფორმებშიც, როცა I კავშირებითში იგი დასტურდება მხოლოდ მრავლობითი რიცხვის მესამე პირში, უფრო იმ დაშვების სასარგებლოდ მეტყველებს, რომ აღნიშნული მოვლენის „ეპიცენტრი“ მაინც მეორე კავშირებითის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმებში ვიგულებოთ.

კავშირებითვისაც ზემოიძვერულში საზოგადოდ.³

ამგვარ ვარაუდს პირველი კავშირებითის ჩვენებასთან ერთად უქვეყლს ხდის ზემოიძვერულის განაპირა — ქართლის მოსაზღვრე სოფლების მცხოვრებთა მეტყველების მონაცემები. ლიხის ქედის მომიჯნავე ზემოიძვერეთის სოფლების: ციციურის, გრიგალათის, წაქვის, წიფის, ფონის... მკვიდრთა მეტყველებაში ა სუფიქსი სალიტერატურო ე-ს ნაცვლად პირველი და მეორე კავშირებითის მწკრივებში დასტურდება მხოლოდ მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ფორმებში.⁴ მრავლობითის სხვა პირებსა და მხოლოდობით რიცხვში საზოგადოდ ა ე-ს ნაცვლად აქ არ გვხვდება.⁵ უღვლილების ძირითადი პარადიგმა პირველ და მეორე კავშირებითში აღნიშნული მხარის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით ასეთია:

I კავშირ .

I პ. 'და'ვრჩებოდე 'და'ვრჩებოდეთ

II პ. 'და'რჩებოდე 'და'რჩებოდეთ

III პ. 'და'რჩებოდეს 'და'რჩებოდონ

II კავშირ .

დავრჩე დავრჩეთ

დარჩე დარჩეთ

დარჩეს დარჩონ...

ზემოიძვერეთის განაპირა — ქართლის მოსაზღვრე სოფლების მკვიდრთა მეტყველებაში წარმოდგენილია კავშირებითის სუფიქსთა

³ შესაძლებელი იყო სურათი მეტად დაჩრდილულიყო — ა სუფიქსი ე-ს ნაცვლად მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებიდან გაფრცხვლებულიყო კავშირებითების ყველა ფორმაზე უოველგვარ ზმნასთან, მათ შორის ათი ნაწარმოებზე II კავშირებითზეც ე. ი. გვერდილი: დაბერდებოდო, დაბერდებოდო, დაბერდებოდოს, დაბერდებოდოთ, დაბერდებოდოთ... მოხნოს, მოხნო, მოხნოს და მისთ. (მდრ. ზესურული, სადაც კავშირებითის ერთადერთი სუფიქსია ა). ამგვარი წარმოების ცალკეული შემთხვევა გვხვდება კიდევ ზემოიძვერულში — გიხაროდოს. ბორჯომის რაიონის სოფ. კობისხევში გრ. იმნაიშვილს დადასტურებული აქვს ზმნის ფორმა მოქროს. ავტორს, სამართლიანად, მიანიია იგი ზემოიძვერულის გადმონაშთად ქართლურში (იხ. გრ. იმნაიშვილი, ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი, იკ. ტ. VIII, 1956, გვ. 100).

არსებითად ასეთსავე სურათს გვიჩვენებს ზემოიძვერეთის მოსაზღვრე ქართლის სოფლების (ახალაბა, ტუზერი, საეანისუბანი), დაბა სურამის, ქ. ხაშურის მცხოვრებთა მეტყველებაზე დაკვირვება.

⁵ აღნიშნული ვითარება მეორეულიც რომ ყოფილიყო, პროცესის ეკუთვნითარების შედეგსაც რომ წარმოადგენდეს, მაშინაც კი მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა ე—ა მონაცვლეობის ასახსნელად. ა-ს შენარჩუნება პირველი და მეორე კავშირებითის მხოლოდ მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში იქნებოდა იმის მანიშნებელი, რომ მოვლენის კრა აქ გვევლვა.

ე—ა მონაცვლეობის ის საფეხური, რაც უფრო ადრე დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ზემოიმიერულისათვის საზოგადოდ. ამჟამად ზემოიმიერეთის ცენტრალური რაიონების მცხოვრებთა მეტყველებაში, როგორც აღნიშნეთ, პროცესი შედარებით შორს არის წასული, რის გამოც თავდაპირველი სურათი დაჩრდილულია მეორე კავშირებითის მწკრივში (პირველ კავშირებითში აქაც დაცულია ამოსავალი ვითარება).

როგორც ცნობილია, ძველი ქართული სალიტერატურო ენის ზმნურ პარადიგმასაც ახასიათებდა ომონიმია. მათგან ტიპური და ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ძველ ქართულში არის ის ომონიმური ფორმები, რომელთაც მესამე სუბიექტურ პირში -ეს ელემენტი დაერთვის. ფორმათა ამ სახის დამთხვევა წარმოიქმნება, ერთი მხრივ, უწყვეტლისა და პირველი კავშირებითის და, მეორე მხრივ, წყვეტილისა და მეორე კავშირებითის მწკრივებში. კ ა მ დ ე ს , ა დ ი დ ე ბ დ ე ს , გ ა ნ ჰ კ უ რ ნ ე ბ დ ე ს , ჰ მ ს ა ხ უ რ ე ბ დ ე ს... ძველ ქართულში უწყვეტლის ფორმებსაც წარმოადგენს და პირველ კავშირებითისასაც. ა დ მ ა დ ლ დ ე ს , გ ა ნ ჰ ა ბ უ კ ნ ე ს , გ ა ნ - ჯ მ ე ს , წ ა რ ვ ი დ ე ს , მ ი ს ც ე ს , ქ მ ნ ე ს ... ზმნათა ფორმები საერთოა წყვეტილისა და მეორე კავშირებითისათვის. ყველა განხილულ შემთხვევაში ომონიმურ ფორმებს სუბიექტის რიცხვი განარჩევს — მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის სუბიექტთან დაკავშირებული ზმნის ფორმები კავშირებითის მწკრივებს წარმოადგენენ, მრავლობითი რიცხვის მესამე პირის სუბიექტთან შეწყობილი — ნამყო დროისას.¹

ცნობილია ისიც, რომ ახალ სალიტერატურო ქართულში აღნიშნულ ფორმებს -ეს სუფიქსის ნაცვლად -(წ)ენ ფორმანტი ახასიათებს.² შეიძლებაოდა გვევარაუდა, რომ ამ ცვლილებასაც სხვადასხვა გრამატიკული დროის ფორმოზღოვი დამთხვევის გარჩევის მოთხოვნილება განაპირობებს.³ ასეთი ახსნის შემთხვევაში გასაგები ხდება, ახალ

¹ დაწერილებით ზმნათა საზიარო ფორმების შესახებ ძველ ქართულში იხ. ივ. იმნაშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, გვ. 254-275.

² -ეს სუფიქსის -(წ)ენ-ით შეცვლის შესახებ ძველ ქართულში იხ. ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 178, 448, 453; ელ. ნიკოლაიშვილი, III სუბიექტური პირის -ეს სუფიქსის -(წ)ენ-ით შეცვლის ისტორიისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერა, № 3, 1978, გვ. 95-110.

³ ფორმათა დამსგავსების სხვა სახის შემთხვევიდან, რომლებიც ძველ ქართულში დასტურდება, დიდი ნაწილი შემდგომ პერიოდში თავიდან იქნა

სალიტერატურო ქართულში რატომ შერჩა -ებს სუფიქსი წყვეტილში მხოლოდ გრადამავალ ზმნებს⁴ — გარდამავალ ზმნათა მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ფორმები წყვეტილისა არ ირევა მეორე კავშირებითის ფორმებში (შდრ. წყვეტ. დამალეს, დაასრულეს, დაფლეს... || კავშირ. დამალონ, დაასრულონ, დაფლან...).

მართალია, ვერც ამ ცვლილების (-ებს სუფიქსის -(-ნ)-ით შეცვლის) შემდეგ იქნა საბოლოოდ თავიდან აცილებული ახალ სალიტერატურო ქართულში აღნიშნულ მწკრივებში ფორმათა დამსგავსების შემთხვევები (ამგვარად იგი წარმოიქმნება სხვა პირთა კომბინაციით), მაგრამ, შეიძლება ვიფიქროთ, ძველ ქართულში⁵ დაწყებული პროცესია რომ გრძელდება ქართული ენის დიალექტებში, კერძოდ, ზემოიმერულში და იგი განხილულ ომონიმურ ფორმათა სრული გამოიყვანით მთავრდება (შდრ. უწყვეტ., | ხოლმ. დარჩებოდენ — | კავშირ. დარჩებოდონ; წყვეტ. დარჩენ — || კავშირ. დარჩონ...)⁶.

თუ მოვლენათა დაკავშირება მართებულია, მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ სწორედ ზემოიმერული ავლენდეს საერთო ტენდენციას ძველ ქართულთან. მსგავსი მოვლენები ძველ ქართულსა და ზემოიმერულში შეინიშნება სხვა შემთხვევაშიაც. მხედველობაში გვაქვს -ავ თემატური სუფიქსის -ევ ვარიანტი, სიტყვაწარმოებითი -ევ ფორმანტი, ზოგი ზმნისართი ბოლოკიდურის ე გახმოვანებით: ზეგ⁷ და სხვა.

ამგვარად, ზემოიმერულში სალიტერატურო ქართულის ე-ს შე-

აცილებული იმის შედეგად, რომ გრამატიკულ კატეგორიათა წარმოების რიგი წესი (ობიექტის მრავლობითობის გამოხატვა ზმნაში, ბრძანებითის ფორმათა წარმოება და სხვა), რომელიც კლასიკური ხანის ქართულში მოქმედებდა, აღარ ახასიათებს იმ პერიოდის ქართულს, როდესაც -ებს — (-ნ)-ენ მონაცვლეობა ხორციელდება.

⁴ ეს ფაქტი აუხსნელი რჩება, თუ -ებს სუფიქსის -ენ-ით შეცვლას ფორმათა უნიფიკაციის ტენდენციას მივაწერთ (ე სუფიქსთან ზმნებში: ტირიან, იმალეზიან, ბერებეზიან... ენ-ის გაუფრცხვლებლობა კიდევ შეიძლება იყოსნა ე-ს მადისიმილორებული გავლენით). შდრ. ვ. თო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 452.

⁵ მხედველობაში გვაქვს V-XVIII საუკუნის სამწერლობო ენა.

⁶ როგორც ცნობილია, სხვაგვარად წარმართა -ებს-ის -ენ-ით შეცვლის პროცესი ქართული ენის სხვა დასავლურ კილოებში. ქვემოიმერულსა და გურულში -ენ სუფიქსი გავრცელდა გარდამავალ ზმნათა წყვეტილში და სხვ (იხ. ვ. თო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 452).

⁷ ამავე რიგის მოვლენად მივაჩნია ძველი ქართულის ზოგ სახელურ ფორმაში ბოლოკიდური -ე ხმოვნის გამოვლენა: მარჯუნენ, მარცხენენ; ზემოიმერულში — შენენს, ჰენენ, თქვენენ და მისთ. ამის შესახებ ვრცლად სხვაგან.

ცვლა -**ო** სუფიქსით კავშირებითის მწკრივებში თავდაპირველად უნდა მომხდარიყო მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტურ პირში სხვადასხვა გრამატიკული დროის — ნამყოსა და კავშირებითის — მსგავს ფორმათა გასარჩევად. **ე**-ს ნაცვლად -**ო** აქედან უნდა იყოს გავრცელებული კავშირებითის სხვა ფორმებში.

ზემოიმერულში პროცესის საწყისი საფეხური — სალიტერატურო ქართულის **ე**-ს ნაცვლად **ო** მხოლოდ მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ფორმებში ამჟამად წარმოდგენილია პირველ კავშირებითში, ზემოიმერეთის განაპირა — ქართლის მომიჯნავე სოფლების მკვიდრთა მეტყველებაში — მეორე კავშირებითშიც.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვა გრამატიკული დროის მსგავს ფორმათა გარჩევის მოთხოვნილება განაპირობებს ძველი ქართულის მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის -**ეს** სუფიქსის (**ნ**)**ენ** ფორმანტით შეცვლასაც ახალ ქართულში.

ფუძეთანხმოვნაიან ანთროპონიმთა ბრუნების ერთი ტენდენციის შესახებ ქართულში*

ადამიანის საკუთარი სახელები — ანთროპონიმები — ენის ლექსიკური ფონდის თავისებურ ჯგუფს ქმნის. როგორც ცნობილია, ამ ჯგუფის სახელებს საერთოდ და კერძოდ ქართულშიც რიგი თავისებურება ახასიათებს, რითაც ისინი განსხვავდებიან საზოგადო და სხვა ტიპის საკუთარი სახელებისაგან.¹

ანთროპონიმთა ძირითად სპეციფიკას წარმოადგენს ის, რომ მათ ეწარმოებათ კნინობით-ალერსობითი ფორმები. მიჩნეულა, რომ მოფერებითობა-ალერსებითობის გადმოცემა, რაც გენეტურად დაკავშირებულია საზოგადო სახელთა კნინობითობის გამოხატვის საშუალებებთან, წარმოადგენს საკუთარ სახელთა მორფოლოგიურ თავისებურებას.² იგი უშუალო კავშირშია ანთროპონიმთა ძირითად ფუნქციასთან — მიმართვა-დაძახების დანიშნულებასთან. აღნიშნული თავისებურება (ალერსობითობის გამოხატვა), თავის მხრივ, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს პირის სახელთა მორფოლოგიურ სტრუქტურაზე. იგი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს, კერძოდ, ქართულში ანთროპონიმთა გარკვეული ტიპის ბრუნების პარადიგმის ჩამოყალიბების პროცესში.

პირის სახელთა კნინობით-ალერსობითი ფორმები ქართულში ფართოდ არის გავრცელებული.³ ამგვარ ფორმათა საწარმოებლად ქართულს მოეპოვება მრავალფეროვან და ამასთანავე რთულ (რამდენიმე ელემენტისაგან შემდგარ) აფიქსთა მთელი სისტემა. ეს ფორმატები: -ა, -ია, -აჟა, -იჟია, -იკო, -ელ-ა, -იკ-ულ-ა, იკ-უნ-ა, -უქა, -უქა-

* პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში — „იკ“, XXVIII, 1989.

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 52, 65-66...; ივ. იშნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 366-391; ალ. ლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, 1986, გვ. 10, 19-21; თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, 1986, გვ. 99-100 და სხვ.

² Е. Курпиловнч, Очерки по лингвистике, М., 1963, გვ. 260.

³ მაკინებელ-სამოფერებო აფიქსებით პირის სახელთა წარმოებას ალ. ლონტი თვლის კონტაქტის კლასიდან სახელის დენოტატივთა (ანთროპონიმთა) თანრიგში გადასვლის ერთ-ერთ ძირითად წესად, რასაც, მის აზრით, ონომასტიკური კანონის ძალა აქვს (დასახ. ნაშრ., გვ. 29).

-ინ-ა, -უნ-ა, -უნ-იკ-ა, -უნ-უკ-ა, -უტ-ა, -იტ-ა და სხვ.¹

სასაუბრო ენაში, ქართული ენის დიალექტებში ანთროპონიმები ხშირად წარმოდგენილი არიან კნინობითი ფორმებით და ნაწარმოები არიან რომელიმე ზემოთ დასახელებულ (ან სხვა) აფიქსთაგანით. (ამგვარ ფორმებს ერთგვარი დამციკრებითი ელფერი ახლავს). ყველაზე გავრცელებული მათ შორის ა- სუფიქსიანი წარმოებაა. -ა მოქმედი, კნინობით-მოფერებითობის ერთ-ერთი პროდუქტული ფორმანტია ქართულში.² იგი აწარმოებს ახალ ანთროპონიმებს (შდრ. ალბერტა, ედუარდა, იურა, რობერტა, ტრინსტანა, ჰამლეტა...), ინმარება დამოკიდებლად და ამასთანავე შედის თითქმის ყველა კნინობით-მოფერებითი აფიქსის შემდაგენლობაში ბოლოკიდურ ელემენტად.³ დაერთვის როგორც თანხმომავანფუძიან, ისე — ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ანთროპონიმებს. ა'ს დართვა ე, ო ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებზე იწვევს ცნობილ ფონეტიკურ გარდაქმნებს: ე—ა > ია, ო—ა > უა.

დავასახელებთ სხვადასხვა კნინობით-მოფერებითი აფიქსით ნაწარმოებ ანთროპონიმთა რამდენიმე ნიმუშს:

ა: აბრამა, დურსუნა, ვახუშტა, ილარიონა, მერა, სილოვანა, სტეფანა... უა: ადუა (ხევს. < *ალოა), ზაქრუა, ნატუა, შაქრუა... (ამგვარი წარმოება აღმოსავლური დიალექტებისათვის არის ბუნებრივი);⁴

¹ დაწვრილებით ანთროპონიმთა კნინობით-მოფერებითი ფორმების წარმოების შესახებ იხ. ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 120-122; ვ. თოფურიია, კნინობითი ქართველურ ენებში, შრ. ტ. III, 1979, გვ. 102; ალ. დლონტი, დასახ. ნაშრ., გვ. 15-30; მისივე, კნინობით-მოფერებითობის ელემენტები ქართველურ ანთროპონიმებში, „აღმოსავლური ფილოლოგია“, V, თბ., 1983, გვ. 12-17; ს. ელენტი, გურული კოლა, 1936, გვ. 65-66; არ. მარტიროსოვი, დიალექტიზმები XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში, ივე, IV, 1952, გვ. 259; შ. ძიძიგური, ძიგბანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954, გვ. 46-47; ალ. კინკრაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 81-84, ალ. კობახიძე, კნინობითობის წარმოება რაჭულში, ივე, XIII, 1962, გვ. 157-161; ზ. კუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1966 და სხვა.

² ალ. დლონტის აზრით ა საკუთრივ საალერსო ფორმებს აწარმოებს, ამასთანავე მაკნინებელიცაა (დასახ. ნაშრ., გვ. 26).

³ ა. შანიძის ვარაუდით, კნინობითის ა მიღებულია აკ-ისაგან, რომელიც ამჟამად წიგნაკ'ში და გორაკ'შია შემონახული (დასახ. ნაშრ., გვ. 121). ვ. თოფურიას აზრით, აკ სუფიქსი პარალელს პოულობს უცხოურ ენებში და სვამს მისი სესხების საკითხს" (დასახ. ნაშრ., გვ. 102).

⁴ ლეჩხუმურში აღნიშნული პროცესი დასტურდება საზოგადო სახელთა აუსლაურტში (ე. კაკიტაძე, სახელთა წარმოების ერთი თავისებურებისათვის ლეჩხუმურში, IX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია..., ქ. გორი, 1987, გვ. 26).

ოა: ალექსია,⁵ დმიტრია, ეკაია, ვერაია / ვერია, პავლია (ა*პავლევა),⁶
 სავლია (ა*სავლევა), სისოია... (-ია აფიქსი ფართოდ არის გავრცელებული ქართული ენის დასავლურ დიალექტურ არეალში). აკა: საბაკა
 (კახ. შდრ. საბა); ოკა: ალუდიკა (ხევს. შდრ. ალუდი), დათიკა, ზალი-
 კა, მარიაკა... ოკა: დათიკია, მიშიკია, შალიკია..., ოკო: დათიკო, თამ-
 რიკო, მერიკო, რუსიკო...;⁷ ელა: გიორგელა, დაფითელა, კაციელა...;
 ოკელა: მარიკელა, პეტრიკელა, სოსიკელა...; ოკუნა: შალიკუნა...; შუკ:
 ნანუკი (ხევს.)...; შუკა: ანუკა, მამუკა, დედუკა (ხევს.)...; ულა: ნათუ-
 ლა (ხევს.), ნანულა (შდრ. ნანა), ტატულა, ხუტულა (შდრ. ხუტა)...;
 ონა: გოგინა, დათინა, გლახინა...; უნა: გლახუნა. გიუნა (ფიგუნა), პა-

⁵ ა. შანიძის აზრით, კინიზობითის ა ერთვის ფუძეს, თუ ის თავდება თანხმობით,
 ან ო, უ ხმოვნებით; მაგრამ თუ ის თავდება ა-თი, მაშინ მაწარმოებელია ოა (დასახ.
 ნაშრ., გვ. 120). მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ -აა შეიძლება ერთადეს როგორც
 ფუძეთანხმობიან, ისე ფუძეხმობიან ანთროპონიმებს და კვეთადეს ფუძის
 ბლოკიდურ ხმოვანს (შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 149; ს. უ ლ ე ნ ტ ი, დასახ.
 ნაშრ., გვ. 65).

ვ. თოფურიას ვარაუდით, ი ა რთული აფიქსია. მასში გამოიყოფა კინიზობითის ა
 სუფიქსი და ო ელემენტი, რომელსაც თანხმობიანი მოსდევდა (დასახ. ნაშრ., გვ. 101).
 ქ. ლომთათიძის აზრით ერთ-ერთი ასეთი თანხმობიანი უნდა იყოს ნ. ონ-ა აფიქსი
 აქ-აავალში მსგავსების, განკუთვნილების ფუნქციის გამომხატველი უნდა ყოფილიყო.
 მოფერებით-ალერსობითი სემანტიკა შემდგომ არის განვითარებული (ნათესაობის
 ზ-გი სახელის წარმოებისა და კინიზობითობის -აა სუფიქსის საკითხი ქართულში, იყვ.
 XXVI, 1987, გვ. 71).

⁶ შ. ძიძიგურის ვარაუდით, „პავლია“ ტიპის ფორმები შესაძლებელია მიღებული
 იყოს ფუძისეული ეს მოკვეციტ ოა სუფიქსის დართვისას. ამის სასარგებლოდ, მისი
 აზრით, მეტყველებს იმერულში დადასტურებული პარალელური ფორმები: პავლია /
 პავლია, პეტრეია / პეტრია (დასახ. ნაშრ., გვ. 149); ამავე როგისა: ვერაია / ვერია,
 თინაია / თინია, შოთაია / შოთია, მაშოია / მაშოია...

„პავლია“ ტიპის სახელებში ფუძის ბლოკიდურ ეს მოკვეციტად ვარაუდობენ
 ს. ელენტი (დასახ. ნაშრ., გვ. 66); პ. ჩაქანიძე (გურული დიალექტი აქარულთან
 მოპარუბით, სადისერტ. ნაშრ., ფილოლ. მეცნ. დოქტორის სამეცნ. ხარისხის
 მოსაპოვებლად, ქუთაისი, 1973, გვ. 344).

ჩვენი აზრით, პავლია / პავლეია, თინაია / თინაია ტიპის წარმოება სხვადასხვა
 ფორმაციისა. *პავლეია > პავლია, *თინაია > თინია წარმოებისას ჩამოყალიბებული ოა
 სუფიქსი განზოგადდა და გამოყენებული იქნა ანთროპონიმთა კინიზობით-მოფერებითი
 ფორმების დამოუკიდებელ მაწარმოებლად: პავლეია, თინაია და მისთ.

ოკო მოფერებით სუფიქსს ა. შანიძე შლის ორ ელემენტად: ოგ და ო
 აფიქსებად. მისი აზრით, ოგ საკუთრივ კინიზობითის მაწარმოებელია, რომელიც
 დამოუკიდებლად ბეს-ოკში ვებვდება. ო კი თავდაპირველად წოდებითის ნიშანი უნდა
 ყოფილიყო, მაგრამ შემდეგ ფუძეს შერბრია (დასახ. ნაშრ., გვ. 121).

მაკინიზებელ ფორმანტად თვლის ოკ'ს ალ. ლონტი. მისი აზრით ოგ აფიქსი
 სახელს მოფერებით-საალერსო იერს ოს დამატებით აძლევს (დასახ. ნაშრ., გვ. 27).

პუნა: **ოტა**: გიგიტა, გოგიტა, ბეეიტა (ხევს.); **უტა**: ხახუტა და სხვა.¹

საგულისხმოა, რომ ანთროპონიმთა კნინობით-მოფერებითი ფორმები ქართული სამწერლო ენის ადრინდელ ძეგლებში იჩენს თავს. განსახილავი საკითხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ის ფაქტი, რომ ამგვარ ფორმებს ადასტურებენ უძველეს ქართულ წერლობით წყაროებში.² ასეთად მიჩნეულია ა სუფიქსით ნაწარმოები ანთროპონიმები: ძ ნ ე ლ ა ე (იკითხება ბოლნისის სიონის აღმოსავლეთ კედელზე), გ უ ლ ა (გვხვდება წყისის წარწერაში, 616-619 წწ. „გულა“ ქალის სახელია, ძირი გ უ ლ -), კ ა ხ ა (მოიხსენება 853 წლის ატენის წარწერაში. ივარაუდება ნაწარმოებად კ ა ხ - ეთნონიმისაგან), ს უ ლ ა (მოიხსენება ატენის 885 წ. წარწერაში. ნაწარმოებია ს უ ლ - ძირისაგან), კ რ ა ვ ა (იხსენიება X ს. ერთ-ერთ ხელნაწერში, წარმოქმნილია კ რ ა ვ - ძირისაგან), კ უ პ რ ა (გვხვდება გრ. ხანძთელის ცხოვრებაში, ძირია კ უ პ რ -), მ ო რ ჩ ა (დასტურდება იშხნის ერთ-ერთ წარწერაში, 1032 წ. შდრ. მორჩი) და სხვა.³

„ისტორიანი და აზმანი შირაზანდედთან“-ის ტექსტის ერთ-ერთ ნუსხაში ვხვდებით ანთროპონიმ გ ი ვ ი ს კნინობით ფორმას — გ ი ვ ა : ანუ ვისმცა ქება მიხდომოდა... მსგავსთა როსტომისთა და გ ი ვ ა ე ბ თ ა ? (ქართლ. ცხ., II, 1959, 65, 4 m).

XV-XVIII საუკუნის ისტორიულ საბუთებში დასტურდება პირის

¹ ანთროპონიმების საალერსო მიმართვის ფორმათა საწარმოებლად მთის კოლოებში (მთიულურში, მოხურში) გამოიყენება ნანათესაობითარი სახელობითის დაბოლოება -სხ: იაგოისი, მათიასი, სვიმონისი... შ. ძიძიგურის ვარაუდით ხსენებული ფორმები მიღებულია გამოთქმიდან: იაგოისი კვირიმე/შზემა და ა. შ. მომდევნო სიტყვების ლექსიკური გაცვეთის ნიადაგზე. ამჟამად სხ დაბოლოება ფუნქციურად ეტოლება კნინობით-მოფერებით სუფიქსებს: სვიმონისი-სვიმონიკა და სხვა (შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 127; ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხურე ლალექტი, თბ., 1985, გვ. 69; შდრ. ქ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 71; ბ. ჟორბენაძე, მ კ ო ბ ა ი ძ ე, მ. ბერძენი, ქართული ენის მორფემებისა და მორფოლოგიის ელემენტების ლექსიკონი, 1988, გვ. 247). აღსანიშნავია, რომ ანალოგიური გამოთქმები დასტურდება ქართლ-იმერეთის სასაზღვრო ზონის მკვიდრთა მეტყველებაში: მაროს კვირიმე, ნუ იზამ მგას; ნოდარის ვენაცალე, გამიკეთე ეგ საქმე და მისთ. (სოფ. ჩუმათელეთი, ფონა...).

² ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული წერილობითი წყაროების მნიშვნელობა ქართულური ანთროპონომისა და ტიპონომის შესწავლისათვის, „მაცნე“, № 3, გვ. 70-80.

³ ძველ ქართულში კნინობითის ა დასტურდება საზოგადო სახელებშიც: ქ ა ლ ა . კ ა ბ უ კ ა , ქ ა თ ა მ ა (არ. მარტიროსოვი, კნინობითი სახელები ძველ ქართულში, იკვ. XX, 1978, გვ. 109-110).

სახელთა არაერთი ფორმა კნინობით-მოფერებითი მაწარმოებლებით.⁴
ა: ავთანდილა, თამაზა, ნიკოლოზა, როსტევეანა, დათუა, ქიტუა...;
ბ: ბეჟია, დათია...;
გ: ბასილიკა, მახარიკა, რამაზიკა...;
დ: ბუჭუკა, გლახუკა...;
ე: გოგინა, დათინა...;
ვ: ივანელა, პაატელა, როსტომელა, ჩიტელია...;
ზ: მგელიტა და მრავალი სხვა.⁵

⁴ არ. მარტიროსოვი, დიალექტიზმები XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში, იყე, IV, 1952, გვ. 259; შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 46-47.

ანთროპონიმთა კნინობით-ალერსობითი ფორმების ფართოდ გავრცელება არ ნიშნავს იმას, რომ დიალექტებში არ გვხვდება მათი პირველადი, არანაწარმოები სახეობებიც, ამგვარი მრავალი ფორმის დასახელება შეიძლება ნებისმიერი ქართული ნაბეჭდი დიალექტოლოგიური ტექსტიდან. ანთროპონიმთა პირველადი (ძირეული) და მათი კნინობით-მოფერებითი ვარიანტები ხალხურ მეტყველებაში თანაარსებობენ, თუმცა სკარბოზს ეს უკანასკნელი. ერთსა და იმავე ტექსტში, ერთსა და იმავე პირის მეტყველებაში დასტურდება ორივე სახეობა (ეს ბუნებრივია. პირის სახელთა კნინობით-მოფერებითი ფორმათა მაწარმოებლები, ძირითადად, ცოცხალი, მოქმედი აფიქსებია). დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს: ერთი ბასილი იყო... ეს ბასილა თავის ჭარით მოდის (მთიულ-გუდამაყე. შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, 1974, § 3); — არა, ლურსმით გველება, გიორგი! (გუდამაყე. „ქართული დიალექტოლოგია“, I, თბ., 1961), ესენი იყო ორი ძნანი: გოგია ი და გიორგაი (იქვე, 82, 3); ჩუთ თამარსაო თანავე კარგა ჩნოვისაყ ერამანეთივ (ალ. ვინკარაული, დასახ. ნაშრ., გვ. 360, 38), — ჩემ ქალს ერთს თამარა ჭკვიან (გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები. 1975, გვ. 12, 16), ჩამოსრულ გორგაი... გაჭაგრებულ გორგაი (თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960, § 24, 27, 30) და სხვა.

ანთროპონიმთა კნინობით-მოფერებითი ფორმების სემანტიკა გაცნობიერებულია მეტყველის მიერ. ამიტომ არის, რომ საპატივცემულო, მოსარიდებელი პიროვნების მიმართ პირის სახელთა პირველადს (არა-კნინობითს) ფორმებს იყენებენ და პირიქით (ს. ელენტი, დასახ. ნაშრ., გვ. 66; ალ. ლლონტი, დასახ. ნაშრ., გვ. 60; შ. ნიქარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957, გვ. 118 და სხვა).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჩვენებას იძლევა კახეთში 1700 წელს შედგენილი ერთ-ერთი ისტორიული საბუთის ტექსტი: „არის ამისი მოწამე, თავად ღმერთი, კაცთაგან ბარამიშვილი ბერი ეპიფანე, ალავერდის მეღვინეთუხუცესი სულხან, კაკაბეთის მოურავი ბანდურაშვილი ბეჟან, ბეჟანისშვილი კაკაბეთს შერამაზან, ნაცვალის ოთარი, შიბლიანელი ქემბიშვილი, თამაზა, კილემ ალაკას ქემბა. ჭიკაძე ქრისტესია, შიბლიანში კილემ ქემბა, მგელიტა და იქივ მღთისია. კილემ ალაკას ჭანგირა და ეშმაკურა და მე მოურავის სახლთუხუცეს დაეთის დამიწერია და მოწამეცა ვარ... ალავერდელი ნიკოლოზ (არ. მარტიროსოვი, გრ. იმ-ნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 3; შლრ. ე. ნონეშვილის ნაწარმოებთა პერსონაჟების სახელები, ერთი მხრივ, „შაღალი წრის“ წარმომადგენელთა: დავით, იასონ, ლევან, ტარიელ..., მეორე მხრივ, „დაბალი წრის“ პირთა: გოგია, ბენიკელი, დათიკელი, პავლიანი... ს. ელენტი, დასახ. ნაშრ., გვ. 68).

პირის სახელთა ფორმაწარმოების ერთ-ერთი თავისებურებაა ისიც, რომ მათ სრული (ძირითადი) სახეობების პარალელურად ზოგჯერ მოეპოვებათ მოკლე ვარიანტები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ორმარცვლიანებია. ამგვარი ფორმები დამახასიათებელია სასაუბრო ენისათვის, განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული დიალექტებში.

ანთროპონიმთა მოკლე ფორმები წარმოიქმნება ფუძეთა მოკვცით მეორე (დსაწყისიდან) ხმოვან ფონემამდე, ან თანხმოვნით დაბოლოებულ პირველ მარცვლამდე, რომელსაც დაერთვის **ო** ფორმანტი, წარმოშობით წოდებითი ბრუნვის ნიშანი. იგი უხორცდება ფუძეს. ამგვარ ფორმებს ერთგვარი ალერსობითი ელფერი ახლავს. ნიმუშები:

ალე/ალექსანდრე, ეკა/ეკატერინე, ლუა/ლუარსაბ, ნოშრე/ნოშრევან, სოლო/სოლომონ... გაბრო/გაბრიელ, გარსო/გარსევან, ეთო/ეთერ, ვახო/ვახტანგ, ნათო/ნათელა, ოთო/ოთარ...¹

ანთროპონიმთა თავისებურებას ქმნის ისიც, რომ სალიტერატურო ქართულში ისინი ბრუნებისას სარედუქციო პოზიციაში, როგორც წესი, არ რედუცირდებიან, როდესაც მსგავსი ფონემატური სტრუქტურის მქონე საზოგადო სახელები განიცდიან რედუქციას — იკუმშებიან ან იკვეცებიან.² მაგალითად: თამარი — თამარის (ნათეს.), რუ-

¹ ალ. დლონტი, დასახ. ნაშრ., გვ. 38-39; თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, გვ. 102-103.

ანთროპონიმთა ამგვარი ფორმების წარმოება საგანგებოდ არის განხილული შ. აფრიდონიძის სტატიის „ანთროპონიმთა ქართული ეროვნული ფორმები“, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეოთხე, 1981, გვ. 55-60.

² აღსანიშნავია, რომ ფუძემხოვნიან ანთროპონიმებს დერევაკიული აფიქსების დართვისას ეკვეცებათ ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი, მაგ.: ანა—ანიკო, თინა—თინიკო, ლაშა—ლაშიკო. ქართული ენის დიალექტებში კი ანთროპონიმები საზოგადო სახელების მგავსად რედუცირდებიან (იკუმშებიან ან იკვეცებიან) ხმოვნით დაწყებული ფლექსიური ფორმანტების დართვის შემთხვევაშიც. ნიმუშები:

ნ ე ს ტ ა ნ - დ ა რ ე წ ი ს... ჭუღლის ბიკი < ჭუღელას ბიკი (ე. მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ყვარლის რაიონის დიალექტოლოგია და ტოპონიმიკონომასტიკა, სადისერტ. ნაშრ. ფილოლ. მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხ. მოსაპოვებლად, თბ., 1974, გვ. 14-15); იესო ქ რ ი ს ტ ი ს ხ ა ტ ი ი ე თ (ა რ . მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ქართული ენის ჭავახური დიალექტი, 1984, გვ. 52); ჭ ა მ რ ი ს ქ ა ლ ი (შდრ. ჭამარი)... დ ე ვ დ რ ი ს ... ქ ა ლ ი ა (შდრ. დევდარი)... მ ი ხ ე ვ ლ ი ს ლ ე დ ა მ შ ე ი ტ ყ ო შ დ რ. შიხელი (თ. უთურგაიძე, თუშური კილო, ტექსტები, 1969, § 72, 22, § 167, 9.). რედუცირდება გვარებიც: ა ვ გ რ ო ზ ი შ ვ ი ლ ი < ავგაროზიშვილი, დ ვ ლ ე ბ ი < დვლები, ჭ უ ლ ლ ი ა ნ ი < ჭულელიანი (ე.

სუდანის — რუსუდანის, ლაშა — ლაშასი, იამზე — იამზესი (შდრ. ძმარი — ძმრის, გუთანი — გუთნის, მიწა — მიწის, ღობე — ღობის...)³

მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 15), ქალი ვარ ბ ა გ რ ა ტ ი ე ნ ის ა (თ. რაზიკ., III, 14, 1); უ ო რ დ ა ნ ი ის დროს... აირია ხალხი (გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე , ფშაური დიალექტი, ტექსტები, 1978, გვ. 196, 17).

საბუღალტრო ლიტერატურაში ანთროპონიმის კვების ნიმუშად დასახელებულია ფორმა ო ო რ ო ფ რ ი ს (ონოფრის ყმა, ა რ . მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი , დიალექტიზმები XV-XVIII ს. კახურ ისტორიულ საბუღალტროში, იკე, IV, 1953, გვ. 28). შეიძლება გვეფიქრა, რომ იგი ო ო რ ო ფ რ ი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა და არა ონოფრის, მით უფრო რომ ანთროპონიმი ო ო რ ო ფ რ ი დასტურდება ძველი ქართული ენის ძეგლებში (შდრ. ონოფრი მხოვრისა, იოვ. და ეფთჳ. 49, 30), მაგრამ იმავე ტექსტებში — კახეთის ისტორიულ საბუღალტროში — გვხვდება მხოლოდ ო ო რ ო ფ რ ე ვარიანტი, ამიტომ ო ო რ ო ფ რ ი ს ონოფრე სახეობის ნათესაობით ბრუნვაში შეკვეცილ ფორმად უნდა მივიჩნიოთ.

კახლშივე ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში დასტურდება ანთროპონიმ ე რ ე ე ლ ე თ — ხმოვანმოკვეცილი ვარიანტი — ე რ ე ე ლ ე თ (მეფე ერეკლის დროსა, ა რ . მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი , გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 68). იგი ფიქსირებულია ხევსურულშიც (ე რ ე ე ლ ე თ კარზედ... ე რ ე ე ლ ე თ დაბარებულ, ბ. გ ა ბ უ უ რ ი , კვესურული მასალები „წელიწადული“, ტ. I-II, ტფ., 1923-1924, გვ. 162). ე რ ე ე ლ ე თ ფორმა შეიძლება მოგვეჩინა წარმოქმნილად ირაკლის გავლენით, ეს უკანასკნელი რომ ხევსურულში გვხვდებოდა.

ანთროპონიმის რედუქციის ნიმუში შეიძლება დავასახელოთ საერო მწერლობის ისეთი აღრიხილი ძეგლიდან, როგორც „ამირანდარეჯანი“: დედოფალსა ახარა ა რ მ ო კ ლ ი ს ანაბე, 782, 12; შდრ. ნახა პატრონი თავისი ა რ მ ო კ ლ ა , იკე, გვ. 778. ანლოგიური მაგალითები სხვა შეიძლება დიდიხვანა.

ხმოვანფუძიანი ანთროპონიმის კვების ერთი შემთხვევა დადასტურებული აქვს ზ. სარჯველაძეს ძველ ქართულში ჰოო ამისვე დღისა პ ა ვ ე ლ ი ს ა სუნაქსარსა. Jc-24 (XI, 52 v, 15 (ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984, გვ. 271).

როგორც დასახელებული ნიმუშებიდან ჩანს, პ ი რ ი ს ს ა ხ ე ლ თ ა რ ე - დ უ ქ ე ი ა დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი ა ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ის ა ლ მ ო - ს ა ვ ლ უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს . შეიძლება ვიფიქროთ, რომ ანთროპონიმთა ურედუქციო ფორმები ქართულში დასავლური დიალექტური არეალიდან არის გავრცელებული.

ანთროპონიმთა აღნიშნული თავისებურება ვლინდება ნათესაობის აღნიშნული ზოგი სახელის ბრუნვის პარადიგმაში. სუბსტანტივები: დ ე დ ა , მ ა მ ა , ბ ე ბ ი ა , პ ა პ ა კვეცავდია, როცა ისინი ზოგადად აღნიშნავენ ფუძით გამობატულ მნიშვნელობას. თუ ხსენებული სახელები გულისხმობენ კონკრეტულად ამა თუ იმ პირს, ე. ი. საკუთარი სახელების ნაცვლად იმხარებიან, სამწერლო ენაში იწინე უკვეცელობის ტენდენციას (ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ქართული ენის ზოგადი დაბასიათება, ქეგლ. I, 1953, გვ. 038; ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე , ნათესაობის ზოგი სახელის წარმოებისა და კინოზობითობის —ეა სუფიქსის საკითხი ქართულში, იკე, XXVI, 1987, გვ. 70, შდრ. ლ. შ ა ლ ვ ა შ ვ ი ლ ი , დ ე დ ა სიტყვის კვეცავი და უკვეცელი ვარიანტები ქართულში, VII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ქ. ცხინვალი, 1985, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 49).

ანთროპონიმები მათი სპეციფიკური სემანტიკის გამო, ჩვეულებრივ, არ გვხვდებიან მრავლობითი რიცხვის ფორმაში, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში — როცა ერთიდაიმავე სახელის მქონე რამოდენიმე პირი იგულისხმება. ისინი წარმოდგენილი არიან მრავლობითის ფორმით. გიორგები, თამარები, თედოები, ნინოები და სხვა ქართულში შესაძლო ფორმებია. „ისტორიანი და აზმანი შარვანდედთან“ ს ტექსტში დასტურდება ანთროპონიმი გ ი ვ ი ს მრავლობითი რიცხვის ფორმა: ანუ ვისმცა ქება მიხლომოდა... დიდებულთა ბუმბერაზთა და მოყმეთა, მსგავსთა როსტომისთა და გ ი ვ ე ბ თ ა (65, 4).

ადამიანის საკუთარ სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმები ფიქსირებულია XI-XIII საუკუნეთა ზოგიერთ ძეგლში: სამნი იო ა ნ ე - ნ ი , ოთხნი ივი ს ვ მ ე ო ნ ნ ი , ორნი ივი მ ა რ ი ა მ ნ ი (ზ. სა - რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 371).

ანთროპონიმთა სპეციფიკად მიიჩნევა ისიც, რომ მათ წოდებითი ბრუნვის ფორმები ეწარმოებათ ნულოვანი მორფემით: დავით! ქეთევან! ლაშა! პეტრე! თედო! დუტუ! (შდრ. მეგობარო! ქალბატონო!

¹ წოდებითი ბრუნვის შესახებ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე , წოდებითი ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 48-56; აგრეთვე ალ. ონიანის სტატია: წოდებითი ბრუნვის საკითხისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში (საიუბილეო კრებული, ა. შანიძე — 100, 1987, გვ. 143-154), რომელშიაც ავტორი დამატებით არგუმენტებით ასაბუთებს ა. შანიძის თვალსაზრისის მართებულობას — წოდებითის ნიშანი ბრუნვის ნიშანია, ამ ნიშნით წარმოქმნილი ფორმა — ბრუნვის პარადიგმის ერთ-ერთი ჩვეულებრივი წევრი (შდრ. ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, ტფლისი, 1928, გვ. 166; მ ი ს ი ვ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 036; მ ი ს ი ვ ე , ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 267; ვ . თ ო ფ უ რ ი ა , წოდებითი ბრუნვისათვის, სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 36-47).

უვიკრობთ, არ უნდა იყოს მართებული გ. ნებიერიძის თავისთავად საინტერესო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც წოდებითი ცალკე ბრუნვა არაა არც სინქრონული და არც დიაქრონიული თვალსაზრისით. იგი ქართულში სახელობითი ბრუნვის ვარიანტია (პოზიციური ალომორფია თანხმოვანფუძიან სახელებთან. მხოვანფუძიანებთან — ფაქულტატიური ვარიანტი), ამიტომ იგი ბრუნვათა სისტემაში უნდა შევიდეს როგორც სახელობითი ბრუნვის ვარიანტი და არა როგორც ცალკე ბრუნვა (გ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე , წოდებითი ბრუნვა ქართულში, როგორც სახელობითი ბრუნვის ვარიანტი, თსუშ, ენათმეცნიერება, 10, 1986, გვ. 246-257).

გ. ნებიერიძის აღნიშნული თვალსაზრისი ემყარება შემდეგ არგუმენტებს — დისტიმბოციულს: თანხმოვანფუძიან სახელებში წოდებითსა და სახელობითს შორის დამატებითი დისტრიბუციის მიმართება დასტურდება (თანხმოვანფუძიანი სახელების წოდებითი და სახელობითი ფორმები ერთმანეთს არ ჩაენაცვლებიან), სემანტიკურს:

მასწავლებლო! კახეთო! მტკვარო!...).

აღსანიშნავია, რომ ქართული ენის მთელ რიგ დიალექტში — იმერულში, ლეჩხუმურში, რაჭულში, სამხრეთ-დასავლურ კილოებში, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში და სხვ. ანთროპონიმები მორფოლოგურად ფორმებიან წოდებით ბრუნვაშია. სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისის მიხედვით, ადამიანის საკუთარი სახელები საზოგადო სახელების გავლენით წოდებითში დაირთავენ ბრუნვის ნიშანს — **ა** მორფს, რომელიც პოზიციების მიხედვით რეალიზდება **ა** და **გ** ალომორფების სახით. **ა** ალომორფი, ჩვეულებრივ, გვაქვს თანხმოვანფუძიან ანთროპონიმებთან, **გ** — ხმოვანფუძიანებთან.² ნიმუშები სხვადასხვა დიალექტიდან:³

ამ ორ ფორმას — სახელობითსა და წოდებითს აქვს საერთო სემანტიკური ნიშანი — ნომინაციის ფუნქცია.

ჩვენი აზრით, მკვლევარი ერთ სემანტიკურ ოდენობად განიხილვს და ადგენს დისტრიბუციას ფაქტორულად არაიდენტურ, სხვადასხვა სემანტიკის (ფუნქციის) მქონე ერთეულებისას. ნომინაციის ფუნქცია სახელობითს საერთო აქვს არა მხოლოდ წოდებითთან — სხვა ბრუნვებთანაც: მოთხრობითთან, მიცემითთან, მაგრამ გარდა ამ საერთო სემანტიკური ნიშნისა — ნომინაციის ფუნქციისა — წოდებითს აქვს მისთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური სემანტიკა (ფუნქცია) — **მ ი მ ა რ თ ე ი ს**, **დ ა ძ ა ნ ე ბ ი ს**, რითაც იგი უპირისპირდება ბრუნების პარადიგმის სხვა წევრებს. აქვს ამ სემანტიკის გამოხატველი ფორმა. ნაწარმოები **ო-უ/მ** მორფით, ამასთან ერთად — დამატებითი მორფით ანუ ქვემორფით ძაბილის ინტონაციის სახით. ეს და სხვა მონაცემები (დაწერილებით იხ. ალ. ონიანის დასახელებული ნაშრომი), ვფიქრობთ, იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ წოდებითი მივიჩნიოთ დამოუკიდებელ ბრუნვად, თუმცა ისტორიულად იგი წარმოქმნილი ჩანს სახელობითი ბრუნვის დიფერენციაციის შედეგად (გ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ.).

² პირის სახელთა გაფორმებით წოდებითი ბრუნვის სათანადო ფორმანტებით ქართული ენის დიალექტებში სრულდება პროცესი ბრუნების მიხედვით მათი გათანაბრებისა საზოგადო სახელებთან. იგი, როგორც ცნობილია, დაწყებულია უძველეს ქართულში და გამოიხატება ანთროპონიმთა გაფორმებაში სახელობითის **ე** და მოთხრობითის **შ**ან ბრუნვის ნიშნებით, ასევე მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვათა **ა**-ემფატიკურხმოვნინი ფორმანტების გავრცელებით ანთროპონიმთა ბრუნების პარადიგმაზე.

³ საგულისხმოა, რომ ანთროპონიმთა **ა**-სუფიქსიანი ფორმები წოდებით ბრუნვაში დასტურდება კლასიკური ხანის ქართული საერო მწერლობის ისეთ მნიშვნელოვან ძეგლში, როგორიც „ვისრამიანია“, ვხვდება „შანამეში“, „რუსულანიაში“ და სხვ. ნიმუშები: ვ ი ს ო , უმუნოდ სიცოცხლე არა მიამების, ვისრ. 135, 2; მიბოძე, ვ ი ს ო ... საკელმწიფო კიქა, ვისრ. 111, 21 (მღრ. იქვე ვისი 42, 28; ვისმან 5, 1, 14; ვისსა 83, 26); ზ ა რ დ ო , ბედითსა რას უბნობ? ვისრ. 147, 21; ვგრე პრქუა: ზ ა რ დ ო , ლომი ხარ, ანუ მელიო? ვისრ. 18, 15 (მღრ. იქვე: ზარდმან 18, 16; ზარდსა 18, 14); გ ი ო (< გივო), ძებნე გონიერად, შანნ. II, 4249, 4 (მღრ. იქვე: გივმა 2409, 3); ვგრე მიბრძანა, შვილო გ ი ო , შენ დაკლებულს არას იტყვიო,

იმერული: გაგვიძეხი, ბოქტორო (შდრ. იცნოფ ბიქტორსა?); გაბრიელო, გამეიხედე კარში (შდრ. გაბრიელი გაჭავრდა); გრიგოლო, ამ ხალხს უნდა უხელმძღვანელო (შდრ., გრიგოლმა დოუძახა); ძალი ყოფილა, ვასილო (შდრ., ვასილ ბერიძე იქიდან მოდის); მარამი ხარ შენ? მარიამო, მარიამო!; ეილო სიმონმა და ქუდი ჩადო წყალში — რას შევები, სიმონო? კითხა ცოლმა; — ესა ქქონდეს, შეილო ჰუსეინო! (შდრ., ხენწიფემ უთხრა ჰუსეინსა, იქვე);¹ მოვიდა წყლის პირას და დეიძახა — ჰაიდერო! (შდრ., ჰკითხა ჰაიდერმა, იქვე);² ჯუმბერო! ჯუმბერო! ერთი წყაროზე გედირბინე.³

თანხმოვანზე დაბოლოებული პირის სახელები წოდებით ბრუნვაში უპირატესად ო ფორმანტს დაირთავენ ქვემოიმერულშიც: დავითო, ვახტანგო, ეთერო⁴...

რაჭული: ბიძა ბეჟანო, ქალს რატო არ ითხოვო (შდრ. გამჭავრდა ბეჟანი... ბეჟანს გული უხარობს, იქვე)⁵; ნუ გეშინის, სოლომონო! (შდრ. ჩადვეს სოლომონი... სოლომონს წიგნი მიუვა, იქვე).⁶

გურული: აღმასხანო, თურმე, მართლაც, ჩემს ძმებს ღმერთი გაწყრომიდა (შდრ. აქ კი იწვა აღმასხანი... ეს აღმასხანმა გეიგო, იქვე);⁷

აჭარული: ბილალო, მოგ აქ... შემსუდინო, ქვაზე რატო და-

რუჟუდან, 491, 25 (შდრ. იქვე: გივი 485, 11; გვიმან 403, 15; გივსა 431, 12...). ანთროპონიმებთან ო სუფიქსი წოდებით ბრუნვაში ფიქსირებულია (X) და შემდგომი საუკუნის სხვა ძეგლებშიც: გრიგოლო (sin—64), ბასილო (გრ. ხანცთ.) სამფსონო (გელათ. ბლ.), ასმათო „ვეფხ. ტყ.“ 1357 (ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 370).

ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოყავი, თბილისი, 1973, გვ. 81, 101, 119, 180, 338, 341, 349, 357, 419, 425.

² შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, გვ. 314.

³ ლ. ლეჟავა, ზემოიმერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, ივე, IX-X, 1958, გვ. 180.

კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985, გვ. 101.

⁵ შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 127.

⁶ იქვე, გვ. 169.

⁷ ს. ელენტი, დასახ. ნაშრ., გვ. 161, 162, 154.

ჩექ?... დ ე მ უ რ ა ლ ო , წამო...⁸

მესხური: — გამოდი, ა ნ თ ა ნ დ ი ლ ო ! (შდრ. ანთანდილმა უთხრა, იქვე)... — ა ს ლ ა ნ - ყ ა ფ ლ ა ნ ო , მე ამ სახლებში უდა (!) შევიდე (შდრ. შეხვდა ასლან-ყაფლანი ამათ, იქვე)... შ ა ი ს მ ე ლ ო , გავაკეთე (შდრ. წამოიყვანა ლალიმ შაისმელი, იქვე).⁹

ჩავახური: ხ ე თ ა გ ა ნ ო ! ჩვენ უნდა გავაკეთოთ შვილდისარი (შდრ. წვევიდა ხეთაგანი... უთხრა ხეთაგანს, იქვე); რას ამობ, დ ე ვ თ ა გ ა ნ ო ! (შდრ. გამოვიდა დევთაგანი... დევთაგანმა უპასუხა, იქვე).¹⁰

ხეცსურული: აეგრ ვერ მამკლავ, ა ლ უ დ ო (შდრ. ალუდ კურდღელაისძე, იქვე); არ გინდ, ლ უ ხ უ მ ო , არ მოგკლავთ (შდრ. არ შაშინდების ლუხუმი, იქვე),¹¹ კაცო, მოსტყუედი, ი თ ა კ ო (შდრ. ითაკი, იქვე).¹²

თუშური: კ უ ს უ რ ე ლ ო , კაცო, რად გვერიდები(შდრ. კუსურელ მოუკლათავ, იქვე); მარტო რას დახვალ, მ ე ი თ ო (შდრ. ემზადებ მეთი, არ დაიშალა, მეთიმა, იქვე).¹³

ფშაური: — არ ამაყენო, რ უ ს უ დ ა ნ ო , თორო ხო იცი, რასაც გიქამ.¹⁴ ასევეა ნაწარმოები: მზევინარო!¹⁵ ჭეძალო!¹⁶ და სხვ.

ერწო-თიანური: მემრე კიდე ავძრახდი თამარსა: — თ ა მ ა რ ო , ქალო... პატარა წყალი დამალეინე-თქო... (შდრ. თამარსა); დაუქარ, შვილო, კ ო ლ ე ლ ო (შდრ. ი ბიქსა კოლეელი ერქვა).¹⁷

მთიულ-გუდამაყ.: — აბა, ა ფ რ ა ს ი ო ნ ო , გამოდი! დაუძახა საყმი-სა.¹⁸

⁸ ქ. ნ ო დ ა ი დ ე ლ ი , აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათუმი, 1962, გვ. 29.

⁹ შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 32, 33, 51, 52, 62,

¹⁰ „ქართული დიალექტოლოგია“ გვ. 341, 342.

¹¹ ბ. გ ა ბ უ უ რ ი , კვესურული მასალები, გვ. 204, 235, 236, 240.

¹² გ. დ ო ლ ი ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 79, 126.

¹³ თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. § 11, 119, 178.

¹⁴ „ქართული დიალექტოლოგია“, გვ. 149.

¹⁵ გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე , ფშაური დიალექტი, 1978, გვ. 51.

¹⁶ ლ. ჭ ლ ა მ ა ი ა , თიანეთის ფშაველთა მეტყველების თავისებურებანი: „თსუ“-ის სტუდ. XVIII სამეცნ. კონფ., თეზისები, თბ., 1958, გვ. 136.

¹⁷ „ქართული დიალექტოლოგია“, გვ. 158, 157.

¹⁸ შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 349.

წოდებით ბრუნვაში ფუძეთანხმობიანი ანთროპონიმთა ო- სუ- ფიქსიანი ფორმები ჩვეულებრივია ლეჩხუმურში (შდრ. ანთიმოზო, ანტონო, ბაიქტორო, ერაჯო, ყათნარო და მისთ.),¹ იშვიათად დას- ტურდება ქართლ-კახურშიც ნიმუშები:

ქართლური: აბრამი, ა ბ რ ა მ ო — ერთი დაიძახა ხემწიფემ... ადქ, ე თ ე რ ო, წამომყე (შდრ. ეთერმა... ეთერს, იქვე);² ზ უ - რ ა ბ ო, რაც არ უნდა იყოს, სარწყავის კაცი დაიძვდებუ- ლია.³

კახური: — აი, ე თ ე რ ო, აქა ხარ?⁴ ... რ უ ს უ დ ა ნ ო !⁵ თ ა მ ა - რ ო ! მიგიხვდი... თ ა მ რ ო, ძალიან ამლაშებთ.⁶

წოდებით ბრუნვაში ო აფიქსი ზოგჯერ გვხვდება ხმოვანფუძიან ანთროპონიმებთან. ასეთ შემთხვევაში ფუძის ბოლოკიდლური ხმოვანი მოკვეცილია. მაგალითად:

რა მაგიწერავ, ა კ ა კ ო ?⁷ (ა კ ა კ ო მიმართვის ფორმად დასტურ- დება იმერულშიც).⁸ ლ ა ლ ო, აქ მო გენაცვალე... მ ა ნ ი ყ ა რ ო⁹ ... ნ ა ნ უ ლ ო¹⁰ ... ს ა ვ ე ლ ო, რკინი სოლი ქქონდა¹¹... ყ ე ნ ო, ყ ე ნ ო, ... იგ ტომარა მამე (შდრ. ყენი! იქვე)... ძმები შიეკითხნენ: სად იყავი, კ ე კ ლ ო ? კეკელამ უბასუბა¹² ... ლ ა მ ა რ ო ! / ლ ა მ რ ო !...¹³ და სხვა.

¹ მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, ქუთ. სახელმწიფო პედ. ინსტ. შრომები, ტ. II, ქუთაისი, 1941, გვ. 232; შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954, გვ. 170.

² ა ლ. ლ ო ნ ტ ი, ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, 1948, გვ. 95.

³ მაგალითი ამოღებულია გ. შალამბერიძის ნაშრომიდან: „დიალექტიზმები ს. მგალითიშვილის მოთხრობებში“, ივე, IX-X, 1958, გვ. 161.

⁴ „ქართული დიალექტოლოგია“, გვ. 169.

⁵ კ. გ ა ვ უ ა, სოფ. საყდრიონის მეტყველების მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი, თსუ სტუდ. XVIII, სამეცნ. კონფ., თეზისები, თბ., 1958, გვ. 133.

⁶ მაგალითები დამოწმებულია ლ. იორდანიშვილის ნაშრომიდან: რაფიელ ერისთავის თხზულებათა ენის ზოგიერთი თავისებურება, „მაცნე“, 1965, № 4, გვ. 201.

⁷ ბ. გ ა ბ უ რ ი, კვესურული მასალები, გვ. 255.

⁸ კ. კ უ ბ ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

⁹ ე. მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

¹⁰ ლ. ჭ ლ ა მ ა ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

¹¹ ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

¹² გ ბ ე რ ი ძ ე, ქართული ენის ჯავახური კილო (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი), სადისერტ. ნაშრ. ფილოლ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, 1969, ნაწ. II, ტექსტები, გვ. 175, 190.

¹³ ზემო იმერულის მასალები, საქ. ფონდი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში წოდებით ბრუნვაში ო ფორმანტი პირის სახელებთან იშვიათად დასტურდება ხმოვნის მომდევნო პოზიციაშიც. რამდენიმე ნიმუში: ნუ გეშინის, გ ი გ ი - ტ ა ო... გ ო რ გ ი ო, დედა შაგენაცვლაო (შდრ. გორგი)¹⁴... გპირო, საღ მიხოლ, კ ო ბ ა ო¹⁵... მ ა ი ო¹⁶, პური არ მოგშივდა¹⁷ და სხვა.¹⁸

აღსანიშნავია, რომ წოდებითი ბრუნვის ო ფორმანტი დიალექტების მიხედვით მეტ-ნაკლებად უხორცდება ანთროპონიმთა ფუძეს და შემდეგ ო- ბოლოხმოვნიაანი ფუძეები ვრცელდება სხვა ბრუნვებშიც.¹⁹ ნიმუშები დიალექტებიდან:

იმერული: დარჩენილიყო სამი ბიჭი: ბესოი, გლახინაი, და ა დ ა - მ ო ი... ბატონი გლახათ მოკიდებოდა ა დ ა მ ო ს ა...²⁰

ამევიდა ჩვენსა ვ ა ხ ტ ა ნ გ ო ი ... ვ ა ხ ტ ა ნ გ ო მ თქვა...²¹ ყველია ვ ა ს ი ლ ო ი ჭოლოკსა სვრიდა აყიროსა... იპოლიტეს ლ ა ვ რ ე ნ ტ ო ს ა ფოთში დაუწყია მუ- შაობაი...²²

კახური: მ ე რ ო ხ თ ა ნ ვიყავი... მ ე რ ო ს დაუძახე... ნ ა თ ე ლ ო ხ უთხარი... ს ა რ ო მოვიდა.²³

თუშური: დ ა ვ ი თ ო ახლოს... მისრულიყ; მქეტან დ ა ვ ი თ ი ო ს

¹⁴ ა ლ . კ ი ნ კ ა რ ა უ ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 59, 60, 432.

¹⁵ ბ . გ ა ბ უ უ რ ი, კვესურული მასალები, გვ. 224, 28.

¹⁶ ლ . ჭ ღ ა მ ა ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

¹⁷ ამგვარ პოზიციაში ო აფიქსი ზოგჯერ გვხვდება საზოგადო სახელთანაც. როცა იგი კრძო მნიშვნელობით არის გამოყენებული: აღარას მიშველა, ძ ა ლ უ ა ო (ვაჟა, III, 47).

¹⁸ ქართული ენის დიალექტებში ანთროპონიმებთან (ისევე, როგორც საზოგადო სახელებთან) ხმოვნის მომდევნო პოზიციაში წოდებითი ბრუნვის ნიშნად ჩვეულებრივია გ ალომორფი: ბესიკაგ, მარიამაგ (ქართლ.); თინაგ, დათიკაგ, გივიგ, გიორგიგ, იამზეგ. (კახ.); ალექსაგ, კუქურაგ, ნესტორაგ, რეზოიაგ. (გურ.); ღურსუნაგ, მაშედაგ, ოსმანაგ, ზაქიეგ, ფიქრიეგ (აჭარ.); ალუაგ, კვირიკაგ, ლელაგ, მინდიაგ, ნათულაგ (ხევს.); თენგიზაგ, ქეთენაგ (ფშავ.); შეთეგ (თუშ.); გიგოლაგ (მიულ-გუდამაყრ.) და სხვა (ნიმუშები ამოღებულია ნაბეჭდი დიალექტოლოგიური ტექსტებიდან და ნაშრომებიდან).

¹⁹ ი ვ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, წრფელობით ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში, პუშკინის სახ. თბ. სახელმწ. ინსტ. შრ., III, 1943, გვ. 278; ლ. ლ ე ჟ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 180; თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, გვ. 101.

²⁰ ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 387.

²¹ ლ. ლ ე ჟ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 180.

²² ზემოიმერულის მასალები.

²³ ე . მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

ციხის ძირზედ ჩალა; ეგ რო მ ა რ ი ხ ო მ გაიგო, შუქ დაუბნელდა მზისაო... ნახეს, მოუკლავ ნ ა დ ი რ ო ... ეგ თქვა ნ ა დ ი რ ო მ ... ატირდა ნ ა დ ი რ ო ს დედა.¹

თუშორში ამგვარი წარმოების ანთროპონიმებია: გულნაზო, ევგენო, ეთერო, ზურაბო, თამარო, რევაზო და სხვა.

დავითო, დავითომ, დავითოს... ბრუნების ტიპი შედარებით ახალია. ქართული ენის დიალექტებში იგი ეხლა ყალიბდება და ანთროპონიმთა მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავს. ო ხმოვნის ფუძესთან შეზრდის პროცესი დიალექტებში არათანაბრად ვითარდება. ერთსა და იმავე დიალექტში წოდებითის ო ფორმანტი შეზრდილია ზოგი ანთროპონიმის ფუძესთან, ზოგთან — არა. გვხვდება ერთი და იმავე ფუძის ანთროპონიმთა — ო- შეხორცებული და შეუხორცებელი ვარიანტები (მდრ. თუშ. დავი-მა / დავითი-მ...), ანდა ერთი და იგივე ანთროპონიმი რომ ერთ დიალექტში ო- ხმოვანფუძიანია, მეორეში — არაა, რაც განპირობებული ჩანს ანთროპონიმთა ხმარების სინშირით (დამოკიდებულია ფუძის მარცვალთა რაოდენობაზეც).²

თანამედროვე ქართულში — სამწერლობო ენაში, სასაუბრო მეტყველებაში, ქართული ენის მთელ რიგ დიალექტში თავს იჩენს ანთროპონიმთა ბრუნების კიდევ ერთი თავისებურება — არის ძლიე-

¹ თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე . თუშური კილო, ტექსტები, § 21, გვ. 198, 201.

² საუკრადღებოა, რომ ამავე დროს ქართული ენის დიალექტებში, განსაკუთრებით აღმოსავლურ და სამხრეთულ კილოებში ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები იჩენენ ტენდენციას მიმართვის ფორმებში მოიკვეციონ დაბოლოება. ნიმუშები: ალექს, ალიომ, მარგალიტ, ციალ, ეენერ, ვალოდ, ზაქარ, ელენ, იაშხ (კახ.); ალთ, ვიორ, სალომ, იოკიმ, კირილ (ჩავახ.); გლახუნ (გურ.); ნანულ (ფშაურ.) და სხვა. ანალოგიური პროცესი დასტურდება სზოგადო სახელებშიც: დიდედ, დეიდ, მამიდ, ნათლი, ნათლიდედ, თხისტენი, ნცარქეკი და მისთ. (საილუსტრაციო მასალა ამოღებულია სათანადო დიალექტოლოგიური ნაშრომებიდან).

წოდებითი ბრუნვის ფორმებში ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა შეპირობებული უნდა იყოს სახელის მეორე (ბოლოდან) მარცვალზე ფიქსირებული ძლიერი დინამიკური მახვილის მოქმედებით.

დიალექტებში წარმოშობით თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმები წოდებით ბრუნვაში ხშირად გვხვდება გაუფორმებელი სახითაც. ქართლ.: აეთანდილ, ეთერ, ტარიელ, ფრიდონ; კახ.: ელიზბარ, იოსებ, პლატონ, რუსულდან; იმერ.: ბაგრატ, მელიტონ, სოლომონ; რაქ.: გურგენ, როსტომ, ყაფლარ; გურ.: აღმასხან, ილარიონ, სარდიონ, სერაპიონ; აკარ.: მამედ, ხასან, ხუსეინ; მესხ.-ჩავახ.: აღამ, ამირან, დარეჯან, სარიდან და სხვა. არაა გამორიცხული, რომ ზოგი ამგვარი ფორმა წარმოადგენს წოდებით ბრუნვაში ბ ე ე ა ნ ა . ე თ ე რ ა . ზ უ რ ა ბ ი , ლ ე ვ ა ნ ო ტ ი მ ს სახელების ხმოვანმოკვეცილ ვარიანტს.

რი ტენდენცია ბოლოთანხმომიან პრის სახელებში • ხმოვანი, რომელიც წარმოშობით სახელობითი ბრუნვის აფიქსია, ფუძეს შეუხორცდეს, რის შედეგადაც ყალიბდება • ხმოვანფუძიან ანთროპონიმთა ბრუნების ტიპი; გვაქვს: სახ. ასმათი=0, ლევანი=0, ნოდარი=0..., მოთხ. ასმათი-მ, ლევანი-მ, ნოდარი-მ..., მიცემ. ასმათი-ს, ლევანი-ს, ნოდარი-ს... წოდ. ასმათი-0!, ლევანი-0! ნოდარი-0!... ნაცვლად ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით მართებული ფორმებისა: სახ. ასმათ-ი, ლევან-ი, ნოდარ-ი... მოთხ. ასმათ-მა, ლევან-მა, ნოდარ-მა... მიცემ. ასმათ-ს, ლევან-ს, ნოდარ-ს... წოდ. ასმათ! ლევან! ნოდარ!...

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არის აღნიშნული, ამგვარი ფორმები ფართოდ ვრცელდება სალიტერატურო ენაში,³ „კალკულურ გრამატიკოსთა და სპეციალისტთა საგანგებო კომისიების სასტიკი წინააღმდეგობების მიუხედავად ამ რიგის ფორმები უფრო და უფრო ეძლეება თანამედროვე ქართულ მეტყველებას.“⁴

აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით ვრცელდება თანხმოვანფუძიან სახელთა იმ ნაწილზე, რომელიც ფართოდაა ხმარებული. • ხმოვნის შეხორცება ფუძესთან უმთავრესად ორმარცვლიან ბოლო-თანხმოვან პირის სახელებში ხდება, დასტურდება სამმარცვლიან და ოთხმარცვლიან ფუძეებთანაც. რამდენიმე ნიმუში დიალექტებიდან:

ქართლ.: ა ბ რ ა მ ი , აბრამო! — ერთი დაიძახა ხელმწიფემ...⁵ ზ ე ი - ნ ა ბ ი დეილა!⁶

კახ.: გ უ რ გ ე ნ ი ს უთხრა ბ ე ყ ა ნ ი მ⁷... ზ უ რ ა ბ ი მ ვეღარ მაითმინა.⁸.. თ ე ნ გ ი ზ ი მ მაიტანა... ა ს მ ა თ ი მ მახსენა ტარიელს... თ ე ი მ უ რ ა ზ ი მ შაატყობინა⁹...

³ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი, 1970, გვ. 78.

⁴ თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე , ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, გვ. 102.

⁵ ა ლ . ლ ლ ო ნ ტ ი , ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, გვ. 95.

⁶ ბ. ც ხ ა დ ა ძ ე , იმერულის თავისებურებანი თურჯოლისა და ზესტაფონის რაიონების მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, ზოგადი და იმერულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, 1978, გვ. 62.

⁷ ა რ . მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი , გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 71.

⁸ გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე , კახური დიალექტის თავისებურებანი ყვარელის მეტყველების მიხედვით, იკვ. VII, 1955, გვ. 108.

⁹ ე . მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 32.

იმერ.: ბ ა გ რ ა ტ ი ! ბ ა გ რ ა ტ ი ! გამეიხედე პაწა გარეთ¹... აშკარათ
და ვ ი თ ი მ გადაახთევია... გ უ რ ა მ ი , სად მიდიხარ
შენე?... გ უ რ ა მ ი მ აილო ხმალი... ვ ა ხ ტ ა ნ გ ი , პური
მიეცი... რა მოგივიდა, მ უ რ თ ა ზ ი ?... რ ე ვ ა ზ ი , მარ-
თლა გეუძებდი.²

რაქ.: ამოდო.../ბულთით ე ი მ უ რ ა ზ ი მ , შდრ. გაიგონა თეიმურაზ-
მა (შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., 180, 34; 181, 9).

გურ.: დედინაცვალი უძახის ე თ ე რ ი ს ... გულმოდგინეთ ევედრება,
მაპატიე ზ უ რ ა ბ ი ო ...³

მესხ.: აქ იყავით თქვენ, ა მ ი რ ა ნ ი !⁴

ჯავახ.: სარდალი შეხვდა თ ა მ ა რ ი ს ციხეში...⁵

ამ რიგის სახელებია: გარსევანი, ღურმიშხანი, თამაზი, ნესტანი,
ოთარი, ომარი, როდამი, ტრისტანი, უშანგი, ფატმანი, ჯემალი, ჯემ-
შიდი, ჯუნაშერი, ჯუმბერი და სხვ.⁶

მორთუმის ფუძესთან შეზრდის პროცესი ქართულს ახასიათებს
ისტორიულად. იგი დაწყებულია დიდი ხნის წინათ. უცხო წარმომავ-
ლობის სახელებში სახელობითის მ აფიქსის შეხორცების ნიმუშები
დასტურდება საერო მწერლობის ისეთ ძეგლებში, როგორცაა „ვის-
რამიანი“, „შაჰნამე“ და სხვა. სახელდობრ, სპარსული წარმოშობის
ფუძეთანხმობიანი ანთროპონიმები: ვ ი ს , ზ ა რ დ , თ უ რ , ტ უ ს ,
ქ უ მ ს , გ ო რ ჯ ა ს პ , გ ი ვ და მისთ. შემოსვლისთანავე ხმოვანფუძია-
ნები ხდებიან (თუმცა ხშირად იბრუნვიან, როგორც თანხმოვანფუძია-
ნები)⁷. მაგალითად:

ვ ი ს ი ცოტა დარესწყნარდა, ვისრ. 62, 18; მერე ვ ი ს ი... ძი-
ძასა უთხრა, იქვე, 49, 3; ვ ი ს ი ს უჩუნა იგი ადგილი, იქვე, 50,
23; ჰე, ღმრთისა უარისმქმნელო ვ ი ს ი ! იქვე, 88, 21 (შდრ. დაარ-

¹ ლ. ლ ე ე ა ვ ა , დასახ. ნაშრ., გვ. 180.

² ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 21, 180, 341.

³ ს. ე ლ ე ნ ტ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 123, 157.

⁴ შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი . ქართული დიალექტოლოგიის მასალები, გვ. 35.

⁵ გ. ბ ე რ ი ძ ე . დასახ. ნაშრ., გვ. 65.

⁶ ი ვ . გ ი გ ი ნ ე ი შ ე ი ლ ი , მოსაგარებელი საკითხები ადამიანის საკუთარ
სახელთა ბრუნებისას, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები,
პირველი კრებული, თბილისი, 1970, გვ. 78-80; თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე . დასახ. ნაშრ.,
გვ. 104.

⁷ მ. შ ა ნ ი ძ ე . მ ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის
ქართულში, თსუ, საიუბილეო კრებული, 1969, გვ. 141-142.

ქუეს მას მნათობსა სახელი ვის, იქვე, 8, 14); ვგრე უთხრა ვის - მან, იქვე, 80, 3; ესე სიტყუა ესმა ვისსა, იქვე, 70, 28); მერმე ზარდი... მივიდა, ვსირ. 161, 34; ზარდის ვგრე არქუა, იქვე 17, 1 (შდრ. ზარდმან ვგრე უთხრა, იქვე, 17, 4); მოუგება მოაბად ზარდსა, იქვე, 18, 14). ტუსი სპანი შეუზახნა, შაპნ. 3379; ტუსის თუალთა დაუბნელდა, იქვე, 3381 (შდრ. ტუს - მან ვგრე მოახსენა, იქვე, 2138). თური ვრაქს ვგრე უთხრა, შაპნ. II, 49, 49 (შდრ. მიუწერა ძმასა თქსა თურს, იქვე, 401, I ქვ.). ქუმსი თქვა, შაპნ. 3592. გვარჯასპი... ფიცხლად მიხტოდა, რუსულ. 491, 2; გვარჯასპიმ ლახტს ხელი წაიკრა, იქვე, 449, 31; შეფრფინვიდიან გვარჯისპის, იქვე, 462, 11; შვილო გვარჯასპი, ღმრთისგან ჩემთვის წყალობად მოვლინებულო! იქვე, 413, 18 (შდრ. გვარჯასპ გარდახტა, იქვე, 434, 37; გამოილო გვარჯასპ... ლახტი, იქვე, 434, 30; არც გვარჯასპს ეშინოდა, იქვე, 434, 4) და სხვა.

ბოლოთანხმოვნიან ანთროპონიმებში ო ხმოვნის ფუძესთან შეზრდის ფაქტები შეინიშნება XV-XVIII ს. ისტორიულ საბუთებშიც. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იგი გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში შედგენილ დოკუმენტებში, დასტურდება სამმარცვლიანი ფუძის მქონე პირის სახელშიც. მაგ.:

ზაალიშვილმა ავთანდილიმ ამისი ასლი სიგელი ვნახე (სიძვ. Iშ, 182); მოგეცი მე, ავთანდილ აბაშიძის შვილმან აბაშიმ (იქვე);⁸ მამაცასშვილმან გივიმ და ჭაიხოსრო მიქელამ თავის მეზობელს რამაზისშვილს ოცდათექვსმეტი კოდი პური უჩივლეს (სამდივ. 37)⁹...

⁸ ნიშუშები ამოლებულია მ. შანიძის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 143.

⁹ ანთროპონიმი გივი გვხვდება XV-XVIII სს. ძეგლებში: „შაპნამეს“ ქართულ ვერსიებში, „რუსულანიანში“ და იბრუნება, როგორც ფუძეთანხმოვნიანი სახელი: გივიმან უთხრა, შაპნ. 2943. გივისა მამამან უბრძანა, რუსულ. 431, 12; მოისვენე, ვიო, შენა. შაპნ. 3417, 1.

აღნიშნული ანთროპონიმის ფუძეთანხმოვნიანი ვარიანტი გვხვდება ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში, რამდენიმე ნიშუში: გივიმა ერთი ლიტრი არაყი გამატანა (თ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, 1978, გვ. 195); გივისა ყამდა შვილი, რაჭ. (შ. ძიძიგური, ქართული დიალ მასალ., გვ. 281); ბუვანს გივის გაატანებენ (არ. მარტიროსოვი, ქართული ენის ჭავჭავთური დიალექტი, 1984, გვ. 205); გივიმა გაღმართა მაყარო (ბევს. პოეზ., 256, 2); გივის უთხრა ცოლმა, მთიულ-გუდაშაყ. (შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 348, 31).

თანხმოვანფუძიანი პირის სახელებში სახელობითი ბრუნვის • ფორმანტის ფუძესთან შეზრდის ფაქტი დიდი ხანია შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში. მოცემულია ამ მოვლენის ახსნის ცდებიც.

როგორც ცნობილია, • ხმოვანფუძიანი ადამიანის საკუთარი სახელები: აკაკი, გიორგი, ევგენი, ამბერკი, კორნელი, მაკარი და სხვა ქართულში ბერძნულიდან (ან ბურძნულის მეშვეობით) არის შემოსული. გარკვეულია, რომ ქართულში, ჩვეულებრივ, ფუძის ბოლო ხმოვანად • არის იმ ანთროპონიმებში, რომელთაც ბერძნულში ნომინატივში აქვთ — სთ დაბოლოება: აკაკი ΑΚΑΚΙΟΣ, გიორგი ΓΕΩΡΓΙΟΣ, ევგენი ΕΥΓΕΝΙΟΣ... — ქართული ფორმა ამ სახელებისა: აკაკი, გიორგი, ევგენი... შეესატყვისება ბერძნულ ვოკატივს Akaki! Γεωργι! Ευγευ!..., რაც იმას მოწმობს, რომ ისინი ქართულში ზეპირი გზითაა შემოსული, შეთვისებულია ბერძნებთან პირადი ურთიერთობის დროს და შემდეგ ტრადიციად დამკვიდრდა მწერლობაში.¹

ა. შანიძის აზრით, ამგვარ ბოლოუკვეცელ •-ნიან სახელთა (აკაკი, გიორგი და სხვა) ანალოგიით დღევანდელ ქართულში სახელობითის • ფუძისეულად იქნა გაგებული ზოგ სხვა სახელშიაც: ეთერი-მ, გოდერძი-მ, უშანგი-მ (მოთხრ.); ეთერი! უშანგი! ნოდარ!... (წოდ.).²

ეს თვალსაზრისი გაზიარებულია რიგი სპეციალისტის მიერ.³

ბ. ცხადაძეს მიაჩნია, რომ ადამიანის თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელთა ხმოვანფუძიანად ქცევას ხელი შეუწყო ძველი ქართულიდან მომდინარე ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებთან ერთად რუსულიდან

სპეციალისტთა დაკვირვების მიხედვით, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნურ მეტყველებაში ხშირად გვხვდება ფორმები: გივი-მა, გივი-ს (პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იფი, VIII, 1956, გვ. 126), ამგვარად იბრუნვის ოგი კახურშიც (გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, 1974, გვ. 36).

სალიტერატურო ქართულში აღნიშნული ანთროპონიმი ბოლოხმოვნანია — სახელობითის • ფორმანტი ფუძესთან არის შეზრდილი: გივი-მ, გივი-მ, გივი-ს... გივი-მ!

¹ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართულურ ენებში, თბილისი, 1956, გვ. 145-161.

² ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

³ შ ძ ი ძ ი გ უ რ ი, „ნოდარმა, ვახტანგმა და არა ნოდარმა, ვახტანგმა“, გაზეთი „თბილისი“, 1959, 21/XI, გვ. 3; ბ. ც ხ ა დ ა ძ ე, დასახ. შანრ., გვ. 62; ე. მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 32 და სხვა.

მომდინარე და ევროპაში გავრცელებულმა ანთროპონიმებმა, როგორცაა: იური, ვიტალი, ევგენი, ტარასი⁴...

შ. აფრილონიძის ვარაუდის მიხედვით, საკუთარ სახელთა არასწორი ფორმები: ოპარიმ, ნოდარიმ, ოთარიმ... მათი ვოკალიზაციისადმი ტენდენციით აიხსნება.⁵

ზ. ჭუმბურიძის მოსაზრების მიხედვით იმ ანთროპონიმებში, რომლებიც ერთმარცვლიანი საზოგადო სახელებისაგან არის წარმოქმნილი: ლ ა ლ ი, დ ა ლ ი, დ ე ვ ი, კ ა ხ ი ბოლოკიდური მის ფუძესთან შეხორცება იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ განასხვავოს საკუთარი სახელი საზოგადოსგან, ე. ი. მ ამ შემთხვევაში საკუთარი სახელის მაწარმოებელი ფორმანტის როლში გამოდს. იგი ერთვის და ფუძეხმოვნინად აქცევს ნასესხებ ფუძეთანხმოვნინ საკუთარ სახელებსაც.⁶

განსხვავებულად ხსნის მ. შანიძე, ჩვენი აზრით, ერთდამავე მოვლენის სხვადასხვა შემთხვევებს; სახელდობრ: ისტორიულად მ-ფუძეთანხმოვნინ საკუთარ სახელებში მ ხმოვნის შენარჩუნებას თანამედროვე ქართულში VC₃-# პოზიციაში (ევგენი-მ, ანატოლი-მ, ვიტალი-მ...) იგი რუსული ენის გავლენას მიაწერს.⁷ სპარსული წარმოშობის თანხმოვანფუძიან ანთროპონიმებში: გ ი ვ, ვ ი ს, ტ უ ს და მისთ. სახელობითი ბრუნვის მ ფორმანტის ფუძესთან შეზრდის ტენდენციას (გივი-მ, ვისი-მ, ტუსი-მ...) ქართულში ერთმარცვლიანი ფუძის მქონე პირის სახელების უქონლობით ხსნის, ხოლო ამავე ტენდენციას გ უ რ ა მ ი მ, ე თ ე რ ი მ, ო თ ა რ ი მ (VC₃-#) ტიპის ანთროპონიმებ-

⁴ ბ. ცხადაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 62.

⁵ შ. აფრილონიძე. ბოლოკიდურ ხმოვანთა საერთო ფუნქციისათვის ქართულში, კრებულში: თსუ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომები, № 3-4, 1974, გვ. 108.

⁶ ზ. ჭუმბურიძე, Die struktur der georgischen Vornamen. "Georguca". Wissenschaftliche zeitschrift, 26 Iargang Heft 1, 1977, Iena.

⁷ ავტორის დაკვირვებით ახალ ქართულში ამგვარი სახელები აღნიშნულ პოზიციაში თანხმოვანფუძიანად არის ქცეული: გროგოლ-მა, ელფეთერ-მა, სოფრომ-მა... ფუძისეული მ შენარჩუნებულია, თუ იგი გვხვდება ხმოვნის მომდევნო არასონორი თანხმოვნის შემდეგ, ან ორი თანხმოვნის მომდევნოდ: აკაკი-მ, გენალი-მ, ტარასი-მ, ალექსი-მ, გიორგი-მ, ირაკლი-მ... (დასახ. ნაშრ., გვ. 132-133). თუმცა აღნიშნული წესისაგან არაერთი გამონაკლისი დასახელებული აქვს თვით მკვლევარს ცოცხალი მეტყველების, ქართული ენის დიალექტების, ისტორიული დოკუმენტებისა თუ სხვა წყაროების მიხედვით, რაც მის მიერ დადგენილ კანონზომიერებას საერთო ქართულის მასშტაბით განხილვისას საეჭვოდ ხდის.

ში, რომელიც მკვლევრის აზრით დასავლური კილოებიდან მოდის, წარმოქმნილად მიიჩნევს მეგრულის გავლენით.¹

სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით ქართულს ისტორიულად ახასიათებს ძლიერი ტენდენცია ფუძის ბოლოკიდური **მ** ხმოვნის მოკვეცისა მისი სახელობითის ფორმანტად გააზრიანების გამო,² რის შედეგადაც აღარ შემოგვრჩა **მ** ხმოვანზე დაბოლოებული ქართული ფუძეები.³

აღნიშნულ ტენდენციას ექვემდებარება უცხო წარმომავლობის სახელებიც. ძველ ქართულში ბერძნული ან ბერძნულის გზით შემოსული საზოგადო სახელები სქესის **თ** დაბოლოების წინამავალ ფუძისეულ **მ** ხმოვანს იკვეცენ. შდრ. მონასტერ-ი (μοναστηριον, τό), ოლარი (ωλαριον, τό), პიტაკი-ი (πιτακιον, τό), სანდალ-ი (σανδαλιον, τό), სტამან-ი (σταμιον, τό), სუდარ-ი (σουδαριον, τό), სუნაქსარ-ი (συναξαρι) და სხვა.

ამავე მიზეზით ქართულში ჩამოსცილდა ფუძის ბოლოკიდური **მ** ხმოვანი სახელებს: ყად-ი, მუშტარ-ი (არაბ.); აბაზ-ი, ზანგი (სპარს.); ელჩ-ი, გემ-ი, ყუთ-ი (თურქ.) და სხვა.⁴

პროცესი ფუძის ბოლოკიდური **მ**-ს სახელობითი ბრუნვის ფორმანტად რეინტერპრეტაციისა ინტენსიურად მიმდინარეობს თანამედროვე ქართულშიც. სასაუბრო ენაში, ცოცხალ ხალხურ მეტყველებაში ფუძისეული **მ** ეკვეცება ახლად შემოსულ უცხოურ სახელებს: ალიბ-ი (ლათ. alibe, რუს. გზით алиби), ტაქს-ი (ფრანგ. taxi, რუს. გზით)... გორკი-ი, ჩერნიშევსკი-ი, ტორიჩელი-ი... დელი-ი, ტრიპოლი-ი და სხვა.

ამ ფონზე თვითონ მოითხოვს ახსნას ფუძისეული **მ**-ს შენარჩუნების ფაქტი ბერძნულიდან მომდინარე **მ**-ბოლოხმოვნის პირის სახელებში⁵: აკაკი (აკაკი-მ), ანატოლი (ანატოლი-მ), გიორგი (გიორგი-მ), დიმიტრი (დიმიტრი-მ), ევგენი (ევგენი-მ), კორნელი

¹ მ. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 133-143.

² ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 66-67; ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 3-5 და სხვა.

³ ერთდღერთი გამოწაკლისია ვი-ნ ნაცვალსახელი.

⁴ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 67. შდრ. გურული ჩა, ჩა-მ, ჩაშ... (გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის გურული დიალექტის ზოგი თავისებური მოვლენის შესახებ, „მაცნე“, 1966, № 6, გვ. 253).

⁵ შდრ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

(კორნელი-მ)... და არ გამოდგება სხვა შემთხვევების — წარმოშობით თანხმოვანფუძიანი სახელების • ხმოვანფუძიანებად ქცევის (გოდერძი-მ, ეთერი-მ, ნოდარი-მ, უშანგი-მ ტიპის ფორმათა) ასახსნელად.

ამასთან ერთად, ქართული ენის მთელ რიგ დიალექტში (ქართლურში, კახურში, იმერულში, გურულში, რაჭულში, ჭავჭავურში, ხევსურულში, თუშურში...) ბერძნული წარმომავლობის • ხმოვანფუძიანი ანთროპონიმები: აკაკი, გიორგი, იმერულში ასევე — ამბერკი, აქესენტი, ირაკლი, პროკოფი და სხვა გვხვდება ფუძეთანხმოვნიანი ვარიანტის სახითაც⁶ (აკაკ-მა, აკაკ-ს; გიორგ-მა, გიორგ-ს; აქესენტ-მა, აქესენტ-ს; ირაკლ-მა, ირაკლ-ს...) და არ შეიძლება მათი ანალოგიით ჩამოყალიბებულიყო გოდერძიმ, მურთაზიმ, უშანგიმ ტიპის ანთროპონიმთა ხმოვანფუძიანი ფორმები⁸.

რუსულიდან მომდინარე • ბოლოხმოვნიან ანთროპონიმებს: ანატოლი, ვიტალი, იური, ტარასი და მისთ. კი არ უნდა შეეწყო ხელი ქართულში • ხმოვნის დამკვიდრებისათვის თამაზი-მ, თემური-მ, მურთაზი-მ... ფუძეთანხმოვნიან (წარმოშობით) პირის სახელებში, პირიქით: ანატოლი, ვიტალი, იური... რიგის ანთროპონიმებში ფუძის ბოლოკიდური • შენარჩუნებული იქნა იმის გამო, რომ მათი გავრცელება-დამკვიდრების პერიოდში ქართულში უკვე მოქმედებდა ტენდენცია პირის სახელებში სახელობითის • ფორმანტის ფუძესთან შეხორცებისა.⁹

ამითვე უნდა აიხსნას, ჩვენი აზრით, აღმოსავლური წარმომავლობის ერთმარცვლიანი (ფუძეთანხმოვნიანი) პირის სახელების გივ, გულ, ვის, ზარდ და მისთ. გახმოვანფუძიანება (მიც. გივი-ს, ვისი-ს, ზარდი-ს...), ასევე ფუძის ბოლოკიდური • ხმოვნის შენარჩუნების ფაქტი ნასესხებ სახელებში: ლილი, მერი, გარი... და

⁶ კ. კ. ბ. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 99-102.

⁷ რამდენიმე ნიმუში: წმიდა გიორგმა დასწყველოს... მარეჟან უთხრა გიორგსა... აკაკს უმღეროან (ა. თაყაიშვილი, ქართლურის თავისებურებანი კასპის რაიონში შეკრებილი მასალების მიხედვით, თსუ სტულ. სამეცნ. შრ. კრებული, № 7, 1955, გვ. 274). ჩემმა ძმამ აკაკმა იქეთდა... წაიღა გიორგთან (არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 71); ბრძანა გიორგ ერისთავმა, რაჭ. (შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 245).

⁸ შლრ. ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 53; შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 3 და სხვა.

⁹ შლრ. ბ. ცხადაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 62; მ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ.

მისი შეხორცება ერთმარცვლიანი ფუძის მქონე საზოგადო სახელთაგან ნაწარმოებ ანთროპონიმებში: კ ა ხ ი , ლ ა ლ ი¹...

ქართულში რომ არ მოქმედებდეს ტენდენცია ბოლოთანხმოვნიან ანთროპონიმებში სახელობის ო ფორმანტის ფუძესთან შეზრდისა, უნდა ვიფიქროთ, რომ სპარსული წარმოშობის სახელები: გ ი ვ ი , ვ ი ს ი , ქ უ ჯ ი და მისთ. ერთმარცვლიანი ფუძის მქონე დარჩე-ბოდნენ და ნასესხებ გ ა რ ი , ლ ი ლ ი , მ ე რ ი... ანთროპონიმთა მხოლოდ ფუძეთანხმოვნიანი ვარიანტები იქნებოდა გავრცელებული მსგავსად უცხო წარმომავლობის საზოგადო და სხვა რიგის საკუთარი სახელებისა² (შდრ. მონასტერ-მა, ზანგ-მა, ელჩ-მა, ტაქს-მა..., დოსტო-ევსკ-მა, გარიბალდ-მა... ტრიპოლში)³. ამას გვაგვარაუდებინებს საზო-გადო სახელთა ერთმარცვლიანი ფუძეების არსებობა ქართულში და ისიც, რომ სპარსულიდან შემოსული ერთმარცვლიანი ანთროპონიმე-ბი დასაწყისში, ჩვეულებრივ, იბრუნვოდნენ, როგორც თანხმოვანფუ-ძიანი სახელები (შდრ. გივ-მან, შაჰნ. 2943; გივ-სა, შაჰნ. 457; რუ-სუდ. 431, 12; გულ-სა, ვისრამ. 189, 19; ზავ-ს, რუსუდ. 39, 28; ზარდ-მან, ვისრამ. 146, 3 ქვ.; თურ-ს შაჰნ. II 401, I ქვ.; ტუს-მან, შაჰნ. 2130 და სხვა), ხოლო ანთროპონიმ გ ი ვ ი -ს ფუძეთანხმოვნი-ანი (ერთმარცვლიანი) ვარიანტი — გ ი ვ - ი , გ ი ვ - მ ა , გ ი ვ - ს... ამჟამადაც გავრცელებულია ქართული ენის მთელ რიგ დიალექტში (ქართლურში, კახურში, იმერულში, ჭავჭავურში, ხევსურულში და სხვა).⁴

აღნიშნულ ვარაუდს მხარს უჭერს ისიც, რომ ზოგ დიალექტში ვლინდება ერთმარცვლიანი ფუძის მქონე ანთროპონიმებიც, მაგალი-თად: ბ ა დ რ - ი (უსიბმა და ბ ა დ რ მ ა ბიჰს უთხრეს, ქართლ.),⁵ მ ი რ - ი (დაამარცხა დევის შვილი მ ი რ მ ა... ამ მ ი რ ს ა ჰყავს და-მშეული გველები, მითულ-გუდამაყ.)⁶ ფ ს ი ტ - ი (ფ ს ი ტ მ ა ც

¹ შდრ. მ. შ ა ნ ი ძ ე . დასახ. ნაშრ., გვ. 141; თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 103; ზ. კ უ მ ბ უ რ ი ძ ე . დასახ. ნაშრ., გვ. 128.

² ფუძის ერთმარცვლიანობა უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ ხელშემწყობ ფაქტორს აღნიშნული მოვლენის განხორციელების პროცესში.

³ ქართული ცოცხალი ხალხური მეტყველებისათვის ამგვარი (ე- ხმოვან-მოკვეცილი) ფორმებია ბუნებრივი.

⁴ სათანადო ილუსტრაციები წარმოადგენილია ზემოთ.

⁵ ალ . ლ ლ ო ნ ტ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 11.

⁶ შ . მ ი ძ ი გ უ რ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 338.

უთხრა: — აბა თავ დანებებთაო, თუშ).⁷ მოსალოდნელი იყო გვერ-
ნოდა ლ ა ლ ი , მ ე რ ი... ანთროპონიმთა თანხმომავანფუძიანი (ერ-
თმარცვლიანი) ვარანტებიც: ლ ა ლ - მ ა , მ ე რ - მ ა... ჩვენი მასალის
მიხედვით ამგვარი სახეობები დადასტურებული არ არის, მაგრამ მათ
არსებობას გვაფიქრებინებს წოდებითი ბრუნვის ფორმები: ლ ა ლ ო ,
მ ე რ ო , ასევე კინინობითის ფორმა — მ ე რ ა .

ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მართებული არც ის დებულება,
რომლის მიხედვითაც სახელობითის **o** აფიქსის სხვა ბრუნვებში შე-
ნარჩუნების ტენდენცია (VC_s—#) გ უ რ ა მ ი მ , ე თ ე რ ი მ , ო თ ა -
რ ი მ ტიპის სახელებში დასავლური დიალექტებიდან მომდინარეობს,
ხოლო თვით დასავლურ კილოებში მეგრულის გვლენით არის და-
მკვიდრებული.⁸

ხსენებული ტენდენცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასავლური
კილოების გარდა მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია აღმოსავლური
დიალექტებისთვისაც, სადაც მეგრულის გავლენა ნაკლებ მოსალოდნე-
ლა. მოვლენის ასე ფართოდ გავრცელება მოწმობს იმას, რომ იგი სა-
კუთრივ ქართულ ნიადაგზე უნდა იყოს წარმოქმნილი.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ვოკალიზაციისადმი მიდრეკი-
ლება, როგორც შ. აფრიდონიძე ვარაუდობს, შესაძლებელია იყოს
ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი **o** ხმოვნის განვითარებისათვის
ფუძეთანხმონიან ანთროპონიმთა მ ი მ ა რ თ ვ ი ს (წ ო დ ე ბ ი თ ი
ბ რ უ ნ ვ ი ს) ფორმებში: ომარი! ნოდარი!..., მაგრამ ამით ვერ აიხსნე-
ბა მისი არსებობა სხვა ბრუნვებში: ომარი-მ, ნოდარი-მ... (შდრ.
მოძღვარო! მაგრამ: მოძღვარ-მა, მოძღვარ-ს.. და არა — მოძღვარო-მ,
მოძღვარო-ს...)⁹

უკანასკნელ ხანებში სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა კი-
დევ ერთი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ბოლოთანხმონიან ან-
თროპონიმთა ფუძეთან სახელობითი ბრუნვის **o** ფორმანტის შეხორ-
ცვლების ტენდენცია უნდა აიხსნას მორფონემატურ საფუძველზე¹⁰.
ივარაუდება, რომ **o** სუფიქსის 'შეზრდა პირის სახელთა თანხმონით
დაბოლოებულ ფუძეებში მოხდა მიცემითი ბრუნვის ფორმაში ფუძის

⁷ თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე . თუშური კილო, ტექსტები, § 15.

⁸ მ. შ ა ნ ი ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 143.

⁹ შდრ. შ. ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 108.

¹⁰ თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე , ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი,
გვ.99-120.

ბოლოკიდური თანხმობისა და ხ ფორმანტის შეხვედრით წარმოქმნილი არაკანონიკური თანხმობანთკომპლექსის გათიშვის მიზნით.¹ ფ ა ტ მ ა ნ ი ს , გ უ რ ა მ ი ს , ე თ ე რ ი ს და მისთ. მიცემით ბრუნვაში კანონზომიერი მორფონოლოგიური ცვლილებების შედეგია ქართულში. მიცემითი ბრუნვის **o**- ხმოვნიაანი ფუძე შემდგომ განზოგადებულია სხვა ბრუნვებშიც, რის შედეგადაც გვაქვს: სახ. ფატმანი-0, გურამი-0..., მოთხ. ფატმანი-მ, გურამი-მ..., წოდ. ფატმანი-0!, გურამი-0!²

ამ თვალსაზრისსაც, ჩვენი აზრით, არსებითი ხასიათის დაბრკოლება ახლავს, სახელდობრ: თუ ანთროპონიმთა თანხმობით დაბოლოებულ ფუძეებში სახელობითის **o** სუფიქსის შეხორცება ფუძესთან მოხდა მიცემითი ბრუნვის ფორმაში სიტყვის ბოლოს წარმოქმნილი ფონემატურად შეუთავსებელი თანხმობანთკომპლექსების გათიშვის მიზნით და აქ ჩამოყალიბებული **o**- ხმოვნიაანი ფუძე შემდგომ გავრცელდა ბრუნების მთელ პარადგმაზე, რატომ არ ხდება იგივე პროცესი საზოგადო სახელებში? ე. ი. რატომ არაა დამახასიათებელი ქართულისათვის ფორმები: მოთხ. კაცი-მ, რძალი-მ... მიცემ. კაცი-ს, რძალი-ს და მისთ.³ (შდრ. რევაზი-მ, ოთარი-მ...). უფრო მეტიც, ბოლოთანხმობიან საზოგადო სახელებს არა თუ არ უხორცდება ფუძის ბოლოკიდურად **o** ხმოვანი, პირიქით — **o** იკვეცება ისეთ ფუძეებშიაც, ხადაც წარმოშობით იგი იყო.⁴ ქართული მეტყველებისათვის

¹ ავტორის დაკვირვებით, ფონემატური თვალსაზრისით ბრუნვის ნიშანი ხ ბუნებრივად ფუძისეული /ფ, ქ, ჯ/ ფუნქციური თანხმობების მომდევნოდ. თანხმობანთა ყველა სხვა კომპლექსში პაუზისწინ ბოლო კომპონენტად ხ არაბუნებრივია (დასახ. ნაშრ., გვ. 116).

² თ. უ თ რ გ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 116-117 და ა. შ.

³ მიცემითი ბრუნვის ფორმაში საზოგადო სახელთა აუსლაუტში წარმოიქმნება უფრო რთული — რამდენიმე (ზოგჯერ ხუთი) თანხმობისაგან შემდგარი კომპლექსები (შდრ. ორთქლს, ვერცხლს, კერცხს, მატყლს, სისხლს...), როცა ანთროპონიმებთან ჩვეულებრივია შედარებით მარტივი — ორი, იშვიათად სამი თანხმობისაგან წარმოქმნილი ჩვეულებები: ასმათს, ლევანს, ვახტანგს... (ზ. კუმბურიძის დაკვირვებით, პირის სახელთა ბოლოში, როგორც წესი, „შეიძლება იდგეს მხოლოდ ცალი ან წყვილი თანხმობანი“. ადამიანთა სახელების საერკომენდაციო სიის მიხედვით, ორადორი სახელია, რომელიც წყვილ თანხმობანზე ბოლოვდება: ვ ა ხ ტ ა ნ გ და უ შ ა ნ გ (დასახ. ნაშრ., გვ. 130).

⁴ ქვემოთჩამოთვლილ ვანს თქმაში გამოვლენილი ცალკეული შემთხვევები მიცემით ბრუნვაში **o** ხმოვნის შეზრდისა საზოგადო სახელის ფუძესთან (დოქაზა ბო ფ მ ი ს ... ქ ა ლ ი ს თხოულოფს... ვყიდულოფ ს ა ხ ლ ი ს..., კამს კ ი ტ რ ი ს..., ქ. ძო წ ე ნ ი ძ ე, ქვემოთჩამოთვლილი უხუთური მეტყველება, იხ. ზემო-

ბუნებრივია ფორმები: მიცემ. ტაქ-ს, ალიბ-ს..., გორკ-ს, ბუდიონ-ს, მაძინ-ს... დელში და მრავალი სხვა.

ხსენებული უცხოური სახელები წარმომავლობით • ფუძეხმოვნია-ანებია. მიცემითში უნდა გვექონდეს: ალიბი-ს, ტაქსი-ს, გორკი-ს, ბუდიონი-ს, დელიში და მისთ. სპეციალისტებს ამჯერად, პირიქით, უხდებათ ბრძოლა • ბოლოხმოვნიანი ფორმების სალიტერატურო ენაში დასამკვიდრებლად.⁵ თანხმოვანფუძიან ანთროპონიმებში • ხმოვნის ფუძესთან შეზრდის პროცესი წარმოქმნილი რომ იყოს მიცემითი ბრუნვის ფორმაში ფონემატურად შეუთავსებელი თანხმოვანთკომპლექსების გათიშვის საჭიროებით, მაშინ ამავე ფაქტორის გავლენით საზოგადო სახელთა ფუძის ბოლოკიდურად • ხმოვანი თუ არ დამკვიდრდებოდა, არ უნდა მოკვეცილიყო იმ ფუძეებში შინც, სადაც იგი უკვე გვექონდა.

მოვლენის ანალიზისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებასაც, რომ ქართულში სახელობითი ბრუნვის • ფორმანტი ცოცხალი, მოქმედი აფიქსია. იგი არ შეიძლება ვრცელდებოდეს სხვა ბრუნვებში ისევე, როგორც სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა ამსახველი არც სხვა აფიქსები: მოთხრობითი ბრუნვის -მა, მიცემითის -ხა. ქართულში დაუშვებელია ფორმები: ქალი-მ, კაც-მა-ს, ოთარ-მა-ს, ოთარ-მის და მისთ. ოთარი-მ, ოთარი-ს, ოთარი! ტიპის ფორმათა არსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმის გამო, რომ ხსენებულ ფორმებში სახელობითის • აფიქსი რეინტერპრეტირებულია სხვა — არაფლექსიურ ელემენტად (ამის შესახებ ქვემოთ).

იპერული კილოკავი, გვ. 286; კ. კუბლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 92). სპეციალურ ლიტერატურაში, სრულიად სამართლიანად, კვლადიკირებულია როგორც ქვემოიპერულის ვანური თქმისათვის დამახასიათებელი ზანიზში (კ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 234; კ. კუბლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 92). მისი განზოგადება არ შეიძლება თვით ქვემოიპერულზედაც კი, მით უფრო — საერთო ქართულზე.

ჩვენი აზრით, არც ის არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვექონდეს მეგრელის ქართულ მეტყველებაში დადასტურებულ ფაქტებთან. იგი შემოწმებას მოითხოვს.

⁵ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 2; ივ. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 77 და სხვა.

შენიშვნა: ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით დაზუსტებას მოითხოვს ზოგი კვალიფიკაცია, რომელსაც ვხვდებით იბერიულ-კავკასიურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამგვარ ფორმათა სხვა ბრუნვებში გავრცელებასთან დაკავშირებით – ასეთ შემთხვევაში ხომ არა გვაქვს საქმე დერივაციულ ელემენტთან და არა ორდინარულ ფლექსიურ აფიქსთან? (შეიძლება სხვაგვარი ახსნაც – უფრო მართებული ჩანს ბ. კიკვიძის თვალსაზრისი, იხ. ორფუძიანი ბრუნება ხუნძერში, იკვ. XII, 1960).

ამგვარად, ჩვენი აზრით, სახელობითი ბრუნვის **o** ნიშნის ფუძესთან შეზრდის ტენდენცია ბოლოთანხმოვნთან პირის სახელებში ვერ აიხსნება ვერც მიცემით ბრუნვაში წარმოქმნილი არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსების „დაძლივის“ მოთხონილებით. **ქართულში o** იგი მხოლოდ ანთროპონიმებისათვის არის დამახასიათებელი და მისი ახსნაც აქ უნდა ვეძებოთ.¹

¹ როგორც ცნობილია, ფუძეთანხმოვნთან სახელებში (როგორც საზოგადო, ისე საკუთარ) სახელობითი ბრუნვის **o** და **u** ფორმანტების ფუძესთან შეხორცების ტენდენცია დამახასიათებელია მეგრულ-ქანურისათვის. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულ მოვლენას ფონოლოგიურ (ან მორფოლოგიურ) საფუძველზე ხსნიან (ა რ ნ ჩ ი კ ბ ა ე ა, სვანურის მთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნვის ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში, თსუ შრომები, XVIII, 1941, გვ. 56; Г. А. Климов, *Сл. в картельских языках в сравнительно-историческом аспекте*, М., 1962, გვ. 113-114; ქ. დ ა ნ ე ლ ი ა, სახელობითი ბრუნვის **o** ნიშნის ფუძესთან შეზრდის საკითხისათვის მეგრულ-ქანურში, თსუ შრომები, ენათმეცნიერება, 1986, გვ. 84-113; თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 117-120 და სხვა).

სახელობითის ფორმის მიხედვით ბრუნვათა პარადიგმატული გასწორების პროცესი დამახასიათებელია სვანურისთვისაც, უმლატციან ფორმათა გავრცელება ბრუნების მთელ პარადიგმაზე არსებითად ამ ტენდენციის გამოვლენაა (შდრ. სახ. ჯან, „ხარი“, მოთხ. ჯანდ, მიცემ. ჯან-ს...; გვექ (**o** გოქ) „გოქი“, გვექ-დ. გვექ-ს...). ამასთან ერთად ძველი სვანური სიმღერების ტექსტში მრავლად დასტურდება ბოლოთანხმოვნთან სახელთა ფუძეებში **o** ხმოვნის შეზრდის მაგალითები: მიცემ. ჯ ა შ ი ს „ქმარს“, თ ა შ ი ს „ყველს“, ჯ ა ნ ი ს „ხარს“, პ ა პ ი ს „ნათლიას“... (ი ზ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ძველი სვანური სიმღერების ენისა და ცოცხალი მეტყველების შეპიროსპირებით ანალიზი, სადისურტ ნაშრ. ფილოლ. მეცნ. კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1968, გვ. 36-38).

ზანურისაგან განსხვავებით სვანურში სახელობითის ფორმის განზოგადება სხვა ბრუნვებში ხდება ბ ო ლ ო ხ მ ო ვ ე ნ ი ა ნ ს ა ხ ე ლ ე ბ თ ა ნ ა ე: სახ. „ზაგ“ „წელი“, შაგ „რა“, კაპრა „ნიკაბი“, ლულაი „მუხლი“... მიცემ. ზან-ს, ლაბამ. მან-სამან-ს, კაპრან-ს, ლულამ-ს... (ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, **o** ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა ბრუნება სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. IV, 1974, გვ. 1720. შდრ. გურულში დადასტურებული: მიცემ. ბ ა ლ ა ნ ა მ ს ყიღდა გოთაულები... მოწმობა უნდა მისეს ზ ი ნ ა მ ს... ამ ც ი ც ა მ ს მუღუვა ყოლიფერს... თ ხ ა ი ს გავდენი... ხ ე ი ს მეკიტან (პ. ჭ ა ჭ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ.,

ვეფქრობთ, აღნიშნული მოვლენა ქართულში მორფოლოგიურ საფუძველზე შეიძლება აიხსნას.

როგორც ცნობილია, ახალ ქართულში (არსებითად — ძველ ქართულშიაც) პირის სახელთა ბრუნების სისტემა საზოგადო სახელების ბრუნების სისტემისაგან წოდებითის მიხედვითაც არის განსხვავებული.² წოდებით ბრუნვაში საზოგადო სახელების გფორმება სათანადო აფიქსით — ო მორფემით დასრულებულია უკვე ძველ ქართულში, ანთროპონიმებთან კი იგი ფორმირების პროცესშია ამჟამადაც, ქართულ სალიტერატურო ენასა და რიგ დიალექტში (მათ შორის, ძირითადად, ქართლურსა და კახურშიც) ფუძეთანხმოვნინი ანთროპონიმები წოდებითი ბრუნვის ფორმებს აწარმოებენ ნულოვანი ალომორფით (ავთანდილ! რუსუდან! ტარიელ!...), ზოგ დიალექტში (იმერულში, ლეჩხუმურში, მთის კილოებში და სხვა) ნულთან ერთად — ო

გვ. 344; ტ. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე . დასახ. ნაშრ., გვ. 10, 38...), მთარაქული: ვ ა ე ა მ ს ქალსა სხვა ხემწიფე უგზავნის... ხ ე მ ს დაუშენდა თავსა... უთხრა ბ ე ბ ი ა მ ს ვუმა... მ ე ლ ი ა მ ს თავი მოეწონა (შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული ენის მთარაქული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენმკის მოამბე, II, 1937, გვ. 71-72). აბზინად „აბზინდა“, კალამ „მდინარე“ ტიპის სახელები სვანურში შესულია ქართულიდან. არაა გამორიცხული, რომ სვანურისათვის მ ამგვარ ფორმებში ფუძისეული ელემენტი იყოს და არა ისტორიული სახელობითი ბრუნვის ფორმანტი (შდრ. თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე , ბრუნებათა კვალიფიკაციისათვის სვანურში, იკვ. VII, 1965, გვ. 128 და სხვა). ამ მოვლენის ასახსნელად, ცხადია, არ გამოდგება ზემოთ წარმოდგენილი ვარაუდი. ამით მით უფრო ვერ აიხსნება სახელობითის უმლაუტიან ფორმათა სხვა ბრუნვებში განზოგადების პროცესი.

სახელობითის ფორმის ბრუნების მთელ პარადიგმაზე გავრცელების ტენდენცია ზანურსა და სვანურში განპირობებული რომც იყოს ერთი და იმავე ფაქტორით (ფონეტიკური პოზიციით), იგი არ გამოდგება იმის არგუმენტად, რომ ანალოგიური მოვლენა ვივარაუდოთ ქართულშიაც. როგორც ცნობილია, ზანურსა და სვანურს ახასიათებს მთელი რიგი საერთო ენობრივი მოვლენა, რითაც ისინი უპირისპირდებიან ქართულს (შდრ. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 113-120).

საკუთარი სახელები სახელობითსა და მოთბობით ბრუნვებში ბრუნვის ნიშნით გვხვდება უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში. შდრ. ძ ე ლ ა მ (იკითხება ბოლნისის სიონის აღმოსავლეთ კედელზე, იხ. ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 75), კ ა ხ ა მ (მოიხსენება ატენის წარწერაში, 853 წ.), კ ა ვ ა მ (გვხვდება X ს. ერთ-ერთ ხელნაწერში, ზ. ს ა რ ჭ ვ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 73-80), ე ვ ა მ , მ ა რ ი ა მ ი , ა ქ ა ი მ ა ნ (დასტურდება ხანმეტ ძეგლებში, თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 25) და სხვა.

ძველ ქართულში ხშირია ემფატიკური ა საკუთარ სახელთა მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში (ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 373-378; ზ. ს ა რ ჭ ვ ე ლ ა ძ ე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, 1973, გვ. 128 და სხვა).

ალომორფითაც (ამირანო! ბესარიონო! ლუხუმო! ოსმანო! სოლომო-
ნო!...).

ქართული ენის დიალექტებში ანთროპონიმებთან მიმართვა-დაძა-
ხების ფუნქციით გარდა **ო** აფიქსით გაფორმებული წოდებითისა
გამოიყენება სახელობითი ბრუნვის ფორმაც: აბრამი! ბაგრატი! ბეჟა-
ნი! ომარი! ჭუმბერი!...¹ სახელობითზე დამყარებულ წოდებითი ბრუნ-
ვის (მიმართვის) ფორმაში უნდა იყოს მომხდარი ის სემანტიკურ-მო-
რფოლოგიური ხასიათის ცვლილებები, რამაც განაპირობა „ასმათი-შ“
ტიპის ბრუნების პარადიგმის ჩამოყალიბება ქართულში: წოდ. ასმათ-
ი! > ასმათი-ი!, სახ. ასმათი-ი, მოთხ. ასმათი-შ, მიც. ასმათი-ს...²

ბოლოთანხმოვნიან ანთროპონიმებში **ი** აფიქსის ფუძესთან შე-
ზრდის პროცესი რომ წოდებითი ბრუნვის (მიმართვის) ფორმებში
უნდა იყოს დაწყებული და ენიანი ფუძეები აქედან უნდა იყოს შე-
მდგომ გავრცელებული ბრუნების მთელ პარადიგმაზე (და არა უშუა-
ლოდ სახელობითიდან), ამას სხვა არგუმენტებთან ერთად, მოწმობს
ისიც, რომ სახელობითის ფორმის მიხედვით ბრუნვათა პარადიგმატუ-
ლი გასწორების პროცესი ქართულში არ დასტურდება საზოგადო
სახელებთან; არა გვაქვს: სახ. კაცი-ი, მოთხ. კაცი-შ, მიც. კაცი-ს და
მისთ. უნდა გვქონოდა, თუ დავუშვებდით, რომ ასმათი-ი, ასმათი-შ,
ასმათი-ს... ტიპის ბრუნება ფუძეთანხმოვნიან ანთროპონიმებში
ჩამოყალიბდა სახელობითი ბრუნვის ფორმათა უშუალო განზოგადე-
ბის შედეგად და არა წოდებითის მეშვეობით.

თვალსაზრისს, რომ „ასმათიშ“ ტიპის ბრუნების პარადიგმაში
განზოგადებულა წოდებითი ბრუნვის ფორმა (დაფუძნებული სახე-
ლობითზე), მხარს უჭერს ანალოგიური პროცესის დადასტურება იმ
შემთხვევაშიაც, როდესაც ანთროპონიმთა მიმართვის ფორმები ნა-
წარმოებია წოდებითის სპეციფიკური **ო** აფიქსით. მხედველობაში
გვაქვს დავითო-ი, დავითო-შ, დავითო-ს... ტიპის ბრუნების პარადიგ-

¹ სახელობითი ბრუნვა მოლაპარაკის ცნობიერებაში გაიაზრება სახელის საწყის
ფორმად. მისი გამოყენება მიმართვა-დაძახების ფუნქციით ძახილის სათანადო
ინტონაციათან ერთად ბუნებრივია მთელი რიგი ენებისათვის, მათ შორის ზანურისა
და სვანურისთვისაც.

² ივ. გვიგინიშვილის აზრით, გურამი, ვახტანგი, ნესტანი, როდამი ტიპის
საკუთარ სახელებში **ი-ს** ფუძესთან შეზრდის პროცესი წოდებითშია დაწყებული და
აქედან ენიანი ფორმები შემდგომ არის გადასული მოთხრობითსა და მიცემით
ბრუნვებში (დასახ. ნაშრ., გვ. 80).

მის არსებობა ქართული ენის რიგ დიალექტში.

აშკარაა, რომ ო-ფუძეხმოვნთან ანთროპონიმთა ფორმები: ადამო (ადამო-მ), დავითო (დავითო-მ...) ეთერო-მ, ვახტანგო-მ, ზურაბო-მ და მისთ. წარმოშობით წოდებითი ბრუნვის (მიმართვის) ფორმებია განზოგადებული ბრუნების მთელ პარადიგმაზე მას შემდეგ, რაც წოდებითის ო ფორმანტი ფუძეს შეეზარდა ისევე როგორც სახელობითის ო აფიქსი (წოდებითის საფეხურის გავლით) გურგენიმ, ვახუშტიმ, ზურაბიმ, მურთაზიმ, ჭუმბერიმ ტიპის ფორმებში.³

ამასვე მოწმობს ფუძესთან შეხორცებული ო'ს (წარმოშობით წოდებითი ბრუნვის აფიქსის) არსებობა ანთროპონიმთა მოკლე ფორმებში (ავთო, დათო, ქეთო და მისთ.) და -ოკო კნინობით-მოფერებითი აფიქსით ნაწარმოებ პირის სახელებში⁴ (თამრიკო, თინიკო, რუსიკო...)⁵.

აღნიშნულ ვარაუდს ერთგვარად მხარს უჭერს ბერძნულ მამაკაცთა სახელების გადმოცემის წესი ქართულში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერძნებთან პირადი ურთიერთობის დროს ზეპირი გზით შემოსული ვოკატივის ფორმები ედება საფუძვლად ბერძნული წარმომავლობის მამაკაცთა პირის სახელების ერთ ჩვეულებრივ ქართულში: ალექსანდრე 'Αλεξανδρος (ნომინ.), Αλεξανδρέ (ვოკ.); პეტრე Πετρος (ნომინ.), Πετρε (ვოკ.); ლეონტი Λεόντιος (ნომინ.), Λεόντι (ვოკ.) და სხვ.⁶

ამგვარად, ასმათი-0, ასმათი-მ, ასმათი-ს... და დავითო-0, დავითო-მ, დავითო-ს... ტიპის ბრუნების ჩამოყალიბება ქართულში, ჩვენი აზრით, ერთი საერთო მოვლენის — წოდებითის ფორმათა სხვა ბრუნვებში განზოგადების ტენდენციის შედეგია. იგი უკავშირდება ფუძე-

³ საზოგადო სახელებს წოდებითი ბრუნვის საეციფიკური ფორმები აქვს: კაცო! მეგობარო! მასპინძლო! და მისთ. რატომ არ ვრცელდება ისინი სხვა ბრუნვებში? ამის შესახებ — ქვემოთ.

⁴ ამგვარი ფორმები ქართულში შედარებით ახალი წარმონაქმნია.

⁵ წარმოშობით წოდებითი ბრუნვის ნიშნად მიიჩნევა ო სიტყვებში: ძ ა ლ ო < *ძალო (ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 120). ბ ე ბ ო , ფ ი ს ო , ვ ა რ ა ლ ო , ლ ი ლ ე ო (ნ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე , — სუფიქსიანი სახელები ქართულში, ახლგაზრდა მეცნიერთა საბჭო, შრომები, IX, 1983, გვ. 151).

წოდებითი ბრუნვის ო სუფიქსი უნდა გვეჩვენოს ო და ო'ზე დაბოლოებულ სოკოს სახელებში: მიქლიო, ლვინიო, წიფლიო, ტრელო, კალო და სხვა (ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე , — — — — — დაბოლოებიანი სოკოს სახელები ქართულში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1982, გვ. 84-85.

⁶ ს. ყ უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 151-157.

თანხმოვნიან ანთროპონიმებში წილებითი ბრუნვის ფორმირების პროცესს, რომელიც ქართული ენის დიალექტებში ხორციელდება ორი გზით:

ა) საზოგადო სახელების მსგავსად ანთროპონიმთა თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებზე **თ** ფორმანტის დართვით: ავთანდილო! ბიქტორო! დემურალო! ილარიონო! ლუხუშო! მზევინარო! მეითო! სვიმონო!...

ბ) სახელობითი ბრუნვის ფომათა გამოყენებით: ბაგრატი! ზვიადი! თეიმურაზი! მალხაზი! ომარი! ჯემალი!...

შენიშვნა: ფუძეთანხმოვნიან ანთროპონიმთა ბრუნვის პარადიგმაში სახელობითის ფორმის გამოყენება წოდებითის ფუნქციით (მიმართვის ფორმად) ძველი ქართული ტრადიციის ერთგვარი გაგრძელებაა.

ძველ ქართულში პირის სახელებთან მიმართვისათვის გამოიყენებოდა წოდებითი ბრუნვის ფორმა (წარმოშობით სახელობითის ფორმა) ნაწარმოები ნულოვანი ალომორფით: ნუ გეშინინ, მ ა რ ი ა მ ! ლ. 1, 30; ნეტარ ხარ შენ, ს ი მ ო ნ ! მთ. 16, 17... ძველ ქართულში ასევე ჩვეულებრივია ანთროპონიმების გაუფორმებლობა სახელობით ბრუნვაში (შღრ. ხ ი ო - ს ე ბ... მართალ იყო, მთ. 1, 19 D; იყო მუნ მ ა რ ი ა მ მგადალენელი, მთ. 27, 61 D; მისდევდა მას ს ი მ ო ნ , შრ. 1, 36...). მას შემდეგ, რაც ანთროპონიმები სახელობით ბრუნვაში საბოლოოდ გაფორმდნ მორფოლოგიურად **თ** აფიქსით, **თ**-სუფიქსიანი სახელობითის ფორმა იქნა გამოყენებული მიმართვის ფორმადაც (წოდებითის ფუნქციითაც).¹ ამას,

¹ როგორც ცნობილია, ზანურსა და სვანურს წოდებითი ბრუნვა არა აქვს. სახელობითი ბრუნვის ფორმა გამოყენებულია მიმართვის ფორმადაც ისევე, როგორც წოდებითის არქონე თველ რიგ ინდო-ევროპულ ენებში. რუსულში, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, წოდებითი ბრუნვა შეავიწროვა სახელობითმა, რომელიც ადრე არაიშვიათად იხმარებოდა მიმართვისათვის (Т. Я. Ягерьных, Историческая грамматика русского языка, М., 1952, გვ. 148).

ზოგჯერ მიმართვა სახელობითი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული ძველი ქართული ენის ტექსტებში: ს უ ლ ი ე გ ე ა რ ა წ მ ი დ ა ე, განვედ კაცისა მაგისაგან, მრკ 5, 8 DE; შ, ნ ა თ ე ს ა ვ ი, უ რ წ მ უ ნ ო მ და გ უ ლ ა რ ძ ნ ი ლ ი, ვიდრემდის თქვენთანა ვიყო, მ. 17, 17 DE და მისთ. სპეციალისტების მიერ ამგვარი შემთხვევები კვალიფიცირებულია როგორც ძველი ვითარების — სახელობითისა და წოდებითი ბრუნვის გაუდიფერენციებლობის — გადმონაშთი (ს ტ. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, საკუთარ სახელთა ბრუნება ომკურო ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1, 1956, გვ. 87; ი ვ. ი მ შ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 79-81..., ა. კ ი ზ ი რ ი ა, მიმართვა

ტრადიციის გარდა, ხელს უწყობდა ისიც, რომ სახელის ხმოვნით დაბოლოება უკეთ ეგუება დაძაბვა-მიმართვის ინტონაციას: იოსები! მარიაში! სიმონი!... (შდრ. სახ. ბრუნვა: იოსები, მარიაში, სიმონი...)?

ამ პოზიციაში — მიმართვის ფორმებში — სახელობითისა და წოდებითი ბრუნვის **ი** და **ო** ფორმანტები რეინტერპრეტირებულ იქნა მოფერებით-ალერსობით აფიქსებად სხვა, კნინობით-მოფერებითობის სპეციფიკური აფიქსებით (-ა, -იკა, -იკო, -ელა, -ინა, -უნა, -იტა და მისთ.) ნაწარმოებ ფორმათა გავლენით. ანთროპონიმთა ამ გზით წარმოქმნილი **ი** და **ო** ბოლოხმოვნანი ფუძეები, ანალოგიურად სხვა სადერევაციო სუფიქსებით ნაწარმოები ფუძეებისა, ვრცელდება სხვა ბრუნვებშიაც.³ წოდ. დავით-ი! > დავითი-ი!, დავით-ო! > დავითო-ი! აქედან: სახ. დავითი-ი, დავითო-ი, მოთხ. დავითი-მ, დავითო-მ, მიც. დავითი-ს, დავითო-ს (შდრ. დავითა, დავითამ, დავითას... გოგიტა, გოგიტამ, გოგიტას... და მით).⁴ დავითი, ზურაბი, თამარი... დავითო,

ძველ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. III, 1963, გვ. 24 და სხვა). აღნიშნული მოვლენა სათარგმნი ტექსტის გავლენითაც რომ იყოს წარმოქმნილი, უცხო ენის გრამატიკულ კალკსაც რომ წარმოადგენს, მისი დადასტურება ძველი ქართული ენის ძეგლებში იმის მაჩვენებელია, რომ სახელობითი ბრუნვის ფორმათა გამოყენება წოდებითის ფუნქციით უჩვეულო არ უნდა ყოფილიყო ქართულისათვისაც.

ქართული ენის დიალექტებში ზოგჯერ მიმართვის ფორმად სახელობითი ბრუნვა არის გამოყენებული საზოგადო სახელბთანაც: ჩემი ბიკოლე, გოჯერე კუკურისა ბლუზა (ახალი ქუთაისი); ჩემი ბიძიე, დამალევი ერთი მაი წყალიო (ს. უღენტი, დასხ. ნაშრ., გვ. 110); დემთხუე, ჩემი დედაი (პ. ჭაჭანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 344); ჩემი დაიე, ფუხართან მიმიჩუე აი ლოგინი („ქართული დიალექტოლოგია“, თბ., 1961, გვ. 419) და სხვა. ჩემი ბიძიე, ჩემი დედაი და მისთ. მიღებულია ჩემი ბიძიე თუ ხარ და ა. შ. წინადადების შეკვეცით, ამდენად მათთვის მეორეულია მიმართვის გამოხატვა (ო. კახაძე, აზრე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემოთერულში, იკვ, V, 1953, გვ. 187-188; პ. ჭაჭანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 343; ტ. ფუტყარაძე, სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1986, გვ. 62).

³ საზოგადო სახელთა წოდებით ბრუნვის ფორმებში **ო** არ აღიქმება მოფერებით-ალერსობით აფიქსად იმიტომ, რომ მათ, ჩვეულებრივ არ ეწარმოებათ ამგვარი ფორმები.

⁴ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კნინობით-მოფერებით ფორმათა წარმოება ანთროპონიმების ერთ-ერთი არსებითი მორფოლოგიური თავისებურებაა. სასაუბრო ენაში, ხალხურ მეტყველებაში ანთროპონიმები, ჩვეულებრივ, წარმოდგენილი არიან რომელიმე საალერსო ფორმით, რაც განპირობებულია მათი ძირითადი ფუნქციით —

ზურაბო, თამარო... კნინობით-მოფერებითი ფორმებია ისევე, როგორც: ღავითა, ზურაბა, თამარა... დათიკო, ზურიკო, თამარიკო... ქართული ენის დიალექტებში ისინი ერთმანეთის პარალელურად იხმარებიან¹ (შდრ. ერთიდაიმავე პირის მეტყველებაში დადასტურებული ფორმები: ა ბ რ ა მ ი, ა ბ რ ა მ ო, — ერთი დაიძახა ხელმწიფემ²... ს ვ ი მ ო ნ ო, გაგიმარჯოს... ს ვ ი მ ო ნ ი, არდეგევიწყებოს შენი სიდელი³...)⁴.

ამგვარად, წარმოშობით ფლექსიური ფორმანტები — სახელობითისა და წოდებითი ბრუნვის **ო** და **ო** ნიშნები კნინობით-მოფერებითობის სპეციფიკურ აფიქსთა სისტემის გავლენით ყალიბდებიან დერივაციულ ელემენტებად — მოფერებით-ალერსობით სუფიქსებად. ამგვარი რეინტერპრეტაციის შედეგად კნინობით-მოფერებით აფიქსთა ისედაც რთული და მრავალფეროვანი სისტემა ქართულში განივრცობა ამავე ფუნქციის (მეორეული წარმოშობის) კიდევ ორი ერთეულით — **ო** და **ო** აფიქსებით. სანიშნულად რომ განვიხილოთ, ანთროპონიმ დ ა ვ ი თ ი ს კნინობით-მოფერებით ფორმებს: -ღაწითა, დავითელა; დათა, დათაა, დათაქა, დათაქაა, დათაქელა, დათაქო, დათო, დათინა, დათუნა, დათუნა... ემატება მოფერებით-ალერსობითის სხვა

მიმართვა-დაძახების დანიშნულებით.

მიმართვა-დაძახების პროცესში წარმოიქმნება და მოდელირებას განიცდის არსებული კნინობით-მოფერებითი აფიქსები (შდრ. თამარიკო! > თამარი! თინიკო! > თინი! ქეთინო! > ქეთი!...), ალერსობითობის სემანტიკის გასაძლიერებლად ყალიბდება რთული, რამდენიმე დამოუკიდებელი ელემენტისაგან შემდგარი აფიქსები: **ოკ-ელა**, **უნ-აქა** და **სხვა** (შდრ. მარ-იკ-ა / მარ-იკ-ელ-ა, სოს-იკ-ა / სოს-იკ-ელ-ა, შოთ-უნ-იკ-ა და სხვა).

ამ თვალსაზრისით მეტად საუკუნისხმა ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში დადასტურებული ვითარება: ანთროპონიმები სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილი არიან ნულოვანი ალომორფით, როცა მთქმელს სურს გამოხატოს თავისი პატივისცემა, მორიდება იმ პიროვნების მიმართ, რომელსაც ასახელებს: ს ი მ ო ნ ქუა ზემ მას... ქე ვიცილი, რო ლ ე ვ ა ნ იყო... სახელობითის ნიშნით ნაწარმოები ანთროპონიმები კნინობით ფორმად აღიქმებიან (ტ. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 48). შდრ. კნინობით-მოფერებითობითს ა ს ასევე — სახელობითის ეს ხმარების ანალოგიური შემთხვევები კახეთში შედგენილ მე-17 საუკუნის ერთ-ერთ ისტორიულ-დოკუმენტში (იხ. გვ. 104, შწ. 15).

¹ ა ლ . ლ ო ნ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

² ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 180.

⁴ ანთროპონიმთა საალერსო მიმართვის ფორმებში: ბაბუცო, გიგუცო, გული, დათუნე, ელგუქი, თამრი, თინე, ლამრი, ლეილი, პაატე, ფირუზი, ქეთი, ჟოჯოლი და მისთ. **ო** ხმოვანი მოფერებით-ალერსობითობის სხვადასხვა ფორმანტის (ი-კო, -ია, -ინ...) ნაშთია.

ფორმები: დავითო, დავითა.⁵

ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მიმართვის ფორმებში გამოვლენილი **ო** და **ო** ფორმანტები წარმოშობით მოფერებით-ალურ-სეობითი აფიქსებია, რომელთაც შექმნილი აქვთ მიმართვის სემანტა?

სპეციალურ ლიტერატურაში⁶ ამგვარი ვარაუდი გამოთქმულია **ო** ფორმანტთან დაკავშირებით.⁷ აღნიშნული მოსაზრება ეყარება შემდეგ არგუმენტს: აჭარულში ანთროპონიმები, რომელთა მიმართვის ფორმები ნაწარმოებია **ო** სუფიქსით: ბ ი ლ ა ლ ო , დ ე მ უ რ ა ლ ო , ზ უ ლ ქ ი ფ ლ ო , ლ ე ვ ა ნ ო , მ ი რ ი ბ ა ნ ო , ო ს მ ა ნ ო და მისთ., სხვა ბრუნვებში არ დასტურდება თანხმოვანი დაბოლოებით (აუტორის დაკვირვებით, აჭარული მეტყველებისათვის ბოლოთანხმოვნინანი საკუთარი სახელი არაა ბუნებრივი), ყველა ეს სახელი ხმოვანფუძინია: ლ ე ვ ა ნ ა , დ ე მ უ რ ა ლ ა , ო ს მ ა ნ ა... მათი წოდებითი ბრუნვის ფორმებია: ლ ე ვ ა ნ ა ვ , დ ე მ უ რ ა ლ ა ვ , ო ს -

⁵ ფუძეთანხმოვნიან ანთროპონიმთა მიმართვის ფორმებში წოდებითი ბრუნვის **ო** ფორმანტის რეინტერპრეტაციის შედეგად წარმოქმნილი მოფერებითობის **ო** ყალიბდება როგორც დამოუკიდებელი დერივაციული აფიქსი და წრცლდება ზოგ ხმოვანფუძიან ანთროპონიმებში (შდრ. კეკელა / კეკლა, ნათელა, სარო, შიო, ეაკო, მერო, ლალო...) და იმ საზოგადო სახელთა ფორმებში, რომლებიც საკუთარი სახელების ნაცვლად იხმარებიან: დედო, (აჭარ.) / დედუ < *დედო (იმერ.) „დედა“; ბაბო (აჭარ.) „მამა“ შდრ. ბაბა, დიდედო, დიდიო, მამიდა (ჭავჭ.), ბიბო (თუშ)...

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ სახელებში ბოლოკიდური **ა**, ისევე როგორც **ე**, გაგებულია კინობით-მოფერებით აფიქსად და ნათელა / ნათელო, დიდელა / დიდედო, მერო / მერო ტიპის ფორმების სახით საქმე გვაქვს ერთი და იმავე ფუნქციის **ა**, **ე**, **ო** აფიქსთა მონაცვლეობასთან.

სავარაუდოა ისიც, რომ „ნათელო“, „დიდედო“ ტიპის სახელებში **ო** დერითვის მიმართვის ფორმებში მახვილის გავლენით ხმოვანმოკვეცილ ფუძეებს: წოდ. ნათელო-ო! > ნათელო-ო! დიდედო-ო! > დიდედო-ო!...

არც ის არის გმორიხებული, რომ ანთროპონიმთა **ე**-ბოლობოვნიან ფორმებში: ააკო, ლალი, მერი... **ე** აღქმული იყოს სახელობითის ნიშნად და ხმოვანმოკვეცილ ფუძებს ერთოდეს **ო** (შდრ. გიორგა, მერა...). ერთი სიტყვით, აღნიშნულ გამოწაკისებს ახსნა შეიძლება მოეძებნოს.

⁶ ტ. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 46-47; კ. დ ა ნ ე ლ ი ა , რეცენზია ტ. ფუტკარაძის სადისერტაციო ნაშრომის „სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში“ (ხელნაწერი), 1986 წ.

⁷ ასეთ შემთხვევაში ლოგიკური იქნებოდა საკითხი ამგვარადვე დასმულიყო **ე** ფორმანტთან დაკავშირებითაც. ქართული ენის დიალექტებში „დავითო“ და „დავითი“ ტიპის წარმოება სრულ მსგავსებას ავლენს. მათ ერთნაირი კვალდიცაა უნდა მიეცეს.

მ ა ნ ა ვ... ასევე, ხმოვანფუძიანია ანთროპონიმი კ ე კ ე ლ ა , რომლის მიმართვის ფორმად კ ე კ ლ ო დასტურდება ჯავახურში. წოდებითი ბრუნვის -**ლ** ფორმანტი, რომელიც წარმოშობით შორისდებულია, ფუძისეული ხმოვნის რედუქციას ვერ იწვევს. „კეკელო“, „ლევანო“, ტიპის ფორმებში გამოვლენილი **ლ** მოფერებით-ალერსობითობის გამომხატველი უნდა იყოს.¹ მას შეთვისებული აქვს მიმართვის ფუნქცია.²

ქართული ენის დიალექტებში, მათ შორის აჭარულშიც, ანთროპონიმები, რომელთა მიმართვის ფორმები ნაწარმოებია **ლ** სუფიქსით, სხვა ბრუნვებში არცთუ იშვიათად წარმოდგენილი არიან ფუძეთან-ხმოვნიანი ვარიანტის სახითაც.³ ამგვარი ნიმუშები ზემოთ გვქონდა დასახელებული: ბიქტორო! შდრ. ბიქტორს, მარიამო! შდრ. მარამი (იმერ.), აღმასხანო! შდრ. აღმასხანმა (გურ.), სოლომონო! შდრ. სოლომონს, ბეჟანო! შდრ. ბეჟანს (რაჭ.), ანთანდილო! შდრ. ანთანდილმა (მესხ.), ლუხუმი! შდრ. ლუხუმი (ხევს.), მეთო! შდრ. მეთი (თუშ.) და სხვა.⁴ მათი რიცხვის გაზრდა ბევრად შეიძლება. ამდენად, „ლევანო“ ტიპის მიმართვის ფორმები ლევანი, ლევანს... ტიპის პარადიგმის წევრები არან. **ლ** აფიქსი დაერთვის ანთროპონიმთა ფუძეთანხმოვნიან ვარიანტებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ენის დიალექტებში, ასევე სასაუბრო ენაში მეტად გავრცელებული ფონეტიკური პროცესია მიმართვის ფორმებში ფუძის დაბოლოების მოკვეცა როგორც ანთროპონიმებთან, ისე საზოგადო სახელებში: ალექს! გიორგ! ნათელ! მარგალიტ! იოკიმ! იამზ! სალომ! (შდრ. თხისტვინ! ნაცარქექი! და სხვა). ფუძეხმოვნიან ანთროპონიმთა: კეკელა, ნათელა, ლამარა... მიმართვის ფორმები: კეკელო! ნათელო! ლამარო!... წარმოქმნილი უნდა იყოს ამგვარ, უკვე ხმოვანმოკვეცილ ვარიანტზე **ლ** ფორმანტის დართვით: წოდ. კეკელო-ო! > კეკელო-

¹ ამავე არგუმენტით ქართული ენის დიალექტებში დადასტურებულ ფორმებში: დ ე მ შ რ ა ლ ი მ , ლ ე ვ ა ნ ი მ , ნ ო დ ა რ ი მ ... გამოვლენილი **ლ** ასევე უნდა მოგვჩინა წარმოშობით მოფერებით-ალერსობითობის გამომხატველ ფორმანტად. ვერც სახელობითის **ლ** იწვევს ფუძის რედუქციას (შდრ. დემურალა, ლევანა, ნოდარა...).

² ტ. ფ. ფ. ტ. კ. ა. რ. ა. ძ. ე. დასახ. ნაშრ., გვ. 46-47.

³ შეუდევლობაში გვაქვს ნაბეჭდ დიალექტოლოგიურ ტექსტებსა და ნაშრომებში დადასტურებული მასალა.

⁴ სათანადო ილუსტრაციები წარმოდგენილია ზემოთ.

01⁵... (ამგვარად შეიძლება აიხსნას ლევანო, ოსმანო, უშანგო ტიპის ფორმებიც იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებდით, რომ ამ რიგის სახელები სხვა ბრუნვებში ა- ხმოვანფუძიანია).⁶

ქართული ენის იმ დიალექტებში, რომლებიც პირის სახელთა მიმართვის ფორმებს აწარმოებენ ო აფიქსით, დავითო, დავითომ, დავითოს... ტიპის ბრუნება ფუძეთანხმოვნიან ანთროპონიმთა მხოლოდ მკირე ნაწილს მოიცავს (ასეთებია: ადამო, ბასილო, ვასილო, ევგენო, ეთერო, ვახტანგო, ზურაბო, ლავრენტო, რევაზო...). უმრავლესობა ილარიონი, ილარიონმა, ილარიონს... ილარიონ! / ილარიონო! ტიპის ბრუნებას მისდევს. ო რომ წარმოშობით დერევაციული აფიქსი იყოს მოფერებით-ალერსობითი ფუნქციისა, მისი ხმარება უმეტეს წილად არ უნდა იფარგლებოდეს მხოლოდ მიმართვის ფორმებით. ო ფორმანტი ყველა შემთხვევაში ფუძესთან უნდა იყოს შეხორცებული და გავრცელებული ბრუნების მთელ პარადიგმაზე ისევე, როგორც გვაქვს ეს სხვა დერევაციული აფიქსებით სახელთა წარმოებისას. ამასთანავე მას უნდა ვადასტურებდეთ ე ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ანთროპონიმებთანაც: კირილე, პავლე, პეტრე, სალომე და მისთ. (შდრ. *პავლე-ა > პავლია...).

ანთროპონიმებში ისტორიულად ფორმათა უნიფიკაციის პროცესში საზოგადო სახელეების ანალოგიით ჩამოყალიბდა სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვები. ბუნებრივი იქნებოდა, ასევე წარმოქმნილიყო წოდებითი ბრუნვაც – საზოგადო სახელთა ფორმებიდან წოდებითის ო აფიქსი გავრცელებულიყო პირის სახელებშიც.

ქართული ენის დიალექტებში ფუძეთანხმოვნიან ანთროპონიმთა მიმართვის ფორმებში დადასტურებული ო: ავთანდილო! გალაქტიო-

⁵ შესაძლებელია აღნიშნულ ფორმათა სხვაგვარი ახსნაც. ამის შესახებ იხ. ზემოთ.

⁶ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელის ფუძის რედუქციას ვერ იწვევს მხოლოდ ხმოვანი აფიქსი, სულერთია, იქნება ის ფლექსიური თუ დერევაციული ფორმანტი (შდრ. *სესეა > სესია, თამარა, მაგრამ – თამ[ა]რიკი...).

ზ ა ქ რ ო , თ ა მ რ ო , ლ ა ზ რ ო (შდრ. ლაზარე), ლ ა მ რ ო... ტიპის ანთროპონიმთა მიმართვის ფორმებში ფუძის რედუქცია (შეკუმშვა) რომ არაა გამოწვეული ო ფორმანტის დართვით, ამას ადასტურებს მათი ურედუქციო ფორმები: ზაქარო / ზაქრო, თამარო / თამრო, ლამარო / ლამრო... ამ ფორმებშიც ხმოვნის რედუქცია მახვილს უკავშირდება (შდრ. გ. ბ ე რ ი ძ ე , დამხ. ნაზრ., გვ. 66).

ნო! დანიელო! მარიამო! მიხეილო!... ამ გზით წარმოქმნილი, წარმოშობით წოდებითი ბრუნვის ფორმანტია (ფუძემოვნიან ანთროპონიმებში ამ ფუნქციით წოდებითის ოსაგან მომდინარე გვაქვს: გიგლაგ, დათიკაგ, მარიამაგ, თევდორეგ, ივანეგ, გიორგიგ...).

ა აფიქსს შემდეგ აქვს შეთვისებული ალერსობით-მოფერებითი სემანტიკა. მით უფრო არა გვაქვს საფუძველი დავითიმ, ლევანიმ, ნოდარიმ ტიპის ფორმებში ფუძეს შეზრდილი მივიჩნიოთ წარმომავლობით ალერსობით-მოფერებითი ფუნქციის აფიქსად.

ფუძეთანხმოვნის ანთროპონიმთა მიმართვის ფორმებში სახელობითი და წოდებითი ბრუნვის და ა აფიქსების მოფერებით-ალერსობით ფორმანტად რეინტერპრეტაციის პროცესი ქართულში შედარებით ახალია. იგი არაა ერთნაირად დამახასიათებელი ქართული ენის დიალექტებისათვის; არათანაბრად ვითარდება დიალექტების შიგნითაც. და ა ფორმანტები ალერსობით-მოფერებითობის ფუნქციით დამკვიდრებულია ფუძეთანხმოვნის პირის სახელთა მხოლოდ გარკვეულ ნაწილთან, შედარებით ხშირი ხმარების, უფრო გავრცელებულ ანთროპონიმებთან (მხედველობაში გვაქვს „დავითიმ“, „დავითომ“ ტიპის სახელები), დიდი ნაწილი კი — რუსუდანი, რუსუდანმა, რუსუდანს... რუსუდან“ / რუსუდანო“ ტიპის ბრუნებას მიჰყვება.

მერყეობა და ა მორფემების ხმარებაში — იქნენ ისინი გაგებული ბრუნვის ფორმანტად, თუ მოფერებით-ალერსობით აფიქსად. ამიტომ, რომ დიალექტებში ვხვდებით ერთიდაიმავე ფუძის ანთროპონიმთა ხმოვანშეხორცებულ და ხმოვანშეუხორცებულ ვარიანტებს. გვაქვს, ერთი მხრივ, დავით-ი, დავით-მა, დავით-ს... დავით! / დავითი!, მეორე მხრივ, დავითი-ი, დავითი-მ, დავითი-ს... დავითი-ი!; დავითო-ი, დავითო-მ, დავითო-ს... დავითო-ი!

ბოლოთანხმოვნის ანთროპონიმებში სახელობითის და ფორმანტის ფუძესთან შეზრდის ტენდენცია წოდებითის ა ფორმანტის ანალოგიურ ტენდენციასთან შედარებით ძველი მოვლენა ჩანს. ყოველ შემთხვევაში, სამწერლო ენაში გამოვლენის თვალსაზრსით. ქართულს იგი ისტორიულად ახასიათებს. უცხო წარმომავლობის სახელებში და მორფემის ფუძესთან შეზრდის ნიმუშები გვხვდება საერო მწერლობის ადრინდელ ძეგლებში — „ვისრამიანში“, „შაჰნამეში“, „რუსუდანიანში“ და სხვა (შდრ. მიცემ.: ვისრამ-ს, ზარდ-ს, ვისრამ.; ტუს-ს, შაჰნ., გვარჯას-ს, რუსუდ...).

აღნიშნული მოვლენის სიძველეზე მიუთითებს სახელობითის და

აფიქსის ფუძესთან შეზრდის ფაქტის დადასტურება, სხვა ნიმუშებთან ერთად, სამმარცვლიანი ფუძის მქონე ანთროპონიმში, რაც ასევე მნიშვნელოვანია, აღმოსავლეთ საქართველოში შედგენილ XVIII ს. ისტორიულ დოკუმენტებში: ზაალიშვილმა ავთანდილიძე... (სიძვ. 11, 182).

უფრო მეტიც: ბერძნული წარმომავლობის მამაკაცთა სახელებში ფუძის ბოლოკიდური *ი* ხმოვნის შენარჩუნების ფაქტი ძველ ქართულში, ჩვენი აზრით, აღნიშნული ტენდენციის მოქმედებით შეიძლება აიხსნას. ანთროპონიმთა ფორმებში: მამამან ათანასი (იოვ. ეფთვ., 174, 4), დიდსა ათანასის (იოვ. ეფთვ., 88, 6), შემოსილმან ანტონი (აღაპ., 289, 28), დიდსა ანტონის (სერაპ., 150, 1, ქვ.), ანასტასის ხუცესსა (ლიმონ., 25, 2), წმიდამან არსენი (მ. ცხ., 158, 2), ნეტარსა არსენის (იოვ. ეფთვ., 118, 17), მამამან კლემაქსი (პატერ., II, 287, 23), მისცა ბასილის (აღაპ., 289, 23), პატრეაქსა გრიგოლის (ლიმონ., 76, 12), მღვდელმოდლუარო გრიგოლი (სასულ. პოეზ., 132, 121), ნეტარმან ევაგარი (ასურ. მამ., 108, 8 ბ), აქუნდა ბრძანებამთორნიკის (იოვ. ეფთვ., 16, 14 A) კათალიკოზსა მაკარის (ასურ., 112, 15) და სხვ.¹ ფუძის ბოლოკიდური *ი* ხმოვანი აღიქმება მორფოლოგიურ ელემენტად, ანთროპონიმთა მაწარმოებელ ფორმანტად.² სხვაგვარად ქართულში არ გვექნებოდა აღნიშნულ ანთროპონიმთა *ი*-ფუძეხმოვნიანი ფორმები ისევე, როგორც არა გვაქვს *ი* ხმოვნით ფუძედაბოლოებული უცხო წარმოშობის (ასევე ქართული) საზოგადო სახელები (ქართულში დაუშვებელია ფორმები: მონასტერიმან, ოლარიმან, პარასკევიმან³ და მისთ.).⁴

¹ აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში გვხვდება აღნიშნულ ანთროპონიმთა ფუძეთანხმოვნიანი ვარიანტებიც (პარალელური ფორმები — *ი* ხმოვანფუძიანი და უხმოვანო ზოგჯერ დასტურდება ერთსადაიმავე ძეგლებში). მაგალითები: ბასილსა შეუნდვენ ღმერთმან (მოქც., 152), ნეტარსა გრიგოლს (ხანძთ., 34, 6), აქუნდა ბრძანებამ... მთორნიკს (იოვ. ეფთვ., 16, 14), თქუა მამამან კლემაქს (პატერ., II, 287, 8) და სხვა. ასეთ შემთხვევებში ფუძის ბოლოკიდური *ი* საზოგადო სახელების მსგავსად აღქმულია სახელობითი ბრუნვის ნიშნად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანის საკუთარ სახელთა კნინობით მოფერებით ფრმებს: გუდა. კრავა. კუბრა, სულა, ძნელა და სხვ. ადასტურებენ უძველეს (V-XI სს.) ქართულ წერილობით წყაროებში.

³ ბერძნული წარმომავლობის ეს სახელები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, *ი*-ფუძეხმოვნიანებია, შდრ. παραθεσυρ „პარასკევი“ (ი-ის) და სხვა.

⁴ ზემოთ ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ქართული ენის დიალექტებში სხვაობა

ბერძნული წარმომავლობის ანთროპონიმთა: დიდსა ათანასი-სის, ნეტარსა ბასილის, პატრეაქსა გრიგოლის, წმიდასა თორნიკის და სხვა მსგავს ფორმათა არსებობა ძველ ქართულში გასაგები ხდება ავთანდილიმ, დურმიშხანიმ, თეიმურაზიმ, დავითიმ და მისთ. ფორმათა ფონზე. ხსენებულ ანთროპონიმთა ფუძეებში ბოლოკიდური **ე** ხმოვნის არსებობა ერთიანივე მოვლენის გამოხატულება ჩანს. **ე** გაიაზრება ანთროპონიმთა მაწარმოებელ აფიქსად.

შეიძლება დავასკვნათ: თანამედროვე ქართულში – სამწერლო ენაში, სასაუბრო მეტყველებაში, ქართული ენის მთელ რიგ დიალექტში ფუძეთანხმოვნისანი პირს სახელები იჩენენ ტენდენციას **ე** ხმოვანი, რომელიც წარმოშობით სახელობითი ბრუნვის ფორმანტია, ფუძეს შეუხორცდეს, რის შედეგადაც ყალიბდება **ე**- ხმოვან-ფუძიან ანთროპონიმთა ბრუნება: სახ. დავითი-**ე**, ლევანი-**ე**, მოთხ. დავითი-**მ**, ლევანი-**მ**, მიც. დავითი-**ს**, ლევანი-**ს**, წოდ. დავითი-**ე**! ლევანი-**ე**! ტაბისა.

ქართული ენის იმ დიალექტებში, რომლებშიც ფუძეთანხმოვნიან ანთროპონიმთა წოდებითი ბრუნვის ფორმა **ა** მორფემით იწარმოება, წარმოიქმნება **ა**- ფუძეხმოვნიან პირის სახელთა ბრუნება: სახ. დავითო-**ე**, ზურაბო-**ე**, მოთხ. დავითო-**მ**, ზურაბო-**მ**, მიც. დავითო-**ს**, ზურაბო-**ს**, წოდ. დავითო-**ე**! ზურაბო-**ე**! ტაბისა.

„დავითი-**მ**“, „დავითო-**მ**“ ტიპის ბრუნების ჩამოყალიბება ქართულში ერთიანივე ტენდენციის გამოვლენაა. იგი უკავშირდება ფუძეთანხმოვნიან ანთროპონიმებში წოდებითი ბრუნვის ფორმირების პროცესს.

ქართული ენის დიალექტებში წოდებითი ბრუნვის ჩამოყალიბება ფუძეთანხმოვნიან ანთროპონიმებში ხორციელდება ორი გზით:

ა) წოდებითი ბრუნვის **ა** სუფიქსის დართვით: აბრამო! ბესარიონო! დარეჯანო! ეთერო! რუსუდანო!...

ბ) სახელობითი ბრუნვის ფორმის გამოყენებით: ასმათი! ბაგრა-

ანთროპონიმებსა და საზოგადო სახელებს შორის არა გვაქვს ბრუნების სისტემის, მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოებისა და რედუქციის მიხედვით. აღნიშნული ტენდენცია რომ არა, ვფიქრობთ, მათ შორის არც ამ შემთხვევაში გვექნებოდა განსხვავება. სხვა ტიპის საკუთარი სახელები, ასევე გვარები, როგორც ცნობილია, საზოგადო სახელების მსგავსად ფუძის ბოლოკიდურ **ე** ხმოვანს იკვეცენ მისი სახელობითის ნიშნად აღქმის გამო.

ტი! ზვიადი! თენგიზი! უშანგი!...

ანთროპონიმთა მ ი მ ა რ თ ვ ი ს ფ ო რ მ ე ბ შ ი ფუძის ბოლო-
კიდური **ი** და **ო** ხმოვნები, წარმოშობით სახელობითისა და წოდები-
თი ბრუნვის ფორმანტები, აღიქმება მოფერებით-ალერსობით აფიქსე-
ბად სხვა, სპეციფიკური კნინობით-მოფერებითი აფიქსებით (-ა, -იკ,
-იკო, -ელა, -ინა, -უნა, -იტა...) ნაწარმოებ ფორმათა გავლენით.

ამგვარი რეინტერპრეტაციის შედეგად წოდებით ბრუნვაში ფუ-
ძეს შეხორცებული **ი** და **ო** აფიქსიანი ფორმები შემდეგ არის გა-
ვრცელებული ბრუნების მთელ პარადიგმაზე: წოდ. დავით-ი! > დავი-
თი-ი!, დავით-ო! > დავითო-ი! აქედან: სახ. დავითი-ი, დავითო-ი,
მოთხ. დავითი-მ, დავითო-მ, მიც. დავითი-ს, დავითო-ს...

სახელობითი ბრუნვის **ი** ფორმანტის ფუძესთან შეზრდის ტენ-
დენცია ქართულს ისტორიულად ახასიათებს. ბერძნული წარმომავ-
ლობის მამაკაცთა სახელებში ფუძის ბოლოკიდური **ი** ხმოვნის შენარ-
ჩუნების ფაქტი ძველ ქართულში (მიცემ. გრიგოლი-ს, ბაისილი-ს, ან-
ტონი-ს...) ამ ტენდენციის მოქმედებით უნდა აიხსნას.

ემფატიკური ო ქართულში*

საშუალო ქართულის (XII-XVIII სს.) საერო ლიტერატურისა და ისტორიულ ძეგლებში, როგორც ცნობილია, ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში წარმოდგენილია -სა ფორმანტი, მოქმედებითში - -თა. მსაზღვრელი სახელის -სა აფიქსიანი ფორმები ამ ეპოქის ტექსტებში დასტურდება როგორც საზღვრულის მომდევნო, ისე მის წინა პოზიციაში. ასევე - -თა აფიქსით წარმოქმნილი მოქმედებითი ბრუნვის ფორმები ფიქსირებულია მასთან სინტაქსურად დაკავშირებული ზმნის ან სახელის როგორც წინ, ისე მომდევნოდ.

ნიმუშები:¹

ნათეს. ბრ.: დილასა ჩამოიხუნეს ო ქ ს ი ნ ო ს ა კარავნი, ამირ.-დარ. 554, 9; ს ა წ უ თ რ ო ს ა სიხარბე... ყოველსა ადამიანსა სჭირს, ვისრ. 216, 9; ო ქ რ ო ს ა ლახტი მოართვეს ფრიდონის განაგზავნია, შაჰ.-ნ. 214; ჯდა ს ა ს ნ ე უ ლ ო ს ა ტანსაცმლითა, რუსულ. 142, 31; ჩვენ ყოვლისა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა პატრიარქი ასრე ვამტყიყებთ, საქ. სიძვ. 1, 91; უბრძანა... შეკაზმა კ ე ბ ო ს ა აქლემთა ზედა, ამირ.-დარ. 26, 6; კარსა ზედა მოჰფარვიდა ფარდაგები ო ქ ს ი ნ ო -ს ა, ვუვხ. 341, 4; ავაზი იყო მ ა რ მ ა რ ი ლ ო ს ა, რუსულ. 407, 27; აღწერა ს ა მ ე ფ ო ს ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა, ვახუშტი და სხვ.

მოქმ. ბრ.: შეეკაზმა ამირან დარეჯანის ძე ს ა ქ ვ ე ი თ ო თ ა აბჯრითა, ამირ.-დარ. 92, 3; გარდაჯდა ამირან დარეჯანის ძე ო ქ -რ ო თ ა მოქედილსა სახლსა შინა, ამირ.-დარ. 311, 4; სრა ედგა მოფარდაგული ო ქ ს ი ნ ო თ ა და შარდითა, ვეფხ. 331, 1; თვით ჩემითა ძ უ ძ უ თ ა გავზარდე, რუსულ. 258, 21; ს ი ს ხ ო თ ა კვერცხის ოდენი იყო, რუსულ. 91, 10; დავასახლეს ყოვლითა ჩვენითა სახლეულითა და ს ა რ ჩ ო თ ა, რუსულ. 413, 6; ვიყიდე ფარსმანაყანევს მარდალაშვილები კვამლი რვა... მათითა მამულითა..., ს ა ს ა ფ ლ ა -

* წაკითხულია მოხსენებად საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLVI სამეცნიერო სესიაზე: მუშაობის გეგმა და და მოხსენებათა თეზისები, 1988 წ., გვ. 23-24. პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში: „იკვ“, XXIX, 1990 წ.

¹ ამ მოვლენის ამსახველი ვრცელი მასალა განხილული აქვს არნ. ჩიქობავას ნაშრომში: სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში, იხ. კრებული: სახელის ბრუნების ისტორიიდან ქართულურ ენებში, წიგნი I, 1956, გვ. 243-255.

ოთა, წყლითა..., სანადიროთა, ქალითა... საქ. სიძვ. 1, 21 და სხვ.²

საშუალი ქართულის ძეგლებში აღნიშნულ პოზიციაში გვხვდება ემფატიკური ან მოკვეცი ფაქტები.³ მაგალითად:

ნათეს. ბრ.: მუნ ვაჭარმან ოქროს ფასად ცხენი მისცა, არ უძღვანა, ვეფხ. 1374, 2; მსგავსი ვარ ყრმისა უდედოს, „არჩილიანი“, 190; ყოვლის სანადიროს მწყაზრის ფრინველისა ანგარიში არ იქნებოდა, რუსულ. 220, 9; აკიდეს სადედოფლო სამკაული... უსასყიდლოს მარგალიტისა, იქვე, 111, 7 და სხვ.

მოკმ. ბრ.: ასი აქლემი კუბოთ და სამასი ლარკიდებული (გაუგზავნა), „არჩილიანი“, გვ. 172; მოაღებინა... ზანდუკი სახელმწიფოთ ტანისამოსითა საესე, რუსულ. 51, 9; ბროლის კუბო იდგა ოქროთ მოკედლი, იქვე, 18, 12 და სხვ.⁴

² ანალოგიური ფაქტები სპორადულად დასტურდება ძველ ქართულში. მაგალითად: ყოხლიოსა სისხლი ღებავს პორფირსა, აღაპ. 350, 12; გლოამ კუშპარიტი გეზი არს ოქროსა, კლემაქს 78r, 25; არს ჩრდილოთ მისა, ეფთჳ 97, V, 7 (ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984, გვ. 360-361).

³ არნ. ჩიქობავა, დასაბ. ნაშრ., გვ. 53.

⁴ ეს არქაული ნორმა ფუძემდებელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებით ბრუნვის ფორმებში თანამედროვე დიალექტთაგან დამახასიათებელია ხევსურულისა და მობურისათვის. მაგალითად:

ხევს.: ძილო, კირიმე ძილოსაი (ძილო-საქ. სახელია), ა. კინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, 435, 31; თუა გაჯასხენო, ოქროთ გაგლუსყენო, იქვე, 417, 16; ბარისაქოთ წამაველი ვთქვაჲ, იქვე, 342, 12 და სხვ.

მობურ.: გქონდეს შებრალება უცოლოსა ბიქისაო, ივ. ქაეთარაძე, ქართული ენის მობური დიალექტი, 1985, გვ. 36; ოქროთ შეკაზმული ვმალი ხქონია' იქვე, 120, 19; სპილენძის ქობი აყსიან ორ ფუთის ერბოთა, იქვე, 103, 29; ერბოთ გაუზელდა წელსა, ა. შანიძე, თხზულებები, I, 1984, 204, 19 და სხვ.

ამგვარი ფორმები გვხვდება ფშაურში, მთიულურში: სპორადულად დასტურდება ზოგ სხვა დიალექტშიც როგორც არქაიზმები: რქანი და ქინი ოქროსანი უდგასო, მთიულ., შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, 1974, 339, 11; გათავება უნდოდა საქართველოსა ურჯელოსა, მთულ., ა. შანიძე, დასაბ. ნაშრ., 170, 6; ოქროს კუბოთ დაგმარზავო, იქვე, 189, 12; აყალოთ გალესილი ქონი, ქიზიყ., დიალექტ. 221, 11; სალაშოთ ნიწფებით ვანაუბდით, იქვე, 215, 10; დაუტოვა ბეჭდი ოქროს, მესხ., შ. ძიძიგური, დასაბ. ნაშრ., 90, 1 ქვ.; პირბადეთ შეუსუდრაყე, რაჭ., შ. ძიძიგური, დასაბ. ნაშრ., 179, 27; გოდორი ზევიდან დაქორჯა უშველებელი ქორკოთ, ალ. დლონტი, გურული ფოლკლორი, 1937, 209, 5;

საშუალო საუკუნეების ქართულში ფუძეთკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში სპორადულად დასტურდება -ხი და -თი ალომორფებიც (ბრუნვათა შესაბამისად), მაგალითები:

ნათესა.: აიღეს კარი მის კუ ბო ს ი , ამირ.-დარ. 453, 4; ბოლო ს ი ალარა ვიცო, იქვე, 121, 2; წინა დაუდვა... ორასი ოქრო ს ი ბეჭედი თულადი, ვისრ., 79, 19; თეფში, ზარფეში ოქრო ს ი ეყარა, ვითა მქელია, შაჰ-ნ., გვ. 81; ხმა გო შ ი ა ს ი იყო, რუსულ., 274, 19; ქვევრები იღვა ე რ ბო ს ი , იქვე, 457, 9 და სხვ.

მოქმ.: ერთი ყუშუმი სულ საომრის იარაღით დაკაზმული იყო, ერთი — სანადიროსა იარაღითა, ერთი ყუშუმი — ს ა მ ე ჯ ლ ი შოთ ი , რუსულ., 141, 21; ს ი ტ კ ბო თ ი შარბათსა სჯობს, იქვე, 545, 32; მოგყიდე... მამული თავისის... მთითა, ბარითა, ს ა წ ყ ლ ი ს პ ი რო თ ი ვენაჯითა..., საქ. სიძვ. 1, გვ. 142 დას სხვ.¹

საშუალო ქართულის სამწერლო ენისათვის ნათესაობით ბრუნვაში თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში დამახასიათებელია -ისა ალომორფი, მოქმედებითში — -ითა. რამდენიმე მაგალითი:

ააგეს... სახლი ქ ვ ი თ კ ი რ ი ს ა , ამირ.-დარ. 103, 3; მოაბადის დ ე დ ი ს ა ამბავი იკითხა, ვირს., 119, 30; გ ლ ო ვ ი ს ა გახსნა იაჯნეს, რუსულ. 70, 17; ყ ი ვ ი ლ ი თ ა მოვიდა, ამირ.-დარ. 38, 11; ვეფხსა ჰგუანდა ს ი ფ ი ც ხ ი თ ა , ვისრ. 144, 31; აივსო მინდორი და ხ ო ც ი ლ ი თ ა დ ე ვ ი თ ა და კ ა ც ი თ ა , რუსულ. 128, 5 და სხვ.

ანალოგიური ვითარებაა ახალ ქართულშიც. სალიტერატურო ენასა და ქართული ენის თანამედროვე დიალექტებში პოსტპოზიციურ სუბსტანტიურ მსაზღვრელთან თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში ნათესაობითი ბრუნვა, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია -ისა ალომორფით, მოქმედებით ბრუნვაში -ითა აფიქსი გვაქვს. რამდენიმე ნიმუში ლიტერატურული ძეგლებიდან და დიალექტებიდან:

ვ ო ქ რ ო თ მოსირმული ტანისამოსი შამუაწუა ტანზე, იქვე, 233, 19 და სხვ.

¹ აღსანიშნავია, რომ XII-XVIII სს. ძეგლებში ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ბრუნვის ფორმანტები ზოგჯერ წარმოდგენილია სრული სახითაც. რამდენიმე ნიმუში:

პ ი ლ ო ი ს ა ძალი გქონდეს, ვისრ., 124, 3; ასი აქლემი კუ ბო ი თ ა შეკაზმული, ი ქ ვ ე , 35, 5; ფრთხილნიცა მოლორდებიან ო ქ რ ო ი თ ა , იქვე, 33, 9 და სხვ.

მზე ზ ა მ თ რ ი ს ა ყვაილს ვერ ამოიყვანს (ილია); სრული მონაც იყო მისი პ ა ტ რ ო ნ ი ს ა (აკაკი); ზამთარში წყაროს წყალი უფრო ცივი იქნება თუ მ დ ი ნ ა რ ი ს ა ? (ნ. ლომ.); ასწია საფარი გასაღების ხ ვ რ ე ლ ი ს ა² (ო. ჩხ.); სავსენი იყვნენ ს ი მ ტ კ ი ც ი - თ ა და ღ ო ნ ი თ ა (ილია). ოთახი სავსე იყო ბ ა ვ შ ე ვ ბ ი თ ა (ნ. ლომ.); თავი შემოსილი ჰქონდა ხუჭუჭა თ მ ე ბ ი თ ა (ს. მგალობ.); იჭერა გული წყაროს წ ყ ლ ი თ ა (ი. გოგებ.); აივსრ ოჯახი დ ო ვ - ლ ა თ ი თ ა (მიხ. მრეველ.) და სხვ.

დაშვირდა... მოგრება წ ნ ე ლ ი ს ა (კახ.); ძირობა იყო პ უ რ ი - ს ა (ფერეიდ); მატყლი არი გაზ ა ფ ხ უ ლ ი ს ა და შ ა მ ო დ გ ო - მ ი ს ა (ქართლ.); წამოვიდა ნიაღვარი ს ი ს ხ ლ ი ს ა (მესხ.); ფელამუში კეთდება დ ა ფ ქ უ ლ ი ს ა (ზ. იმერ.); იმას უნდა კუბო კარგი ფ ი ც რ ი ს ა (მთიულ.); ს ი რ ბ ი ლ ი თ ა გაზაფხულისა აჭობია (ქართლ.); იმი შვილი აჩება ხ მ ლ ი თ ა (ჭავჭავ.); გიექანა ხ მ ლ ი თ ა (მესხ.); დაადგა ხ ა ნ ჯ ლ ი თ ა (ზ. იმერ.); მივიდა ზ ღ ვ ე ნ ი თ ა (მთიულ.-გულდამაყ.) და სხვ.

განსხვავებას ქმნის ფუძეუკვეცელ სახელთა ბრუნება. როგორც ცნობილია, ახალ ქართულში — სალიტერატურო ენასა და ქართული ენის დიალექტთა დიდ უმეტესობაში ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში ხმოვნის მომდევნო პოზიციამში საშუალო ქართულის -სა და -თა ალომორფების ნაცვლად გვაქვს ო- ელემენტური ფორმანტები: -სო — ნათესაობითში, -თო — მოქმედებითში. ო ელემენტს აღნიშნულ აფიქსებში ა ხმოვნის პოზიცია უკავია.

ახალ ქართულში -სო ალომორფი, ჩვეულებრივ, დასტურდება ნათესაობითში დასმულ პოსტპოზიციურ მსაზღვრელთან. -თო ფორმანტის პოზიცია შეუზღულდავია. ამ აფიქსით წარმოქმნილი მოქმედებითი ბრუნვის ფორმები შეიძლება შეგვხვდეს მასთან სინტაქსურად დაკავშირებული ზმნის ან სახელის როგორც წინა, ისე მომდევნო პოზიციამში, მაგალითად:

ნათეს.: აკვანი იგი ო ქ რ ო ს ი ოდითვე აქ ასვენია (ილია); ერთხელ სდგა ღამე ყრუ უ და ბ ნ ო ს ი (ილია); ეს სიმღერაა ს ა -

² მ დ ი ნ ა რ ი ს ა . ზ ა მ თ რ ი ს ა და მისთ. ნავენტიკარი სახელობითის ფორმებია. სახელობითის ნიშანი მსაზღვრელ სახელებთან ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი: წყალ-ი მდინარისა-ი (დიალ. მდინარისა-ი) და მისთ. ამგვარ ფორმებს პირობითად (სიმარტივისათვის) ნათესაობითის ფორმებად განვიხილავთ ამოსავალი ფუძის მიხედვით.

ქართველოსი (გალაქტ.); წმინდა კავშირად მიწის, ზენასი
ვაზი დაეშვა იზაბელასი (ა. კალანდ.)...

მოქმ.: აუთოებს ნახშირის უთოთი; ღორს ასუქებს რკო-
თი; ორშიმოთი იღებენ ღვინოს ქვევრიდან; რუთი რწყავენ
ნათესებს; ოქროთი მოქედელი ხატი...

ნიმუშებია დიალექტებიდან:

ნათეს.: შარცხვათ ერთიმეორესი; გარდა გაზაფხულის
დიკასი, ნაცარქათამასი, კახ.¹; გამოგდებული იყო მა-
მასი, ფერეიდ.²; ექთენი ჩაის ესპაბიო, სულ ოქროსი, გოპა-
ტივაო, ფერეიდ.³; იმის ქვეშ იყო თვალი თავის ახალი დედ-მა-
მასი, მესხ.⁴; გული უდგია სპილოსი, ჯავახ.⁵; ეგე მაზლისწუ-
ლი არი ჩემი გოგოსი, ზ. იმერ.⁶ — ეს ვინ არიო? — იკითხა
მელასი, ქვ. იმერ.⁷; სკამი დოუმტვრია ოქროსი, რაჭ.⁸; ნენე
ოსმანასი, აქარ.⁹; -ი ქალი ვინა, — ვალოდიასი დედაა? ზ.
აქარ.¹⁰; თეპარ მირზასი თავის მაშუყეთის ნათქვამი, იმერხევ.¹¹;
რავი, ამის წამალი ვერ გამააჩინეს და კიბოსი, ფშავ.¹²; იმ
საჯემწიფოსი არა ვართო, მთიულ.-გულდამყ.¹³; ბუწუწი კი
გამოუჩნდა ოქროსი, თიან.¹⁴; ოქროსი სკამი მივუდგი, თუშ.¹⁵

¹ ა. რ. მარტიროსოვი, გ. რ. იმნაიშვილი, ქართული ენის
კახური დიალექტი, 1956, 68.

² თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანაშვილი, ქ.
გიუნაშვილი, ფერეიდული ტექსტები, ივე, XXI, 1979, გვ. 96, სტ. 19.

³ ქართული დიალექტოლოგია, 1961, 267, 19.

⁴ შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., 53, 2.

⁵ ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, 1984, 111,
27.

⁶ ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, 1973, გვ. 32.

⁷ შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., 317, 29.

⁸ შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., 253, 1 ქვ.

⁹ მ. ცინცაძე, დაცვირებები ბათუმის რაიონის მოსახლეობის
მეტყველებაზე, საქართველოს სსრ პედ. ინსტ. სტუდენტთა მეოთხე სამეცნიერო
კონფერენცია, ქ. სტალინირი, 1952, გვ. 24.

¹⁰ შ. ნიჟარაძე, ზემოაქარელის თავისებურებანი, 1957, გვ. 82, სტ. 5.

¹¹ შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების კრესტომათია
ლექსიკონითურთ, 1956, გვ. 373, სტ. 14.

¹² გ. ცოცანიძე, ფშავური დიალექტი, 1978, 187, 13.

¹³ შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, 1974, გვ. 338,
3 ქვ.

¹⁴ ქართული დიალექტოლოგია, 164, 18.

¹⁵ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., 243, 26.

ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითში იხით გავრცობილი ფორმები დამახასიათებელია ლეჩხუმურისათვის¹⁶ და სხვ.

მოკმ.: მე რო წინათ წელსა სამოცდაათი მე თოფეთი იმას წავკოლიყავ, ფერეიდ.¹⁷; ამ რუთი სარგებლობდნენ, ქართლ.¹⁸; ცხენი უბოძეთ უნაგირიანი, მორთული ოქროთი და ვერცხლითაო, მესხ.¹⁹; მერე ერბოთი სამსე ქოთან დაუდგებენ აჯლაზე, ჭავახ.²⁰; ამეილო წყალი დიდი ორშიმითი, ზ. იმერ.²¹; ციხე გარეთგან სუროთინ იყო დაფარული, ლეჩხ.²²; კერავს ჭამბარათი, რკინის პალოთი, რაქ.²³; დოუქვირთა ხელმწიფემ ჭორი ვოქროთი, გურ.²⁴; ყაპყატოთი კეთდება ისი, ფშავ.²⁵; გავათხელებთ დიდი ქერქს სათხელებათი მთიულ.²⁶; ბარნელათა ვლდებავთ, თიან.²⁷ და სხვ.²⁸

¹⁶ კ. კაკიტიძე, ქართული ენის ლეჩხუმური დიალექტი (რაჭულთან და იმერულთან მიმართებით), სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1987, გვ. 40.

¹⁷ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, თსუ მოამბე, ტ. VII, 1927, გვ. 230, სტ. 26.

¹⁸ გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, I, 1974, გვ. 197.

¹⁹ შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, 1974, გვ. 25.

²⁰ ქართული დიალექტოლოგია, 235, 9.

²¹ ქ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრ., 536, 19.

²² ქართული დიალექტოლოგია, 489, 3.

²³ შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., 201, 8.

²⁴ პ. ჭაჭანიძე, გურული დიალექტი, I, თბილისი, 1977, გვ. 15.

²⁵ გ. ცოცანიძე, დასახ. ნაშრ., 190, 2 ქვ.

²⁶ ქართული დიალექტოლოგია, 58, 27.

²⁷ იქვე, 149, 4.

²⁸ როგორც ცნობილია, ქართული ენის რიგ დიალექტში — ქვემოიმერულში, გურულში, აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში და სხვ. ნათესაობითისა და მობქმედებითი ბრუნვის ფორმებში ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ბრუნვის ნიშნები დაცულია სრული სახითაც: ზღვაის ახლოს; გოგოის ქმარი მუშაობდა; კკუაით იყო იგოგო; ხბოით იყო ოგი ყმაყოფილი (ქვ. იმერ.); ბუდუაის ოჯახმა ტილოის კაბა (გაატანა); გათფა ბზეით, კუბოით ჩამუასვენენ (გურ.); სამის კვირაისა იქნება; გემრე მურევენ სარეველაითა (ფშავ.); ბებერაის ბუღე; მარჭვენაით ოქროს აძლევს, მარცხენაით მანათებსა (მთიულ.); შკოლანის თავში ვცხოვრობ; ტუმარაით წაილა (მოხევ.) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ თუ ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტები წარმოდგენილია თავიკიდური ხმოვნის გარეშე, ე. ი. თუ ისინი „რედუცირებულია“, როგორც წესი, დაერთვით ე ელემენტი. გამონაკლისს წარმოადგენს ბევსურული და მოხეური (სათანადო ილუსტრაციები წარმოდგენილია ზემოთ).

ცნობილია ისიც, რომ ქართული ენის ზოგ დიალექტში, კერძოდ, დასავლური დიალექტებიდან — ზემოიმერულში, აღმოსავლურ კილოთაგან — ინგილოურში, მთის დიალექტებში: მთიულურ-გუდამაყრულში, ფშაურში, თუშურში ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში წარმოდგენილი -ხო და -თო ფორმანტების გარდა o ელემენტი ემფატიკური ა'ს ნაცვლად დასტურდება სხვა პოზიციაშიც. სახელდობრ:

ზემოიმერულში o ხმოვნით გავრცობილი ფორმანტები ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში დამახასიათებელია ფუძეთანხმოვნისანი და ხმოვანფუძიანი კვეცადი სახელებისთვისაც. ამ დიალექტში თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში ნათესაობითი ბრუნვის -ხხა და მოქმედებითის -თთა ალომორფების პარალელურად გვხვდება -ხხი და -თთი აფიქსებიც. ამ აფიქსებით ნაწარმოები ფორმები თავისუფლად მონაცვლეობენ ერთმანეთთან ერთისადიამავე პირის მეტყველებაშიაც კი, თუმცა სჭარბობს ა- მავრცობიანი ფორმები.¹

-ხხი ალომორფს ზ ე მ ო ი მ ე რ უ ლ შ ი, ჩვეულებრივ, გვხვდება ნათესაობითში დასმულ პოსტპოზიციურ მსაზღვრელთან მისთვის დამახასიათებელ ყველა პოზიციაში: როცა იგი უშუალოდ მოსდევს საზღვრულს, გათიშულია მისგან წინადადების სხვა წევრით, ანდა განცალკევებულია. გვხვდება ნაწილაკების წინაც. -ხხი აფიქსიანი ფორმები უპირატესად დასტურდება წინადადების, ფრაზის ან ატრიბუტული კონსტრუქციის ბოლო წევრად, ე. ი. გვხვდება პაუზის წინა პოზიციაში ისევე, როგორც -ხხა ალომორფი. მაგალითები:

წინ აქ გობი წყლისი, 147²; ვინ მიცა ნება წაბლების მოქრისი, 209; ეს ამბავები იყო მამაჩემისი, ბაბუაჩემისი და მამაემისის, 147; სასიმიდე აქ არავის აქ ფიცრებისი, 148; ბატონს ჭიშკარი ქონდა ხისი, 408, 5; ერთი სოფლისი ვიყაით, 347, 22; ამ კუთხისი, ჩვენი კუთხისი არავინ არ იყო, 148; — რისია ესი? — კვახისი, 209; ახლაც ისე ხათრი აქ მამისიც და დედისიც, 209; სამწახელი... ერთი ხისიც ქე მაქ. 462, 10 (შდრ. ორშიმო შეიძლება

¹ საყურადღებოა, რომ -ხი და -თი ალომორფებს (კალოხი, კალოთი...) არ მოუპოვებთ ვარიანტები -ხა და -თა (ნათეს. კალოხა, მოქმ. კალოთა...); ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ზემოიმერულშიც ისინი ერთადერთი ფორმანტებია.

² ნიმუშები დამოწმებულია ქ. ძოწენიძის ნაშრომიდან: ზემოიმერული კილოკავი. ტექსტები, 1973.

ცინკისაც იყოს, იქვე); მერე ეტყვის ისი: დოქის კაცი ხარ, თუ ხანწისიო? — დოქისიო, 209 და სხვ.

მოქმედებით ბრუნვაში თანხმობანფუძიან და კვეცად სახელებთან - მავრობიანი ვარიანტი -თი ზემოიპერულში, ჩვეულებრივ, გვხვდება ზმნის ან სახელის მომდევნო პოზიციაში წინადადების, ან ფრაზის ბოლოს. ზმნის წინა პოზიციაში -თი წარმოქმნილი სახელური ფორმა დასტურდება მაშინ, როცა იგი ატრიბუტული სინტაგმის წევრია, ან აქცენტირებულია, ე. ი. გვხვდება იქ, სადაც პაუზაა მოსალოდნელი. -თი მორფემა ფიქსირებულია მოქმედებითი ბრუნვის ფორმათა ზმნისართული ფუნქციით გამოყენების შემთხვევაშიც.³

ნიმუშები:

ეგმსო ნაცრითი თვალები, 503, 42; თვალები მაქ გაფუჭებული კერვითი, 209; მოჭრა ამ ღორმა ხეკბილითი, 503, 42; ანზორას გამს სახითი, ფერ-ხორციითი, 148; პურს ევილებთ ფიწლითი, მერე გადავანიავებთ ნიჩფითი, 148; ვინც შამოკაფამდა ალაგეტს ნაჯახითი, იმისი იყოს ადგილი, 148; აგვიწერა ორი ძროხაი თავისი უღელი მოზვრითა და უშობლითი (შდრ. მოზვრითა), 50; შენი სიზარმაციითი მკრი თავს, 50; დაძინებითი დეეძინა, 179; გლეხი გვარობითი სოჩხეთში... შარვაძე მეტია, 248; ვერაფრის დიდებითი ვერ დეიქირა, 148; გადღინძელა ფეხზე დგომითი, 148; დადის კვნიესითი დატირილითი, 148, და სხვ.

აღნიშნულის გარდა ელემენტი ზემოიპერულში დასტურდება მეტყველების სხვა ნაწილებთან: ზოგ ნაცვალსახელთან, ზმნისართთან, თანდებულთან, -ცა ნაწილაკთან. მაგალითად:

ზოგი ამითი გადარჩა, 393, 9; გადავთარგმნე ჩემითი, 209; მეზობლეთს ჩვენითი არაფერი დააკტეს, 179; რითი რეკავ ნიგოზს, 526, 3; სკოლა აქ არი, გაღმითი, 148⁴; ყავრები ქონდა დაფარებული ზეიდანი, 82; სინათლე მოუნათე იქიდან, 23; თაღრიდან ვიღეთ ტკბილს ჩაფში, 209; გამევიდენ ბოვშეები წისქვილიდან, 22; ვერ შეითვისა თავი-

³ აღნიშნული პოზიციები დამახასიათებელია -თი ალომორფისთვისაც, მაგრამ -თი გვხვდება იქაც, სადაც -თი, ჩვეულებრივ, არ იხმარება (იხ. ნიმუშები).

⁴ ზემოიპერულში ფიქსირებული შიგნი-შიგნი (შდრ. გადახტა შიგნი, ქ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრ., 507, 13).

დანივე, 150; მას უკანი¹ დიდი დრო გვეიდა, 533, 14²; ოზდა-
ხუთიც იქნება და ო რ მ ო ზ დ ა ა თ ი ც ი , 148.

ქართული ენის დიალექტთაგან • ელემენტი ბრუნების სისტემა-
ში განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული ინგილოურში.
როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არის აღნიშნული, ინგილოურ-
მა ნათესაობით და მომქედებით ბრუნებებში ემფატიკური ა არ იცის.³
აქ მისი ადგილი • ს უჭირავს.⁴ ინგილოურში, კერძოდ, ალიაბათურ-
ში, ა'ს მაგივრად • გვევლინება ყველა შემთხვევაში: როგორც ფუძე-

¹ აღსანიშნავია, რომ ზემოიშვარულში • ელემენტი არ გვხვდება „უკან“
ზმნისართთან, არაა ფიქსირებული დადგა უკანი და მისთ. (შდრ. ინგლ.
უკანი თ მიდის რუა კაც, დიალექტ, 234, 26; უკანი ფაქამ ვუზირ-ვექილს
აყოლევს, იქვე, 241, 27).

გურულში ფიქსირებულია ზმნისართი უ წ ი ნ ი : მათხრობა იყოღენ
უ წ ი ნ ი (ტ. ფუტკარაძე, სახელის ფორმალურების თავისებურებანი
ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში, სადისერტაციო ნაშრ. ფილოლ.
მეც. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსამზადებლად, თბ., 1986, გვ. 30).

გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , ქართული ენის ინგილოური დიალექტის
თავისებურებანი, 1966, გვ. 86, 95.

ინგილოურში -სხაჩხა ნანათესაობითარი მიმართულების ფორმანტია. წაუდა
ბ ე გ ი ს ა ; მიდის თავი მ ა მ ა მ ს ა . გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს აზრით, ინგილოურს
ემფატიკური ა ნათესაობით ბრუნვასთან არ გაუჩენია, მის მაგივრად გვაქვს • და
აზით დაუშვებელია სხვაობა ნათესაობითი ბრუნვის ფორმასა (მეზობლის...) და
ნათესაობით-მიმართულებით ბრუნვის ფორმას (მოზობლის...) შორის (დასახ. ნაშრ.,
გვ. 88). ჩვენთვის უდარდა, რომ ნათესაობითის ფორმებში -სხაჩხა აფიქსი
უქონლობა თანამედროვე ინგილოურში მეორეული მოვლენაა. ნათესაობით ბრუნვებში
ემფატიკური ა ხმოვნით გავრცობილი ფორმანტები დამახასიათებელია ძველი
ქართულისათვის (ძველ ქართულში გვაქვს -სხაჩხა აფიქსებით ნაწარმოები
მიმართულებითიც), ასევე — თანამედროვე დიალექტებისათვის. იგი არ შეიძლება არ
ქონოდა ინგილოურსაც.

თანამედროვე დასავლურ დიალექტებში (ქვემოიშვარულში, გურულში,
აქარულში...) ემფატიკური ა'ს შეზღუდული გამოყენება შემდეგდროინდელი
მოვლენაა. ემფატიკური ა'ს ხმარება ამ კილოებშიც აუცილებელია გარკვეულ
პოზიციებში: -ფა ნაწილაკისა და -ფი თანდებულის წინ, შედგენილი შემასმენლის
სახელურ წევრთან, ზმნისართული ფუნქციით გამოყენებულ სახელთა მოქმედებით
და ვითარებით ბრუნვის •- დართულ ფორმებში (შდრ. ფუტკარაძე შექვრანხსაც,
აქარ.: აბდალსავით უბზერს, გურ.: უბატრონთაა დატიებული, გურ.: ცოცხლითაი,
ცხადითაი, გურ.: უცფათაა, ტყვილათაი, აქარ. და სხვ.). ამჟამად ემფატიკური ა
ხმოვნის შედარებით იშვითათი ხმარების მიზეზი ხსენებულ დიალექტთა მეტყველების
(ინტონაცია, მახვილი, ტემპი) თავისებურებაში უნდა ვივარაუდოთ. ისტორიულად
ემფატიკური ა დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ საერთო-
ქართულისათვის, არამედ საერთო-ქართველურისთვისაც (Г. А. К л и м о в, Склонение
в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, Москва, 1962, с. 18-28.
ემფატიკური ა'ს შესახებ ზანურში: იბ. ა. ჩ ი ო ბ ა ვ ა , დასახ. ნაშრ., გვ. 259-262.

თანხმობენიან, ისე ხმოვანფუძიან კვეცად და უკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში, წინამავალ და მომდევნო მსაზღვრელთან. ნიმუშები:

ბ ა ტ ი ს ი კ ა მ ვ ო რ ც ი რ ე მ ე ნ ი ა ? ; ბ ე გ ი ს ი , უ ფ რ ო ს ი ს ი ქ ა რ თ უ ლ ი კ ქ ო ა ნ ი ი ქ ნ ე ბ ა ; ყ ო ხ ი ს ი წ ი ნ წ ლ ა ქ თ ა ვ რ ე მ ე ნ ი ა ? ; ხ ა ნ - ქ ლ ი ს ი ყ უ ა ს უ ლ ე ბ ე ნ ; შ ე ნ ზ ა დ ლ ე ბ ი ს ი ე რ ც ა ლ ი ა რ მ ო ს უ - ლ ა ; კ ო ბ ა ლ ა მ ს ი მ ა ა ქ რ ე ლ ა წ ა უ ლ ა ; კ არ გ ა ა დ ე ს კ ი დ ო ბ ნ ი - ს ი ; ტ ყ ა ვ კ არ ზ ე გ ო ქ ო ყ ა ნ ა ფ რ ი ს ი ; ჩ ა მ ა მ ლ ლ ე ს ქ ო ბ ი წ ყ ლ ი ს ი ; ქ ა ლ ი პ ა ტ ა რ ა ბ ი კ ი ს ი ა ; ტ ა ნ ი ს ა მ ო ს ი ჰ უ ს ე მ - ნ ა მ ს ი ა ;⁵ კ არ ე ვ კ ი ნ ა მ ს ი⁶ და ს ხ ვ .⁷

მოქმედებით ბრუნვაში თანხმობენის მომდევნო პოზიციაში ინგილოურში, ჩვეულებრივ, გვაქვს -**ით** ალომორფი, ზოგჯერ გვხვდება **ითი** დაბოლოებაც.⁸ ხმოვნის მომდევნო პოზიციაში აღნიშნული ბრუნვა წარმოდგენილია -**ითი** ალომორფით. მაგალითები:

პ ა რ წ ლ ი თ ი მ ო ლ ი ო ლ ა უ რ მ ი თ ი ბ ე გ ი ; ქ ა ჩ ა ლ მ ა ა ა შ ე ნ ა დ ი - დ ი ს ა ხ ლ ი ბ ა ტ ი გ ა ყ ო ფ ი თ ი ; ბ ე ვ რ ი თ ე თ რ ი მ ა ვ ვ ე ყ ა ლ ა მ თ ი , ფ ო ლ ა დ ი თ ი ; კ ა ტ უ შ ა თ ა ვ ი დ ა ნ ა მ თ ი მ ო პ კ რ ი ს ტ უ მ ა რ ა ს ; დ ა მ ბ ე ს ც ხ ე ნ ი ზ უ ა მ თ ი ; ნ ა ლ ა რ ა — ზ უ რ ნ ა მ თ ი ქ ო რ წ ი ლ ი ი ქ ნ ა ; პ ა ტ ა რ ა ს უ ფ რ ა მ თ ი გ ა დ ა ჰ ბ ე რ ტ ყ ა ვ (ვ ა რ ც ლ ს) , კ ი დ ე შ ი - გ ა მ თ ი ო მ ო ო გ უ ; ტ უ მ ა რ ა მ თ ი გ ა მ ო ზ ი დ ა ქ ე რ ; მ ე ვ ლ ა ნ ა მ ა ა გ - რ უ ე ვ ს ა ჩ ხ რ ე კ ე ლ ა მ თ ი ნ ა ლ ო რ დ ლ ე ვ ; ნ ა ვ ა ხ ტ ა ნ ნ ა ქ ნ ა რ ს ა ქ - მ ე მ თ ი თ ა ვ ვ ე ლ ა რ ა მ ბ ა ვ ს ; ი მ ა შ ი ნ ს უ კ ა ნ ღ გ ე ვ ი ს გ ა დ ა მ ბ უ რ - ქ უ მ თ ი დ ა ს ხ ვ .⁹

-**ითი** **ითი** ფორმანტი ინგილოურში დამახასიათებელია აბლატივისათვისაც: ჳ ი დ ი თ ი მ ო ვ დ ა ; წ ე ვ დ ა ს ა ხ ლ ი თ ი ; გ ა მ ი შ უ თ ა მ

⁵ გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 86, 259-262.

⁶ ნ . რ ო ს ტ ი ა შ ვ ი ლ ი , ინგილოური კოლოს თავისებურებანი, თსუ სტუდენტთა შრომების კრებული, ტ. VIII, 1958, გვ. 285.

გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს ვ ა რ ა უ ლ ი თ , ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ფ ო რ მ ა ნ ტ ს ო კ ა კ უ რ მ ი ც უ ნ დ ა დ ა რ თ ო ლ ა , მ ა გ რ ა მ ი გ ი შ ე მ დ ლ ო მ დ ა კ არ გ უ ლ ა ს უ ფ ი ქ ს ი ს ე უ ლ ზ ო გ ი ე რ თ ს ხ ვ ა ხ მ ო ვ ა ნ თ ა ნ ე რ თ ო ლ . ა ქ ო გ ვ ე ლ ი ნ ე ბ ა — ც ნ ა წ ი ლ ა კ ი ს , ა ნ კ ი თ ხ ე თ ი ა ს დ ა რ თ ვ ი ს ა ს , ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ს ფ ო რ მ ი ს შ ე დ გ ე ნ ი ლ ი შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ი ს წ ე ვ რ ა დ გ ა მ ო უ ე ნ ე ბ ი ს ა ს : ღ მ ე რ თ ი ს ი ც ს ა ხ ე ლ ი ს კ ი რ ი მ ე ნ ; ჟ ე კ ო რ ც ლ ო რ ი ს ი ა ? ჟ ე ქ ა ლ ჩ ე მ ზ მ ი ს ი (< ზ მ ი ს ი ა) ; დასახ. ნაშრ., გვ. 87.

⁸ გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 89.

⁹ გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., 88, 194, 202; ნ . რ ო ს ტ ი ა შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 285; დიალექტ. გვ. 229, 234, 241, 245, 247.

ციხეთი; თავლაეთი ელათ გამოდგონ და სხვ.¹

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტთაგან, როგორც აღნიშნეთ, **o** ელემენტი დამახასიათებელია ფშაურის, მთიულურ-გუდამაყრულისა და თუშურისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ დიალექტებში ზემოიშარულია და ინგილოურისაგან განსხვავებით **o** ხმოვანი ახნაცვლად ბრუნების სისტემაში, ჩვეულებრივ, დასტურდება მხოლოდ ნათესაობითის ფორმებში — **-oხო** ალომორფში. იგი გვხვდება ხმოვნის მომდევნო პოზიციაშიც. ჩვეულებრივ, დაერთვის პოსტპოზიციურ მსაზღვრელს, გვხვდება პრეპოზიციულ მსაზღვრელთანაც.

ბუნებრივია, რომ ნათესაობითი ბრუნვის ძნით გავრცობილი ფორმები აქაც ფიქსირებულია საპაუზო პოზიციაში — წინადადების ან წინადადების ერთი ნაწილის დასასრულს, ატრიბუტული სინტაგმის ბოლო წევრად, ინტონაციურად გამოყოფილ ცალკეულ სახელურ ერთეულად. **o** გვხვდება ნაწილაკების წინაც, შედგენილი შემასმენლის სახელურ ნაწილთან.

ამ დიალექტებშიაც ნათესაობითის **-oხო** და **-oხო** ალომორფები თავისუფლად მონაცვლეობენ ერთმანეთთან. სტატისტიკურად უპირატესი აქაც **-oხო** ალომორფია. საყურადღებოა, რომ ხსენებულ დიალექტებშიაც **-ხო** ალომორფს (წყაროსი, ბუხი...) არ მოეპოვება ცოცხალი, მოქმედი ვარიანტი **-ხა'** სახით. ნათესაობითში არაა დამახასიათებელი: წყალი წყაროსა, თავი ბუხა და მისთ. ფორმები. ნიმუშები დასახელებული დიალექტებიდან:

ფშაური: ხეთისი კი არ იყოს ესეო²; სისხლისი კვნიტე ძვალა (შდრ. სისხლისა მადღევს კვალა); ერთი ადგილისი პატარა კუთხე საღმე მოგვეცითო; ფეხსამოს ჩაიცვეს ჩემის კაციისი და ადვენ მემრე; ან ხისა რამე გვექნებოდა გეჩასავით, რაღაც... ქვაბი ან ქვევრი თიხისი (შდრ. ხისა)³; თოთხმეტ-ხუთმეტის წლისამცა ვყოფილიყავ, მეტისი კი არ ვიქნებოდი (შდრ. წლისამცა); — გაიქცეოდი, გაიგოდი ძროხებისი⁴; — ჟიბიტაური ქვიან, კაცო, სუ ყველას, ხორბლისი და ხილისი რა ბედენაა, ი ტუტა კიდე იყო ნაცრისი; იმის სიტყვა მამაგონდა,

¹ გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., 89.

² ქართული დიალექტოლოგია, გვ. 141, 29.

³ გცოცანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 139, 1; 139, 13 ქვ; 150, 4 ქვ; 218, 17; 199, 20.

⁴ ქართული დიალექტოლოგია, გვ. 132, 17; 135, 1.

იმ ურიაცი⁵, კარგის ქალისია⁶; ბარგის ხურჯინი სასქლისია ან ბალნისი (შდრ. თეთრი სასქლისა)⁷; თითქოს მაშინა... ათისიცი მძლივ ვიქნებოდი⁸; ციცასაო ყინულის გულ უძეო და ძალსაო-ნ აღვერდლისიო (შდრ. ხარბისა ნახევარი ყალბიაო)⁹ და სხვ.

მთიულურ-გუდამაყრულო: — ქალისიცი არი კალვაში მალაზიაში, კაცისიცი (შდრ. ძმა დედუფლისა); დევს უგდებს დედა ბიჭისი ფეხებში ლასტა (შდრ. მოძებარია იმ ბიჭისა); სუ მაყრებისი იყო (შდრ. ბაღდადი, ძაძი... — ბატარძლისა იყო)¹⁰; ვარ დისწული უსიპისი..., ჭავრი არ გამყვა მტრისი; ეგ ჭაჭვი ჩემი ძმისია... შავგრემანის ყმისაი (შდრ. ცხენები გამაიტაცეს ორი იმ კარგი ყმისაო)¹¹ და სხვ.

თუშური: ეგ ქარიცი არა ყოფილა, ქალისი ცოდო-ბრაღიავ; ჩემთან მოკლული დედისი ხვედრი მეც გამიზიარა; ფოთოლ ვარ ბუერაყისა, საქანებელი ქარისი (შდრ. ბუერაყისა); ორ კელმწიფე ყოფილ, ერთ ამოსავლეთისი დერთ დასავლეთისი¹²; თუშურაყ ყველს აკეთებენ რაყვერც ძროხისი; ჩვენ საქმელაყ იყუ ზამთრის სუ მჟადი ხან ფეტვისი -დხან სიმიინდისი; სამ ქალ წაის თან გეგოლ ორ თორმეტის წლებისი დერთიც ცამეტისი¹³ (შდრ. ქალი მოიდა ცხრის წლისა)¹⁴; — მკვდრისიმ წერისა ხარივ¹⁵; ხათრივ შენ დიაცისიო და მანდილისივ¹⁶ და სხვ.

აღნიშნულ დიალექტებში • ელემენტი ა'ს ნაცვლად გვხვდება

⁵ გ. ცოცანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 192, 15; 199, 10; 141, 21.

⁶ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 134, 2.

⁷ ქართული დიალექტოლოგია, გვ. 136, 11; 138, 9.

⁸ გ. ცოცანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 216, 9.

⁹ ქართული დიალექტოლოგია, გვ. 136, 11; 138, 9.

¹⁰ ქართული დიალექტოლოგია, გვ. 56, 2; 59, 23; 99, 2 კვ; 100, 13; 87, 3;

81, 1.

¹¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 136; 173, 3; 180, 7 კვ.

¹² თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960, გვ. 151, 25; 177, 8; 159, 6,

126, 20.

¹³ ქართული დიალექტოლოგია, გვ. 104, 21; 121, 20; 110, 14.

¹⁴ თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 141, 7.

¹⁵ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 223, 3 კვ.

¹⁶ ქართული დიალექტოლოგია, გვ. 113, 4.

თანინი მრავლობითის ნათესაობითის ფორმებშიც. მაგალითად:

ე ნადირი გ ო რ ი ლ ა თ ი ყოფილა, ჯორო — შ ი ლ ი კ ა უ რ -
თ ი, ფშავ.¹; პატივისცემა იყო ნ ე ფ ი ო ნ თ ი, გუდამაყ.²; მოუკ-
ლავს ერთი ც ო ლ ე უ რ თ ი, იქვე³; ქუდი მრუდია ც ი ბ ა ლ თ ი,
იქვე⁴; მ ა კ რ ა ტ ი ო ნ თ ი ქალივ, თუშ.⁵; შენდობა დუშოს
ნ ა ვ ო ც თ ი, იქვე; სულეთში შემოგვყვებოდა ბ ე რ თ ი დედ-მამათ
ბრალივ, იქვე და სხვ.

მთის სხვა კილოთაგან განსხვავებით თანამედროვე ხევსურულსა
და მოხურში • ხმოვანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში, როგორც
წესი, არა გვაქვს. აქ ჩვეულებრივია ემფატიკური ა. მაგრამ ლექსში,
ხევსურულში — ასევე ხმით ნატირლებსა და მთიბლურებში გვხვდება
ნათესაობითის • ხმოვნით გაერცობილი ფორმებიც. მაგალითად:

ხევსურული: კირიმი უშიშაისი; თვე დადგა მ ა რ ი ა ნ ო ბ ი -
ს ი ო, მამე ნებაი ს ა უ ბ რ ი ს ი ო; მალალი წვერი ა რ ი შ კ ი -
ს ი ო; გიორგი, შენ ხარა უ თ უ რ გ ა თ ი ო?⁶

მოხურე: ეგ არი ჩემი ძ მ ი ს ი ა; წესია დ ა რ ე ჯ ა ნ ე ლ თ ი
ჯიბეს ჩადება დ ა ნ ი ს ი; ამბავი მ ა მ ა - პ ა პ ა თ ი ლ ა ს ხვ.⁷

თანხმოვანფუძიან და ფუძეკვეცად სახელთა ნათესაობითსა და
მოქმედებით ბრუნვაში ძნით გაერცობილი ფორმები არ არის დამახა-
სიათებელი ქართული ენის არც სხვა დიალექტებისათვის, სახელ-
ლობრ, ქართლ-კახურისათვის, ქიზიყურისათვის, მესხურ-ჯავახურისა-
თვის და სხვ.; მაგრამ ამგვარ ფორმათა ხმარების ცალკეული შე-

¹ ქართული დიალექტოლოგია. გვ. 144, 17.

² იქვე, 87, 2.

³ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., 163, 30.

⁴ იქვე, 168, 2.

⁵ თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 34.

⁶ ა ლ . კ ი ნ ჯ ა რ ა უ ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

⁷ ი ვ . ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 36. მოხურეში, ასევე მთიულურში
ანთროპონიმების და ფუნქციით მათთან გათანაბრებულ ნათესაობის აღმნიშვნელ ზოგ
საზოგადო სახელთა საალერსო მიმართვის ფორმებში: მ ა თ ი ა ი ს ი .
ბ ი ძ ა ი ს ი და მისთ. ი ს ი დაბოლოება ძველი ქართულის გადმონაშთია, შდრ.
დავითისი, პავლსი... (აღნიშნულ ფორმათა შესახებ იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი
ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954, გვ. 127. ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ნათესაობის
ზოგი სახელის წარმოებისა და კნინობითობის —ა სუფიქსის საკითხი ქართულში, იყ.
XXVI, 1987, გვ. 71; ბ. ჟ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, მ. კ ო ბ ა ი ძ ე, მ. ბ ე რ ი ძ ე,
ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, 1988, გვ.
247)7

მთვევები სპორადულად დასტურდება ამ კილოებშიაც. მაგალითად: რო გახდება ოცი წლისი, ქართლ.⁸; ჰყამდა ორი ვევიშვილი, უმფროსი რვა წლისი, კახ.; ე ჯოხი რისი არიო, კახ.⁹

აღნიშნულ დიალექტებში ე ელემენტი შედარებით ხშირად გვხვდება მოქმედებითი ბრუნვის ფორმებთან, განსაკუთრებით -თ'ზე დაბოლოებულ ზმნისართებთან, ან ზმნისართული ფუნქციით გამოყენებულ სახელებთან. ნიმუშები:

ქართლური: ა ქ ტ ი თ ი აქ მინდორი ჩაბარებული; კ ი ბ ი თ ი აღიან; წურამთ მ ა შ ი ნ ე ბ ი თ ი; ჩაიარა ფე რ ხ ი თ ი; მემრე დავიწყეთ შ ა ბ ი ა მ ნ ი თ ი შეწამლას¹⁰; ან ძ მ ა კ ა ც ო ბ ი თ ი, ანუ სუ ქ თ ა მ ი თ ი, ან მ ო ხ ა თ რ ე ბ ი თ ი უნდა აკეთებდეს საქმესა¹¹; ზამთარში ცხვარი დ ი ლ ი თ ი გვიან უნდა გამოუშვა ფარეხიდან; დ რ ო თ ი თუ გაავდარდა.¹²

ზოგჯერ ზმნისართზე მთელი მარცვალი (-თი) არის დართული: მ ა შ ი ნ ე ვ ე თ ი (მაშვეთი) ვიპოვე.¹³

კახური: თ ხ ო ვ ნ ი თ ი თ ხ ო ვ ა; ქონდა ი ჯ ა რ ი თ ი აღებული; ამარაგებდა ნ ა დ ი რ ი თ ი; დ ა მ ი თ ი აძუებდენ.¹⁴

ჩავახური: ამ კაცმა დ ი ლ ი თ ი ერთი კალათი ურძენი მისცა.¹⁵

ე ხმოვანი ძალზე იშვიათად შეიძლება დაერთოს ვითარებითი ბრუნვის ფორმასაც:

დაიჭირა მ ა გ რ ა თ ი, კახ.¹⁶; ს ა ჩ ქ ა რ ო თ ი მამა წინ მოვიდა სახში, ქართლ.¹⁷; ცხენზე შეჯდა ს ა ჩ ქ ა რ ო თ ი, ჩავახ.¹ და სხვ.²

⁸ გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ბორჯომის ხეობის ქართლური, იკვ. VIII, 1956, გვ. 95.

⁹ ა რ . მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, 1974, გვ. 196-197.

¹⁰ გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, 1974, გვ. 196-197.

¹¹ ლ . ნ ო ზ ა ძ ე, ქართლური დიალექტური მასალები, იკვ. XVII, 1970, გვ. 339.

¹² გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 197.

¹³ თ. ს ა ლ ა რ ი ძ ე, ალგეთის ხეობის ქართლური, 1978, გვ. 63.

¹⁴ ა რ . მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

¹⁵ ა რ . მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 124, ქვ.

¹⁶ ა რ . მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

¹⁷ თ. ს ა ლ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

ამგვარად, მასალის განხილვა გვიჩვენებს, რომ **o** ელემენტი ახალ ქართულში ბრუნების სისტემაში დასტურდება ფუძეუკვეცელ სახელებთან ნათესაობითის **-ხო** (წყაროხო, კუხო...) და მოქმედებითი ბრუნვის **-თი** (წყართი, კუთი...) ალომორფებში, შეიძლება ითქვას, საერთო ქართულის მასშტაბით (გამონაკლისს ქმნის ხევსურული, მოხური...). აღსანიშნავია, რომ თანამდეროვე ქართულში **-ხო** (ოქროხო...) და **-თი** (ოქროთი...) ალომორფებს ვარიანტები: **-ხა** (ოქროხა...) და **-თა** (ოქროთა...) არ მოეპოვებათ.

დიალექტთა გარკვეულ ჯგუფში: მთიულურ-გუდამაყრულსა, ფშაურსა და თუშურში **o** ხმოვანი აღნიშნულის გარდა გვხვდება თანხმოვანფუძიან და კვეცად სახალებთანაც ნათესაობითის **-ოხო** ალომორფში, ზემოიმერულსა და ინგილოურში ამასთან ერთად — მოქმედებითი ბრუნვის **-ოთი** ფორმანტიაც — **კ ა ც ი ს ი**, **მ ი წ ი ს ი**, **რ ძ ი ს ი**; **კ ა ც ი თ ი**, **მ ი წ ი თ ი**, **რ ძ ი თ ი**... მისთ. ფორმებში. ამ პოზიციაში **-ოხო** და **-ოთი** ვარიანტები თავისუფლად მონაცვლეობენ **-ოხა** და **-ოთა** ალომორფებთან. აღნიშნულ დიალექტებში თანაბრად დასაშვებია: **კ ა ც ი ს ი / კ ა ც ი ს ა**, **კ ა ც ი თ ი / კ ა ც ი თ ა** ტიპის ფორმები.³ მათგან სტატისტიკურად უპირატესი **ა-** მავრცობიანი ფორმებია.

მასალის ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ **o** ელემენტს განხილულ შემთხვევაში ემფატიკური **ა** ხმოვნის დისტრიბუცია აქვს. ნათესაობით ბრუნვაში **o** ხმოვანი, ჩვეულებრივ, დაერთვის მომდევნო მსაზღვრელს⁴ და გვხვდება ატრიბუტული სინტაგმის, წინადადების,

¹ ა რ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

² დროის აღნიშვნელ ზმნისართთა **o** ელემენტით დაბოლოებული ფორმები ფიქსირებულია ძველ ქართულში: იყოფოდა თავად ტაძარსა მას შინა დ ღ ი ს ი, ლ. 21, 37 C; სცვიდეს მას დ ღ ი თ ი და ლამით, კ. I 22, 8; ვითარ თანა-წარკვიდოდეს დ ი ღ ი თ ი, იხილეს ლელჳ იგი განჳმელი ძირითაგან, მრკ. 11, 20 C და სხვ.

ს. ჯანაშია დ ღ ი ს ი ფორმას ნანათესაობითარ სახელობითად მიიჩნევს, (იხ. ცხოვრება საბა ასურისაჲ, არალი, 1925, გვ. 23). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით **o** ელემენტი დღის, დღით, დღით... ფორმებში ერთიდაიგივე ოდენობაა.

³ გამონაკლისს წარმოადგენს ინგილოური. როგორც ითქვა, მისთვის ნათესაობითსა და მოქმედებითში **ა-** ემფატიკურხმოვნიანი ფორმები დამახასიათებელი არ არის.

⁴ ინგილოურსა და აკარულში **o** ხმოვანი დამახასიათებელია ნათესაობითში დასმული პრეპოზიციური მსაზღვრელისთვისაც (შდრ. ბ ა ტ ი ს ი ჯორჯი, ინგილ., წყარო ს ი წყალი, აკარ.). აღნიშნული მოვლენა იშვიათად დასტურდება ზოგ სხვა

ან წინადადების ერთი ნაწილის დასასრულს, ლოგიკურად გამოყოფილ სიტყვასთან — წინადადების დასაწყისშიც. ე. ი. *ეს ხმარება თანხედება პაუზას (შდრ. ერთი სოფლისი ვიყავით, ზ. იმერ.; ჭიშკარი ქონდა ხისი, ზ. იმერ.; ფეხსამოს ჩაიცვეს ჩემი კაცისი და ადგენ მემრე, ფშავ.; ხვთისი კი არ იყოს ესეო, ფშავ. და სხვ.)* • ელემენტი გვხვდება ნაწილაკების წინა პოზიციაშიც (დელისიც, მკვდრისიმ, დოქისიმ...).

მოქმედებით ბრუნვაში • ხმოვნის პოზიცია, არსებითად, შეუზღუდავია. • ელემენტით დასრულებული სახელური ფორმები მოქმედებითში ფიქსირებულია მასთან დაკავშირებული ზმნის ან სახელის როგორც წინა, ისე მომდევნო პოზიციაში⁵ (რუთი ირწყვება, ოქროთი მოქვილი, კიბითი ადის, ქართლ., ევსონა - ცრითი თვალეზი, ზ. იმერ.; პარ წლითი მოდიოდა ურმითი, ინგილ. და სხვ.).

ქართული ენის დიალექტებში • ელემენტი კიდევ უფრო იფართოებს ხმარების არეს. ბრუნების სისტემის გარდა იგი ემფატიკური ა⁶ ფარდად დასტურდება ფორმაუცვლელ სიტყვებთანაც, სახელდობრ, ზოგ ზმნისართთან (გალმით, უწინი...), თანდებულთან (დანხ, უკანხ...), ნაწილაკთან (ორმოზდაათიცო, ქალისიცო...).

ეს დისტრიბუცია ქართულში, ძირითადად, ემთხვევა ემფატიკური ა⁷ დისტრიბუციას. • ჩვეულებრივ, გვხვდება იმ პოზიციებში, სადაც შეიძლება შეგვხვდეს ემფატიკური ა⁸, მაგრამ ემფატიკურ ა

კილოშიც.

⁵ გამონაკლისს ქმნის ზემოიმერული, სადაც აჰჰ აფიქსიანი ფორმები, ჩვეულებრივ, დასტურდება მასთან სინტაქსურად კავშირში მყოფი ზმნის ან სახელის მომდევნო პოზიციაში.

⁶ ემფატიკურ ა⁶-ს ჩვენ ამ შემთხვევაში და ზოგჯერ სხვაგანაც ფართო გაგებით — მავრცობის მნიშვნელობით ვხმარობთ (მავრცობი ა ხმოვნის შესახებ იხ. თ. ზურაბიშვილი, მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, 1972, გვ. 44-57; თ. ბეროზაშვილი, ნ. ლომოურის ენის სინტაქსური თავისებურებანი, „მაცნე“, 1965, № 6, გვ. 242-245, თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბილისი, 1986 და სხვ.

⁷ თუ ეს • სხვა წარმოშობისა არ არის (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

⁸ გამონაკლისს ქმნის მოქმედებითი ბრუნვის •- დართული ფორმები, რომლებიც უპირატესად ზმნისართული ფუნქციით იხმარება და თავისუფალია იმ პოზიციული შეზღუდვებისაგან, რაც ა⁶ გამოეყენებას ახასიათებს (შდრ. კიბითი ადის, ერთიმეორის მიხედვითი აკეთებენ, ვრაფრის დიდებითი ვერ დიჭირა და სხვ.), ასევე — ნათესაობითში •- მავრცობიანი ფორმების პრეპოზიციული

ხმოვანთან შედარებით • ხმოვნის რეალიზაციის პირობები ქართულში შეზღუდულია. იგი არ დასტურდება ა'სთვის დამახასიათებელ ყველა პოზიციაში. სახელდობრ, • არ გვხვდება მიცემითისა და ვითარებითი ბრუნვის ფორმებში, თანდებულებთან (თვის, გან, კენ...) და სხვ., რაც ასევე მიუთითებს იმაზე, რომ • ელემენტი ქართულში ა'სთან შედარებით ახალი წარმონაქმნია¹ და სხვა წარმომავლობისაა.²

მასალის ანალიზის შემდეგ ბუნებრივად ისმის საკითხები: რა ფუნქციისა და წარმოშობისა • ელემენტი ბრუნვის ფორმებში: ერთი მხრივ, ნათესაობითის -ხი (წყაროსი, ბუსი...) და მოქმედებითი -თი (წყაროთი, ბუთი...) ალომორფებში და მეორე მხრივ, აღნიშნულ ბრუნვათა -ხა და -თა ალომორფების დიალექტურ ვარიანტებში: -ხი (კაცისი, მიწისი, ტყისი...) და -თი (კაცითი, მიწითი, ტყითი...)? არის თუ არა ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ხსენებულ ალომორფთა ბოლოკიდური • ხმოვანი ერთიდაიგივე ოდენობა?³ რა წარმოშობისაა მეტყველების ზოგ ნაწილთა: ზმნისართების (დილითი, გაღმითი, უწინი...), თანდებულების (-დანთი, უკანთი...), ნაწილაკის (-ცთ) აუსლაუტში გამოვლენილი • ხმოვანი ქართული ენის დიალექტებში?

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ნათესაობითის -ხი (რკოსი...) და მოქმედებითი ბრუნვის -თი (რკოთი...) დაბოლოებები არ არის მიღებული -ხს და -თ დაბოლოებათაგან ფონემათა გადასმით.⁴ განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს • ელემენტის წარმომავლობისა და ფუნქციის შესახებ.

ხმარების იშვიათი შემთხვევები ქართული ენის ზოგ დიალექტში (შდრ. ქ ა ლ ი ს • ცოდო-ბრალო, თუმ.; კ ო ბ ა ლ ა ე ს • მაკერელა, ინგილი: წ ყ ა რ ო ს • წყალი, აქარ. და სხვ.)

¹ •-ს დისტრიბუციის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნა ემთხვევა მისი ისტორიული თვალსაზრისით შესწავლის შედეგს.

² შდრ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 262.

³ თ. ს ა ლ ა რ ი ძ ე ერთიმეორის მიხედვითი; ვერაფრის დიდებთი ტიპის მოქმედებითი ბრუნვის ფორმებს ზემოთხსენებულში გამოსაყოფად მიიჩნევს ადამიანისი, კაცისი, ორმოზდათიცი... ფორმებისაგან (დასახ. ნაშრ., გვ. 64).

⁴ ვ. თ ო თ უ რ ი ა, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებანი, კრებულში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, 1956, გვ. 234-238; ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 65; ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 242 და სხვ.

ვ. თოფურის ვარაუდით -ხი დაბოლოება ფუძეუკვეცელ სახელთა ფორმებში რ კ ო ს ი, ხ ბ ო ს ი, ბ უ ს ი და მისთ. არ არის ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსი. იგი შედგენილია ნათესაობითის -ხ და სახელობითი ბრუნვის -ო ფორმანტისაგან. კ ა ლ ო ს ი, ე რ ბ ო ს ი, ყ რ უ ს ი და მისთ. ნანათესაობითარი სახელობითის ფორმებია ისევე, როგორც თ ა ვ ი ს ი, ს ხ ვ ი ს ი, ვ ი ს ი და სხვ. მისი აზრით, ასევე იშლება -თი დაბოლოებაც (წყაროთი, ყრუთი და მისთ.) თ მოქმედებითი ბრუნვის აღმნიშვნელია, -ო ხმოვანი ფუძეუკვეცელ სახელთა მოქმედებითში გაჩენილია ნანათესაობითარი სახელობითის ანალოგიით.⁵

რთულ სუფიქსად მიიჩნეეს ნათესაობითი ბრუნვის -ხი დაბოლოებას აკ. შანიძეც. მისი აზრით, -ხ საკუთრივ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, -ო სახელობითის ფორმანტია. ეს თვალსაზრისი არგუმენტირებულია იმით, რომ მარტივი ნათესაობითი ფორმა იგუებს თანდებულს (შდრ. კაცისა-თვის...), -ო ხმოვანდართულ ნათესაობითთან თანდებული არ იხმარება, არ ითქმის: შოთასი-თვის, პეტრესი-თვის და მისთ. რაც შეეხება მოქმედებითს, იქ -ოთ სუფიქსს, ავტორის ვარაუდით, ხმოვნის დაკარგვის შემდეგ თ'ს მომდევნოდ დაერთო -ო, მაგრამ რა გზით, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.⁶

აღნიშნული საკითხების კვლევას არნ. ჩიქობავამ მიუძღვნა საგანგებო ნაშრომი: „სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში“,⁷ რომელშიაც დადგენილია ნათესაობითი ბრუნვის -ხი და მოქმედებითის -თი ალომორფთა ევოლუცია ძველიდან ახალ ქართულამდე. გარკვეულია, რომ აღნიშნული ალომორფები ისტორიულად წარმოქმნილია ძველ ქართულში ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში წარმოდგენილი შესაბამისი -ახა და -ათა ალომორფებისაგან დიფთონგების გამარტივების ტენდენციისა და ემფატიკური ა'ს -ო ელემენტით შეცვლის შედეგად.⁸ ნათეს. ბრ.: (V-XI სს.) წყარო-ახა-მ > (XII-XVIII სს.) წყარო-ხა > ახ. ქართ. წყარო-ხი... მოქმ.

⁵ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ., გვ. 234-238; მისივე ქართული ენა, განაკვეთი III და IV, 1939, გვ. 42.

ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 65, 67, III და ა. შ.

⁷ დაბეჭდილია კრებულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1956, გვ. 239-264; იხ. აგრეთვე მისი: ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, ქეგლ. ტ. I, 1950, გვ. 040.

არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 239-264.

ბრ.: (V-XI სს.) წყარო-თა > (XII-XVIII სს.) წყარო-თა > ახ. ქართ. „წყარო-თი“...¹

არნ. ჩიქობავა ფუძეუკვეცელ სახელთა **თ** დაბოლოებას ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში (წყაროსი, წყაროთი...), ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანად ერთი წარმომავლობისად მიიჩნევს, **-ხო** და **-თი** ფორმანტთა განუყოფელ ნაწილად თვლის და ფუნქციის მიხედვით ემფატიკური **ა** ხმოვნის ტოლფარდ ოდენობად სახავს. მისი აზრით, ფორმებში: წყაროსი, ბუსი და მისთ. **თ** ისევე არაა სახელობითის ნიშანი, როგორც მოქმედებითი ბრუნვის ფორმას დართული **თ**: წყაროთი, ბუსთი და სხვ. **თ** აღნიშნულ ფორმებში ჩნდება ერთდროულად და ერთსა და მიავე პირობებში. ორსავე შემთხვევაში ამ **თ**-ს უჭირავს ის ადგილი, რომელიც ემფატიკურ **ა**-ს ეკავა (მდრ. XII-XVIII სს. წყაროსა, წყაროთა... ახ. ქართ. წყაროსი, წყაროთი...)²

არნ. ჩიქობავამ XII-XVIII საუკუნეების საერო ლიტერატურისა და ისტორიულ ძეგლთა დიდძალი მასალის განხილვის საფუძველზე აჩვენა, რომ ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში ემფატიკური **ა**-ს ნაცვლად **თ** ჩნდება ფუძეუკვეცელ სახელებში (წყაროსი, წყაროთი...), შემდგომ ვრცელდება ფუძეუკვეცად და თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელებშიც (იმითთ; დიალ. რკინისი, კაცისი...),³ მაგრამ მას არ მოუცია იმის ახსნა, რატომ და როგორ მოხდა ემფატიკური **ა**-ს შეცვლა **თ**-ნით ფუძეუკვეცელ სახელებში: წყაროსა > წყაროსი, წყაროთა > წყაროთი და მისთ.⁴

¹ აღსანიშნავია, რომ თანხმოვნის მომდევნო პოზიციისაში წარმოდგენილ ნათესაობითი ბრუნვის **-ხო** (კაცისა, ძისა...) და მოქმედებითის **-თა** (კაცითა, ძითა...) აღმორფებს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების არცერთ ეტაპზე ცვლილება არ განუცდია.

² არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 262.

³ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 262.

⁴ სპეციალურ ლიტერატურაში ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმათა დაბოლოება **-ხო** (ოქროსი, ელენესი...) ზოგჯერ ინტერპრეტირებულია სხვადასხვაგვარად: ატრიბუტულ კონსტრუქციაში (საათი ოქროსი, წიგნი ელენესი...) შემავალ ფორმათა **-ხო** დაბოლოება განიხილება შედგენილად ნათესაობითის **-ხო** და სახელობითის **-თი** აფიქსისაგან, ზმნური კონსტრუქციის (ემინია ოქროსი, ვრიდება ელენესი...) შემადგენელი სახელური წევრის **-ხო** ელემენტი მიჩნეულია განუყოფელ ერთეულად, **თ** — ემფატიკურ ხმოვნად (ბ. ქორბენაძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მორფოლოგიის ელემენტების ლექსიკონი,

ამ მოვლენის ახსნის ცდა მოცემული აქვს თ. უთურგაიძეს. მისი აზრითაც -სი და -თი განუყოფელი ბრუნვის ნიშნებია. • დაბოლოება ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელების ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში (ოქროსი, ოქროთი...) წარმოშობით არის სახელობითი ბრუნვის ნიშანი, როგორც ვარაუდობენ ვ. თოფურია და აკ. შანიძე, მაგრამ ფუნქციით ემფატიკური ა'ს ტოლფარდია (როგორც ვარაუდობს არნ. ჩიქობავა), სადემარკაციო ელემენტია.⁵

მკვლევარის აზრით, „რადგან სახელობითის /-ი/-ს, მოთხრობითის /-მან/-სა და გავრცობის /-ა/-ს ძველ ქართულშივე მისი განვითარების ყველა ეტაპზე დაკარგული აქვს დეტერმინაციული ფუნქცია, შესაძლებელი გახდა, ერთი მხრით, სახლი დავითისა (მსგავსად სახლი კაცისა შესიტყვებისა) ლიტერატურულ ენაში; მეორე მხრით, სახლი კაცისი (მსგავსად სახლი დავითისი შესიტყვებისა) — დიალექტებში. /-ა/ და /-ა/ ხომ აღარ განარჩევენ საზოგადო და საკუთარ სახელებს. ასეთ ვითარებაში ხინონიმურ ფორმებად იქცნენ დავითისა და დავითისი, ერთი მხრით, და კაცისა და კაცისი, მეორე მხრით. ამ სინონიმურ ფორმებში /-ი/ იძენს /-ა/-ს ფუნქციას. ბრუნების პარადიგმაში რომელიმე წიგნი ელენესი — მოთხრობით ბრუნვაში მოგვეცემს წიგნ-მა ელენესამ, მიცემითში — წიგნ-ს ელენესა-ს... /-ი/-სა და /-ა/-ს პარადიგმაში ერთი ადგილი უკავიათ, ფუძის დამასრულებელი — ისინი გავრცობილ ფუძეებს ქმნიან, ბრუნვის ნიშანი მათ შემდეგ მოდის: წიგნი-ელენესი-თ, წიგნ-მა ელენესა-მ და ა. შ.“⁶

ამგვარად, თ. უთურგაიძის ვარაუდით, არნ. ჩიქობავას თვალსაზრისისაგან განსხვავებით, • ელემენტი საზოგადო სახელთა (როგორც

1988, გვ. 206; ტ. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 39). აღნიშნულ ფორმათა ამგვარი ინტერპრეტაცია, ჩვენი აზრით, არ არის მართებული. ოქროსი, ელენესი და მისთ. ფორმები ახალ ქართულში ბრუნვის ერთ სისტემას განეკუთვნებიან და მათ კვალიფიკაციაც ერთნაირი უნდა მიეცეთ, რომელი კონსტრუქციის წევრებსაც არ უნდა წარმოადგენდნენ ისინი, მით უფრო, რომ ერიდება ელენესი ტიპის შესიტყვებაში სახელური ფორმები საზღვრულგაუჩინარებულ სუბსტანტიურ მსაზღვრელებად შეიძლება განვიხილოთ (თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 62). ქრცხუენის კაცთაგან, ეშინის ღმრთისაგან ტიპის კონსტრუქციები ძველ ქართულში სხვა ენის კალკად მიიჩნევა.

⁵ თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 44, 51, 54 და სხვ.

⁶ თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

თანხმოვანფუძიან, ისე ფუძეკვეცად და უკვეცელ) ნაგენეტივარი სახელობითის ფორმებში (კაცისი, მიწისი, წყაროსი...) დამკვიდრებულია საკუთარი სახელები: და ვ ი თ ი ს ი, ე ლ ე ნ ე ს ი, ტ ი მ ო თ ე ს ი და მისთ. ფორმათა გავლენით ერთდროულად სინონიმურ ფორმებში: კ ა ც ი ს ა / კ ა ც ი ს ი, და ვ ი თ ი ს ა / და ვ ი თ ი ს ი¹ და ბრუნების პარადიგმაში: სახ. ელენესი, მოთხ. ელენესამ და ა. შ. წარმოშობით სახელობითი ბრუნვის ნიშანი იქნის ემფატიკური (მავრცობი) ა ხმოვნის ფუნქციას. იგულისხმება, რომ ნათესაობითის ფორმებიდან **ო** ანალოგიით არის გავრცელებული მოქმედებითში (რკოთი, ბუთი...)²

ჩვენი აზრით, ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითის ფორმებში **ა** მავრცობის ნაცვლად **ო** ელემენტის წარმოქმნის ასახსნელად (შდრ. წყაროსა, რუსა — წყაროსი; რუსი...) საკმარისი არ არის დავითისი, იაკობისი, ელენესი, ტომოთესი და სხვ. საკუთარ სახელთა ანალოგიაზე მითითება. ასეთი ინტერპრეტაციისას ასახსნელი რჩება: საკუთარ სახელთა გავლენით რატომ არ დამკვიდრდა **ო** ფუძეთანხმოვნიან და კვეცად საზოგადო სახელთა ნათესაობითის ფორმებშიც: კაცისა, მთისა, ტყისა და სხვ. როგორც ცნობილია, საზოგადო სახელთა ნათესაობითში თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში **ი**- მავრცობიან ფორმანტი — **-ისი** (კაცისი, მთისი, ტყისი...) არ არის დამახასიათებელი ქართული სამწერლო ენისათვის მისი განვითარების არც ერთ ეტაპზე. იგი არაა ნიშანდობლივი არც ქართული ენის დიალექტთა დიდი ნაწილისათვის, ჩვიდმეტი დიალექტური ერთეულიდან — თორმეტისათვის, მათ შორის ცენტრალური დიალექტებისათვის — ქართლურისა და კახურისათვის.

ვარაუდი იმისა, რომ ნათესაობით ბრუნვაში **-ისი** ალომორფი (კაცისი, მეფისი...) ისტორიულად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ქართული ენის ყველა დიალექტისათვის, დამაჯერებელი არ არის და ძნელი დასაბუთებელია.³ ასეთი დაშვებისას აუხსნელი

¹ ავტორს შეეძლო მოეყვანა ნანათესაობითარ სახელობითში ფუძეუკვეცელ სახელთა სინონიმური ფორმების ნიმუშებიც საშუალი ქართულის ტექსტებიდან: ო ქ რ ო ს ა / ო ქ რ ო ს ი, მ ა რ მ ა რ ი ლ ო ს ა / მ ა რ მ ა რ ი ლ ო ს ი და მისთ.

² ამთავითვე უნდა შეგნიშნოთ, რომ სხვადასხვა ხისტემის (ხალიტერატური და დიალექტური) მონაცემთა ერთ დონეზე განხილვა ჩვენი აზრით, უმართებულაა.

³ ამ დებულების მტკიცება არც არის მოცემული თ. უთურგაიძის დასახელებულ ნაშრომში.

რჩება: ა) თუ გვექონდა, რატომ გაქრა -ისი (პურისი, ციხისი...) დიალექტთა დიდ უმრავლესობაში, როცა -ხი ალომორფი (წყაროსი, ყრუსი...) ამჟამადაც საზოგადოდ დაცულია საერთო ქართულში? ბ) რატომ არ აისახა -ისი ალომორფით წარმოქმნილი ნათესაობითის ფორმები (ხარისი, რძისი და მისთ.) სამწერლო ენაში? (შდრ. კუბოსი, ამირან.-დარ., ოქროსი, ვირს., შაჰ.-ნ. და სხვ.)⁴

აღნიშნული თვალსაზრისისათვის არგუმენტად არ გამოდგება თანხმოდანფუძიან და კვეცად სახელთა ნათესაობითის ფორმებში ემფატიკური • ხმოვნის არსებობა ქართული ენის ზოგ დიალექტში — ზემომიერულში, ფშაურში, თუშურში და სხვ. (შდრ. კაცისი. მიწისი, მზისი და მისთ.). ხ ს ე ნ ე ბ უ ლ დ ი ა ლ ე ქ ტ ე ბ შ ი ნ ა თ ე ს ა - ო ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი ა რ დ ა ს ტ უ რ დ ე ბ ა ფ უ ძ ე უ კ ვ ე - ც ე ლ ს ა ხ ე ლ თ ა ს ი ნ ო ნ ი მ უ რ ი ფ ო რ მ ე ბ ი : წ ყ ა რ ო - ს ა / წ ყ ა რ ო ს ი , ბ უ ს ა / ბ უ ს ი და მისთ., როცა ჩვეულებრივია ფუძეთანხმოვნის და კვეცად სახელთა პარალელური ვარიანტები: ცხვრისა / ცხვრისი, მთისა / მთისი, მზისა / მზისი და სხვ. უნდა გვექონოდა: წყაროსა / წყაროსი, ბუსა / ბუსი ტიპის სინონიმური ფორმებიც, თუ აღნიშნულ დიალექტებში ნათესაობით ბრუნვაში საზოგადო სახელებთან: კუსი, პურისი, რძისი... • ელემენტი ემფატიკური ას ნაცვლად დამკვიდრებულია საკუთარ სახელთა ნაგენეტივარ ფორმებთან: დ ა ვ ი თ ი ს ი , ე ლ ე ნ ე ს ი და მისთ. გათანაბრების ტენდენციის შედეგად, ე. ი. თუ ემფატიკური ას ნაცვლად • საზოგადო სახელთა ნათესაობითში — როგორც ფუძეუკვეცელ, ისე თანხმოდანფუძიან და კვეცად სახელებთან (წყაროსი, კაცისი, მიწისი...) ერთდროული წარმონაქმნია და ა—• მონაცვლეობას ამ ფორმებში ერთდაიგივე მიზეზი განაპირობებს.⁵

⁴ სათანადო არგუმენტაციის უქონლობის მიუხედავად, რომ დავუშვათ კიდევ ქართული ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე მის ყველა დიალექტში ემფატიკური ის არსებობა საზოგადოდ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში ყველა პოზიციაში (ყველასი, ძროხისი, წყაროსი და მისთ.), ახალ ქართულში მისი (• ელემენტის) შემონახვა მხოლოდ ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითში (ოქროსი, ყრუსი...), იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ ა—• პროცესის კერა აქ გვევლუვა (ამის შესახებ დაწერილებით ქვემოთ).

⁵ აღსანიშნავია ისიც, რომ დ ა ვ ი თ ი ს ა / დ ა ვ ი თ ი ს ი , მ ა რ ი ა მ ი ს ა / მ ა რ ი ა მ ი ს ი ტიპის საკუთარ სახელთა პარალელური ფორმები ახალ ქართულში არ წარმოადგენენ სინონიმურ ვარიანტებს. ისინი ახალ ქართულსა და

მაშასადამე, ახალ ქართულში ფუძეუკვეცელ საზოგადო სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში: ოქროსი, კუხი... -სი ალომორფის ჩამოყალიბება საშუალო ქართულის -ხა ალომორფის ნაცვლად (შდრ. ტახტი ოქროხა, ნაბიჯი კუხა...) ვერ აიხსნება საკუთარ სახელთა: იაკობისი, მარიამისი, ალექსანდრესი და მისთ. ფორმებთან გათანაბრების ტენდენციით. საზოგადო სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში ემფატიკური ა's ნაცვლად o საერთო-ქართულში: წყაროსი, ბუსი... და დიალექტებში: ძმრისი, ცისი, ტყისი... სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის წარმონაქმნია. ფუძეუკვეცელ საზოგადო სახელთა

საშუალო ქართულის გვიანდელ საფეხურზე ისევე, როგორც ქართული ენის თანამედროვე დიალექტებში ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც ფუძეთანხმოვნისი და o- ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელები სათანადო ბრუნვის ნიშნებით: -ახა/-ხი და ბრუნების სხვადასხვა პარადიგმის წევრები არიან. ამ რიგის სახელები ხსენებულ ქვესიტემებში ექვემდებარება ნათესაობითის ალომორფთა განაწილების საერთო წესს: - Ceba/-Vbo. -ახა და -ხი დაბოლოება ნათესაობითში ისევე, როგორც -ათა და -თი მოქმედებითი o- ხმოვანფუძიან სახელებთანაც კვეცა-უკვეცლობას უკავშირდება (Howard Aronson, Towards a formal analysis of the georgian declension, "general Linguistics", № 9, 1969, გვ. 177. ვიმოწმებთ თ. უთურგაძის დასახელებული ნაშრომის მიხედვით). ამ დებულების საწინააღმდეგო არგუმენტად არ გამოდგება ფუძის ბოლოკიდური o ხმოვნის არსებობა დერვივაციულ ფორმებში: მეჩაე. საჩაე (შდრ. ტყის, ბინის... - შეტყევე, საბინაო და მისთ.) და არც o- ფუძეხმოვნის ანთროპონიმთა ნათესაობითის -ახა-აფიქსიანი ფორმები: გიორგახა, აკაკახა და მისთ. აღნიშნული ანთროპონიმები დიალექტებში გვხვდება თანხმოვანფუძიანი სახითაც: გიორგმა, აკაკმა და სხვ. გიორგი-მ, გიორგი-მ, გიორგის, გიორგ-ისა.. ტიპის პარადიგმა ბრუნების სხვადასხვა სისტემის შერევის შედეგია. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ანთროპონიმები შეიძლება იკვეცებოდეს, დიალექტთა იმ მცირე ჯგუფისათვის კი (ზ. იმერ., ფშავ., თუშ. ...), რომელთაც ემფატიკური o ახასიათებს ფუძეთანხმოვნისი და კვეცად სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებშიც (აკაკისი, კაციოთა...), დამატებითი წესია ჩამოსაყალიბებელი (შდრ. თ. უთურგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 56). დ ა ვ ი თ ი ს ი / დ ა ვ ი თ ი ს ა . ი ა კ ო ბ ი ს ი / ი ა კ ო ბ ი ს ა ტიპის ფორმები არ მომდინარეობენ ძველი ქართულიდან. ისინი ახალ ქართულში კვეცა-უკვეცლობის საერთო წესის მიხედვით ჩამოყალიბებული ფორმებია.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძველი ქართული ენის ძეგლებში, როგორც ცნობილია, საზოგადო სახელთა გვლენით საკუთარ სახელებთან დასტურდება სახელობითისა და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნები, ემფატიკური ა's ხმარების შემთხვევები ირიბ ბრუნვათა ფორმებში: დავითა, დავითშან, დავითხა და მისთ., მაგრამ არ ხდება პირიქით - საკუთარ სახელთა გავლენით ნანათესაობითარ სახელობითში საზოგადო სახელთა ფორმები: კაცხისი, მთისი, მეფეხი და მისთ. არ დასტურდება არც ძველ ქართულსა და არც მომდევნო საუკუნეების სამწერლო ენაში. მაშასადამე, არც ამ თვალსაზრისით არის მოსალოდნელი აღნიშნული პროცესი გვერდის ქართული ენის დიალექტებში.

ნათესაობითის ფორმებში -ხა > -ხი პროცესი (წყაროხა > წყარო-
ხი...) საერთო-ქართულში წინ უსწრებს დიალექტურ -ხა > -ხი
(მტრედხა > მტრედხი, ყანხა > ყანხი...) პროცესს, როგორც სრუ-
ლიად სამართლიანად ვარაუდობს ამას არნ. ჩიქობავა.¹

ნათესაობით ბრუნვაში -ხი ალომორფის (ხაქოხი, კუხი...) სიძვე-
ლეზე დიალექტურ -ხი ალომორფთან (პურხი, მუხი, რუხი...) შედარებით მიუთითებს: ა) -ხი ალომორფის (კალოხი, რუხი...) გა-
ვრცელების მასშტაბი — მისი არსებობა საერთო-ქართულში: სამწერ-
ლო ენასა და დიალექტებში². ბ) -ხი ალომორფის სტაბილურობა —
მისი ამოსავალი ვარიანტის -ხა'ს (მდრ. საშ. ქართ. ნათეს. კალოხა,
ბუხა...) უქონლობა ახალ ქართულში.³

-ხი ალომორფის შეზღუდული გავრცელება — მისი დადასტუ-
რება ქართული ენის მხოლოდ ზოგ დიალექტში (ზემოიმერულში,
აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში...) და, რაც არსებითია,
აღნიშნულ დიალექტებში ნათესაობითის ფორმებში თანხმოვნის მო-
მდევნო პოზიციაში -ხა/-ხი თავისუფალი ვარიანტების (კაცხა/კა-
ციხი, მიწხა/მიწიხი...) არსებობა -ხი ალომორფის შედარებითი სი-
ახლის მანიშნებელია. ამასვე მოწმობს ხსენებულ დიალექტებში -ხა
ალომორფით წარმოქმნილ ფორმათა (კაცხა, მთხა, კლდხა...) სტატი-
სტიკური უპირატესობა -ხი ვარიანტით ნაწარმოებ ფორმებ-
თან (კაციხი, მთიხი, კლდიხი...) შედარებით.

ამგვარად, ა—ი პროცესის განხილვა დინამიკაში, ჩვენი აზრით,
უდავოს ხდის, რომ ემფატიკური ი ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესა-
ობითის ფორმებში (ოქროხი...) უფრო ძველი წარმონაქმნია, ვიდრე
ფუძეთანხმოვნის და კვეცად სახელთა ნათესაობითის ფორმებში
ქართული ენის ზოგ დიალექტში (ვაზიხი, მიწიხი...).

ასახსნელი რჩება საკითხი: საშუალო ქართულის სამწერლო ენი-
სათვის დამახასიათებელი ნათესაობითი ბრუნვის -ხა/-ხა (კაცხა,

¹ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 261; რკინისი, კაციხი, მეფისი...
წარმოებას ფშაურში ახალ მოვლენად მიიჩნევს ალ. ლეკიაშვილი. იხ. მისი,
ივრისხევეური ფშაური: სტუდ. სამეცნ. შრ. კრებ., I, 1941, გვ. 163.

² გამონაკლისს წარმოადგენს ხევსურული და მთხურული, სადაც არქაული
ვითარებაა დაცული.

³ ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითის ფორმებში: -ხა/-ხი მონაცვლეობა
(წყაროხა/წყაროხი...) განვლილი ეტაპია. იგი საშუალო ქართულისათვის არის
დამახასიათებელი.

წყაროხა...) და მოქმედებითის -**თა**/-**თა** (კაცთა, წყაროთა...) ალომორფებიდან ახალ ქართულში — სამწერლო ენასა და დიალექტებში — რატომ შეიცვალა საყოველთაოდ -**ხა** და -**თა** აფიქსები -**ხი** და -**თი** ვარიანტებით (შდრ. საშ. ქართ. წყაროხა, წყაროთა... ახ. ქართ. წყაროხი, წყაროთი...), რატომ შემოინახა -**ისა** და -**ითა** ალომორფები? (შდრ. საშ. ქართ. კაცისა, კაცითა...).

რა ახასიათებს სპეციფიკური და საერთო, ერთი მხრივ, ნათესაობითის -**ხა** და მოქმედებითის -**თა** ალომორფებს და, მეორე მხრივ, ამავე ბრუნვათა -**ისა** და -**ითა** აფიქსებს, რამაც განაპირობა -**ხა** და -**თა** ალომორფების შეცვლა -**ხი** და -**თი** ვარიანტებით და -**ისა** და -**ითა** ალომორფთა შენარჩუნება აღნიშნულ სისტემებში?

როგორ, რა გზით განხორციელდა აღნიშნული ცვლილებები: -**ხა** > -**ხი**, -**თა** > -**თი**?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში სათანადოდ -**ხა** და -**თა** აფიქსები საშუალ ქართულში ჩამოყალიბდა დიფთონგების გამარტივების საერთო ტენდენციის შედეგად¹: ძვ. ქართ. წყაროხსაჲ, წყაროთსა... > საშ. ქართ. წყაროხა, წყაროთა...². ამგვარი ცვლილების შედეგად ქართულში მოიშალა ოპოზიცია ბრუნების პარადიგმის გარკვეულ წევრებს შორის: ერთი მხრივ, ნათესაობითისა და მიცემითის და, მეორე მხრით, მოქმედებითისა და ვითარებითი ბრუნვის ფორმათა შორის. ნათესაობითი ბრუნვის ალომორფი -**ხა** (<-**ისა**) დაემთხვა მიცემითი ბრუნვის -**ხა** ალომორფს, მოქმედებითი ბრუნვის -**თა** (<-**ითა**) ალომორფი — ვითარებითის -**თა** აფიქსს,³ ამასთანავე

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, თბილისი, 1930, გვ. 31, მ ი ს ი ვ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 65; ა რ ნ. ჩ ი ქ ბ ა ე ა, დასახ. ნაშრ., გვ. 240, 243 და ა. შ.

² ნათესაობითის ო ქ რ ო ს ა, კ უ ს ა... და მოქმედებითის ო ქ რ ო თ ა, კ უ თ ა და მისთ. ფორმებს ვერ მივიჩნევთ მიღებულად ო ქ რ ო ი ს ა, კ უ ი ს ა... ო ქ რ ო ი თ ა, კ უ ი თ ა რიგის ფორმებისაგან (ამგვარი ფორმები, როგორც ცნობილია, ფიქსირებულია საშუალო ქართულის ძეგლებში, დამახასიათებელია ქართული ენის ზოგი თანამედროვე დიალექტისთვისაც). ასეთი ვარაუდის შემთხვევაში ასახსნელია -**ისა**, -**ითა** აფიქსთა ო ხმოვნითი ელემენტის რედუქციის ფაქტი.

³ ვითარებითი ბრუნვის ალომორფები ახალ ქართულში (არის საფუძველი ვიფიქრო, ქართული ენის განვითარების უფრო ადრეულ ეტაპზე) — ცოცხალ მეტყველებაში, ზანურის მსგავსად, ყველა პოზიციამი წარმოდგენილია ყრუ თანხმოვანი კომპონენტით: -ათა'-თა' (კაცათ, ყრუთ; კაცათაც, ყრუთაც... თ.

მრავლობითის -თა ფორმანტს.⁴ წყაროსა, ბუსა და მისთ. საშუალო ქართულში მიცემითის ფორმაცაა და ნათესაობითისაც,⁵ ასევე წყაროთა, ბუთა და სხვ. ცოცხალ (ზებირ) მეტყველებაში შეიძლება იყოს მოქმედებითი ბრუნვის ფორმაც და ვითარებითისაც. აზრის გასაგებად საჭირო ხდება კონტექსტის ანალიზი.⁶

ამგვარად, დიფთონგების მოშლის შედეგად ქართულში დაირღვა ბრუნების სისტემაში. არსებული პრინციპი — თითოეული ბრუნვის გამოხატვა სპეციფიკური აფიქსით, რამაც ენის ფუნქციონირებისათვის გარკვეული დაბრკოლება შექმნა ამ სფეროში.

ამგვარმა ვითარებამ ქართულში დიდხანს ვერ გასტანა. ომონი-მური ფორმების გასარჩევად, სემანტიკური აღრევის ასაცილებლად ბრუნების სისტემაში კვლავ ხდება ცვლილება. ენაში უკვე არსებული მოდელის — ნანათესაობითარ სახელობითში -სი⁷ზე დაბოლოებული სახელების: ალექსანდრისი/ალექსანდრესი, დავითისი, თავისი, იმისი, სხვისი და მისთ. გავლენით ფუძე-

უთრგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 127-128. შდრ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1970, გვ. 61). მისი გამოხატვა -ად⁸ა⁹ად¹⁰ საბით ძველისძველ ლიტერატურულ ტრადიციას ემყარება.

აუსლატში მელერ ხშულთა დაურეების პროცესი ქართულში, როგორც ცნობილია, დაწყებულია დიდი ხნის წინათ. ამ მოვლენის ამსახველი ფაქტები (ზეყაშ, მთაშ, ცნებაშ და მისთ.) დამოწმებულია ძველ ქართულში — IX-X და შემდგომ საუკუნეების წერილობით ძეგლებში (ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98, 101, 130...).

⁴ მრავლობითის ფორმები ამ შემთხვევაში არ უნდა თანაშობდეს არსებით როლს. ახალ ქართულში — ცოცხალ მეტყველებაში მრავლობითი რიცხვის წარმოება -თა აფიქსით არ არის პროდუქტული. ამიტომ ვითარებითისა და მრავლობითის ფორმათა დამთხვევა აქ, ჩვეულებრივ, მოსალოდნელი არ არის.

⁵ ნათესაობით ბრუნვაში ამგვარი ვითარება წარმოიქმნება პოსტობიექტურ სუბსტანტიურ მსაზღვრელთან. ნანათესაობითარი მომდევნო მსაზღვრელის ადგილი, როგორც ცნობილია, არ არის ფიქსირებული. იგი შეიძლება უშუალოდ მოსდევდეს საზღვრულს, იყოს გათიშული მისგან წინადადების სხვა წევრებით, ან წარმოადგენილი იყოს განკალკევებულად. წინადადების სხვა წევრს წარმოადგენდეს, რის შედეგადაც სუსტდება კავშირი მსაზღვრელ-საზღვრულს შორის. ფუძეუფვეცელ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმათა დამთხვევა მიცემითის ფორმებთან კიდევ უფრო აბრთვლებს მდგომარეობას, ხელს უწყობს აზრის გაბუნდოვანებას.

⁶ ფორმათა ამგვარი დამთხვევის გამოა, რომ საშუალო საუკუნეების ძეგლთა გადამწერებს ერევათ ხმოვანფუძიან სახელთა მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები. ასეთი აღრევა დასტურდება „ვეფხისტყაოსნის“ და „ვისრამიანის“ ტექსტებში (ალ. კინჭარაული, ზოგი სადავო ადგილის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“ ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით, იყ. XV, 1966, გვ. 63-78).

უკვეცელ სახელთა ნათესაობითის ფორმებში ალომორფი -ხა იცვლენ -ხა-ბა;¹ წყაროსა > წყაროსი.² ემფატიკურ ხმოვნად რეინტერპრე-

¹ აღსანიშნავია, რომ ომონიმურ ფორმათა — ნათესაობით-მიცემითისა და მოქმედებით-ვითარებითის განსხვავების ტენდენცია საშუალო ქართულშივე ისახება. ამ ეპოქის ძეგლებში -ხა და -ხა ალომორფებთან ერთად ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებით ბრუნვის ფორმებში სპორადულად დასტურდება -ხა და -ხა ვარიანტებიც (ბრუნვითა შესაბამისად); ოქროსი, (ვისრ., შპა-ნ.); კარი კუბოსი (ამირ.-დარ.), მარპარალოსი (რუსულ.); ოქროსი აშენებული (იქვე) და სხვ. (სათანადო ილუსტრაციები ვრცელად წარმოდგენილია ზემოთ).

² მაშასადამე, ჩვენი მოსაზრების მიხედვითაც ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებით ბრუნვის ფორმებში ას ნაცვლად წარმოდგენილი ი ფუნქციით ემფატიკური ხმოვანია, -ხა და -ხა აფიქსების განუყოფელი, ორგანული ელემენტი, ხოლო წარმოშობით სახელობითი ბრუნვის ნიშანია, როგორც ვარაუდობს თ. უთურგაძე. სინონიმური ფორმები: კუბოსა (ამირ.-დარ.) / კუბოსი (ამირ.-დარ.), ოქროსა (ამირ.-დარ., შპა-ნ.) / ოქროსი (ვისრ., შპა-ნ.) და სხვ., ასევე ფორმათა პარადიგმატული მონაცვლეობა: წყაროსი, წყაროსამ, წყაროსას და მისთ. ხელს უწყობს წარმოშობით სახელობითი ბრუნვის ნიშნის -ის რეინტერპრეტაციას ემფატიკურ ხმოვნად (თ. უთურგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 60).

სინქრონულ დონეზე წყაროსი, კუსი... დიალ. პურისი, მიწისი და მისთ. ფორმებში ი ემფატიკური ხმოვანია, და არა სახელობითი ბრუნვის ნიშანი (სახელობითის აფიქსი ამ ფორმებში წარმოდგენილია ნულის სახით: წყალ-ი წყაროსი-ი. შდრ. ქულ-ი კაცისა-ი...). ის ამგვარ ინტერპრეტაციას მხარს უჭერს შემდეგი ფაქტები:

ა) ის უკავია ის ადგილი, რომელიც ემფატიკურ ას ეკავა: წყაროსა > წყაროსი; პურისა > დიალ. პურისი. წყაროსი; დიალ. პურისი და მისთ. ფორმებს ვერ მივიჩნევთ მიღებულად ფუძეუკვეცელთა: წყალი წყაროსა-ი, სახლი ხისა-ი როგის ფორმებიდან (ამგვარი სინტაგმები დასტურდება დიალექტებში). სახელობითი ბრუნვის ნიშანი ისევე, როგორც ყველა სხვა მხოლოდ ხმოვნით წარმოდგენილი აფიქსი, ვერ კვეცს ფუძისეულ ხმოვანს. ვარაუდი იმისა, რომ სახელობითის ი ერთვის ნათესაობითის ა- ხმოვანმოკვეცილ ფორმებს: წყალი წყაროს, სახლი ხის... (შდრ. წყალმა წყაროსამ, სახლმა ხისამ; წყალმა წყაროსამ, სახლმა ხისამ...) საქმის ვითარებას ვერ ცვლის. სახელობითის ნიშანი ასეთ შემთხვევაში დაიკავებდა ნულის სახით წარმოდგენილი ემფატიკური ელემენტის ადგილს და ბრუნების პარადიგმაში რეინტერპრეტირდებოდა ემფატიკურ ხმოვნად (შდრ. ფუძეთანხმოვანი — ეს ელემენტით ნაწარმოებ სახელთა ბრუნების პარადიგმა: ბოლნის-ი, ბოლნის-მა, ბოლნის-ს და მისთ. სადაც განსხვავებული ვითარება გვაქვს).

ბ) ი გვაქვს მოქმედებით ბრუნვის ფორმებიც: წყაროთი, ბუთი და სხვა, რომლებიც ქართულ სამწერლო ძეგლებში ნათესაობითის ფორმათა (წყაროსი, ბუის...) თანადროულად ჩნდება. მოქმედებითის ფორმებს დართულს ის, ცხადია, ვერ მივიჩნევთ სახელობითის ნიშნად. ი, როგორც სახელობითი ბრუნვის მოქმედი, ცოცხალი ფორმანტი, არ შეიძლება ვრცელდებოდეს სხვა ბრუნვებში (ამის შესახებ უფრო ვრცელად იხ. ლ. ნოზაძე, პირის სახელთა ბრუნების ერთი ტენდენციის შესახებ ქართულში, წაკითხულია მოხსენებად ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესიანზე, 1987 წ. იბეჭდება იქვე XXVIII ტომში).

ტირებული სახელობითის **o** (ამის შესახებ იხ. ზემოთ) ნათესაობითის ანალოგიით ვრცელდება მოქმედებით ბრუნვაშიაც: -თა > -თი (წყარო-თა > წყაროთი...)³.

შენიშვნა: მაშასადამე, ჩვენი აზრით, -ხა>-ხი (კუსა > კუსი...), -თა>-თი (კუთა > კუთი...) მონაცვლებას განაპირობებს გრამატიკული ომონიმიის აცილების ტენდენცია, -ხი-ზე დაბოლოებული სახელობითის (იაკობისი, ტომოთე-სი...) ან ა ლ ო გ ი თ ფუძეუკვეცელ საზოგადო სახელთა ნათესაობითის ფორმათა წარმოება (რკოსი, რუსი... ნაცვლად რკოსა, რუსა...) შედეგია ამ ტენდენციის მოქმედებისა და არა მიზეზი აღნიშნული ცვლილებებისა.

გ) ახალ ქართულში წინამავალ ნანათესაობითარ მსაზღვრელს, როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებს ხსენებულ ნაშრომში (გვ. 257), სახელობითის **o** არ ეკვეცება: საქმე მის-**o** — მის-**o** საქმე, შდრ. წყალი წყაროს-**o** — წყაროს წყალი. პრეპოზიციულ სუბსტანტიურ მსაზღვრელს, როგორც წესი, **o** არ ერთვის ისევე, როგორც არ ერთვის არც ემფატიკური ა. სხივი შხისა, მაგრამ — შხის სხივი...

დ) ფუნქციურად **o** ემფატიკური ას ფარდია: **o** დაერთვის პოსტპოზიციურ ნანათესაობითარ მსაზღვრელს და ხმავს კონსტრუქციას ისევე, როგორც ემფატიკური ა: იპოვა ბუღე ჩ ი ტ ის ა, ჩამოასხა ქანდაკება ბ რ ი ნ ქ ა ო ს ი, დიალ. ააშენა სახლი ხ ი ს ი... **o** ს აქვს ემფატიკური ას დისტრობუცია. მისი ხმაზეა ისევე, როგორც ასი, თანხვდება პაუზას.

³ ა— მონაცვლეობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განხორციელებულია ნანათესაობითარი სახელობითის ფორმებში ო მ ო ნ ი მ ი ი ს და ს ა ძ ლ ე ვ ა დ: ტახტი ოქრო-ხა-**o** ტახტი > ოქრო-სა > ტახტი ოქრო-სი... სახელობითის წარმოქმნილი ფორმების გავლენით **o** ვრცელდება მოქმედებითაც: მოქედლი ოქროთა > მოქედლი ოქროთი... (ამ გვარი ცვლილებების საფუძველი, როგორც ვნახეთ, არსებობდა ამ ბრუნვაშიაც). დანარჩენ ბრუნვებში, სადაც ეს პირობა არ იყო, ნათესაობითის -ხა ფორმანტი უცვლელი რჩება. შდრ. მოთხ. ტახტ-მა ოქრო-ხა-მ, მიც. ტახტ-სა ოქრო-ხა-სა და სხვ. ნაგენეტიკარ სახელობითში ჩამოყალიბებული ემფატიკური **o** ს ადგილას ამ ბრუნვებში იმავე ფუნქციის მოქმედი, გავრცელებული, ტრადიციით დამკვიდრებული ხმოვანი ელემენტი — ემფატიკური ა გვაქვს. არ იყო მოსალოდნელი **o** სახელობითის ფორმებიდან გავრცელებულიყო ბრუნვების მთელ პარადიგმაზე (შდრ. ქვ. იმერ. სახ. დეიდ **o** *დეიდაი, მოთხ. დეიდამ, მიც. დეიდას, ნათეს. დეიდეს და სხვ.); არც გავრცელებულა ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო და იპიტომაყ, რომ ა— პ რ ო ც ე ს ი ქ ა რ თ უ ლ შ ი ა ხ ა ლ ი ა (ქართული საშუალო ძეგლების მიხედვით ა— მონაცვლეობა ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებითში ძირითადად XVII საუკუნის ბოლოს არის დასრულებული. ზოგ დალექტში, სახელდობრ, ხევსურულსა და მოხეურში ემფატიკური **o** დამკვიდრებული არ არის დღესაც. ამიტომ ქართულ ენაში მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე არა გვაქვს წყაროსი-მ, წყაროსი-ს და მისთ. ფორმები ისევე, როგორც არა გვაქვს არც შოთასითვის, პეტრესითვის და სხვ. (შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 67).

ამგვარი ცვლილებების შედეგად ქართულში გასწორდა პარადიგმა — კვლავ ჩამოყალიბდა ფუძეუკვეცელ სახელთა ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული, ოპოზიციური ფორმები, ერთი მხრით, მიცემითისა (წყაროსა, კუსა...) და ნათესაობითის (წყაროსი, კუსი და, მეორე მხრით, ვითარებითისა (ცოცხ. მეტყვ. წყაროთა, კუთა...) და მოქმედებითის (წყაროთი, კუთი...).

აქ წარმოდგენილი ვარაუდის მიხედვით გასაგები ხდება — საშუალო ქართულის სამწერლო ენისათვის დამახასიათებელი ნათესაობითის -ისა/-ხა და მოქმედებითის -ითა/-თა ალომორფებიდან ახალ ქართულში — სალიტერატურო ენასა და თითქმის ყველა დიალექტში რატომ შეიცვალა საზოგადოდ ემფატიკური ა ხმოვანი ი ელემენტით მხოლოდ -ხა და -თა ალომორფებში (წყაროსა > წყაროსი, წყაროთა > წყაროთი...) და ისიც, რატომ არ განიცადა იგივე ცვლილება ნათესაობითის -ისა და მოქმედებითი ბრუნვის -ითა ალომორფებმა იმავე ქვესისტემებში (შდრ. საშ. ქარ. კაცისა, კაცითა ახ. ქართ. კაცისა, კაცითა...) — -ისა და -ითა ალომორფები არ ირევა სხვა ბრუნვათა აფიქსებში, საშუალო ქართულში ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითის ფორმებში წარმოდგენილი -ხა (<მსა) ალომორფი კი ემთხვევა მიცემითის -ხა აფიქსს, მოქმედებითის -თა (<მთა) ალომორფი — ვითარებითის -თა'ს (ცოცხალ მეტყველებაში). აღნიშნულ აფიქსებში ემფატიკური ა'ს ნაცვლად ი ელემენტის დართვით თავიდან იქნა აცილებული ომონიმია — სხვადასხვა გრამატიკულ ფორმათა დამთხვევა.¹

¹ ომონიმურ ფორმათა — ნათესაობითისა და მიმართულებითის განსხვავების ტენდენციით არის განპირობებული თანამედროვე ინგილოურში არსებული ვითარება — ნათესაობით ბრუნვაში -ისა/-მსა ალომორფების სრული შენაცვლება -ისი/-მსი ალომორფებით. ამგვარი ცვლილებების შედეგად ინგილოურში მკვეთრად იმიჯნება ერთმანეთისაგან ნათესაობითისა (კაცხსა, წყაროხსი...) და მიმართულებითის (კაცხსა, წყაროხსა...) ფორმები (შდრ. გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 88)

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური პროცესი ქართულში დასტურდება სხვა შემთხვევაშიაც, სახელდობრ, ზემოიშერეთისა და ქართლის სასაზღვრო ზონის მკვიდრთა მეტყველებაში გამოიწვლია ერთმანეთისაგან სალიტერატურო ენის ზმნური პარადიგმისათვის დამახასიათებელი ომონიმური ფორმები მრ. რიცხვის მესამე პირისა, ერთი მხრით, წყვეტილსა (დაბერდენ...) და II კავშირებითში (დაბერდონ...) და მეორე მხრით, უწყვეტლსა (ბერდებოდენ...) და კავშირებითში (ბერდებოდონ...). იხ. ლ. ნ. ო. შ. ა. ძე., კავშირებითის ფორმათა წარმოებისათვის ზემოიშერულში, ივე, XXV, 1988, გვ. 173-182.

ენობრივ პროცესში ომონიმიის როლის შესახებ გარკვეული მითითებები გვაქვს

ამგვარად, ჩვენი ვარაუდით, ემფატიკური ა ხმოვნის შეცვლა ო ხმოვნით ქართული ენის ბრუნვათა სისტემაში წარმოქმნილი უნდა იყოს ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში (წყაროსა > წყაროსი, წყაროთა > წყაროთი...) ნათესაობით-მიციმითისა და მოქმედებით-ვითარებითის მსგავს ფორმათა განსხვავებულად. ქართული ენის ზოგ დიალექტში, უფრო ზუსტად, დიალექტთა მცირერიცხოვან ჯგუფში ამგვარ (ი³ზე დაბოლოებულ) სახელთა ანალოგიით (ფორმათა უნიფიკაციის პროცესში) ო არის გავრცელებული თანხმოვანფუძიან და კვეცად სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში² (კაცისი, ძმისი, ტყისი; კაციითი, ძმითი, ტყითი).³

ნაშრომებში: კ. კაკიტაძე, „თევზაობს“, „კურაობს“ ტიპის ზმნათა წარმოებისათვის, X რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, 1988 წლის 20-22 ოქტომბერი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1988, გვ. 34; გ. რ. იმნაიშვილი, ხ კონსონანტი ქართულ დიალექტებში, იქვე, გვ. 33 და სხვ.

-**ისა-ისი** (კაცისა > კაცისი...), -**ითა-ითი** (კაცითა > კაცითი...) პროცესში არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ ბოლოკიდური ო მიღებული იყოს აგან წინამავალ ოთან ასიმილაციის შედეგად. ამგვარ ვარაუდს მხარს უჭერს -**ისი** ნაწილაკის დადასტურება ო ხმოვნის მომდევნოდ (ქალისიფი, კაცისიფი, მთიელ.: **ორმოზდათიფი** ზ. იმერ.), ასევე — ზემოიმერულსა და ზოგ სხვა დიალექტში **ისი** ნაცვალსახელის არსებობა, რომელიც მიღებული უნდა იყოს **ისა**სგან ა ხმოვნის ოთან ასიმილაციით (ლ. ლეჟავა, ზემოიმერულის მისალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, იკვ. IX-X, 1958, გვ. 183. ხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის შესახებ იხ. თ. უთურგაძე, ლ. ქანთარია, ლ. კობიაშვილი, ხმოვანთა ასიმილაცია ქართულში, იკვ. XXXVI, 1987, გვ. 97-137).

-**ისი** დაბოლოების რეტროსპექტული განხილვა საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული დაბოლოება ძველ ქართულში თუ სი. 'ა' მისი, მაგისი, სხუ'სი, ვისი ნაცვალსახელებთან, შესაძლებელია არ არის პირველადი და მიღებულია -**ისა** დაბოლოებისაგან პროგრესული ასიმილაციის შედეგად * თ უ ის ა ა თ უ ის ი, * ა მ ის ა ა ა მ ის ი დას სხვ. (მდრ. ძვ. ქ. იმითა... ა.ხ. ქ. იმითი...), შესაძლოა, ამავე გზით — პროგრესული ასიმილაციით, იყოს მიღებული ო დაბოლოება ფუძეთანხმოვანი პირის სახელთა ფორმებში დავითისი-თ (< დავითისა-თ) იაკობისი-თ (< იაკობის-თ).. და შემდგომ იყო გავრცელებული ხმოვანფუძიან სახელებშიც: ალექსანდრისი, ფოკასი და მისთ. (სპეციალისტთა აზრით, სახელობითი ბრუნვის — ფორმანტი, მოთხრობითის — მან და ირბ ბრუნვათა ემფატიკური ა ხმოვანი წარმოშობით დეტერმინაციული ელემენტია. ასეთი თვალსაზრისისას თუ დასაშვებია დავითისი, დავითისმან და მისთ. ფორმები, დასაშვები უნდა იყოს დავითი, დავითმან, დავითისა-თ, დავითისამან და მსგავსი წარმოებაც.

³ მთის კილოებში თანინი მრავლობითის ნათესაობითის ფორმებში ნეფიონთა,

ნაკოცით და მისთ. ემფატიკური ოს გავრცელებას ხელს უნდა უწყობდეს თ ა ე ი ა ნ თ ი , ი მ ა თ ი , მ ა გ ა თ ი და მსგავსი ფორმები.

ქართული ენის ზოგ დიალექტში ზმნისართებასა და ზმნისართული ფუნქციით გამოყენებულ სახელებში - (I-ის) დაბოლოება (შდრ. დილითა, მაგრათა, მაშვეთა / მაშინვეთა, საქარათა, ღამითა...) ფორმათა უნიფიცირების ტენდენციით უნდა აიხსნას.

დიალექტებში, განსაკუთრებით გურულსა და აპარულში ო ელემენტი ხმოვით დაბოლოებულ ზმნისართებასა და ზოგ სხვა ფორმაუცვლელ სიტყვებში (შდრ. შენა პური ვაგიძლებს რ ა მ ე ს ა ი , რატო ატანდი ფინთ პ უ რ ს ა ი ო , ნაზირ-ვეზირები [იქცევა] მ წ ე ვ რ ე ბ ა თ ა ი ო , მოდი ა ქ ა ი , მოდის ყ ო ვ ე ლ დ ლ ე ი , რატო გალახე ე ვ რ ე ი ო , საწყალი ხ ა ლ ხ ი თ ვ ი ნ ა ი იყო ლობიო და ჰადი, ჩასკდი შენა, ა ნ დ ე ი!.. ქართლ.; ვმეშაობთ ბ ა რ ი თ ა მ , ნ ი ჩ ბ ი თ ა მ , ნ ა მ გ ლ ე ბ ი თ ა მ , კახ.; დავრჩი მ ა რ ტ ო ი , ჭავახ.; მიდი ხ ო მ ე ი , ზ. იმერ.; მ ა რ ტ უ ა ი ამა რას იზამდა, პაწაი ა დ რ ი ე ლ ა ი მევიდა, რ ა ც ხ ა ფ რ ა ი მომბეზარე, მოდიოდა ჩ უ მ ა თ ა ი , ასთე ც ო ც ხ ლ ი თ ა მ უნდა ამოგრათა მეგარათა შენ... გურ.; ტ ვ ე ი ლ ა ი აბრალო, ჩ უ მ ა თ ა თ ა მ ... იყიდა, სულ იმ ღ ა მ ი თ ა მ ვ ი მ უ შ ო , ვადაღობითა... აქარ. და სხვ.) ძირითადად სახელობითის ანალოგიით არის გავრცელებული (გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , ქართული ენის გურული დიალექტის ზოგიერთი თავისებური მოვლენის შესახებ, „მაცნე, № 6, 1966, გვ. 263, შდრ. შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე , აქარული დიალექტი, ბათუმი, 1975, გვ. 128; ტ ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 29 და სხვ.).

ქართული ენის დიალექტებში, განსაკუთრებით აღმოსავლურ კილოებში ო ელემენტი ხმოვინს მომდევნოდ როგორც ფორმაუცვლელ სიტყვებში, ისე ბრუნვად სახელთა სახელობითის ფორმებში უპირატესად გვხვდება საპაუზო პოზიციებში. მისი გამოყოფნა აღნიშნულ შემთხვევებში დიფთონგების წარმოქმნის ტენდენციის ამსაძვლები უნდა იყოს, რომელიც გარკვეული სახით დიალექტებში, როგორც ჩანს, ინერციით კვლავ განაგრძობს მოქმედებას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმებში ფუძისეულ ხმოვანთა უცვლელობა ამავე ტენდენციის მოქმედების შედეგია.

თანდებულებში: დ ა ნ ი , უ ქ ა ნ ი , საფიქრებელია, ო აღტურვილია გამოსვლითობის ფუნქციით, გამოიყენება ამ სემანტიკის გასაძლიერებლად (შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი , ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954, გვ. 227). ინგლოური მონაცემებს თუ გავითვალისწინებთ (შდრ. უკანით მოდის), უ ქ ა ნ ო ა უ ქ ა ნ ი თ . -ის აფიქსთან შესაძლოა კავშირი ჰქონდეს -დანის ისაც.

საშუალო ქართულის ძეგლებსა და თანამედროვე დიალექტებში დადასტურებული თანდებელი მ დ ი ს ი (შდრ. ფ რ თ ა მ დ ი ს ი , ამირ.-დარ., 750, 8; მ. ქ ე უ შ ე მ დ ი ს ი , ვისრ. 82, 21; ბ ე ქ ა მ დ ი ს ი , რუსულ. 429, 23 და სხვ.), უნდა მომდინარეობდეს მ დ ი ს ი ნ ' ა ' ვარიანტისაგან, რომელიც ასევე ფიქსირებულია აღნიშნულ შემთხვევებში (შდრ. სანამდისინ, ამირ.-დარ., 697, 2; პ ი რ თ ა მ დ ი ს ი ნ , რუსულ. 105, 12 და სხვ.); თავის მხრივ, მ დ ი ს ი ნ ' ა ' თანდებელი უნდა წარმოადგენდეს მ დ ი ს მ დ ი ნ ' ა ' (< მ დ ი ს ' + ნ ა ნ ა წ ი ლ ა კ) თანდებულთა კონტამინირებულ ფორმას (ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი , თანდებული ქართულში, იკვ. 1, 1948, გვ. 234). მ დ ი გ ვ ხ ე ბ ა „ვისრამიანში“ (ცამდი, მიწამდი...), „რუსულანაინში“ (მყერამდი) და სხვ. იხმარება თანამედროვე დიალექტებში. მ დ ი ნ თანდებელი დამოწმებულია X საუკუნის (შდრ. თესლამდინ,

ახალ ქართულში — სალიტერატურო ენასა და დიალექტებში ა—ო მონაცვლეობის სხვადასხვა საფეხურია წარმოდგენილი. აღნიშნული პროცესის საწყისი ეტაპი — საშუალო ქართულის ნათესაობითი ბრუნვის -*სხა* / -*ხა* (კაცისა / წყაროხა...) და მოქმედებითის -*თა* / -*თა* (კაცი*თა* / წყარო*თა*...) ალომორფებიდან ემფატიკური ა ხმოვნის ნაცვლად *ო* მხოლოდ -*სი* (<-სა) და -*თი* (<-თა). ალომორფებში (წყაროხი: წყარო*თი*... შდრ. კაცისა: კაცი*თა*...) წარმოდგენილია სამწერლო ენასა და დიალექტთა დიდ უმეტესობაში (ქართლ-კახურში, ქიზიყურში, მესხურ-ჯავახურში, ლეჩხუმურში, რაჭულში და სხვ.).

აღნიშნული მოვლენის შემდგომი, მომდევნო საფეხური — ემფატიკური *ო* ა'ს ნაცვლად -*სი* და -*თი* ალომორფების (რკოხი, რკო*თი*...) გარდა ნათესაობითი ბრუნვის -*სხი* (<-სა) ალომორფშიც (ცხვრისი, რქისი, კლდისი..) დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებშიც — მთიულურ-გუდამაყრულსა, ფშაურსა და თუშურში.¹

პროცესის ბოლო საფეხური ქართული ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე — *ო* ა'ს ფარდად ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში ყველა პოზიციაში — ნათესაობითის -*სი*, -*მსი*, -*სხი* (ოქროხი / ოქრო*მსი*, კაცისი...) და მოქმედებითის -*თი*, -*მთი*, -*თი* ალომორფებში (ოქრო*თი* / ოქრო*მთი*, კაცი*თი*...) წარმოდგენილია ზემოიშვრულსა და ინვილოურში.²

მეფეთამდინ. ზ. ს ა რ ჭ ე ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 115) და შემდგომი ხანის ძეგლებში, დასტურდება ქართული ენის მთელ რიგ დიალექტში.

ხევსურულსა და მთხურში ფუძეუკვეთილ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში, მთის სხვა კილოთაგან განსხვავებით არაუაღი — საშუალო ქართულის ნორმაა დაცული. ა + ო პროცესმა ამ დიალექტებში განვითარება ვერ ჰპოვა. აქ აღნიშნული მოვლენის მხოლოდ ჩანასახი გვაქვს (შდრ. ა. კ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 53).

ქართულ დიალექტთაგან ამ პროცესი შედარებით სრულად ასახულია ინვილოურში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინვილოურისათვის ნათესაობითში -*სხა* დაბოლოება დამახასიათებელი არ არის. აქ -*სხა* / -*ხა* მიმართულებითის ფორმანტია. გენეტური მსაზღვრელი ინვილოურში წარმოდგენილია -*სხი* / -*ხი* დაბოლოებით როგორც საზღვრულის მომდევნო, ისე წინამკვალ პოზიციაში. ინვილოური ამ ნიშნით ავლენს საერთოს ზანურთან.

როგორც ცნობილია, ზანურშიც ნათესაობითის ფორმანტი *ო* ელემენტს ირთავს 'ო'ში (კოჩიში „კაცისა“, კოტუში „კატისა...“), 'ო'ში მიმართულებითის აფიქსია (კოჩიში „კაცისაყენ“, კოტუში „კატისაყენ“...). არნ. ჩიჭობაცას ვარაუდით, *ო* ხმოვანი, რომელსაც ოგი ემფატიკურ ელემენტად მიიჩნევს, ზანურშიც მეორეულია, ა'ს ფარდაა ისევე, როგორც ქართულში წყაროხი, დიალ. კაცისი ტიპის ფორმებში

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ სათანადო არგუმენტებზე დამყარებით გვეჩვენებინა, რომ ქართული ენის დიალექტებში ნათესაობითი ბრუნვის -ხი (ცხვრხი, რძიხი...) და მოქმედებითის -თი (ცხვრთი, რძითი...) ალომორფებში ემფატიკური **ი** ახალი წარმონაქმნია -ხი და -თი (წყაროხი, წყაროთი...) ალომორფებთან შედარებით. -ხა > -ხი და -თა > -თი პროცესი ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში (ოქრხა > ქროხი, ოქრთა > ქროთი...) წინ უსწრებს დიალექტთა მცირე ჯგუფში ფუძეთანხმოვნინი და კვეცადი სახელების ამავე ბრუნვათა ფორმებში -ისა / -ხის, -ითა / -თის (ვაზისა / ვაზისი, ვაზითა / ვზითი...) პროცესს. ქართული ენის ზოგ დ ი ა ლ ე ქ ტ შ ი მ ი მ დ ი ნ ა რ ე ხსენებული პროცესი (მზისა / მზისი, მზითა / მზითი...) ახალია ს ა ე რ თ ო - ქ ა რ თ უ ლ -ხა > -ხი და -თა > -თი (კუსა > კუსი, კუთა > კუთი...) პროცესთან შედარებით, რომელიც ქართული სამწერლო ენის ძეგლების მიხედვით საშუალო (XVII-XVIII) საუკუნეების დასაწყისში იღებს სათავეს და ძირითადად დ ა ს რ უ ლ ე ბ უ ლ ი ა მის ბოლოს **ი** ემფატიკურხმოვნინან ფორმათა დამკვიდრებით.

ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში -ხა > -ხი და -თა > -თი მონაცვლეობას (ბუსა > ბუხი, ბუთა > ბუთი...) ს ა ე რ თ ო - ქ ა რ თ უ ლ შ ი განაპირობებს ომონიმურ ფორმათა გამიჯვის ტენდენცია, დ ი ა ლ ე ქ ტ ე ბ შ ი თანხმოვანფუძიან და კვეცად სახელთა ამავე ბრუნვებში -ისა / -ხის,

(დასახ. ნაშრ., გვ. 259-261).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზანურში ემფატიკური **ი** ნათესაობითის ფორმებში ახ ნაცვლად წარმოქმნილია მიმართულებითის ფორმათაგან განსხვავებული ისევე, როგორც გვაქვს ეს ინგილოურში. ნათესაობითის ფორმებიდან **ი** ანალოგიით (ფორმათა უნიფიკირების ტენდენციის შედეგად) არის გავრცელებული სხვა ბრუნვებშიც (ზანურში სხვაობას მიცემითისა და ნათესაობითის ფორმებს შორის ხმოვანფუძიან სახელებთან ბრუნვის ფორმანტთა თანხმოვნითი ელემენტები ქმნიდა. მიც. *ბალუსა („ბელუსა“) – ნათ. *ბალუმა („ბელისა“) < *ბალუმა.

ზანურში ისტორიულად ემფატიკური ახ არსებობაზე მიგვანიშნებს ნათესაობითისა და მოქმედებითში **ი/ე**- ელემენტთან ფორმათა არსებობა თანამედროვე მეგრულსა და ჰანურში. მეგრ.-ჰან. ნათეს.: კოჩიში; მოქმ.: მეგრ. კოჩითი, ჰან. კოჩითი... (როგორც ცნობილია, საერთო-ქართველურ სუბსტანტივებსა და სახელურ აფიქსთა აბსოლუტურ ბოლოში არსებულმა **ა** ფონემამ ზანურში არ განიცადა კანონზომიერი დეაფიქვა ო ხმოვანში, იგი ამ პოზიციაში უცვლელად იქნა შემონახული. Г. А. К л и м о в, Опыт реконструкции фонемного состава общекартвельского языка-основы (ИАН СССР; Отд. лит. и яз., 1960, XIX, I, გვ. 23).

-თა / -თი ალომორფთა მონაცვლეობა კი (მტრედისა / მტრედისი, მტრედითა / მტრედითი...) წარმოქმნილია შემდგომ სხვა გზით — ფორმათა უნიფიკაციის ტენდენციის მოქმედების შედეგად. -სი და -თი^{ზე} დაბოლოებული სახელების ანალოგიით საზოგადო სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში ა- მავრცობიანი ფორმანტების ნაცვლად ინიანი აფიქსების ჩამოყალიბება (შდრ. ს. ქართ. წყაროსი, წყაროთი... დიალ. პურისი, პურიითი...) შედეგია აღნიშნულ ტენდენციათა (ომონიმების დაძლევის, ფორმათა უნიფიკაციის) მოქმედებისა.

შეიძლება დავასკვნათ: საშუალო ქართულის (XII-XVIII სს.) საერო ლიტერატურისა და ისტორიულ ძეგლებში, როგორც ცნობილია, ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში წარმოდგენილია -სა აფიქსი (წყაროსა, კუსა...), მოქმედებითში — -თა (წყაროთა, კუთა...). ახალ ქართულში აღნიშნულ ფორმებში ემფატიკური ა ხმოვნის პოზიცია უკავია ი ელემენტს (ნათეს. წყაროსი, კუსი; მოქმ. წყაროთი, კუთი...). სპეციალურ ლიტერატურაში ი, ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანად კვალიფიცირებულია ემფატიკურ ხმოვნად (არნ. ჩიქობავა, თ. უთურგაიძე...).

ქართული ენის დიალექტებში აღნიშნულის გარდა ემფატიკური ი დანტურდება სხვა პოზიციაშიც. სახელდობრ, აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში — მთიულურ-გუდამაყრულში, ფშაურში, თუშურში ემფატიკური ი ფიქსირებულია თანხმოვანფუძიან და კვეცად სახელთა ნათესაობითის ფორმებშიც — -ისი ალომორფში (ცხვრისი, მთისი, ტყისი...), ზემოიმერულსა და ინგილოურში — როგორც ნათესაობითი, ისე მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში ყველა პოზიციაში: ფუძეუკვეცელ, კვეცად და თანხმოვანფუძიან სახელებთან, ალომორფებში: -სი, -სი, -ისი (ოქროსი, დანაჰსი, კაცისი...) და -თი, -თი, -ითი (ოქროთი, დანაჰთი, კაცითი...).

მოვლენის ანალიზი ცხადს ხდის, რომ ემფატიკური ა'ს შეცვლა ი ელემენტით წარმოქმნილი უნდა იყოს საშუალო ქართულში დიფთონგების მოშლის ტენდენციის შედეგად ფუძეუკვეცელ სახელთა ბრუნების სისტემაში ჩამოყალიბებული ომონიმურ ფორმათა (მიცემით-ნათესაობითისა და ვითარებით-მოქმედებითის) გასამიჯნად: საშ. ქართ. წყაროსა მიც. / წყაროსა ნათ. (< ძვ. ქართ. წყაროსაჲ); წყაროთა ვით. / წყაროთა მოქმ. (< ძვ. ქართ. წყაროთა...), შდრ. ახ. ქართ. წყაროსა მიც. — წყაროსი

ნათ.; წყაროთა ვით. (ცოცხ. მეტყვ.) — წყაროთი მოქმ.

აღნიშნული მონაცვლეობა (ა—ი) თავდაპირველად უნდა განხორციელებულიყო ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითის ფორმებში -ხიზე დაბოლოებული სახელების: ტიმოთმხი, ტომოთეხი, მარიამხი, თავიხი, 'ი'მიხი და მისთ. გავლენით. ი აქედან არის გადასული მოქმედებითში.

ქართული ენის ზოგ დიალექტში ემფატიკური ი ვრცელდება სხვა პოზიციაშიც — თანხმოვანფუძიან და კვეცად სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში — -ისა და -ითა ალომორფებში (კაციხა / კაციხი; კაციითა / კაციითი...).

ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში ა—ი მონაცვლეობის სხვადასხვა სტადიაა წარმოდგენილი.

სახელობითი ბრუნვის მორფემასთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართველურ ენებში*

სახელობითი ბრუნვა, როგორც ცნობილია, ერთი იმათგანია, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ყველა ქართველური ენის ბრუნების სისტემისათვის.¹ საერთოა ამ ბრუნვის ძირითადი ფუნქციებიც — იგი აღნიშნულ ენებში სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ბრუნვაა (ზოგჯერ მას სუბიექტურ-ობიექტურ ბრუნვას უწოდებენ).² გარდა ამისა, სახელობითი გამოიყენება მიმართვისათვის ბრუნების იმ სისტემებში, რომლებშიც ამ ფუნქციით (მიმართვა-დაძახება) არ ჩამოყალიბებულა სპეციფიკური ფორმა — წოდებითი ბრუნვა.³ ასეთი ვითარება გვაქვს სვანურსა და ზანურში (მეგრულ-ლაზურში) საზოგადოდ ყველა სახელთან, ქართულში — მხოლოდ ადამიანის საკუთარ სახელებთან (ანთროპონიმებთან).

თანამედროვე ქართველურ ენებში სახელობითი ბრუნვა რამდენადმე განსხვავებულია ერთმანეთისაგან გამოხატულების პლანში, კერძოდ:

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სახელობითი ბრუნვის მორფემა, როგორც ცნობილია, წარმოდგენილია ფონოლოგიურად შეპირობებული ორი ალომორფით: /-ი-/|0/.⁴ /-ი/ დასტურდება თანხმოვნის მომდევნოდ (კაც-ი, მგელ-ი, თოხ-ი...), |0/ — ხმოვნის მომდევნოდ (მთა-0, ხე-0, წყარო-0, კუ-0, ჩაი-0, გიორგი-0...).

* წაკითხულია მოხსენებად ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1992 წ. სტატია პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში: „იკე“, XXXIII, 1995, გვ. 43-62.

¹ აქ განსახილავი საკითხისათვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა სახელობითი ბრუნვის ძ-ნიშნთან ფორმას მივიჩნევთ ჩამოყალიბებულად საერთო-ქართველურ ფუძენაში, თუ წარმოქმნილად მისი დაყოფის შემდეგ დამოუკიდებლად ცალკეულ ქართველურ ენაში განვითარების საერთო ტენდენციისა და საერთო მატერიალური მასალის ბაზაზე.

² Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962, გვ. 29 და სხვ.

³ ეს ფაქტი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გადაწყვეტს როლს თამაშობს ქართველურ ენებში გარკვეული ტიპის ბრუნების პარადიგმის ჩამოყალიბების პროცესში.

⁴ სახელობითი ბრუნვის მორფემა ძველ ქართულსა და თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში, როგორც ცნობილია, რიგი თავისებურებით ხასიათდება. აშკარად მასზე არ შევჩერდებით. იგი ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის ახალს არაფერს იძლევა.

ცნობილია, ისიც, რომ ქართულში არა გვაქვს • ხმოვანზე ფუძე-დაბოლოებული ეროვნული (არანასესხები) საზოგადო სახელები. გარკვეულია მიზეზიც: ქართულს ისტორიულად ახასიათებს ძლიერი ტენდენცია ბოლოკიდური • ხმოვნის მოკვეცისა მისი სახელობითის ფორმანტად გააზრიანების გამო.¹

მაგრამ, ამავე დროს, საზოგადო სახელებში განხორციელებული პროცესის საპირისპიროდ, თანამედროვე ქართულში — სამწერლო ენაში, სასაუბრო მეტყველებაში, ქართული ენის მთელ რიგ დიალექტში არის მძლავრი ტენდენცია ბოლოთანხმოვიან პირის სახელებში — ანთროპონიმებში • ხმოვანი, რომელიც წარმოშობით სახელობითი ბრუნვის ფორმანტია, ფუძეს შეუხორცდეს, რის შედეგადაც ყალიბდება •-ხმოვანფუძიან ანთროპონიმთა ბრუნების პარადიგმა; გვაქვს:

სახ.	ასმათი	უშანგი	ლევანი	შღრ.	კაც-ი
მოთხ.	ასმათი-მ	უშანგი-მ	ლევანი-მ		კაც-მა
მიც.	ასმათი-ს	უშანგი-ს	ლევანი-ს		კაც-ს
ნათ.	ასმათი-ს(ი)	უშანგი-ს(ი)	ლევანი-ს(ი)		კაც-ის(ა)
...
წოდ.	ასმათი!	უშანგი!	ლევანი! ²		კაც-ო!

ნაცვლად ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით მართებული ბრუნების პარადიგმისა:

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 66-67; ა. ჩ ი კ ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 3-5 და სხვ.

² აღსანიშნავია, რომ ქართული ენის ზოგ დიალექტში (იმერულში, რაჭულში, აჭარულში, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში და სხვ.), რომლებშიც ფუძეთანხმოვიანი ანთროპონიმები წოდებით ბრუნვაში საზოგადო სახელების მსგავსად გაფორმებულია • ნიშნით (შღრ. დარეჯან-ო! მარიამ-ო! ეთერ-ო! და მისთ.), ყალიბდება •- ბოლოხმოვიან პირის სახელთა ბრუნების პარადიგმა:

სახ.	დავითო	ეთერო	ადამო
მოთხ.	დავითო-მ	ეთერო-მ	ადამო-მ
მიცემ.	დავითო-ს	ეთერო-ს	ადამო-ს
ნათეს.	დავითო-ს(ი)	ეთერო-ს(ი)	ადამო-ს(ი)
...
წოდ.	დავითო!	ეთერო!	ადამო!

სახ.	ასმათ-ი	უშანგ-ი	ლევან-ი
მოთხ.	ასმათ-მა	უშანგ-მა	ლევან-მა
მიც.	ასმათ-ს	უშანგ-ს	ლევან-ს
ნათ.	ასმათ-ის[ა]	უშანგ-ის[ა]	ლევან-ის[ა]

.....
 წოდ. ასმათ! უშანგ! ლევან!

პირველი პარადიგმის (ასმათი, ასმათი-მ, ასმათი-ს...) სინქრონული ანალიზისას ბოლოკიდური **ი** ფუძის კუთვნილებად უნდა იქნეს მიჩნეული და არა სახელობითი ბრუნვის ნიშნად იმის გამო, რომ იგი სხვა ბრუნვათა ფორმებშიც არის წარმოდგენილი. სახელობითი ბრუნვის მორფემა ამ პარადიგმაში წარმოდგენილია ნულოვანი ალომორფით (ასმათი-**ი**, უშანგ-**ი**, ლევან-**ი**...). მეორე პარადიგმაში (ასმათ-ი, ასმათ-მა, ასმათ-ს...) **ი**, ცხადია, სახელობითი ბრუნვის ნიშანია. სახელობითი სხვა ბრუნვათა ფორმებს ამ პარადიგმაში **ი** სემანტიკით უპირისპირდება.

ამ რ ი გ ა დ, თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ქ ა რ თ უ ლ შ ი ი ხ მ ო - ვ ა ნ ზ ე და ბ ო ლ ო ე ბ უ ლ ი მ ხ ო ლ ო დ ა ნ თ რ ო პ ო ნ ი - მ ე ბ ი გ ვ ა ქ ვ ს, რომელთაც მოეპოვება იმავე ფუძის ბოლოთან ხმოვნისანი ვარიანტებიც.

ქართულისაგან განსხვავებული ვითარებაა თანამედროვე მეგრულსა და ლაზურში.

მეგრულში **ი** ხმოვანზე დაბოლოებული გარდა ანთროპონიმებისა არის სხვა სახელებიც. წარმოავადგენთ ამგვარ სახელთა ბრუნების პარადიგმის ნიმუშს:

სახ.	მერაბი	ბოში „ვაჟი“	შდრ.	ცირა „ქალიშვილი“
მოთხ.	მერაბი-ქ	ბოში-ქ		ცირა-ქ
მიც.	მერაბი-ს	ბოში-ს		ცირა-ს
ნათ.	მერაბი-შ(ი)	ბოში-შ(ი)		ცირა-შ(ი)
.....
მოქმ.	ბოში-თ(ი) ³		ცირა-თ(ი)
ვით.	ბოშ-ო		ცირა-თ

³ ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 44; ა. ლ ო მ თ ა ძ ე, სახელთა ბრუნების თავისებურებანი მეგრულში ქართულთან შედარებით, „მაცნე“, I, 1969, გვ. 172-180; ა. ო ნ ი ა ნ ი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, 1989, გვ. 82-83. ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმათა განსხვავებული მორფოლოგიური სემანტიკა იხ. ნაშრომში: კ. დ ა ნ ე ლ ი ა, სახელობითი ბრუნვის **ი** ნიშნის ფუძესთან შეზღუდვის საკითხისათვის მეგრულ-კანურში, თსუ შრომები, 267 (ენათმეცნიერება 10), 1986, გვ. 89, 109.

სახ.	ბოშ-ეფ-ი	ცირ-ეფ-ი
მოთხ.	ბოშ-ენ-ქ	ცირ-ენ-ქ
მიც.	ბოშ-ენ-ს	ცირ-ენ-ს
ნათ.	ბოშ-ეფ-იში	ცირ-ეფ-იში(ი)
.
მოქმ.	ბოშ-ეფ-ით(ი)	ცირ-ეფ-ით(ი)
ვით.	ბოშ-ეფ-ო	ცირ-ეფ-ო

ამ პარადიგმის სინქრონიული ანალიზისას ბოლოკიდურ **ის** სახელობითი ბრუნვის აფიქსად ვერ მივიჩნევთ, რადგანაც იგი სხვა ბრუნვათა ფორმებშიც გვაქვს. ეს **ი** ფუძისეული ხმოვანია. სახელობითი ბრუნვის ნიშანი ამ ფორმებში წარმოდგენილია ნულოვანი ალომორფის სახით (მერაბი-**ი**, ბოში-**ი**. კიცი-**ი**...) ისევე, როგორც სხვა — **ა**, **ე**, **ო**, **უ** ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებში: ჭიმა-**ი** „ძმა“, ქოთუმე-**ი** „ქათამი“, სურო-**ი** „სურო“, ჩხოუ-**ი** „ძროხა“ და სხვ.

სინქრონიული ანალიზისას **ძ ღ ა ბ ი** („გოგო“): **ძ ღ ა ბ ი - ქ**, **ძ ღ ა ბ ი -ს**... ტიპის ბრუნების პარადიგმის ფორმათა ბოლოკიდური **ი** ხმოვნის ამგვარ კვალიფიკაციას (მის ფუძისეულ ელემენტად მიჩნევას) არ ეწინააღმდეგება ვითარებითისა და მრავლობითი რიცხვის ფორმებში ამ **ის** გარეშე წარმოდგენილი ფუძეები: **ბ ო შ**, **ძ ღ ა ბ**, **კ ი ც** და მისთ. ამგვარ ფორმებში ფუძის აუსლაუტური **ი** მოკვეცილია მომდევნო ხმოვნის გავლენით. მაშასადამე, **ბ ო შ**, **ძ ღ ა ბ**, **კ ი ც** და მისთ. ელემენტი არის ძირეული მორფის ფონოლოგიურად შეპირობებული ერთ-ერთი ალომორფი.¹

მაგრამ თანამედროვე მეგრულში **ი**-ბოლოხმოვნისანი სახელების გვერდით არსებობს ფუძეთანხმოვნისანი სახელებიც. წარმოვადგენთ ამგვარ სახელთა ბრუნების პარადიგმის ნიმუშებსაც:

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	კოჩ-ი „კაცი“	კოჩ-ეფ-ი
მოთხ.	კოჩ-ქ ²	კოჩ-ენ-ქ
	მხ. რ.	მრ. რ.
	ოსურ-ი „ქალი“	ოსურ-ეფ-ი
	ოსურ-ქ	ოსურ-ენ-ქ

¹ ა. ო ნ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

² ცალკეულ შემთხვევებში **ი-ქ**-ს ფაქულტატიურ ვარიანტებად მეგრულში დასტურდება **ი-ქე**, **ი-ქი**, **ი-ქუ**: ნ გ ე რ ქ გ „მგელმა, ჩ ი ლ ქ გ „ცოლმა“;

მიც.	კო-ს	ოსურ-ს	კოჩ-ენ-ს
ნათ.	კოჩ-იშ(ი)	ოსურ-იშ(ი)	კოჩ-ეფ-იშ(ი)
.
მოქმ.	კოჩ-ით(ი)	ოსურ-ით(ი)	კოჩ-ეფ-ით(ი)
ვით.	კოჩ-ო	ოსურ-ო	კოჩ-ეფ-ო

ამ პარადიგმის სახელობითი ბრუნვის ფორმებში წარმოდგენილი /oi/, ცხადია, ბრუნვის ნიშანია.³ სახელობითი ამ ნიშნით უპირისპირდება სხვა ბრუნვათა ფორმებს.

აღსანიშნავია, რომ მეგრულში დასტურდება ერთიდაიმავე სახელის პარალელური ვარიანტებიც — ფუძეთანხმოვნისა და **o-ბოლო-**თანხმოვნისა. ამგვარი ფორმები ფიქსირებულია მეგრულის როგორც სხვადასხვა, ისე ერთსადაიმავე კილოკავშიც. მაგალითად: ბოშ-ქ || ბოშ-ქ „ბიკმა“, კოჩ-ქ || კოჩ-ქ „აკცმა“, თუნთ-ქ || თუნთ-ქ „დათვა“, დუთ-ქ || დუთ-ქ „თავმა“, ტორონჩ-ქ || ტორონჩ-ქ „მტრედმა“, გვალ-ქ || გვალ-ქ „ყველმა“, ორონჩ-ქ || ორონჩ-ქ „საქონელმა“, ჭინ-ქ || ჭინ-ქ „ძირმა“, კათენ-ქ || კათენ-ქ „ხალხმა“ და სხვ.⁴

პარალელური ფორმები წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ფუძეთანხმოვნისა და **o-ბოლო-**თანხმოვნის სახელებისაგან. ჩამოყალიბების პროცესში.

შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა ვ ა ს კ ე ნ ა თ : თანამედროვე მეგრულში სახელობითი ბრუნვის მორფემა, ქართულის მსგავსად, წარმოდგენილია ფონოლოგიურად შეპირობებული ორი ალომორფით: /-oi/ — თანხმოვ-

ოს უ რ ქ ი „ქალმა“, ჰ კ ი დ ქ ი „ქადმა“, ჭ ი მ ა ქ ი „მამ“; დ უ ლ ქ უ „თავმა“, კ ო ჩ ე ფ ქ უ „აკცმა“. /-უ/, /-ი/ ხმოვნის ვარიანტები ზუგდიდურ-სამურზაყანულში ფიქსირებულია მიცემითი ბრუნვის ფორმებშიც: ქ ო მ ო ნ ც გ „ქმარს“, კ ა რ ც გ „კარს“, დ უ მ ს უ „ღობს“, ბ ზ ა რ ხ ლ ს უ „ზაფხულს“ (И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, С-Петербург, 1914, გვ. 017-022; მ. ც ი კ ო ლ ი ა, მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდური კილოკავის ფონეტიკური მიმოხილვა; დ. გულიას საბ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XXV, სოხუმი, 1954; გ. კ ლ ი მ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 52; თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, 1986, გვ. 119-120 და სხვ.)

³ სახელობითის /-oi/-ს ზუგდიდურ-სამურზაყანულში /-ი/ ენაცვლება (ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. -18-019).

⁴ (ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 179-180; ა. ლ ო მ თ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 177-180; ტ. გ უ დ ა ვ ა, თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში, თსუ კრებული: „აკაკი შანიძეს“, 1981, გვ. 210-212 და სხვ.)

ნების მომდევნოდ, /0/ — ხმოვნების მომდევნოდ.¹ ამასთან, ქართულიდან განსხვავებით, მ ე გ რ უ ლ შ ი ე ზ ე და ბ ო ლ ო ე ბ უ ლ ი გ ა რ და ა ნ თ რ ო პ ო ნ ი მ ე ბ ი ს ა ა რ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ს ა ხ ე ლ ე ბ ი ც, რომელთაც მოეპოვებათ იმავე ფუძის თანხმოვით დაბოლოებული ვარიანტებიც.²

რაც შეეხება ლაზურს, როგორც სპეციალისტები თვლიან, აქ სახელობითი ბრუნვის გამომხატველი რაიმე მორფოლოგიური ელემენტი არ არსებობს. სახელობითი ბრუნვა ლაზურის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ოპოზიციის არამარკირებული წევრია, სხვა ბრუნვათა ფორმებს იგი ნიშნის უქონლობით უპირისპირდება. სახელთა ბოლოკიდური **ე** და **ე** (კოჩი „კაცი“, კუჩხე „ფეხი“...) თანამედროვე ლაზურში ფუძისეული ელემენტებია ისევე, როგორც **ა**, **ო** **უ**. ისინი ბრუნვის ყველა ფორმაშია წარმოდგენილი. ამდენად თანამედროვე ლაზურში თანხმოვანზე დაბოლოებული სახელები არ არსებობს.³

აღნიშნული დასკვნების საფუძვლიანობა რომ თვალსაჩინო იყოს, წარმოვადგენთ ლაზურ სახელთა ბრუნების ძირითადი პარადიგმების ნიმუშებს:

მს. რ.

სახ.	ოთარი	ოხორი „სახლი“	კუჩხე-ფე	მონჭვა „კრუხი“
მოთხ.	ოთარი-ქ	ოხორი-ქ	კუჩხე-ფე-ქ	მონჭვა-ქ
მიც.	ოთარი-ს	ოხორი-ს	კუჩხე-ფე-ს	მონჭვა-ს
ნათ.	ოთარი-შ(ი)	ოხორი-შ(ი)	კუჩხეფე-შ(ი)	მონჭვა-შ(ი)
...
მოქმ.	ოხორი-თე(ნ)	კუჩხე-თე(ნ)	მონჭვა-თე(ნ)

¹ გ. კლიმოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 30-31; ა. ონიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

² ელემენტი ისტორიულად თანხმოვანფუძიან სახელთა სხვადასხვა ბრუნვის ფორმებში ფიქსირებულია ძველი სვანური სიმღერების ტექსტში: ჯ ა ნ ე - დ „ხარმა“, ჯ ა ნ ე - ს „ხარს“, ჳ ა შ ი ე - ხ „ქმარს“, თ ა შ ი ე - ს „ყველს“, ჳ ა პ ე - ს „ნათლის“ და სხვ. გ. კლიმოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 115-119; ი. ჩანტლაძე, თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა ბრუნვა სვანურში, ქესს, ტ. IV, 1974, გვ. 168).

³ გ. კლიმოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 31; თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 113; ა. ონიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 84; ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 43, 49-51.

სახ.	ობორ-ეფე	კუჩხ-ეფე	მონკვა-ფე
მოთხ.	ობორ-ეფე-ქ	კუჩხ-ეფე-ქ	მონკვა-ფე-ქ
მიც.	ობორ-ეფე-ს	კუჩხ-ეფე-ს	მონკვა-ფე-ს
ნათ.	ობორ-ეფე-შ(ი)	კუჩხ-ეფე-შ(ი)	მონკვა-ფე-შ(ი)

....
 მოქმ. ობორ-ეფე-თ(ნ) კუჩხეფე-თ(ნ) მონკვა-ფე-თ(ნ)

როგორც პარადიგმიდანაც ჩანს, იწე დაბოლოებული სახელები ლაზურშიც ავლენენ გარკვეულ თავისებურებას. მრავლობითი რიცხვის ფორმებში ისინი, სხვა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთაგან განსხვავებით, წარმოდგენილი არიან ამ ის გარეშე:⁴ კოჩ-ქ „კაცმა“, ობორ-ქ „სახლმა“... შდრ. კოჩ-ეფე-ქ, ობორ-ეფე-ქ... მაშასადამე, თანამედროვე ლაზურში ბოლოკიდურად ი ხმოვნის მქონე და არმქონე ერთეულები დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან. პირველი მათგანი (კოჩ, ობორ...) ოდენ მხოლოდითი რიცხვის ფორმებში დასტურდება, ხოლო მეორე (კოჩ, ობორ...) — მრავლობითისაში. ამიტომ ისინი სპეციალურ ლიტერატურაში სინქრონიული ანალიზისას, ჩვენი აზრით, სრულიად მრათებულად კვალიფიცირებულია როგორც ფუძისეული მორფემის მორფოლოგიურად შეპირობებული ალომორფები.⁵

სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე მოცემულია სვანურ სახელთა ბრუნების პარადიგმის სინქრონიული ანალიზი სახელობითი ბრუნვის მორფემის დასადგენად. მიღებულია დასკვნა, რომლის თანახმადაც თანამედროვე სვანურში სახელობითი ბრუნვა ოპოზიციის არამარკირებული წევრია. რაიმე სეგმენტური მორფოლოგიური ერთეულით ის

⁴ გამონაკლისს ქმნის იწე დაბოლოებული ერთადერთი ლაზური სახელი მ ი ჟინ“ და უცხო (თურქული) წარმომავლობის სახელები, რომელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებში დაცულია ფუძის ბოლოკიდური ი: მ ი „ჯინ“, შდრ. მითე ჟინები“, თურქ. დ უ გ უ ნ ქ ი „მეკორწილე“, შდრ. დ უ გ უ ნ ქ ი ფ ე „მეკორწილეები“, კ ო ნ ქ შ ი „მეზობელი“, შდრ. კ ო ნ ქ შ ი ფ ე „მეზობლები“. მაგრამ ლაზურში ამასთან ერთად ფიქსირებულია უნი ფორმა — კ ო ნ ქ შ ი ფ ე (ა. ჩ ი კ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 62). მოსალოდნელია დასტურდებოდეს დ უ გ უ ნ ქ ი ფ ე და სხვა მსგავსი ფორმებიც. მიმდინარეობს თურქული წარმოშობის სიტყვების ლაზურში არსებული მოდელის მიხედვით გარდაქმნის პროცესი. პარალელური ფორმები ამ მოვლენის ამსახველია.

მ ი ფ ე („ჯინები“) ფორმაში ის შენარჩუნებას უნდა განაპირობებდეს ფუძის სტრუქტურა.
 ა. ო ნ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 84-85; შდრ. ა. ჩ ი კ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 49-51.

არცერთ შემთხვევაში არ გამოიხატება. ყველა სხვა ბრუნვის ფორმას სახელობითი ნიშნის უქონლობით უპირისპირდება.¹

ამგვარად, ჩვენ ზოგადად განვიხილეთ ქართულ და ზანურ (მეგრულ-ლაზურ) სახელთა ბრუნების ძირითადი პარადიგმები (შევხებთ თანამედროვე სვანურში არსებულ ვითარებასაც). ამ პარადიგმებიდან ჩვენს ყურადღებას ამჟღავნებს იქეცვს ოზე დაბლოლებული სახელები. ასეთი (ე-ბოლოზმოვნიანი) თანამედროვე ქართულში, როგორც აღინიშნა, მხოლოდ ანთროპონიმებია (სახ. გურამი-მ, მოთხ. გურამი-მ, მიც. გურამი-ს, ნათ. გურამი-ს(ი)... წოდ. გურამი-მ!, შდრ. ქალ-ი, ქალ-მა, ქალ-ს, ქალ-ის(ა)... ქალ-ო!); მეგრულსა და ლაზურში ანთროპონიმების გარდა ე-ხმოვანფუძიანი გვაქვს საზოგადო სახელებიც (სახ. მერაბი-მ, ბოში-მ „ვაჟი“, კოჩი „კაცი“; მოთხ. მერაბი-ქ, ბოში-ქ, კოჩი-ქ; მიც. მერაბი-ს, ბოში-ს, კოჩი-ს...).

სპეციალურ ლიტერატურაში განიარაღებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ზემოთ განხილულ ტიპის სახელთა ბოლოკიდური ე ხმოვანი თანამედროვე ქართულსა და მეგრულ-ლაზურში (ლაზურში ასევე – ეც) წარმოშობით სახელობითი ბრუნვის მორფემა,² რომელიც სახელებს გადაჰყვება სხვა ბრუნვათა ფორმებშიც.³ აღნიშნულ მოვლენას⁴ ეძლევა მორფონოლოგიური ან ფონოლოგიური ახსნა⁵ –

¹ ა. ო ნ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., 85.

² ჩვენ ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული სახელობითი ბრუნვის ისტორიული ნიშანი ქართველურ ენებში არის ე. სვანურისა და ლაზურის, აგრეთვე ქართული ენის როგორც დიალექტთა ბრუნების სისტემაში გამოვლენილი ე (სვან. ზურალე „ქალი“, ლაზ. კუჩხე „ფეხი“, კოჩეფე „კაცები“, ქართ. დილა. ნოღარე, ტომარე...) მეორეულია, მიღებული პოზიციური ცვლილებების შედეგად. ამიტომ ჩვენს შემდგომ მსჯელობებში იგი გათვალისწინებული არ არის.

И. Я. М а р р, К вопросу о ближайшем родстве армянского языка с иверским, ВВРАО, I, XIX, вып. I, 1909, გვ. 069-070; მ ი ს ი ც ე, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, СПб, 1910, გვ. 15; ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 022-023; ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 41, 50-54; 58-59; მ ი ს ი ც ე, სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში, თსუ შრომები, XVIII, 1941, გვ. 56; ა. ლ ო შ თ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 172-178; გ. კ ლ ი მ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 111-115; თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 101, 116-120; კ. დ ა ნ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 84-85, და შემდეგი.

სპეციალისტთა აზრით სახელთა ფუძეს ასევე შეიძლება შეუხორცდეს წოდებითი ბრუნვის ო აფიქსიც, კერძოდ, ა. შანიძის ვარაუდით, ეკ-ო მაწარმოებლის ო „თავდაპირველად წოდებითის ნიშანი უნდა ყოფილიყო (მამ-იკ-ო, დედ-იკ-ო), მაგრამ იგი ფუძეს შეზრდია...“ (ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 121). თ.

სახელობითი ბრუნვის **o** ფორმანტის შეზრდა სახელთა თანხმონებით დაბოლოებულ ფორმებში ხდება იმ არაკანონიკური თანხმოვანკომპლექსების ასაცილებლად, რომლებიც წარმოიქმნება ფუძის ბოლოკიდური თანხმონისა და ბრუნვის თანხმონიან მორფემათა — ს, ჯს საზღვარზე.⁶ მაგრამ სპეციალისტთა შორის აზრთა სხვაობაა ამ ენებში აღნიშნულ პოზიციაში წარმოქმნილი თვით არაკანონიკური თანხმოვანკომპლექსების სტრუქტურისა და მათი **o** ხმოვნით გათიშვის ქრონოლოგიის თაობაზე.

თ. უთურგაიძე ვერცლად განიხილავს **o**-ხმოვნიანი ანთროპონიმების ბრუნების პარადიგმას ქ ა რ თ უ ლ შ ი და თვლის, რომ თანხმოვანფუძიან პირის სახელთა ბრუნების პარადიგმისაგან (სახ. ასმათ-ი, მოთხ. ასმათ-მა, მიც. ასმათ-ს, ნათ. ასმათ-ის(ა)... წოდ. ასმათ!) **o**-ბოლხმოვნიანი ბრუნების პარადიგმის ჩამოყალიბება აიხსნება მორფოლოგიურ საფუძველზე.⁷ კერძოდ, მისი აზრით, მიცემითი ბრუნვის ფორმებში სახელის ფუძის ბოლოკიდური თანხმონისა (**ფ**,

უთურგაიძის დაკვირვებით „წოდებითი ბრუნვის **o** სუფიქსი დიალექტების მიხედვით მეტწილად უხორცადდება თანხმოვანფუძიან ანთროპონიმთა ფუძეს და ამის შემდეგ სხვა ბრუნებშიც გადადის, როგორც ფუძის შემადგენელი ნაწილი: ეთერო-მ, ეთერო-მ, ეთერო-ს; ანალოგიურია დავითო, თამრო... სახელების ბრუნება“ (თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 101).

გამონაკლისს ქმნის **ა**. ლომთაძის თვალსაზრისი, რომელიც წარმოადგენს ზემოთგანხილული მოვლენის (თანხმოვანფუძიან სახელთა ბაზაზე **o**-ხმოვანფუძიანი ბრუნების პარადიგმის ჩამოყალიბების) მორფოლოგიურ ნიადაგზე ახსნის ცდას. ავტორის ვარაუდით სახელობითის **o** სუფიქსის რეინტერპრეტაციას ფუძისეულ ხმოვანდ ხელი შეუწყო **-ა**, **-ე**, **-ო**, **-უ** ბოლხმოვნიან სახელებთან ანალოგიამ. მაგრამ მთავარი როლი ამ პროცესში მანც ითამაშა ტრადიციამ, რომლის მიხედვით ენაში ფუძის ბოლოს **o** ისევე ბუნებრივი იყო, როგორც **ა**, **ე**, **ო**, **უ** სახელობითის **o** გაგებულ იქნა იმ ფუძისეულ ბოლოკიდურ **o**დ, რომელიც აირია მასთან (**ა**. ლომთაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 182).

⁶ გ. კლიმოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 114; თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 116-120; კ. დანელია, დასახ. ნაშრ., გვ. 84-110 და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ტ. გუდავასა და თ. გამყრელიძის ნაშრომში „თანხმოვანტომპლექსები მეგრულში“ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, აქვს თუ არა რაიმე კავშირი სახელობითი ბრუნვის მორფემასთან იმ **o**ს, რომელიც მათი აზრით მეგრულში ჩნდება სიტყვა-ფორმათა აუსლაუტის არაკანონიკური თანხმოვანტომპლექსის გაასათიშავად (ტ. გულავა, თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 211).

⁷ ავტორის აზრით, ასევე (მორფონემატურ საფუძველზე) აიხსნება **o** ხმოვნის მიხორცება ფუძეთანხმონიან ანთროპონიმებთან: დავითო-მ, თამარო-მ, დავითო-ს, თამარო-ს...) (თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 101 და სხვ.).

ქ, ჰ ფშვინვეირი ფონემების გარდა) და ხ ფორმანტის შეხვედრით წარმოიქმნება ფონმატურად შეუთავსებელი თანხმოვანთკომპლექსები, რომლებიც ითიშება სახელობითი ბრუნვის • ნიშნის ჩართვით: მიც. ასმათს > ასმათ-ი-ს... •-ხ ორი ბრუნვის — სახელობითისა და მიცემითის ნიშანთაგან ერთი, სახელობითის •, რეინტერპრეტირდება ფუძისეულ ხმოვნდა იმის გამო, რომ ავტორის აზრით ერთ ფორმაში არ შეიძლება იყოს რამდენიმე ბრუნვის ნიშანი. მიცემითი ბრუნვის •-ხმოვნიაანი ფუძე: ა ს მ ა თ •-ს შემდგომ განზოგადებულა სხვა ბრუნვებშიც, რის შედეგადაც გვაქვს: სახ. ასმათ•-შ, მოთხ. ასმათ•-მ, ნათ. ასმათ•-ს(ი)... წოდ. ასმათ•-შ!¹ და მისთ.²

რაც შეეხება მ ე გ რ უ ლ ს, მკვლევართა ერთ ნაწილის (გ. კლიმოვი, ტ. გულავა, თ. გამყრელიძე) აზრით აქ არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსები სახელთა ბრუნების პარადიგმაში ძირითადად წარმოიქმნება ჩ ქ ა მ ი ე რ ი თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებზე თანხმოვნიაანი სუფიქსების — მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის -ქ'სა და მიცემითის -ხ'ს დართვისას.³ არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსების თავიდან სასაცილებლად ამგვარ ფუძეთა მომდევნოდ ჩნდება • ხმოვანი (მიც. კოჩის „კაცს“, ღორონთის „ღმერთს“...). სონორზე დაბოლოებულ ფუძეებში ამავე პოზიციაში წარმოიქმნება კანონიკური თანხმოვანთკომპლექსები. ისინი • ელემენტის ჩართვას არ საჭიროებენ (მიც. ჯოდორს „ძალს“, სქვერს „შველს“...)⁴

კ. დანელიას აზრით, „მეგრულში (რამდენადმე ჰანურში) თავიდანვე ფუძის ბოლოკიდურ თანხმოვანთკომპლექსში მხოლოდ რ, ნ, მ სონორები მონაწილეობდა (რქ, ნქ, მქ, რს, ნს, მს), ხოლო არასონორთაგან თ და ჩ — მხოლოდ ქ-ს მიმდევრობით: თქ/ ← დქ/, ჩქ/ ← ჯქ/, არასტაბილური და მერყევი იყო ფქ, ცქ და დამოუკიდებელი (დქ, ჯქ-საგან არმომდინარე) თქ, ჩქ კომპლექსები. ყველა სხვა ფუძის ბოლოკიდურ თანხმოვანთან ქ და ხ-ს მიმდევრობა არაბუნებრივია და

¹ თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 117-118.

² ამ მოკლენასთან დაკავშირებით გამოთქმული სხვა თვალსაზრისები ვრცლად არის განხილული ნაშრომში: ლ. ნ ო ზ ა ძ ე, ფუძეთანხმოვნიან ანთროპონიმთა ბრუნების ერთი ტენდენციის შესახებ ქართულში, იკვ, XXVIII, 1989, გვ. 101-128.

³ სინქრონიის დონეზე ეს საკითხი, ცხადია, არ ისმის ლაზურის მიმართ, როგორც აღინიშნა, თანამედროვე ლაზურში თანხმოვანთფუძიანი სახელები არ არსებობს.

⁴ გ. კ ლ ი მ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 51; ტ. გ უ ლ ა ვ ა, თ. გ ა მ - ყ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 210-212.

ითიშება იგი თანხმოვანთგასაყარი **ო-ს** ჩართვით“.⁵

ა. ლომთაძის დაკვირვებით მეგრულში მხოლოდით რიცხვში **ნ, რ, ლ, შ** სონორებსა და **დ, თ, ტ, ჰ, ჩ** ფონემებზე დაბოლოებული სახელები იბრუნვის ხან როგორც თანხმოვანფუძიანი, ხან კი — როგორც **ო-ხომვანფუძიანები**⁶ (ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვა იბრუნვის ორივე მოდელის მიხედვით). დანარჩენ თანხმოვნებზე დამთავრებულ სახელებთან, ავტორის თქმით, მხოლოდ **ო-ხომვანშეხორცებული ფორმები** დასტურდება. ამ მოვლენას — სტაბილური (მხოლოდ **ო-ხომვანშეხორცებული**) და მერყევი (როგორც **ო-ხომვანშეხორცებული**, ისე **შეუხორცებელი**) ფორმების არსებობას იგი მახვილის გავლენით ხსნის.⁷

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული თვალსაზრისი აქვს თ. უთურგაიძეს. მის აზრით მეგრულში (ისტორიულად — ლაზურშიც) მოთხრობითის /-ქ/ და მიცემითის /-ს/ ნიშნები ფონემატურად შეუთავსებელია ნ ე ბ ი მ ი ე რ თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა (როგორც ჩქამიერების, ისე სონორების) მომდევნოდ. ამ წესისაგან გადახრებს, რომლებიც მრავლად დასტურდება ი. ყიფშიძისა და სხვა მკვლევართა მასალების მიხედვით (შდრ. კოჩქ „კაცმა“, ვრცენქ „ჩიხვმა“, თუნთს „დათვს“, ლეჯს „ლორს“, სქვერს „შველს“ და მრავალი სხვა), იგი მორფოლოგიური მოდელის დაცვის მოთხოვნილებით ხსნის, რაც, ავტორის თქმით, არასალიტერატურო ქვესისტემებში ნაკლებ მოსალოდნელია, მაგრამ გამორიცხული არ არის.⁸

ამგვარად, სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი მასალის მიმოხილვიდან ცხადი ხდება, რომ მეგრულში ბრუნების პარადიგმაში ფუძის ბოლოკიდურად **ო** ელემენტის გამოვლენა არ არის დამოკიდებული სახელის ფონოლოგიურ ფორმაზე — **ო** ხმოვნის შეხორცება თანხმოვანფუძიან სახელთა ბოლოს მეტნაკლებად ხდება ნებისმიერი თანხმოვნით (როგორც ჩქამიერით, ისე სონორით) დაბოლოებულ ფუძეებთან. ზოგი სახელის **ო-ხმოვნიანი** ფორმები სტაბილურია, ზოგისა — მერყევი.

⁵ კ. დ ა ნ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 177.

⁶ მკვლევარს მოჰყავს სონორზე დაბოლოებულ ფუძეებთან — **ო** ხმოვნის შეზღუდვის ნიმუშები: ო ს უ რ ო ქ „ქალმა“, ე ვ ა ლ ო ქ „ველმა“, დ ე მ ო ქ „დევმა“, კ ა რ ო ს „კარს“ და სხვ. (ა. ლ ო მ თ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 178, 180).

⁷ ა. ლ ო მ თ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 177.

⁸ თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 119-120.

რაც შეეხება ფუძეთანხმობიან სახელებთან • ელემენტის შეზრდის ქრონოლოგიის განსაზღვრას, როგორც ითქვა, აქაც განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს.

ა. ჩიქობავას ვარაუდით, • ელემენტის შეხორცება ფუძეთანხმობიან სახელებთან ლაზურში გვიანდელია მეგრულის ბრუნებასთან შედარებით, სადაც • შეხორცებულ ფორმებთან ერთად დასტურდება • შეხორცებელი ფორმებიც. ამ თვალსაზრისით მეგრული წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ქართულსა (რომლისთვისაც, ავტორის აზრით, უცხობა სახელობითის •ს შეზრდა ფუძესთან) და ლაზურს შორის, რომელმაც არ იცის • შეხორცებელი ბრუნება.¹

საპირისპირო თვალსაზრისისაა გ. კლიმოვი, ა. ლომთაძე. მათი აზრით • ხმოვნის შეზრდა თანხმობაზე დაბოლოებულ ფუძეებთან მეგრულ-ლაზურში ძველი მოვლენაა. იგი უნდა მომხდარიყო ზანურში მის მეგრულ-ლაზურ დიალექტებად დიფერენციაციამდე. ისტორიულად მეგრულში • შეხორცებული ბრუნება ნებისმიერი თანხმობით დაბოლოებულ ფუძეებთან ისევე სტაბილური უნდა ყოფილიყო, როგორც ლაზურშია.²

ამგვარად, ჩვენ ზოგადად განვიხილეთ საენათმეცნიერო ლიტერატურაში • ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით არსებული თვალსაზრისები. ამ თვალსაზრისებში ნათლად გამოკვეთილია ორი დებულება.

ა) • ხმოვანფუძიან სახელთა ფორმებში: ქართ. ასმათ•მ, ლევან•ს..., მეგრ.-ლაზ. ზესქვ•მ „შაშვა“, ძღაბ•ს „გოგოს“, კიც•ს „კეცს“ და მისთ. • ხმოვანი სახელობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც გავრცელებულია სხვა ბრუნვათა ფორმებში (ზოგი თვალსაზრისის მიხედვით — მხოლოდ მოთხრობითსა და მიცემითში).

ბ) • ხმოვანი გაჩენილია ფუძეთანხმობიან სახელთა მოთხრობითისა და მიცემითი ბრუნვის ფორმებში ფუძის ბოლოკიდური თანხმობისა და მოთხრობითისა და მიცემითი ბრუნვის თანხმობიანი აფიქსებით — ჭ, ხ'ს მიჯნაზე წარმოქმნილი არაკანონიკური თანხმობანთკომპლექსების თავიდან ასაცილებლად.

¹ ა. ჩიქობავა. სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნვის ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში, თსუ შრომები, ტ. XVIII, 1941, გვ. 56; მისივე ქანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 60.

² გ. კლიმოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 115; ა. ლომთაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 180-182.

ორივე ეს დებულება, ჩვენი აზრით, უმართებულოა.

სახელობითი ბრუნვის ნიშანი ისევე, როგორც სხვა წმინდა, საკუთრივ საფლექსიო (დამოკიდებულების აღმნიშვნელი) ფორმანტები — მოთხრობითსა და მიცემითის ნიშნები, თუ ისინი მოქმედი აფიქსებია, არ შეიძლება ვრცელდებოდეს სხვა ბრუნვებში.³ ცხადია, ეს ეხება ქართველურენათა სახელობითის -მ, მოთხრობითის -მა, -ქ, -ემ; მიცემითის -ხ, -ჟ ფორმანტებსაც.⁴ ქართულში დაუშვებელია ფორმები: ქალ-ი, კაც-მა-ს, ოთარ-მ-ის და მისთ. ისევე, როგორც მეგრულ-ლაზურში: კოჩ-ქ-ი, ოსურ-ქ-ი-ში, ჯოდორ-ს-ქ და სხვ.⁵

ასმათი-მ, ასმათი-ს; მერაბი-ქ, მერაბი-ს; ხოჯი-ქ, ხოჯი-ს და მისთ. ფორმათა არსებობა ქართულ-ზანურში (ჯანი-დ, ჯანი-ს ტიპის ფორმებისა — ისტორიულ სვანურში) შესაძლებელია მხოლოდ იმის გამო, რომ აღნიშნულ ფორმებში სახელობითის ისტორიულ აფიქსს — მს დაკარგული აქვს თავისი ფუნქცია და რეინტერპრეტირებულია ფუძისეულ ხმოვნად, ქცეულია ფუძის ისეთსავე შემადგენელ ნაწილად, როგორც არის ა, ე, ო, უ ამ ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებში:

³ ეს ეხება წოდებითი ბრუნვის ო აფიქსსაც.

⁴ მხედველობაში არა გვაქვს ცალკეული ანომალიური, იზოლირებული ფორმები აღნიშნული ბრუნვებისა, რომლებიც ამოვარდნილია ბრუნვის სტანდარტული სისტემიდან (იხმარება სპეციალური მნიშვნელობით), რის გამოც ბრუნვის ნიშანს დაკარგული აქვს სათანადო ფუნქცია, ქცეულია ფუძის რიგით შემადგენელ ელემენტად. ბუნებრივია, რომ ამგვარი ფორმა გამოყენებული იქნას ხელახალი, მეორეული წარმოებისათვის.

ქართულში ერთ-ერთი ასეთი ფორმაა მ ე ყ ს ე უ ლ ი, რომელიც შედგება მ ე ყ ს და ე უ ლ იდან. ძველ ქართულში ფუძე მ ე ყ ვ გამოიყენება მიცემითსა და ნათესაობითში მ ე ყ -ს, მ ყ -ის (ნათესაობითში — იმავე მნიშვნელობით, რაც მიცემითში). ამ დეფექტურ პარადიგმაში არ არის შეგრძნობილი მ ე ყ ს ფორმის ბრუნვადი მნიშვნელობა, რაც ხსნის ამ ფორმიდან მ ე ყ ს ე უ ლ ი ს წარმოქმნას (კ. ფ. ოგტი, ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში, „მომოხილველი“, № 4-5, 1968, გვ. 258). მსგავს ვითარებას შეიძლება ვადასტურებდეთ სხვა ენებშიც.

⁵ ფორმები: (ტარი) ხ ი ს ა -მ (დიალ. ხისა-ი), შემთხვევით-ი, გულად-ი... -მხა, -მთ, -ად ელემენტები სადერივაციო აფიქსებია. ისინი ძირეული სახელებისაგან აწარმოებენ ახალ ფორმებს განსხვავებული მნიშვნელობით ისევე, როგორც - ი ა ნ , - ი ე რ , - ო ვ ა ნ , - ო ს ა ნ . ამიტომ ბუნებრივია, რომ აღნიშნული ფორმანტებით ნაწარმოები ფუძეები დაირთავენ ბრუნვის ახალ დაბოლოებებს, ხ ი ს ა -მ, შე ე მ თ ხ ე ვ ე ვ ი თ -მა, გ უ ლ ა დ -მა... (შდრ. ბ ა შ ვ ი ა ნ -მა , ხ ნ ი ე რ -მა , სა ხ ე ლ ო ვ ა ნ -მა , მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ -მა...).

მიწა, მზე, რუ, სურო; ჯიმა („ძმა“), ქოთუმე („ქათამი“), ჩხოჟ („ძროხა“) და მისთ.¹

ამგვარი ცვლილების შედეგად წარმოშობით თანხმოვანფუძიანი სახელები (ქართულში — ანთროპონიმები) იქცევიან ე-ბოლოზმოვნინა-ნებად, რაც ბრუნების ამ პარადიგმაში ავტომატურად გამოორიცხავს თანხმოვანთკომპლექსების წარმოქმნის შესაძლებლობას მოთხრობითისა და მიცემითის ფორმებში. მაშასადამე, ბოლოთანხმოვნიან სახელებში სახელობითის ე კი არ იქნა გამოყენებული ფონემატურად შეუთავსებელი თანხმოვანთკომპლექსების დასაძლევად, როგორც ვარაუდობენ ამას სპეციალისტები,² არამედ პირუკუ — ფუძეთანხმოვნიან სახელთა ბრუნების პარადიგმაში მომხდარი ცვლილებების — სახელობითის ისტორიული ნიშნის -ის გაუფუნქციოებისა და მისი ფუძისეულ ხმოვნად რეინტერპრეტაციის შედეგად ჩამოყალიბებულ

¹ სრულიად უდავოა თ. უთურგაიძის მიერ აღნიშნული მოვლენის — ე-ბოლოზმოვნინან სახელთა ბრუნების პარადიგმის სინქრონიული ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნა: სახელის ერთ ფორმაში შეუძლებელია ორი ან მეტი ბრუნვის ნიშანი (დასახ. ნაშრ., გვ. 109). არაა მართებული მისი დიაქრონიული ინტერპრეტაცია: „როდესაც ერთ ფორმაში თავმოყრილია ორი ან მეტი ბრუნვის ნიშნად გამოყენებული მორფემა, ვარაუდობენ ფუნქციას ასრულებს მხოლოდ ერთი მათგანი, დანარჩენი განიკლვის რეინტერპრეტაციას და უხორცილება ფუძეს“ (იქვე).

ერთ ფორმაში არ შეიძლება ერთად მოიყაროს თავი ორმა ბრუნვის ნიშანმა (მით უმეტესს — სამმა); კერძოდ, სახელობითისა და სხვა ბრუნვის ნიშნებმა: -ი+მ, -ი+ქ, -ი+ს და მისთ. ერთი მათგანი, ამ შემთხვევაში სახელობითის ე, უკვე მანამდე, სხვა ბრუნვის ნიშნის დართვამდე არის რეინტერპრეტირებული ფუძისეულ ელემენტად (გავრცელებული ბრუნების მთელ პარადიგმაზე). ამიტომ არის შესაძლებელი ქართულსა და მეგრულ-ლაზურში იწე დასრულებულ სახელებს (სადაც ე დიაქრონიულად არის სახელობითის ფორმანტი, სინქრონიულ დონეზე ფუძისეული ხმოვანია) დაერთოს ბრუნვის ახალი დაბოლოებანი (შდრ. ქართ. ასმათი-მ, ასმათი-ს... ზან. ბერაბი-ქ, კოჩი-ქ; მერაბი-ს, კოჩი-ს...). ქართულში დაუშვებელია ბ უ რ ი -მ, კ ა ც ი -მ, ქ ვ ა რ ი -ი და მისთ. იმის გამო, რომ საზოგადო სახელთა სახელობითის ფორმებში წარმოდგენილი ბოლოკიდური ე ბრუნვის მოქმედი აფიქსია და არა ფუძისეული ხმოვანი. ერთ ფორმაში კი ორი ბრუნვის ნიშანი შეუძლებელია.

რატომ მოხდა ფუძეთანხმოვნიან ანთროპონიმთა ბრუნების პარადიგმაში სახელობითის ე ფორმანტის გაუფუნქციება, ამის ახსნის ცდა წარმოდგენილია ქვემოთ.

² ამგვარი ინტერპრეტაცია გარდა ზემოთაღნიშნული არგუმენტებისა უმართებულაა იმის გამოც, რომ იგი წარმოადგენს ენობრივი მოვლენის ტელოლოგიური თვალსაზრისით ახსნის ცდას.

ე-ბოლოზმოვნიან სახელებს: უშანგე-შ, მერაბე-შ, კოჩი-შ „აკი“, ძღაბე-‘ „გოგო“ და მისთ. დაერთვის თანხმოვნიანი აფიქსები — მოთხრობითის -მ. -ქ და მიცემითის -ს(ა): უშანგე-მ, უშანგე-ს; ბერაბე-ქ, მერაბე-ს; კოჩი-ქ, კოჩი-ს; ძღაბე-ქ, ძღაბე-ს და სხვ.³

სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილია წესები, რომლის მიხედვითაც ხდება სუპერაცია იმ არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსებისა, რომლებიც წარმოიქმნება ბრუნების პარადიგმაში თანხმოვანფუძიან სახელებზე თანხმოვნიანი სუფიქსური მორფემების — მიცემითის -ს'სა და მოთხრობითის -ქ'ს დართვით.⁴ ზოგადად ეს წესებია:

არაკანონიკურ კომპლექსთა გარდაქმნა პომოგენურობის თვალსაზრისით (ასიმილაცია): დუღ-ქ > დუთ-ქ „თავმა“, ხოჭ-ქ > ხოჩ-ქ „ხარმა“, ჭანჯ-ქ > ჭანჩ-ქ „მწერმა“...

არაკანონიკურ კომპლექსთა გამარტივება წინამავალი წევრის ჩაგდებით: კოჩ-ს > კო-ს „აკის“, ჰკიდ-ს > ჰკი-ს „მკადს“, ლეჯ-ს > ლე-ს „ლორს“...

ლ^{ზე} დაბოლოებულ ფუძეთა ბრუნების პარადიგმაში წარმოდგენილ ლ-ქ (მოთხ. ბრ.) და ლ-ს (მიც. ბრ.) მიმდევრობათა გარდაქმნა კანონზომიერ რ-ქ და რ-ს მიმდევრობებად: ჩილ-ქ > ჩირ-ქ „ცოლმა“,

³ ე-ბოლოზმოვნიან სახელთა (ერძოდ, ანთროპონიმთა) ბრუნების პარადიგმა ქართულში შედარებით ახალი წარმონაქმნია. უფრო ადრეა ჩამოყალიბებული ოგი ლაზურში, სადაც, როგორც აღინიშნა, ფუძეთანხმოვნიანი სახელები საერთოდ აღარ არსებობს. მეგრულში კი, გარკვეულ შემთხვევაში ჭერ კიდევ მონაცულობს ფუძეთანხმოვნიანი და ე-ბოლოზმოვნიანი სახელური ფორმები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ აქ არ არის დასრულებული ე ფორმანტის დენომინატივაციისა და მისი ფუძისკუთხედის ხმოვნდა რეინტერპრეტაციის პროცესი.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამ თვალსაზრისით შედარებით დაწვრილებითაა განხილული მეგრულის მასალა.

⁵ ტ. გულაძე და თ. გამყრელიძე არაკანონიკურ თანხმოვანთკომპლექსის თ-ხს კანონიკურ ნ-ხ'დ გარდაქმნის ნიმუშად განიხილავენ: წუთ + ს > წუნ + ს (მდრ. აკა წუნს „ერთ წუთს“, დასახ. ნაშრ., გვ 212).

თს ნში გადასვლის ნიმუშები მეგრულში დადასტურებული არ არის. ჩვენი აზრით ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს არაკანონიკურ თანხმოვანთკომპლექსის გამარტივებასთან წინამავალი წევრის (თს) ჩაგდებით * წუნთ + ს > წუნ + ს (მდრ. თუნთს > თუნს „დათვს“, ლორონს > ლორონს „ღმერთს“...) * წუნთ ფორმაში ნ განვითარებულია თს წინ.

წუნთი ფორმა მეგრულში ქართულიდან შესული ჩანს და შედარებით ახალია, რასაც მოწმობს მისი ბრუნება ე-ბოლოსართიან სახელთა ბრუნების პარადიგმის მიხედვით: წუნთი, წუნთი-ქ, წუნთი-ს... (მდრ. ძე. ფორმა: წუნს „წუთს“, აგრეთვე — აკა წანს „ერთ წამს“).

ჩილ-ს > ჩირ-ს; თოლ-ქ > თორ-ქ „თვალმა“, თოლ-ს > თორ-ს...

სახელთა მრავლობითი რცხვის -ეფ სუფიქსზე მოთხრობითის -ქ და მიცემითის -ხ ნიშნების დართვისას წარმოქმნილ არაკანონიკურ ფ-ქ, ფ-ხ კომპლექსთა გარდაქმნა მოდელის თვალსაზრისით დასაშვებ თანხმოვანთ მიმდევრობებად ნ-ქ, ნ-ხ: კოჩეფ-ქ > კოჩენ-ქ „კაცებმა“, კოჩეფ-ს > კოჩენ-ს...¹

ფონემატურად შეუთავსებელი თანხმოვანთკომპლექსების გათიშვას თ. უთურგაიძის აზრით ემსახურება თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნების პარადიგმაში წარმოდგენილი ემფატიკური -ა ქართულში, მოთხ. /-ქ/-სა და მიცემ. /-ხ/-ს ფაკულტატიური ვარიანტების: /-ქე/, /-ქი/, /-ქუ/, /-სუ/ არსებობა მეგრულში: ნგერქე „მგელმა“, ოსურქი „ქალმა“, ღუღქუ „თავმა“ ღუმსუ „ლომს“ და სხვ.²

სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც აღინიშნა, ამ კონტექსტში განიხილება ბოლოთანხმოვნიან სახელთაგან თ-, ასევე თ-ხმოვანფუძიან სახელთა (შდრ. დიალ. დავითო-მ, ეთერო-მ, ვასილო-მ...) ბრუნების პარადიგმის ჩამოყალიბება ქართულსა და მეგრულ-ლაზურში.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა აღნიშნული თვალსაზრისის უმართებულობა, ვეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ ხსენებულ მოვლენას არა აქვს ფონოლოგიური საფუძველი. სახელობითის -თ, ასევე წოდებითის -თ, როგორც ბ რ უ ნ ვ ი ს ა ფ ი ქ ს ე ბ ი, არ შეიძლება გამოყენებული იქნას მოთხრობითისა და მიცემითის ფორმებში წარმოქმნილი ფონოლოგიურად შეუთავსებელი თანხმოვანთმიმდევრობის გასათიშავად. ბრუნვის ნიშნები, როგორც აღინიშნა, მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება შეუხორცდეს ფუძეს და დაირთოს ბრუნვის ახალი დაბოლოებანი, როცა ისინი გარკვეული მიზეზების გამო დაკარგავენ სათანადო ბრუნვის გამოხატვის ფუნქციას, ე. ი. როცა შეწყვეტენ მოქმედებას, როგორც ბრუნვის ნიშნები.³ ოთარი-მ, დავითო-მ, მერაბი-ქ „მერაბმა“, ძღაბი-ქ „გოგომ“ და მისთ. ქართულსა და მეგრულ-ლაზურში დასაშვებია იმის გამო, რომ სინქრონიულ დონეზე ამგვარ ფორმებში თ და თ არ წარმოდგენენ ბრუნვის ნიშნებს, ისინი

¹ А. Ц а г а р е л и, Мингрельские этюды, II, 1880: § 15, გვ. 34; ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 022-023; ა. ლ ო მ თ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 172-190; ტ. გ უ დ ა ვ ა, თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 210-213; კ. დ ა ნ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 84-110; თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 119-120 და სხვ.

² თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 119-120.

³ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა ამ მიზეზების კვლევა.

ნი ფუძისეული ხმოვნებია. ცხვარო-მ, მეგობარო-მ და მისთ. ფორმები დაუშვებელია, რადგან ქართულში საზოგადო სახელთა ბრუნების პარადიგმაში სახელობითის **ო** და წოდებითის **ო** ბრუნვის მოქმედი აფიქსებია.

შენიშვნა: როგორც ცნობილია, კავკასიურ, კერძოდ, ნახურ-დაღესტნურ ჯგუფის ენათა (ხუნძურის, თაბასარანულის, არჩიულის და სხვა) ბრუნების სისტემისათვის დამახასიათებლად მიიჩნევა ე. წ. „ორფუძიანობა“. ამ ენებში „ორფუძიანი“ ბრუნების ტიპიურ ნიმუშად მიჩნეული ისეთი პარადიგმა, რომელშიც სახელობითის ფუძე ერგატივის ფუძეც არის. ყველა სხვა ბრუნვის ფორმაში კი ამ ბრუნვის ნიშნის წინ წარმოდგენილია ერგატივის ნიშანიც. სახელობითის ფუძისაგან განსხვავებულ მეორე ფუძედ ასეთ სახელთა პარადიგმაში ერგატივისნიშნიანი ფორმა ითვლება. მაგ.: ხუნძ. სახ. ვა^ც „ძმა“, ერგ. ვა^ც-ას, ნათ. ვა^ც-ას-ულ; მიც. ვა^ც-ას-ულ და სხვ.⁴ ამ სახის ორფუძიანობა, როგორც სრულიად მართებულად შენიშნავს ა. ჩიქობავა, უჩვეულოა ქართველური ენებისათვის.⁵ გამონაკლის წარმოადგენს სვანური, სადაც მკვლევარის აზრით მოთხრობითის -მ ფორმანტი სახელებს გადაჰყვება ნათესაობითში. ამის შედეგად ერთ ფორმაში თავს იყრის ორი სხვადასხვა ბრუნვის ნიშანი — ერგატივისა და ნათესაობითის, რაც ქმნის სვანური ორფუძიანი ბრუნების საფუძველს. მაგ.: სახ. მარე „კაცი“, მოთხ. მარ-რემ, ნათ. მარ-რემ-იმ და სხვ. ბრუნების ეს ტიპი სპეცია-

⁴ ა. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, ხუნძური ენა, 1962, გვ. 106-109; ა. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, 1979, გვ. 152-153; ბ. კიკვიციანი, ორფუძიანი ბრუნება ხუნძურში, იყ. XII, 1969, გვ. 351 და სხვა.

⁵ ამ დებულების საწინააღმდეგო არგუმენტად არ გამოდგება ქართველურ ენებში ნათესაობითისაგან ნაწარმოებ ბრუნვის ფორმათა (შდრ. ზან. დაშორებითი კოჩიშ-ე „კაცისაგან“, მიმართულებითი კოჩიშ-ა „კაცისაგან“, დანიშნულებითი კოჩიშ-ოთ „კაცისათვის“; სვან. დანიშნულებითი ბეფშუ-ი-შ-დ „ბიკისთვის“; ხევს. დღ-ის-ად; ფშვ. ქმრ-ის-ად და სხვა) არსებობის ფაქტი.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -ის ისევე, როგორც მოქმედებითის -ით და ვითარებითის -ად, არსებითად, სადერივაციო აფიქსია. ამიტომ ბუნებრივია, რომ -ის სუფიქსით ნაწარმოებ ფორმას (ფუძეს) დაერთოს სხვა ბრუნვის დაბოლოება. ზან. კოჩიშ-ოთ, ქართ. ქმრის-ად ტიპის ფორმებში ერთად თავმოყრილია არა ორი ბრუნვის ნიშანი (რაც, ჩვენი აზრით, დაუშვებელია), არამედ სადერივაციო აფიქსი (ამოსავალი სემანტიკის ერთგვარი დარღვივით) და სათანადო ბრუნვის ფორმანტი. ამიტომ ამგვარი ფორმები არსებითად განსხვავდება იმ ფორმებისაგან, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით თითქოს წარმოქმნილია ერგატივის ან მიცემითი ფორმებისაგან სხვა ბრუნვის ნიშნების დართვით (შდრ. ა. თნიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 142-144).

ლურ ლიტერატურაში ცნობილია შინი ბრუნების სახელით.

სვანურში გამოყოფენ ე. წ. შინიანი ბრუნების ტრასაც. ითვლება, რომ ამ პარადიგმის ნათესაობითის ფორმაში წარმოდგენილია სამი ბრუნვის ნიშანი — ლ (მიც.) + ეშ (მოთხ.) + —ეშ (ნათ.). მაგ.: სახ. ეელ „აღლო“, მიც. ეალ-ღ, მოთხ. ეალ-ღ-ეშ, ნათ. ეალ-ღ-ეშ-იშ და სხვ.¹

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული ზემოთწარმოდგენილი თვალსაზრისი, სახელდობრ, მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ზოგ კავკასიურ ენასა და ქართველურ ენათაგან სვანურში ერატივისნიშნის ფორმა, ზოგჯერ — მიცემითნიშნისანი, გამოიყენება ფუძედ სხვა ბრუნებში (დაირთავს ბრუნვის ახალ დაბოლოებებს) ჩვენი აზრით უმართებულოა. იგი მცდარია თეორიული თვალსაზრისით და შედეგია არასწორ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობილი ლინგვისტური ანალიზისა.

წმინდა საფლექსიო (სიტყვის მცვლელი), სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა აღნიშვნელი აფიქსები — სახელობითის, მოთხრობითისა და მიცემითის მორფემები, როგორც აღინიშნა, თუ ისინი ცოცხალი, მოქმედი ფორმანტებია, არ შეიძლება ვრცელდებოდეს სხვა ბრუნებში. ეს ითქმის განსაკუთრებით ისეთი აქტიური ბრუნვის შესახებ, როგორც ერატივია — სუბიექტის ბრუნვა. ცხადია, ნათქვამი ეხება ქართველურ ენათა სახელობითის —ე, მოთხრობითის —შა, —ჟ, —ეშ; მიცემითის —ხ, —ჟ ფორმანტებსაც.

ქართულსა და ზანურში დაუშვებელია ფორმები: კაც-იმ, ქალ-მა-ს, მიწა-ს-ის...; თოლ-ი-იშ-ი, ძღაბი-ქ-ს, კოჩი-ს-იშ(ი) და მისთ. ისევე, როგორც ვთქვით, რუსულში და человек-у-е, книгу-е-у, ребенк-у-ом სხვ. მსგავსი ფორმები არ შეიძლება არსებობდეს სვანურსა და არც კავკასიურ ენებში. კავკასიურ ენებში ამგვარ ფორმათა არსებობის სამტკიცებლად არ გამოდგება ამ ენათა სპეციფიკურობის აღიარება.

„ბრუნების სისტემის დადგენა ამა თუ იმ ენაში ხდება აღიარებული ზოგადი პრინციპების საფუძველზე. ამიტომ ბრუნვის ფორმანტები სხვადასხვა ენაში, თუ ისინი სწორად არიან კვალიფიცირებული, არსებითად მსგავსნიშნებს ავლენენ.

ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ მისაღებად მიგვაჩნია სამეცნიერო ლიტერატურა

¹ ა. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში, თსუ შრომები, XVIII, 1941, გვ. 56-59; მ ი ს ი ვ ე, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, 1979, გვ. 154; ვ თ ო ფ უ რ ი ა, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ბრუნებასთან შედარებით. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1944, ტ. V; მ ი ს ი ვ ე, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927; თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში, იკე, VII, 1955, გვ. 125-133.

რაში გამოთქმული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ე. წ. „ორფუძიანი“ ბრუნება არ არის დამახასიათებელი სვანურისათვის და არც ნახურ-დაღესტნური ჯგუფის ენებისათვის. სვანურის ნათესაობითის ფორმაში წარმოდგენილი -ჰიშ (ბზ. ეელ-მიშ...) ამ ბრუნვის განუყოფელი ფორმანტია, ხოლო ტრადიციულად მიეკმითი ბრუნვის ნიშნად მიჩნეული -ჰ (ჟალ-ჰ...) სათანადო სახელთა ძირეული მორფემის ერთ-ერთი ალომორფის შემადგენელი ნაწილი (ეელ/ჟალუ).²

ასევე ხუნძურში ჩვენებით ნაცვალსახელთა აჰ, აჰ, აჰ „ეს“ ერგატივის ფორმებში წარმოდგენილი ახ და ალა¹ წმინდა ფუძეებია (ხ და ლა¹ არ არის ერგატივის ნიშანი). ამით აიხსნება მათი ფუძედ გამოყენება სხვა ბრუნვებში: მიც. ას-ი-ჰ, ალ¹⁰-ი-ჰ; ნათ. ას-ულ, ალ-ულ და მისთ. სხვა შემთხვევებში ე. წ. „ორფუძიანობა“ გამოწვეულია იმით, რომ აქ ბრუნება ნაცვალსახელურია.³

სვანური და ხუნძური ე. წ. „ორფუძიანი“ ბრუნების აქ წარმოდგენილი ინტერპრეტაცია ხსნის იმ არსებითი ხასიათის დაბრკოლებას, რომელიც ახლავს სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს ერგატევას და მიეკმითი ბრუნვის ფორმათა სხვა ბრუნვებში გაზრცელების დამწეობით.

ასევე და მით უფრო მიუღებელია პრინციპულად (ზოგადად) მცდარია „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში“ გაზრცელებული დებულებები: **ორმაგი ერგატივის ფორმა** (შდრ., ლედაკა-შა-შ, ვაზირ-შა-შ, ცხენ-შა-შ... ფერ., ინგ...), **შრ. რიცხვის ორმაგხუფიქიანი ფორმები** (შდრ. ძიუ „მძივი“ — ძიუარ-წლ „მძივები“... ღნტ.; ლანხუბ „სამშო“, ლანხუბუ-არ-ალ „სამშოები“, ლშხ... გ. ვაზდ. სიმპ. II, 2008, გვ. 109).

ამგვარ ტერმინთა (კვალიფიკაციათა) უმართებულობაზე მითითებულია ჩვენს შრომებში. ხაზი ესმებოდა ზეპირ გამოსვლებშიაც (უფრო ვრცლად — სხვაგან).

ბუნებრივად ისმის კითხვა: რამ განაპირობა ქართულში სახელობითი ბრუნვის ი ნიშნის (ქართული ენის ზოგ დიალექტში ასე-

² ა. ონიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 158-163, 185; იხ. აგრეთვე ლ. პალმატი, შენიშვნები სვანური ბრუნების შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1979, გვ. 121.

³ ბ. კიკვიძე, ორფუძიანი ბრუნება ხუნძურში, იყ. XII, 1960, გვ. 352-356; მისივე, ზედსართავი სახელი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 71, 1958, შდრ. ა. ჩიქობავა, ნათვალსახელთა ბრუნება ხუნძურში, ენიკის მოამბე, ტ. XII, 1942; მისივე, ერგატივის წარმოქმნის ისტორიისათვის ხუნძურში, იყ. ტ. II, 1948, გვ. 92 და სხვა.

ვე — წოდებითის ო აფიქსის) გაუფინქციოება ფუძეთანხმოვნია ანთროპონიმთა ბრუნების პარადიგმაში, ხოლო მეგრულ-ლაზურში — ფუძეთანხმოვნია სახელთა ბრუნების პარადიგმაში საზოგადოდ?

თითოეულ ამ მოვლენას — სახელობითის ო ფორმანტის გაუფინქციოებას ქართულსა და მეგრულ-ლაზურში, წოდებითის ოსი (როგორც ამ ბრუნვის აღმნიშვნელი აფიქსისა) — ქართული ენის დიალექტებში, ერთიდაიგივე მიზეზი უდევს საფუძვლად, თუ სხვადასხვა?

აღნიშნულ მოვლენაზე დაკვირვება ავლენს გარკვეულ კანონზომიერებას; სახელდობრ, ქართველურ ენებში სახელობითი ბრუნვის ო ფორმანტის გაუფინქციოება და მისი შეზრდა თანხმოვნაზე დაბოლოებულ ფუძეებთან ხდება ბრუნების იმ სისტემებში, რომელთაც მიმართვა-დაძახების გამოსახატავად არა აქვთ საგანგებო ფორმა სპეციფიკური აფიქსით (წოდებითი ბრუნვა) და ამ ფუნქციით გამოიყენება სახელობითი.¹ ქართულში ამგვარი ვითარება გვაქვს მხოლოდ ანთროპონიმთა ბრუნების პარადიგმაში (სახ. უშანგი, წოდ. უშანგი!...), მეგრულ-ლაზურსა და სვანურში — სახელთა ბრუნების სისტემაში საზოგადოდ:² ზან. სახ. მერაბი, ღორონთი („ღმერთი“); მიმართვის ფორმა: მერაბი! ღორონთი! („ღმერთო!“); სვან. სახ. ვახტანგ, ბეფშუ („ბიჭი“); მიმართვის ფორმა: ვახტანგ! ბეფშუ! („ბიჭო!“)... შესაბამისად: ქართულში ო- ბოლოხმოვნია სახელთა ბრუნების პარადიგმა, წარმოქმნილი ფუძეთანხმოვნია სახელთა ბრუნების პარადიგმისაგან, დასტურდება მხოლოდ პირის სახელებთან (გურამი-მ, გურამი-მ, გურამი-ს...), მეგრულ-ლაზურში — ყოველგვარ სახელთან — როგორც ანთროპონიმებთან, ისე საზოგადო სახელებთან (მერაბი-ქ, კოჩი-ქ; მერაბი-ს, კოჩი-ს...).

მოსალოდნელი იყო ო-ბოლოხმოვნია სახელთა ბრუნების პარადიგმა, ჩამოყალიბებული თანხმოვანფუძიან სახელთა ბაზაზე, გვქონოდა სვანურშიც მსგავსად მეგრულ-ლაზურისა (სვანურს ისევე, როგორც მეგრულ-ლაზურს, არა აქვს წოდებითი ბრუნვა). არ არის გამორიცხული სვანურის თანამედროვე ვითარება იყოს მეორეული,

¹ სახელობითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება მიმართვისათვის წოდებითი ბრუნვის არქონე სხვა ენებშიც.

² როგორც ცნობილია, მეგრულ-ლაზურსა და სვანურს წოდებითი ბრუნვის ფორმა არა აქვს.

შედგევი სახელთა აუსლაუტური ხმოვნის მოკვეცის ტენდენციისა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სვანური პოეზიის ენაში სხვადასხვა ბრუნვაში ფიქსირებული ე-ფუძეხმოვნიან სახელთა ფორმები: ჯანოდ „ხარმა“, მიც. ჯანო-ს „ხარს“; ჭაშო-ს „ქმარს“, თაშო-ს „ყველს“ და სხვ. ადრე სვანურში ფართოდ არის გავრცელებული მოვლენის — თანხმოვან-ფუძიან სახელთაგან წარმოქმნილი ე-ბოლოხმოვნიან სახელთა ბრუნვების პარადიგმის გადმონაშთს წარმოადგენს და არა პროცესის ჩანასახს, რომელიც სვანურში მოქმედი ზემოთაღნიშნული ტენდენციის გამო ვერ განვითარდა. მაგრამ, როგორადაც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, სვანურის მონაცემები ადასტურებს დებულებას: ქართველურ ენებში ე-ბოლოხმოვნიან სახელთა ბრუნვების პარადიგმა, დიაქრონიულად ჩამოყალიბებული ფუძეთანხმოვნიან სახელთა ბრუნვების პარადიგმისაგან სახელობითის ე ფორმანტის გაუფუნქციოებისა და მისი ფუძესთან შეზრდის გზით, გვაქვს ბრუნვების იმ სისტემებში, რომელთაც არა აქვთ წოდებითი ბრუნვის ფორმა და ამ დანიშნულებით გამოიყენება სახელობითი.

მაშასადამე, არ ს ე ბ ბ ს უ დ ა ვ ო შ ი ნ ა გ ა ნ ი კ ა ვ - შ ი რ ი ა მ ო რ მ ო ვ ლ ე ნ ა ს შ ო რ ი ს — ს ა ხ ე ლ ო ბ ი - თ ი ს მ ი მ ა რ თ ვ ი ს ფ ო რ მ ა დ გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს ა და ე ფ ო რ მ ა ნ ტ ი ს გ ა უ ფ უ ნ ქ ც ი ო ე ბ ი ს (resp. ფუძესთან შეზრდის) ფ ა ქ ტ ს შ ო რ ი ს.³ აქედან თავისთავად, ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა: სახელობითის ფორმა, გამოყენებული მიმართვა-დაძახების ფუნქციით, არის ის პოზიცია, სადაც ხორციელდება ზამოთგანხილული ფუნქციურ-მორფოლოგიური ხასიათის ცვლილებები — სახელობითის ისტორიული ე ფორმანტის ფუნქციის მოშლა და მისი შეზრდა ფუძესთან. აღნიშნულ პოზიციაში — მიმართვის ფორმებში ამგვარი რეინტერპრეტაციის შედეგად ე- შეხორცე-

³ ქართველური სისტემის ენებიდან ამ კავშირის არსებობას განსაკუთრებით მკვეთრად გახაზავს ქართულის ვითარება. როგორც ცნობილია, სამწერლობო ქართულსა და ქართული ენის მთელ რიგ დიალექტში ადამიანის საკუთარ სახელებს მიმართვა-დაძახებისათვის არ გააჩნიათ სავანებო ფორმა. ამ სემანტიკის გადმოსაცემად გამოიყენება ე-ფიქსიანი სახელობითი. საზოგადო სახალებს კი მიმართვისათვის აქვთ ო ნიშნით მარკირებული სპეციფიკური ბრუნვის ფორმა — წოდებითი. სახელობითის გამოყენებას ამ ფუნქციით ისინი არ საკირებენ. შესაბამისად: ქართულში ე ფორმანტის გაუფუნქციობა და მის შეხორცება ფუძესთან დამახასიათებელია მხოლოდ წარმოშობით ბოლოთანხმოვნიანი ანთროპონიმებისათვის (რევაზი-მ, რევაზი-ს...), საზოგადო სახელებისათვის — არა.

ბული ფუძეები შემდეგ არის გავრცელებული სხვა ბრუნვებში, რის შედეგადაც ქართველურ ენებში ფუძეთანხმოვნიათი სახელებისაგან ყალიბდება **ე-ბოლოხმოვნიათი სახელთა ბრუნების პარადიგმა**.¹ ოღონდ ქართულში, მეგრულ-ლაზურისა და ისტორიული სვანურისაგან განსხვავებით, მხოლოდ **ე-ფუძეხმოვნიათი ანთროპონიმებისა**. მაგ.: ქართ. მიმართვის ფორმა: ვახტანგ-ი! > ვახტანგი-ი! აქედან სახ. ვახტანგი-ი, მოთხ. ვახტანგი-მ, მიც. ვახტანგი-ს, ნათ. ვახტანგი-ს(ი)...; ზან. მიმართ. ოთარი-ი! ძღაბი-ი! („გოგო“) > ოთარი-ი!, ძღაბი-ი! აქედან სახ. ოთარი-ი, ძღაბი-ი; მოთხ. ოთარი-ქ, ძღაბი-ქ; მიც. ოთარი-ს, ძღაბი-ს; ნათ. ოთარი-შ(ი), ძღაბი-შ(ი)... (შდრ. სვანური პოეზიის ენაში დადასტურებული ფორმები: ჯანი-დ, „ხარმა“, ჯანი-ს „ხარს“...)².

ასახსნელი რჩება საკითხი: სახელობითი ფორმის გამოყენება მიმართვისათვის რატომ იწვევს **ე** ფორმანტის ფუნქციის მოშლას? რა განაპირობებს ამგვარ ფუნქციურ-მორფოლოგიურ ცვლილებებს?

რატომ არ ხორციელდება ქართულში იგივე პროცესი საზოგადო

¹ ამ პროცესისათვის ერთგვარ ხელშემწყობ ფაქტორს, მართლაც, შეიძლება წარმოადგენდეს სხვა ხმოვნებზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან ანალოგია. ქართველურ ენებში საერთოდ რომ არ არსებულებოდა ხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა შესაძლებელი არც **ე-ბოლოხმოვნიათი** სახელთა ფორმების ჩამოყალიბება.

როგორც ცნობილია, მეგრულ-ლაზურში თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი სახელები საზღვრულის წინ ყველა ბრუნვაში წარმოადგენილია სახელობითის ფორმით: სახ. სქვაში ეუღე „ლამაზი სახლი“, მოთხ. სქვაში ეუღე-ქ, მიც. სქვაში ეუღე-ს, ნათ. სქვაში ეუღე-შ(ი)...

აქ საქმე გვაქვს სხვა მოვლენასთან, კერძოდ, **ე-ფორმანტიანი სახელობითის განზოგადების ფაქტთან**, უნიფორმაციის ტენდენციის გამოვლენასთან, რაც შედეგადად წინამავალ პრეპოზიციულ მსაზღვრელსა და საზღვრულ სმორის ბრუნვაში შეთანხმების უნარის შესუსტებისა, სინტაქსური კავშირის გამარტივებისა (ა. ჩ ი კ ბ ა ვ ა , ჯანურის გამაბრტყელი ანალიზი, 1936, გვ. 68; ვ. თ ო ფ უ რ ი ა , გამაბრტყელ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესები ქართველურ ენებში, იკვ. ტ. VI, 1954, გვ. 454; ქ. დ ა ნ ე ლ ი ა , დასახ. ნაშრ., გვ. 91-92).

ჩქიმი ძღაბი („ჩემი გოგო“), ჩქიმი ძღაბი-ქ, ჩქიმი ძღაბი-ს... ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების პარადიგმაში რომ თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი სახელის სახელობითის ფორმის განზოგადებასთან გვაქვს საქმე და არა **ე-ხმოვანშეხორცებულ ფორმათა** გამარტივებასთან სათანადო ბრუნვის ნიშნის მოკვეცის გზით (*ჩქიმიქ ძღაბიქ > ჩქიმი ძღაბიქ...), მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ანალოგიური ვითარება შეინიშნება ქართული ენის მთელ რიგ დიალექტში: იმერულში, გურულში, ქართლურში, ფერდიდნულში და სხვ. (შდრ. ქართლ. მოჭრილი თავებსა, ფერდიდ. ჩემი აშხანავებმა...), რომელთა ბრუნების სისტემისათვის უცხოა ბოლოთანხმოვნიათი სახელებთან **ე** ხმოვნის შეხორცების ტენდენცია (ქ. დ ა ნ ე ლ ი ა , დასახ. ნაშრ., გვ. 92; შდრ. ე. ლომთაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 180-181).

სახელთა მიმართვის (წოდებითის) ფორმებში? ე. ი. რატომ არა გვაქვს: ღმერთო-მ, კაცო-მ, მეგობარო-მ და მისთ. (შდრ. ქართული ენის რიგ დიალექტში გავრცელებულ ანთროპონიმთა ობოლოზმოვნინი ფორმები: დავითო-მ, ეთერო-მ, თამრო-მ და მისთ.).

როგორც ცნობილია, სახელობითი ნეიტრალური ბრუნვაა. იგი წარმოადგენს სახელთა საწყის, სახელდების ფორმას. ა. ჩიქობავას აზრით, „სახელობითი ბრუნვა ამოსავალია ბრუნებისათვის როგორც ინდო-ევროპული, ისე იბერიულ-კავკასიურ ენებისათვის.³ როგორც ჰ. ფოგტი აღნიშნავს, სახელობითი უმეტესად გრამატიკული, აბსტრაქტული ბრუნვაა, რომლის მნიშვნელობა განისაზღვრება მხოლოდ მისი ოპოზიციით სხვა ბრუნვების მიმართ.⁴ ამიტომ ხდება შესაძლებელი ბრუნების იმ სისტემებში, რომელთაც წოდებითი არ გააჩნიათ, სახელობითი გამოყენებული იქნას მიმართვის ფორმადაც, რისთვისაც უფრო ადრეულ ეტაპზე ქართულში, საფიქრებელია, სხვა ქართველურ ენებშიც (თუ საერთო-ქართველურში არა) სახელობითის განუსაზღვრელი ფორმა, სხვა თვალსაზრისის მიხედვით ე. წ. წრფელობითი ბრუნვა („წმინდა ფუძე“) იყო გამოყენებული.⁵

ეს ო რ ი ფ ა ქ თ ო რ ი — სახელობითი ბრუნვის სუსტი სემანტიკური დატვირთულობა და ტრადიცია — მიმართვის ფორმებში (წოდებით ბრუნვაში) სახელთა წარმოდგენა „წმინდა ფუძის“ სახით (ნულოვანი ალომორფით) განაპირობებს იმ ფუნქციურ-მორფოლოგიური ხასიათის ცვლილებებს, რაც გამოიხატა ქართველურ ენებში თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნების პარადიგმაში • ფორმანტის

³ ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, 1979, გვ. 135.

⁴ ჰ. ფ ო გ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 282.

⁵ ძველი ქართული ენის წერლობით ძეგლებში დადასტურებული საზოგადო სახელთა მიმართვის ფორმები: მ ა ც ხ ო ვ ა რ ! (მაცხოვარ, გულსა ქუეყანისასა, ცანი ოგლოვდეს: სას. პოეზ. 19,3), ს ა ხ ი ე რ ! (გარდასცვალე უკუდავებად, სახიერ: ი ქ ვ ე, 111, 253), მ ო ძ ლ უ ა რ ! (მოდლუარ, არა ჳზრუნავა, რამეთუ წარეწყმდებით: მრ. 4, 38), ხ უ ე ე ს ! (ხუცეს, რად შუუხარე ხარ: შუშ.) და სხვა ამ ვითარების გადმონაშთს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ პირის სახელთა მიმართვის ფორმებმა სამწერლო ქართულში დღემდე შემონახა ამგვარი ვითარება — საზოგადო სახელებისაგან განსხვავებით წოდებით ბრუნვაში ისინი წარმოდგენილი არიან ო-ფორმანტის გარეშე, „წმინდა ფუძის“ სახით: მალხაზ! ასმათ! თამარ! და სხვ. (ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 73-85).

ფუნქციის მოშლასა და მისი ფუძისეულ ელემენტად გადაქცევაში.¹

რატომ არ განხორციელდა ქართულში იგივე პროცესი საზოგადო სახელთა მიმართვის ფორმებშიც (წოდებით ბრუნვაში), ე. ი. რატომ არ მოხდა წოდებითი ბრუნვის ო ფორმანტის გაუფუნქციოებაც და მისი შეხორცება ფუძესთან, რატომ არა გვაქვს, კაცო-მ, შვილო-მ, მეგობარო-მ და მისთ.

პასუხი მარტივია — საზოგადო სახელთა მიმართვის ფორმები ქართულში, ანთროპონიმებისაგან განსხვავებით, მარკირებულია სპეციფიკური აფიქსით — ო ფორმანტით, რომელსაც საკმაო სემანტიკური დატვირთვა გააჩნია — გამოხატავს მიმართვა-დაძახებას. ამიტომ მისი გაუფუნქციოება (resp. შეზრდა ფუძესთან) ნაკლებ მოსალოდნელია.²

¹ აღნიშნული მოვლენის — თანხმოდანფუძიანი სახელებისაგან ე-ბოლოზმოფ ნიანსახელთა ბრუნების პარადიგმის ჩამოყალიბების პროცესის ფართო მასშტაბით განხილვამ, კრძოდ, მეგრულ-ლაზურისა და სვანურის მონაცემების გათვალისწინებამ ერთგვარი კორექტივი შეიტანა ჩვენს მიერ ადრე გამოთქმულ თვალსაზრისში, რომელიც ეხება ე-ბოლოზმოფიან ანთროპონიმთა ბრუნების წარმოქმნის საკითხებს ქართულში, მაგრამ ამ თვალსაზრისის ძირითადი და არსებითი დებულება — სახელთა მიმართვის ფორმების არის ის კოზიციის, სადაც ხდება ე-ბოლოზმოფიანი სახელების ჩამოყალიბება, უცვლელი რჩება (იხ. ლ. ნოზაძე, ფუძეთანხმოდან ანთროპონიმთა ბრუნების ერთი ტენდენციის შესახებ ქართულში, იყ, XXVIII, 1989, გვ. 101-128).

² ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში ფიქსირებულია საზოგადო სახელთა ომ ნიშნის სახელობითის ფორმები მიმართვის ფუნქციით (წოდებითი ბრუნვის სემანტიკით). ნიმუშები: და შენ, ბეთლემ, ქუეყანა ეგე იუდაისი, არასადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაისთა: მ. 2, 6; მიუფო იესუ და პრქუა მას: შნათესავი, ურწმუნოი და გულარძილი, ვიდრემდის თქუენ თანა ვიყო, ვიდრემდის თავსვიდებდე თქუენისა: მ. 17, 17; რამეთუ ეტყიდა მას იესუ: სული ეგე არაწმიდაა, განვედ კაცისა მადისგან: მრ. 5, 8 და სხვ. (მაგალითებს ვიძიებთ ი. იმნაიშვილის ნაშრომიდან: სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 78-82; 673-674).

თუ აქ შემთხვევით ფაქტებთან არა გვაქვს საქმე, ეს ნიმუშები უნდა განვიხილოთ როგორც გამოვლენა იმ ტენდენციის ჩანასახისა, რომელიც ქართულში ვერ განვითარდა ი-ნიშნის წოდებითი ფორმის ჩამოყალიბების გამო საზოგადო სახელებთან ე-ფორმანტიანი სახელობითის მიმართვის ფუნქციით გამოყენებას რომ სისტემური და ხანგრძლივი ხასიათი ჰქონოდა, მაშინ ქართულშიც ისეთივე ვითარება გვექნებოდა, როგორიც თანამედროვე მეგრულ-ლაზურშია; სახელობრ, ქართულშიც ფუძეთანხმოდან სახელთაგან ჩამოყალიბებული ე-ბოლოზმოფიანი ბრუნების პარადიგმა, ზანურის მსგავსად, გარდა ანთროპონიმებისა დამახასიათებელი იქნებოდა საზოგადო სახელებისთვისაც, ე. ი. გურამი-მ, გურამი-ს, გურამი-ს(ი) ტიპის ბრუნებასთან ერთად გვექნებოდა: კაცო-მ, კაცო-ს, კაცის-ი ტიპის ბრუნებაც (შრდ.

ქართული ენის რიგ დიალექტში: იმერულში, რაჭულში, აქარულში, მესხურ-ჭავჭავურში, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში და სხვ. ფუძეთანხმოვნიანი ანთროპონიმებისაგან ობოლობმოვნიან სახელთა ბრუნების პარადიგმის ჩამოყალიბებას (მხედველობაში გვაქვს ეთერო, ეთერო-მ, ეთერო-ს... ტიპის პარადიგმა) სხვა ფაქტორი განაპირობებს.

აღნიშნულ დიალექტებში თანხმოვანფუძიანი პირის სახელები, როგორც ცნობილია, საზოგადო სახელების ანალოგიით წოდებით ბრუნებაში დაირთავენ ო ნიშანს. მაგ.: დავით-ო! ეთერ-ო! ვახტანგ-ო! მარიამ-ო! და სხვ. (შდრ. სალიტერატურო ფორმები: დავით! ეთერ! მარიამ!...).

ფუძეთანხმოვნიან ანთროპონიმთა მიმართვის ფორმებში ო ფორმანტი კინოზით-მოფერობითობის სპეციფიკური აფიქსებით (-ა, -იკა, -იკო, -ელა, -იკელა, -იტა და მისთ.) ნაწარმოებ ფორმათა (აბრამა, დათიკა, თამრიკო, გიორგელა, მარიკელა, გოგიტა და სხვა) გავლენით რეინტერპრეტირდება მოფერობით-ალერსობით სუფიქსად.³ აღნიშნულ პოზიციაში სადერივაციო აფიქსად გააზრიანებული ო იქცევა ფუძის შემადგენელ ელემენტად და აქედან ვრცელდება ბრუნების მთელ პარადიგმაზე: წოდ. ეთერ-ო! დავით-ო! > ეთერო! დავითო! აქედან: ეთერო-ო, დავითო-ო; მოთხ. ეთერო-მ, დავითო-მ; მიც. ეთერო-ს, დავითო-ს; ნათ. ეთერო-ს(ი), დავითო-ს(ი) და სხვ.⁴

მაშასადამე, დავითო, დავითო-მ დავითო-ს... ტიპის პარადიგმის სინქრონიული ანალიზისას ბოლოკიდური ო ფუძის შემადგენელი ნაწილია, მოფერება-ალერსის გამომხატველი სადერივაციო აფიქსი. დიპრონიულად იგი წოდებითი ბრუნვის ფორმანტია.

ზან. უშანგი-ქ, კოჩი-ქ; უშანგი-ს, კოჩი-ს...).

აქ ვერც იმას ვივარაუდებთ, რომ გაუფუნქციოებული და ფუძეს შეხორცებული სახელობითის ისტორიული ფორმანტი ო ქართულში სახელებს შემდეგ მოეკვცათ მსგავსად სვანურისა. ქართულს, როგორც ცნობილია, სვანურისაგან განსხვავებით, არ ახასიათებს სიტყვის აუსლაუტში დახურული მარცვლის შექმნის ტენდენცია.

³ უნდა ვიფიქროთ, რომ ის პოზიცია, სადაც დაიწყო წოდებითის ო ფორმანტის ალერსობითობის აფიქსად გააზრიანების პროცესი, არის -იკო, -ილო სუფიქსებით ნაწარმოები ფორმები, რომლებიც თავდაპირველად მიმართვისათვის გამოიყენებოდა: *დელიკ-ო!, *მამილ-ო!, *თამრიკ-ო!...

⁴ დაწერილებით ამის შესახებ იხ. ლ. ნოზაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 101-128.

რატომ არ გააზრიანდა საზოგადო სახელთა მიმართვის ფორმებში: კაცო! მეგობარო! მეზობელო! ყმაწვილო!- და მისთ. ო ფორმანტი მოფერებით-ალერსობითობის აფიქსად? იმიტომ, რომ საზოგადო სახელებს, ანთროპონიმებისაგან განსხვავებით, ჩვეულებრივ, არ ეწარმოებათ ამგვარი ფორმები.

ამ გ ვ ა რ ა დ, ქართველურ ენათა ბრუნების სისტემის ანალიზი ცხადს ხდის, რომ **მ-ბოლოსმოვნიან** სახელთა ბრუნების პარადიგმა, ჩამოყალიბებული ფუძეთანამოვნიან სახელთა ბაზაზე, გვაქვს ბრუნების იმ სისტემებში, რომელთაც არა აქვთ წოდებითი და მიმართვისათვის გამოიყენება სახელობითის ფორმა (ასეთი ვითარება გვაქვს მეგრულ-ლაზურში საზოგადოდ, ქართულში — ანთროპონიმებთან, უნდა გვქონოდა ისტორიულ სვანურშიც, მაგ.: ქართ. სახ. უშანგი, მოთხ. უშანგი-მ, მიც. უშანგი-ს, ნათ. უშანგი-ს(ი)... ზან.: სახ. მერაბი, კოჩი „კაცი“, მოთხ. მერაბი-ქ, კოჩი-ქ; მიც. მერაბი-ს, კოჩი-ს; ნათ. მერაბი-შ(ი), კოჩი-შ(ი)... (შდრ. სვანური პოეზიის ენაში დადასტურებული ფორმები: ჯანი-დ „ხარმა“, ჯანი-ს „ხარს“ და მისთ.). დადგენილი კანონზომიერების საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომლის მიხედვითაც ივარაუდება, რომ სახელობითის ფორმა გამოყენებული მიმართვისათვის არის ის პოზიცია, სადაც ხორციელდება სახელობითის ისტორიული **მ** ფორმანტის გაუფუნქციოება და მისი შეხორცება ფუძესთან. **მ-ბოლოსმოვნიანი** ფუძეები აქედან არის გავრცელებული სხვა ბრუნებში: მიმართვ. გურამ-ი! კოჩი-ი! > გურამი! კოჩი! აქედან: სახ. გურამი-შ, კოჩი-შ; მოთხ. გურამი-მ, კოჩი-ქ; მიც. გურამი-ს, კოჩი-ს...

ნაშრომში მოცემულია იმისი ახსნის ცდაც, რატომ ხდება მიმართვისათვის გამოყენებულ სახელობითის ფორმაში ბრუნვის **მ** ნიშნის გაუფუნქციოება და მისი რეინტერპრეტაცია ფუძისეულ ხმოვნად.

გაზიარებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ე. წ. „ორფუძიანი“ ბრუნება არ არის დამახასიათებელი სვანურისათვის და არც ნახურ-დაღესტნური ჭგუფის ენებისათვის. სვანურის ნათესაობითის ფორმაში წარმოდგენილი **-მიშ** (ჟელ-მიშ „ძალის“) ამ ბრუნვის განუყოფელი ფორმანტია, ხოლო ტრადიციულად მიცემითი ბრუნვის ნიშნად მიჩნეული **-ჰ** (ჟალ-ჰ) — სათანადო სახელთა ძ ი რ ე უ ლ ი მ ო რ ფ ე მ ის ერთ-ერთი ალომრფის შემადგენელი ნაწილი (ჟელ/ჟალჰ).

ბრუნების ზოგი საკითხის შესახებ ქართულში*

სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ხანია შენიშნულია ფაქტი უცხო წარმომავლობის სახელთა, მათ შორის საზოგადო სახელების ბოლოკიდური **o** ხმოვნის მოკვეცის ქართულში. გარკვეულია მიზეზიც — ფუძისეული **o**-ს რეინტერპრეტაცია სახელობითი ბრუნვის ფორმანტად: მონასტერ-ი, ოლარ-ი, პარასკევ-ი, მუშტარ-ი, აბაზი, ზანგი, ელჩი, გემი, ყუთი, ტაქსი, ალიბი და სხვა (შანიძე 1973, 67; ჩიქობავა 1942,2).

საპირისპირო ტენდენცია დასტურდება ადამიანის საკუთარ სახელთა ბრუნების სისტემაში. თანამედროვე ქართულში — ქართული ენის მთელ რიგ დიალექტში, სასაუბრო მეტყველებაში, სალიტერატურო ენაში წარმოშობით ფუძეთანხმოვნიანი ანთროპონიმები **o**-ხმოვანფუძიან (დიალექტებში — აგრეთვე **o**-ხმოვანფუძიან) სახელეზად ყალიბდება. გვაქვს:

სახ. ასმათი-**o** (დიალ. ასმათო-**o**), მოთხ. ასმათი-**o** (დიალ. ასმათო-**o**), მიც. ასმათი-**o** (დიალ. ასმათო-**o**) ... წოდ. ასმათი-**o**! (დიალ. ასმათო-**o**!).¹

* ამასთან, წინამდებარე ნაშრომი (პირველად გამოქვეყნდა ეურნალში „ქვეს“-ები, VIII, 2003) წარმოადგენს პასუხს თ. უთურგაიძის სტატიაზე „რელიკია ბრუნების საკითხებთან დაკავშირებით“ (1998, 250-254), რომელშიაც კრიტიკულად არის განხილული ჩვენი სხვადასხვა დროს გამოთქმული მოსაზრებანი **o** ხმოვანფუძიანი სახელების (ლევანიძე, ლევანის) ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით (1989, 101-130; 1995, 43-61), აგრეთვე — ნანათესაობითარ სახელობითსა და მოკმედებით ბრუნვებში ემფატიკური **o** ხმოვნის (წყაროსი, წყაროთი) წარმომავლობის შესახებ (1990, 18-44).

აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ ზემოთ დასახელებული ჩვენი სტატიები არ წარმოადგენს საგანგებო გამომხატურებას თ. უთურგაიძის ნაშრომებზე (1985, 49-67; 1986), რომლებშიც სხვა პრობლემებთან ერთად ოგივე საკითხებიცაა განხილული. ისინი დამოუკიდებელი გამოკვლევებია, დამყარებული დიდალ ემპირიულ მასალაზე. ბუნებრივია, რომ მათში გაანალიზებულია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სხვა თვალსაზრისები, მათ შორის თ. უთურგაიძის მოსაზრებანიც.

ჩვენი სარწმუნოა სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი არგუმენტაცია, რის საფუძველზედაც წოდებითი ბრუნვის ფორმად არის მიჩნეული (შანიძე 1981, 466-469; ონიანი 1987, 143-154; 1989, 55-62... შტრ. ჩიქობავა 1928, 166; 1950, 36; 1952, 267; თოფურია 1956, 36-47...).

ამის საწინააღმდეგო არგუმენტად არ გამოდგება ის ფაქტი, რომ წოდებითი ბრუნვის ფორმები „აქტანტად არასოდეს გამოიყენება“ (უთურგაიძე 1998, 252). სამეცნიერო ლიტერატურაში მოუთითებენ მორფოლოგიური კატეგორიების

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფაქტი სხვადასხვაგვარად არის ახსნილი.² კერძოდ, თ. უთურგაიძის აზრით **მ-ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ჩამოყალიბება ქართულში მორფონოლოგიურ (მორფოფონოლოგიურ) საფუძველზე აიხსნება.**

ავტორის თქმით, მიცემითი ბრუნვის ფორმებში საკუთარ სახელთა ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნისა (ფ, ქ, ჯ ფშვინვიერი ფონემების გარდა) და ხ ფორმანტის შეხვედრით წარმოიქმნება ფონემატურად შეუთავსებელი თანხმოვანთკომპლექსები, რომლებიც ითიშება სახელობითი ბრუნვის **მ** ნიშნის ჩართვით: მიც. ასმათს > ასმათის.

ორი ბრუნვის — სახელობითისა და მიცემითის **მ-ს** ნიშანთაგან წინამავალი, სახელობითის **მ** რეინტერპრეტირდება ფუძისეულ ხმოვნად იმის გამო, რომ მკვლევრის აზრით, ერთ ფორმაში არ შეიძლება იყოს ორი ან მეტი ბრუნვის ნიშანი.¹ მიცემითი ბრუნვის **მ-ხმოვანი** ფუძე: **ა ს მ ა თ ი -ს** შემდგომ განზოგადოებულია სხვა ბრუნვებშიაც, რის შედეგადაც გვაქვს: სახ. ასმათ**მ-მ**, მოთხ. ასმათ**მ-მ**, მიც. ასმათ**მ-ს...** წოდ. **ა ს მ ა თ ი -მ!** და მისთ. (უთურგაიძე 1985, 62-63; 1986, 116-117).

სადავო დებულებებია. ჩვენი აზრით მათ სერიოზული დაბრკოლებები ახლავს. სახელდობრ,

1) აქ კვლავ უნდა გავიმეოროთ ადრე ნათქვამი: თუ ანთროპონიმთა თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებში სახელობითის **მ** სუფიქსის შეხორცება ფუძესთან მოხდა მიცემითი ბრუნვის ფორმაში სიტყვის ბოლოს წარმოქმნილი ფონემატურად შეუთავსებელი თანხმოვანთკომპლექსების გასათიშავად, რატომ არ ხდება იგივე პროცესი საზოგადო სახელებში.² რატომ არ არის დამახასიათებელი ქართული-

დადგენისას სინტაქსური კრიტერიუმების გამოყენების უმართებულობაზე (ონიანი 1989, 61).

ფიქრობთ, არ არის სწორი არც წოდებითი ბრუნვის ფორმებისა და შორისდებულების ე! ჰე! და სხვ. ერთ რანგში განხილვა. ისინი სხვადასხვა მონაცემებია ფორმაწარმოებისა და „ფუნქციური სტილის“ (ნიშნის) თვალსაზრისითაც (შდრ. უთურგაიძე 1998, 251-252).

² ამის შესახებ ვრცლად იხ. ნოზაძე 1989, 113-123.

¹ უ ს ა ფ უ შ ვ ლ ო დ გვედავება თ. უთურგაიძე (1998, 250-251). ავტორის ეს დებულება მითითებულია ჩვენს შრომაში (1995, 49, 52ვ). პრობლემა მის დ ი ა ქ რ ო ნ ი უ ლ ი ნ ტ ე რ პ რ ე ტ ა ც ი ა შ ი ა (ამის შესახებ — ქვემოთ).

² როგორც ცნობილია, მიც. ბრუნვის ფორმაში საზოგადო სახელთა აუსლაუტში წარმოიქმნება უფრო რთული — რამდენიმე (ზოგჯერ — ხუთი) თანხმოვნისაგან შემდგარი კომპლექსები (შდრ. ორთქლს, კერცხს, ვერცხლს, სისხლს...), როცა პირის

სათვის ფორმები: ქალი-მ, თითი-მ, ქათამი-მ, ნერგი-მ და მისთ. (შდრ. ასმათი-მ, გურამი-მ, ვახტანგი-მ...). სახელთა ამ კლასში თანხმოვანთა იგივე ჭკუფები ბუნებრივ მიმდევრობებად მიიჩნევა.

უფრო მეტიც: ბოლოთანხმონიან საზოგადო სახელებს არა თუ არ უხორცდება ფუძის ბოლოკიდურად • ხმოვანი, პირიქით, • იკვეცება ისეთ ფუძეებში, სადაც წარმოშობით იგი იყო. ქართული მეტყველებისათვის ბუნებრივია ფორმები: მიც. ტაქსს (და არა ტაქსის), ალიბს (და არა ალიბის), გემს, ელჩს, ზანგს, მონასტერს და მისთ.

თანხმოვანთა ფუძიან ანთროპონიმებში • ხმოვნის ფუძესთან შეზრდის პროცესი წარმოქმნილი რომ იყოს მიცემითი ბრუნვის ფორმაში ფონემატურად შეუთავსებელი თანხმოვანთკომპლექსების გათიშვის საჭიროებით, მაშინ იმავე ფაქტორის გავლენით საზოგადო სახელთა ფუძის ბოლოკიდურად • ხმოვანი თუ არ დამკვიდრდებოდა, არ უნდა მოკვეცილიყო იმ ფუძეებში მაინც, სადაც იგი უკვე გვექონდა.

შენიშვნა: მიუხედავად თ. უთურგაიძის, რბილად რომ ვთქვათ, მკაცრი შენიშვნისა, მაინც ვიპოვებთ ჩვენს ადრინდელ მოსაზრებას ქვემო-იპერულის ვანურ თქმაში ც ა ლ კ ე უ ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ შ ი გამოვლენილ • ხმოვანთა თანხმოვანთა საზოგადო სახელებთან დაკავშირებით, როგორცაა: ვილულოფ ს ა - ხ ლ ი ს... ქ ა ლ ი ს თხოლოფს... ქ ა მ ს კ ი ტ რ ი ს... დოუბაბა ბ ო ფ - შ ი ს (ძოწენიძე 1973, 286; კუბლაშვილი 1985, 92).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული ფორმები: სახლის, ქალის, კიტრის, ბოფშის... (მიც. ბრ.) სპეციალისტების: ქ. ძოწენიძის (1973, 234), კ. კუბლაშვილის (1985, 92) მიერ (და არა ჩვენს მიერ) ყალიფაციონებულა ქვემოიპერულის ვ ა ნ უ რ ი თ ქ მ ი ს ა თ ვ ი ს დ ა მ ა ხ ა ს ი - ა თ ე ბ ე ლ ზ ა ნ ი ზ მ ე ბ ა დ. მაშასადამე, ისინი ამ მოტივით ჩვენ არ გამოგვირიცხავს „ოპერატორულად“ მსჯელობიდან როგორც ჩვენი თვალსაზრისისათვის ხელშემშლელი ფაქტები“ (შდრ. უთურგაიძე 1998, 252).

ხსენებული მკვლევრები მიცემითის ფორმებში ქ ა ლ ი ს ტიპის წარმოების შემთხვევებს არ აზოგადებენ თვით ქვემოიპერულზედაც კი. მით უმეტეს

სახელთა ბოლოში ზ. კუმბურიძის დაკვირვებით, როგორც წესი, „შეიძლება იღვეს ცალი ან წყვილი თანხმოვანი“. ადამიანთა სახელების სარეკომენდაციო სიის მიხედვით ორად-ორი სახელია, რომელიც წყვილ თანხმოვანზე ბოლოვდება: ვახტანგ, უშანგ; შდრ. ლევან, ასმათ, ნოდარ, გურამ და სხვ. (კუმბურიძე 1977, 130).

გაუმართლებელია ეს ზოგადად ქართულის მიმართ.¹ არ არის მთლად უსაფუძვლო მ. შანიძის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც «ფორმანტის ფუძესთან შეზრდის ტენდენცია გ უ რ ა მ ი მ , ე თ ე რ ი მ , ლ ე ვ ა ნ ი მ ტიპის ანთროპონიმებში, რომელიც მისი აზრით დასავლური კილოებიდან მომდინარეობს, წარმოქმნილი უნდა იყოს მეგრულის გავლენით (მ. შანიძე, 1969, 133-143).

ქ ა ლ ი ს თხოულიაფს... მაძლევეს ბ ა ტ ი ს და მისთ. ფორმები, რომლებიც დადასტურებულია ქვემოიმერულის ვანურ თქმაში, არ უნდა იყოს სადავო, არ არის დამახასიათებელი (ნიშანდობლივი) ქართულისათვის. ისინი სხვა ენობრივ სისტემაში წარმოქმნილი ერთეულებია (შდრ. უთურგაიძე 1986, 102, 116; 1998, 251-252).

არ არის გამორიცხული, ხსენებულ შემთხვევებში საქმე გვქონდეს მეგრულის ქართულ მეტყველებაში დადასტურებულ ფაქტებთან. როგორც აქ წარმოდგენილი ციტატებიდანაც ჩანს, ისინი შემოწმებას მოითხოვს, რაზედაც მიუეთითებდით ჩვენს სტატიაში (1989, 118, 118₁₁₀).

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ფორმები ანალოგიურ პირობებში ფიქსირებულია სხვა შემთხვევებშიაც. შდრ.: ყ ვ ე ლ ი ს ვყიდი ო თ ხ ი ლარად, კ ი ტ რ ი ს — ორი ლარად (თბილისი, სასურსათო

¹ წარმოადგენთ დასახელებულ სპეციალისტთა ზოგ გამონათქვამს:

„ქვემოიმერულის უხუთურ ქცევაში და წულუკიძურ თქმაში თანხმოვანფუძიანი სახელები მიცემითში ფორმით ნათესაობითს უტოლდებიან (მხედველობაშია ფორმები: ქ ა ლ ი ს თხოულიაფს... კეჩავს კ ი ტ რ ი ს ... კლავს ქ უ რ დ ი ს ... მაძლევეს ბ ა ტ ი ს — ლ. ნ.), რაც ზანურის ნორმა უნდა იყოს (ძოწენიძე 1973, 234).

უფრო ვრცლად განიხილავს ამ საკითხს ე. კუბლაშვილი: „მიცემით ბრუნვასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ, ქვემო იმერულის ვანურ თქმაში გავრცელებულია ასეთი ფორმები: ვყიდლოფ სა ხ ლ ი ს ... ჭამს კ ი ტ რ ი ს ..., რაც საერთო ქვემოიმერული არ არის, ამიტომ სასებეთ ბუნებრივია, თუ ამ დიალექტისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევებში მის შესახებ არაფერია ნათქვამი, ოღონდ ქ. ძოწენიძის ნაშრომში — „ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება“ (უხუთი ვანის რაიონის სოფელია) — დასახელებულ ფორმათა შესახებ ავტორი აღნიშნავს: „მიცემითის ამგვარი წარმოება უხუთური მეტყველების სახით ქვემოიმერულს სხვა კილო-თქმათა შორის საკუთარ ადგილს აკუთვნებს“ [19(286)].

დებულება კორექტივის საკიროებს. ცვლილება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ს ა ე რ თ ო ქ ვ ე მ ო მ ე რ უ ლ ი მ ო ვ ლ ე ნ ა ა რ ა ა . ცოცხალ მეტყველებაზე ჩვენი უშუალო დაკვირვებით იგი არ დაგვიდასტურებია ქვემოიმერულში შემავალ არც ერთ უწრილ დიალექტურ ერთეულში, გარდა ვანურისა...

რაც შეეხება მოვლენის შეფასებას, იგი ზანაზმად უნდა იქნეს მიჩნეული...“ (კუბლაშვილი 1985, 92) (წარმოდგენილი ციტატების ტექსტში ხაზგასმა ყველგან ჩვენია — ლ. ნ.).

ბაზრობა „მეტრო გოცირიძესთან“, ლტოლვილი აფხაზეთიდან). მოკცემ თხელი ყ ვ ე ლ ი ს (იქვე).

საყურადღებოა ისიც, რომ მეგრელის ქართულ მეტყველებაში დადასტურებულია აღნიშნულის საპირისპირო ვითარებაც: გულს, ლუტს გაუმარჯოს! (ზუგდიდი).¹

როგორც ჩანს, ტექსტის ავტორს გაცნობიერებული აქვს ის ფაქტი, რომ მეგრულ სახელურ ფორმებში ქართულთან შედარებით ვარკვეულ შემთხვევებში „ზედმეტი o“ იხმარება. ამის საწინააღმდეგო რეაქციის გამოხატულებაა ფუძისეული o-ს მოკვეცის ზემოთ დასახელებული ნიმუშები: მიც. გულo-ს → გულ-ს, ლუტo-ს → ლუტ-ს.

საკითხის ამგვარად დასმას თ. უთურგაიძე არაკანონზომიერად მიიჩნევს. მისი აზრით o ხმოვნის შეზრდა თანხმოვანფუძიან პირის სახელებთან მორფონოლოგიური (მორფოფონოლოგიური) ხასიათის პროცესია და არ არის აუცილებელი საზოგადოდ იგი ერთგვარად წარიმართოს სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიების მიხედვით, კერძოდ, აღნიშნულ შემთხვევაში — საკუთარ სახელთა და საზოგადო სახელთა ჯგუფების მიხედვით, სხვა შემთხვევაში — ფუძეუკვეცელ და (მეორე მხრივ) ფუძეკვეცელ და ფუძეთანხმოვნიან სასყლთა კლასების მიხედვით და ა. შ.² (უთურგაიძე 1998, 251-253).³

ამგვარი განმარტება, ჩვენი აზრით, არ არის ახსნა მოკლენისა. იგი ფაქტის კონსტანტაციაა მხოლოდ. მისი ზედაპირული დახასიათებაა.

შემოფარგვლა ზემოთ აღნიშნულით, კერძოდ, პასუხის გაუცემლობა კითხვაზე — რა ახასიათებს სპეციფიკური საკუთარ სახელთა ბრუნების სისტემას, რამაც განაპირობა სხვაობა ფორმაწარმოების თვალსაზრისით საზოგადო სახელებთან მიმართებაში, ჩვენი აზრით, ფაქტობრივად ნიშნავს საკითხის მოხსნას, მის შემდგომ ძიებაზე ხე-

¹ ნიმუში მოგვაწოდა ე. ოსიძემ. სადღეგრძელოს ადრესატები არიან არქეოლოგი თეიმურაზ (გ უ ლ ი) მიქელაძე და საქართველოს სახ. მუზეუმის თანამშრომელი სიმონ (ლ უ ტ ი) ბოლქვაძე.

² ავტორის გამოხატვაში რომ დავიმოწმოთ: „— ეს მორფონოლოგიური პროცესია და მისი აბსოლუტური განფენის აუცილებლობა, რბილად რომ ვთქვათ, ზედმეტი მოთხოვნაა (უთურგაიძე, 1998, 251).“

³ ჩვენი თვალსაზრისით კი, პირობით — როდესაც ვარკვეული ენობრივი პროცესი ოარი (ან მეტი) შესაძლებლობიდან რეალიზდება ერთ-ერთ მათგანში, ბუნებრივია დაისვას კითხვა - რატომ? ჩვენითვის ეს არის სიგნალი, ორიენტირი შემდგომი ძიებისა.

ლის აღებას, კვლევის შეწყვეტას იქ, საიდანაც ის უნდა იწყებოდეს.⁴

2) ჩვენ ასევე შეუძლებლად გვეჩვენება იმის მტკიცება, რომ ცოცხალი, მოქმედი ბრუნვის ნიშნები, წმინდა ფლექსიური ელემენტები (სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი მორფემები) საზოგადოდ და კერძოდ ქართულში სახელობითის ოჩაერთოს ანთროპონიმთა (საერთოდ — სახელთა) რომელიმე, ამ შემთხვევაში — მიცემითი ბრუნვის ფორმაში¹ ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნისა და ხ აფიქსით წარმოქმნილი არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსების გასათიშავად: მიც. ასმათს → ასმათ-ი-ს.²

⁴ ჩვენი მოსაზრების საწინააღმდეგოდ არაფერს ამბობს ის ენობრივი მიმოხილვა ქართული ენის რიგი დიალექტის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია თ. უთურგაიძის დასახელებულ ნაშრომებში.

ის ფაქტი, რომ ხევსურულსა და თუშურში მიც. ბრუნვის ხ დაცულია აქტანტებად გამოყენებულ ფორმებში (შდრ. ქალს ეტყვის, თამარს დაუძახე, ღუძახი — თუშ.), ხოლო „ლოკატივად მოქცეულ“ ტოპონიმებში ხ იკარგება (შდრ. შატილ მიდის, მაგრამ — შატილს ხატავს) მიუთითებს იმაზე, რომ ხევსურულსა და თუშურში მიც. ბრუნვის ხ ნიშნის დაკარგვა-შენარჩუნება განპირობებულია მისი ფუნქციით (პროცესი აქ მორფოლოგიზებულია ისევე, როგორც ხევსურულსა და თუშურში მესამე სუბიექტური ნიშნის ქონა-არქონის მიხედვით დიფერენცირება | თურქობითისა და მყოფადის ფორმებისა: მაუკლავს მყოფ., მაუკლავ თურქ. (კუმბურთი 1986, 125).

ქაბურში ხ-ს დაკარგვის ფონოლოგიური პროცესი უფრო შორსაა წასული. აქ ხ დაკარგულია ზემოთ განხილულ ყველა პოზიციაში. ე. ი. დასახელებულ დიალექტებში აღნიშნული მოვლენის სხვადასხვა ეტაპია წარმოდგენილი.

ჩვენს თელსაზრისთან არაფერი აქვს საერთო არც იმ ფაქტს, რომ ქართული ენის დიალექტებში ორივე ობიექტის (O^მ, O^{მმ}) მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ტენდენცია სხვადასხვა საშუალებებით არის რეალიზებული, სუბიექტის -თ სუფიქსით — აღმოსავლურ დიალექტებში (დაგხატა-თ, დახატა-თ), დასავლურში — ენ მორფემით (დაგხატ-ენ, დახატ-ენ).

სპეციალისტებისათვის ცნობილია ეს ვითარება. გარკვეულია მიზეზიც.

მამასადაძე, ზემოთ განხილულ ყველა მოვლენას თავისი ახსნა აქვს. მხოლოდ მორფოლოგიაზე მითითება არაფერს ამბობს.

¹ ორბევ-მ, ორბევ-ს, ორბევ-სი და მისთ. ფორმებში სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. სახელობითი ბრუნვის ო-აფიქსიან ფორმაზე -გე ნაწილაკის დართვით გრამატიკის დონეზე ახალი ფუძეა წარმოქმნილი ისევე, როგორც მსაზღვრელის სახელობითი ფორმით საზღვრულთან შეზრდით მიღებულია კომპოზიტები: ქალმშვილი, ვაჟმშვილი, გლეხბაკი და მისთ.

² როგორც ცნობილია, მეგრულ-ლაზურისათვის დამახასიათებელია ო-ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელეები: მერაბ-ო-ქ, ძღაბ-ო-ქ, „გოგომ“ „ოსურ-ო-ქ, აქალმა“...

საზოგადო სახელთა ო ხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები დასტურდება ძვ. სვანური ხალხური სიმღერების ტექსტში: კაშო-ს „ქმარს“, თაშო-ს „ყველს“, კანო-ს „ბარს“...

სადავოა, ჩვენი აზრით, ამ პროცესის (მ ხმოვანფუძიანი სახელე-
ბის ჩამოყალიბების) მეორე, მომდევნო საფეხურის განმარტება: ორი
ბრუნვის — სახელობითისა და მიცემითის მ-ს ნიშანთაგან წინამავა-
ლი, სახელობითის მ რეინტერპრეტირდება ფუძისეულ ხმოვნად იმის
გამო, რომ სახელის ერთ ფორმაში შეუძლებელია ორი ან მეტი
ბრუნვის ნიშანი" (უთურგაიძე 1986, 109).

ავტორი იქვე შენიშნავს: „როდესაც ერთ ფორმაში თ ა ვ -
მ ო ყ რ ი ლ ი ა ორი ან მეტი ბრუნვის ნიშნად გამოყენებული მო-
რფემა, გრამატიკულ ფუნქციას ასრულებს მხოლოდ ერთი მათგანი,
დანარჩენი განიცდის რეინტერპრეტაციას და უხორც-
დება ფუძეს" (უთურგაიძე 1986, 109).³

სხვაგან მკვლევარი აზუსტებს ციტატაში წარმოდგენილ მოსაზ-
რებას: „წარმოდგენილ ციტატაში მსუელობაა ბრუნვის ნიშანთა რე-
ინტერპრეტაციაზე სხვა ბრუნვის ნიშანთა წინ" (უთურგაიძე, 1998,
251).

კიდევ: „იქვე ნაჩვენებია, რომ სა ხ ე ლ ო ბ ი თ ი და ნ ა თ ე -
ს ა ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ს უ ფ ი ქ ს ე ბ ი კ ა რ გ ა ვ ე ნ ა მ
ს ტ ა ტ უ ს ს, რ ო გ ო რ ც კ ი მ ა თ შ ე მ დ ე გ ს ხ ვ ა
ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ა ნ ი გ ა მ ო ჩ ნ დ ე ბ ა" (უთურგაიძე, 1998,
250).⁴

მხედველობაშია რევაზიმ, რევაზის... ორივემ, ორივეს... თავის-ი,
სხვის-ი, კაცის-მ და მისთ. ფორმები.

როგორც აქ მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, ავტორის თვალსაზ-
რისით სახელობითის მ ფ ო რ მ ა ნ ტ ი (ასევე ნათესაობითი ბრუნ-
ვის -მს/-მსა ალომორფები) კარგავს ამ სტატუსს; რეინტერ-
პრეტირდება ფუძისეულ ხმოვნად — უხორცდება
ფუძეს (მ — რიგით წვერად, -მს/-მსა — წარმოქმნის ელემენტებად)
მას შემდეგ, როცა მას დაერთება სხვა ბრუნვის ნიშანი.

³ აქ და ქვემოთ მოყვანილ სხვა ციტატებშიაც ხაზგასმა ჩვენია — ლ. ნ.

⁴ ციტატის გაგრძელება: „რომელიმე ორი, ორივე ფორმებში -მ სახელობითი
ბრუნვის ნიშანია, მაგრამ ორივე-მ, ორივე-ს, ორივე-ის || ორივე-სი, ორივეთი ფორმებში
ეს მ უკვე ფუძის ნაწილია და აღარაფერი აქვს საერთო ბრუნვის გამოხატავასთან,
თუმცა ლექსიკური თვალსაზრისით ახალი არაფერი შეაქვს ფუძეში. ასევე თავის-ი,
სხვის-ი || თავისა-მ, სხვისა-მ ფორმებში -მს/-მსა ფუძისეულია, რადგან
წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ს ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ა დ ი ქ ნ ე ნ რ ე ი ნ ტ ე რ პ რ ე -
ტ ი რ ე ბ უ ლ ი და ლექსიკური თვალსაზრისით არსებით ცვლილებას იწვევენ
ფუძეში" (უთურგაიძე 1998, 250).

ჩვენი აზრით, შეუძლებელია დაეთანხმო ავტორის ამ განმარტებას.

მკვლევრისათვის კარგად არის ცნობილი, რომ ერთიდაიმავე რანგის მორფემები (ბრუნვის ნიშანი, რიცხვის ნიშანი, პრევერბი...) შეუთავსებელია ერთმანეთთან სინტაგმატურად როგორც სინქრონიული თვალსაზრისით, ისე — დიაქრონიულად.

თუ ერთ ფორმაში წარმოდგენილია ორი ბრუნვის ნიშანი, ერთი — ისტორიული, მეორე — მოქმედი (ასმათი-მ), ეს შესაძლებელია მხოლოდ იმის გამო, რომ ერთ-ერთი მათგანი, ამ შემთხვევაში წინამავალი -ი (სახელობითის ფორმანტი) მანამდე, სხვა — მეორე ბრუნვის ნიშნის დართვამდე, რაღაც გარკვეულ პოზიციაში გაუფუნქციოვდა (დაკარგა ბრუნვის გამოხატვის დანიშნულება), რეინტერპრეტირებული იქნა ფუძისეულ ხმოვნად (resp. შეუხორცდა ფუძეს). სხვა ბრუნვის ნიშანი (-მა, -ხ) ი ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს დაერთვის (ასმათი-მ, შდრ. ვაჟა-მ) და არა იმავე ფუნქციის (რანგის) მოქმედ ფორმანტს (იხ. ნოზაძე 1989, 118; 1995, 51, 52₃₇, 54).¹

¹ რაც შეეხება თავის-ი/თავისა-თ. სხვის-ის/სხვისა-თ, კაცის-თ/კაცისა-თ და მისთ. ფორმებში -ის/-ისა წარმოქმნის ელემენტებია (ფუძის შემადგენელი ნაწილია), მაგრამ იმის გამო არა, რომ აღნიშნულმა ბრუნვის ნიშნებმა, როგორც მკვლევარი თვლის, სტატუსი შეიცვალა, რეინტერპრეტირებული იქნა დერივაციულ აფიქსებად, „როგორც კი მათ შემდგომ სხვა ბრუნვის ნიშნები გამოჩნდა“ (უთურგაძე, 1986, 109; 1998, 250-251).

როგორც მკვლევრისათვის კარგად არის ცნობილი, -ის'ა' პოლიფუნქციური (რესპ. ომონიმური) ელემენტია. იგი ისევე, როგორც -ით და -ად აფიქსები, არ წარმოადგენს წმინდა მიმოსაბრუნველ (ფლექსიურ) მორფემას. -ის'ა' ელემენტი არის: 1. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (კაცის'ა'თვის) 2. დერივაციული აფიქსი — კლთვნილების და სხვ. აღნიშვნელი მორფემა (თავის-ი, კაცისა-თ).

თავის-ი, კაცისა-თ და მისთ. ფორმებში -ის'ა' იმთავითვე ამ უკანასკნელი ფუნქციით — წარმოქმნის ელემენტად არის გამოყენებული და არ არის მღებული -ის'ა' ბრუნვის ნიშნის დერივაციულ მორფემად რეინტერპრეტაციის შედეგად მასზე სხვა აფიქსის — სახელობითის ი ფორმანტის — დართვის გამო.

სხვას რომ თავი დავანებოთ (ამის შესახებ ზემოთ უკვე იყო მსჯელობა), ამგვარი პოზიციიდან ამოსვლით ისმის კითხვა:

რატომ არის, რომ ბრუნვის ნიშნების (-ი, -მა, -ხ) დართვა წინამავალ ბრუნვის ნიშნებზე (-ი, -ის, -ით, -ად) ერთ შემთხვევაში (სახელობითის ფორმანტზე დართვისას) იწვევს -ი აფიქსის ფუძის რიგით (ჩვეულებრივ) ელემენტად გადააზრებას (*ლევან-ი-ს > ლევან-ის), სხვა შემთხვევაში (ნათესაობითის მორფემებზე დართვისას) — -ის'ა'ს რეინტერპრეტაციას დერივაციულ სუფიქსად (*თავ-ის-ი → თავის-ი, *კაცი-ისა-თ → კაცისა-თ... შდრ. რიგით-ი, პირად-ი).

ეს პოზიცია დასადგენია.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებია (ნოზაძე 1989, 101-128; 1995, 43-61), რომ, კერძოდ, ქართულში სახელობითის ო ფორმანტის გაუფუნქციობა როგორც ბრუნვის ნიშნისა და მისი შეზღავანება ანთროპონიმთა ფუძესთან უნდა მომხდარიყო მიმართვისათვის (წოდებითის ფუნქციით)² გამოყენებულ სახელობითის ფორმებში. ამ პოზიციაში ჩამოყალიბებული ო-ხმოვნისანი ფუძე განზოგადდა ბრუნების პარადიგმაში.³ წოდ. ლევან-ი! → ლევანი-თ! ლევანი-მ, ლევანი-ს.⁴

რა საფუძველი აქვს ამგვარ ვარაუდს?

ვლინდება გარკვეული კანონზომიერება — ქართველურ ენებში ო-ფუძე ხმოვნისანი სახელები დასტურდება ბრუნების იმ სისტემებში, რომელთაც არა აქვთ წოდებითი ბრუნვა-მიმართვის ფორმამარკირებულ სპეციფიკური აფიქსით.

² ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა იმას, წოდებითის მივიჩნევთ ბრუნების პარადიგმის წევრად თუ არა (შდრ. უთურგაძე 1998, 252).

³ ისევე, როგორც „წოდებითი ბრუნვის (ხაზგასმა — ლ. ნ.) -ს სუფიქსი დიალექტების მიხედვით მეტნაკლებად უხორცდება თანხმოანფუძიან ანთროპონიმთა ფუძეს და ამის შემდეგ სხვა ბრუნვებშიც გადადის, როგორც ფუძის შემადგენელი ნაწილი: ეთერო-თ, ეთერო-მ, ეთერო-ს...“, როგორც სრულიად მართებულად ვარაუდობდა ამას თ. უთურგაძე (1986, 101).

ხსენებულ შრომაში მკვლევარი სავსებით გამართლებულად მიიჩნევს წოდებით ბრუნვის შეტანას ბრუნების სისტემაში და ცდილობს ვრცელი არგუმენტებით დაასაბუთოს, რომ „წოდებითი ბრუნვის -ის ადგილი არის მხოლოდ ფლექსიურ ელემენტთა შორის. ამ შემთხვევაში მას მხოლოდ ბრუნვის ნიშნის ფუნქცია თუ მიეცემა“ (უთურგაძე 1986, 24). ეს თვალსაზრისი პრაქტიკულად არის გატარებული მთელ მის მონოგრაფიაში (იხ. გვ. 23-25, 28, 53, 58, 75-77, 80, 82 და ა. შ.).

ბოლოდროინდელ ნაშრომებში ავტორი ეთერო! კაცო! და სხვა. არა-მიმართვის (არა ბრუნვის) ფორმად თელის (უთურგაძე 1998, 252).

ჩვენთვის არაფერია უჩვეულო იმაში, რომ სპეციალისტი მოსაზრებას იცვლიდეს მაშინაც კი, როცა საკვლევ მასალაში სიახლე არ ჩანს და იცვლიდეს ხშირადაც. მაგრამ აქ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება — მკვლევრის მიერვე ადრე მყარად დასაბუთებული თვალსაზრისის ცვლა ამჟერად საეკვი არგუმენტებზე დამყარებით (ამის შესახებ, იხ. ზემოთ, გვ. 1). ხდება მაშინ, როდესაც წოდებითი „პოზიციებს იმაგრებს“ (იხ. ონიანი, 1989, 55-62). ეკვი ჩნდება — იმიტომ ხომ არა, რომ მკვლევარი ფიქრობს, ამით თითქმის საფუძველი გამოეცლება ჩვენს ვარაუდს?

ამ კონტექსტში აღსანიშნავია ისიც, რომ ბერძნული მამაკაცთა სახელების ერთი ჯგუფი ქართულში, როგორც ცნობილია, ვოკატივის ფორმით არის შემოსული ზეპირი გზით. ბერძნებთან პირადი ურთიერთობის დროს და შემდგომ ტრადიციით დამკვიდრებული მწერლობაში: ვ ო კ . Akaki! შდრ. ნ ო მ . Akakios...! (ყაუხჩიშვილი 1956, 145-161).

ჩვენი აზრით, არსებობს შინაგანი კავშირი (მიზეზ-შედეგობრივი მიმართება) ამ ორ მოვლენას შორის — წოდებითის უქონლობასა და ე-ხმოვანფუძიან სახელთა არსებობის ფაქტს შორის. ერთი განაპირობებს მეორეს.

ამ კავშირის რეალურობას მკვეთრად გახაზავს ქართულის ვითარება — ქართულში პირის სახელებს წოდებითის ფორმა არ მოეპოვება (მხედველობაშია სამწერლობო ენა და წყება დიალექტებისა). საზოგადო სახელებს იგი გააჩნია. შესაბამისად, ქართულში გვაქვს ე-ხმოვანფუძიანი ანთროპონიმები, საკუთარი (ეროვნული) საზოგადო სახელები — არა: ოთარ-ე-მ, მაგრამ — ქმარ-მა...; შდრ. კოლხურ-სვანური, რომელთა ბრუნების სისტემას არ მოეპოვება წოდებითი ბრუნვა, სამაგიეროდ ამ ენებში გვაქვს ე-ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები: კოლხ. კოჩ-ქ, ძვ. სვან. ჭაშ-ს (ნოზაძე 1989, 101-128).

ეს მოვლენა ახსნას მოითხოვს. ასეთი თანხვედრა არ შეიძლება იყოს შემთხვევითი.

ისმის კითხვა — წოდებითი ბრუნვის უქონლობა ქართველურ ენებში რატომ უნდა განაპირობებდეს ე-ხმოვანფუძიანი სახელების (ქართულში — ანთროპონიმების) წარმოქმნას?

როგორც ცნობილია, იმ ენებში, რომელთა ბრუნების სისტემას არ გააჩნია საგანგებო ფორმა მიმართვის გადმოსაცემად, ამ დანიშნულებით გამოიყენება სახელობითი, კერძოდ, ქართულის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე — მისი (სახელობითის) ვარიანტები: გაუფორმებელი („წმინდა ფუძე“) და ე-ხმოვნით მარკირებული (შეღარებით გვიან).

ამ პოზიციაში — ე-მ ო რ ფ ე მ ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ს მიმართვის ფორმად გამოყენების პირობებში უნდა იყოს განხორციელებული ის ფუნქციურ-მორფოლოგიური ხასიათის ცვლილებები, რამაც განაპირობა ე-ხმოვანფუძიანი სახელების ჩამოყალიბება ქართველურ ენებში — ე-ს გაუფუნქციობა და მისი რეინტერპრეტაცია ფუძისეულ ხმოვნად¹ შეხორცება ფუძესთან.²

¹ ქართველურ ენებში ე-ს შეხორცების პროცესი ბოლოთანხმოვნიან საზოგადო სახელთა ფუძებთან დაწყებული უნდა იყოს ხშირადხმარებულ (ძირითადად, ნათესაობის აღმნიშვნელ) ლექსეუმებში — ღელა, მამა, და, ძმა, დეიდა, მამიდა, პაპა, დედედა, ქალი, კაცი, შვილი, ბიჭი, გოგო, უფალი და მისთ. სემანტიკის აღმნიშვნელ სიტყვათა მიმართვის ფორმებში. აქედან უნდა იყოს ე განზოგადებული სხვა საზოგადო სახელთა ფუძეებში.

სხვა საკითხია, ანალიზის შემდგომი ეტაპია — და ეს ღონეები უნდა განიხილოს — აღნიშნულ პოზიციაში რატომ ხდება ფორმასა-წარმოებელი მორფემის სტატუსის შეცვლა — მისი გადააზრება ფუ-ძის შემადგენელ ელემენტად (რამაზე-მ... ძაბა-ქ... თაშე-ს).

ახსნა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. საწყის ეტაპზე, როდესაც აღნიშნული მოვლენა განიხილებოდა მხოლოდ ქართულის ღონეზე, სადაც -ო და -ო ფორმანტების შეზრდა ფუძესთან ხდება მხოლოდ პირის სახელებში (ლევანი-მ, დავითო-მ), საზოგადო სახელებში — არა, გამოითქვა ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ანთროპონიმთა მ ი - მ ა რ თ ვ ი ს ფ ო რ მ ე ბ შ ი ო და ო ბ რუნვის ნიშნები უნდა იყოს რეინტერპრეტირებული მოფერებითობა-ალერსობითობის მაწარმოებელ ელემენტებად სხვა კნინობითობა-მოფერობითობის სპეციფიკური აფიქსებით (-ა, -იკ, -იკო, -ელა, -უნა, -იტა...) ნაწარმოებ ფორმათა: დათა, დათუნა, დათიკელა, თამრიკო, გოგიტა და მისთ. გავლენით¹ (ხორციელდება გარკვეული რიგის აფიქსთა „სემანტიკური გათანაბრება“ საერთო პოზიციაში — მიმართვის ფორმებში). ამის გამო უნდა ხდებოდეს მათი შეზრდა ფუძეებთან — ო და ო ბოლომხოვნიანი პირის სახელების წარმოქმნა.²

ამგვარ ვარაუდს განაპირობებდა ისიც, რომ კნინობითობა-ალერ-

² მაშასადამე, საკუთრივ ქართულში სხვაობა ანთროპონიმებისა და საზოგადო სახელთა ფორმასწარმოებას შორის (ე ხმოვნისანი ფუძეების ჩამოყალიბება) დაიკანება მათი ბრუნების სისტემათა სხვაობაზე, რაც პირის სახელთა ბრუნების ნაკლებ პარადიგმაში (წოდებითის უქონლობა) გამოიხატება.

ე-ხმოვანფუძისანი ადამიანის საკუთარი სახელების ჩამოყალიბება, ჩვენი აზრით, წმინდა მორფოლოგიური ხასიათის მოვლენაა. მას არაფერი აქვს საერთო ფონოლოგიასთან (ფუძეთანხმოვნიან სახელთა ჭკულები მიცემითი ბრუნვის ბოლოკიდურად იდენტურ ფონემათკომპლექსებს ქმნის).

ამგვარი ვარაუდის დაშვება მით უფრო კანონზომიერია ო ფორმანტთან დაკავშირებით. -იკო, -ილო — მაწარმოებლებში (მდრ. დედილო, მამიკო...), სადაც ო წარმოშობით წოდებითის მორფემაა, -ოქ და -ოღ — კნინობითობა-მოფერებითობის აფიქსი, იყო შესაძლებელი ო-ს შეეძინა ალერსობის სემანტიკა. დაუთო! ასმათო! და მისთ. ფორმებში ეს სემანტიკური ნიუანსი იგრძნობა.

უფრო მეტიც, ტ. ფურტკარაძეს მიაჩნია, რომ კვადლო, ლევანო ტიპის ფორმებში გამოვლენილი ო წარმოშობით მოფერებით-ალერსობითობის გამოშატვრული უნდა იყოს. მას შეთვისებული აქვს მიმართვის ფუნქციაც (ფურტკარაძე 1986, 46-47).

² ეს მომენტი მილად გამოსარიცხი არც ე-ზე დაბოლოებულ ანთროპონიმთა ფორმებში უნდა იყოს. ივ. გიგინეიშვილის აზრით კვრამი, ოაბარო და მისთ. ფორმები დღევანდელ ქართულში მ ო ფ ე რ ე ბ ი თ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი ს შ ე მ ე ც ვ ე ლ ი ა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს " (გიგინეიშვილი 1970, 79).

სობითობის კატეგორია ანთროპონიმებისათვის არის დამახასიათებელი, • ხმოვნით დაბოლოებული ფუძეები ქართულში (ზოგ დიალექტში — ოზეც) ასევე ნიშანდობლივია მხოლოდ ამ კლასის სახელებისათვის (ნოზაძე 1989, 101-128).

შემდგომში საკითხის განხილვამ უფრო ფართო მასშტაბით, კვლევის პროცესში კოლხურ-სვანურის მონაცემთა გათვალისწინებამ ერთგვარი კორექტივი შეიტანა ჩვენი ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისის ერთ (ახსნით) ნაწილში. ერთგვაროვანი განმარტება მიეცა სახელობითის ფუძესთან შეზრდის ფაქტს სამსავე ქართველურ ენაში. იგი ასე დაფორმულირდა — მომართვის ფორმებში • მორფემის გადააზრებას ფუძისეულ ელემენტად უნდა განაპირობებდეს ორი ფაქტორი:

1) სახელობითი ბრუნვის სუსტი სემანტიკურ-ფუნქციური დატვირთულობა — იგი ამოსავალი (ბაზისური) ფორმაა ბრუნების სისტემისა.

2) ისტორიულად მოქმედი ნორმა (გრამატიკული მოდელი) — არქაული ეპოქის ქართულში (საფიქრებელია, სხვა ქართველურ ენებშიც) მიმართვის ფორმად „განუსაზღვრელი სახელობითის“, — „წმინდა ფუძის“ გამოყენება, რამაც განაპირობა უფრო გვიან ამ (მიმართვის ფუნქციით გამოყენებული სახელობითის • აფიქსით მარკირებული) ფორმის (ტრადიციის ძალით) ფუძედ გააზრიანება; შდრ. ძვ. ქ. სახ. ვახტანგ-მ, წოდ. ვახტანგ-მ!; ახ. ქ. სახ. ვახტანგ-ი, წოდ. *ვახტანგ-ი! — ვახტანგ-მ! აქედან: სახ. ვახტანგ-მ, მოთხ. ვახტანგ-მ და ა. შ. (ვრცლად იხ. ნოზაძე 1989, 101-128; 1995, 43-61).³

მაგრამ როგორადაც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი (არის ეს აღნიშნული ჩვენს შრომაში (1995, 59ss), იგი ვერ მოახდენს გავლენას ჩვენი თვალსაზრისის ძირითად და არსებით დებულებაზე — სახელთა მიმართვის ფორმა არის ის პოზიცია, სადაც უნდა ხდებოდეს •-ხმოვანფუძიანი სახელების, ქართულში — პირის სახელების (დიალექტებში აგრეთვე — ო-ფუძეხმოვნიანი ანთროპონიმების) წარმოქმნა. საკითხის გაბუნდოვანების მცდელობა განსხვავებულ თვალსაზრისს არაფერს შემატებს (შდრ. უთურგაიძე 1998, 250-252).

აქ განხილული საკითხისათვის მეტად მნიშვნელოვანია ის ტენ-

³ სხვა ფაქტორები ამ პროცესში მხოლოდ ხელისშემწეობ როლს შეიძლება ასრულებდეს.

დენცია, რომელმაც ამ ბოლო ხანებში იჩინა თავი ქართულ ზეპირ პეტყველებაში ზოგი სიტყვის მიმართვის ფორმებთან დაკავშირებით. ასეთებია:

მ ა მ ა ო გ ი ო რ გ ი მ თქვა. მ ა მ ა ო გ ი ო რ გ ი ს უთხრეს (სატელევიზიო გადაცემა „ჩვენი ენა ქართული“, XI, 2001). მ ა მ ა ო პ ე ტ რ ე ხომ არ მოსულა? (დიდუბის ტაძრის მრევლის წევრი), ხარების ეკლესიის მოძღვარია მ ა მ ა ო ე ს ე (თბილისი, ნუც. ფერდ., III მ/რ, ხარების ეკლესიის მრევლის წევრი)... მამაო, დ ე დ ა ო მ დარეკა, რომ მოვა, დამირეკოსო (ბორჯომ-პარკი, წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მესანთლე). დ ე დ ა ო არის ფოფოღია, დ ე დ ა ო ე ბ ი — მონაზვნები (თბილისი, „ლურჯი მონასტრის“ ეკონომოსი) და სხვა.

რა კვალიფიკაციაც არ უნდა მიეცეს წოდებითს — მიიჩნევა იგი ბრუნების სისტემის წევრად თუ არა, სადავო არ უნდა იყოს, რომ აღნიშნულ საზოგადო სახელებში ო-ბოლონმოვნიანი ფუძე მიმართვის ფორმებში არის წარმოქმნილი და აქედან არის გავრცელებული ბრუნების მთელ პარადიგმაზე: მამა-ო! → მამაო-ო! მამაო-მ, მამაო-ს...

ეს ის პროცესია, რომელსაც ჩვენ ვვარაუდობთ დიაქრონიულად ნუგზარო-მ... ძღაბე-ქ... თაშო-ს... ტიპის ბრუნების სისტემათა ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით (იხ. ნოზაძე 1995, 43-61).

ამ თვალსაზრისისათვის, ამჭერად ტიპოლოგიური ნიშნის მიხედვით, ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ის ფაქტები, რომლებიც უკანასკნელ ხანს არის შენიშნული საენათმეცნიერო ლიტერატურაში წოვა-თუშურის ზოგი სახელის ბრუნების პარადიგმის განხილვისას.

სახელდობრ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, წოვა-თუშურში სახელთა ბრუნების პარადიგმას ისევე, როგორც ჩეჩნურსა და ინგუშურში, არ მოეპოვება წოდებითი ბრუნვა. ამ ბრუნვის ფუნქციას სახელობითი ითავსებს. სახელობითისა და წოდებითის გარჩევის საშუალებას წოვა-თუშურში წარმოადგენს საგანგებო პაუზა, თავისებური დამართვის ინტონაცია და ფაკულტატიური ა ხმოვანი, რომელიც ხშირად ჩნდება მიმართვის ფორმაში.

ამის პარალელურად ხშირად ხმარებულ ლექსემათა გარკვეულ სემანტიკურ ჯგუფს (დედა, მამა, და, ძმა, ბებია, ბიძა, დედა, მამიდა, გოგო, ბიჭი...), როგორც შენიშნავენ, წოვა-თუშურში გაუჩნდა წოდებითის პარალელური ფორმები ო ფორმანტით, რომელიც ქართულიდან შეთვისებულად მიიჩნევა:

ხახ. დად „მამა“ — წოდ. დად||დად-ა||დად-ო
 „ ბადერ „შვილი“ „ ბადერ||ბადერ-ა||ბადერ-ო...

თვლიან, რომ სესხების გარკვეულ ეტაპზე წოდებითის ო-ნიშ-ნიანი ფორმები ისევ სახელობითში გადანაწილდა.¹ ჩამოყალიბდა ახალი, პარალელური პარადიგმა, ნაწოდებითარ ფუძეზე აგებული:

ხახ.	დად	„მამა“		დადო
მოთხ.	დადა-ს			დადო-ს
მიც.	დადა-ი ^ნ			დადო-ი ^ნ
ნათ.	დად-ინ			დადო-ინ
მოქ.	დად-ივ			დადო-ივ
წოდ.	დად დად-ა			დადო

და სხვ. (მიქელაძე 2000, 170-173).

თუ დასახელებულ სტატიაში წარმოდგენილი ანალიზი მართებულია, წოვა-თუშურის ვითარება ტიპოლოგიურად სავსებით ანალოგიურია ქართულურ ენებში ი-ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნების სისტემის ჩამოყალიბების ჩვენს მიერ ნავარაუდები პროცესისა, რაც ერთგვარად განამტკიცებს თვალსაზრისს.

3) შევხებით სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებულ ერთ სადავო საკითხსაც.

როგორც ცნობილია, საშუალი ქართულისათვის დამახასიათებელ ფუძეუკვეცელ სახელთა ნანათესაობითარი სახელობითისა და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებანი -ხა, -თა (სახ. ტახტი ოქრო-ხა, მოქმ. მოქედილი ოქრო-თა) ახალ ქართულში (სამწერლობო ენასა და ყველა დიალექტში) წარმოდგენილია -ხი, -თი სახით (ტახტი ოქრო-ხი, მოქედილი ოქრო-თი).

ა → ი ცვლილება არ შენება ი ფუძეთანხმოვნიან და ფუძეუკვეცად სახელთა იმავე ბრუნვის ფორმებს (შდრ. საშ. ქ. სახლი ქვიტკირ-ის^ა, სახლი ხ-ის^ა... ნაგები ქვიტკირ-ით^ა, ხ-ით^ა → ახ. ქ. „id“).

¹ ქართულურ ენებში ისტორიულად მოქმედი ნორმა-მიმართვის ფორმა გამოხატულების პლანში სახელობითისას უნდა ემთხვეოდეს — წოვა-თურუმის კანონზომიერებაცაა (შდრ. ძვ. ქ. სახ. ვახტანგ-ი, წოდ. ვახტანგ-ი! — ახ. ქ. სახ. ვახტანგ-ი, წოდ. ვახტანგ-ი! (ვრცლად ამ საკითხების შესახებ იხ. ნოზაძე 1989, 101-128; 1995, 43-61).

ჩვენი აზრით, სრულიად ბუნებრივად ისმის კითხვა — საშუალო ქართულის სახელობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში წარმოდგენილ დაბოლოებათაგან: -**სხა/-ხა**, -**თხა/-თა** მომდევნო პერიოდის ქართულში რატომ შეიცვალა საყოველთაოდ (ერთიანად) -**ხა** და -**თა** ელემენტები -**სი** და -**თი** ვარიანტებით (წყარო-**ხა** → წარო-**სი**, წყარო-**თა** → წყარო-**თი**).

რატომ არ განიცადა იგივე ცვლილება (**ა + ი**) -**სხა (+ -სხი)** და -**თხა (+ -თი)** ალომორფებმა ახალ სალიტერატურო ენასა და დიალექტთა დიდ ნაწილში², ჩვიდმეტიდან — თორმეტამდე დიალექტში³. მით უმეტეს, რომ -**სხა/-ხა** და -**თხა/-თა** ალომორფებიდან **ა** → **ი** მონაცვლეობისათვის უკეთეს პოზიციას -**სხა** და -**თხა** სეგმენტები ქმნის წინამავალი **ი-ს** არსებობის გამო: პროგრესული ასიმილაცია (ცხვრ-**სხა** → ცხვრ-**სხი**, ცხვრ-**თხა** → ცხვრ-**თი**)¹ — დამატებითი (ხელშემწყობი) პირობა ძირითად (არსებით) ფაქტორთან ერთად.

მოსალოდნელი იყო **ა** → **ი** პროცესი, თუ იგი „ნებისმიერი“ ხასიათისა იქნებოდა, ამ პოზიციიდან დაწყებულიყო, მოვლენის „ეპიცენტრი“ აქ გვექონოდა. მოხდა პირიქით. რატომ? რამ განაპირობა ასეთი არჩევანი? ჩვენი აზრით — საშუალო ქართულში დიფთონგების მოშლის შედეგად ფუძეფუკვეცელ სახელთა ბრუნების სისტემაში წარმოქმნილ ომონიმურ ფორმათა თავიდან აცილების საჭიროებამ.²

² აქ კვლავ დგება „მორფონოლოგიური პრობლემა“: „ზემოთ მორფონოლოგიურ პროცესთა ენაში განფენის მასშტაბებზე მსჯელობისას... უკვე ვთქვით, რომ ასეთი ულტიმატუმი არაადეკვატურია ამ მოვლენათა მიმართ — არ არის აუცილებელი ეს ანალოგია ერთნაირად გატარებულყო მთელს ქართულში“ (უთურგაიძე 1998, 253).

ჩვენი დამოკიდებულება ამგვარ განმარტებასთან დაკავშირებით გამოუბატეთ ზემოთ. მას აქ აღარ გავიმეორებთ.

³ ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის გავრცელების მასშტაბის დადგენას, არ უნდა იყოს სადავო, აქვს გარკვეული მნიშვნელობა მისი გენეზისის კვლევისას. ამ მოსაზრებით ვებელმძღვანელობდით, როდესაც, თ. უთურგაიძის გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, „გამოვთვალეთ“ შეძლებისდაგვარად ის დიალექტები, სადაც -**სხა** — -**სხი**, -**თხა** — -**თი** პროცესი განხორციელდა (შტრ. უთურგაიძე 1998, 253). ამ შესახებ იხ. აგრეთვე ქვემოთ.

¹ შტრ. თავის-ი, მისი, სხვის-ი და მისთ. ფორმები, სადაც ბოლოკიდური **ი**, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, იყოს მიღებული ა-ს ასიმილაციით წინამავალ **ი**-თან: *თავისა — თავისე.

² მართებულია თ. უთურგაიძის შენიშვნა: საშ. ქართულის ომონიმური ფორმები: 1. წყაროსა „ა“ მისც. (დაეწაფა წყაროსა“). 2. წყაროსა (-წყაროსა-ე: წყალი წყაროსა-ე) ხახ. და მისთ. სხვადასხვა პარადიგმის წევრება (1998, 252-254). ამასთან დაკავშირებული ჩვენი მსჯელობის გარკვეული ნაწილი, შესაძლოა,

სახელდობრ, საშ. ქართულში ოქროსა¹ გამოხატულების პლანში პოლიფუნქციური (resp. ომონიმური) ფორმაა. აღნიშნავს: 1. მიცემითს — აღნობს ოქროსა² 2. სახელობითს — ბეჭედი ოქროსა (← ოქრო-მსა-მ).

ომონიმის დაძლევის ტენდენციის მოქმედების პირობებში ფუძეუკვეცელ სახელთა ნანათესაობითარ სახელობითში ბოლოკიდური ა-ზე დაბოლოებული სხვა სახელების (მარიამისი, ელენისი, თავისი, ამისი, მაგისი, სხვისი³ და მისთ.) მიხედვით (ანალოგიით) იცვლება ი-ითი—ა→ი: ოქროსა → ოქროსი...

აღნიშნული ცვლილების შედეგად იმიჯნება ერთმანეთისაგან ერთი რიგის ომონიმური ფორმები.

ოქროსა	/	მიც. ოქროსა
	\	სახ. ოქროსი და მისთ.

სახელობითის ფორმებიდან ფორმათა უნიფიკაციის პროცესში ი ვრცელდება მოქმედებითშიც: საშ. ქ. მოჭედილი ოქროთა → ახ. ქ. მოჭედილი ოქროთი.

ა → ი მონაცვლეობის მასტიმულირებელი ფაქტორი — ომონიმის დაძლევის საჭიროება — არსებობდა -თა სუფიქსით დაბოლოებულ ბრუნვის ფორმებშიც: 1. ოქრო-თა (← ოქრო-მთა) მოქმ. 2. ოქრო-თა^ა (ზეპ. მეტყ.) ← ოქრო-დ^ა ვით. (შდრ. მეგრ. კოტო-თ „ქოთნად“).

ა → ი მონაცვლეობა სამწერლობო ქართულში არ შეეზო ნათესაობითის -ისა^ა და მოქმედებითის -ითა^ა ალომორფებს — ისინი

მართლაც, არ იყოს მთლად ზუსტი. მაგრამ საქმის ვითარებას ეს არსებითად არ ცვლის. ამ ტიპის (და სხვა სახისაც) ომონიმური ფორმები ზოგადად საშუალო ქართულის ბრუნების სისტემის შემადგენელი ელემენტებია, ასე თუ ისე ერთმანეთთან დაკავშირებული ენობრივი ერთეულებია.

ასევე, ბრუნების ერთიანი სისტემის (და არა ერთიანი იმავე პარადიგმის) წევრება ფორმები: ჯარი ოქროსა — ოქრო-სი (სახ.) და მოჭედა ოქრო-თა — ოქრო-თი. მაგრამ სახელობითის ფორმებში ჩამოყალიბებული ემფატიკური ი ვრცელდება სხვა პარადიგმის (თუმცა იმავე სისტემის) მოქმ. ბრუნვის ფორმაში.

³ ამ შემთხვევაში არ არის არსებითი ის, რომ ნაცვალსახელი სხვისი ძვ. ქართულში სხვსა ფორმით გვხვდება. საკითხი ეხება საშუალო ქართულს, სადაც დასტურდება სხვისი ვარიანტიც (არა აქვს მნიშვნელობა, რა გზით არის მიღებული ის). თავი დიდს მთასა მოუგავს, გვინახავს, არა სხვისია ... (შპპ.-ნ. III 68, 123). მისაცემელი უბოძა იმისი, არა სხვისია (შპპ.-ნ. III 130, 588,4) და სხვ.

არ ირევა სხვა აფიქსებში (შდრ. საშ. ქ. კაც-ისა... კაც-ითა... → ახ. ქ. „id“).¹ სალიტერატურო ენისათვის, ასევე დიალექტთა დიდი უმრავლესობისათვის არ არის დამახასიათებელი ცხვრისი, ძმისი, ტყისი... უხვრითი, ძმითი, ტყითი და მისთ. ფორმები.²

¹ ჩვენი თვალსაზრისის საწინააღმდეგო არგუმენტად არ გამოდგება ენებში ომონიმიის არსებობის ფაქტზე მითითება (შდრ. უთურგაიძე 1998, 254).

მართალია, ომონიმია დღესაც დასტურდება ქართული ენის როგორც სახელთა, ისე ზმნათა პარადიგმებში. მაგრამ ასევე მართალია ისიც, რომ ენა ცდილობს თავიდან აიცილოს იგი (ომონიმია, როგორც ცნობილია, აბრკოლებს ენის ნორმალურ ფუნქციონირებას). მაგალითად:

ა. შანიძის თქმით, ზოგ მოქმედებითი გვარის ზმნათა II თურმეობითის ფორმები ფორმოზოლოგიკურად პრეფიქსიანი ენებიდან ორპირიან ზმნათა წყვეტლს დაემთხვა. მაგ. **დაემალა** „პოლისემიური ფორმა“. ერთ შემთხვევაში ის ამას ნიშნავს: თურმე დამალა... მეორე შემთხვევაში კი — ამას: დაიმალა, სხვამ არ დაინახოს...

ბი ასეთმა **ორაზროვნობამ** გამოიწვია საჭიროება, გარჩეულიყო ორი სხვადასხვა მწკრივისა და სხვადასხვა გვარის ფორმები. ენამ ამ შემთხვევაში სადიფერენციაციო საშუალებად წინფიქსი გამოიყენა და მოქმედებითი გვარის ფორმებში გაატარა, თუმცა კი არა სისტემებრივ და არა ყველა ტიპის ზმნაში“. შდრ. **დაემალანა** თურმ. II მოქმ., **დაემალა** წყვეტ. ენებ. და მისთ. (შანიძე 1973, 442). შდრ. ა. შანიძის თვალსაზრისი II ხოლმეობითის ფორმათა (ფშავ გავლენით, ხევეს. თუშ. გავლენით) ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით (შანიძე, 1970, 451).

ბ. კუმბურიძის აზრით, -აგ, -ამ თემის-ნიშნის გარდამავალ ზმნათა უღლების სისტემაში წარმოქმნილი **მოუკლავს** (I თურმ., მყოფ.), **დაუსხამს** (I თურმ., მყოფ.) რიგის ომონიმური ფორმების დაძლევის საჭიროება უნდა იყოს ერთ-ერთი ხელშემწყობი მიზეზი იმისა, რომ დიალექტთა დიდმა ნაწილმა თურმეობითის წარმოების მოდელი შეცვალა და სხვა ზმნათა მსგავსად -აგ და -ამ თემისნიშნებში -**ია** დაბოლოება გააერთიანა — მოუკლია, დაუსხია... ნაცულად მოუკლავს, დაუსხამს... ფორმებისა.

ეს პროცესი სხვა გზით წარიმართა ფშავისა და ხევსურულში. პირველ თურმეობითის (მხოლოდობით რიცხვში) მესამე სუბიექტური პირის ნიშანი, როგორც წესი, არ ერთვის: **მაუკლავს** — მყოფ., **მაუკლავ** — I თურმ. ... (კუმბურიძე 1986, 124-125).

ასევე, ნამყოსა და კავშირებითების ომონიმურ ფორმათა გასარჩევად ზემოიხსენებულში კავშირებითის მწკრივებში **ო** გაერთიანდა **ე-ს** ნაცულად. მაგალითად:

აკეთებდენ: 1. უწყვეტ. 2. კავშირი I — ზ. იმერ. აკეთებდენ უწყვეტ.. აკეთებდენ კავშირი. I; დაბერდენ: 1. წყვეტ. 2. კავშირი. II — ზ. იმერ. დაბერდენ წყვეტ., დაბერდენ კავშირი. II და სხვ. (ნოზაძე 1986, 173-182).

ამ რიგის — გრამატიკული ომონიმიის თავიდან აცილების ტენდენციის კიდევ ერთი გამოვლენაა — **ო** მონაცვლეობის ზემოთ განხილული შემთხვევა ალომორფებში: -**ხა** — -**ხი** (წყალი წყაროსა — წყალი წყაროსი...) და სხვა.

² ვაჟა-ფშაველასთან და არა მარტო მის ენაში, როგორც ცნობილია, მრავლად

შენიშვნა: ქართული ენის ზოგ დიალექტში არსებული თანამედროვე ვითარება —
-ხხი (← -ხხა), -თთი (← -თთა) სუფიქსების დადასტურება თანხმოვან-
ფუძიან და კვეცად სახელთა სახელობითისა და მოქმედებითი ბრუნვის
ფორმებში (კაცისი, ძმისი... კაციითი, ძმითი) არ წარმოადგენს დაბრკოლე-
ბას ჩვენი თვალსაზრისისათვის. იგი მოვლენის განვითარების შემდგომ
ეტაპს ასახავს.

ფუძეუკვეცელ საზოგადო სახელთა სახელობითის ფორმებში ემფატიკური
ას ნაცვლად ხ: -სა → -ხე ს ა ე რ თ ო - ქ ა რ თ უ ლ შ ი (ქართულის
ყველა ქვესიტემაში: ნაბიჯი კ უ ს ა → ნაბიჯი კ უ ს ი) და ფუძეთან-
ხმოვნიან, ასევე კვეცად სახელთა ფორმებში -ხხა → -ხხე მ ო ნ ა ც -
ვ ე ლ ო ბ ა ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ის ზ ო გ დ ი ა ლ ე ქ ტ შ ი (კაცისა
→ კაცისი, ხისა → ხისი) სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის წარმონაქ-
მნია, სხვადასხვა ეპოქის ფაქტია.

-ხა → -ხე პროცესი საერთო-ქართულში წინ უსწრებს დიალექტურ -ხხა
→ -ხხე პროცესს, როგორც სრულიად მართებულად ვარაუდობს ამას არნ.
ჩიქობავა (1956, 261; იხ. აგრეთვე ლეკიაშვილი 1941, 163).

მონაცვლე ფორმების პარალელური არსებობა დიალექტებში (კაცისა/კაცი-
სი... კაცითა/კაციითი) იმის მანიშნებელია, რომ აღნიშნულ პოზიციაში ა-
მონაცვლეობა ცოცხალი მოვლენაა, მიმდინარე პროცესია. (წყარო-
საწყაროსი ტიპის პარალელურ ვარიანტთა არსებობა განვლილი ეტაპია,
იგი საშუალო ქართულისათვის არის დამახასიათებელი).

ფუძეუკვეცელ სახელთა ნანათესაობითარი სახელობითისა და მოქმედები-
თი ბრუნვის ფორმებში მხოლოდ -ხე, -თე დაბოლოებათა არსებობა (მდრ.
წყაროსი... წყაროთი) საერთო-ქართულის მასშტაბით (მის ყველა ქვესი-
ტემაში), ისტორიული -ხა. -თა'ხ (წყაროსა... წყაროთა) ნაცვლად მის სიძ-
ველზე მითითებს.

შესაბამისად, განსხვავებულია აღნიშნულ პოზიციებში ა — ე მონაცვლეო-
ბის მიზეზებიც.

-ხა → -ხე (წყაროსა → წყაროსი) მონაცვლეობა საერთო-ქართულში, გან-
პირობებულია ომონიშურ ფორმათა გამიჯვნის (განმსვავსების) საჭიროებით;
-ხხა → -ხხე (ცხვისა → ცხვისი...) პროცესი დიალექტებში — ფორმა-
თა უნიფიკაციის (სინტაგმატური გათანაბრების) ტენდენციით.

ბოლოს, მოკლედ შევეხებით თ. უთურგაიძის აქ განხილულ საკი-

დასტურდება გრამატიკული დიალექტოზმების ნიმუშები, მათ შორის — ტყისი, ხისი,
მგლისი, თხისი როგის ფორმებიც (მდრ. უთურგაიძე 1998, 253-254).

თხებთან დაკავშირებულ ზოგ სხვა თვალსაზრისს („რეპლიკას“).

მკვლევრის აზრით, წარმოშობით სახელობითის -ი ფორმანტი რეინტერპრეტაცია „ემფატიკურ ხმოვნად“ უნდა მომხდარიყო შესიტყვებებში: ერთი მხრით, სახლი დავითისა (მსგავსად სახლი კაცისა შესიტყვებისა) **ლიტერატურულ ენაში**, მეორე მხრით, სახლი კაცისი (მსგავსად სახლი დავითისი შესიტყვებისა) — **დიალექტებში**... ასეთ ვითარებაში სინონიმურ ფორმებად იქცნენ დავითისა და დავითისი, ერთი მხრით, და კაცისა და კაცისი, მეორე მხრით. ამ სინონიმურ ფორმებში /-ი/ იქნეს /-ა/-ს ფუნქციას (უთურგაიძე 1988, 60). ამ გზით ჩამოყალიბებული **ი**, იგულისხმება, დამკვიდრდა ფუძეუკვეცელ სახელებში (წყაროსი...)

თავი რომ დავანებოთ მეთოდოლოგიურ უზუსტობას,¹ ჩვენთვის გაუგებარია, როგორ არის შესაძლებელი საერთო-ქართული აღრეულ ეტაპზე ფუძეუკვეცელ სახელთა სახელობითსა და მოქმედებით ბრუნვებში -**ი**, -**თ** დაბოლოებიან ფორმათა (წყაროსი... წყაროთი) ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიეღო დიალექტთა ძალზე მცირე ჯგუფში (ხუთამდე დიალექტში) გვიან წარმოქმნილ საზოგადო სახელთა² ქალისი, რძისი, მიწისი ტიპის წარმოებებს?

შემდეგ, ავტორი წერს: „...აქ ჩვენი თვალსაზრისები თითქმის დაემთხვა — მეც ხომ იმას ვამტკიცებდი, რომ საზოგადო სახელებს -**ი** (წყაროსი — ლ. ნ.) საკუთარ სახელთა ანალოგიით გაუჩნდაო -**სა**“³ (წყაროსა — ლ. ნ.) ადგილზე“ (1998, 253).³

¹ როგორც ციტატიდანაც ჩანს, ერთ სიბრტყეზე განხილული სხვადასხვა სისტემისა (ლიტერატურული და დიალექტური) და სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის მონაცემები: დავითისი... კაცისი (ამ საკითხების შესახებ ვრცლად იხ. ნოზაძე 1990, 18-43).

² ამიტომ იყო საჭირო ამგვარ დიალექტთა დადგენა („გამოთვლა“).

³ ამ ციტატის გაგრძელება წარმოდგენილია სქოლიოში: „ჩვენ თვალსაზრისთა განმასხვავებლად ისლა რჩება, რომ -**ი** და -**ი** საზოგადო სახელებთან ქრონოლოგიურად (ხაზგასმა — ლ. ნ.) არ განმისხვავებია, ოპონენტი კი განასხვავებს (უთურგაიძე 1998, 253).“

ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი. როგორც ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებია, ეს ფაქტი — ქრონოლოგიური სხვაობა -**ი** და -**ი** ალომორფთა ჩამოყალიბების ეტაპებს შორის — ავტორის თვალსაზრისს ეწინააღმდეგება.

აქვე, კიდევ ერთი დაზუსტება: ქრონოლოგიური სხვაობა საერთო-ქართულ ოქროსა — ოქროსი და დიალექტურ ვერცხლისა — ვერცხლისი ტიპის

არ არის მართებული მკვლევრის ეს განცხადება. ჩვენი თვალსაზრისები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

პირველ ყოვლისა, მათ შორის სხაობაა თვითონ ანალოგიის ცნების ინტერპრეტაციაში.

ჩვენი აზრით, ანალოგიაზე მითითება მოვლენის ზედაპირული კვალიფიკაციაა. ეს არ არის ახსნა — პროცესის დახასიათებაა შედეგის მიხედვით. ნამდვილი მიზეზი (არსი მოვლენისა) ასეთ შემთხვევაში დაუდგენელი, აუხსნელი რჩება.

ანალოგიისეული წარმოებანი თავს იჩენს მაშინ, როცა ენაში გარკვეული შინაგანი ტენდენციები (ფორმათა უნიფიკაცია, ომონიმიის დაძლევა და სხვ.) ამოქმედდება. მაშასადამე, „ანალოგია“ საშუალებაა სიღრმისეულ გარკვეულ ენობრივ მოვლენათა რეალიზაციისა ზედაპირულ დონეზე (ნოზაძე 1986, 176; 1990, 37-38).

კერძოდ, წყაროსა → წყაროსი მონაცვლეობა, ჩვენი აზრით, განპირობებულია ბრუნების სისტემაში არსებული გრამატიკული ომონიმიის დაძლევის საჭიროებით (შდრ. საშ. ქ. 1. წყაროსა მიც. 2. ხახ. → ახ. ქ. წყაროსი). მაგრამ ა → ი მონაცვლეობა რომ ხორციელდება და არა სხვა რამ (მაგალითად, ა → ე), ეს ხდება ენაში უკვე არსებული მოდელის — სახელობითში -ისი/-ისი'ზე დაბოლოებული სახელების: ელენისი, დავითისი, თავისი და მისთ. მიხედვით (ზეგავლენით, ანალოგიით).¹

-ისა → -ისი მონაცვლეობა დიალექტებში (კაცისა → კაცისი) წარმოქმნილი უნდა იყოს ფორმათა უნიფიკაციის (სინტაგმატური გათანაბრების) პროცესში -ისი'ზე დაბოლოებული სახელების (წყაროსი...) ზემოქმედებით.

მაშასადამე, აღნიშნული მონაცვლეობანი: ს ა ე რ თ ო -ქ ა რ - თ უ ლ ი წყაროსა → წყაროსი და დიალექტური კაცისა → კაცისი

მონაცვლეობათა შორის, როგორც აღნიშნული გვაქვს, არსებითად, დაადგინა არნ. ჩიქობავამ (1956, 261). ჩვენმა კვლევამ დაადასტურა ამ თვალსაზრისის მართებულობა (ნოზაძე 1990, 32-42).

¹-ბა — -ბი („ნაბიჯი“ კ უ ს ა — „ნაბიჯი“ კ უ ს ი) პროცესში, ჩვენი აზრით, განმსაზღვრელ როლს მთავრად ნაცვალსახელები: თ ა ვ ი ს ი , მ ა გ ი ს ი , მ ი ს ი და მისთ. ასრულებენ დიდი სიხშირით ხმარების გამო.

ა — ი პროცესში აღნიშნულ ნაცვალსახელთა მონაწილეობა მკვლევრის მსჯელობაში, როგორც თვითონვე შენიშნავს, საერთოდ გათვალისწინებული არ არის (უთურგაიძე 1998, 253); მაშასადამე, ჩვენს თვალსაზრისებს შორის სხვაობაა „საანალოგო ბაზისის“ მიხედვითაც.

კანკირობეებულთა სხვადასხვა მიზეზით. პირველი
ქათანი — გრამატიკული ომონიმის აცილების საჭიროებით, მეორე
— ფორმათა უნიფიკაციის ტენდენციით. ანალოგია საშუალებაა
(გზაა) ამ პროცესთა რეალიზაციის გამოხატულების პლანში (შდრ.
უთურგაიძე 1986, 1998).

როგორც ვხედავთ, აქ წარმოდგენილ თვალსაზრისთა ახსნით
ნაწილში არსებითი სხვაობაა. მსგავსება ზედაპირული
ბასიათისაა.²

ლიტერატურა

გიგინეიშვილი 1970 — ივ. გიგინეიშვილი, მოსაგვარებელი საკითხები ადამიანის სახელთა ბრუნებისას: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1970.

კლიმოვი 1962 — Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962.

კუბლაშვილი 1985 — კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემო-მერული დიალექტი, თბ., 1985.

თოფურია 1956 — ვ. თოფურია, წოდებითი ბრუნვისათვის, სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ლევიაშვილი 1941 — ალ. ლევიაშვილი, ივრისხვეური ფშაური, სტუდ. სამეცნ. შრომ. კრებული, თბ., 1941.

მიქელაძე 2000 — მ. მიქელაძე, ბრუნვის ფორმანტის სესხების საკითხისათვის (ქართულ-წოგა-თუშური ორენოვნების მასალების მიხედვით), იკე, XXXIV, თბ., 2000.

ნოზაძე 1986 — ლ. ნოზაძე, კავშირებითის ფორმათა წარმოებით-სათვის ზემოიმერულში, იკე, XXV, თბ., 1986.

² ჩვენთვის ასევე არ არის სარწმუნო პირის სახელთა ბრუნების პარადიგმაში ფუძის უკუშველობა-უკვეცლობის (ე. ი. ფონეტიკური მოვლენის) ახსნა სოციალური შეპირობებულობით. როგორც ცნობილია, კავასიურ ენებში სხვა ვითარებაა. იგი ანალოგად აქ არ გამოდგება (შდრ. უთურგაიძე 1986, 99-100). ამის შესახებ ვრცლად — სხვაგან.

ნოზაძე 1989 — ლ. ნოზაძე, ფუძეთანხმომცნიერ ანთროპონომთა ბრუნების ერთი ტენდენციის შესახებ ქართულში, იკე, XXVIII, თბ., 1989.

ნოზაძე 1990 — ლ. ნოზაძე, ემფატიკური ი ქართულში, იკე, XXIX, თბ., 1990.

ნოზაძე 1995 — ლ. ნოზაძე, სახელობითი ბრუნვის მორფემასთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართველურ ენებში, იკე L III, თბ., 1995.

ონიანი 1987 — ალ. ონიანი, წოდებითი ბრუნვის საკითხისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, საიუბილეო კრებული, ა. შანიძე — 100, თბ., 1987.

ონიანი 1989 — ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989.

უთურგაიძე 1985 — თ. უთურგაიძე, სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსის შეხორცებისათვის ადამიანთა სახელებში, იკე, XXIV, თბ., 1985.

უთურგაიძე 1986 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

უთურგაიძე 1998 — თ. უთურგაიძე, რეპლიკა ბრუნების საკითხებთან დაკავშირებით, ქესს, VII, თბ., 1998.

ფუტკარაძე 1986 — ტ. ფუტკარაძე, სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში, სადისერტაციო ნაშრ. ფილოლ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1986.

ყაუხჩიშვილი 1956 — ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე 1981 — ა. შანიძე, წოდებითის ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში, თხზულებანი, II, თბ., 1981.

ჩანტლაძე 1974 — ი. ჩანტლაძე, ი ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა ბრუნება სვანურში, ქესს, IV, თბ., 1974.

ჩიქობავა 1928 — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, ტფილისი, 1928.

ჩიქობავა 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

ჩიქობავა 1950 — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ, I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950.

ჩიქობავა 1952 — არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

ჩიქობავა 1956 — არნ. ჩიქობავა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში, კრებული: სახელის ბრუნების ისტორიიდან ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956.

ძოწენიძე 1973 — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.

კუმბურიძე 1986 — ზ. კუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986.

თანხმოვანთშესატყვისობის ერთი შემთხვევის გამო ქართველურ ენებში¹

ქართულ დ'ს ზანურში (მეგრულ-ქანურში), ასევე სვანურში, როგორც ცნობილია, შესატყვისება დ ფონემა. მაგალითად:

ქართ. დღე, ზან. დღა, სვან.ლა-დღე; ქართ. ზრდ-ა (ზრდ-ი-ს, ზარდ-ა), მეგრ. რღულა (რღ-უნ-ს „ზრდის“), ჰან. ი-რღ-ენ „ზრდება“, სვან. ი-რღ-ი „id“; ქართ. ვ-დ-ებ (*<ვ-დვ-ებ), და-ვ-დევ, და-დვ-ა, მეგრ. ვ-დვ-ან-ქ „ვდებ“, ჰან. დო-ბ-დვ-ი „დავდები“, სვან. ლი-დ-ქსგ-ი (დ-*ღუ-) „დადება“; ქართ. და (კავშირი), ზან. დო და სხვ.¹

აღნიშნული შესატყვისობიდან გამონაკლისს ქმნის ზოგი ფუძე ზანურში, სადაც სპეციალისტების აზრით ქართულ-სვანური დ'ს ფარდად მოსალოდნელი დ'ს ნაცვლად გვაქვს ჯ. სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარ გამონაკლისად მიჩნეულია: ძვ. ქართ.ღერღედ-ი, მეგრ. ლორღონჯ-ი, ჰან. ლორღოჯ-ი (შდრ. სვან. ღარღად „გარეული ბატი“); ძვ. ქართ. ტრედ-ი, მეგრ. ტორონჯ-ი, ჰან. ტოროჯ-ი; ძვ. ქართ. ჳიდ-ი, ზან. ხინჯ-ი;² ძვ. ქართ. ჳუნდ-ი, მეგრ. ხუნჯ-ი „id“³...

გ. მაჭავარიანის აზრით, განხილულ მაგალითებში ამოსავალ ვითარებას ასახავს ქართულ-სვანური, კომბინატორულ ცვლილებას ადგილი ჰქონდა ზანურში. მისი დაკვირვებით შესატყვისობა ქართ. დ, მეგრ.-ჰან. ჯ დასტურდება მხოლოდ სახელურ მორფთა ბოლოკიდურ პოზიციაში. მკვლევარი ვარაუდობს, რომ მეგრულ-ქანურში დ ფონემის პალატალურმა ალოფონმა განიცადა ასიმილაცია და შეერწყა ჯ ფონემას. დ'სგან მიღებული ჯ თავდაპირველად უნდა გვქონოდა ბრუნვის ისეთ ფორმებში, სადაც ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ფუძის ბოლოკიდურ დ თანხმოვანს მოსდევდა სუფიქსური მორფის o ელემენტი (სახ. ბრ. -o, ნათ. ბრ. o-შ, მოქმ. ბრ. -oთ). უფრო გვიან

¹ ნაშრომის ძირითადი დებულებები დაბეჭდილია არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLVIII სამეცნიერო სესიის თეზისებში, სათაურით: აფრიკატიზაციის ერთი შემთხვევის გამო ზანურში, 1990, გვ. 18. სტატია გამოქვეყნდა ჟურნალში „იკე“, XXXI, 1992.

გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 21.

² აღნიშნული ფუძეები ერთმანეთთან დაკავშირებული აქვს არნ. ჩიქობავას, იბ. მისი ნ., ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 103-104, 185.

³ გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 21; В. Рогова, К вопросу о позиционной аффрикатизации звука d в Г Каргвельских языках, იკე, XII, 1986, გვ. 32

ამ გზით მიღებული ჯ თანხმოვანი გავრცელდა პარადიგმის დანარჩენ წევრებზედაც: *ლორლოდ-ი > ჭან. ლორლოჭ-ი (მეგრ. ლორლონჭ-ი), *ლორლოდ-იშ(ი) > ჭან. ლორლოჭ-იშ(ი), მეგრ. ლორლონჭ-იშ(ი)... აქედან *ლორლოჭ-ქ (თანამედროვე ჭან. ლორლოჭ-ი-ქ), ლორლოჭეფე-ი (მეგრ. ლორლონჭ-ეფე-ი)⁴ და ა.შ.

გ. მაჭავარიანის მიერ დ თანხმოვნის პალატალიზაცია-აფრიკატიზაციის აღწერილი პროცესი სრულ ანალოგიას ჰპოვებს იმ ევოლუციასთან, რომელიც განიცადა ზანურმა რ ფონემამ იმავე პირობებში, შდრ. ქართ. ყურ-ი, ზან. ყუჭ-ი; ქართ. პირ-ი, ზან. პიჭ-ი; ქართ. ხარ-ი, ზან. ხოჭ-ი და სხვ.

გ. როგავას აზრით აღნიშნულ სახელურ ფუძეებში ჯ მიღებულია ბოლოკიდური რ ფონემის პალატალიზაციის შედეგად მომდევნო ბრუნვის ნიშნისეული ი ხმოვნის გავლენით.⁵ შემდგომ მკვლევარმა უფრო დააზუსტა ეს ვარაუდი. მისი ბოლოდროინდელი თვალსაზრისის მიხედვით სახელური ფუძის ბოლოკიდური დ' და რ თანხმოვნის პალატალიზაცია-აფრიკატიზაცია „შეპირობებულია ზანურში სახელობითი ბრუნვის ი სუფიქსის ორი ფონეტიკური ვარიანტის (იაჲ) წარმოქმნითა და შემდეგ მათი მორფონოლოგიური განზოგადებით ა მეორეული ვარიანტის დომინანტობის პირობებში“.⁶

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ქართულ დ ფონემას მეგრულ-ჭანურში იმავე პოზიციაში (სახელური ფუძის აუსლაუტში) დ შეესატყვისება მოსალოდნელი ჯ'ს ნაცვლად, შდრ. ქართ. მკად-ი,

⁴ გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

დ'ს აფრიკატიზაციის გზით მიაჩნია მიღებულად ჯ ზანურ ფორმებში: ხინჩი < *ხიდ-ი, ლორლოჭი / ლორლონჭ-ი < *ლორლოდი გ. როგავას (იხ. დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის ერთი სახეობა ზანურში, თსუ შ., XXXb. 1947, გვ. 352; მისივე, დასახ. ნაშრ., გვ. 32). შდრ. არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 103-104, 185-186.

⁵ მეგრულის ზოგ კილოკავში დ თანხმოვნის აფრიკატიზაცია (შდრ. ჯო < დო „და“, ჯუჭი < დუდი „თავი“, რაგაჭი < რაგადი „ლაპარაკი“ და მისთ.) „სპონტანური“ ხასიათის მოვლენაა (გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 23, შდრ. А. Ц а г а р е л и, Мингрельские эподы, II, Опыт фонетики мингрельского языка, СПб. 1880, გვ. 65, 70, 78; И. К и ш и д з е, Грамматика мингрельского языка, СПб. 1914, გვ. XVIII, 159-160, ს. ეღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 150-152).

Г. В. Р о г а в а, К вопросу о позиционной аффрикатизации согласных д и г в картвельских языках, Е И К Я, 1986, გვ. 32; გ. როგავა, ქართულურ ენათა ბგერათშესატყვისობიდან, ქეს, I, 1959, გვ. 277-280.

მეგრ. ჰკიდ-ი, ჰან. მჰკუდ-ი / მჰკიდ-ი „id“¹; ქართ. ნად-ი, მეგრ. ნოდ-ი, „id“; (ჰან. ნოდ-ერ-ი „ნადში მიხმარება“), სვან. ნად „id“; ქართ. კოდ-ი, მეგრ. კოდ-ი „ხის ჰურჰელი“, სვან. კუიდ „კალათი“; ქართ. დიდ-ი, მეგრ. დიდ-ი, ჰან. დიდ-ი² და სხვ.³

ხსენებულ გამოწვევისთაგან ქართ. მჰკაღ, ზან. მჰკუდ / ჰკიდ ფუძეთა შესახებ საგანგებოდ მსჯელობს გ. მაჭავარიანი. მისი აზრით, აღნიშნულ შემთხვევაში დ თანხმოვნის შემონახვა მეგრულ-ჰანურში შედეგია თავკიდური სიბილანტის დისიმილაციური გავლენისა; მიუთითებს ანალოგიაზე⁴: მეგრ. ჰანდ-ი < ჰანჭ-ი „ბუზი“; ჰკუღ-ი < ჰკუჭ-ი „ჰური“ და მისთ., სადაც ჰ თანხმოვნის დეზაფრიკატიზაცია მიეწერება ანლაუტის სიბილანტურ თანხმოვანთა დისიმილაციურ გავლენას.⁵

ფიქრობთ, მეგრულ-ჰანურ ჰკიდ / მჰკუღ ფუძეებში დ თანხმოვნის შემონახვა ვერ აიხსნება თავკიდური აფრიკატის დისიმილაციური გავლენით. სახელური ფუძის ანლაუტში სიბილანტის არსებობა სხვა შემთხვევაში ვერ აბრკოლებს აფრიკატიზაციის პროცესს ზანურში. მხედველობაში გვაქვს რ'ს აფრიკატიზაციის შემთხვევები: ქართ. მწერ-ი, ზან. ჰანჭ-ი; ქართ. ჰურ-ი, ზან. ჰკუჭ-ი; ქართ. ძირ-ი, ზან. ჰინჭ-ი; ქართ. ცხვირ-ი, ზან. ჩხვინჭ-ი და სხვ. აღნიშნულ ფუძეებში ჰ'ს დეზაფრიკატიზაცია, რომელიც ხორციელდება თავკიდური სიბილანტის გავლენით ნ სონორის მომდევნო პოზიციაში⁶ (შდრ. ზან. ჰანჭი // ჰანდი, ჰინჭი // ჰინდი, ჩხვინჭი // ჩხვინდი, სინჭა // სინ-

¹ გვიანდელ საერთო-ქართულურ დონეზე აღნიშნული ფუძე თავკიდური მ ელემენტით რეკონსტრუირდება — * მჰკაღ. მეგრულის თანამედროვე ვითარება მეორეულია (თ. გ ა მ უ რ ე ლ ი ძ ე , გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 307; ტ. გ უ დ ა ვ ა , ოს უ ში ვალსელის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ (მეგრულ-ჰანურ) ენაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოაბე, XXV, № 1, 1960, შდრ., არ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , დასახ. ნაშრ., გვ. 174; ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , მკადისა და მწვადის ეტიმოლოგიისათვის, „ორიონი“, თბ., 1967, გვ. 164-170).

² აღნიშნულ შესატყვისობათა შესწავლის ისტორიისათვის იხ. ჰ. ფ ე ნ რ ი ხ ი , ზ. ს ა რ ჭ ვ ე ლ ა ძ ე , ქართულურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 1990, გვ. 103, 188, 230, 236: 401...

³ ნაკლებ სავარაუდოა, რომ დიდ-ი, მკუდი და მისთ. ფორმები მეგრულ-ჰანურში ქართულიდან იყოს შეთვისებული.

⁴ გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

⁵ გ. მაჭავარიანი, დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის ერთი სახეობა ზანურში: თსო შრ., XXXb-XXXb, 1947, გვ. 351-355; მისივე, დისიმილაციური აფრიკატიზაციის ერთი კანონზომიერება ქართულში, იკეწ, X, 1983, გვ. 43-49.

⁶ გ. როგავა, დასახ. ნაშრომები.

⁷ კ კ უ ქ - ი // კ კ უ დ ი „კური“ ფუძეში ქს წინ ნ დაკარგულად ივარაუდება (გ. როგავა, დისიმილაციური აფრიკატიზაციის ერთი კანონზომიერება ქართულში, იკეწ. X, 1983, გვ. 47).

⁸ შდრ. ფუძის თავიღური ქ ფონემის რეგრესული დეზაფრიკატიზაციის შემთხვევები ზანურში (*ჩიმკუ > დიმკუ „ჩინველი“, *ჭიკიჭ > დიკიჭ „ჭინვარი: ჭირჩე // დირჩე „უცუნა“), რომლებშიაც ჯდ პროცესი გამოწვეულია მომდევნო ურთ აფრიკატის დისიმილაციური გავლენით (ტ. გუდავა, რეგრესული დეზაფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ზანურში (მეგრულ-ქანურში), საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXVIII, 2, 1964, გვ. 497-503, შდრ. გ. როგავა, ქართულურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1984, გვ. 29-32; ა გ რ ე თ ვ ე : K вопросу о позиционной аффрикатизации согласных d и г в картвельских языках, ЕИЯЯ, т. XIII, 1986, გვ. 30-36).

ამ წესიდან ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი გამოხატვისაა ქ ი ' ნ ' უ კ ი თ ა (ერთგვარი მცენარე. აქვს წითელი ფესვი და ლერო. იყენებენ ზნის წაძლად - რ. შეროზია), ეტიმოლ. „ძირწითელა“, სადაც, ქს მომდევნო პოზიციაში წარმოდგენილია ყრუ აფრიკატი ჭ, მაგრამ არ განხორციელებულა ჯდ პროცესი, საფუძვლებელია იმის გამო, რომ მისი კომპოზიტობა ხელშეშახებია შდრ. ქ ი რ ჩ ე // დ ი რ ჩ ე „უცუნა“ ეტიმოლ. „ძირეთთა“, რომლის წარმომავლობა (ჩინჩი + რჩე > ჩირჩე), როგორც ჩანს, დარღვილია, აღიქმება მარტვ ფუძედ და ამიტომ მასში სრულიად კანონზომიერად ხდება ქ აფრიკატის გადასვლა დ ხმულში (ეს შემთხვევა ზანურში ძალზე ნათელი, მკაფიო მაგალითია თავიღური მღერი ქ აფრიკატის რეგრესულ-დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციისა).

ზანურ სახელებში ქ ი შ თ ი „ძველი თოვლი“, ქ უ მ ა შ ხ ა „ოთხშაბათი“, ქ ი შ კ ი ლ ა „ლანძილი“ (ამ ფუძის სხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის იხ. მ. ჩ უ ხ უ ა, ორი მცენარეული სახელისათვის ქართულურ ენებში, ეტიმოლოგიური ძიებანი, 1988, გვ. 94-97), ქ ა შ ქ ე ი დ უ „ღვედვეტ“ არ ხდება თავიღური ქს დეზაფრიკატიზაცია, არა გვაქვს დ ი შ თ ი, დ უ მ ა შ ხ ა, დ ი შ კ ი ლ ა, დ ა შ ქ ე ი დ უ. იმის გამო რომ აღნიშნული ფუძეები თავიღურ ქთან ერთად არ შეიცავს მომდევნო ყრუ აფრიკატს. ფუძეში ყრუ აფრიკატის არაებობა კი აუცილებელი პირობაა წინამავალი ქს დეზაფრიკატიზაციისა. მაშასადამე, ქ ი შ თ ი, ქ უ მ ა შ ხ ა, ქ ი შ კ ი ლ ა, ქ ა შ ქ ე ი დ უ და მსგავს ფორმათა არსებობა ზანურში არ გამოდგება იმ დებულების საწინააღმდეგო არგუმენტად, რომლის მიხედვითაც დ ი კ კ ი ქ - ი, დ ი მ კ კ უ, დ ი რ ჩ ე ფორმები ზანურში წილებულია *ჭ ი კ კ ი ქ - ი, *ჭ ი მ კ კ უ, *ჭ ი რ ჩ ე ფორმებისაგან თავიღური ქს რეგრესულ-დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის შედეგად. საკითხის ამგვარი გადაწყვეტისათვის არა აქვს მნიშვნელობა მივიჩნევთ თუ არა წინშე ფუძეს წარმოქმნილად ჭმრ ძირის რედუქციაციის შედეგად უფრო ძველად, საერთო-ქართულური ფუძე-ენის განვითარების ადრეულ ეტაპში, როგორც ამას შესაძლებლად თვლის ჰ. ფოგტი (Anmeldelse av Karl Bouda "Baskische-kaukasische Etymologien" saertrukk av Worsk Tidsskrift for sprogviden skar, Bind XVII, გვ. 544), ტ. გ უ დ ა ვ ა, (დასახ. ნაშრ., გვ. 502) და, მაშასადამე, არც იმ დებულების დასაბუთებას, არის თუ არა რეალური ფონეტიკური პროცესი ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ე ნ ე ბ შ ი ყრუ ხმულ აფრიკატთა დისიმილაციური გამჟღერება მკვიდრ ლექსიკურ მასალაში (შდრ. გ. როგავა, დასახ. ნაშრ., გვ. 30-32).

ვარაუდი იმისა, რომ $\text{ქკიდ} / \text{მქკუდ}$ ფუძეს მეგრულ-ჭანურში განვლილი აქვს ეს საფეხური (* $\text{ქკიჭ} / \text{მქკუჭ} > \text{ქკიდ} / \text{მქკუდ}$), ე. ი. რომ ბოლოკიდური და ხსენებულ ფუძეებში მეორეულია, მიღებული ჯ'ს დეზაფრიკატიზაციის შედეგად, არ არის დამაჩვენებელი. ანალოგიურ პირობებში ქართული ლ'-ს შესატყვისი ზანური ჯ'-ს დეზაფრიკატიზაციის მრავალრიცხოვანი შემთხვევებიდან არ დასტურდება არცერთი სახელური ფუძე ისეთი, რომელსაც აუსლაუტში დ'ს პარალელურად არ მოეპოვებოდეს ამოსავალი ვარიანტი ბოლოკიდური ჯ ფონემით (შდრ. ისიჭ-ისინიდი, „ისარი“, ორცხოწ-ი/ორცხოწიდი „სავარცხელი“, ჯინჭ-ი/ჯინდი „ძირი“...). ზანურში $\text{ქკიდ} / \text{მქკუდ}$ ფუძის ამგვარი (ჯ'ს შემცველი) სახეობა დამოწმებული არ არის. ამათან, არსებითია ის, რომ ქართული მქკად ფუძის ზანურ შესატყვისად სავარაუდო $\text{ქკიდ} / \text{მქკუდ}$ ფუძეში არა გვაქვს ჯ'-ს დეზაფრიკატიზაციის საჭირო ორი აუცილებელი პირობიდან (1. ფუძის თავკიდურად სიბილანტური ფონემა. 2. ჯ წ სონორის მომდევნოდ) — ერთი, კერძოდ, ჯ აქ არ არის წ სონორის მომდევნო პოზიციაში (შდრ. ჭანჭ-ი > ჭანდ-ი, ჯინჭ-ი > ჯინდ-ი და მისთ.).

მაშასადამე, არა გვაქვს საფუძველი ქართული მქკად - ფუძის ბოლოკიდური დ'ს შესატყვისად ზანურში ისტორიულად ჯ ვივარაუდოთ. უფრო მეტიც — თანხმოდანთშესატყვისობა: ქართ. დ, ზან. ჯ, ჩვენი აზრით, საეჭვო ჩანს არა მხოლოდ ქართ. $\text{მქკად} - ი$, ზან. $\text{ქკიდ} - ი / \text{მქკუდ} - ი$, ასევე ქართ. ნად - ი, ზან. ნოდ - ი, სვან. ნად და სხვა ფუძეთა შეპირისპირების მიხედვით, არამედ საერთოდაც.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული ბგერათშესატყვისობის საილუსტრაციოდ წარმოდგენილი მასალა (ძვ. ქართ. დერდედ-ი, ზან. ღორღო-ნ'ჯ-ი; ძვ. ქართ. ტრედ-ი, ზან. ტორი'ნ'ჯ-ი; ძვ. ქართ. ჯიდ-ი, ზან. ხინჯ-ი და სხვ.) ექვს აღძრავს, რომ შესაძლოა ზანურში ამ შემთხვევაშიაც საქმე გვქონდეს ფუძის ბოლოკიდური არა დ მარტივი ხშულის, არამედ ლ სონორის აფრიკატიზაციის პროცესთან, რომელიც, როგორც ცნობილია, ფართოდ არის გავრცელებული მეგრულ-ჭანურში. აქ განხილულ შემთხვევებში ზანურის ქართულ შესატყვისად შეიძლება ვივარაუდოთ სახელური ფუძეები ბოლოკიდური ლ სონორით.¹ კერძოდ: შეიძლება ვიფიქროთ, რომ ძველი ქართული რე-

¹ ჩვენი ცოდნის თანამედროვე დონეზე გამონაკლისს წარმოადგენს $\text{ქუნდ} - ი$.

დუპლიცირებული ფუძე *ღე რ ღ ე დ*,² სვან. *ღ ა რ ღ ა დ* და *ზ ა ნ . ღ ო რ ღ ო [ნ] ჯ* მომდინარეობს საერთო ქართულური **ღ ა რ ღ ა რ*³ ფუძისაგან, რომელმაც ქართულსა და სვანურში *რ* დისიმილაციით მოგვცა *ღ ე რ ღ ე დ / ღ ა რ ღ ა დ*,⁴ ზანურში ს. ქართ. *ჩაჭ* სათანადო პოზიციაში: ლორლო⁵ *რ*ჯ-ი < *ლორლორ-ი. ქართულში ანალოგიური სტრუქტურისა და მსგავსი სემანტიკის მქონე ფუძეა *ყ ა რ ყ ა დ - ი > // ყ ა რ ყ ა ტ ი* (პროგრ. ასიმილაცია) „ერთგვარი ფრინველი“. არ არის გამორიცხული იგი *ღ ა რ ღ ა დ* ფუძის ვარიანტი იყოს. **ღ ა რ ღ ა დ > * ღ ა რ ყ ა დ* დისიმ. (შდრ. სვან. ლარყანდ „გარეული ბატი“) > *ყ ა რ ყ ა დ* (ასიმ.).⁵ **ღ ა რ* ხმაბაძეითი წარმოშობის ძირს უნდა

„ბორკილი (ზან. ხუნჯ-ი „id“), რომელსაც არ ეძებნება *რ* შემცველი ვარიანტი. აღნიშნული ფუძე გაონაყლისს ქმნის სხვა მხრივაც. ამ შემთხვევაში ქართული და შესატყვისად ზანურში *ქ* გვაქვს არა ხმოვნის, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ თანხმოვნის — ფუძისუფლი *წ* სონორის მომდევნო პოზიციაში (ნაკლებ საგარაუდოა, რომ ორსავე ფუძეში — ქართ. ჟუნდი, ზან. ხუნჯ-ი *წ* ისტორიულად განვითარებული იყოს); ე. ი. აღნიშნულ ზანურ ფუძეში დაჭ განხორციელებულია თანხმოვანთკომპლექსში განსხვავებით *რ* სონორისა და სპეციალისტების მიერ ნავარაუდევო *დ* მარტივი ხშულის აფრიკატიზაციის უვლა სხვა შემთხვევისაგან. რაც საკითხს სვამს: ამ შემთხვევაში ხომ არა გვაქვს საქმე თანხმოვანთშესატყვისობის სხვა ფორმულასთან, კერძოდ, *ძ*. ზან. *ქ* ბეგრათთანაფარობასთან: ქართ. *უნძ > ჟუნდ; ზან. ზუნჯ.

² ლ. სანიკიძის აზრით, *ღ ე რ ღ ე დ - ი* გვდი-ი ფუძის გარკვევით მიღებული კომპოზიტია (იხ. მისი, გარკვევა ქართულში, იყვ. III, 1976, გვ. 61).

³ აღნიშნული ფუძის აგახმოვანების შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 103; გ. მაკავარიანი, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართულურ ენებში, თსუ შრომები, ტ 69, 1958, გვ. 265-276; თ. გამყრელიძე, გ. მაკავარიანი, სონანტთა სისტემა და აბალუტი ქართულურ ენებში, 1965, გვ. 159; გ. ბურჭულაძე, „ლაპარაკის“, „ხმაურის“ აღნიშნული ერთი წყების ლექსებთან თაობაზე ქართულში, „ეტიმოლოგიური ძიებანი“, 1990.

⁴ რედუპლიცირებულ ან საზოგადოდ ერთზე მეტ მარცვლიან სახელურ ფუძეში ორი რს თანაარსებობის ტიპოლოგიურ ნიმუშად ქართულში შეიძლება დავასახელოთ: *ა რ მ უ რ ი*, *ღ ვ რ ღ ვ ა რ ი / ღ ი რ ღ ე ა რ ი*. *ძ ვ რ ძ ვ რ ი*. *კ უ რ კ ე რ ი*. *ყ ა რ ყ ა რ ი*, *ძ ე რ ძ ე რ უ ე ი*, *წ უ რ წ უ რ ი* და სხვ.

უფრო ადრეულ ეპოქაში ამათი — ორი რს შემცველი რედუპლიცირებული ფუძისაგან — **ღერღერ* რს დისიმილაციის გზით მიღებულა მიაჩნია ძველი ქართული *ღერღედ* ფუძე ფ. ერთელიშვილს (იხ. მისი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, 1980, გვ. 171), შდრ. ა. შანიძის ვარაუდი ენებთობის და სუფიქსის წსვან დისიმილაციის გზით მომდინარეობის შესახებ (იხ. მისი, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 289 და სხვ.).

⁵ ლ. სანიკიძის ვარაუდით სვან. *ღ ა რ ყ ა ნ დ* ფუძე წარმოქმნილია *ღ ა რ*

წარმოადგენდეს¹ (შდრ. თურქ. ანალოგიური სტრუქტურის ფუძეები: ქ ი ვ ე ვ „ბარტყი“, ბალბალ „რამდენიმე დღის ბაყაყი“).²

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს გ. როგავას. მისი აზრით ღ ე რ ღ ე დ ფუძეში -ედ (ზან. -ად) სუფიქსური ელემენტია.³ ღ ე რ - (ზან. ღორ-) ხმაბაძვითი წარმოშობის ძირია.⁴

ამგვარი თვალსაზრისისას ასახსნელია მომდევნო ღ სამსავე ქართველურ ფუძეში: ღერ-ღ/ღარ-ღ, ღორ-ღ. მაგრამ მთავარი არის ის, რომ საერთო-ქართველურ დონეზე აღნიშნული ფუძეები არ იშლება. ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით არ ხერხდება მათში ედ ელემენტის გამოყოფა და მისი სუფიქსად გააზრება, ამასთან, ედ-ის აფიქსად გამოყოფას ეწინააღმდეგება სვანური. აქ აღნიშნულ ფუძეში -ად დაბოლოება გვაქვს. ზანური ღ ო რ ღ ო რ ნ ` ჯ და სვანური ღ ა რ ღ ა დ ქართულ შესატყვის ფუძეში ა ხმოვანს გვაგვარაუდებინებს: *ღ ა რ ღ ა დ (<*ღარღარ) შდრ. ყ ა რ ყ ა დ.⁵

ძირის რედუქციაკით (რ-რარ-ღ). უმუღურში იგი დისიმილაციით გ ა რ ყ ა ნ დ ` ს იძლევა (იხ. მ ი ს ი , რედუქციაკითა სვანურსა და ზანურში, იკეწ, IV, 1977, გვ. 35).

გ. კლიმოვი საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგენს *ღ ა რ ღ ა დ არქეტისს. მიიჩნევს მას ხმაბაძვით ფუძედ. ხმაბაძვითობა, მისი აზრით, დაკავშირებულია *ღარ-თან (Этимологический словарь картвельских языков, 1964, გვ. 211).

გ. ბურჭულაძის ვარაუდით *ღ ა რ ღ ა დ ფუძეში გამოიყოფა *ღ ძირეული მორფემა, რომელსაც უკავშირდება „ხმაურის“, „ლაპარაკის“ სემანტიკა ისევე, როგორც ამ სემანტიკურ ველში გაერთიანებულ მთელ რიგ სხვა ფუძეში ქართველურსა და ზოგ დაღესტურსა, თუ ნახურ ენაში (დასახ. ნაშრ.).

ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯელაძის აზრით ქართ. ღ რ ღ ე დ/ღ ე რ ღ ე დ , მეგრ.-ლაზ ღ ო რ ღ ო რ ნ ` ჯ , სვან. ღარღად ფორმათა არქეტებიია *ღ რ ღ ა დ -, აუ უმლაუტის შედეგია (იხ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიონი, 1990, გვ. 356).

აღსანიშნავია, რომ *ღ რ ღ ა დ არქეტები ძირითადად აღდგენილია ქართული ღ ე რ ღ ე დ ი ფორმის მიხედვით, რომელიც ძველ ქართულში ფიქსირებულია ერთხელ „ლიმონარის“ ტექსტში. არ არის გამორიცხული, რომ მცდარ ფორმასთან გვეპოვდეს საქმე.

² ლ. რ უ ხ ა ძ ე , ზოგი თურქული ნასესხობის შესახებ ქართულში, „მაცნე“, № 4, 1988, გვ. 145.

³ ქართ. ღ ე რ ღ ე დ -, ზან. ღ ო რ ღ ო რ ჯ - ფუძეში -ედ`სა და ოქ`ს ლეტერმინანტ სუფიქსებად მიიჩნევს არნ. ჩიქობავა (დასახ. ნაშრ., გვ. 103).

⁴ Г. В. Г о г а в а, К вопросу о позиционной аффрикатизации согласных д и г в картвельских языках, ЕИКЯ, Тб., 1986, გვ. 32.

⁵ ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , დასახ. აშრ., გვ. 104.

ზან. ტორონჯი „მტრედი“ უნდა წარმოადგენდეს შე-
 ატყვისს არა ქართული ტრედ ფუძისა, არამედ ტოროლა (ტოროლ-ა < *ტორორ-ა).⁶ არნ. ჩიქობავა არ გამოირიცხავს ამგვარ
 დაკავშირებას. მიუთითებს იმ ფონეტიკურ სიახლოვეზე, რომელიც ამ
 ორ ფუძეს (ქართ. ტოროლა, ზან. ტორონჯი) ახასიათებს ტრედ
 ფუძესთან შედარებით. დაბრკოლებას ხედავს იმაში, რომ სამეგრელო-
 ში ტოროლა არ იცის.⁷ ვფიქრობთ, ის რომ სამეგრელოში ამჟა-
 მად ტოროლა არ არის, არ ნიშნავს იმას, რომ იგი არ იყო ისტორი-
 ულად. აქ საქმე უნდა გვქონდეს ფრინველის სახელწოდების გადატა-
 ნასთან. საყურადღებოა, რომ გ. დეეტერსი ტრედ ფუძეს სხვა ენები-
 დან ნასესხებად მიიჩნევს,⁸ ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ აღნიშნუ-
 ლი ფუძე არ დასტურდება სვანურში.

ამ შემთხვევაშიაც სხვა თვალსაზრისისაა გ. როგავა.⁹ მისი აზრით
 ქართულ მტრედ'სა და მის ზანურ შესატყვისს ტორონჯ ფუ-
 ძეებში ტრ/ტორ ხმაბაძვითი წარმოშობის ძირებია, -ედ/-ად სუფიქსე-
 ბია.¹⁰

აღნიშნული ვარაუდისათვის დაბრკოლებას წარმოადგენს ის,
 რომ მტრედ / ტორონჯ ფუძეებში -ედ/-ად სუფიქსური ელემენ-
 ტის გამოყოფის საფუძველს არ იძლევა არც ქართულ-ზანურში და-
 დასტურებული ფორმები და არც ამ ფორმათა ერთმანეთთან შედარ-
 რება. ამასთან, ასახსნელია ო ხმოვანი ზანური ფუძის პირველ მარ-
 ცვალში — ტორონჯ (გასუბსტანტივებულ ხმაბაძვით ფუძეებში
 დასტურდება კანონზომიერი, რეგულარული ხასიათის ბგერათშე-
 სატყვისობები).¹¹

გ. კლიმოვი ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის ეპოქისათვის

⁶ ორ ელემენტის აღდგენა აღნიშნულ ფუძეში (*ტოროტორ) ემყარება იმ
 არგუმენტს, რომ ოლ დაბოლოება ქართულურ ფუძეებში არ არის გავრცელებული.
 ამას ერთგვარად მხარს უჭერს ტოროლ ფუძეში ტ სონორის არსებობაც.

⁷ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

⁸ იხ. Caucasic, IV, 6.

⁹ გ. როგავა, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

¹⁰ მტრედ, ტოროჯ ფუძეში ედ, ოჯ ელემენტებს დეტერმინანტ სუფიქსებად
 მიიჩნევს არნ. ჩიქობავა (იხ. მეგრულ-ქანურ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938,
 გვ. 104).

¹¹ გ. ბუჩქულაძე, დასახ. ნაშრ., შდრ. არნ. ჩიქობავა, დასახ.
 ნაშრ., გვ. 104; გ. როგავა, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

აღადგენს *ტრად ფუძეს.¹ მისი აზრით ზანური ფორმის — ტოროჯ პირველ მარცვალში თანხმოვანთა კომპლექსი დაძლეულია ხმოვნით, რომელიც იმეორებს ძირეული ხმოვნის ტემბრს.²

თ. გამურელიძე და გ. მაჭავარიანი მეგრულ-ჭანური ტორონჯ-ისათვის ამოსავლად მიიჩნევენ *ტრედ სახეობას მარცვლოვანი [რ] ელემენტით C—V პოზიციაში: *ტრად-ი > *ტროდ-ი > ტოროჯ-ი.³

ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ზან. ტორონჯ-ი, ქართ. ტოროლ-ა წარმოადგენდეს *ტრუ>ტორ ხმაბაძვითი წარმოშობის ძირის რედუბლიკაციით მიღებულ ფუძეს: *ტორტორ- > *ტორორ- > ზან. ტოროჯ-ი, ქართ. ტოროლ-ა.⁴

ჭანურ ყ ვ ა ო ჯ -ი („ყვავი“) ფუძეში გ. როგავა გამოჰყოფს -ად (შდრ. ქართ. -ელ) სუფიქსს.⁵ აქაც ბოლოკიდური ჯ მას მიღებულად მიაჩნია დ მეღერისაგან სახელობითი ბრუნვის ნიშნის მამატალიზებული გავლენის შედეგად: ყვაოჯ-ი < *ყვაგ-ად-ი „ფრინვლი, რომელიც იძახის „ყვა-ყვა“.⁶

ვტიქრობთ, ყ ვ ა ო ჯ ფუძე ნაწარმოები უნდა იყოს მ-ორ' მიმღობური კონფიქსით;⁸ *მ-ყ ვ ა - ო რ - ი > ყ ვ ა ო ჯ - ი „ყვა“-ს მძახე-

¹ ქართულ-ზანურ ფორმათა არქტიპად *ტრად-ს ვარაუდობენ. ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე, ტრედ<*ტრად უმლაუტის გზით (დასახ. ნაშრ., გვ. 3000).

² გ. კლიმოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 183.

³ თ. გამურელიძე, გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 111, 159.

⁴ ამგვარი ახსნისას გასარკვევია, რატომ არ განხორციელდა ქართულ ტოროლ-ფუძეში ის პროცესი (რად), რომელსაც ვვარაუდობთ სხვა შემთხვევების მიხედვით, შდრ. *ღერღერ > ღერღედ- და მისთ. განსხვავებული სიტყვაწარმოების მოდელი ხომ არ არის სხვადასხვა ქრონოლოგიური დონისა?

⁵ უგავის სახელწოდება — მეგრ. კ ვ ა რ ი ა, ჰან. კ ვ ა რ -ი, სვან. კ ვ ე რ გ. როგავას შეთვისებულად მიაჩნია ძველი ბერძნულიდან ზეპირი გზით (χαρδ („ყვავი“), იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 32; შდრ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 108-109.

⁶ გ. როგავა, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

⁷ ყ ვ ა ო ჯ ფუძეში -ორ (ქართ. -არ) დეტერმინანტ სუფიქსს ვარაუდობს არნ. ჩიქობავა (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 108).

⁸ გ. როგავას მიერ რეკონსტრუირებულ ზანურ *ყ ვ ა - ა დ „ყვავი“ ფუძეში -ად ელემენტის მიმღობის სუფიქსად კვალიფიკირების შემთხვევაშიაც პრეფიქსიც არის სავარაუდო (შდრ. ქართ. მო-ქმ-ედ-ი, მო-რბ-ედ-ი).

-ად (ქართ. ედ) ელემენტს ვერ მივიჩნევთ კუთვნილება-მქონებლობის გამომხატველ აფიქსად. ამგვარი ვარაუდი არ ეგუება აღნიშნული ფუძის ამოსავალ სემანტიკას. ამასთან, ყ ვ ა - ა დ-ის -ად ელემენტს მეგრულ-ჭანურის განვითარების ნაგულისხმევ ეტაპზე ვერ ჩავთვლით ვერც სახელის ფუძის დეტერმინანტ სუფიქსად. ზემოთ წარმოდგენილი ეტიმოლოგიის მიხედვით ოგი ცოცხალი, მოქმედი აფიქსია: *ყ ვ ა - ა დ - ი „ყვა“-ს მძახებელი“.

ბელი, წარმოთქმელი⁹ (შდრ. ქომონჯ-ი < *მ-ქომ-ორ-ი¹⁰ „ქმარი“ < *მ-ქმარი“,¹¹ ზოთონჯ-ი < *ზომთორ-ი „ზამთარი“).¹² მაშასადამე, ჩვენი ვარაუდით აუსლაუტური ჯ აღნიშნულ ფუძეშიც მიღებული უნდა იყოს რ სონორის (და არა დ ხშულის) პალატალიზაცია-აფრიკატიზაციის შედეგად.

რაც შეეხება ჳოდ ფუძეს, მისი ოსურ სახელწოდებასთან — xid/xed (შდრ. უნგრ. hid „id“, ავ. haetu, სანსკ. setu) მსგავსება შემთხვევითი არ უნდა იყოს.¹³ იგი ოსურიდან შეთვისებულად მიიჩნევა.¹⁴ ჳოდ ფუძის ოსურიდან მომდინარეობა ერთგვარად ექვის ქვეშ აყენებს მისი საერთო-ქართველურ დონეზე რეკონსტრუირების შესაძლებლობას.¹⁵ ვფიქრობთ, აღნიშნული ფუძის არც ის ქართველური ეტიმოლოგია არის უდავო, რომელსაც გ. მაქავარიანი გვთავაზობს. მისი ვარაუდით ჳოდ წარმოადგენს გარდამავალი ფუძედრეკადი ჳმნის აორისტის ფუძეს o განმოვანებით: *ჳოდ-o „სავალი, სატარი, გადასატან-გადმოსატანი“ ს.-ქართვ. ჳმნური ფუძიდან *ჳედ-/ჳად-

⁹ ქართულში აგვარად ნაწარმოები ფუძე სხვა სემანტიკისაა, შდრ., ძვ. ქართ. მუჟარი („ბაყაყი“) < *მ-ჟუ-არი-ი (აღ. ჳინჳარაული).

¹⁰ აღნიშნულ ფუძეში ანლაუტის შ დაკარგული უნდა იყოს მომდევნო ლაბიალური ფონემების გავლენით.

¹¹ ქ მ ა რ - მიძლეობის ფორმად მიიჩნია ივ. ჳავახიშვილს. იხ. მისი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 227.

¹² -ონჯ სუფიქსის შესახებ ჳანურში იხ. ვ. თ. თ. ფ. რ. ი. ა., ენჯ სუფიქსი მეგრულში, ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 141-144; ა. რ. ჩ. ი. ქ. მ. ბ. ა. ვ. ა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 101; შ. მ. ძ. ძ. გ. უ. რ. ი., მეგრული სუფიქსის კვალი ქართულში, ივე, I, 1946, გვ. 355-358.

¹³ ჳოდ ფუძეში ჳ ფონემის არსებობა ამგვარი ვარაუდისათვის არსებითი ხასიათის დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს (ამის შესახებ ჳვემოთ).

¹⁴ В. И. А б а с в, Осетинский язык и фольклор, I, Москва-Ленинград, 1949, გვ. 86, 251, 336; მ. ი. ს. ი. ე. ე., О некоторых осетинских элементах в грузинском, ТИЯ, т. VI, Москва, 1956, გვ. 410; შ. ა. ნ. დ. რ. ო. ნ. ი. კ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ნარკვევები ირანული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი, 1966, გვ. 50, 54, 129 და შემდეგი; გ. რ. ო. გ. ა. ვ. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 32; შდრ. გ. მ. ა. ჳ. ა. ვ. ა. რ. ი. ა. ნ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 21.

¹⁵ საერთო-ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის პროცესი დიდად უსწრებს წინ ოსურის ჩამოყალიბების ეპოქას. ვარაუდი იმისა, რომ ოსური წარმომავლობის ჳოდ ფუძე ქართველურ ენათა დიფერენციაციის პირობებში დაექვემდებარა ბგერათშესატყვისობის უცვლელ არსებულ სქემას — ქართ. დ: ჳან ჳ (ოს. ხიდ > ქართ. ხიდ, ჳან, ხინჯ) ნაკლებ სარწმუნოა, მით უფრო, რომ სადავოა თვით თანამოვანთშესატყვისობის ამგვარი მოდელის არსებობა აღნიშნულ ენებში.

/*ჯედ-/*ჯედ-¹ ძვ. ქართვ. გარდა-ვ-ვედ, წარ-ვ-ვად-ე, წილ-ვდა; ჰან. მოხთ-უ „მოვიდა“; სვან. ლი-ვედ „მოსვლა“, ან-ვად „მოვიდა“, ან-ვიდ „მოიტანა“.²

აქ წარმოდგენილ ვარაუდსაც ჩვენი აზრით, გარკვეული დაბრკოლებები ახლავს. სახელდობრ, ქართულში, ასევე სვანურში არა გვაქვს აღნიშნული ზმნური ფორმების გახმოვანების მიხედვით ის დაპირისპირება აწმყოსა და აორისტის მწკრივებს შორის (ე—ო), რომელიც დამახასიათებელია გარდამავალი ფუძედრეკადი ზმნებისათვის, შდრ. ქართ. კენეტს — კენიტა — კენიტი;³ სვან. ლი-ყუელ „გაყოფა“ (ჩუა-ყუილ „გაყო“) — ყუილ „ცალი“ (ეტიმოლ. „განაყოფი“) და სხვ.⁴ ამავე დროს ძველ ქართულში, ასევე სვანურში აღნიშნული ფუძე ე გახმოვანებით გარდაუვალია (ძვ. ქართ. გარდა-ვ-ვედ: სვან. ლი-ვედ „მოსვლა“) განსხვავებით სხვა ნამდვილი ფუძედრეკადი ზმნებისაგან (შდრ. განსდრეკს, განფენს, წნეხს და სხვ.).

ვვარაუდობთ, რომ „ხიდის“ აღმნიშვნელი ქართველური ფუძე უნდა ყოფილიყო ჳირ⁵ხირ, რომელიც ამჟამად დაცული ჩანს ქართულში ე-ხირ-ებ-ა, გა-ე-ხირ-ებ-ა ჳმნურ ფორმებში (გაეხირება „გაეკვდება, გაეჩხირება“, ეტიმოლ. „ხიდად, ხიდივით გაედება, გაეხიდება“. აღნიშნულ ხირ ფუძის შესატყვისი უნდა იყოს ჳანური ხინჯ (*ჳინჯ*ჳირ) „ხიდი“.⁶

ამგვარად, საენათმეცნიერო ლიტერატურაში თანხმოვანთშესატყვიობის: ქართ. დ. ჳან. ჳ. საილუტრაციოდ წარმოდგენილი მასალის: ძვ. ქართ. ღერღედ-ი, ჳან. ლორღონჯ-ი; ძვ. ქართ. ტრედ-ი, ჳან.

¹ გ. მ ა კ ვ ა რ ი ა ნ ი . დასახ. ნაშრ., გვ. 21.

² მკლევრის აზრით, აქედანვეა სვან. ჳიდ „ძღვენი, მისართმევი“ (ეტიმოლ. „მისატანი“ ან „მიტანილი“, ი ქ ვ ე).

³ თ ო ფ უ რ ი ა , ფუძედრეკად ჳმნათა სუფიქსაციისათვის, თსუ შრომები, III, 1936, გვ. 232; შდრ. ალ. კ ი ნ ჳ ა რ ა უ ლ ი , ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 159.

⁴ სერიებისა და გვარის მიხედვით ფუძედრეკად ჳმნათა გახმოვანების თვალსაზრისით აღნიშნულისაგან რამდენადმე განსხვავებული ვითარება გვაქვს ჳანურში (იხ. ტ. გ უ დ ა ვ ა , ფუძედრეკადი ჳმნები მეგრულში, „მაცნე“, № 4, 1974, გვ. 132-138.

⁵ ჳირ ფუძეში ჳ შეიძლება აღვადგინოთ ჳიდ ფუძის მიხედვით. თვით ოსურ-ალანური წარმომავლობის ჳიდ ფუძეში (შდრ. ოს. xid/xed) ჳ შესაძლოა იყოს ქართველური წარმოშობის, სინონიმური *ჳირ ფუძის გავლენით.

⁶ საერთო-ქართველურში ჳირ ფუძის რეკონსტრუირება არ გამოორიცხავს ამავე ენაში მეორე ფუძის, სინონიმური ვარიანტის არსებობას.

ტორონჯ-ი; ძვ. ქართ. ვიდ-ი, ზან. ხინჯ-ი; ძვ. ქართ. კუნდ-ი, ზან. ხუნჯ-ი) ანალიზი, ამასთან, იმავე პირობებში (სახელური ფუძის აუსლაუტში) შესატყვისობის სხვა ფორმულის — ქართ. დ, ზან. დ დასტურება (მდრ. ქართ. მჰად-ი, ზან. ჰკიდ-ი / მჰკუდ-ი; ქართ. ნად-ი, ზან. ნოდ-ი, სვან. ნად და სხვ.) საექვოს ხდის მის (ქართ. დ, ზან. ჯ შესატყვისობის) რეალურობას და იძლევა საფუძველს როგორც ერთ-ერთი ვარაუდი დაფუძნებას, რომ ამ შემთხვევაშიაც შესაძლოა საქმე გვექონდეს სხვა, ქართველურ ენებში ფართოდ გავრცელებულ ბგერათ-შესატყვისობასთან — ქართ. რ: ზან. ჯ; რომ ზანური აუსლაუტური ჯ ხსენებულ სახელურ ფუძეებში (ლორლონჯი, ტორონჯი: ხინჯი) მიღებული უნდა იყოს რ სონორის (და არა დ მარტივი ხშულის) პოზიციური გააფრიკატების შედეგად.

ამავე გზით ჩანს მიღებული ზანურში სახელური ფორმა ყვაოჯი (<*მყვაორი) „ყვავი“.

მეგრ. ხუნჯ- („ბორკილი“) ფუძის შესატყვისად ქართულში შეიძლება ვივარაუდოთ *ჯუნძ > კუნდ.

ჯან-/ჯარ- ტიპის ფუძეების შესახებ ქართულში*

საენათმეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია შენიშნულია ფაქტი, როდესაც ზმნური ფუძეები ბოლოკიდურად წარმოგვიდგენენ წ ფონემას, შესაბამისი სახელური ფუძეები — რ'ს (Deeters 1958, 14; გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965, 312; გამყრელიძე-ივანოვი 1984, 263; ფენრიხი-სარჯველაძე 1990, 493-494 და სხვ.).

ამის ნიმუშად სპეციალისტები მიიჩნევენ ფუძეებს: ქართული **ჯან-**(მო-ვ-ჯან) / **ჯარ-**(პარ-ი). აღსანიშნავია, რომ ხსენებული ფუძეები (**ჯან-/ხარ-** დიაქრონიულად ამგვარადვე უპირისპირდება ერთმანეთს მეგრულ-ლაზურშიც. ზმნური ფორმა აქაც ფუძის ბოლოკიდურად წარმოგვიდგენს წ ფონემას, შესაბამისი სახელური ფუძე — ჭ'ს, რომელიც, როგორც ცნობილია რ'სგან მომდინარეობს (როგავა 1959, 2277-280): მეგრ. ვ-ხონ-ი, ლაზ. ფ-ხონ-ი „მოვხანი“, შდრ. მეგრ.-ლაზ. ხოჯ-ი < *ხო-ი „ხარი“. კოლხური ზმნური ფუძე **ხო-** და სახელური ფორმა **ხოჯ-ი*** < ჯორ-ი წარმოადგენენ კანონზომიერ შესატყვისებს ქართული **ხან-**(მო-ვ-ხან-ი) და **ხარ-**(ხარ-ი) ფუძეებისას. განსხვავებული ვითარებაა სვანურში. აქ როგორც ზმნური, ისე სახელური ფუძის ბოლოკიდურად გვაქვს წ ფონემა: **ო-ჯან** „მოვხანი“, **ჯან** „ხარი“.

ზმნური ფუძის ბოლოკიდური წ ასევე უპირისპირდება სათანადო სახელის ფუძეში წარმოდგენილ რ'ს ფორმებში **შმან-** (ძვ. ქართ. მე-**შმან-**ების) / **შმარ-** (სი-**შმარ-**ი) (გამყრელიძე-ივანოვი 1984, 263). აღნიშნული ფუძეები ლაზურში იძლევა შესატყვისებს; **შმონ-** (მე-ვ-ო-**შმონ** „ვეფიქრობ“, ვ-ი-**შმონ-ი** „ვეფიქრე“) / **შმოჯ-** (ი-ზმოჯ-ე „სიზმარი“). **წ/რ(>ჯ)** მონაცვლეობა სახეზეა აქაც.¹

ზმნურ და სათანადო სახელის **წ/რ** ფონემათა მონაცვლეობის მა-

* წაკითხულია არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე (იხ. ნოზაძე, 1996). პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში „ენათმეცნიერების საკითხები“, 4, 2001.

¹ ქართული **შმან-** და ლაზური **შმონ-** ფუძეები ერთმანეთს დაუკავშირა გ. კლიმოვა (1964, 88). მეგრულში ეს ფუძე შემონახული არ არის, შდრ. მეგრ. ზიმ-აფა „ზმანება“, სვან. ლი-ზმალ-უნ-ე (*ლი-ზმან-უნ-ე?) „ზმანება“. საეთროლ კო სვანურში აღნიშნული სემანტიკის გადმოსაცემად სხვა ფორმებია გავრცელებული (**შმან-/შმარ-** ფუძეებთან დაკავშირებული ლიტერატურა ვრცლად იხ. ფენრიხი-სარჯველაძე 1990, 134).

გალითია აგრეთვე: ქან-(ე-ქან-ება) / ქარ-(ქარი)² (არაბული 1997, 16), ცან- (ვ-ცან) / ცარ- (უმე-ცარი „უცნობი“...).

თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი ზმნისა და შესაბამისად სახელის ფუძეში ბოლოკიდურ ნ/რ ელემენტთა მონაცვლეობის ნიმუშად განიხილავენ ფორმებს: ძვნ-/ძვრ- მათი აზრით, „ძვ. ქართ. ძვრი „ცუ-ლი, ავი“ აღვადგენინებს *ვ-ძუნ — *ვ-ძუნ-ე ზმნას (შდრ. გან-ძვნ-ღ-ა, მ-ძვნ-ვ-არ-ე),³ რომლის ბოლოკიდური [ნ] უპირისპირდება სახელურ ფუძეში წარმოდგენილ [რ]-ს“ (გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965, 312).⁴

ხსენებული ავტორები ამ ტიპის ნ/რ მონაცვლეობის მაგალითად მიიჩნევენ ვ-უ-ხტუნ — ვ-უ-ხტუნ-ე / ხტუი-ი ფორმებსაც (გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965, 312; გაზიარებულია ალ. ჭინჭარაულის თვალსაზრისი).

თუ სწორია ა-რცხუნ-ს — ა-რცხუნ-ა და ცხური-ი ფორმათა დაკავშირება,⁵ მაშინ ამ შემთხვევაშიც საქმე გვექნება ზმურ და შე-

² ქრის, განაქარვებს ქარ- მეორეული სახელური ფუძისაგან (ქარ — *ქან-) ნაწარმოები ზმნება.

³ აღსანიშნავია, რომ რეკონსტრუირებული *ძუნ-/ძუნ-ე („გაბრევა, გავარვარება“) ზმნის დერივატი წზე დაბოლოებული ფუძით — ძნ-ი ფიქსირებულია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში როგორც ძირითადი (ამოსავალი) მნიშვნელობით, ისე გადატანითი (მეორეული) მნიშვნელობებით; მაგალითად: ძვნ-ი 1. „გახურებული რკინის ნაჭერი“: მსგავს იყო შენ ძვნხა რკინისასა, რომელსა სცემ მქედელი ფრიად, მ.ცხ. 512 (ი. აბულაძე 1973, 529); შდრ. 2. „პრისხანე, გაცეხლებული“: შენ მიერ ვსძლე ძვნხა და მსრველსა ვჴპასა S-417, 60, 10; 3. „ცული, ავი“: ამან ძვნმან და განუცხოებულმან უფლისა ჩუენისა ქრისტჳს სასოებით ნესტორ ოქრომს კაპარკითა მისთა დამცულმან (?) ეპატნი... აღმიდგინა ჩუენ S-417, 76, 15; დაღათუ კეთილ განვსთქემილეთ მათ, დაღათუ ძვნ განვსთქემილეთ... S-417, 289; და დაუუენუ ბირნი მათნი მზრახველნი ძვნად S-417, 164, 29 და სხვა (დასახელებული ხელნაწერი XIII საუკუნისაა, ვსარგებლობთ „რუსთაველის კომისიის“ ფონდით). ძვნ-ი ფორმიდან ნ/რ ცვლით არის მიღებული ძველ ქართულში გავრცელებული ფორმა ძვრ-ი „ავი, ცული“.

⁴ სხვა თვალსაზრისისაა ა. ჭინჭარაული. მისი ვარაუდით: ძლიე > ძილი > ძირი (შდრ. ძელი „ძლივსავით“, საბა). ძვილ დასტურდება საშუალო ქართულის გვიანი პერიოდის (XVII-XVIII სს.) ძეგლებში. იგი შედარებით ახალი, დიალექტური წარმოშობის სიტყვა ჩანს, მიღებული ძლიე ზმნისარათისაგან ვ-ს გადასმის გზით. ამიტომ არ შეიძლება მისგან მომდინარეობდეს ძველ ქართულში გავრცელებული ფორმა ძვრ-ი „ცული, ავი“.

⁵ მ. ანდრონიკაშვილის აზრით ძვ. ქართ. ძვრ-||ძურ- („ავი, ბოტი“) < საშ. სპარ. ZUZ „ტუელი, სიკრეუ“ (უ/სა და ვ/ს მონაცვლეობა კოლოური მოვლენა). ამ ფუძიდანაა მიღებული ქართ. ცრუ: *ძურ-უ > ძრუ > ცრუ (ანდრონიკაშვილი 1966, 67, 89, 188, 214, 403-404)

⁵ ა-რცხუნ-ს და ცხური-ი ფორმებს ერთმანეთთან აკავშირებს ე. თაფურია

საბამის სახელურ ფუძეთა დაპირისპირებასთან ბოლოკიდურ ნ/რ ფონემათა მონაცვლეობის მიხედვით: რცხუინ-/ცხუირ-ი.¹

ვეფქრობთ, ამ კონტექსტში შეიძლება განხილული იქნას აგრეთვე ფორმები: ძვ. ქართულის ბრდლუენა, ბრდლუნვა („ტოტით მიწის გლეჯა, გინა რისხვა მვეცთა მიერ“ საბა) და ბდლუირ-ი („ჰაერში დამდგარი დიდი მტვერი, კრიანტელი“ ქველ). ბდლუირ-ი² იბრდლუნ-ს³ ფუძედრეკადი ზმნის რედუქციის საფეხურზე წარმოდგენილი ფორმას — იბრდლუინ-ას⁴ დერივატია⁵ ისევე, როგორც ძუირ-ი, სტუირ-ი, ცხუირ-ი შესაბამისად ძუინ- (გან-ძუინ-დ-ა), სტუინ- (უ-სტუინ-ა), ცხუინ- (ა-რ-ცხუ-ინ-ა) ფუძეებისა, რომელთა ბოლოკიდური ნ ფონემის ნაცვლად სახელურ ფორმებში გვაქვს რ ელემენტი.

ზოგიერთი სირთულის მიუხედავად, ვფიქრობთ, შესაძლებელია ასეთივე მიმართება ვივარაუდოთ ქართულ უ-კბენ-ს — უ-კბინ-ა და კბილ-ი ფორმებს შორისაც. ამ ტიპის ზმნათა ზემოთ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით მოსალოდნელი იყო ქართულში გვექონოდა კბირ-ი: უ-კბინ-ა / *კბირ-ი (შდრ. უ-სტუინ-ა / სტუირ-ი, ი-ბრდლუინ-ა /

(1979. გვ. 79080), არნ. ჩიკობავა (1942, 83-84 შმდ.). აღნიშნულ ფუძეთა შორის კავშირი სარწმუნოა ჩვენთვისაც.

¹ ა-რცხუენ-ს ფორმაში ასახნულია რ ელემენტი (ფონეტიკური დანართი?). ვ. თოფურას აზრით რ თავსართია, რომელიც აფხაზურის მსგავსად აწარმოებს ზმნას სახელისაგან (თოფურა 1979, 80). ცხუირ-ი — ა-რცხუენ-ს მიმართებაში არ ჩანს, რომ ზმნისთვის ამოსავალია სახელური ფორმა (ამ აზრს არ იზიარებს არც არნ. ჩიკობავა), თუ არ დავუშვებთ, რომ ა-რცხუენ-ს მიღებულია შემდეგი ვზით: *ა-ცხუირ-ენ-ს > ა-ცხურ-ენ-ს > ა-რცხუენ-ს, რაც ნაკლებ სარწმუნოა; არცხუენს ზმნის ამგვარი ინტერპრეტაცია არ არის მისაღები იმიტომაც რომ, როგორც ვარაუდობენ, ე-ვოკალის შემცველი სახელური ფორმები მეორეული წარმოების (სათანადო ზმნური ფუძეებისაგან წარმოქმნილი) ჩანს. ამის შესახებ ვრცლად — ქვემოთ.

² ახალ ქართულში დადასტურებული იშვიათი ფორმა აღნიშნული სახელისა — ბდლვერ-ი (ვაჟა, ნ. ლორთქიფანიძე, იხ. ქველ) მეორეული, ახალი წარმონაქმნია, მიღებული ე-ბმოენის შემცველ ფუძეთა ანალოგიით.

³ ი-ბრდლუენ-ს — ბდლუირ-ი მიმართებაშიც გასარკვევია რს საკითხი: იგი განვითარებულია ზმნურ ფორმაში (შდრ. ბდლვინავს: შეეკაზმა საომარად, ბდლვინავს ვითა სპილო მთვრალი, „შანანაე“), თუ პირიქით — დაკარგულია სახელურ ფუძეში (როგორც ცნობილია, ქართველური ენებისათვის რს არც დაკარგვია უჩვეულო და არც განვითარება).

⁴ შდრ. იბდლუნენსა ლომპან შაბით თუსით ნადირისა არ მქონემან: S-417, 208, 7 (XII ს. ძეგლი „რუსთაველის კომისიის“ ფონდიდან), იბრდლუნა (23, 24 რიცხ.) საბა.

⁵ შემთხვევითია, რომ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ბდლუირ-ი ლექსება ფიქსირებული არ არის (ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით იგი არ დასტურდება).

ბლუირ-ი და სხვ.) მაგრამ, როგორც აღინიშნა, ნაცლად კბირ-ი-სა გვაქვს კბილ-ი, რაც ქმნის გამონაკლისს საერთო წესისაგან და ახსნას მოითხოვს.

ამ თვალსაზრისით სხვა ქართველურ ენათაგან ლაზურის ჩვენებაა მნიშვნელოვანი. აქ რეალურად დასტურდება აღნიშნული ზმნური და შესაბამისი სახელური ფუძეების ბოლოკიდურ თანხმობანთა მიხედვით ის დაპირისპირება (ნ/რ), რაც ქართულში იყო მოსალოდნელი: კბინ-/კბირ-: გმა-კბინ-ს⁶ „ჰკებენს“ — გმა-კბინ-უ „უკბინა“⁷ — კბირ-ი „კბილი“; შდრ. მეგრული პარადიგმა ამ ზმნისა: კბირ-ან-ს „ჰკებენს“ — დო-კბირ-უ „უკბინა“ — კბირ-ი „კბილი“⁸.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით თითქოს შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ქართული კბილ-ი ფორმა მეორეულია, მიღებულია კბირ-ი-საგან გარკვეული კომბინატორული ცვლილებების შედეგად; სახელდობრ, *კბირ->კბილ- ფუძეში ბაგისმიერი ფონემის არსებობის გამო.⁹ მაგრამ ასეთი ინტერპრეტაციისას ასახსნელია შესატყვისობა ქართ. რ: კოლხ. რ (ქართ. *კბირ-ი: მეგრ.-ლაზ. კბირ-ი; შდრ. ქართ. ფურ-ი: კოლხ. ფუჯ-ი... (თუმცა აღნიშნული წესისაგან ამგვარი გამო-ნაკლისები დასტურდება სხვა შემთხვევაშიც. ამის შესახებ — ქვემოთ).

როგორც ვხედავთ, თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ფორმა კბილ-ი ქართულშია მიღებული *კბირ-ი-საგან და მაშასადამე, ისტორიულად ქართულში უნდა გვქონოდა ნ/რ თანხმობანთა მიხედვით

⁶ ლაზ. გმა-კბინ-ს („ჰკებენს“) ფორმა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ იგი წარმოადგენს ათემატურ აწმყოს ფუძის e-გაბმობანებით (თუ გმა-კბინ-ს არ არის მეორეული, მიღებული *გმა-კბინ-ან-ს ფორმის გამარტივების შედეგად; შდრ. ბოფ. მეგაკბინამ „кыцаю“ (Март 1910).

⁷ ლაზ. კბინ- ფუძეს ქართ. კბ-ენ-/კბ-ინ- ფუძის კანონზომიერ შესატყვისად მიიჩნევენ (ფენრიხი — სარჯვლაძე 1990, 171).

მეგრ. კბირ-ან-ს („ჰკებენს“, ეტიმოლ. „კბილას“) ნასახელარი ზმნაა, ლაზურთან შედარებით ახალი, მეორეული წარმოებისა. წარმოქმნილია სათანადო ზმნის რედუქციის საფეხურზე წარმოდგენილი კბინ- ფუძის ღვრივადიდან — კბირ-ფორმიდან. უფრო ადრე მეგრულში უნდა გვქონოდა *კბინ-ან-ს ნაცლად კბირ-ან-ს ფომისა, ე. ი. ისტორიულად მეგრულში ზემოთგანხილულ შემთხვევაში ზმნური და შესაბამისი სახელური ფუძეები ლაზურის მსგავსად დაპირისპირებული უნდა ყოფილიყო ბოლოკიდურ ნ/რ თანხმობანთმონაცვლებით: *კბინ- (*კბინ-ან-ს) / კბირ- (კბირ-ი).

⁹ შდრ. ქართ. პირ-ი: სვან. პილ-ი „ტუჩი“, ქართ. ფაფარ-ი: სვან. ფაფალ-ი და სხვა (ქართ. რ: სვან. ლ შესატყვისობისათვის იხ. გამყრელიძე-მაჭავარიანი, 1965, 85).

ზმნური და სახელური ფუძეების დაპირისპირება: კბინ- (უ-კბინ-ა) / *კბირ- (*კბირ-ი), გარკვეული დაბრკოლება ახლავს.

ნაკლებ წინააღმდეგობრივი იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ *კბირ->კბილ- პროცესი განხორციელებულია ქართულ-კოლხური ერთიანობის ეპოქაში, რომ ამ ეტაპზე აღდგება პარადიგმა: *კბენ-კბინ- / კბირ-, რომელმაც ზემოთ აღნიშნული პოზიციური ცვლილებების შედეგად მოგვცა დაპირისპირება: კბენ-~კბინ- / კბილ-.¹ აქედან კანონზომიერად არის მიღებული ისტორიულ ქართულში დამოწმებული ფორმები: კბენ-~კბინ- / კბილ-,² ხოლო მეგრულ-ლაზურში — კბინ-³ / კბირ-.⁴ მაშასადამე, დიაქრონიულად კ-კბენ-ს ~ უ-კბინ-ა / კბილ-ი ზმნათა იმ სტრუქტურულ ტიპს უნდა განეკუთვნებოდეს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ზმნური და სახელურ ფუძეთა დაპირისპირება ბოლოკიდურ ნ/რ თანხმოვანთა მიხედვით.

ზემოთ განხილულ ფორმათაგან ვან- / ვარ-, სტუენ- / სტუირ-, რცხუენ- / ცხუირ-, კბენ- / კბილ- ზმნურ და სახელურ ფუძეთა კავშირი შენიშნული აქვს არნ. ჩიქობავას (1938, 78-79; 1942, 78-79, 82, 87, ...). მისი აზრით, ქართ. ვან- (მო-ვ-ვან) / ვარ- (ვარ-ი), მეგრ.-ლაზ. ხონ- (ვ-ხონ-ი) / ხოჯ- (ხოჯ-ი), სვან. ვან- (ო-ვან „მოვხან“) / ვან („ვარი“) ფუძეებში ძირია ხ-||ვ-, -არ (> მეგრ.-ლაზ. -ოჯ) და -ან (მეგრ.-ლაზ. -ონ) ფუძის დეტერმინანტი სუფიქსებია. მკვლევრის ვარაუდით, „ქართულშიც უნდა გვექონოდა -ან დეტერმინანტი ამ სახელში (იგულისხმება ვარ-ი — ლ.ნ.). ამას მოწმობს ნასახელარი ზმნა ხნ-ავ-ს, რომლის ფუძეშიც არის ხან- (ძვ. ქართ. ვან-): მო-ვ-ხან-ი, გადა-ვ-ხან-ი... ეს ისეთივე ნასახელარი ზმნაა, როგორც დავ-ბარ-ე, გავ-თოხ-ნ-ე... ეს ხან-||ვან- ხვდება სვან. ვან-ს (ჩიქობავა 1938, 78-79). სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით უფრო ძველი -ან სუფიქსი ჩანს (ჩიქობავა 1942, 79).

ზმნურ და შესაბამის სახელურ ფუძეთა შეპირისპირების საფუძ-

¹ სრულიად ბუნებრივია, რომ სვანურთან მსგავსებას ავლენდეს ქართულ-კოლხური დონის ესა თუ ის ენობრივი ფაქტი.

² ქართ. კბილ-ი და მეგრ.-ლაზ. კბირ-ი ფორმებს მიმღეობად მიიჩნევენ (Жлимова 1964, 107; ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე 1990, 171).

³ კბენ- ფორმის შესატყვისი კოლხურში არა გვაქვს. ი- ხმოვნინი ფუძეა აქ განზოგადებული.

⁴ ქართულ -ელ მიმდევრობას, როგორც ცნობილია, მეგრულ-ლაზურში შესატყვისება იზრ: ქართ. შვილ-ი; ლაზ. სქირ-ი; ქართ. წილ-ი; მეგრ. კქირ-ი; ქართ. თხილ-ი; მეგრ.-ლაზ. თხირ-ი და სხვა (გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965, 78).

ველზე არნ. ჩიქობავა გამოყოფს ენ და -**ირ**, **ილ** სუფიქსებს სტუ-ენ- (სტუ-ენ-ს) / სტუ-ირ- (სტუ-ირ-ი), რ-ცხუ-ენ- (პ-რ-ცხუ-ენა, ა-რცხუ-ენ-ს...) / ცხუ-ირ- (ცხუ-ირ-ი) და კბენ- (პ-კბენ-ს) / კბილ- (კბილ-ი) ფორმებში (ჩიქობავა 1942, 82, 87; 1938 54, 291). მისი აზრით **სტუ-** ძირს შეიცავს ნე-სტუ, რომელიც ნე-სტუ („საყვირი“) ფორმისაგან მომდინარეობს;⁵ ხცვ-ირ-ი სიტყვაში ძირია **ცვ-** (ხ განვითარებულია). ქართულ პ-კბენ-ს, კბილ-ი; ლაზ. გდა-კბინ-ს („პკბენს“) და მეგრ.-ლაზ. კბირ-ი („კბილი“) ფორმათა ძირეული მასალაა კიბ- (ქართ. კბ-^{*}კიბ-) (ჩიქობავა 1938, 48, 54, 291).

რა შეიძლება ითქვას აღნიშნულ თვალსაზრისთან დაკავშირებით?

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ განხილულ ყველა შემთხვევაში, კერძოდ, ჯან- (მო-ვ-ჯან) / ჯარ- (ჯარ-ი) ფუძეებში სუფიქსური ელემენტი არ გამოიყოფა. მათგან საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონისათვის არქტიპად აღდგება მხოლოდ ჯან- ვარიანტი, რეკონსტრუირდება ისეთი ვითარება, როგორიც სვანურშია შემონახული (შდრ. სვან. ჯან „ჯარი“, ა-ვან „მოვნა“). ჯარ- (ჯარ-ი) ფუძის თავდაპირველი, ამოსავალი სახე *ჯანახან დაცულია სამსავე ქართველური ენის ზმნურ პარადიგმაში: ქართ. მო-ვ-ხან, მეგრ.-ლაზ. ვ-ფ-ხონ-ი, სვან. ო-ჯან.⁶ ქართ. ჯარ-ი, მეგრ.-ლაზ. ხოჯ-ი (<*ჯორ-ი < *ჯარ-ი) ჯანთან შედარებით (შდრ. სვან. ჯან „ხარი“) ახალი წარმონაქმნია, მეორეული ფორმაა, ქართულ-კოლხური ინოვაციაა, ამ ენათა ერთიანობის ეპოქისა. ბოლოკიდური რ ნაცვლად ნ ამ ფორმებში ასახსნელია (ამის შესახებ ქვემოთ).

და კიდევ: ზემოთ განხილულ ნიმუშებში (ჯან-/ჯარ-, სტუენ-/სტუ-ინ- /— სტუირ...) თუ ან, არ ელემენტები, ასევე ენ/ინ და ირ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, თავისთავადი სუფიქსებია,

⁵ არნ. ჩიქობავა ხტვ- ძირს გამოყოფს ლაზურ დუ-სტვ-ინ-უ და მეგრ. დუ-რ-მუ-ინ-უ ფორმებშიც. მისი აზრით, მეგრ. რ-მუ- უნდა იყოს ხტვ- -> ხვ-ს შესატყვისი. ტ დაქარგულია, რ კი ფონეტიკური დანართია (ჩიქობავა 1938, 314-315). გ. კლიმოვი ქართ. სტუინ-/სტუენ-, მეგრ. შუიტინ-, ლაზ. სტუინ- ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე ქართულ-კოლხური ერთიანობის ხანისათვის აღადგენს *სტუ-ინ არქტიპს (Климов 1964, 166). სხვა თვალსაზრისის მიხედვით, ქართ. სტუ- (ნე-სტუ-ინ, არტერია; ვენა“) ძირის შესატყვისია მეგრ. შვიტ- < *შტუ- (მი-შვიტ-ია „ცხვირი“), სვან. შტ- < *შტუ- (შდრ. ნე-შტ-რ-ალ „ნესტობი“); ს.-ქართვ. ფუძე-ენის დონეზე აღდგება *სი ტუ- (ფენრიხი-სარჯველაძე 1990, 286-287).

⁶ ქართველურ ენებში *ჯან- (მო-ვ-ჯან), *ჯარ- (ჯარ-ი) ფუძეთა შესატყვისობების შესახებ ლიტერატურა იხ. ფენრიხი-სარჯველაძე 1990, 493-494.

ე. ი. თუ აღნიშნული ტიპის მასლაში -ან / -არ და -ენ / -ორ სუფიქსების მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე, როგორც ეს არნ. ჩიქობავას მიაჩნია, მაშინ ასახსნელია: 1) რატომ გვაქვს წს შემცველი აფიქსები, როგორც წესი, ზმნურ ფორმებში, სათანადო სახელურ ფუძეებში — რიანი (შდრ. მო-ვ-ჯან / ვარ-ი, ვ-სტუენ / სტუირ-ი...)¹ 2) რატომ უპირისპირდება ზმნურ ფუძეში წარმოდგენილ ე/ო განმოვანების -ენ/-ონ სუფიქსს (უ-სტუენ-ს / უ-სტუენ-ა...) მხოლოდ ი-განმოვანებით წარმოდგენილი -ორ სუფიქსი სათანადო სახელურ ფუძეში (სტუირ-ი...).

აღნიშნული გარემოებანი გვაფიქრებინებს, რომ ზემოთ განხილული ტიპის სახელებში (ვარ-ი, სტუირ-ი, ცხუირ-ი, ბდლუირ-ი...) -არ, -ორ არ არის დამოუკიდებელი სუფიქსები. ვან-/ვარ-, სტუენ-/სტუირ-სახის მიმართებებში სუფიქსები არ მონაცვლეობენ (შდრ. ჩიქობავა 1938, 78-79; 1942 79).

როგორც ზემოთ აღინიშნა, მკვლევართა გარკვეული ნაწილი ვან-/ვარ-, სტუენ-/სტუირ- ტიპის შემთხვევებს, ჩვენი აზრით, სრულიად მართებულად, განიხილავს ნ/რ ფონემათმონაცვლეობის ნიმუშებად. ამასთან, მიიჩნევენ, რომ ნ/რს ფუნქციური მნიშვნელობა აქვს, რომელიც შესაძლოა იყოს შედეგი აღნიშნული მონაცვლეობის მორფოლოგიზაციისა (Deeters 1958, 14; გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965, 313; Гамкрелидзе-Иванов 1984, 263). მაგრამ არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რით არის განპირობებული ამგვარი მონაცვლეობა — ზმნური ფუძის ბოლოკიდური წს შეცვლა რთი შესაბამის სახელურ ფორმებში.²

ბოლო ხანებში სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ვან-/ვარ- ტიპის ფუძეებში ნ/რ მონაცვლეობა სპონტანური, ფონოლოგიურად შეუპირობებელი ხასიათის ენობრივი მოვლენაა, რომელიც განაპირობებდა ძირ-ფუძეთა ლექსიკური დიფერენციაციის პროცესს (არაბული 1994, 5); ე. ი. ამ თვალ-

¹ ქართულ ენებში, როგორც ცნობილია, ზმნური ფუძის ბოლოკიდურად შეიძლება გვქონდეს რ ელემენტი ისევე, როგორც ნ- სახელური ფუძის დაბოლოებად.

² შდრ. ქართ. მტილ-ი: ლაზ. ო-ნტულ-ე, მეგრ. ო-რტვინ-ი, სვან. პა-რტამ „ბოსტანი“; ქართ. ნემს-ი: ლაზ. ლემშ-ი, მეგრ. ლეფშ-ი; ქართ. წერწყუ-ი: მეგრ. ლერწყუ-ე; ქართ. წელ-ი: მეგრ. ლადირ-ი, ლაზ. ლარდ-ე და სხვა, რომლებშიაც თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი კომბინატორული ხასიათის ფონემათმონაცვლეობას ვარაუდობენ (1965, 129).

საზრისის მიხედვით აღნიშნულ შემთხვევაში საქმე გვაქვს დერივაციის უძველეს მოდელთან (მექანიზმთან) — ზმნურ და შესაბამის სახელურ ფუძეთა წარმოქმნასთან ბოლოკიდურ ნ/რ ფონემათა მონაცვლეობის გზით: ვან- (მო-ვ-ვან) / ვარ- (ვარ-ი) და მისთ.³

აღნიშნული მოსაზრება, ჩვენი აზრით, არ არის მისაღები. იგი არ ჩანს მართებული თეორიული თვალსაზრისით (წარმოადგენს გარკვეული ენობრივი მოვლენის ტელელოლოგიურ საფუძველზე ახსნის ცდას): ამასთან, პრაქტიკულად უარყოფითი შედეგების მომტანია — ამის აღიარება ფაქტობრივად ნიშნავს ამ სფეროში კვლევის უარყოფას.⁴

ამგვარი ვარაუდი არ არის გასაზიარებელი იმიტომაც, რომ მას, ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება ზოგი ფაქტობრივი მონაცემებიც; კერძოდ, ვან-/ვარ- ფუძეებთან დაკავშირებით — სვანურის ჩვენება, სადაც ქართულ-კოლხურ ხან-/ხონ- (ქართ. მო-ვ-ხან-ი, კოლხ. ვ-ხონ-ი) და ხარ-/ხოჯ- (ქართ. ხარ-ი, კოლხ. ხოჯ-ი < *ხორ-ი < *ჯარ-ი) ფუძეებს ორსავე შემთხვევაში შეესატყვისება ვან- ფორმა (ო-ვან „მოვხანი“, ვან „ხარი“), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართულ-კოლხურში ხსენებულ ზმნურ და სახელურ ფუძეთა დიფერენციაცია ბოლოკიდური ნ/რ, კოლხ. ნ/ჯ (<*რ) ფონემათა მიხედვით (ქართ. მო-ვ-ხან-ი / ხარ-ი, კოლხ. ვ-ხონ-ი / ხოჯ-ი) მეორეული მოვლენაა, საერთო ქართულ-კოლხური სიახლეა⁵ და არა „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოების უძვე-

³ ავტორის თქმით, „ქართველურ ენათა უძველესი შრეები აშკარად წარმოაჩენს ალტერნაციის, როგორც ერთ-ერთი დერივაციული მექანიზმის, მოქმედებას ფუძეთა ქმნადობის პროცესში“ (არაბული 1994, 5).

⁴ ფონემათა ზოგი მონაცვლეობა განსაზღვრულ ეტაპზე ჩვენი ცოდნის შეზღუდულობის გამო ჩანს სპონტანური, ფონოლოგიურად შეუპირობებელი. როგორც ცნობილია, ა. შანიძე ზაჯ ვადასვლას კოლხურში სპონტანური ხასიათის ცვლილებად მიიჩნევდა (შანიძე 1948). გ. როგავამ ცხადყო აღნიშნული მოვლენის კომბინატორული საფუძველი (როგავა 1959, 277-289). ასევე, ვ. თოფურია სვანურ ერთი რიგის ზმნათა ფუძისეულ ე და ა (ა) ხმოვნებს, რომლებიც ზნის სხვადასხვა ფორმებში ერთმანეთს ენაცვლებიან, მორფოლოგიური ფუნქციის ინფიქსებად მიიჩნევდა, ეს — აწმყოს მაწარმოებლად (იცხემ „იზრდება“...), ას — ნამყოუსრულისას (იცხამ-და „იზრდება“...) (თოფურია 1931, 79-82, 91-93). მ. ქალდანმა დიდძალი საილუტსრაციო მასალაზე დამყარებით აჩვენა, რომ ე/ა ხმოვანთმონაცვლეობა ფონეტიკური ხასიათისაა (ქალდანი 1969, 1-225) და სხვა.

⁵ სვანურში რეალურად დასტურდება ის სახელური ფორმა (ვან „ჯარი“), რომლისგანაც შემდგომში ნ/რ ცვლით არის მიღებული ქართულსა და კოლხურში დამოწმებული ფორმები: ხარ-ი / ხოჯ-ი. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კერძო შემთხვევაშიც ქართული და კოლხური ერთადაა, ცალკე დგას სვანური მისთვის

ლესი შერების“ მონაცემები (შდრ. არაბული 1994).

ამგვარადვე, ძვ. ქართ. ძვრ-ი („ავი, ცული“) მიღებული ჩანს ასევე ძველ ქართულში დადასტურებული ძვრ-ი (მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ავი, ცული“) ფორმისაგან (რომელიც თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, რელექციის საფეხურიანი ფუძედრეკალი ზმნის *ვ-ძვენ ~ ვ-ძუინ-ე დერივატს წარმოადგენს) წს რთი შენეცვლების შედეგად.

გარდამავალი საფეხური — წ“ზე დაბოლოებული სახელური ფუძე ყველა ანალოგიურ შემთხვევაში არის სავარაუდო.¹ ერთი მხრივ, რიგ სახელურ ფუძეში თავდაპირველი წიანი ვარიანტის დადასტურება (სვან. ჯან „ჟარი“, შდრ. ქართ.-კოლხ. ხარ-ი; ძვ. ქართ. ძვრ-ი „ავი, ცული“, შდრ. ძვრ-ი „id“) და მეორე მხრივ, ყველა სხვა შემთხვევაში (როცა ზმნური ფუძის ბოლოკიდურად არა გვაქვს წ ფონემა) ხმოვან-მონაცვლე ზმნათა შესაბამის სახელურ ფორმებში ზმნურ ფუძეთა უცვლელად წარმოდგენა (შდრ. ვ-ცქვიტ-ე / ცქვიტ-ი, ვ-ფშვიკ-ე / ფშვიკ-ი, ვ-წმიდ-ე / წმიდ-ა, ვ-უ-მზირ-ე / მზირ-ი და მისთ.) სრულ საფუძველს იძლევა წ“ზე ფუძედაბოლოებული სახელური ფორმები სხვა შემთხვევაშიც ვივარაუდოთ; ე. ი. დაფუძვლათ შესაძლებლობა ისტორიულად *სიზმანი-ი (შდრ. სიზმარ-ი), *ქანი-ი (შდრ. ქარ-ი), *სტუინ-ი (შდრ. სტუირ-ი), *ბდლუინ-ი (შდრ. ბდლუირ-ი) და მისთ. ვარიანტების არსებობისა.

მაშასადამე, დიაქრონიულად ზემოთ განხილული ტიპის მასალაში წ/რ თანხმოვნების მიხედვით ზმნური და სახელური ფუძეების დაპირისპირება არ უნდა იყოს თავდაპირველი, საწყისი ვითარების ამსახველი მოვლენა. იგი შემდგომ უნდა იყოს ჩამოყალიბებული სახელურ ფორმებში მომხადარი ცვლილებების შედეგად.² ამდენად, ჯან-/ვარ- ტიპის ფორმებში წ/რ მონაცვლეობა არ შეიძლება წარმოქმნილიყო არქაულ ეპოქაში ზმნური და სახელური ფუძეების სადიფერენციაციოდ ისევე, როგორც კოლხურში ზოგ ზმნასა და სათანადო სახელურ ფორმას შორის სხვადასხვა ნიშნის მიხედვით არსებული დაპირისპირება (შდრ. პირ-უნ-ს „პირავს“ — პიჩ-ი „პირი“, ტახ-უნ-ს || ტახ-უმ-ს „ტეხავს“ — ნო-ტეხ-ი „ნატეხი“ და სხვა) არ წარმოქმნილა

დამახასიათებელი არქაიზმით.

¹ მხედველობაში გვაქვს ერთი ქრონოლოგიური დონის მონაცემები.

² ამის შესახებ ქვემოთ.

ზმნურ და შესაბამის სახელურ ფუძეთა გასამიჯნავად.³ ამ ფორმებს შორის არსებული სხვაობა შედეგია გარკვეული ენობრივი პროცესებისა, რომლებიც კარგად არის ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან.

ზემოთ აღნიშნულ თვალსაზრისს სხვა წინააღმდეგობებიც ახლავს: კერძოდ, თუ განხილულ მასლაში ნ/რ მონაცვლეობა სპონტანური ხასიათის მოვლენაა, რომელიც განაპირობებდა ზმნურ და შესაბამის სახელურ ფუძეთა დიფერენციაციის პროცესს (ჟან-/ჟარ-, სტუინ-/სტუირ-...), ისმის კითხვა: ამგვარ ცვლილებას რატომ განიცდის მხოლოდ ზმნური ფუძის ბოლოკიდური ნ ფონემა, როცა სხვა თანხმოვნები შესაბამის სახელურ ფორმაში უცვლელად არის წარმოდგენილი. მხედველობაში გვაქვს ი-ვოკალიზმის შემცველ სახელთა ერთი კლასი, რომლებიც რედუქციის საფეხურიან ფუძედრეკად ზმნათა დერივატებს წარმოადგენენ.⁴ ვ-ა-ჩენ ~ ვ-ა-ჩინ-ე / ჩინ-ი („თვალის ჩინი“); ვ-ცქვეტ ~ ვ-ცქვიტ-ე / ცქვიტ-ი; ვ-კნეტ ~ ვ-კნით-ე / კნით-ი; ვ-უ-მზერ ~ ვ-უ-მზირ-ე / მზირ-ი; ვ-ა-ლხენ ~ ვ-ა-ლხინ-ე / ლხინ-ი; ვ-ჩხერ ~ ვ-ჩხირ-ე / ჩხირ-ი; ვ-წმედ ~ ვ-წმიდ-ე / წმიდ-ა (მეორეული ა სუფიქსით); ვ-ფშეკ ~ ვ-ფშიკ-ე / ფშიკ-ი; ვ-ბზეკ ~ ვ-ბზიკ-ე / ბზიკ-ი („კუდაბზიკა“) (თოფურია 1936, 232; გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965, 312-313)... შდრ. სტუენ ~ სტუინ/სტუირ-ი, ბრდლუენ ~ ბდლურიი...⁶

³ ზმნური და შესაბამისი სახელური ფორმები მკვეთრად დიფერენცირებულია, გამოიწვეულია ერთმანეთისაგან ფუძის ბოლოკიდური ფონემების შენაცვლების გარემოც (შდრ. ვ-კნით-ე / კნით-ი, ვ-ა-ჩხირ-ე / ჩხირ-ი და მისთ.). ფუძე კი, როგორც სამართლიანად შენიშნავს თ. უთურგაიძე, ბრუნებისა და უღვლილების არსებობის შემთხვევაში (საერთო-ქართვლური ფუძე-ენის ღონეზე ბრუნებისა და უღვლილების კატეგორია რეკონსტრუირდება) რეალურ ენობრივ კონტექსტში არ არსებობს. იგი ენობრივი ანალიზისას ლინგვისტურ მსჯელობაში დაშვებული აბსტრაქციაა (უთურგაიძე 1986, 4).

⁴ ბუნებრივია, ა. არაბულის ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისი ამ რიგის მასლასაც ითვალისწინებდეს.

⁵ ფშიკი „ფაფშიკული, ავად გამკვარი“ (საბა). ასეთივე წარმომავლობისაა ცილ-ი, ცილ-ა (უ. ცინდელიანი).

⁶ თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი ვარაუდობენ, რომ ი-ვოკალიზმის შემცველი სახელური ძირები ისტორიულად რედუქციის საფეხურიან ფუძედრეკად ზმნათა დერივატებს წარმოადგენს, თუმცა ყოველი მათგანის დაკავშირება სათანადო ზმნური ძირების რედუქციის საფეხურზე წარმოდგენილ ფორმებთან ამჟამად უკვე აღარ ხერხდება (გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965, 312).

შენიშვნა: ქართულში, როგორც ცნობილია, სონორების გარდა მონაცვლეობენ ჩქამიერებიც, და თუ მაინც ამ ეტაპზე სონორთა მონაცვლეობას მივიჩნევთ ტიპურად, საკითხი მაინც ჩნდება (ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობისაა): ე-ზმან-ა / სი-ზმარ-ი, ი-ბრ-დლუინ-ა / ბდლუირ-ი ტიპის ნიმუშებში რატომ გვაქვს ნ/რ ფონმათა მხოლოდ „კალმხრივი“ მონაცვლეობა: ნ/რ. რატომ არ დასტურდება საპირისპირო ხასიათის „ფუნქციური“ შენაცვლება რ/ნ: ე-ზმარ-ების / სი-ზმან-ი, ვ-ჩხერ ~ ვ-ჩხირ-ე / ჩხინ-ი, ვ-უ-მზერ ~ ვ-უ-მზირ-ე / მზინ-ი და მისთ.¹

და კიდევ: თუ ნ/რ მონაცვლეობა ფონოლოგიურად შეუპირობებელია, ასახსნელია, რატომ ენაცვლება ნს რ, შედარებით უკანა წარმოების ფონემა და არა თავისივე რიგის სხვა ერთეული, რაც უფრო ბუნებრივი იქნებოდა.

ამ მოსაზრებათა გამო ზემოთ განხილული თვალსაზრისი (რომელიც, როგორც დავინახეთ, ორ პუნქტს შეიცავს: 1) ჯან-/ვარ- ტიპის ფუძეებში ნ/რ მონაცვლეობა სპონტანური, ფონოლოგიურად შეუპირობებელია. 2) ნ/რ მიზანდასახული ენობრივი პროცესია, რომელიც განაპირობებდა ზმნურ და სახელურ ფუძეთა წარმოქმნას) ვფიქრობთ, არ არის მისაღები.

ჩვენი აზრით, ზმან- (მე-ზმან-ების) / ზმარ- (სი-ზმარ-ი), ჯან- (მო-ვ-ჯან) / ვარ- (ხარ-ი), ჯან- (ე-ქან-ექა) / ქარ- (ქარ-ი), სტუინ- (უ-სტუინ-ა) / სტუირ- (სტუირ-ი), ძუინ- (გან-ძუინ-და) / ძუირ- (ძუირ-ი), რცხუინ- (ა-რცხუინ-ა) / ცხუირ- (ცხუირ-ი), ბრდლუინ- (ი-ბრდლუინ-ა) / ბრდლუირ-ი / (ბდლუირ-ი) ტიპის ფუძეებში ნ/რ მონაცვლეობა კომბინატორული ხასიათისაა.² უკვე ის ფაქტი, რომ მონაცვლე ფორმები დასტურდება სხვადასხვა პარადიგმაში: ნ — ზმნურში (მო-ვ-ჯან, მე-ზმან-ებ-ის...), რ — სახელურში (ხარ-ი, სი-ზმარ-ი...). მიუთითებს ამ მონაცვლეობის პოზიციურ ხასიათზე (როგორც ცნობილია, ბრუნებისა და უღვლილების პარადიგმები სხვადასხვა პოზიციებს ქმნიან). ვფიქრობთ, ამოსავალი ვითარება დაცულია ზმნურ ფორმებში. სახელებში რ მეორეულია: ნ>რ პროცესი სახელურ ფორმებშია განხორციელებული. ბრუნვის ნიშნისეული • ხმოვნის მაასიმპლირებელი გა-

¹ ვეყარებით სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილ მასალას.

² ძილ-ი (შდრ. ს-ძინ-ავ-ს), სიცილ-ი (შდრ. ი-ცინ-ი-ს), ქორწილ-ი (შდრ. ძვ. ქართ. განქორწინება, საქორწინე, უქორწინებელი) ფორმებში ნ/ლ მონაცვლეობა წარმოქმნილი უნდა იყოს -ილ სუფიქსიანი მასდარების გავლენით.

ვლენის შედეგად ფონემა **წ** უნდა იყოს გადასული შედარებით უკანა წარმოების³ ფონემაში⁴ — **ჩ**ში.⁵ თუ ვარაუდი სწორია,⁶ იგი შეიძლება გავრცელდეს ამ ტიპის ყველა შემთხვევაზე.⁷

რატომ არ ხორციელდება აღნიშნული პროცესი **წ**-ზე დაბოლოებულ ფუძედრეკად ზმნათა ზოგ დერივატში (თვალის ჩინ-ი, ლხინ-ი), ბიბინ-ი, ლიღინ-ი, ქვითინ-ი, ჭიხვინ-ი ტიპის მასდარებში, ასევე — **წ**-ზე დასრულებულ რიგ ცალკეულ სახელებში: ჯსენ-ი, ქონ-ი, ტყენ-ი და სხვა.

ბიბინ-ი, ჭიხვინ-ი ტიპის მასდარები მთელ სისტემას ქმნიან. ამასთან, აღნიშნულ ფორმებში **წ**ს უკავშირდება მასდარის წარმოების ფუნქცია. ასეთ პირობებში (სისტემის ზეწოლა, **წ**ს ფუნქციური დატვირთულობა) არ იყო მოსალოდნელი **წ**ს რ⁷ში გადასვლა.⁸ იგივე შეიძლება ითქვას ლხინ-ი („შეება, მოსვენება“) ფორმაზედაც.⁹

ამჟამად ჩვენთვის არ არის ნათელი ის მიზეზები, რამაც შეათერხა **წ**-ს პროცესი რიგ ცალკეულ ფუძეში:¹⁰ ჩინ-ი (თვალის ჩინი), ჯსენ-ი, ქონ-ი, ტყინ-ი და სხვა.¹¹ ამავე დროს დასადაგენია **წ**-ს პრო-

³ როგორც ცნობილია, **ჩ** წსთან შედარებით უკანა წარმოების ფონემა (ახვლედიანი 1949, 87; შანიძე 1973, 15 და სხვა).

⁴ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ **წ** ხმოვანი ქართულურ ენებში სათავეს უდებს რიგ ფონეტიკურ პროცესს; ყვარძლ. კოლხურში ბრუნვისეული ის ასიმილატორული გავლენით **ჩ** გადადის **წ**ში.

⁵ ჩვენი აზრით, ამიტომ არის, რომ ზემოთ განხილული ტიპის ნიმუშებში **წ** შენაცვლებულია **ჩ**თი არა თავისივე რიგის ფონემით.

⁶ აღსანიშნავია, რომ არაბრუნვისეული **წ** ვერ იწვევს **წ**-ს პროცესს ისევე, როგორც ვერც **ჩაჭ**ს — კოლხურში.

⁷ საყურადღებოა, რომ ისეთი ცნობილი ფონეტიკური პროცესი კოლხურში, როგორიცაა **ჩაჭ** ბრუნვისეული **წ** ხმოვნის გავლენით, გ. როგავას თქმით, მკირერიცხოვან მასალაშია რეალიზებული (1959, 277). ხსენებულ ნაშრომში ამგვარი სულ თხუთმეტამდე ნიმუშია წარმოდგენილი.

⁸ ამავე დროს გასათვალისწინებელია აღნიშნულ კომპოზიტთა ჩამოყალიბების ქრონოლოგია **წ**-ს პროცესთან მიმართებით და ისიც, რომ კომპოზიტები ზოგად წესს შეიძლება არ ექვემდებარებოდეს.

ბუნებრივია რომ **წ**-ს პროცესი აფიქსურ მორფემებში, თუ ისინი სერიული მწარმოებლებია, საზოგადოდ არ ხორციელდებოდეს.

¹⁰ ამგვარი მასალა ლიფერენსირებულ მიდგომას მოითხოვს. ზოგ შემთხვევაში **წ**-ს გადასვლას უნდა აბრკოლებდეს ფორმათა მოსალოდნელი ომონიმია (მღრ. თვალის-ჩინ-ი, ქონ-ი) ფუძეში **ჩ** ფონემის არსებობა (მღრ. ქორწილი...) და ზოგი სხვა ფაქტორიც, რომელიც შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს.

¹¹ როგორც ცნობილია, წესისაგან გამონაკლისები თავს იჩენს ნებისმიერი ენობრივი მოვლენის ანალიზისას. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ ისეთი ცნობილი

ცვის ქრონოლოგიური საზღვრები. ეს და ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხები შემდგომ კვლევას საჭიროებს.

ამგვარად, წინამდებარე ნაშრომში განხილულია მოსაზრებები, რომლებიც გამოთქმულია სპეციალურ ლიტერატურაში ნ/რ მონაცვლეობასთან დაკავშირებით ჯან- (მო-ვ-ჯან) / ჯარ- (ჯარ-ი), სტუინ- (ე-უ-სტუინ-ე) / სტუირ- (სტუირ-ი) ტიპის ფუძეებში. ნაჩვენებია ის დაბრკოლებები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ამ თვალსაზრისებს ახლავს. გამოთქმულია ვარაუდი ნ/რ მონაცვლეობის პოზიციური ხასიათის შესახებ.

ფონეტიკური პროცესი კოლხურში, როგორცაა ჩს პალატალიზაცია-აფრიკატიზაცია (ჩაჟ) მომდევნო ბრუნვისული o ხმოვნის გავლენით. შდრ. ქართ. პირ-ი: კოლხ. პიჟ-ი... (როგავა 1959, 277-280). ხსენებულ ნაშრომში განხილულია აღნიშნული კანონზომიერების დარღვევის შემთხვევებიც; როგორცაა: მეგრ. ეუჟ-ა „დღეურა“, ლაზ. ეუჟ-ა „ყრუ“; მეგრ. პიჟ-ალა „პირობა“, მუხურ-ი „მხარე“ და სხვა. მოცემულია მათი ახსნის ცდა (როგავა 1959, 279), მაგრამ აუხსნელი ფაქტები მრავლად გვაქვს აქაც; შდრ. ქართ. ზარ-ი „რვალის დიდი სარეკელი“ (საბა): მეგრ. ზორ-ი „საყვირის ხმა“ (ფენრიხი-სარჯველაძე 1990, 129); ქართ. ფა-ფარ-ი: მეგრ. ფო-ფორ-ი „ფაფარი“ (კლიმოვი 1964, 187; ფენრიხი-სარჯველაძე 1990, 312-313); ქართ. კუერ-ი: მეგრ. კვარ-ი „აყვრი“, ლაზ. კვარ-ი „აყვრი“ (იქვე, გვ 110); ქართ. სერ-ი „ვაზშია“: მეგრ. სერ-ი „ლაშე“ (შდრ. ო-სარე „პერანგი“, ეტიმოლ. „ლამის პერანგი“), ლაზ. სერ-ი „ლაშე“ (მეგრ.-ლაზ. სერ-ი < სარ-ი. გამურელიძე-მაჭავარიანი, 1965, 132, 164-165); ქართ. ქორ-ი: მეგრ. ქორ-ი „ქორი“, ლაზ. ქურ-ი || მქირ-ი || ქი-ი „ქორი“ (ჩიქობავა, 1938, 103); ქართ. ორ-ი: მეგრ. ეირ-ი „ორი“, ლაზ. ეურ-ი „ორი“ (ჩიქობავა, 1938, 213) და სხვა.

თუ უ-ურ კოლხური მაწარმოებელია (და არა შეთვისებული ქართულიდან), როგორც მიაჩნიათ ჰ. ფენრიხს და ზ. სარჯველაძეს (1990, 308), მაშინ აღნიშნული ცირკუმფიქსით ნაწარმოები სახელები (შდრ. მეგრ. უკომურ-ი „უკმელი“, უშუმურ-ი „უსმელი“ და მისთ.) ამავე რიგში განიხილება.

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ მასალაში (რომელიც არც თუ ისე მკითხველს გამონაკლისს წარმოადგენს თხუთმეტამდე „სწორი“ ფორმის საპირისპიროდ) ქართული ჩს შესატყვისად კოლხურში მოსალოდნელი ჩს ნაცვლად გვაქვს რ (ეს ფაქტი შენიშნული აქვს გ. კლიმოვს 1964, 110). მიუხედავად ამისა რაჟ პროცესის რეალურობა კოლხურში ექვს არ იწვევს. გამონაკლისები ახსნას საჭიროებს აქაც.

ლიტერატურა

აბულაძე 1944 — ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს.-ში, თბ. 1944.

აბულაძე 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973.

ანდრონიკაშვილი 1966 — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ. 1966.

არაბული 1994 — ა. არაბული, ალტერნაციისა და აბლაუტის ისტორიული ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენათა მასალის მიხედვით; არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 53-ე სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და და მოხსენებათა თეზისები, თბ. 1994.

არაბული 1997 — ა. არაბული, სახელისა და ზმნის ურთიერთმიმართების საკითხები ქართველურ ენაში, ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომისა, თბ. 1997.

ახვლედიანი 1949 — გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ. 1949.

გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ. 1965.

თოფურია 1931 — ვ. თოფურია, სვანური ენა, I ზმნა: შრომები I, თბ. 1976.

თოფურია 1936 — ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები III, 1936.

თოფურია 1979 — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, შრომები, III, თბ. 1979.

ნოზაძე 1996 — ლ. ნოზაძე, ჯან-/ქარ- ტიპის ფუძეების შესახებ ქართულში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, VII, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ. 1996.

როგავა 1959 — გ. როგავა, ქართველურ ენათა შესატყვისობიდან, ქართ. რ: ზან. ჯ, ქესს, თბ. 1959.

უთურგაიძე 1986 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ. 1986.

ფენრიხი-ხარჭველაძე 1990 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჭველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1990.

ქალდანი 1969 — მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმაღლესის სისტემა სვანურში, თბ. 1969.

შანიძე 1958 — ა. შანიძე, ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში, თბ. სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის III სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ. 1958.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ. 1973.

ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრული შედარებითი ლექსიკონი, თბ. 1938.

ჩიქობავა 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ. 1942.

დეეტერსი 1958 — G. Deeters, Über einen n/r Wechsc imGeorgischen Sybaris, W. 1958.

გამყრელიძე-ივანოვი 1984 — Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб. 1984.

კლიმოვი 1964 — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.

მარი 1910 — Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, С.-Пб. 1910.

თანხმოვანთა ზოგი ცვლილებისათვის ქართლურში*

1. გ—შ. საწერლობო ენის გ თანხმოვნის ნაცვლად შ ფართოდ არის გავრცელებული ქართული ენის რიგ დიალექტებში: ქიზიურში, ქართლურში, მესხურში, ჭავჭავურში; აღნიშნული მოვლენა მეტ-ნაკლებად ახასიათებს იმერულს, რაჭულს, მთიულურს, თიანეთურს; არ გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში: ზესურულში, მონხურში, ფშაურში, ასევე — ინგილოურში, ფერეიდნულში, გურულსა და აჭარულში.

თანხმოვანთა თანათარობას: სალიტ. გ — დიალ. შ განვიხილავთ ქართლურის მასალაზე.² ვფიქრობთ, აქ მიღებული დასკვნები შეიძლება გავრცელდეს ზოგ იმ დიალექტზეც, რომელსაც აღნიშნული მოვლენა ახასიათებს.

ქართლურში სამწერლობო ენის გ-ს ნაცვლად შ გვაქვს შემდეგ პოზიციებში:

ანლაუტში ხმოვნის წინ (# — V): მასკულავი, მიწრო, შითომ...

ხმოვნებს შორის (V—V): პთიბაშენ, მორწყაშენ, შაინხაშენ, თესაშენ, გასწურაშენ, მამკლაშენ...

ხმოვნის შემდეგ მომდევნო თანხმოვნით (V—C): ხეშსურეთი, კომზი, თომლი, თომლტყაბი, კაშშირი, ბაშში, ცკლამდი, არჩემდა, ვაქბემდი, ნაშთი, მოვწამლამთ, მაურემთ, სამსე, დაუკლამს. იწემს, ძომს...

ხმოვნის შემდეგ აუსლაუტში (V—#): ნეტამ, კვითხამ, გაჩირამ, გაწურამ, კიდემ, ვაქემ, დაურემ...³

* წაკითხულია მოხსენებად ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების სხდომაზე 1968 წლის 22 მარტს. პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში „იკვ“, XX, 1998, გვ. 125-135.

¹ მხედველობაში არ მიიღება გ—შ ერთეული შემთხვევები.

² ვუმყარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მონაცემებს გ—შ ცვლის შესახებ ქართლურში, ასევე — ჩვენს დაკვირვებებს გორის, ცხინვალისა და ხაშურის რაიონის ზოგიერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველებაზე. საანალოზოდ უყენებთ ქართლურ ტექსტს, გამოქვეყნებულს კრებულში „ქართული დიალექტოლოგია“, ი. გიგინეიშვილის. ვ. თოურიას და ი. ქავთარაძის ავტორობით, თბილისი, 1961, გვ. 272-329.

³ იხ. ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში: „ჩვენი მეცნიერება“, № 2, 1924, გვ. 90-91; მ. ის. ი. ვ. ე., ქართლური, „არალი“, 1925, გვ. 136-137; 141-142; სტ. ჩ. ხ. ე. ნ. ე. ლ. ი., მივლინება ხაშურის რაიონში, „ენიკის

ადვილი დასანახია, რომ ქართულურში ძირთად ბირთვის, სადაც ხორციელდება გ→შ, ზმნა წარმოადგენს, კერძოდ, ზმნის სუფიქსები -აგ, ევ და ბოლოკიდური -ოგ მარცვალი. ეს საკითხს სვამს: აღნიშნულ მონაცვლეობას ხომ არ განაპირობებს -აშ სუფიქსიან ზმნებთან ანალოგია?

აწმყოს თემატური სუფიქსი -აშ არ არის პროდუქტიული. მისი ხმარება ზმნებში ძველი მოვლენაა და სულ რამდენიმე შემთხვევით ამოიწურება (-აშ-იანი ზმნა ქართულში ათამდეა),¹ როცა - ა ვ სუფიქსი აწმყოს თემატური ნიშნებიდან ერთ-ერთი გავრცელებული მორთემაა. ამიტომ, თუ მათგან სუფიქსთა უნიფიკაციის ტენდენციის გამო ერთ-ერთი უნდა გარცელებულიყო, მოსალოდნელი იყო ეს - ა ვ სუფიქსი ყოფილიყო და არა - ა მ . ამ არგუმენტით (ანალოგია) მით უფრო ვერ აიხსნება სხვა შემთხვევები: - ე ვ → ე მ , ო ვ → ო მ . ამგვარი დაშვების საწინააღმდეგოდ მიუთითებს ისიც, რომ გ→შ გვაქვს სახელურ ფუძეებშიც (შღრ.; ხაშსი, ბაშშვი, კოშხი...). უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოთ განხილულ შემთხვევებში გვაქვს არა მორფოლოგიური (სუფიქსთა) მონაცვლეობა, არამედ ფონეტიკური სახის ცვლილება² (ზმნებში გ→შ ცვლის გავრცელებას ერთგვარად ხელს უნდა უწყობდეს - ა მ სუფიქსის არსებობაც).

რას იძლევა აღნიშნულ პოზიციათა ანალიზი დაიქრონიული თვალსაზრისისათვის, კერძოდ, იმის გასარკვევად, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბებულიყო თანამედროვე ქართულურში არსებული ვითარება,

მოამბე“, IV, 3, 1939, გვ. 196; ივ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი , ანგარიში საზაფხულო მივლინებისა სურამის მიდამოებში, იქვე, გვ. 204; ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი , ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ფრონის ხეობაში, 1938, იქვე, გვ. 216; ო. კ ა ხ ა ძ ე , ატენისა და წედისის ხეობის ქართლური: ივე, ტ. IV, 1953, გვ. 281; გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , არაგვის ხეობის ქართლური: იქვე, გვ. 314, 328; მ ი ს ი ვ ე : ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი: ივე, ტ. VIII, 1956, გვ. 85, 98-99; მ ი ს ი ვ ე , ქართლური დიალექტის ნაირსახეობანი: ივე, ტ. IX-X, 1958, გვ. 149-150; თ. ბ ე რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი , ნ. ლომოურის ენის თავისებურებანი: „მაცნე“, 1965, № 3, 6.

გ'ს პოზიციები მისი ბილაბიალური ბუნების დასადგენად განხილული აქვს არნ. ჩიქობავას გარე-კახურის მასალის მიხედვით (იხ. ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, „არილი“, გვ. 63).

იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე , ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 406-407.

² იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა , ქართლური: „არილი“, 1925, გვ. 142; ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: იქვე, გვ. 142.

ე. ი. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ პროცესი გ→მ ცვლისა ქართლურში მისი განვითარების უფრო აღრუელ ეტაპზე?

მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ გ→მ ცვლა ქართლურში პოზიციური ხასიათისაა. გ→მ არა გვაქვს პოზიციაში თანხმონის შემდეგ. მაგ. ხედვა (შდრ. ხედაშს), თესვა (შდრ. თესაშს), დარგვა (შდრ. დარგაშს), აქვს, ექვსი, თვალი, ჭვარი...

თუ მხედველობაში არ მივიღებთ სპორადული ხასიათის რამდენიმე მაგალითს, შეიძლება ითქვას, რომ გ→მ ქართლურში ასევე არა გვაქვს ხმონის წინ ანლაუტში (შდრ. გავე, ვაზი, ვენახი, ვინ და მრ. სხვა).

აღნიშნულიდან გამონაკლისს ქმნის სულ სამი შემთხვევა: მასკლავი, მიწრო, მითომ. პირველი მათგანი ამავე სახით გვხვდება ძველ ქართულშიც და ქართული ენის რიგ დიალექტებში. ამიტომ ქართლურში მომხდარ ცვლილებად ის შეიძლება არც მიგვეჩნია. ფორმებში: მიწრო, მითომ, გ→მ შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვა ფაქტორით — ანალოგიით. დამახასიათებელია, რომ აღნიშნული ფორმები გვხვდება იმ დიალექტებშიც, რომელთაც გ→მ სხვა შემთხვევაში არ ახასიათებთ (მაგ.: გურულში, აპარულში, ინგილოურში...).³ ვფიქრობთ, ამ ცალკეულ მაგალითს არ უნდა ჰქონდეს საერთო გ→მ ცვლის იმ ძირითად პროცესთან, რომელიც ქართლურისათვის არის დამახასიათებელი.

სამწერლობო ენის გ'ს ნაცვლად მ ქართლურში გვაქვს პოზიციაში ორ ხმოვანს შორი (V—V). ესაა ზმნის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმები აწმყოსა და მყოფადში:⁴ ჰთიბაშენ, ხნაშენ, გარეცხაშენ, მორწყაშენ, შაწაშლაშენ...

ამავე ფონეტიკურ გარემოცვაში, ე. ი. პოზიციაში ორ ხმოვანს შორის, სხვა შემთხვევებში — სახელურ თუ ზმნურ ფუძეებში, ვნებითის ფორმებში, -ევ'იან ზმნათა თურმეობითში, კაუზატივსა და მიმდებობებში, როგორც წესი, დასტურდება გ (შდრ. ყაგარი, ტეგანი, კლავი, ცივა, კივის; დეემტერევა, დასტოვა, მიურთმეგია, მთიბაგები, საკლავი, ნახნავი...). რომ ზმნის ზემოთ აღნიშნული ფორმები არა, შეიძლებოდა გვეთქვა, გ→მ ინტერფოკალურ პოზიციაში ქართლური-

³ იხ. ს. უღენტი. გურული კილო ტფლისი, 1936, გვ. 47; ქ. ნოღაი დელი, აპარული კილოს თავისებურებანი, 1960, გვ. 19; გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, 1966, გვ. 32.

⁴ აქაც და სხვა შემთხვევაშიც მხედველობაში გვაქვს ო ნაწილაკი.

სათვის დამახასიათებელი არ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ არც ზემოთ განხილულ ზმნურ ფორმებში (თესაშენ, ხნაშენ, დაკლამენ...) უნდა იყოს წარმოქმნილი თავდაპირველად გ→შ ცვლა. აქ ის გარვეცვლებული ჩანს სხვა ფონეტიკური გარემოცვიდან.

სამწერლობო ენის გ'ს ფარდად ქართლურში შ გვაქვს აუსლაუტში ხმოვნის შემდეგ (V—#). საყურადღებოა, რომ ამ პოზიციასაც, ძირითადად, ზმნის I და II პირის მხოლოობითის ფორმები ქმნის აწმყოსა და, შესაბამისად, მყოფადში. მაგ.: გაჩირაშ, გასხლაშ, ვაქმეშ, თხოშ... სხვა შემთხვევაში (როცა არა გვაქვს ზმნა) სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ხმოვნის შემდეგ გ, ჩვეულებრივ, დაცულია.¹ შდრ. ფიცხლაგ, კვლაგ, ისევ, ოდნაგ, გურგლიგ, უღლიგ, ერთბაშიგ... და სხვა.²

ეს ფაქტი ექვს აღძრავს: აღნიშნული პოზიცია (V—# გ→შ ცვლილათვის ხომ არ არის მეორეული?

განსახილველი რჩება ერთი ტიპის ფონეტიკური გარემოცვა, სადაც გ'ს ფარდად შ გვაქვს. ესაა პოზიცია ხმოვნის შემდეგ მომდევნო თანხმოვნით (V—C). ზმნებში ეს თანხმოვნებია დ, თ, ს (მაგ.: მყუტამდა, უთეშდით, დავსწნამთ, შაურემთ, რწყაშს, იწეშს, შესთხოშს...).

ხომ არ შეიძლება გვეფიქრა, რომ გ შეიცვალა შ'დ ნამყო-უსრულის ფორმებში მომდევნო დ'სთან და აქ მომხდარი ცვლილება შემდეგ გავრცელდა ზმნის სხვა ფორმებზედაც? ამგვარი ვარაუდი თეორიულად შეუძლებელი არ არის, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ განხილულ ფონეტიკურ გარემოცვაში გ→შ ქართულში, როგორც წესი, არ ხდება³ (შდრ. დაბუზარაგდა,

¹ ქართლურის მიხედვით გამონაკლისს ქმნის სიტყვები: ნეტაშ, კიდეშ. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში გვაქვს არა თანხმოვანთა ფონეტიკურად შეპირობებული მონაცვლეობა, არამედ სხვა რიგის მოვლენა. შესაძლებელია, განხილულ მაგალითებში რომ შ გვაქვს მოსაღდნელი გ'ს ნაცვლად. ამაში წილი მცა ნაწილაკს ედოს. აღსანიშნავია, რომ კიდეშ ფორმა დასტურდება იმ დიალექტებშიც, რომელთაც გ→შ ზემოთ განხილულ სხვა შემთხვევაში არ ახასიათებს (მაგ. ინგილოური).

² იხ. დასახ. შრომები. ამგვარი ფორმები დადასტურებულია კახურშიც. იხ. ა. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956, გვ. 171.

³ ის ერთადერთი მაგალითი, რომელიც ო. კახაძის მიერ არის დადასტურებული ატენისა და წედისის ხეობის ქართლურში — გაშუადღეშდა — (იხ. დასახ. შრ., გვ. 28), შესაძლებელია ინდივიდუალური წარმოშობისაც, საქმის ვითარებას არ ცვლის.

დაწმინდავდა, გახევედა, დატოვებდა, მოვსტუვდი და სხვ.),⁴ უნდა ვიფიქროთ, რომ ის არც ნამყო-უსრულის ფორმებში იყო მოსალოდნელი. ჩვენი აზრით გ→შ უნდა განხორციელებულიყო მანამ, სანამ გდ-სთან აღმოჩნდებოდა. აღნიშნული მოვლენა აწყოში მომხდარი ფაქტი ჩანს. აქედან უნდა იყოს ის გავრცელებული მისგან ნაწარმოებ სხვა ფორმებში.

ის ფონეტიკური გარემოცვა, სადაც საგულვებელია ვინის შეცვლა შანით, აწყოში ორია: I. პოზიცია ხმოვნის შემდეგ მომდევნო თთან (მრავლობითის I, II პირის ფორმები: ვნახაშთ, თესაშთ...). II. პოზიცია ხმოვნის შემდეგ მომდევნო ხანით (მხოლოდობითის მესამე პირის ფორმა: ხნაშს, თესაშს...).

შესაძლებლობა, რომ გ შეიცვალა შანით მომდევნო თთან, თეორიულად სავსებით გამორიცხული არ არის. მაგრამ ვარაუდი გ→შ პროცესში მაინც ს'ს მონაწილეობის სასარგებლოდ იხრება. პოზიციაში მომდევნო თთან გ→შ ქართლურში გავრცელებული არ ჩანს. ის ერთადერთი მაგალითი, რომელიც ამგვარი ცვლის ნიმუშად შეიძლება მოგვეყვანა — ნაშთი, საეკვაო. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ აქ გვეკონდეს ასიმილაცია გ'სი წ'ს მიერ.⁵

ვვარაუდობთ, რომ გ'ს შეცვლა შანით ზმნურ ფორმებში თავდაპირველად შესაძლებელია მომხდარიყო პოზიციაში ხმოვნის შემდეგ მომდევნო ს'თან (მხოლოდობითის მესამე პირის ფორმაში).⁶ ამ გზით მიღებული შ უნდა იყოს გავრცელებული შემდეგ ზმნური პარადიგმის დანარჩენ წევრებზე. თანამედროვე ქართლურში ეს არის აწყოოს

⁴ იხ. ქართლური ტექსტები. გვ. 272-329.

⁵ ჩვენი აზრით ასევე -ნთან ასიმილაციით უნდა იყოს მიღებული ფორმები შინ-ვინ (დადასტურებულია ფერეიდულში, კახურში, ინგილოურში), შენახი — ვენახი (დადასტურებულია ინგილოურში, აჭარულში). მსგავსი პროცესებისათვის იხ. ტ. გ უ დ ა ვ ა, მესამე გრამატიკული კლასის ნიშნის ერთი ვარიანტი ხუნბურ-ანდიურ-დიდორ ენებში, იყ. ტ. IV, 1953, გვ. 134-145.

⁶ შესაძლებელია ამავე პოზიციით იყოს შეპირობებული სხვა ცვლილებებიც: სალიტ. -ბ. ქართლ. შ (აყეთშს. აშროშს...), თუმცა ვერ გამოვჩივებთ -აშ/-აყ/-ეშ/-აყ, -ოშ/-ოყ-იან ზმნათა ანალოგიასაც.

ქართული ენის დიალექტებში გ→შ სხვაგვარი ახსნისათვის იხ. ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა., ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში, გვ. 91; შ. ი. ს. ი. ვ. ე., ქართლური, გვ. 136-137; ა. რ. ნ. ი. ქ. ო. ბ. ა. ვ. ა., გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: „არილი“ გვ. 63; შ. ი. ს. ი. ვ. ე., მთიულურის თავისებურებანი: „ენიქის მოაბზე“, ტ. II, 1937, გვ. 47; გრ. ი. მ. ნ. ა. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., არავის ხეობის ქართლური, იყ. ტ. IV, 1953, გვ. 314, 328; ო. კ. ა. ხ. ა. ძ. ე., ატენისა და წედისის ხეობის ქართლური, იყ. გვ. 281;

წრის ყველა ფორმა. მაგრამ თუ მოვლენა მეტად განვითარდებოდა, არ იყო შეუძლებელი, მ გავრცელებულიყო სხვა ფორმებშიაც. მაგალითად, ვნებიითის ფორმებში, მიმღობებში, - ე ე ვ , - ო ვ , - ი ა ნ ზმნათა თურმეობითებში. ე. ი. მოსალოდნელი იყო გვექონოდა ფორმები: * ი მ ტ ვ რ ე შ ა (შდრ. ამტვრემს), * მ ც ე ლ ა შ ი (შდრ. ცელამს), * დ ა უ მ ს ხ რ ე შ ი ა (შდრ. ამსხრემს), * თ ხ ო შ ი ა (შდრ. სთხოშს)¹... ანალოგიური მაგალითები სპორადულად დასტურდება. ქართლურში ასეთია მიმღობური ფორმა — თოშლი.²

თუ სწორია ვარაუდი, რომ გ→მ ზმნურ ფორმებში უნდა მომხდარიყო პოზიციაში ხმოვნის შემდეგ მომღვენო ხთან, ცხადია, აღნიშნული მოვლენა უნდა დასტურდებოდეს ყველგან, სადაც კი მსგავსი ფონეტიკური გარემოცვა არსებობს.

ქართლურში დადასტურებულია ფორმები: ხაშსი, საშსე, დანაშსულა, ხეშსური.³ მოველოდით ფორმასაც — მსგამსი.⁴ შემთხვევითია, თუ ის ქართლურის მასალაში ასახული არ არის. რომ შესაძლო ფორმაა, ამას ძველი ქართლის ჩვენებაც მოწმობს. შდრ. „ყუალად ადგილი იგი ე მ ს გ ა მ ს ა ბერვასა აპრონისასა“.⁵

გ→მ ქართლურში ჩვენთვის ამჟამად ცნობილი მასალების მიხედვით ხ სპირანტის გარდა, როგორც ვნახეთ, გვხვდება სხვა სპირანტებთანაც: ზ, შსთან, მაგ. კომზი,⁶ ბაშშვი, კაშშირი.

კითხვა ისმის: გ→მ, ერთ შემთხვევაში, ასახული ზმნურ ფორმებ-

არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრ., გვ. 171 და სხვა.
¹ შესაძლებელია ამგვარი ვითარების გამონაკრთობს წარმოადგენდეს ძველ ქართულში დადასტურებული ფორმები: „გული ჩუენი გან ვ რ ც ო მ ი ლ არს:“ 1138. 9; „მტევანი შწიფემ და უ ქ ნ ო მ ე ლ ი:“ კიმ. I, 158, 13 (მაგალითები ამოღებულია მ. ძიძიშვილის შრომიდან: ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბილისი, 1960, გვ. 87), თუ აღნიშნულ შემთხვევაში -ობ, -ომ სუფიქსთა მონაცვლეობა არა გვაქვს.

² გ→მ რომ ზმნაშია მომხდარი და აქედან არის გადასული მიმღობაში, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მომღვენო ლსთან, ისევე როგორც სხვა სონორებთანაც, გ→მ ქართლურისათვის დამახასიათებელი არ არის (შდრ. აგლებს, ჭავლი, ჭავჭავი, აგვრი, გზავნის... იხ. ქართლური ტექსტები). ამგვარი ცვლის ერთადერთი მაგალითი — ცხორობდა — დადასტურებული აქვს ო. კ ა ხ ა ძ ე ს (იხ. დასახ. შრ., გვ. 81).

³ იხ. დასახელებული შრომები, ფორმა დ ა ნ ა მ ს უ ლ ი და ვადასტურებდ გორის რაიონის სოფ არბოს მცხოვრების მეტყველებაში. გვხვდება ზემოიშერულშიც.

⁴ თუ მ აღნიშნულ ფორმაში ზმნიდან არ მომდინარეობს.

⁵ იხ. მ. ძ ი ძ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრ., გვ. 86.

⁶ შემთხვევითია ისიც, რომ ფორმა — თ ე მ ზ ი — ქართლურის მასალებში ფიქსირებული არ არის.

ში, წარმოშობილი, ჩვენი აზრით, პოზიციაში ხმოვნის შემდეგ მომდევნო ს'თან და, სხვა შემთხვევაში, დადასტურებული სახელურ ფუძეებში მომდევნო ს, ზ, შ თანხმოვნებთან, არის ერთი და იმავე ფონეტიკური პროცესის შედეგი, თუ საქმე გვაქვს სხვადასხვა მოვლენასთან?

ფიქრობთ, არა გვაქვს საფუძველი განხილულ შემთხვევებში გ→მ ცვლისათვის განსხვავებული ახსნა ვეძებთ. აქ საქმე უნდა გვქონდეს ერთიანი ფონეტიკური პროცესის მოქმედების შედეგთან, აერძოდ, ვ'ს დისიმილაციასთან სპირანტობის ნიშნის მიხედვით.⁷

II. შ→ნ. ქართლის დასავლეთი მხარის მცხოვრებთა მეტყველებითათვის (ხაშურის რაიონი, ბორჯომის ხეობა) დამახასიათებელია შ(II←გ)→ნ.⁸ მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ შ(II←გ)→ნ ქართლურში, ძირითადად, გვაქვს ორ პოზიციაში.⁹

⁷ საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა შ'ს ენაცვლება გ. მაგ.: ნ ე ვ ს ი (იხ. ო. კ ა ხ ა ძ ე, დასახ. შრ., გვ. 281; „ქართლური ტექსტები“, გვ. 306); მ წ ყ ე ე ს ი (იხ. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დასახ. შრ., გვ. 215; გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრ., გვ. 85); ს ი მ ა ე რ ი (იხ. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, იქვე); სპორადულად გვხვდება ვ ი ნ ა მ ც მ ი ნ ა მ: (იხ. ო. კ ა ხ ა ძ ე, იქვე).

ფორმებში ს ი მ ა ე რ ი, ვ ი ნ ა მ უნდა გვქონდეს შ'ს დისიმილაციური ცვლა ნაზალურ შ, ნ თანხმოვნებთან. ასევე შეიძლება გვევარაუდა ნ ე ვ ს ი ს მიმართაც, მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობასაც, რომ ფორმებში ნ ე ვ ს ი, წ ყ ე ე ს ი გვქონდეს გ, შ'ს ნეიტრალიზაცია ს'თან, ანდა საპირისპირო პროცესი — შ'ს ასიმილაცია ს'თან.

⁸ იხ. ივ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრ., გვ. 204-205; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დასახ. შრ., გვ. 215; სტ. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, დასახ. შრ., გვ. 195; გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი, გვ. 85, 98.

ქართლის სხვა რაიონებში შ (II←ე)→ნ ცალკეული შემთხვევები დადასტურებული აქვთ: ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს (იხ. დასახ. შრ., გვ. 137); ო. კ ა ხ ა ძ ე ს (იხ. დასახ. შრ., გვ. 281); გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ს (იხ. დასახ. შრ., გვ. 314).

აღნიშნული მოვლენა განსაკუთრებით გავრცელებულია მესხურსა და ჭავჭავურში (იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი... „ენიშენის მრამბე“, ტ. X, 1941, გვ. 246-247; ი. შ ა ი ს უ რ ა ძ ე, ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში: ნ. ბარათაშვილის სახ. გორის პედ. ინსტიტუტის შრ., I, 1942, გვ. 143; ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ჭავჭავურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის, პუშკინის სახ. თბილისის პედ. ინსტ. შრ., VIII, 1950, გვ. 295-296).

შ(II←ფ)→ნ სუფიქსურ მორფემებში ფართოდ არის გავრცელებული მეგრულში (იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 44, 45, 133, 134, 159...).

⁹ იმის გამო, რომ ქართლურში წ'ს შემცველი ფორმების გვერდით არსებობს, ან შეიძლება არსებობდეს შანანი ფორმებიც, ვარაუდობენ, რომ ვ'ს შეცვლა ნარით უნდა მომხდარიყო შანანი საფეხურის გავლით: ძინავს → ძინანს (იხ. ივ.

I. პოზიცია ხმოვნის შემდეგ მომდევნო თანხმოვნით (V—C). მაგ.: რანდელი, დანდულრული, დაღანდა, გაჩუნდი, ლიანდაგანდინ, ყანდიო, მისცენდა, ზანთარი, დედანთილი, ვთესანთ, ინტომ, სანტკიცო, სანსე, ვენსახურებოდი, ხნანს, წენს, კონში, სანშობლო, შინშილი, ზანზარეულზეა, სინწარე, დანწიფდა, ნანჯა, ნანცხვარი, სონხურათ, უანბო, კანპანია, ინყოფება, უნღერებს...¹

II. პოზიცია ხმოვნის შემდეგ აუსლაუტში (V—#). მაგ.: ვხარშან, ვწვან, რეცხან, კან, ხოცან, ვაჰმენ, ჩაიცმენ, გვთხოვნ, ინ (←იმ), ენ (←ემ), ან (←ამ)...²

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქართლურისათვის შ→ნ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზმნის მხოლოობითი რიხვის I და II პირის ფორმებს (კვან, ვთესან...), სიტყვის ბოლოს დამახასიათებელი არ არის.³ ეს საკითხს სვამს: ხომ არ შეიძლება

გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრ., გვ. 204; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დასახ. შრ., გვ. 215 და სხვ.). ამ დებულების ნეგატიური მტკიცებაა: გ→ნ არა გვაქვს იქ, სადაც არ შეიძლება გ→მ (მაგ. არა გვაქვს გ ა თ ხ ო ნ დ ა იმიტომ, რომ არა გვაქვს არც გ ა თ ხ ო მ დ ა და სხვა მრავალი). ერთდერითაა ზმნა ჩ ა მ ო ც ვ ი ნ დ ა, რომელსაც არ ეძებნება შინაინი ფორმა — ჩ ა მ ო ც ვ ი მ დ ა. ვფიქრობთ, აქ საქმე უნდა გვქონდეს -ენ სუფიქსის გავრცელებასთან ცვენ II ცვინ და არა გ→ნ ცვლასთან. იმიტომ გ→ნ განვიხილავთ, როგორც შ→ნ ცვლას.

¹ იხ. დასახელებული შრომები, ვიყენებთ ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალასაც.

² ქართლურში შ→ნ საორადულად დასტურდება ანლაუტშიც თანხმოვნის წინ. მაგ.: ნთელი (იხ. ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დასახ. შრ.), წწარე (ხაშურის რაიონი, ჩვენი მასალებიდან). შდრ. მესხური წწყეშო, ნტერი (იხ. ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, დასახ. შრ., გვ. 143).

აღსანიშნავია, რომ მ (II←გ)→ნ ქართლურში, განსხვავებით გ→მ ცვლისაგან, არ დასტურდება პოზიციაში ორ ხმოვანს შორის. ზმნის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმებში დაეკლია თავდაპირველი გ ა ნ მ, ვფიქრობთ, ხმოვნი დაწყებული სუფიქსის დართვის გამო (შდრ. ვთესან, სთესან, თესანს, ვთესანთ, სთესანთ, მაგრამ თესამენ, ხნამენ...), თუმცა ვერ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობასაც, რომ აღნიშნულ ფორმებში მ (II←გ)→ნ ცვლის განხორციელებას ხელს უშლიდეს მომდევნო -ენ სუფიქსის წს დისიმილაციური მოქმედება.

ანალოგიური მოვლენა დასტურდება ხუნძურში. აუსლაუტში ნ (←მ)'ს შემცველ სიტყვებში ხმოვნი დაწყებული სუფიქსის დართვისას „აღდგება“ თავდაპირველი მ. მაგ. (წუნ) (←წუნმ) „არწივი“ შდრ. წუნმ-ალ „არწივები“ (იხ. ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა . ილ. ც უ რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, თბილისი, 1962, გვ. 58).

შდრ. მაგრამ, რატომ, სანამ, რამწამ, თორემ, ბარემ, კინალამ, რომ (იხ. „ქართლური ტექსტები“, გვ. 272-329, შდრ. ჭავჭავური, კახური; რატონ, თორენ, მაგრან, მითონ, ვითანდა, მუდან... (იხ. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ჭავჭავურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის, გვ. 296; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, და ვრ. ი შ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრ., გვ. 106). ქართლის ამ მხარის მეცხოვრებათა

გვევარაუდა, რომ აღნიშნულ ფორმებში Σ გავრცელებულია ანალოგიით, პოზიციიდან ხმოვნის შემდეგ მომდევნო თანხმოვნით (V—C)? ზმნებში ეს თანხმოვნებია ხ, თ, ღ (თესანს, ვთესანთ, თესანთ, თესანდა...). პოზიციაში V—C Σ , თავის მხრივ, შესაძლებელია მიღებული იყოს შს ასიმილაციით მომდევნო წინაენისმიერ თანხმოვნებთან წარმოების ადგილის ნიშნს მიხედვით.⁴ Σ —ნ უკანაენისმიერებთან, ასევე ლაბიალურ თანხმოვნებთან იშვიათად არის დადასტურებული (შდრ. უანბო, კანპანია,⁵ სინღერა, ინყოფება...)⁶.

ქართლურის მიხედვით გამონაკლისს ქმნის ცალკეული მაგალითი, სადაც Σ —ნ განხორციელებულია სხვა პოზიციაშიც. ასეთებია: ნ ე ფ ე , ნ ა ხ ს ო ვ რ ო ბ ა , მ ა რ ი ა ნ ო ბ ი თ ვ ე შ ი , მ უ ზ ე ი - ნ ი...⁷

აღნიშნულ შემთხვევებში Σ —ნ სხვა წარმოშობისაა. ის სხვაგვარ ახსნას მოითხოვს. ერთ-ერთი ასეთი ახსნა მოცემული აქვს ფ. ნაისერს. ეხება Σ —ნ ცვლას სიტყვაში ნ ე ფ ე . მას მიაჩნია, რომ აქ Σ

მეტყველებაში ერთადერთი ფორმაა ასეთი დადასტურებული — კ ი დ ე ნ (იხ. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი . დასახ. შრ., გვ. 215).

მსაზღვრელად გამოყენებულ ნაცვალსახელებში ან (—ამ), ენ (—ემ), ინ (—იმ) Σ —ნ უნდა განვიხილოთ არა როგორც ნიშნები Σ თანხმოვნის შეცვლის სიტყვის ბოლოს, არამედ — პოზიციაში ხმოვნის შემდეგ მომდევნო თანხმოვანთან (ინდლესა, ანკაცმა, ენჭარსა... შდრ. ამბინდში, იშადგილზე...).

⁴ ასიმილაციის ნიშნად განიხილავს Σ —ნს თ. ბ ე რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი მაგალითებში: დასანღურებელი, შენთხვევა, ავანტულობა, უნცროსი, დაწყვრია (იხ. ნ. ლომოურის ენის თავისებურებანი: „მაცნე“. 1963, № 3, გვ. 182).

ქართული ენის დიალექტების შესახებ არსებულ ლიტერატურაში Σ (—გ)—ნ ყველა შემთხვევაში განხილულია როგორც სუბსტიტუციის ნიშნები (იხ. დასახ. შრომები).

ჭ, ხ თანხმოვნებთან Σ —ნ ცვლის შესახებ მეგრულში მითითებული აქვს ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს (იხ. ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 133). ჭ, ხ თანხმოვნებთან ვარაუდობს ვ— Σ —ნ ცვლას მეგრულში ნ . ნ ა თ ა ძ ე (იხ. თენის ნიშნები ქართულურ ენებში: იკვ, XI, 1959, გვ. 142-143).

⁵ აღნიშნულ მაგალითებში Σ შესაძლებელია მიღებული იყოს შს დისიმილაციით ლაბიალურ თანხმოვნებთან. წყვილბაგისმიერი ბს დისიმილაციის მაგალითები დადასტურებულია კახურში: ბანბა, ბუნბული, ანბავი (იხ. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი . დასახ. შრ., გვ. 41).

⁶ აქვე უნდა მოვხსენიოთ საპირისპირო შემთხვევები, როცა პირველად Σ თანხმოვნების წინ შეცვლილია მანით (დისიმილაცია?). ხაშურისა და ბორჯომის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაში ამგვარი ცვლის მხოლოდ რამდენიმე მაგალითია დადასტურებული. შდრ. გიჩაშს, ჩაშხარ, გამსხვაება, გამთავისუფლება (იხ. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი , დასახ. შრ., გვ. 215; გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , დასახ. შრ., გვ. 85).

⁷ იხ. დასახელებული შრომები.

მიღებულია შ'ს დისიმილაციით ფ'სთან.¹

სიტყვებში ნ ა ხ ს ო ვ რ ო ბ ა , უ ნ ა ხ ს ო ვ რ ე ბ ს შ → ნ მო-
რფოლოგიური ჩანს.

მ ა რ ი ა ნ ო ბ ა (მარიანობითვეში) მიღებული უნდა იყოს —
ი ა ნ ო -ბა სუფიქსით ნაწარმოებ სახელთა ანალოგიით (შდრ. ჯარიანობა, ლეკიანობა...). საყურადღებოა, რომ ეს სიტყვა ამ სახით გვხვდება ქართული ენის რიგ დიალექტში, მათ შორის იქაც, სადაც შ → ნ ცვლა გარველებული არ არის (მაგალითად, მთიულურში, ხევსურულში, კახურში...)²

არ არის მთლად ნათელი საფუძველი შ → ნ ცვლისა სიტყვაში მ უ ზ ე ი ნ ი . შ → ნ არის შედეგი შ'ს დისიმილაციისა, თუ აღნიშნული ფორმა მიღებულია აკუსტიკურად არაადეკვატური აღქმის გზით?

შ → ნ ცვლის ამგვარ ცალკეულ ნიმუშს არ უნდა ჰქონოდეს საერთო იმ ძირთად ფონეტიკურ პროცესთან, რომელიც გავრცელებულია ქართლის დასავლეთი მხარის მცხოვრებთა მეტყველებაში. ამიტომ არის, რომ ამგვარი ფორმები შეიძლება შეგვხვდეს აქაც და იმ დიალექტებშიც, რომელთაც შ → ნ საზოგადოდ არ ახასიათებთ.

დაგასკვნით: თანხმოვანთა ცვლილება გ → მ მ (||←გ) → ნ თანამედროვე ქართლურში პოზიციური ხასიათისაა. ის არა გვაქვს თანხმოვნის შემდეგ (მაგ. ხედგა შდრ. ხედაშს, თესგა შდრ. თესაშს, ექგსი, ჯგარი, თმა, ხმა...). თუ მხედველობაში არ მივიღებთ სპორადული ხასიათის რამდენიმე მაგალითს, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ცვლილებანი ქართლურისათვის დამახასიათებელი არ არის არც ანლაუტში.

გ → მ ქართლურში გავრცელებულია პოზიციაში ორ ხმოვანს შორის (ხნამენ, თესამენ, კლამენ...), ხმოვნის შემდეგ აუსლაუტში (ხნამ, სთესამ, კლამ...), ინლაუტში — ხმოვნის შემდეგ მომდევნო თ, დ, ხ, ზ, შ თანხმოვნებთან (რეცხამთ, რგამთ, ხეხამდა, რწყამდა, კოშხი, ბაშშვი, სამსე, წვაშს...).

მ (||←გ) → ნ ქართლურში გავრცელებულია ორ პოზიციაში: ინლაუტში ხმოვნის შემდეგ მომდევნო თანხმოვნით (რანდელი, დალან-

¹ იხ. F. Neisser, Studien zur georgischen Vartbildung, Wiesbaden, 1953, გვ. 21.

² იხ. ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , მთიულურის თავისებურებანი: „ენიშკის მოამბე“, ტ. II, 1937, გვ. 47; ალ. კ ი ნ ჯ ა რ ა უ ლ ი . ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 14; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , დასახ. შრ., გვ. 44.

და, მისცენდა, ზანთარი, ვთესანთ, სანტკიცი, სანსე, ნახანს, კონში, სინწარე, ინყოფება...) და ხმოვნის შემდეგ აუსლაუტში (თესან, ჰან, ვრეცხან, მიირთმენ, ჩავაცემენ...).

განსხვავებით $გ \rightarrow შ$ ცვლისაგან, $შ$ ($|| \leftarrow გ$) \rightarrow ნ არა გვაქვს პოზიციაში ორ ხმოვანს შორის.

მოვლენის ანალიზი გვიჩვენებს, რომ $გ \rightarrow შ$ ცვლა თავდაპირველად შესაძლებელია წარმოშობილიყო პოზიციაში ხმოვნის შემდეგ მომდევნო $ს$, $ზ$, $შ$ სპირანტებთან $გ$ 'ს დისიმილაციის გზით (კოჭი \rightarrow კომში, ბაგში \leftarrow ბაშში, საგსე \leftarrow საშსე, თესაგს \rightarrow თესაშს...). აღნიშნულ ფონეტიკურ გარემოცვაში (მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ფორმა) მიღებული $შ$ უნდა იყოს გავრცელებული შემდეგ ზმნური პარადიგმის სხვა წევრებზე: პოზიციაში ორ ხმოვანს შორის (თესაშენ, რწყაშენ...), აუსლაუტში ხმოვნის მომდევნოდ (თესაშ, რწყაშ...), ასევე — ხმოვნის შემდეგ მომდევნო $თ$, $დ$ თანხმოვნებთან (თესაშთ, რწყაშთ, თესაშდი, ხნაშდი...).

ამავე რიგის მოვლენად შეიძლება მიგვეჩნია $შ$ ($|| \leftarrow გ$) \rightarrow ნ ცვლილებაც. წარმოშობით იგი შესაძლებელია იყოს შედეგი შ'ს ასიმილაციისა მომდევნო წინაენისმიერ თანხმოვნებთან წარმოების ადგილის ნიშნის მიხედვით. ზმნებში ეს თანხმოვნებია $ს$, $თ$, $დ$ (თესანს, ვთესანთ, თესანთ, თესანდა...). აქ მომხდარი ცვლილება უნდა იყოს გავრცელებული შემდეგ მხოლოდითის I და II პირის მორფებში (ვთესან, ვჰან...).

$გ \rightarrow შ$, $შ$ ($|| \leftarrow გ$) \rightarrow ნ ცვლის ის სპორადული ხასიათის მაგალითები ქართლურში, რომლებიც აღნიშნულ ახსნას არ ექვემდებარება, სხვაგვარი წარმოშობისა ჩანს. მათ სხვა ახსნა ეძებნება.

რე ნაწილაკი ძველ ქართულში*

რე ნაწილაკი, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია ძირითადად ძველი ქართულისათვის. ახალ ქართულში იგი მხოლოდ რამდენსავე სიტყვაშია შემორჩენილი, უპირატესად — ზმნისართებში.

სვანური და ზანური რე ნაწილაკს არ იცნობს, თვით ძველსავე ქართულში რე ნაწილაკის ხმარების არე შეზღუდულია. შეიძლება ითქვას, რომ იგი ძველი ქართულისათვის უკვე გადმონაშთს წარმოადგენს.¹ მისი ფუნქცია და მნიშვნელობა ყოველთვის ნათელი არ არის.²

* წაკითხულია მოხსენებად სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVIII სამეცნიერო სესიაზე, 1985 წლის 26-28 ნოემბერს (თეზისები გამოქვეყნებულია). სტატია პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „იკვ“, XXVII, 1988, გვ. 120-140.

¹ რე ელემენტს გამოყოფენ მთელ რიგ ზმნისართებში: გ ა რ ე . გ ა რ ე მ ო . გ ა რ ე შ ე . (ო . ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი . ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში, იკვ, I, 1946, გვ. 272; გ. შ ა ლ ა მ - ბ ე რ ი ძ ე . ზმნისართი ძველ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1979, გვ. 21). ზ ე რ ე . *დ ა რ ე შ დ რ . უდარმ-, *ა ღ რ ე შ დ რ . უდარმს (ბ . ფ ო ჩ ხ უ ა . ხმოვანთავსართული ზმნისართები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1979, გვ. 85), ა დ რ ე (ა . კ ი ზ ი რ ი ა , ვითარების გარემოება ძველ ქართულში, იკვ, IX-X, 1958, გვ. 138).

² მარის მიხედვით რ—რე ელემენტი შედის ვ ი თ ა რ ი და ვ ი დ რ ე სიტყვების შემადგენლობაში, რომელიც ერთვის ვ ი ნ ნაცვალსახელის მოქმედებითისა და ვითარებითი ბრუნვის ფორმებს (იხ. Н. М а р р , Грамм. древнесл. рус. язык, 1925, გვ. 102, 104). ასევე რ (←რე)-ს გამოყოფს იგი ებრ თანდებულში (იხ. ТР, кн. VI, СПб., 1904, გვ. 97). ა. შანიძის აზრითაც, ვ ი დ რ ე რე- დართული ვითარებითია (იხ. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 107).

არნ. ჩიქობავას ვარაუდით რ—რე გამოიყოფა წარ- პრევერბში (იხ. მისი „წარ-პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში“, ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 45).

რე ელემენტს გამოყოფენ ნაწილაკებში: გ ა რ ნ ა — გ ა რ ე ნ ა (იხ. ვ . თ ო ფ უ რ ი ა , ძე ნაწილაკი ქართულში, ენიმკის მოამბე, XVI, 1944, გვ. 173); გ ა რ დ ა — გ ა - რ ე - დ ა (იხ. შ . ძ ი ძ ი გ უ რ ი , კავშირები ძველ ქართულ ენაში, თბ., 1973, გვ. 405).

აღნიშნულ შემთხვევათა უმრავლესობაში რე-ს გამოყოფა ჰიპოთეტურია, რომ დაგვევა კიდევ რე ელემენტის არსებობა ზემოთ წარმოდგენილ ნიმუშებში, საკითხი მაინც დაისმებოდა: არის თუ არა იგი იგივე რე ელემენტი, რომელიც სხვა მაგალითების მიხედვით უდავოდ გამოიყოფა ძველ ქართულში და მას გარკვეული ფუნქციაც აქვს.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ა. შანიძის ბოლოდროინდელ შრომებში რე ნაწილაკი განმარტებული არ არის (იხ. „პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი“, თბ., 1971, გვ. 196), ხოლო მისივე „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ (თბ., 1976) იგი

რე ნაწილაკის მნიშვნელობის დასადგენად არსებითს არაფერს იძლევა უძველესი ქართული თარგმნილი ძეგლების შედარება-შეპირობირება ბერძნულ-სომხურ პარალელურ ტექსტებთან.³

ამგვარი ვითარებით არის განპირობებული სამეცნიერო ლიტერატურაში რე ნაწილაკის ფუნქციისა და მნიშვნელობის შესახებ განსხვავებული თვალსაზრისების არსებობა.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდების გათვალისწინებით ძველ ქართულში რე ნაწილაკის ორი მნიშვნელობა შეიძლება გამოვყოთ ძირითადად, უპირველეს ყოვლისა — მისი ზმნისართული ფუნქცია, რომელიც სპეციალისტთა შორის დავას არ იწვევს და ნათლად ჩანს ჩვენებით ნაცვალსახელებზე დართვისას ესრე, ეგრე ზმნისართებში. აქ რე ნაწილაკი აღნიშნავს სახეს, ნაირობას, გვარობას და მნიშვნელობით უდრის რუსულ ინფა-ს.⁴

გამონაკლისს წარმოადგენს ბ. ფოჩხუას თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც რე-ს მიჩნევა სპეციფიკურ ზმნისართულ ნაწილაკად საექვოა. მისი აზრით იგი ძველ ქართულში (და არა მხოლოდ ისტორი-

საერთოდ არ არის განხილული.

არც ის არის უსაფუძვლო, რომ საბა და ზოგი სხვა ავტორი რე ნაწილაკს „სიტყუათა მუშნიერ-მყოფელად“ მიიჩნევს (იხ. „ლექსიკონი ქართული“, თბ., 1966).

თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 271-273; ელ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, ნაწილაკები ძველ ქართულში, სადისერტ. ნაშრომი, ფილოლ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1953, გვ. 59-67; თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ხარისხი ქართველურ ენებში, თბ., სახ. უნივერსიტ. შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 132-133.

⁴ იხ. Н. М а р р., ТР IV, СПб., 1902, ნმე; მ ი ს ი ვ ე, ТР, кн. IV, 1904, გვ. 97, მ ი ს ი ვ ე, Грамм. древнелит. груз. языка, გვ. 51; ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 593; ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 272-273; თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 131-134; ა. კ ი ზ ი რ ი ა, ვითარების გარემოება ძველ ქართულში, იყ. IX-X, 1958, გვ. 137; არ. შ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964, გვ. 262; დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975, გვ. 97-99; შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1973, გვ. 417 და სხვა.

ნ ა ი რ ო ბ ა, გ ვ ა რ ო ბ ი ს გამოხატველად მიჩნეული რე ნაწილაკი ვ ი დ რ ე ზმნისართში (იხ. ნ შ ა რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 102; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 273; ელ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 61-62).

ელ. ბაბუნაშვილი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა რე ნაწილაკი ძველ ქართულში, სახის, გვარის, ნაირობის აღნიშვნას მიიჩნევს მის ერთადერთი ფუნქციად (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 63-64).

ულად) დეტერმინანტი სუფიქსია და ფუნქციით -ნა, -და-ს იდენტური, შდრ. ზენა/ზედა და ზერე; ქვენა/ქვედა და ქვერე...¹

აღნიშნული მოსაზრება ემყარება შემდეგ არგუმენტებს:

საშუალსა და ახალ ქართულში ოდინდელ (ძირეულ) ზმნისართებს რე ნაწილაკის გარეშეც აქვს ადვერბული მნიშვნელობა — ისე, ასე, რასაც მხარს უჭერს ზანურის მონაცემებიც: შდრ. მეგრ. აში, ათაში 'ასე', ეში, ეთეში 'ისე'.

მა- და მუ- ნაცვალსახელოური ძირები რე-ს დაურთველად აწარმოებენ ზმნისართებს: მანდა, მუნ...²

არც ერთი ეს არგუმენტი არ გამოდგება რე ნაწილაკის ადვერბული ფუნქციის უარსაყოფად ესრე/ესე ტიპის ზმნისართებში.

საშუალსა და ახალ ქართულში დადასტურებული ესე, ასე, ისე³ (შდრ. ძვ. ქართ. ესრე...), მეორეული, გამარტივებული ფორმებია, მიღებული ფონეტიკური ცვლილების გზით, სახელდობრ, რ-ს დაკარგვით წინა წარმოების ს თანხმოვანთან: ესრე→ესე (შდრ. ამავე პოზიციაში რ-ს დაკარგვის ანალოგიური შემთხვევა: მოსრული → მოსული).⁴

მსგავსი პროცესი შეიძლება ვივარაუდოთ მეგრულშიც, შეიძლება დაგვეშვა რომელიმე ფუნქციურად რე-ს ტოლფარდი ელემენტის დაკარგვა იმავე პოზიციაში, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, მეგრულის ჩვენებს ამ შემთხვევაში არა აქვს არსებითი მნიშვნელობა რე ელემენტის დასადგენად ქართულში.

მა-, მუ-, ბ. ფოჩხუას აზრით, ნაცვალსახელოური ძირები რომ რე-ს დაურთველად აწარმოებენ ზმნისართებს: მანდა, მუნ..., არ გამოდგება იმის საბუთად, რომ რე ნაწილაკს ძველ ქართულში ესე, ეგე ნაცვალსახელოურ ფუძეებთან (ეს'ე'რე, ეგ'ე'რე) არა აქვს ადვერბული ფუნქცია.

შეიძლება დავუმატოთ ისიც, რომ დაპირისპირება ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს შორის (ფუნქციური და სტრუქტურული ხასიათისა) მა-, მუ- — მანდ, მუნ შემთხვევაში არაა ისეთი რეალური

¹ იხ. ბ. ფოჩხუა, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

² იქვე.

³ როგორც ჩანს, მკვლევარი ბოლოკიდურ ე-ს ნაცვალსახელის ხმოვით ელემენტად მიიჩნევს, რაც არ არის მართებული.

⁴ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 593, 595; გ. შალამბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 16; ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 127, 148, 262.

და აშკარა, როგორც ესე (ნაცვ.) — ესრე (ზმნს.) ტიპის მიმართებებში გვაქვს.

დაბოლოს, თუ ძველ ქართულში რე-ს დეტერმინანტ სუფიქსად მივიჩნევდით ანალოგიურად ქვენა/ქვედა, ზენა/ზედა-ს ნა/და ელემენტებისა, როგორც ვარაუდობს ამას ბ. ფოჩხუა, ასახსნელი იქნებოდა მისი ხმარება, ზმნებთან (შდრ. და-რე-აღრმო და მისთ.). ხსენებული ნაწრომიდან არ ჩანს, რომ ავტორი რე ელემენტს სხვადასხვა ოდენობად მიიჩნევს ზმნისართებსა და ზმნებში.

რა წარმომავლობისაც არ უნდა იყოს რე ელემენტი ისტორიულად (ამის შესახებ ქვემოთ) ძველსა და ახალ ქართულში იგი აღნიშნულ შემთხვევაში აშკარად ზმნისართული ფუნქციის მქონეა. ესე^სა და ეს-რე^ს შინაარსეულ განსხვავებას მათი სტრუქტურული განსხვავება განაპირობებს.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში ამგვარ (ჩვენებითი ნაცვალსახელების ფუძეებისაგან ნაწარმოებ) ზმნისართთა მხოლოდ ორი ერთეული გვხვდება — ესრე, ეგრე. მათ ვადასტურებთ მოქმედებითი ბრუნვის ფორმიტაც ემფატიკური ხმოვნის გარეშე: ესრით / ესრეთ, ეგრით / ეგრეთ. ნიმუშები:

ესრე: ეს რ ე ზრახვენ იგინი გულთა შინა მათთა, მრკ. 2, 8 C;
ეს რ ე მრქუა მე უფალმან, ეს. 31, 4.

ესრით: ეს რ ი თ იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ, მ. 13, 49, E;
ეს რ ი თ... იტყოდა კაცი იგი, დაბ. 24, 30.

ესრეთ: იესუ ქრისტეს შობაჲ ეს რ ე თ იყო, მ. 1, 18; ეს რ ე თ არს ჩუელედაჲ ჩემი, ლიმონ. 88, 16.

ეგრე: ყო მოსე ე გ რ ე წინაშე ისრაჲლისათა, გამოსლ. 17, 6; არა მეზუერეთაცა ე გ რ ე ყვიან? მ. 5, 46 C.

ეგრით: გუბრძოდიან ჩუენ და ე გ რ ი თ განვიდენ ქუეყანით, გამოსლვ. 1, 20; ე გ რ ი თ შთააგდეს იგი საპურობილესა, აბო 70, 2.

ეგრეთ: კაცმან მან ყო ე გ რ ე თ, ლიმონ. 136, 2; უკუეთუ არა შეინანოთ, ყოველნივე ე გ რ ე თ წარსწყმდეთ, ლკ. 13, 5 DE.

აღნიშნული ფორმები ფაკულტატიური ვარიანტებია. ეს კარგად ჩანს ოთხთავის რედაქციების შეპირისპირებიდანაც.

ესრით/ესრეთ/ესრე

ეს რ ი თ ჭერ-იყო ვნებად ქრისტმსა, ლ 24, 46 E შდრ. ეს რ ე თ D,

ეს რ ე C;

ეს რ მ თ სიტყუას უგება მღღელთ-მოძღუარსა? ი 18, 22 E შდრ.

ეს რ ე თ D, ეს რ ე C;

ამისა შემდგომად... გამო-ეს რ მ თ -უცხადა... ი 21, 1 E შდრ. გამო-

ეს რ ე თ -უცხადა D, განეცხადა ეს რ ე C; ეს რ ე თ არქუთ, ვი-
თარმედ: უფალსა უკმს ეგე, ლ 19, 31 C შდრ. ეს რ ე D;

ეს რ მ თ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ი 3, 16 DE, შდრ. ეს რ ე
C;

თივად იგი ველისად... ღმერთმან ეს რ მ თ შემოსის, მ 6, 3 D შდრ.

ეს რ ე თ E; არასადა ვინ გამოჩნდა ეს რ მ თ ისრაშლსა შორის, მ
9, 33 E შდრ. ეს რ ე თ CE.

ეგრ მთ/ეგრეთ/ეგრე

ვითარცა იგი შეკრიბიან ღუარძლი და ცეცხლითა დაწვან, ეგრ მ თ
იყოს აღსასრული ამის სოფლისად, მ 13, 40 E შდრ. ეგრ ე თ D,

ეგრ ე C;

ეგრ მ თ იყოს ძმ კაცისად გულსა ქუეყანისასა სამ დღე და სამ
ღამე, მ 12, 40 E შდრ. ეგრეთ D, ეგრ მ თ C;

ვითარცა ელვად რად გამოჩნდის კილითგან ცისად და ბრწყინავნ
ვიდრე კიდემდე მისა, ეგრ მ თ იყოს ძმ კაცისად დღეთა მისთა, ლ
17, 24 E შდრ. ეგრ ე თ D, ეგრ ე ც ა C;

ვითარცა-იგი მოსე აღამალლა გუელი უდაბნოსა, ეგრ ე თ ჯერ-არს
აღმალღებად ძისა კაცისად, ი 3, 14 DE შდრ. ეგრ ე C;

ქსთქუთ, ვითარმედ სიცხმ იყოს და არნ ეგრ ე თ, ლ 12, 55 DE
შდრ. ეგრ ე C; თქუენ არა ეგრ ე თ იყვნეთ, ლ 22, 26 D შდრ. C,
E ეგრ ე და სხვ.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენებით ნაცვალსახელთა ძველ ვითარე-
ბას, აღნიშნულ ზმნისართთა უფრო ადრინდელი სახე შეიძლებოდა
ყოფილიყო **ესერეთ/ესერე, ეგერეთ/ეგერე**.¹ ძველ ქართულში იშვია-
თად დასტურდება ამგვარი ფორმებიც. მაგალითად:

ესერე: ეს ე რ ე საგონებელ იყო იგი, სინ. მრ., 206, 10.

¹ შდრ. **ესე, ეგე** ნაცვალსახელებზე რა ნაწილაკდართული ფორმები, სადაც
ნაცვალსახელის მეორე ე ხმოვნითი ელემენტი დაკულია: **ესერა, ეგერა**. მაგ.: აწ
ეს ე რ ა იძიებს სისხლი მისი, დაბ. 42, 22; ამა ეს ე რ ა მეუფმ შენი მოვალს
შენდა, სინ. მრ., 141, 5; ამა ე გ ე რ ა სასუფეველი ღმრთისად შორის თქუენსა არს,
ლკ. 17, 21; იხილეთ ე გ ე რ ა ადგილი მისი, სადა დადვეს იგი, მრკ. 16, 6.

ესერმთ: ე ს ე რ მ თ იტყუინ, sin—43, 5r.²

ესერეთ: ე ს ე რ ე თ ევედრებოდეს და იგი არა ერჩდა მათ, H—341, 287³.

ეგერე: ე გ ე რ ე სახედ თქუენცა გსაჯნე, H—341, 478.³

ამ რიგის მოვლენა გვხვდება XVIII საუკუნის ერთ-ერთ ძეგლში, სახელდობრ, ვახუშტი ბაგრატიონის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: ჰკელიდიან კაცთა და დედათა ძალ-ყოფდიან, ე გ ე რ ე თ ვ ე — ყრმათა, ქ. ცხ. IV, 734, 1.

აღნიშნული ტიპის ზმნისართები (სრული ვახშოვანებით — **ესრე^თ**, **ეგერე^თ** გადამწერის შეცდომად უნდა მივიჩნიოთ იმის გამო, რომ ისინი ძველ ქართულში ძალზე იშვიათად დასტურდება. შეცდომის ფსიქოლოგიური საფუძველი კი ადვილი დასანახია — სათანადო ჩვენებითი ნაცვალსახელების: **ესე**, **ეგე**, ასევე — ჩვენებითი ნაწილაკების: **ესერა**, **ეგერა** გავლენა.⁴

რე ნაწილაკის მეორე მნიშვნელობა მკვლევართა უმრავლესობის აზრით არის სიმცირის, სიცოტავის, ოდნაობის გამოხატვა.⁵ ამ დანიშნულებით იგი დაერთვის მეტყველების თითქმის ყველა ნაწილს (დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვას), როგორც სახელს, ისე

² მაგალითი ამოღებულია არ. მარტიროსოვის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 261.

³ იხ. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე . ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 145, 151.

⁴ ა. შანიძე ეხერე ფორმას გადამწერის შეცდომად თვლის და სინური მრავალთავის ტექსტში მას ასწორებს **ესრე**-დ (იხ. სინური მრავალთავი, თბ., 1959, გვ. 206, სქ.) მსგავსი ფორმების შესახებ ასეთივე აზრისაა არ. მარტიროსოვიც (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 261).

განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ ილ. აბულაძესა და ივ. იმნაიშვილს. მათ ეხერე ტიპის ზმნისართები ძველი ქართულისათვის კანონიერ ფორმებად მიანხიან და ლექსიკონში დამოუკიდებელ ერთეულებად აქვთ შეტანილი (იხ. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე . დასახ. ნაშრ., გვ. 145, 151; ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , სინური მრავალთავი, თბ., 1975, გვ. 170).

⁵ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე . ცხოვრებამ იოვანესი და ეფთჳმესი, თბ., 1946; მ ი ს ი ვ ე . ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, 593; მ ი ს ი ვ ე . ვეფხისტყაონის სიმფონია, თბ., 1956... მ. კ ა ბ ა შ ვ ი ლ ი , ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1946; ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი . ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1949; მ ი ს ი ვ ე . სინური მრავალთავი, თბ., 1975; ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი . ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 131-136; რ. ე ნ უ ქ ა შ ვ ი ლ ი , პეტრე იბერიელი, თბ., 1961; ი. ა ბ უ ლ ა ძ ე . დასახ. ნაშრ., გვ. 346; დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 97-99 და სხვა.

ზმნას, ზმნისართს და ნიშნავს: ცოტა, მცირე, ოდნავ.

სახელებთან რე ნაწილაკი გვხვდება ბრუნვის ყველა ფორმაში, მაგრამ უპირატესად მას მაინც ვითარებით ბრუნვაში დასმულ სახელთან ვადასტურებთ, უფხრო ხშირად — ზედსართავ ან ხარისხის სახელთან. ზმნასა და სახელზმნებთან იგი იხმარება როგორც სიტყვის ბოლოს, ისე ტემისის სახით — პრევერბსა და ფუძეს შორის ჩართული. ნიმუშები:

კიდე-რე: მოწაფენი კ ი დ ე - რ ე განდგეს წამისყოფითა მოძღურისა თვისისაჲთა, გრ. ხანძთ. 104, 21.

მახვლნი-რე: სხუანი კულად, გონებითა მ ა ხ ვ ლ ნ ი - რ ე ... წმიდისა ამის ნავთსაყუდელსა შემოყვედრიან, ალაპ. 326, 27.

ჩრდილით-რე: მას ჟამსა წელიწადი იყოს, თივაჲ ძკრად, მთანი მარჯუედ იყვენენ, ბარნი ზომად, ჩ რ დ ი ლ ი თ - რ ე კეთილ, წინაღსწ. მეტყ. ფილოს. 28, 29.

ხუაშიადად-რე: ვარქუ მე სანატრელსა მას ხ უ ა შ ი ა დ - რ ე , შუშ., III 20.

გვანად-რე: რომელიმე გ ვ ა ნ ა დ - რ ე მივიდის აღსასრულსა მას გზისა თვისისაჲ, Ath-32, 245v, 12.

კეთილად-რე: მას წელ იყოს ზამთარი ტფილი..., ზაფხული კეთილიანი, თივაჲ... ღვნოჲ იეფად და ყოველი ნაშრომი ხუავრიელად ზეგანთაჲ, ხოლო ბართა კ ე თ ი ლ ა დ - რ ე , წინაღსწ. მეტყ. ფილოს. 29, 22.

მეტად-რე: რომელნი მე ტ ა დ - რ ე უძღურნი იყენიან, მათდა უბრძანა... სხდენ იგინი სკამთა ზედა, იოვ. ეფთ. 75, 3.

ნელად-რე: ნ ე ლ ა დ - რ ე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ; ივ. იმნ., ქრესტ. I, 1, 227, 30.

უშუერად-რე: შუბლი იგი უ შ უ ე რ ა დ - რ ე გამოუქმნიეს კელოვანთა მათ, კიმ. I, 150, 30.

შორად-რე: მან მიზეზ-ყო შ ო რ ა დ - რ ე წარსვლად, ლ. 24, 28 c.

შორს-რე: კაცი იგი ღმრთისაჲ დგა შეუძრწუნებელად შ ო რ ს - რ ე მსაჯულთაგან, წარტყ. იერუს. ნდ. 31.

ცხადად-რე: ამისთჳს ჯერ-ვიჩინეთ ც ხ ა დ ა დ - რ ე ამათ საქმეთათჳს განწესებად, მ. სჯ. 56, 9.

ძნიად-რე: მაშინდა ძ ნ ი ა დ - რ ე მოგჯო სიტყუაჲ, მ. ცხ. 252, 27.

უნვივთოთა-რე: უფროჲს უ ნ ი ვ თ ო თ ა - რ ე არსებათაგანნი უზეშთაენსი-რე შემოეხუნეს სახედ მათდა, პეტრე იბერ. 104, 20.

- უბოროტესად-რე: შეიქცა თრიალეთით... და კუალად უ ბ ო რ ო ტ ე -
ს ა დ - რ ე მოაოჯრა, ქ. ცხ. I 383, 27.
- უგრილე-რე: უმაღლესნი და ქუშყანით დიდად განშორებულნი უ გ -
რ ი ლ ე - რ ე ჩნდენ, ნემეს. ემეს., ბუნ. კაც. 65, 20.
- უვრცელესად-რე: უ ვ რ ც ე ლ ე ს ა დ - რ ე წარმოიტყვ მეცხრე ნაწი-
ლი მეხუთისა წიგნისა კოდიკოფსაჲ, დ. ს. ქ. 202, 4.
- უმაღლესსა-რე: აღვიდა ნეტარი ზაქარია ადგილსა უ მ ა ლ ე ს ს ა -
რ ე , წარტყ. იერუს. 46, 31.
- უმეტესსა-რე: უკუეთუ ვიეთმე ფრიად დაიყოვნეს ცოდვასა შინა,
უ მ ე ტ ე ს ს ა - რ ე სივრცესა უამისასა შეუვრდებოდინ, დ.
ს. ქ. 239, 22-23.
- უმეტესად-რე: რაჲმე არს შურის-მგებელი? უ მ ე ტ ე ს ა დ - რ ე გუ-
ნებაეს ცნობაჲ, სინ. მრ. 136, 20.
- უმოსწრაფესად-რე: არა უეპველად სათანადო არს დაცვაჲ რიცხვსა
წელიწადთაჲსაჲ, არამედ უ მ ო ს წ რ ა ფ ე ს ა დ - რ ე შეყ-
ვანებაჲ მისი საეკლესიოსა შინა დაწყნარებასა და ზიარება-
სა კეთილისასა, დ. ს. ქ. 517, 36.
- უმტკიცესნი-რე: ქუშყანიერისთა-განრე და ზრქელთა უ მ ტ კ ი ც ე ს -
ნ ი - რ ე იქმნებოდინ, ნემეს. ემეს.; ბუნ. კაც. 59, 4.
- უმეუდროესსა-რე: უ მ ე უ დ რ ო ე ს ს ა - რ ი ვკურავთ კმოდოსა
ზღვსასა, პატერ. I. XI, 18, 7.
- უმცრო-რე: რა მეფე გარდავიდის აფხაზეთად, უ მ ც რ ო - რ ე ეში-
ნოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა, ქ. ცხ. I, 331, 17.
- უმხარკესად-რე: თუ ვის უ მ ხ ა რ კ ე ს ა დ - რ ე გაგონებაჲ მისი
ეგულვოს, „ცხოველთ-დამსახველი“ არისტოტელე წარიკი-
თხენ, ნემენ. ემეს., ბუნ. კაც. 60, 19.
- უმჯობესი-რე: უკუეთუ სუბუქი ღვინო იყოს, ყოლა ნუ ურთავ წყალ-
სა, უკუეთუ საშუვალი იყოს, ჭერისაებრ ურთე და უკუეთუ
უ მ ჯ ო ბ ე ს ი - რ ე იყოს, ვითარცა ჭერ-იყოს, იოვ. ეფთ.,
70, 9.
- უნაყროვანეს-რე: დაივნასა ქუვილი მათი, რომელნი უ ნ ა ყ რ ო ვ ა -
ნ ე ს - რ ე იყვნენ, პეტრიწ. ტიპიკ. 85, 39.
- უპირატესად-რე: ხოლო ნეტარი იგი უ პ ი რ ა ტ ე ს ა დ - რ ე არა
თავს იდებდა, ცხოვრ. ბარლ. 380, 128.
- უსრულესი-რე: კუალად უ ს რ უ ლ ე ს ი - რ ე მაღლად მოქცევაჲ
არს, ეფრ. მცირ., ფსალმ. თარგმ. 87, 7; სხუანი კუალად

უსრულესი-რე ბაძვად აღვიდოდეს მისა მუნ, ცხოვრ.
ბარლ. 3BO 127, 27.

უსრულესად-რე: ხოლო უსრულესად-რე ასდამეთხე ნუარად
არს ცხადად სიტყვთ წარმომადგინებელი მიზეზთაჲ, დ. სჯ.
203, 21.

უსუბუქესისა-რე: უკუეთუ ქირისა და იძულებისა მიერ გადაჰყდეს
ფიცთა, უსუბუქესისა-რე ღირს-იქმნენ განკანონე-
ბისა, დ. სჯ. 496, 27.

უღებსთა-რე: ძალსა მიიღებს და უფროდსლა უღებსთა-რე შო-
რის, მ. ცხ. 35v.

უფროს-რე: ჯორცნი ესე სტანჯნე, რომელთა უფროს-რე თუ მი-
უსრულო ტანჯვამ, უბრკინვალმსად გვრგვონოსან ჰქმნენ, სინ.
მრ., 118, 21.

უფროდს-რე: რადთა უფროდს-რე გეცნობოს თქუენ, ადრე გი-
თხრა სიყუარულისა თქუენისათჳს, მრავალთ. 272, 22.

უფროდსასა-რე: არლარა ჯერ-არს ჩუენდა უფროდსასა-რე ყა-
მისა სიგრძესა უღებ-ყოფამ ჩუენგან, დ. სჯ. 307, 19.

უქუმყნიერეს-რე: რომელიმე უქუმყნიერეს-რე და ზრქელ და
სხეულებრივ-რე გრძნობის-საცავთაჲ, ნემეს. ემეს. 73, 15-16.

უშინაგანმს-რე: უკუეთუ უფალი მოიყვანე შენთანა უშინა-
განმს-რე შემოვედ, იოვ. ოქრობ., მრავალთ. 256, 22.

უცხადესად-რე: რომლისა გონებამ სხუათა თარგმანთა უცხადე-
სად-რე გმთარგმანეს, ექუს. დღ. 8, 17.

უქემმარიტმსად-რე: უქემმარიტმსად-რე ეგულებოდა სწავ-
ლისმოსრულისა მის სწრაფასა, იოვ. ოქრობ., მრავალთ.
256, 19.

ზემო-რე: ზემო-რე მორჩილი ბრძანებისაჲ ქალაქი აქუს, თარგმ.
ეკლეს. 141, 11.

ქუემო-რე: ამან ქმნა გარე-მოსადგმელები იგი საკუთხეველისაჲ... ქუე-
შე საცეცხურისა მის ქუემო-რე, გამოსლ. 38, 24; შე-
მდგომად მისავე მსგავსად წერილისა ქუემო-რე იტყუს,
სინ. მრ. 157, 31.

წინა-რე: უხუცესი იგი იყო წინა-რე მდგომარე, წარტყ. იერუს.
40, 2; აღმართა დანინა გზასა ზედა წინა-რე და
აღაშენა არმაზი, შატბ. 320, 28.

მგებლ-რე: მოიჴსენე ძუძუჲ იგი, რომელსა ვწოვდით ერთად

მ გ ე ბ დ - რ ე , წარტყ. იერუს. 44, 6.

ავნოს-რე: მაისსა თვრთილმან ა ვ ნ ო ს - რ ე ვენავთა, წინაღსწ. მეტყ. ფილოს. 30, 36.

შორავს-რე: შ ო რ ა ვ ს - რ ე ზღუასა, ვითარ წარსაქანელ ოდენ ერთ ნავის, შატბ. 131, 30.

აღ-რე-გუალე: მეგობარო, ა ღ - რ ე - გ უ ა ლ ე ზემო კერძო, ლ. 14, 10.

აღ-რე-ასუბუქე: ა ღ - რ ე - ა ს უ ბ უ ქ ე ფერჯი შენი ჩემგან, მარინ. 37, 13.

აღუსუბუქდეს-რე: რადთა მუნ ა ღ უ ს უ ბ უ ქ დ ე ს - რ ე , H-1346 118v.¹

განმწვსნა-რე: ვითარცა გ ა ნ მ წ ვ ს ნ ა - რ ე , აკურთხეს დიაკონად, მიცვ. პროზორ. 215, 6.

გა-რე-აფართეთ: მცირედ გ ა - რ ე - ა ფ ა რ თ ე თ საფლავი ეგე, რადთა ორნი ეტინენ მას შინა, ლიმონ. 45, 10.

გან-რე-ვეშორე: წუთ ერთ გ ა ნ - რ ე - ვ ე შ ო რ ე მათგან, იპოლ. III 25, 1.

გან-რე-იღგინა: გ ა ნ - რ ე - ი ღ გ ი ნ ა იგი თვისსაგან აღსავალსა მას თხემისა აღგილისასა, მ. ცხ. 276, 35.

გან-რე-იყვანა: გ ა ნ - რ ე - ი ყ ვ ა ნ ა იგი პეტრე და იწყო ბრალობად მისა, მრ. 8, 32.

და-რე-აღრმეთ: ნეტარი იგი აწუევდა მათ და ეტყოდა, და - რ ე - ა ღ რ მ ე თ თხრილი ეგე, კიმ. შ 200, 1.

და-რე-ყოვნა: ვ რ არაჲ მოუგო, და - რ ე - ყ ო ვ ნ ა და შევიდა სასუ-ენებელად, ივდ. 14, 14 ოშ. ხელ.

და-რე-სცხრა: ვითარცა მცირედ და - რ ე - ს ც ხ რ ა გულისწყრომი-საგან, მოვიდა სპარსი იგი, შუშან. VI, 24.

მი-რე-ეახლა: მი - რ ე - ე ა ხ ლ ა მას იუდა და ჰრქუა, დაბად. 44, 18.

მოეგო-რე: ვითარცა მო ე გ ო - რ ე იგი ცნობასავე თვისსა, შიშითა დიდითა და ძრწოლითა შეპყრობილი წარვიდა, ცხ. და მოქ. მამათ. 32, 2.

შემო-რე-ეახლნეს: მაშინ მოვიდეს ეშმაკნი იგი და შე მ ო - რ ე -

¹ მაგალითი ამოღებულია ზ. სარჯველაძის ნაშრომიდან „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები“, თბ., 1975, გვ. 195.

ე ა ხ ლ ნ ე ს ანდრეას და ენება მოკლვამ მისი, აპოკრ. მო-
ციქ. 37, 18.

წარმოდგ-რე: ჰრქუა მეფემან: წ ა რ მ ო დ ე გ - რ ე და წარჯდა, მეფ.
II 18, 30 ოშ.

გულისხმის-ყოფით-რე: მივიწიენით რა სიტყუასა ამას, ჳერ-არს გ უ -
ლ ი ს ხ მ ი ს ყ ო ფ ი თ - რ ე სმენა, ჳარზმ. 173, 19.

სრულებით-რე: ჳერ-არს და სამართალ ს რ უ ლ ე ბ ი თ - რ ე თქუმად
დასასრულსა ამის წიგნისასა, პეტ. ტიპიკ. 20, 2.

ველოვნებით-რე: ესე უწყი, რომელ საქმე ესე ვ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი თ -
რ ე განუზრახავს, ქ. ცხ. II 464, 23.

ალზრდად-რე: უმჯობეს უჩნდეს ა ღ ზ რ დ ა დ - რ ე მისი, დ. სჯ. 387,
31.

განწულილვთ-რე: ისწაოს ვინმე გ ა წ უ ლ ი ღ ჯ თ - რ ე თქუშულთაჲ
ესრეთ წინათაშორის, ნემეს. ემეს., ბუნ. კაც. 161, 5.

და-რე-ყოვნებად: ხოლო რომელი-იგი იყო დუქსი, აიძულებდა მას
დ ა - რ ე - ყ ო ვ ნ ე ბ ა დ , მ. ცხ. 49, 13.

შე-რე-დგინებად: უბრძანა მათ ქუეყანით შე - რ ე - დ გ ი ნ ე ბ ა დ
მკირედ და დაჯდა და ასწავებდა ერსა მას, ლ. 5, 3.

მკმუნვარე-რე: არამედ მ კ მ უ ნ ვ ა რ ე - რ ე . იქმნების, Ath—21,
130v, 3.

შემდგომად-რე: მკირედ შე მ დ გ ო მ ა დ - რ ე მისა შესძინა ძალსა
მისთვის მდიდრისა, შატბ. 111, 21.

განგრძობილად-რე: ხოლო აქა გ ა ნ გ რ ძ ო ბ ი ღ ა დ - რ ე მოგვთხრა
წიგნმან სახე იგი თუთოეულისაჲ, ექუს. დღ. 30, 28.

განშორებულად-რე: იყო ჳაბუკი იგი შექურვილ საჭურველითა და
მდგომარე გ ა ნ შ ო რ ე ბ უ ლ ა დ - რ ე კრებულისა მისგან
ავაზაკთაჲსა, მ. სწ. 292, 32.

მო-რე-წევნულ: უკუეთუ მე თითითა დ მთა განხუასხამ ეშმაკთა,
მ ო - რ ე წ ე ვ ნ უ ლ არსა თქუნ ჳედა სასუფეველი
ღმრთისაჲ, ხან. ტექსტ., ლ. 11, 20.

შემოკლებულად-რე: ამას შინა სიტყუაჲ განგრძელდების, არამედ
შ ე მ ო კ ლ ე ბ უ ლ ა დ - რ ე მნებაჲს უწყებაჲ თქუენი, მ.
სწ. 87, 17 და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში რე ნაწილაკის ჳემოთ განხილული
მნიშვნელობის (სიმკირის, ოდნაობის გამოხატვა) დამადასტურებელ
ილუსტრაციებად ამ რიგის ნიმუშებია დამოწმებული. მასლაზე და-

კვირვება გვიჩვენებს, რომ **რე** ნაწილაკის აქ ნაგულისხმევი მნიშვნელობა — სიმკირე, ოდნობა — ყველა შემთხვევაში არაა უდავო, ნათლად გამოხატული. არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ ზემოთ წარმოდგენილ ზოგ მაგალითში, განსაკუთრებით ვითარებითსა და მოქმედებითში დასმულ ზოგ სახელთან **რე** აღნიშნავდეს არა ს ი მ კ ი რ ე ს, ო დ ნ ა ო ბ ა ს, ა რ ა მ ე დ ს ა ხ ე ს, გ ვ ა - რ ო ბ ა ს, ნ ა ი რ ო ბ ა ს. სახელდობრ, ვ ა რ ქ უ ხ უ ა შ ი ა - დ ა დ - რ ე შესაძლებელია ნიშნავდეს 'ვუთხარი საიდუმლო სახით, საიდუმლოდ', ს რ უ ლ ე ბ ი თ - რ ე — 'სრული სახით, სრულად' და სხვ.¹

მასალის ანალიზი ასევე გვიჩვენებს, რომ შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, განსაკუთრებით ზმნურ ფორმებთან, **რე** ნაწილაკი ზმნისართული ფუნქციით არ დასტურდება. **რე** ნაწილაკს ჩვენებითი ნაცვალსახელების გარდა მეტყველების სხვა ნაწილებზე დართვის შემთხვევაშიაც რომ ჰქონოდა ხსენებული ფუნქცია, იგი არ იქნებოდა საქმეხარის ისევე, როგორც არ სჭირდება საგანგებო დასაბუთება **რე**-ს ზმნისართულობას ეხ**რე**, ეგ**რე** ადვერბებში. **რე** ნაწილაკი ამ ფუნქციით ცოცხალია ძველსა და ახალ ქართულშიც.²

სრულიად სამართლიანად მიუთითებენ, რომ **რე**-ნაწილაკიან სიტყვასთან მ კ ი რ ე დ ფორმის ხმარება (შდრ. წარ-**რე**-ვიდა მ კ ი რ ე დ, მრ. 1, 9; მ კ ი რ ე დ უწინარღს-**რე** დღეთა ამათ შეიპყრეს, აბო 68, 21...), რაც უფრო სიმტომატურია, მისი დართვა თვით მ კ ი რ ე სიტყვაზე (შდრ. მ კ ი რ ე დ - რ ე შემდგომად იხილა იგი სხუამან, ლ. 22, 58; ვითარ იგი იყო მის თანა და მ კ ი რ ე დ - რ ე შემდგომად მისგან? სინ. მრ. 33, 21...), იმის მანიშნებელია, რომ **რე** ნაწილაკის ხსენებული ფუნქცია — სიმკირის, ოდნობის აღნიშვნა ძველსავე ქართულში მოშლილია, **რე** ნაწილაკი ამ დანიშნულებით გაქრობის გზაზეა. შემდგომი ხანის (საშუალ) ქართულში მას სრულებით აღარა აქვს ხსენებული მნიშვნელობა და მთლად უფუნქციოდ არის ქცეული. ამ პერიოდის ძეგლებში იგი მხოლოდ სტილისტური მოსაზრებით იხმარება, მართლაც სიტყვათა სამკაულად ჩანს,³ რო-

¹ ა. კიზირიას აზრით ხ უ ა შ ი ა დ ა დ - რ ე ფორმაში **რე** ნაწილაკი აღნიშნავს ს ა ხ ე ს, გ ვ ა რ ს ისევე, როგორც ზოგ სხვა ვითარებითში დასმულ სახელთან (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 142).

² შდრ. ე ლ . ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 63-64.

³ იხ. თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 135; ანტონ ბაგრატიონი და

გორც ფიქრობდნენ მის შესახებ საბა,¹ ანტონი,² დ. ჩუბინაშვილი³ და სხვები. ნიმუშები:

მომეგება ქალი ვინმე... და მაწვია შ ი ნ ა რ ე , დიალ. 60, 12.

და ესენი ა ქ ა რ ე დამკვიდრებულ არიანყე, დიალ. 609, 3.

მათდა იყო წილხდომილ მ ა მ უ ლ ა დ რ ე წინამბრძოლობა, კალმას. II 120.

აღსდგა ტ ა ბ ლ ი თ რ ე ლუარსაბ, კალმას. II, 104, 9.⁴

არს ჩუეულებამ მეფეთა ქართუელთა ზ ა ფ ხ უ ლ რ ე ადგილთა მათ შინა დგომად, მარტ. 54, 26.

წარგზავნა-ჰყო ამისთვის თეიმურაზისა... ზ ა კ ვ თ რ ე , მარტ. 23, 4.

მკსმენელი ამათი წმიდა იგი მ ა დ ლ ო ბ ი თ ა რ ე ღმრთისად... ეტყოდა, მარტ. 30, 14⁵ და სხვ.

სპეციალისტების მიერ ცალკე გამოყოფილი მნიშვნელობა რე ნაწილაკისა — შედარებითი ხარისხის აღნიშვნა⁶ — ძველ ქართულში ფაქტობრივად არ დასტურდება. ის რამდენიმე მაგალითი, რომლებშიც რე მართლაც ხარისხის მაწარმოებლად შეიძლებოდა მიგვეჩინა ბურძნულ-საომხურ პარალელურ ტექსტებთან შეპირისპირებით, შემთხვევითი ხასიათისაა, ძველი ქართულისათვის დამახასიათებლად ვერ ჩაითვლება.⁷

რე ნაწილაკის მიჩნევას ხარისხის ნიშნად ხელს უშლის ის, რომ იგი, როგორც ცნობილია, ზმირად ერთვის ხარისხის მაწარმოებელი აფიქსებით გაფორმებული სახელებს (შდრ. უგრილე-რე, უმცრო-რე, უფროდს-რე, უბოროტესად-რე, უცხადესად-რე...).

მისი მარტირია, თბ., 1980, გვ. 564 და სხვა.

¹ ლექსიკონი ქართული, თბ., 1966, გვ. 9.

² ქართული ღრამბატია, თბ., 1885, გვ. 533.

³ ქართულ-რუსული ლექსიკონი, СПб., 1887, გვ. 1036.

⁴ ნიმუშები ამოღებულია თ. ზურაბიშვილის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 135.

⁵ იხ. ძვ. ქართული აგიოგრაფული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი VI, „მარტირია“, თბ., 1980, გვ. 564.

⁶ ს. ყ ა უ ხ ჩ ა შ ვ ი ლ ი , იოანე პეტრიწის შრომები, I, თბ., 1940, გვ. LK-LXIII.

⁷ ე ლ . ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 62-66; თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 131-133.

ამგვარ მოსაზრებას აბრკოლებს ისიც, რომ **რე** ნაწილაკი ზედსართავი სახელებისა და ზმნისართების გარდა ერთვის ზმნებს და არსებით სახელებს, სადაც ხარისხის მაწარმოებლად, ცხადია, ვერ მივიჩნევთ. ვარაუდი იმისა, რომ **რე** ნაწილაკი სხვა ოდენობაა ხარისხის სახელებთან და ზმნებსა და არსებით სახელებთან — სხვა, დამაჯერებელი არ არის.⁸ **რე** ნაწილაკი ზედსართავებსა (resp. ხარისხის სახელებსა) და ზმნისართებთანაც ოდნაობის, სიმცირის აღმნიშვნელია:⁹ **უშეტესად-რე** ნიშნავს 'ცოტა უფრო მეტად', **შორად-რე** — 'ცოტა უფრო შორს' და სხვა.

ამგვარად, **რე** ნაწილაკის ორი მნიშვნელობა შეიძლება ჩაითვალოს დადასტურებულად ძველ ქართულში: პირველ რიგში — ზმნისართული ფუნქცია, რომელიც აქვს მას ჩვენებით ნცვალსახელებზე დართულს **ესრე**, **ეგრე** ზმნისართებში, რომლებშიც იგი აღნიშავს **ს ა ხ ე ს**, **გ ვ ა რ ო ბ ა ს**, **ნ ა ი რ ო ბ ა ს** და **მეორე** — **ო დ ნ ა ო ბ ი ს**, **ს ი მ ც ი რ ი ს** მნიშვნელობის გამოხატვა.¹⁰

ამასთან დაკავშირებით ისმის რამდენიმე საკითხი, სახელდობრ:

არის თუ არა ძველ სამწერლო ენაში ფიქსირებული ორი სრულიად განსხვავებული მნიშვნელობის მქონე **რე** ნაწილაკი გენეტურად ერთი და იგივე ოდენობა, ე. ი. საქმე გვაქვს ისტორიულ ომონიმიასთან, თუ პოლისემიასთან?¹¹

თუ ერთი და იგივე ოდენობაა, რომელი მნიშვნელობაა მისთვის ამოსავალი?

ფიქრობთ, **რე** ნაწილაკი მის მნიშვნელობათა შორის დიდი სხვაობის მიუხედავად, გენეტურად ერთსა და იმავე ოდენობას უნდა წარმოადგენდეს. **რე** ნაწილაკის ზემოთ აღნიშნული ორი მნიშვნელობა, რომელსაც ძველ სამწერლო ქართულში გამოყოფენ, ისტორიუ-

⁸ თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 131-133.

⁹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ცხოვრება იოანესი და ეფთჳესი, თბ., 1946, გვ. 113; მ ი ს ი ე ე, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბ., 1956; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1949; თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 131-136 და სხვები.

¹⁰ **რე** ნაწილაკის ორ მნიშვნელობას გამოყოფენ: ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 593, ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 348; თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 131-135 და სხვები.

¹¹ აღსანიშნავია, რომ ი. ა ბ უ ლ ა ძ ე ს ძველი ქართული ენის ლექსიკონში **რე** ნაწილაკი ზემოთ ხსენებული მნიშვნელობების გამო ორ დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულად არის შეტანილი (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 346).

ლად ერთ მნიშვნელობაზე დაიყვანება.

ჩვენი აზრით, რე ნაწილაკი წარმოქმნილი უნდა იყოს უძველეს ქართულში, მის დასავლურ დიალექტურ არეალში რაჲ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი სან აჲ ხმოვანთა კონტრაქციის (შერწყმის) შედეგად გარკვეულ პოზიციაში.¹ სალიტერატურო ქართულში იგი ამ დიალექტური წრის შემონატანი ჩანს.²

უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველისძველ ქართულში რაჲ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი გარდა იმისა, რომ იხმარებოდა დამოუკიდებლად (შდრ. ძვ. ქართ. ნუმცა რ ა ე / = რაიმე/ წარწყმდების, იოვ., 6, 12; უკუთუმცა პოვა რ ა ე / = რაიმე/ მას შინა, მრკ. 11, 13), გამოიყენებოდა მსაზღვრელ ელემენტად (ნაწევრად) ისევე, და უფრო ხშირადაც, როგორც მისი შემდეგდროინდელი მე-ნაწილაკდართული ფორმა რ ა ე მ ე და ვ ი ნ მ ე განუსაზღვრელობის ნაწევრი ძველ ქართულში.³

აღსანიშნავია, რომ იშვიათად ძველ ქართულშიც დასტურდება შემთხვევები რ ა ე განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ხმარებისა მსაზღვრელ სახელად — ნაწევრად. აქ განხილული საკითხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ის ფაქტიც, რომ რაჲ ელ-

¹ ე. ბაბუნაშვილის აზრით, სავარაუდოა, რომ გენეტურად რე ნაწილაკი ნაცვალსახელთან იყოს დაკავშირებული (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 67). რე ნაცვალსახელური წარმოშობისად მიიჩნია არ. მარტიროსოვსაც. იგი შესაძლებლად თვლის მის დაკავშირებას სახელთა დეტერმინანტ რ სუფიქსთან, რომელიც მისი აზრით, ასევე ნაცვალსახელური წარმოშობისა ჩანს (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 262).

² მსგავსი პროცესების შესახებ ქართულის დასავლურ დიალექტებსა და ზანურ-სვანურში იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებასა და ზანურში, იკვ, I, 1946, გვ. 22-23; ი. კ ა ხ ა ძ ე, ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემო იმერულში, იკვ, V, 1953, გვ. 183-192; ა. შ ა ნ ი ძ ე, უმაღლესი სვანურში, „არილი“, 1925, გვ. 171-231; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იკვ, VI, 1954, გვ. 448-451; თ. გ ა მ მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 160-177 და სხვ.

³ როგორც ცნობილია, კითხვით სიტყვებზე (ვინ, რა, სად...) მე ნაწილაკის დართვა მორიგული მოვლენაა (იხ. ვ. რ ო გ ა ვ ე, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის სახ. პედ. ინსტ. შრ., VIII, 1948, გვ. 78; ფ. ე რ თ ე ლ ი შ ე ი ლ ი, ვინ, რა, სადა კითხვით სიტყვათა ბუნებისათვის, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956, გვ. 144; ი. ვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 521, 535 და სხვა).

მენტი თითქმის ყოველთვის მომდევნო მსაზღვრელია.⁴ მაგალითები:

ვითარცა მკლელური რამე... კრებულსა ამას მივართუთ, მრავალთ., 313, 34; ხოლო ნიკონ პოვეს ვითარცა მკლდარი რამე, მ. ცხ., 258, 19; არცა ქალწულსა თანა ხრწნილებამ რამე იპოვა შობასა მისსა, მრავალთ., 281, 27; არცა განიქებად, არცა განსყიდად მონაგებთაგანი რამე ეკლესიისათამ, სინ. მრ., 0, 38; უკუეთუ ოპოვოს ცთომასარას შინა, სინ. მრ. 30, 3; ნუთუ უმეტესსა სასწაულსარას ჰყოფდეს, იოვ. 7, 21e; ემოყურებინ კაცთა, რომელთაგან სარგებელსა რას ჰპოვებნ, მ. სწ., 237, 18; ანუ სხვთ რამეთ განსუენებულ იქნებოდეს, იპლტ. 27, 25; სხუად რად ნუ იშვარების, სინ. მრ., 21, 4... შდრ.: ჩუენებამ რამემე იხილა ტაძარსა მას შინა, ლ. 1, 21 DE; საუცარს რასმე ჰგონებდეს, მრ. 6, 43e; დონისძიებდათა რამეთმე ბრძნითა საზრდელისა მის მყუვარ-ჟამ კმაყოფამ იველოვნის, ექუს. დღ. 107, 13...⁵

ამ პოზიციაში, ე. ი. რამე განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის პოსტპოზიციურ მსაზღვრელად (resp. განუსაზღვრელ ნაწევრად) გამოყენების პირობებში უნდა მომხდარიყო ის ფონეტიკურ-სემანტიკური ხასიათის ცვლილებები, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობთ;⁶ სახელ-

⁴ ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში, ქართულურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, 1961, გვ. 95.

⁵ საეციალო რიტორატურაში განუსაზღვრელ ნაწევრად მიჩნეულია მხოლოდ ვინმე და ერთი (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 618; მისივე. ძველი ქართული ენის გრამატიკა, 1976, გვ. 30; ივ. იმნაიშვილი, ნაწევარი ძველი ქართულში, თბ., სახ. უნივერ. შრ., ტ. 61, 1956, გვ. 252; არ. მარტიროსოვი, სახელის განსაზღვრელობა-განუსაზღვრელობის კატეგორია ძველი ქართულში, არნ. ჩიქობავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1979, გვ. 125-138...).

ძველი ქართული ენის ტექსტებზე დაკვირვება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ძველი ქართულში განუსაზღვრელ ნაწევრად საკმაოდ ხშირად გამოიყენება რამემე განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელიც. რამემე ისევეა განუსაზღვრელი ნაწევრი, როგორც ვინმე, ერთი და რაიმე. ნაწევრების გამოყენების სფერო ძველი ქართულში სხვადასხვაა, მათ შორის ფუნქციები განაწილებული ჩანს (ამის შესახებ დაწვრილებით სხვაგან).

⁶ რა ნაცვალსახელის ახლოვანი გარკვეულ პირობებში საზოგადოდ რომ შეიძლება ექვემდებარებოდეს ფონეტიკური ხასიათის ცვლილებას, ამას მოწმობს იმერულის ჩვენება: რე იქნა — რა იქნა, რო უყავი — რა უყავი (ქ. ძოწენიძე, ზემოიბერული კოლოკაი, თბ., 1973, გვ. 38); რო უქენი (← რა უქენი), რე ეშველება (← რა ეშველება), კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიბერული დიალექტი, თბ., 1985, გვ. 27. შდრ.

დობრ, *მადლი რაჲ → მადლი რე.¹ ეტიმოლოგიურად ეს ნიშნავს: 'მადლი რამე, მადლი რაღაც'. აქედან უმნიშვნელო სემანტიკური ცვლით — 'მცირე, ცოტა მადლი' და მისთ.

ამ გზით წარმოქმნილი რე ნაწილაკი ფაოთოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული ძველისძველ ქართულში და უფრო ხშირად წარმოდგენილი სახელებთან, ვიდრე ეს ძველ ქართულში გვაქვს. როგორც აღვნიშნეთ, სიმცირის, ოდნაობის გამომხატველი რე ნაწილაკი უკვე ძველი ქართულისათვის არქაიზმს წარმოადგენს. ახალ ქართულში იგი საერთოდ არა გვაქვს. სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად არის მითითებული, რომ კნინობითობის, სიმცირის აღმნიშვნელი ფორმები „სალიტერატურო ქართულმა არსებითად დაკარგა.“² ამ მხრივ გამონაკლისს არც რე ნაწილაკი ქმნის.

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ ამავე გზით — ამ ხმოვანთა შერწყმით არის მიღებული რიგი სხვა ფორმაც: აქეთ (←აქაჲთ), მანდეთ (←მანდაჲთ), სადეთ (←სადაჲთ), წინეთ (←წინაჲთ), უნებლიეთ (←უნებლიაჲთ). მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს ფორმები სამწერლო ქართულის ადრინდელ ძეგლებშივე იჩენს თავს. მაგალითები:

აქეთ←აქაჲთ: იქით აქეთ გარევეს დიწყებს, უსწ. კარ. 399, 7; იქმნა

აგრეთვე ქართულ ისტორიულ საბუთეში დადასტურებული ფორმა რეთითი ← *რაერთი (ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ., 1946, გვ. 285); გურულ რეთი ← *რაერთი! (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 156). რეიზა ← *რაისდა მ. ძიძიშვილი. გრამატიკულ მოვლენათა ტენდენციები გურულში, ტყ. IX-X, 1958, გვ. 193).

სრულიად სამართლიანად მიუთითებენ, რომ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა — აფიქსიანი სახელობითი ბრუნვის ჩამოყალიბება ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან ვივარაუდოთ უძველეს ეპოქაში, ქართველურ ენათა ერთობის ხანაში (ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, „არილი“, ტფ., 1925, გვ. 219, მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, წ. 660; Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964, გვ. 100). ამდენადვე სახელობითის *ნიშნის ზემოთ წარმოდგენილი ინტეგრეტაციის შემთხვევაშიაც (←*გო: *კაცი იგი → *კაციი → კაცი. ა. შანიძე) არ გამოირცხება ძველ ქართულში მოქმედი მეორეული ნაწევრიანი სისტემის, განსაზღვრულობა-განუსაზღვრულობის კატეგორიის (კაცი იგი, მადლი რაჲმე, დედაკაცი ვინმე...) სიძველე (შდრ. არ. მართიროსოვი. სახელის განსაზღვრულობა-განუსაზღვრულობის კატეგორია ძველ ქართულში, არნ. ჩიქობავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1979, გვ. 125-138).

ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

კრება მებუთე... ქრისტეს აქეთ ფეზ. ჭუნაშ. 215, 3; აქეთ გვიდა ამირან დარეჯანის ძე, ამირ.-დარეჯ., 345, 11... შდრ. არღარა წაულ აქამთ, მ. ცხ. 252, 33; განმიტყვე მე აქამთ, კიმ. II, 186, 25...

მანდეთ—მანდათ: ჩემი ფიქრი მანდეთ მოქრის, ნ. ბარათ. 120, 20; შდრ. მანდათ ლტოლვითა ვერცა სხუგან სადა ჰპოვით სამკურნებელი, შიო, ევაგრ., ასურ. 84, 33; მანდათ თქეთ, რამ-იგი ჳამს, პატერ. I, VI, 14;

ხადეთ—ხადათ: არღარასათედ სმენილ არს მათ დღეთა შინა, A-680250r, 31-32a, XI საუკ. ძეგლ. (ზ. სარჭველაძე, ქართული სალიტ. ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 301); სადეთცათუალი მოსწუთებოდა..., ქ. ცხ. II, 138, 7; სადეთ მოგა, საბა, II 57, 25; სადეთ მოხვედით თქვენ? (ქ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 164)... შდრ.: სადათ მოიყვანე მონაზონი ესე? მ. ცხ. 298, 3; სადათ ხარ, კაცო? ი. მოც 58, 31...

წინეთ—წინათ: ამას წინეთ ნიკოლოზს..., რაც საყდრის შეწირული მამული ყოფილიყო, თქვენთჳს უურისუბანზე გაეცალა, ქრონიკა, II 428, 11; პირით ცეცხლასა ჰყრის საზარო წინეთ რჳა მოუძღვებოდა. შან. III, 90, 239, რ. ზოგი წყალს ქნატრობს სიკვდილის წინეთ, აკაიკ. II, 73, 33; შდრ. მეძინა, ვითარცა წინათ ჩეულებსა ჩეშა, სინ. გრ., 6322; წარავლინა წინათ მკურცხლმავალნი, ზარზმ. 156, 17;

უნებლიეთ—უნებლიათ: ცოდვანი რამელნიმე უნებლიეთ იქმნებთან, ბას., ითო. ძეგ., 101,9; შეიყვანონ მისსა მელდაბნოე ოგი უნებლიეთ, ტიმ. ანტიოქ., 401, 18; შდრ. რამეთუ არა ჭუარს-უკუა უნებლიათ, არამედ ნეფსით, სინ. გრ., 158, 24; მართალი ნებსით იძლიის და უნებლიათ განიკითხის, მ. სწ., 178, 26.³

³ კავშირი ისტორიულად დადასტურებულ აქათ — აქეთ, ხადათ — ხადეთ, წინათ — წინეთ... როვის ფორმებს შორის უდავო ჩანს, აქეთ, ხადეთ... სახის ფორმათა გამოყვანა *აქათ, *ხადათ და მსგავსი ფორმებისაგან (შდრ. *აქათი → აქეთი → *აქეთი → *აქეთ; *სადათი → *სადეთი → *სადეთი → სადეთ...) არ არის სარწმუნო. გადასვლათა აქ წარმოდგენილი ჭაჭვის ყოველი რგოლი არარეალურია, თეორიულად აღდგენილი.

*აქათი → *აქეთი, *ხადათი → *ხადეთი... ფორმათა არსებობას ეწინააღმდეგება კლასიკურ ქართულში მკაცრად მოქმედი ძირეულ და სუფიქსისეულ მორფემათა აბლაუტური მონაცვლეობის წესები სიტყვის ბოლოს მორფემათა საზღვარზე.

სხენებულ ფორმათა (*აქათი → *აქეთი → *აქეთი, *სადათი → *სადეთი → *სადეთი, *წინათი → *წინეთი → *წინეთი...) რეკონსტრუირება არაა გამართლებული არც ქართული ენის დიალექტების ჩვენებათა მიხედვით (შდრ. ა. არაბული,

ამ ფაქტების გათვალისწინების შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასევე — ფუძის ბოლოკიდური ა ხმოვნის ბრუნვისნიშნისეულ ო ხმოვანთან შერწყმით: აა→ე უნდა იყოს წარმოქმნილი მთელი რიგი სხვა სახელური ფორმებიც: დილე ← დილაა, დრაქმე ← დრაქმაა, მარცხენე ← მარცხენაა, მარჯუნე ← მარჯუნაა, ნოტიე ← ნოტიაა, სმორენე ← სმორენაა, უყე ← უყაა, ფუნე ← ფუნაა, წიღნე ← წიღნა... და სხვა. ნიმუშები:

დილე: შეეწიოს ღმერთი დილითგან დ ი ლ ე მ დ ე,¹ ფსალმ. 45, 6; შტრ. განასხემლი დ ი ლ ა ს ა და ეამსა მწუხარებისასა მოასხემლი, შიო, ევაგრ. 115, 2.

დრაქმე: ვპოვე დ რ ა ქ მ ი იგი, 19, 9; შტრ. ეტიებდა დ რ ა ქ მ ა ს ა , გრ. ანძ.—შობ., 299, 22.

მარცხენე: ნუ აგრძნობ მ ა რ ც ხ ე ნ ე შენი... მთ. 6, 3; შტრ. დაიდგა ბარზი იგი კელსა მ ა რ ც ხ ე ნ ა ს ა , საკითხ. წიგნ. II, 72, 3.

მარჯუნე: კელი მისი მ ა რ ჯ უ ე ნ ი განკმელ ედგა, ლ 6, 6 ე, შტრ. მ ა რ ჯ უ ე ნ ა მ მათი სავე არს ქრთამითა, ფსალმ., 25, 10.²

ნოტიე: დავარდა კლდესა ზედა, რომელსა ზედა იყო მიწა და ნოტიე მცირედ, ბალავ. 35, 23 შტრ. დაჯედ ნოტიასა ზედა, იერემ. 48, 18 ოშ.

ხმოვანფუძიანი სახელების კვეცად ბრუნვებში მიმდინარე მორფონოლოგიური პროცესების ისტორიული ინტერპრეტაციისათვის, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნ. კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებთა თეზისები, თბ., 1986, გვ. 26).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რე : ნაწილაკის აქ წარმოდგენილი ინტერპრეტაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა, მას ვივარაუდებთ მიღებულად ზემოაღწერილი სახის გარდაქმნების შედეგად (*რაი → *რეი → *რეე → *რე), თუ აა ხმოვანთა კომპლექსის შერწყმით, რაა→რე:

¹ ჩვენი ხელთ არსებული მასალის მიხედვით დ ი ლ ე სახეობა ერთ შემთხვევაში დასტურდება და ისიც მ დ ე -თანდებულდართული — დ ი ლ ე მ დ ე . ამ ფორმაზე დამყარებით ი ლ . ა ბ უ ლ ა ძ ე გამოყოფს დ ი ლ ე ვარიანტს დ ი ლ -ას პარალელურად და „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულად აქვს შეტანილი (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 142). ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ დ ი ლ ე მ დ ე ფომაში დ ი ლ ე მიღებული იყოს დ ი ლ ასაგან მომდევნო ე ხმოვნის ასიმილატორული გავლენით.

ასევე, არ არის გამორიცხული, რომ მ ა რ ც ხ ე ნ ე , მ ა რ ჯ უ ე ნ ე ფორმებში ბოლოკიდური ე მიღებული იყოს ა-საგან ინლაუტის ე ხმოვნის გავლენით (შტრ. ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ე ა , სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 28029, 56, 94; ა ლ . მ ა ნ ჯ ა ლ ა ძ ე , ა ხმოვნზე დასრულებული ზოგი სახელის ფუძის აგებულებისათვის ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 185-186).

სმორენე: არიან მრავალ განყოფანი, ვითარცა სახედ: გველ-თევზი და გუ-
შანი და ს მ ო რ ე ნ ე . ექუს. დღ., არაბ., 97, 25. შდრ. შევთხჳ გუ-
ელსა ზღვასა, რომელსა ჰქვან ს მ ო რ ე ნ ი , ექუს. დღ. 104, 8...

უფე: არარამ დამთა წყალთა შინა და უ ყ ე თ ა შწყურნებთა უსრულად,
ექუს. დღ., 80, 21. შდრ. რომელიმე მათგანი ძოვს უ ყ ა ს ა , ექუს. დღ.,
არაბ., 99, 2.

ფუნე: ფ უ ნ ე ს ა სკორისა კაცობრივისასა დაჰელა იგი, ეზუკ. 4, 12,
შდრ. მიგეც შენ ფ უ ნ ა მ ზროხათამ, ეზუკ. 4, 15.³

წიღნე: იქმნა იგი ვენაჲ და ყენა წ ი ღ ნ ე ნ ი , ეზუკ. 17, 6⁴ და სხვ.⁵

[აი] ჳგუფიდან მიღებულად მიიჩნევა სვანურში აუსლატური ე მ ა რ ე
„ააცი“, ლ ა რ ე „სათობი“ ტიპის სახელებში (თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე , ორ-
ფუძიანობის ერთი ტიპის შესახებ სვანურ სახელთა ბრუნებამი, ჳართვ
ენათა სტრუქტ. საკითხებო, წმ, 1961, 226; ვ. თ ო ფ უ რ ი ა , გრამატი-
კულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ჳართველურ ენებში, იფე, VI,
450-451; მ. ქ ა ლ დ ა ნ ი . სახელობითი ბრუნვისა და მრავლ. რიცხვ. მა-
წარ. სუფიქსთა საკითხისათვის სვანურში, ჳართვ ენათა სტრუქტ. სა-
კითხ., IV, 1974, 152...). ასევე ძველ სვანურ ხალხურ სიმღერებში დადას-
ტურებულ ფორმებში: გ ე ზ ა ლ ე „შვილი“, ზ უ რ ა ლ ე „ჳალი“ და
მისთ. (მ. ქ ა ლ დ ა ნ ი . დასახ. ნაშრ., 152, შდრ. ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე ,
სახელობითი ე ფორმანტის შესახებ სვანურში, იფე, XVIII, 1973, 267-272).
მ. ქ ა ლ დ ა ნ ი ს აზრით, [აი] კომპლექსისაგან არის მიღებული სახელ-
თა შრ. რიცხვის აბ-ჳ სუფიქსის ბოლოკიდური ე მ ო *აბ-აბ → აბ-ჳ
(ღვაჳარე ← *ღვაჳარ-ა-ა... დასახ. ნაშრ., 156).

³ ბოლოკიდური ე ხმოვნის სხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის იხ. ბ.
ც ხ ა დ ა ძ ე , „სა-სა-ე და -ა აფიქსიანი ზოგი სახელი ძველ ჳართულში, საქ. სსრ
მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და მეცნიერ
მუშაჳათა სამეცნიერო კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისებო, თბ.,
1985, გვ. 32.

⁴ შემთხვევითია, რომ წ ი ღ ნ ა ფორმა ძველ ჳართულში ვერ დაედასტურეთ.

⁵ როგორც ცნობილია, ძველი ჳართულის სამწერლო ენაში ხმოვანთა
კომბინატორული ცვლილებები მაქსიმალურად იზღუდება, მაგრამ უცხო რომ არ
არის, ამას სხვა შემთხვევებიც მოწმობს. მაგ., აჳო-ჳე სრული რეგრესული
ასიმილაციის შედეგად არის მიღებული ფორმა ღ მ რ თ ე ე ბ ა ჳ ღ მ რ თ ა ე ბ ა
(შდრ. უენებელ არს ღ მ რ თ ე ე ბ ა მ , A 19, 90, 4; მედგრობამ
უ ღ მ რ თ ე ე ბ ი ს ა მ , კიმ. II, 47, 10). ეა-ჳა დისიმილაციით თვლიან მიღებულად
ფორმებს: ჳ რ ი ს ტ ი ა ნ ე (← ჳ რ ი ს ტ ე ა ნ ე), კიმ. II, 46, 33; ა ნ დ რ ი ა
(← ა ნ დ რ ე ა), საქ. მოც. 1, 13; ე ნ ი ა (← ე ნ ე ა), საქ. მოც. 9, 34 და სხვა (იხ.
მ. ძ ი ძ ი შ ე ი ლ ი , ფონეტიკური პროცესები ძველ ჳართულში, თბ., 1960, გვ. 61).

კ ა ნ უ რ შ ი კი სახელთა მრავლობითი რცხვის ფორმათა აუსლაუტში ე
ელემენტის გამოვლენა (კოჩეფე „აკცები“, ობორეფე „სახლები“...), ჩვენი
აზრით, -ეფ ფორმანტის ხმოვანს უნდა მიეწეროს (С. К. Л е н ц к и й, Ак-
тивный подлож в грузинском и других картвельских языках, с. 26-27, შდრ. ნ.
მ ა რ ი, Гр. чан. №. §10 в; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სახელთა დაბოლოების ის-
ტორიისათვის სვანურში, ტსუმ. ტ. VII, გვ. 306; ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ე ა,
ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 49, 50...; თ. გ ა მ ყ რ ე -
ლ ი ძ ე, გ. მ ა ჰ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართვე-
ლურ ენებში, 1965, გვ. 165 და სხვ.).

ზმნებთან რე ნაწილაკი უნდა ჩამოყალიბებულყო ასევე რაჲ
(→რე) განსუზღვრელობითი ნაცვალსახელისაგან (რომელიც წარმო-
ადგენდა ერთგვარ მითითებას ზმნით გამოხატულ მოქმედებაზე) და-
მოუყიდებლად და იმავდროულად სახელებისა. თუმცა არც იმის შე-
საძლებლობაა გამორიცხული, რომ იგი ზმნებში შემდგომ იყოს გა-
ვრცელებული სახელებიდან. მაგრამ ის გარემოება, რომ რე ნაწილაკი
ზმნებთან გვხვდება როგორც პრევერბსა და ფუძეს შორის ჩართული,
ე. წ. ტმესის სახით (შდრ. აღ-რე-ასუბუქე, გა-რე-აფრთეთ, გან-რე-ვე-
შორე...), ისე ფუძის ბოლოს (შდრ. ავნოსრე, აღუსუბუქდის-რე, გან-
მწჷსნა-რე...), რაც საესებით ანალოგიურია რაჲ დროის კავშირთან
არსებული ვითარებისა,¹ რომელიც ჩვენი ვარაუდით ასევე რაჲ განსუ-
საზღვრელობით ნაცვალსახელს უკავშირდება,² უფრო იმის სასარგებ-

¹ სიმპტომატურია, რომ რაჲ დროის კავშირი ძველ ქართულში რიგ
თავისებურებას ამჟღავნებს დროის სხვა კავშირებთან (ვითარ, რაჲმშ, ოდეს,
ვიდრე) შედარებით, მათგან რაჲ- კავშირის გენეზისისათვის მნიშვნელოვანია ის,
რომ, თუ დროის სხვა კავშირები სისტემატურად წინ უსწრებენ შემასმენელს, იგი
უპირატესად მოსდევს მას (ვ ი თ ა რ არა პოვა... რ ა ე ა მ ს დაიძინეს..., ო დ ე ს
ესმეს... შდრ. იხილეს რ ა ჲ მოწაფეთა, განრისხნეს, მ. 26, 8; პოს რ ა ჲ იგი,
დაისუას მქართა ზედა თჷთა ლ. 15, 5...).

უფრო ძველ მოვლენად არის მიჩნეული ისეთი შემთხვევები, როცა რაჲ კავშირი
წინდებულსა და ზმნის ფუძეს შორის არის მოქცეული: და-რაჲ-სნეულდეს, ნუ ესავნ
სიცოცხლესა, იობ. 24, 23; მო-რაჲ-კუდეს, მესამესა დღესა აღდგეს, მრკ. 9, 31 (იხ.
ა რ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ერთი სინტაქსური მოვლენისათვის ძველ ქართულში,
ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959, გვ. 269-275; აგრეთვე ა.
შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., § 323; ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ზმნის ინფინიტური
წარმოების კვალი ძველ ქართულში, იყვ, IX-X, 1958, გვ. 111-116; თ.
ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ტმესი ძველ ქართულში, „მაცნე“, № 5, გვ. 130-142).

რაჲ დროის კავშირის პოზიციები ემთხვევა რე ნაწილაკის პოზიციებს ზმნებთან.
² რაჲ კავშირის ისტორიულად დადასტურებული მნიშვნელობაც — როგორც

ლოდ მიუთითებს, რომ რე-ს ჩამოყალიბება რაჲ ნაცვალსახელისაგან სახელებსა და ზმნებში ერთროულად ვივარაუდოთ.

ამ მოსაზრებას რამდენადმე მხარს უჭერს ზმნებთან თვით რაჲ, რაიმე განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების ხმარების წესიც ძველ ქართულში. მაგ.: ნუთუ მადლ-რაჲ—იპყრას მონისაჲ მის? ლ. 17, 9C; გამო-რაჲ-ვიწულილოთ ჩუენ იონადსთჳს მითხრობაჲ საქმეთა მათგან, სინ. მრ. 163, 11; ანუ და-რაჲ-აკლოს ამისგანი, სინ. მრ. 33, 1; არცაღათუ და-რაჲ-აკლდა შობასა მისსა, რასა აჭირჳ და არცა მი-რაჲ-გუხუეჳე და არცა მი-რაჲ-ვის-გულე ხელთაგან ჩუენთა, მეფ. I, 12, 4 ოშ.; არცა შე-რაჲ-გირაცხიეს, რამეთუ უმჯობეს არს ჩუენდა, იოვ. 15, 50C; გან-რაჲ-მე-აჩინოს პირითა თჳსთა ბოროტისა ყოფაჲ, ლევიტ. 5, 4; და-რაჲმე-იმჭირა მისგან თავისთჳს თჳსისა, პატერ. VI, 1, 5; მო-რაჲმე-იტაცოს, ვიდრე განსლვამდე მისა, ბალავ. 8, 18... შდრ. ამავე პოზიციაში რე ნაწილაკის ხმარების შემთხვევები: აღ-რე-სცხრა, მი-რე-ეახლა და მისთ. (სათანადო კონტექსტები იხ. ზემოთ).

ზმნებში აღნიშნული პროცესი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: *და-რაჲ-აღრმო // დააღრმო-რაჲ → და-რე-აღრმო // დააღრმო-რე. ნიშნავს 'დააღრმაჳ' → 'შკირედ, ოდნავ დააღრმაჳ' და მისთ.

მოდრობა-გადაადგილების სემანტიკის მქონე ზმნებში: გან-რე-ვიდა, და-რე-ჳდა, და-რე-ადგრა და მისთ. რე ნაწილაკი ასევე უნდა აღნიშნავდეს სიმცირეს, ოდნობას ოღონდ დროისას, მომენტალურ მოქმედებას. გან-რე-ვიდა ნიშნავს 'როგორც კი გავიდა', 'გავიდა თუ არა' (შდრ. დროის კავშ. გან-რაჲ-ვიდა...). და-რე-ჳდა ნიშნავს 'როგორც კი დაჳდა, დაჳდა თუ არა' (შდრ. დროის კავშ. და-რაჲ-ჳდა...) და სხვა.

ამ ტიპის ზმნებში რე ნაწილაკისა და რაჲ დროის კავშირის მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა.³

კი, თუ არა, როცა განუთარებელი ჩანს რაჲ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის სემანტიკიდან: რაჲ 'რაიმე, რაღაც' → 'შკირე, ცოტა' → 'სიმცირე დროში, მომენტალურობა', (შდრ. გ. როგავა, დასახ. ნაშრ., გვ. 371; შ. ძი ი ი გ უ რ ი . დასახ. ნაშრ., გვ. 435-436; ბ. ცხადაძე, „რა“ კავშირით გამოხატული დაქვემდებარების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1982, გვ. 14-15)7.

³ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არ არის მთლად გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ იმ მაგალითებში, სადაც რე სიმცირის, ოდნობის აღმნიშვნელად

ბოლოს განვიხილოთ რე ნაწილაკის მეორე მნიშვნელობა — მისი ზმნისართული ფუნქცია დიაქრონიული თვალსაზრისით.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ადვირბული ფუნქცია რე ნაწილაკს აქვს ჩვენებით ნაცვალსახელებზე დართულს ესრე, ეგრე ზმნისართებში. ხსენებული ზმნისართები ძველ ქართულში იხმარება მოქმედებითი ბრუნვის გაქვევებული ფორმითაც მავრცობი ხმოვნის გარეშე: **ესრეთ / ესრით, ეგრეთ / ეგრით**. ამ ფორმებშიც რე ნაწილაკი რაჲ ნაცვალსახელისაგან უნდა იყოს მიღებული იმავე ფონეტიკურ გარემოცვაში, ამაჲრად — ა ბოლოკიდური ხმოვნის შერწყმით მოქმედებითი ბრუნვის **მთ** სუფიქსის **ჲ** ხმოვნით ელემენტთან.¹ **ესერა-მთ²→ესრეთ, ეგე-რა-მთ→ეგრეთ**.³ ეტიმოლოგიურად **ესრეთ** ნიშ-

არის მიჩნეული (შდრ. მახვლი-რე, კიდრ-რე, უმჯობესი-რე, ქუმორ-რე, ავნოს-რე, განმწუნსა-რე, აღ-რე-ასუბუქე, და-რე-სცხრა...), ვიგულისხმობთ, რაჲ გ ა ნ უ ს ა ზ ღ ე რ ე ლ ო ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ის მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა რაიმე, რაღაც ყოველგვარი სემანტიკური ცვლის გარეშეც.

¹ როგორც ცნობილია, რა ნაცვალსახელს ბოლოკიდური ხმოვანი ძველ ქართულში არ ეკვეცება ნათესაობითსა და მოქმედებითში გვაქვს რაჲმა და რაჲმა.

ნაცვალსახელს რაჲ შესაძლებელია ერთვოდეს მეორე ნაცვალსახელი (რესპ. ნაწილაკი) გარკვეული დანიშნულებით (მეტი კონკრეტულობის, სიზუსტის გამოსახატავად და სხვა), ამის მაგალითებს ძველი ქართული იძლევა (შდრ. რომელი-იგი, რაჲ-იგი...).

³ **ესრით, ეგრით** ზმნისართებში მ მონოფთონგი უნდა იყოს, იგი ე ხმოვანს უნდა გადმოსცემდეს, **ესრით, ეგრით** ფორმები წარმოქმნილი ჩანს ე და მ გრაფემათა აღრევის შედეგად ისევე, როგორც **ესრით, ეგრით** (შდრ. მე **ესრით** ჯონებ, ლ. 7, 43 E; არა კეთილ არს, თუ არცა **ესრით** იყოს, არცა **ეგრით**, სახისა სტყ. 32, 26; **ეგრით** არს, ვითარცა სთქუ (კიმ. II 47, 32...)). **ესრით, ეგრით** ადვირბებში მ-ს მონოფთონგად მიიჩნევენ: ა. შ ა ნ ი ძ ე (იხ. ქართული გრამატიკა, 1930, გვ. 7; მ ი ს ი ვ ე, სინური მრავალთავი, თბ., 1958, გვ. 303); ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი (იხ. შატბერდის კრებული, თბ., 1979, გვ. 53) და სხვები. განსხვავებული თვალსაზრისისათვის იხ. გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 21, 38; ა რ . მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 262; ი ვ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სინური მრავალთავი, თბ., 1975, გვ. 19 და სხვა.

იშეათად ხმარებული ფორმები: **ესრემთ** (იხილეს იგი **ესრემთ** მონათა მისთა, საკითხ. წიგ. II 27, 10...), **ეგრემთ** (და ყო ეგრემთ ორგზის, მ. ცხ., 156, 6...), **ეგრემთ** (და ყო ნოვე ე გ რ ი თ, კალ. ლექც. 125, 6-7ა. მაგალითი ამოღებულია ზ. სარაჯველაძის ნაშრომიდან: ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 279). **ესრედ** (ე ს რ ე დ ვჰგონებ, ვითარმედ მოწაფმ შემოვიყვანე სახიდ ჩემდა, კიმ. I 117, 30...), **ეგრედ** (ვერვინ შეუძლეს ხილვად და წარვიდეს ე გ რ ე დ, კიმ. I, 245, 9...), მცდარი დაწერლობის შედეგია, რაცას თავისი ახსნა აქვს (მ. ჯ გრაფემების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ დაწვრილებით იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, მასალები მ-ს ისტორიისათვის, სადისერტაციო ნაშრ., თბ., 1944; მ. ძ ი ძ ი შ ვ ი ლ ი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960,

ნავს 'ამ რაიმედ', 'ამნაირად', 'ამ სახით'; ეგრეთ 'შაგრაიმედ', 'შაგ სახთ', 'შაგნაირად'...

ისტორიულად ადვერბული მნიშვნელობა ესრეთ / ესრე, ეგრეთ / ეგრე ზმნისართებისა დაკავშირებული უნდა იყოს არა რენაწილაკთან (წარმოშობით ფონეტიკურად სახეცვლილ განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთან), არამედ მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთან.⁴ მას შემდეგ, რაც ესრეთ, ეგრეთ ტიპის ზმნისართებში რენელემენტის თავდაპირველი სახე და მნიშვნელობა დაიჩრდილა და ისინი მოქმედებითის გაქვავებულ ფორმებად იქცნენ, რენიქნა კვალიფიცირებული ზმნისართულ ნაწილაკად. რენ-ს ამგვარ გააზრებას ხელს უწყობს შემდეგში აუსლაუტში ბრუნვისნიშნისეული თ თანხმოვნის დაკარგვა.⁵

ეს პროცესი — ბოლოკიდური თანხმოვნის მოკვეთა, უძველეს ქართულში ჩანს დაწყებული.⁶

ძველ სამწერლო ენაში ესრეთ, ეგრეთ ფორმათა გვერდით ფარ-

გვ. 8-28, 46-50; ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 259, 276-291 და სხვა).

⁴ მოქმედებითი ბრუნვის აღნიშნული ფუნქცია — ვითარების გამოხატვა კარგად არის ცნობილი ძველ ქართულში. სპეციალისტების აზრით მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციებიდან ძირითადი და პირველადი ვითარების აღნიშვნაა (თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართულურ ენებში, თბ., 1956, გვ. 416-419; ივ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 199-203 და სხვა).

იყო შესაძლებელი ამგვარად ინტერპრეტირებული რენ ზმნისართული ფუნქციით, რომელიც მას ჩამოუყალიბდა ჩვენებით ნაცვალსახელებთან. შემდგომ დართოდა მეტყველების სხვა ნაწილებსაც. ხუაშიადად-რენ, სრულეებით-რენ და მისთ. შესაძლოა ამის ილუსტრაციას წარმოადგენდეს.

⁶ ბრუნვისნიშნისეული თანხმოვნითი ელემენტის დაკარგვა აუსლაუტში არ ჩანს უცხო ძველი ქართლისათვის. საყურადღებოა, რომ ვ. თოფურიას ვარაუდით ვითარებითი ბრუნვის ა ფორმანტი სალოცველა, სადიღებულა ტიპის სახელებში წარმოდგარია ად სუფიქსისაგან, რომლის დ ელემენტი დაკარგულია ფონეტიკურ ნიადაგზე (იხ. მისი, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში", სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართულურ ენებში, თბ., 1956, გვ. 32) ასეთივე აზრისა ამ რიგის ფორმების შესახებ ბ. გიგინეიშვილიც (იხ. შატბერდის კრებული, თბ., 1979, გვ. 58).

ვითარებითი ბრუნვის დ ელემენტს დაკარგულად თვლიან აქედ კაცისა ტიპის სახელებში მ. ძიძიშვილი (იხ. მისი „ნანათესაობითარი ვითარებითი ძველ ქართულში", სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართულურ ენებში, თბ., 1956, გვ. 23); ივ. იმნაიშვილიც, სვანური მრავალთავი, თბ., 1975, გვ. 53 და სხვა.

თოდ არის გავრცელებული მათი ფონეტიკურად გამარტივებული, თ-თანხმოვანდაკარგული ვარიანტები — **ესრე, ეგრე**. საშუალ ქართულში ამგვარ ფორმებს კიდევ უფრო მეტი გასაქანი ეძლევა და მთლიანად გაბატონებულია ახალ ქართულში.

ამასთან ერთად გარადამავალი პერიოდის სამწერლო ენაში, როგორც ცნობილია, თავს იჩენს ჩვენებით ნაცვალსახელთა ფუძეებისაგან ნაწარმოებ ზმნისართთა ახალი წევრები და ვილებთ როგორც **ხ-ს**, ისე **გ-ს** რიგის სამწვერიან სისტემას **ა, ე, ი** გახმოვანებით.

გარდა ამისა საშუალ ქართულში **ხ-ს** რიგის ზმნისართებში ხდება კიდევ ერთი ფონეტიკური ხასიათის ცვლილება. **ხ-ს** მომდევნო პოზიციაში იკარგება **რ** სონორიკ ასე←**ასრე** (←**ასრეთ**), **ესე←ესრე** (←**ესრეთ**), **ისე←ისრე** (←**ისრეთ**).¹ ამ აღვერბებში მაზმნისართებელ ელემენტად გვევლინება მხოლოდ **ე** ხმოვანი, **ე** ხმოვნის საშუალებით ხორციელდება მათი (ზმნისართების) ფორმოზღვივ-სემანტიკური დაპირისპირება სათანადო ჩვენებით ნაცვალსახელებთან. შდრ. **ეს** (ნაცვალ.)) **ესე** (ზმნ.), **ის** (ნაცვ.) — **ისე** (ზმნ.).² **გ-ს** რიგის ზმნისართებში **რე** ნაწილაკი უცვლელად არის შემონახული.³

საშუალ ქართულში **ხ-ს** რიგის ზმნისართებია: **ასრეთ / ასრე / ასე, ესრეთ / ესრე / ესე, ისრეთ / ისრე / ისე**, **გ-ს** რიგისა: **აგრეთ / აგრე, ეგრეთ / ეგრე, *იგრეთ / იგრე**.⁴

ნიმუშები საშუალი ქართულის ძეგლებიდან:

ასრეთ: ა ს რ ე თ ვარქვი, რომ „ხელმწიფესა... რომ ამდენი ჭირი უნახავს, იგი არა კმარა? თეიმ. II, თიმს. 155, 19.

¹ **ხ-ს** რიგის ზმნისართებში **რ-ს** დაკარგვის პროცესს წინ უსწრებს სათანადო ჩვენებით ნაცვალსახელებში, ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეთის პროცესი **ეს←ესე; ის←ისე**. ამდენად მეტყველების ამ ორ ნაწილს შორის ფორმის მხრივ განსხვავება შენარჩუნებული იქნა შემდგომად, როცა **ესე** ნაცვალსახელს **ე** მოეკვეცა **-ეს**, ხოლო, **ესრე** ზმნისართში **რ** დაიკარგა — **ესე** (იხ. ა. რ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 127).

² შდრ. ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

³ საყურადღებოა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ამ ზმნისართთა მომქედებით ბრუნვის ფორმით ხმარების არც ერთი შემთხვევა არ დსტურდება. გვხვდება **ასრე, ისრე, აგრე, ეგრე** ფორმები (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, თბ., 1956).

⁴ შემთხვევითი უნდა იყოს, რომ **იგრეთ** ზმნისართი საშუალი ქართულის ძეგლებში ვერ დავადასტურეთ. **იგრე** ვარიანტი გვხვდება „რუსულდანიანში“, თანამედროვე დიალექტებიდან — კახურში, ინგილოურში, ფერეიდულში...

- ასრეთი⁵ ზრიალი იდგა და სიხარული, რომე კაცი შე-
სცდებოდა, რუს. 49, 10; ერთი თერგი ასრეთი უნდა
იყოს, სინისა ჩამოსხმული ბრტყელი, ზეთ. 199, 21.
- ასრე: ასრე ფიცხლად წავიდა, რომელ მტუერსა მისსა ნიავე ვერ
მიეწეოდა, ვისრ. 45, 12; უთხრა: „აბა, ლომო ჩემო, ოდეს
დამეჭიროს, ასრე შენ მიშველეო, ამირ.-დარ.; 126, 3;
მერმე ზეპირად დევსა ასრე უბრძანა, შაჰნ. II, 370, 13.
- ასე: აწ ასე მომდებია გულსა ცეცხლი, ვითა თუით იცი, ვისრ. 252,
28; ნიშადურს, რაც ბევრჯერ ასე უზამ, ისე სჯობს, ზეთ.
81, 9;
- ესრეთ: გულითა დამწურითა ესრეთ საბრალოდ მოსთქემიდა,
ვისრ. 224, 9; ჩვენსა საქმესა ბოლო მოელო და ესრეთ
გავმხიარულდი, შაჰნ. II 432, 8;
ესრეთ განმხნობილი იოანე აღსდგა, ბებერი დალოცა,
კალმ. I, 17, 20;
- ესრე: შაჰინშა... ესრე გაწყრა, რომელ მოკლვასა ჰლამობდა,
ვისრ., 109, 3.
ესრე ნათობდის, რომე წიგნი დაიწერებოდის, ამირ.-დარ.
200, 2;
ესრე დაკაზმული იყო ჯარი, რომე ცეცხლივით ნათობდა,
რუს. 393, 35.
ფქუილი, ნაცარი, ფშატი ესრე ჰყო, სამკ. წ. კარაბ., 145,
6;
ესრე ძნელი გესლი აქვთ და ერთმანეთსა არა ავნებენ, სა-
ბა II, 53, 16.
- ესე: დიღხანს მოკლობილნი იყვნეს ესე, რუს. 102, 2;
სამ დღემდინ ესე იქმოდეს, წიგნ. სააქიმ. 121, 20.
- ისრეთ: ისრეთ გამოიარნეს დედოფალთა და წინათ მავრიდ მო-
უძღვებოდა, რუს., 114, 5;
ხუადმა დევებმა ისრეთ განიზრახეს, ჰაერსა აღვიდეთ და
იქიდამ ქუა დაუშინოთ, შაჰ.-ნ., III, 368, 2.
- ისრე: ესრე დიდი ჰელმწიფე, ვითა შაჰი მოაბად იყო, ისრე საბრა-
ლოითა საქმითა მოკუდა, ვისრ., 292, 38;
ადუდე, ვიდრემდის ასრე შესქელდეს, ვითა თხელი თაფლი

⁵ ასრეთი ნაცვალსახელი აღმოსავლად ასრეთ ზმნისართს გულისხმობს.

ი ს რ ე , სამკ. წ. კარაბ. 233, 27;

ვითა შვილსა, ი ს რ ე მიყურებდა, რუს. 161, 31;

რაც მეფეს და ქართლს უჯობდა, ყველაჟი ი ს რ ე ვჰქენით,
დიდმოურ. 77, 2.

ისე: შენ როგორც გირიგებია, ი ს ე არიგე, რუს. 197, 33;

ჯინჯილებით შევკრათ..., ი ს ე სჯობს, შაპ.-ნ., III, 338, 36;

სიბრძნეს ვერ სწორავს ვერარა; არც ი ს ე მოსახმარია, არჩ.,
საქ. ზმ., 73, 1.

აგრეთ-ვე: აქამდი შაპრო ჩემად დედად მიჩნდა, ა გ რ ე თ ვ ე ვირო
ჩემად ძმად, ვისრ. 4 ტ, 28-29;

ა გ რ ე თ ვ ე მონასტრის ყმის ბაჟი იყო ნაპატიები, რო-
გორც ოქმი უცხადებს, ქართ. სამართლ. ძეგლ. III, 1097, 3
(1908 წ.).

აგრე: დიდხანს ა გ რ ე უსულო-ქმნილი იდგა, ვისრ. 62, 1;

ა გ რ ე ვისგან შეგშინებიათო? მელ. წ. 60, 15;

ერისთვის სიკუდილი ვით აროდეს კადრებულა, ა გ რ ე ნუმ-
ცა ვისგან იკადრების, ძეგლ. დიდ. 104, 22.

ეგრეთ: წავედით მუნით და ვიარეთ ცოტა ხანი ე გ რ ე თ , ამრ.
დარ., 425, 8;

ვითა სანთელნი, ე გ რ ე თ ნათობდენ ბნელსა ღამესა, რუს.
95, 6;

ვითარცა გენებოს, ე გ რ ე თ იქცეოდე, ლუარს. მარტვ. 410,
44.

ეგრე: ვითა მოყუარულისა მშობლისა წესია, ე გ რ ე დაუწყო კაზმა,
ვირს. 40, 9;

კურნებად მისი ე გ რ ე იქნების, წიგნ. სააქ., 82, 4;

ვერაგინ შეიტყვის, ე გ რ ე მოარჩინიან, შაპნ. II 376, 26.

ვითა გამზდელსა შენსა, ე გ რ ე მას უსმინეო, რუს. 407, 2.¹

¹ საყურადღებოა, რომ ა გ რ ე, ა ს რ ე, ა ს ე, ი ს ე ზმნისართები გვხვდება XI საუკუნის საერო ხასიათის ძეგლში — „უსწორო კარაბადინში“. მაგალითები:

ნურას გაურევე, ა გ რ ე შეასუით, 183, 34; შორს დაჯე...; ა გ რ ე შეეციოთხე, 5, 21; ა გ რ ე ვ ე ქაფურისა მალამა კუერცხისა გულშიგა გაურივეთ, 248, 10; თუ ა ს რ ე თქუას, დამაშუნდა კარგადაო, სხვაცა მიეციო, 6, 1; ნიადაგ ა ს რ ე უნდა, რომე მუცელშიგა რბილათ იყოს, 185, 6; ა ს რ ე ღვინისაგან მკუდარი ბევრი ნახულა, 459, 2; ჩანთქი ა ს ე, რომ კბილს ნუ დაადგამ, 201, 35; საჰმელად ღვინოშიგა ბური ჩაუყარე და ი ს ე აჰამეო, 322, 27.

აღსანიშნავია ისიც, რომ სინურ მრავალთაგანში დასტურდება ი ს ე ვ ი თ ა რ ი

იგრე: რად ი გ რ ე გასულხარ, ხელმწიფეო? რუს. 61, 20.

ყველა ეს ზმნისართი, როგორც ხ-ს, ისე გ-ს რიგის სამეულები იხმარება ახალ ქართულშიც, მაგრამ მხოლოდ მათი ბოლოკიდურ (ბრუნვის . ნიშნისეულ) თ-თანხმოვანდაკარგული ვარიანტები, ხოლო ხ-ს რიგის ზმნისართები — კიდევ უფრო გამარტივებული სახით — ხ-ს მომდევნო რ სონორის გარეშე: ახე, ესე, ისე, აგრე, ვგრე, იგ-რე (ეს უკანასკნელი დიალექტური ფორმაა).

ამგვარად, ახალ სალიტერატურო ქართულში ჩვენებით ნაცვალ-სახელთაგან სათანადო ზმნისართები იწარმოება რე/ე ნაწილაკებით. მათი პოზიციები განსხვავებულია, რე გვხვდება გ-ს რიგის ზმნისართებში: ე—ხ-ის რიგისაში (ეგრე, ესერე...). ძველ ქართულში ამავე დანიშნულებით რეთ/რე ელემენტები გვაქვს. ისინი თავისუფლად მონაცვლეობენ ერთმანეთთან (ესრეთ / ესრე). საშუალ ქართულში კი ამ ფუნქციით სამივე ვარიანტი გვევლინება: რეთ/რე/ე, ე- მხოლოდ ხ-ს რიგის ზმნისართებში (ეგრეთ / ეგრე შდრ. ესრეთ / ესრე / ეს-რე).

თუ შევჯამებთ ზემოთქმულს, შეიძლება დავახკვნათ: ძველ ქართულში რე ნაწილაკი ძირითადად იხმარება ორი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მნიშვნელობით, სახელდობრ, 1. რე სიმცი-რის, ოდნაობის აღმნიშვნელი ნაწილაკია, ნიშნავს ოდნავ, ცოტა, მცირედ; 2. რე ზმნისართული ნაწილაკია, გამოხატავს ხახვს, გვა-რობას, ნაირობას

რე ნაწილაკის აღნიშნული მნიშვნელობები ვლინდება სხვადას-ხვა, ურთიერთგამომრიცხავ პოზიციებში. კერძოდ, რე ნაწილაკი ოდ-ნაობის, სიმცირის მნიშვნელობით გვხვდება მეტყველების თითქმის ყველა ნაწილთან, გარდა ჩვენებითი ნაცვალსახელებისა (კიდერე, ხუ-

ფორმა, რაც ი ს ე ზმნისართის არსებობას გულისხმობს. მაგ.: ვერ მოპოვნებელ იყო ი ს ე ვ ი თ ა რ ი ს ა თ ე ი ს გამოცნისას, 42, 27.

სინური მრავალთავის ტექსტში ი ს ე ვ ი თ ა რ ი ფორმის დადასტურება და XI საუკუნის ზემოთ ხსენებულ ძეგლში ა ს რ ე . ა ს ე , ი ს ე ფორმების გამოვლენა აშკარას ხდის, რომ ძველი სამწერლო ქართლის ჩვენებით ნაცვალსახელთაგან ნაწარმოებ ზმნისართთა ნაკლები სისტემა (მხოლოდ ორი წევრით — ე ს რ ე თ . ე გ რ ე თ) ცოცხალ ხალხურ მეტყველებაში სრულიად იყო წარმოდგენილი, რაც ისედაც იყო სავარაუდებელი მომდევნო საუკუნეების ძეგლების მონაცემთა მიხედვითაც და რომ ხ-ს რიგის ზმნისართებში რ-ს დაკარგვა ხ-ს მომდევნო პოზიციასში ცოცხალ მეტყველებაში ადრეულ ეპოქაშია სავარაუდებელი.

აშიადად-რე, ძნიად-რე, კეთილად-რე, უგრილე-რე, უმცრო-რე, ავნოს-რე, განმწყსნა-რე, და-რე-აღრმეთ, და-რე-სცხრა, აღზრდად-რე, და-რე-ყოვნებად, განშორებულად-რე, მო-რე-წვევულ, ქუემო-რე, წინა-რე...).

რე, როგორც ზმნისართული ნაწილაკი, ძირითადად, დასტურდება ჩვენებით ნაცვალსახელებთან. ამ პოზიციაში იგი თავისუფლად მონაცვლეობს რეთ ელემენტთან. ძველ ქართულში ამგვარ ზმნისართთა მხოლოდ ორი ერთეული გვხვდება: **ესრე / ესრეთ, ვგრე / ვგრეთ (ესრით / ვგრით** ფორმები წარმოქმნილია გრაფიკული მონაცვლეობის ნიადაგზე ისევე, როგორც **ესრმ, ვგრმ**). საშუალოსა და ახალ ქართულში მათი რიცხვი ექვსამდე აღის: **ასრე, ესრე, ისრე, აგრე, ვგრე, იგრე** (ეს უკანასკნელი დიალექტური ფორმაა).

რე ნაწილაკის აღნიშნული მნიშვნელობები (1. სიმცირე, ოღნაობა 2. სახე, ნაირობა) დიაქრონიულად ერთ მნიშვნელობაზე დაიყვანება.

ჩვენი ვარაუდით, რე ნაწილაკი ისტორიულად წარმოქმნილი უნდა იყოს უძველეს ქართულში, მის დასავლურ დიალექტურ არეალში **რამ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი** საგან გარკვეულ პოზიციაში **ამ** ხმოვანთა კონტრაქციის (შერწყმის) შედეგად: **რამ→რე** (*და-რამ-აღრმო → და-რე-აღრმო...), **რამთ→რეთ** (*ესე-რამთ → ესრეთ...). რე სამწერლო ქართულში ამ დიალექტური წრის შემონატანი ჩანს.

რამ განსუზღვრელობითი ნაცვალსახელის დართვისას, ერთი მხრივ, სახელებსა, ზმნებსა და ზმნისართებზე, მეორე მხრივ, ჩვენებითი ნაცვალსახელების ფუძეებზე (მოქმედებითი ბრუნვის ფორმაში) გარკვეული სემანტიკური ცვლით უნდა იყოს მიღებული რე ნაწილაკის ისტორიულად დადასტურებული მნიშვნელობები. სახელდობრ, *და-რამ-აღრმო (→და-რე-აღრმო) ეტიმოლოგიურად უნდა ნიშნავდეს: 'დააღრმავა რაღაც' → 'მცირედ, ოღნავ დააღრმავა'. ასევე: *ესე-რამთ (→ესრეთ) ნიშნავს — 'ამ რამესავით' → 'ამნაირად', 'ამგვარად' და მისთ. (**რამ** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის სემანტიკა **რამმე, რაღაც** ჩანს ამოსავალი დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების **რამ** კავშირის მნიშვნელობისთვისაც: როგორც კი, თუ არა, როცა).

ისტორიულად **ვგრეთ / ვგრე** ტიპის ზმნისართთა აღვერბული მნიშვნელობა დაკავშირებული უნდა იყოს არა რე ნაწილაკთან, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მიღებული, არამედ მოქმედე-

ბითი ბრუნვის ფორმასთან, **ესრე, ეგრე...** მეორეული, ფონეტიკურად გამარტივებული ფორმები ჩანს, მიღებული მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის **თ** თანხმოვნითი ელემენტის დაკარგვის შედეგად აუსლაუტში მას შემდეგ, რაც **ესრეთ, ეგრეთ...** მოქმედებითის გაქვევებულ ფორმებად იქცნენ (ეგრეთ → ეგრე, ესრეთ → ესრე...). ამ გზით მიღებული **რე** (→**რეთ**) შემდეგ იქნა გააზრებული ზმნისართულ ელემენტად.

ახალ ქართულში პროცესი კიდევ უფრო შორს მიდის. ხ-ს რიგის ზმნისართებში (ხ-ს მომდევნო პოზიციაში) იკარგვის **რ** სონორიც. მაზმნისართებელ ნაწილაკად მხოლოდ **ე** ხმოვანი გვევლინება (შდრ. ის—ისე, ეს—ესე...), გ-ს რიგის ზმნისართებში **რე** უცვლელად არის შეონახული (შდრ. აგრე, ეგრე, იგრე). ამგვარად, ახალ ქართულში ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუძეებისაგან ნაწარმოებ ზმნისართებში აღვერუბლი ფუნქციით **რე/ე** ნაწილაკები გვაქვს ძველი ქართულის **რეთ/რე** ელემენტების ფარდად. საშუალ ქართულში ამ დანიშნულებით სამივე ვარიანტი გვხვდება **რეთ/რე/ე** (ესრეთ / ესრე / ესე...).

ტბორე ფუძის აგებულებისათვის*

ტბორე თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აღნიშნავს მცირედ ჩაღრმავებულ ადგილას დამდგარ წყალს, წუმპეს (ქეგლ); აღნიშნული ფუძე ახალ ქართულში გვხვდება **ტბორი** სახითაც. თანამედროვე სალიტერატურო ენაში უფრო გავრცელებული ეს უკანასკნელი ჩანს. რამდენიმე ნიმუში:

ტბორე: დაღუღებული იდგა ქანჭრობი, ტალახის ტბორე პირდაუხანგული (გ. ლეონიძე); სიცივეები დაეჭირა; სრუტე, მდინარე, ტბორე და გუბე გაყინულიყო (ა. გალდ.); ტივი ტბორე¹ ადგილას ნელა მიცურავდა (ა. ხახუტ.) და სხვ.

ტბორე ფორმა დასტურდება დ. გურამიშვილთან: „გამოესალმნენ მეფესა ქართველნი მუხლზედ ხვევითა, წინ დაუყენეს ტბორენი ცხელის ცრემლისა ნთხევითა“ (დ. გურამ.). საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი მხოლოდ ტბორე ვარიანტს იცნობს. მას იყენებს სხვა სიტყვათა განმარტების ტექსტშიაც: „**ტბორე** ავი გუბე ან ცუდსა მცირესა ტბათაგანსა [უწოდენ] ტბორესა“, შდრ. **გუბე** ფოსო, გინა წყლის ტბორე“.² ხსენებულ ფორმას იმოწმებენ ნიკო და დავით ჩუბინაშვილები: **ტბორე** ცუდი გუბე, *лужа, лужица*;³ **ტბორე** ცუდი გუბე ან ჭაობი, *лужа, болото*.⁴

ტბორი: ნაქალაქარზე დგას სისხლის ტბორი (ანა); გამჭვირვალე ტბორი ლივლივებდა (რ. ჯაფ.); განაბული ჩაგცქეროდი ფშის დიდ ტბორს (რ. ინან.); შუაგულ შუკაში ტბორები იდგა ნაწვიმარზე დაგროვილი (კ. გამსახ.).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აღნიშნულ ფუძეთაგან იწარმოება ზმნურ ფორმათა მთელი წყება: ტბორავს, იტბორება, დატბორავს, დაატბორებს, დაიტბორება, დატბორდება, დატბორილი, შეატბორებს და სხვა. არ ჩანს, რომელია მათთვის ამოსავალი —

* წაკითხულია მოხსენებად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLIX სამეცნიერო სესიაზე 1991 წლის 17 დეკემბერს. პირველად გამოქვეყნდა ურნალში „იკე“, XXXII, 1993.

¹ აქ ტბორე გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი.

² სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1966, გვ. 138, 178, 392.

³ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., 1961, გვ. 377.

⁴ დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, გვ. 1217.

ტბორ ფუძე, თუ **ტბორე**. როგორც ცნობილია ა, ე ხმოვანფუძიან აახელებს ზმნურ ფუძედ გამოყენებისას ზოგჯერ ბოლოკიდური ხმოვანი ეკვეცებათ (შდრ. შიწა — დაამიწებს, დამიწდება: მწიფე — დაამწიფებს, დამწიფდება; ღობე — შეღობავს, შეიღობება; ძვ. ქართ. ღრმა — დაღრმო, დაღრმდა; ბრმა — დააბრმო, დაბრმდა; მწნე — ვანამწნო, განმწნდა...).

ძველ სალიტერატურო ქართულში ლექსემა **ტბორე** გვხვდება იმავე მნიშვნელობით — გუბე. დასტურდება მისი სხვადასხვა ვარიანტი: **ტბორ-ი**, **ტბოვრ-ი**, **ტბორე**, **ტბურე** || **ტბურ-ი**. ნიმუშები:

ტბორ-ი: მუნქუესვე მოილო რტოჲ ძეწისისაჲ და გარდაასხვა ტ ბ ო რ ე ბ ი იგი წყალთაჲ (კიმ. II, 115, 21); მოვიდის მერმე, გარდაუტევის და დასწმედნ წყალსა მას ქჷმასა ზედა და ტ ბ ო რ ა დ - ტ ბ ო რ ა დ განწმედილსა მას დაჰკრებდა (კიმ. I, 115, 6).

ტბოვრ-ი: იმღერდა იგი წარსავალსა თანა წყალთა და ნაკადულთასა, მოზღუდვიდა და შეაყენებდა და იქმოდა ტ ბ ო ვ რ ე ბ ს ა (სიყრმ. უფლ., A—95, 568, 17).⁵

ტბორე: წუერთა ზედა მათათსა ტ ბ ო რ ე ნ ი გარდამოეცემიან, მღინარენი მალლისაგან კლდისა, რათა მორწყვიდეს ქუეყანასა (ეზრა III ივ. 61).

ტბურე: მივიდის, პოვის ტ ბ უ რ ე თივოვანი, ანუ თუ სადა ბზმ ძენ, ინგორის (ფიზ. 20, 5b 228).⁶

ისიმი სიტხვა: რომელია ამ ფორმათაგან ამოსავალი — ფუძის

⁵ ხელნაწერში გარკვევით იკითხება ტ ბ ო ვ რ ე ბ ს ა . ეს ფორმაა შესული ა. შანიძის მიერ გამოცემულ ტექსტში (იხ. თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი და გაუგებარი ადგილები, თსუ შრ., ტ. XVIII, 1941, გვ. 36, 2). ტ ბ უ რ ე ბ ს ა , რომელიც გვხვდება აღნიშნული ძეგლის ქ. კეკელიძისეულ გამოცემაში (იხ. კიმ. I, 115, 5), ალბათ, გამოცემლის გასწორებაა.

⁶ ნ. მარისეულ წაიკთხვას — ტ ბ უ რ ე მხარს უჭერს მ. კაბაშვილი, რომელმაც აღნიშნული ძეგლი საგანგებოდ შეისწავლა (იხ. „მკვცთათჷს სახისა სიტყუაჲ“-ს ლექსიკონი, სადისერტაციო ნაშრ. ფილოლ. მეცნ. კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1950, გვ. 106). ნ. მარის გამოცემიდან აქვს დამოწმებული ტ ბ უ რ ე ფორმა ილ. აბულაძეს „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“.

ივ. იმნაიშვილის მიერ გამოცემულ „მკვცთათჷს სახისა სიტყუაჲ“-ს ტექსტსა და ტექსტს დართულ ლექსიკონში ტ ბ უ რ ი ფორმა გვხვდება (ქართ. ენის ისტ. ქრესტ., ტ. I, ნაწ. I, 1970). ბ. გიგინეიშვილსაც აღნიშნული ფორმა მიაჩნია მართებულად (იმ არგუმენტით, რომ -ურე სუფიქსი ქართულში არ არსებობს) და ამ სახით შეაქვს იგი ხსენებული ძეგლის ტექსტში („მატბერდის კრებული“, თბ., 1979, გვ. 51, 183). ჩვენი აზრით „მკვცთათჷს სახისა სიტყუაჲ“-ს ხელნაწერის სათანადო ადგილას ტ ბ უ რ ე უნდა იკითხებოდეს (-ურე დაბოლოების შესახებ ჭკვირთ).

ა-ხმოვნიათ ვარიანტი ტ ბ ო რ , თუ უ-ხმოვნიათ — ტ ბ უ რ , ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ფუძე — ბოლოკიდური ე ხმოვნით — ტ ბ ო რ ე / ტ ბ უ რ ე , თუ ამ ხმოვნის გარეშე — ტ ბ ო რ / ტ ბ უ რ ?

მონაცვლეობა ო-უ: ტ ბ ო რ / ტ ბ უ რ გრაფიკულია, თუ ფონეტიკური?¹

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით აღნიშნული ფუძის უ-ხმოვნიათ ვარიანტი — ტ ბ უ რ ე მხოლოდ ერთხელ დასტურდება ძველ ქართულში,² ო ხმოვნის შემცველი (ტ ბ ო რ ე) — ოთხჯერ. ტ ბ უ რ ე გვხვდება „მკვეცთათჳს სახისა სიტყუაჲ“-ს ტექსტში: პოვის ტბურე თიჯოვანი (ფიზ. 23, 54b, 228).³

ფიქრობთ, ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს ძველი ქართული სამწერლო ენის ისტორიიდან კარგად ცნობილ მოვლენასთან — ო ~ უ გრაფიკულ მონაცვლობასთან.⁴ ეს მოვლენა საერთოდ არ ახასიათებს „მატბერდის კრებულში“ შემავალ ძეგლებს, მათ შორის „მკვეცთათჳს სახისა სიტყუაჲ“-ს ტექსტსაც ისევე, როგორც სხვა არა ერთ ძეგლს ძველი ქართული სალიტერატურო ენისას.⁵ მაგალითები

¹ შედარებით ადვილად შეიძლება აიხსნას ტ ბ ო ვ რ ე ფორმა. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით იგი ფიქსირებულია მხოლოდ ერთხელ „სიტყუაჲ უფლისაჲ-ს“ ტექსტში (კ. კეკელიძე მას თავის გამოცემაში ტ ბ უ რ ი ფორმით ცვლის, იხ. კომ. 1). ტ ბ ო ვ რ ი -ში გ, თუ იგი ძველი ქართულისათვის რეალური ფორმაა და არა შემთხვევითი, მიღებული გრაფიკული აღრევის შედეგად (რაც უფრო სავარაუდოა), ფონეტიკური ჩანართი შეიძლება იყოს.

² ბ. ცხადაძის ვარაუდით ვ აღნიშნულ ფუძეში მ ტ ბ ე ვ ა რ სიტყვის ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი (იხ. ნ. მ ი ს ი ი, ორ სუფიქსი ქართულში, ხელნაწერი).

³ გათვალისწინებული გვაქვს ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და „რუსთაველის კომისიაში“ დაცული ძველი ქართული ენის სადოკუმენტაციო ფონდები.

⁴ სხვა გამოცემებში გვაქვს ტბურა.

⁵ ტბურ || ტბორ ფორმათა ურ და ორ ელემენტებს დამოუკიდებელ სუფიქსებად მიიჩნევს არნ. ჩიქობავა (იხ. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 14), ასევე — ბ. ცხადაძე, თუმცა იგი არ გამოორიცხავს უ-ო გრაფიკულ მონაცვლობასაც (დასა. ნაშრ.).

⁶ ო და უ გრაფიკულ მონაცვლობის ამსახველი ნიმუშები ძველი ქართული ენის ძეგლებიდან ფართოდ არის წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში. იხ. Н. Я. М а р р, Агиографические материалы по грузинском рукописям Иверы: ЗВРАО, т. X. вып. II-III, 1901, გვ. 108; ა. შ ა ნ ი ძ ე, სინური მრავალთავი, თბ., 1959, გვ. 306; ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, თბ., 1959, გვ. 042; მ. ძ ი ძ ი შ ვ ი ლ ი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960, გვ. 40-44; ზ. ს ა რ ჭ ე ლ ა ძ ე, მრთველი თუ მრუველი, „მრავალთავი“, II,

„შატბერდის კრებულიდან“;

უ ნიშანი ოს ნაცვლად იურდანესა (გვ. 281), მოუჭრებული (გვ. 278), მძური (გვ. 290), უჭროა (გვ. 275), ურგულელებს (გვ. 265), მეტუმილნი (გვ. 386) და სხვ.

ო ნიშანი უს მაგივრად: განჯორვებასა (გვ. 308), დაბორვილნი (გვ. 381), დრკოვებითა (გვ. 382), მონ (გვ. 383), სოლთა (გვ. 390), ურჩოლოვებანი (გვ. 403), ცოდსა (გვ. 317) და სხვ.

„სახისა სიტყუაჲ“-ს ტექსტიდან ო და უ გრაფემათა მონაცვლეობის ნიმუშებია: იწუღებთან (გვ. 176), მუკუდის (გვ. 181), ოცხოთა (გვ. 182).⁶

აღნიშნული მოვლენის ახსნა ფონეტიკურ საფუძველზე, მისი მიჩნევა დიალექტიზმად არ არის განსაზიარებელი იმის გამო, რომ ო—უ მონაცვლეობას არა აქვს რეგულარული ხასიათი,⁷ ტექსტებში ხშირად იგივე სიტყვები სწორი დაწერილობით გვხვდება. მართებულად იხმარებიან ისინი თანამედროვე სალიტერატურო ენასა და ქრთული ენის დიალექტებში;⁸ ნათქვამი, ცხადია, ეხება ტ ბ ო რ ე / ტ ბ უ რ ე ფუძეებსაც, რომელთაგან ტ ბ უ რ ე ვარიანტი, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით, წარმოქმნილია ო—უ გრაფიკული მონაცვლეობით.⁹

ტ ბ ო რ || ტ ბ უ რ ფორმათა ფონეტიკურად დაკავშირებას დაბრკოლებები ახლავს. კერძოდ, ტბორ ფუძის ამოსავალ ვარიანტად მიჩნევის შემთხვევაში ოაუ შეიძლებოდა აგვეხსნა ბ თანხმოვნის ასიმილაციური მოქმედებით: ტ ბ ო რ > ტ ბ უ რ (ლაბიალური თანხმოვნების გავლენით ო-ს გადასვლა უ-ში ფართოდ გავრცელებული პროცესია ქართველურ ენებში).¹⁰ მაგრამ ამგვარ დაშვებას სერიოზუ-

1973, გვ. 5-10; ვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, მამათა ცხობები, თბ., 1976, გვ. 381 და სხვ.

⁶ ბ. გ. ი. გ. ი. ნ. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრომი.

⁷ ნ. მარს ტბურე დიალექტურ ფორმად მიჩნია (იხ. Тексты и разисания, кн. VI, 1904, გვ. XXIV).

⁸ შდრ. К. Кекелидзе, Древние-грузинской Архисратикон, Тифлис, 1942, გვ. XXII; მ. კახაძე, ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, 1977, გვ. 014; ივ. ჯავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, 1964, გვ. 263-267. და სხვ.

⁹ უ—ო გრაფიკული აღრევით თვლის მიღებულად ზ. სარჯველაძე მ. რ. ვ. ე. ლ. ფორმას ნაცვლად მართებული მ. რ. უ. ე. ლ. ი-სა, შდრ. ამავე — რუ ფუძის შემცველი სახელი რუ-ი-ი (ზ. ს. ა. რ. ვ. ე. ლ. ა. ძ. ე., დასახ. ნაშრ.).

დერივატიულ ფორმაში უმრუელი გ ხმოვანთა ჰიატუსის ასაცილებლად განვითარებული ელემენტია.

¹⁰ იხ. ი. ჯ. ა. ვ. თ. ა. რ. ა. ძ. ე. (ხობახუმი; ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1964,

ლი წინააღმდეგობა ელობება აღნიშნულ ფორმათა გავრცელების ქრონოლოგიის თვალსაზრისით: ამ ვარაუდის მიხედვით ტ ბ ო - რ ე || ტ ბ უ რ ფორმათაგან ამოსავლად მიჩნეული, თავდაპირველი ფორმა ტ ბ ო რ ჩვეულებრივია ძველი ქართულისათვის (V-XI) სს. ძეგლებისათვის). ამ სახით (ო გახმოვანებით) გვხვდება იგი შემდგომი საუკუნეების ძეგლებშიც, თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში, ტ ბ ო რ -ისაგან მომდინარედ ჩათვლილი, უფრო ახალი ფორმა ტ ბ უ რ -ი კი ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ერთხელ არის დადასტურებული და ისიც ძველი ქართული ენის ძეგლში — „მკვცთათჳს სახისა სიტყვაჲ“. იგი უცხოა მომდევნო საუკუნის ძეგლებისათვის, თანამედროვე დიალექტებსა და სამწერლო ენისათვის.¹ ზემოთ აღნიშნული მოსაზრების მართებულობის შემოხვევაში უნდა ყოფილიყო პირიქით.

საპირისპირო ვარაუდის დაშვებისას: ტ ბ უ რ > ტ ბ ო რ დაბრკოლებას ქმნის ფონეტიკური მხარე (ორივე თვალსაზრისისათვის ხელისშემშლელია ხვესურული ფორმა ტ ბ ა რ - (ამის შესახებ — ქვემოთ). უა არ არის ჩვეულებრივი ქართულისათვის. უა გადასვლის ნიმუში, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, უც<ოც (უცნება > ოცნება) საუცარი > საოცარი...),² სადავოა.

გარდა იმისა, რომ გადასვლა უა (საუცარი > საოცარი...), რა-

გვ. 277); ტომარაატუმარა (მ ი ს ი ვ ე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, 1985, გვ. 19); შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი (რომარუმ, ხომახუმ, რატომარატუმ: კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1973, გვ. 388); ა. შ ა ნ ი ძ ე (ზან. ტობა > სვან. ტუბი: К ЭТИМОЛОГИИ НАЗВАНИЙ "Топана", ენიშკის მოამბე, 1, 1937, გვ. 83); ტ. გ უ ლ ა ვ ა (ჰან. მხუჩი, მეგრ. ხუჩი < მხოჩი „მჰარი“, ჰან. მცხული, მეგრ. სხული < „მსხოლი „მსხალი“...; ოს და უში გადასვლის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ (მეგრულ-ჰანურ) ენაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXV, № 1, 1960); თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. შ ა კ ა - ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1964, გვ. 158 და სხვ.

გ. ლეონიძესთან დადასტურებული პოეტური ფორმა — ტ ბ უ რ ი (ცეცხლისმყრელი პატარძალი დუღღუბა ტ ბ უ რ თვალეხს აბრიალეხდა) სხვა წარმოებისაა. ურ აქ აღნიშნავს მსგავსებას — ტ ბ უ რ ი „ტბის მსგავსი, ტბისთანა“. აღნიშნული ფორმა გ. ლეონიძის სიტყვათშემოკმედების ერთ-ერთი ნიმუშია (შდრ. ბ. ც ხ ა დ ა ძ ე, დასახ. ნაშრ.).

² ა. კ ი ნ კ ა რ ა უ ლ ი, ეტიმოლოგიური ეტიუდები, იკვ. XXIV, 1985, გვ. 116-123.

მოხეურში ფიქსირებულია უ-ო მონაცვლეობის რამდენიმე ნიმუში: ღომელი (ღუმელი), აბლაბოდა (აბლაბუდა), დოვმა (დუვმა), თუ ეს ფორმები შემთხვევითი არ არის (ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 19).

საც ვარაუდობს ა. ჰინჭარაული, ქართულში ნაკლებ მოსალოდნელია (ავტორს არცა აქვს დამოწმებული საამისო ნიმუშები), გასათვალისწინებელია სხვა დაბრკოლებებიც, კერძოდ, ფუნქციის მქონე მორფოლოგიური ერთეული, ამ შემთხვევაში უ ელემენტი, არ არის მოსალოდნელი განიცდიდეს ცვლილებას.³ (მკვლევრის მიერ არც არის დადგენილი ის პოზიცია, რასაც შეეძლო განესაზღვრა უაო გადასვლა). და კიდევ: მიმღეობის ფორმაში არ შეიძლება გვექონდეს ზმნური ფუძის მაწარმოებელი სხვა „მოქმედი“ (ცოცხალი) მორფოლოგიური ერთეული: ქცევის, გვარის უარყოფითობის უ (შდრ. სა-უ-ც-არ-ი, მა-უ-ცარ-ი...) და სხვ.

როგორც ცნობილია, ხსენებული ფუძის ორივე ვარიანტი (უც-, ოც-) გვხვდება ძველ ქართულშივე: გ ვ ე ო ც ე ბ ო დ ე ნ საშინელება იგი სამსჯავრომსაჲ, მ. ცხ. 83 r; შდრ. ა უ ც ნ ე ს კაცთა მათ, მთ. 6, 8 DE; განვეშორნეთ მ ა უ ც ა რ თ ა და გრძნულთაგან. მ. სწ. 150, 22; ს ა უ ც ა რ რაჲმე არს, მთ. 14, 26 და სხვ. უ—ო გრაფიკული მონაცვლეობა არც ამ შემთხვევაშია მთლად გამოსარიცხი.⁴

ამიტომ, ჩვენი აზრით, ტ ბ ო რ || ტ ბ უ რ ფორმები უფრო სავარაუდოა აიხსნას გრაფიკულ ნიადაგზე, ვიდრე ფონეტიკურზე; ტ ბ უ რ -ში უ გრაფემა ო მოვანს უნდა აღნიშნავდეს და „ფიზიოლოგის“ ტექსტის სათანადო ადგილას უნდა იკითხებოდეს ტ ბ ო რ ე .

გასარკვევი რჩება ტ ბ ო რ ე ფუძის სტრუქტურა, მისი ბოლოკიდურის საკითხი: ტ ბ ო რ თ ე ტ ბ ო რ ე ?

ტ ბ ო რ ე / ტ ბ ო რ ფორმათაგან ამოსავალ სახედ ტ ბ ო რ ვარიანტის მიჩნევას დაბრკოლება ახლავს. კერძოდ, სადავო არ არის, რომ ტ ბ ო რ -ი ტბა ფუძისაგან ნაწარმოები სახელია. მასში იოლად გამოიყოფა ორ ელემენტი: ტბა — ტბორ. ორ მოქმედი, ცოცხალი სადერივაციო სუფიქსი კი (ე. ი. ისეთი სუფიქსი, რმელიც აწარმოებს ახალ სიტყვას ძირეულისაგან განსხვავებული კონკრეტული საგნობრივი მნიშვნელობით) ქართულში არ არსებობს.⁵ მისი გამოყოფა

³ სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ქცევისა და გვარის აფიქსები არ ექვემდებარება ასიმილაციას პრევერბთა საზღვარზე (თუ თ უ რ გ ა ი ძ ე, ლ. ქ ა ნ - თ ა რ ი ა, ლ. კ ო ბ ი ა შ ე ი ლ ი, იკვ. XXVI, 1987, გვ. 102-103).

⁴ თუ აღნიშნული ფორმები, ტ ბ ო რ || ტ ბ უ რ ფონეტიკურ საფუძველზე უნდა აიხსნას, უპირატესობა ასეთ შემთხვევაში მიაჩნ ტ ბ უ რ ფორმას უნდა მიენიჭოს (და არა ტბორ-ს) მისი გაფრცხლების ქრონოლოგიისა და სემანტიკური ფაქტორის გათვალისწინებით (ამის შესახებ ქვემოთ).

⁵ „უღაბნოს მრავალთავში“ ფიქსირებულია ფორმა მ დ ა ბ ო რ ი (ეს ე ლ ი მიჰმადლა მდაბორთა... 20), რომელშიც დ ა ბ ა სიტყვასთან შეპირისპირებით ასევე

ცხადად გამოიყოფა მ-ორ ცირკუმფიქსი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ორ ელემენტი. მაგრამ აღნიშნული ფორმა საეჭვოა (აღსანიშნავია, რომ იგი ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში შეტანილი არც არის). მ დ ა ბ ო რ - ი მოღებული ჩანს ო — უ გრაფიკული აღრევის შედეგად, რასაც მოწმობს ამავე ძეგლში (მეორე გვერდზევე) დადასტურებული ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი, მართებული ფორმა მ დ ა ბ ო რ - ი: ყ ლნივე მდაბურნი და მეგობარნი... ესრმთ ხელდედ. ...უღაბნ. 21 (ვიმოწმებთ ა. ჩიქობავას დასახელებული ნაშრომის მიხედვით). მ დ ა ბ ი უ რ ი || მ დ ა ბ ო რ ი ისევე, როგორც მ დ ა ბ ო რ ი, ნიშნავს — „დაბის (სოფლის) მცხოვრები, დაბელი (სოფელელი)“. მ დ ა ბ ო რ სახელში სადაურობა-წარმოშობის აღნიშვნა მ — ურ კონფიქსს უკავშირდება (შდრ. მსახური). როგორც ცნობილია, წარმოშობას -ურ სუფიქსი გამოხატავს დამოუკიდებლადაც. ასეთი ფუძეკციის -ორ (მ — ორ) სუფიქსი კი ქართულში ცნობილი არ არის (ყ ა ყ ა ჩ ო რ ა „ხაშაში“ < *ყ ა ყ ა ჩ ო უ რ ა, შდრ. ყ ა ყ ა ჩ ო რ ა „id“. განსხვავებული ახსნა იხ. ბ. ჭ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, მ. კ ო ბ ა ი ძ ე, მ. ბ ე რ ი ძ ე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, 1988, გვ. 352-353).

მ დ ა ბ ო რ ი / მ დ ა ბ ი უ რ ი ფორმის პირველადობას ძველ ქართულში ფიქსირებულ მ დ ა ბ ო რ თ ა ნ შედარებით მხარს უჭერს ამავე (დაბა-) ფუძისაგანა უ — ურ ცირკუმფიქსით ნაწარმოები ფორმა უ დ ა ბ ო რ ი „დაუსახლებელი, უკაცრიელი ადგილი“. უ დ ა ბ ო რ ი ფორმა ქართულში არ არსებობს.

ქართული სამწერლო ენის გვიანდელ ტექსტებში მ დ ა ბ ო რ || მ დ ა ბ ი ო რ ფორმათა დადასტურება (ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით ასეთი სულ ხუთი შემთხვევა) ასევე გრაფიკული აღრევით შეიძლება აიხსნას (როგორც ცნობილია, ო — უ გრაფიკმათა მონაცვლეობა გვხვდება საშუალო ქართულის როგორც ხუცური, ისე მხედრული ანბანით შესრულებულ ძეგლებში: თ. უ ო რ დ ა ნ ი ა, შიომღვიმის ისტორიული საბუთები, 1896; ა. შ ა ნ ი ძ ე, ვანის მარშარლოს ქანდაკების წარწერის წაკითხვა-განმარტებისათვის, საქ სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XVII, 1956, № 9, გვ. 858; ზ. ს ა რ ჭ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 6). საშუალო ქართულში ამგვარ ფორმათა არსებობა შეიძლებოდა აგვეხსნა სხვაგვარადაც — განგვიხილა როგორც შედეგი ძველი ქართულის მცდარი დაწერილობის ტრადიციად დამკვიდრებისა.

ამგვარად, -ორ ელემენტის სუფიქსად მიჩნევა და მისი გამოყოფა მ დ ა ბ ო რ ფორმაში, ჩვენი აზრით, უმართებულოა (შდრ. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 14-15; ბ. ჭ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, მ. კ ო ბ ა ი ძ ე, მ. ბ ე რ ი ძ ე, დასახ. აშრ., გვ. 352-353 და სხვ.).

-ორ სუფიქსს გამოყოფენ სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის სახელურ ფუძეებში (მხედველობაში გვაქვს, ერთი მხრივ, ე. წ. ლეტერმინანტ და, მეორე მხრივ, სადერეჯაციო აფიქსად მიჩნეული -ორ სეგმენტის შემცველი ფუძეები). მაგ.: ნ ი ო რ ი, ჭ ო რ ი, კ ო რ ი (შდრ. კან. ქ-ური||მქირი); (შდრ. ზან. ღ-ე-ი), წ ნ ო რ ი შდრ. ძეწნა < *ძელწნა-ავ (ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 33, 82; მ ი ს ი ვ ე, კანურ- მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 81, 82, 103); თ ქ ო რ ი, შ ო რ ი, ჭ ო რ ი, კ ო ჩ ო რ ი, ჩ ი კ ო რ ი და მისთ. (ა. ღ ღ ო ნ ტ ი, ფილოლოგის ჩანაწერები, 1980, გვ. 95-97; გ ე მ ო < *გემ-ორ-ი (ნ. მ ა რ ი, შდრ. გემრიელი), ხ ბ ო < *ხბ-ორ (შდრ. ხბორები, სვან. ხაბნა, ვ.

ჩვენი აზრით, ტ ბ ო რ ე || ტ ბ ო რ - ი ფორმები სხვაგვარ ინტერ-პრეტაციას ექვემდებარება, კერძოდ, ტ ბ ო რ ე მიღებული უნდა იყოს ტ ბ ა სახელურ ფორმაზე რე ოდნაობის ნაწილაკის დართვით;² *ტბა-რე>ტბორე,³ ააღ ლაბიალური თანხმოვნის ასიმილატორული გა-

თოფურია); ს წ ო რ ი (შდრ. გასწრება, სასწორო, წონა), წ ბ ო რ ი, შდრ. წბის, აღწმოლა, წბილი... (ბ. ცხადაძე, დასახ. ნაშრ.)... („დაბელი“ შდრ. დაბა); ტ ბ ო რ ი („მკიერ ტბა“, შდრ. ტბა) და სხვ.

ზემოთგანხილულ მთელ რიგ სახელურ ფუძეში ორ სეგმენტის მიჩნევა ე. წ. დეტრამინანტ სუფიქსად არ არის გასაზიარებელი.

ნ ო რ ი, ჯ ო რ ი, კ ო რ ი, შ ო რ ი და სხვ. სახელებში ორ სუფიქსის გამოსაყოფად არ არსებობს სათანადო მეცნიერული არგუმენტაცია.

ბ ბ ო რ < ძე. ქ. კ ბ ო ვ ა რ შდრ. ც ხ ო ვ ა რ (ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1970, გვ. 9; თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 115). ანალოგიური პროცესი განხორციელებულია სხვა შემთხვევაშიაც ძე. ქ. მ-ძოვ-არ-ი > ძბორი.

მეგრ.-ქან. ლეჭ - „ლორი“ < ლჭ-ი შდრ. ეჩ-ი-აზი-ი (თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 167, 337).

ქან. ქ უ რ ი || მ ქ ი რ ი, მეგრ. ქ ი რ ი „ქორი“ ფუძეში უ/მ მოკლე (ვიწრო) *ა ხმოვნის რეფლექს წარმოადგენს. შდრ. ქართ. კოდ-ალ-ა, ქან. კილი, მეგრ. კილ-უ (თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 333).

თ ქ ო რ < * თ ქ უ ა რ, შდრ. ქიზ. თ ქ ვ ა რ (ბ. ცხადაძე, დასახ. ნაშრ.).

არ არის უდავო არც წ ნ ო რ -ი სახელში წ ნ ელემენტის წ(ა)ნავ ზმნურ ძირთან დაკავშირება, მასში -ორ სუფიქსის გამოყოფა და სხვ.

რაც შეეხება მ და ბ ო რ და ტ ბ ო რ ფორმებს, ისინი დასახელებული ნიმუშებიდან გამოირჩევიან ფუძის სტრუქტურის გამკვირვლობით. მათში მარტივად, საგანგებო ძიების გარეშე, რეალურად არსებული სახელური ფუძეების შეპირისპირებით უდავოდ გამოიყოფა -ორ ელემენტი მკვეთრად გამოხატული, თუმცა სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით (შდრ. დაბა - მ-დაბ(ა)-ორ, ტბა - ტბ(ა)-ორ). მაგრამ ტ ბ ო რ, მ და ბ ო რ ფუძეთა ანალიზი ცხადს ხდის, რომ ორ ელემენტის, როგორც სადერივაციო აფიქსის, „აქტიურობა“ აღნიშნულ ფორმებში მორჩენებითია. იგი არც ამ შემთხვევაშია ორ სუფიქსის წარმოადგენელი, მეორეული წარმოშობისა.

² სპეციალისტები, ვინც კი რე ნაწილაკს შეხებია, მის ერთ-ერთ (ძირითად) ფუნქციად ოდნაობის სიმკირის აღნიშვნას მიიჩნევენ (დაწვრილებით რე ნაწილაკის შესახებ იხ. ლ. ნ ო ზ ა ძ ე, რე ნაწილაკი ძველ ქართულში, ივე, XVII, 1988, გვ. 120-141).

³ საკითხისათვის არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, ძველ ქართულში ფიქსირებულ ტ ბ ა ფორმას მივიჩნევთ ისტორიულად მიღებულად ტ ა ბ ა -საგან (შდრ. ტაბაქმელა, ტაბასური), როგორც ვარაუდობს ამას ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, არნ. ჩიქობავა და სხვ. თუ ჩავთვლით მას (ტბა-ს) თავდაპირველ ფორმად, როგორც ფიქრობენ თ. გამყრელიძე და გ. მაქავარიანი (იხ. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 114, 115 და ა. შ.).

ვლენით¹. ეტიმოლოგიურად ნიშნავს: მცირე ტბას. ასე განმარტავს კიდევ საბა აღნიშნულ სიტყვას: „ცუღსა მცირესა ტბათაგანსა [უწოდენ] ტბორესა“². ტ ბ ო რ - ი ვარიანტი მიღებული უნდა იყოს ტ ბ ო რ ე ფორმისაგან ე ბოლოკიდური ხმოვნის მოშლის შედეგად.³

შენიშვნა: ტ ბ ო რ ე სიტყვის საბასეული განმარტება შხარს უკერს ვარულს მის შემადგენლობაში სიმციროს, ოდნაობის აღნიშვნელი რე ნაწილაკის მონაწილეობის შესახებ (*ტბარე — ტბორე). აღნიშნულ ფორმაში ორ ელემენტის თავდაპირველ სუფიქსურ მორფემად კვალიფიკაციისათვის საჭიროა სიმციროს გამოხატვის ფუნქციით მას ვადასტურებდო სხვა სახელურ ფუძეებშიაც. ამის ნიმუშები კი ცობილი არ არის და ამიტომ ასეთად იგი არ არავის მიუჩნევია.

თუ ორ ელემენტს —ურ სუფიქსიდან მომდინარედ ჩავთვლით (ორ<ურ), აღ-

¹ ხმოვანთა ლაბიალიზაცია წინამავალი ბაგისმიერი თანხმოვნის გავლენით დამახასიათებელია ქართლისა და სხვა ქართველური ენებისათვის. მაგ.: ფარცხი > ფორცხი (ქიზ., მოხ., ზ. იმერ.); კახ. ფორჩხი: ბავშვი > ბოვში (იმერ.); ბძია > ბუძია (რაჭ.); ბელტი > ბოლტი (მოხ.) და სხვ. (თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე , ლ. ქ ა ნ თ ა რ ი ა , ასიმილაციისათვის ქართული ენის თანხმოვანთა და ხმოვანთა შერეულ კომპლექსებში, იკვ. XXV, 1986, გვ. 91-91; გ. შ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი , ა ხმოვნის ლაბიალიზაციის შემთხვევები სვანურში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVIII, 1956, გვ. 367 და სხვ.).

სიტყვის ბოლოკიდური ა ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში არ ექვემდებარება ლაბიალიზაციის პროცესს. ამიტომ ტ ბ ა არ იძლევა ტ ბ ო -ს (მდრ. *ტბარე > ტბორე, სადაც ვადასვლა ააო ხორციელდება ინლაუტურ პოზიციაში).

² აღნიშნული სიტყვა არსებითად ასევეა განმარტებული ქველ-ში: ტ ბ ო რ ე — მცირედ ჩაღრმავებულ ადგილას დამდგარი წყალი.

³ განსხვავებული აზრისაა ბ. ცხადაძე, ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე იგი ე ხმოვანს გამოყოფს ყ უ რ ე — ყ უ რ - ი , ტ ბ უ რ - ე — ტ ბ უ რ - ი , ფ უ ნ - ე — ფ უ ნ - ი სიტყვებში და მას წარმოშობით სახელის ფუძის საწარმოებელ ელემენტად მიიჩნევს (იხ. სა-, სე-ე და -ა აფიქსიანი ზოგი სახელი ძველ ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1985, გვ. 32).

არ არის ნათელი, რა სახის მაწარმოებლად მიიჩნია ე ავტორს. მისი თვალსაზრისის მიხედვით, კერძოდ, ტბურე ფუძე უკვე არის გაფორმებული ურ სუფიქსით. აღსანიშნავია ისიც, რომ ტ ბ უ რ ე || ტ ბ უ რ ი , ფ უ ნ ე || ფ უ ნ ა რიგის პარალელურ ფორმებს ძველ ქართულში ერთი და იგივე სემანტიკა აქვთ (გამონაკლისს წარმოადგენს ყ უ რ ე ფუძე).

ჩვენი აზრით, ე ხმოვანი ტ ბ უ რ ე -სა და ფ უ ნ ე - ფ უ ნ ა , მ ა რ ც ხ ე ნ ე - მ ა რ ც ხ ე ნ ა ტიპის სახელებში სხვადასხვა წარმოშობისაა. ფუნე/ფუნა რიგის სახელებში ე მიღებული ჩანს ფონეტიკური გზით, კერძოდ, აა ხმოვანთკომპლექსის კონსტრაქციით: ფუნააფუნე (იხ. ლ. ნ ო ზ ა ძ ე , რე ნაწილაკი ძველ ქართულში, იკვ. XXVII, 1988, გვ. 132-133).

ნიშნული სემანტიკური ხასიათის დაბრკოლება მოიხსნებოდა ტბურ-ი „ტბის მსგავსი“ (ჭრ სუფიქსის ერთ-ერთი ფუნქცია მსგავსების აღნიშვნა) > „მცირე ტბა“ (შესადარებელი საგანი ხარისხით, რაოდენობით... ნაკლებია იმ საგანთან მიმართებით, რასაც ადარებენ). მაგრამ ასეთი დაშვების შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვა ხასიათის წინააღმდეგობები იჩენს თავს: უა არ არის დამახასიათებელი ქართულისათვის. ამასთან, აახსნელია ხევსურული ფორმა ტ ბ ა რ .

ტ ბ ო რ ე ფუძის ზემოთწარმოდგენილ ინტერპრეტაციას (*ტბა-რე > ტბო-რე) ვფიქრობთ, მხარს უჭერს ხევსურული დიალექტის ჩვენება. ხევსურულში აღნიშნული სახელისაგან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებში გარკვეულ შემთხვევაში დაცული ჩანს მისი თავდაპირველი, ჩვენ მიერ რეკონსტრუირებული სახე — ტ ბ ა რ ე. კერძოდ, ტ ბ ა რ ე ვარიანტს ავლენენ დასველების სპეციფიკური სემანტიკის — სისხლით დასველება-დასვრის გამომხატველი ზმნური ფორმები, ჩვეულებრივი — წყლით დასველების აღმნიშვნელ ზმნათა ფორმები ტ ბ ო რ ე ვარიანტს გვიჩვენებენ. ნიმუშები:

სისხლით გ ა ი ტ ბ ა რ ; სისხლით გ ა ტ ბ ა რ უ ლ ი წაიყვანესა, არღარა გააჩნიყვავ. შღრ. დ ა ვ ტ ბ ო რ დ ი თ ა ვ , არც ბაკკო (=საწვიმარი) მქონდავ; ჩ ა ტ ბ ო რ ე ბ უ ლ მ ა ვ ე დ ი ვ ⁴ (შღრ. ფშავ. „დავსველდი, ივანე, ლაფიან ვარ, ... სველი და ტ ბ ო რ ი (ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, 1969 წ.).

ნიშანდობლივია, რომ ძველი ვითარება — ტ ბ ო რ ე ფუძის ამოსავალი სახე — ტ ბ ა რ ე ზმნის სპეციფიკურ სემანტიკას შემოუნახავს. ტ ბ ო რ („სველი, დასველებული“) ფორმა შედარებით ახალი ჩანს ხევსურულში, შემდეგ შეთვისებული ქართულის სხვა დიალექტებიდან.⁵

ამგვარ ვარაუდს მხარს უჭერს აღნიშნული სახელებისაგან ზმნურ ფორმათა წარმოების წესი ხევსურულში. სიმპტომატურია, რომ აწმყოს შედარებით ძველი თემატური სუფიქსი -აგ და ასევე ვნებითის უფრო ძველი ტიპი — პრეფიქსული წარმოება⁶ სწორედ

⁴ ა ლ. ჰ ა ნ ჰ ა რ ა უ ლ ი, ხევსურული ლექსიკონი (ხელნაწერი. ამასთან ერთად ვეყარებით ა. არაბულის, ნ. ზვიადურის ზეპირ ცნობას.

⁵ აღსანიშნავია, რომ მთის სხვა დიალექტებში, კერძოდ, თუშურსა, მოხუერსა და მთიულურში ტ ბ ო რ ე და მისგან ნაწარმოები ზმნები ფიქსირებული არ არის.

⁶ ლ. ნ ო ზ ა ძ ე, ვნებითი გვარის ზმნათა ორგვარად წარმოების ურთიერთობისათვის ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ასპირანტთა V სამეც.

ტ ბ ა რ [ე] ფუძის შემცველ ზმნებს ახასიათებს (გასტბარავს — გა-
იტბარების...), შედარებით ახალი სუფიქსი -ეზ¹ და მისი შესაბამისი
ვნებითის სუფიქსური ტიპი ტ ბ ო რ [ე] ვარიანტისაგან ნაწარმოები
ზმნებისათვის არის დამახასიათებელი (დაატბორებს — დატბორდე-
ბა...).

ხომ არ შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ხევსურულში სისხლით
დასველების სემანტიკის გამომხატველ ზმნათა ფუძეებში წარმოდგე-
ნილი ტ ბ ა რ ვარიანტი მეორეულია, მიღებულია ტ ბ ო რ -ისაგან
გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში და ასეთად მიგვეჩნია -აგ სუ-
ფიქსიან გარდამავალ ზმნათა ფორმები აწმყოსა (resp. მყოფადისა)²
და I თურმეობითის მწკრივებში, სადაც მომდევნო -აგ სუფიქსის ა
ხმოვნის ასიმილატორული გავლენით იყო შესაძლებელი განხორციე-
ლებულიყო ააო: *ტ ბ ო რ - ა ვ > ტ ბ ა რ - ა ვ (*[გა]სტბორავს >
[გა]სტბარავს, გაუტბორავ > გაუტბარავ...), ხსენებული ფუძის ამ
გზით მიღებული ვარიანტი ტ ბ ა რ შემდეგ გავრცელდა მთელ
ზმნურ პარადიგმაზე (დრო-კილოთა II სერიის ფორმებში), სახელ-
ზმნებში (გატბარვა, გატბარულ...) და სხვ. (შდრ. -ეზ თემისნიშნიანი
ზმნები, სადაც ტ ბ ო რ ფუძეა წარმოდგენილი: დაატბორებს, და-
ტბორებულ...).

ვფიქრობთ, რომ არა, ამგვარ ვარუდს არსებითი ხასიათის და-
ბრკოლებები ახლავს, სახელდობრ: სპეციალურ ლიტერატურაში მითი-
თებულია, რომ ხევსურულში ასიმილაციას განიცდის მხოლოდ ა ხმო-
ვანი მომდევნო ე, ო ხმოვნების გავლენით. აეაეე, აოაოო რეგრესუ-
ლი კონტაქტური ასიმილაცია გავრცელებულია ხევსურულში, მაგრამ
ბოლომდე გატარებული ეს ფონეტიკური პროცესიც არ არის. დანარ-
ჩენი ხმოვნები ასიმილაციას არ განიცდიან.³

ამ კ ე რ ძ ო შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი რომ დაგვეშვა კიდევ ხევსუ-
რულში დისტანციური ასიმილაცია: *ტ ბ ო რ ა ვ > ტ ბ ა რ ა ვ, სა-
რწმუნო მაინც არ იქნებოდა იმის გამო, რომ ის ფონეტიკური გარე-
მოცვა, სადაც ოაა შეიძლებოდა გვევარაუდა, მეტად შეზღუდულია

კონფერენცია, თეზისები, 1954, გვ.23-25.

¹ ამ საკითხს ვრცლად განვიხილავთ სხვაგან.

² როგორც ცნობილია, ხევსურულში I სერიის დანარჩენ მწკრივებში -აგ
თემატური სუფიქსი წარმოდგენილია -ეგ ვარიანტის სახით. ამდენად აღნიშნულ
მწკრივებში იქნება სხვა პოზიცია.

³ ა ლ. კ ი ნ ჯ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 2-3.

(ასეთია აწმყოს, მყოფადისა და I თურმ. ფორმები) და რაც უფრო არსებითია, ძალზე რწვიათია. სისხლით გასტბარავს, სისხლით გაუტბარავ და მისთ. უფრო თეორიულად ნავარაუდევია, შესაძლო ფორმებია, ვიდრე რეალური. შემთხვევითი არ არის, რომ „ხევესურულ ლექსიკონში კონტექსტებით ვნებითის ფორმები (სისხლით გაიტბარ...) არის დამოწმებული და არა მოქმედებითისა (სისხლით გასტბარა...)“. მაშასადამე, ტბარ ხევესურულში არ არის ხმოვანთა ასიმილაციის გზით მიღებული ფორმა.

არც იმის საფუძველი არსებობს, ვივარაუდოთ, რომ ტბარ მიღებულია ტბორ ფორმისაგან ო-ს დისიმილაციური დელაბიალიზაციის შედეგად.⁴ ეს მოვლენა არ ჩანს დამახასიათებელი ხევესურული-სათვის. რაც უფრო არსებითია, ამ დაშვებითაც ვერ აიხსნება (სისხლით) გაიტბარ ფორმის მომდინარეობა გაიტბორა-საგან — ამგვარ ინტერპრეტაციას ეწინააღმდეგება წყლით დასველების აღმნიშვნელ იმავე ფუძეში ო-ს არსებობა (შდრ. წყლით დაიტბორა).

ამგვარად, ხევესურულში არ ჩანს ის ფონეტიკური პროცესი, რომლის ნიადაგზეც აიხსნებოდა ტბარ ფუძის მეორეულობა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ხევესურულში სისხლით დასვრა-დასველების სემანტიკის აღმნიშვნელ ზმნათა ფუძეებში წარმოდგენილი ტბარ ვარიანტი თავდაპირველი, ამოსავალი სახეა საერთოქართული ტბორ ფუძისა და არა პირუკუ.

ხევესურულში დადასტურებულ ტბარ ფუძესთან დაკავშირებით საკითხები ისმის მორფოლოგიის დონეზეც. კერძოდ: ხომ არ შეიძლება ოდა გვეფიქრა, რომ ხევესურულში დაცული ტბარ ფორმის ბოლოკიდური ო ისტორიულად ფუძის კუთვნილებაა, არ დეტერმინანტი სუფიქსის თანხმონითი ელემენტია⁵ (ე. ი. ტბარ < *ტბარ) და

⁴ შდრ. მთიულ. ფაცხვერი. მაზვერი. ფათოლი. ბაჩოლა და მისთ. სადაც ოს დელაბიალიზაციის (ოა) ლაბიალური თანხმონების გავლენას მიაწერენ (იხ. მ. კობახიძე, მთიულურის ფონეტიკური თავისებურებანი, სადის. ნაშრ. ფილოლ. მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერი, თბილისი, 1990).

⁵ შდრ. გურულში დადასტურებული ფორმები: დანები, ძმანები და მისთ. სადაც ან სახელის ფუძის დეტერმინანტ სუფიქსად არის კვალიფიცირებული (ა. ჩიქოვაძე, დასა. ნაშრ. გვ. 8, 9, 11 და სხვ.). სინადვილში კი აღნიშნულ ფორმებში ნ მრავლობითობის ისტორიული ნიშანია, შდრ. ამავე დიალექტში დამოწმებული ფორმა ანგელზნები.

არა რე ნაწილაკის ნაშთი.

ქართული ტ ბ ა ფუძის ზმნური შესატყვისი ფორმა ტ ბ ა გვიჩვენებს, რომ ისტორიულად საერთო-ქართველურში აღნიშნული ფუძე ა-ბოლოხმოვნია.¹ როგორც ცნობილია, ხმოვანთშესატყვისობა: ქართ ა — ზან. ა დასტურდება არსებით სახელთა აბსოლუტურ ბოლოში. შდრ.: ქართ. ძმა — ზან. ჭუმა / ჭიმა; ქართ. თმა — ზან. თომა; ქართ. ყანა — ზან. ყონა და სხვ. აღნიშნულ ფორმებში ვერ ვივარაუდებთ ა'ს მომდევნო რაიმე ელემენტის მოკვეცას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ქართულსა და მეგრულ-ლაზურში (აგრეთვე — სვანურშიც, სადაც ბოლოკიდური ხმოვნები დღეს მეტწილად მოკვეცილია). არაბოლოკიდურ პოზიციაში წარმოდგენილი ა მეგრულ-ლაზურში იძლევა ა შესატყვისს(შდრ.: ქართ. თ უ ა ლ : მეგრ.-ლაზ. თ ო ლ ; მ კ ა ლ : მეგრ.-ლაზ. კ ო ლ ; ქართ. ჯ ა რ — მეგრ.-ლაზ. ხ ო ჯ...)²

მაშასადამე, ტ ბ ა რ ფორმაში რ არ არის ტ ბ ა ფუძის კუთვნილი ელემენტი.

ტ ბ ა ფუძისაგან ქართულში (ასევე მისი შესატყვისი ფუძეებისაგან ცალკეულ ქართველურ ენაში დამოუკიდებლად) დერივაციის გზით წარმოქმნილია ფორმები: ტბ(ა)-ეთ-ი, ტბ(ა)-ელ-ი, მ-ტბ(ა)-ევ-არ-ი. დგება საკითხი: ხომ არ არის ხევსურულის ზმნურ ფორმებში დადასტურებული ტ ბ ა -არ სუფიქსით ნაწარმოები ფუძე: ტბ(ა)-არ. პასუხი უარყოფითია -არ სუფიქსი, რომელიც ქართულში მეგრულიდან მომდინარედ ითვლება,³ წარმომავლობის, სადაურობის აღმნიშვნელი აფიქსია (სხვა დამოუკიდებელი სადერივაციო არ სუფიქსი ქართულმა არ იცის), შდრ.: ოდიშარი, ოპიშარი, ოლთისარი და სხვ. ცხადია, ამგვარი -არ აფიქსი არ შეიძლება დასტურდებოდეს ტ ბ ა რ ფუძეში. ტ ბ ა რ ფორმაში რ (რომლიც, როგორც ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, არც -არ ე. წ. დეტერმინანტი სუფიქსის და არც სადერივაციო აფიქსის თანხმომავნითი ელემენტი) რე ოდნაობის

¹ არა აქვს მნიშვნელობა იმას, რა წარმომავლობისაა საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში *ტბა ფორმა.

² თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 148; Г. А. Климов, Г. И. Мачаварияни, Рефлексы общекартвельского а в занском (мегрело-чанском) языке Ssudia Caucassica, 1966, №2.

³ ა. შ ა ნ ი ძ ე, Два чашо-менгрельских суффикса в грузинском и армянском языках, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, გვ. 20-24.

ნაწილაკის ნაშთი უნდა იყოს, *ტბა-რე > ტბარ. ბოლოკიდურზე ე ამოვანი ზმნურ ფუძეში (გაიტბარ...) მოკვეცილია, ისევე, როგორც ქთელ რიგ სხვა ზმნათა ფორმებში (შეიზღულ(ე)ა, შეილობ(ე)ა და ახვ.).

ამგვარად, ხევსურულში დასველების სპეციფიკური სემანტიკის — სისხლით დასველება-დასვრის გამოძხატველ ზმნურ ფორმებში რე-ალურად არის წარმოდგენილი ის ფუძე, რომელსაც ტ ბ ო რ ე ფორ-მის ანალიზი გვაგვარაუდებინებდა.⁴ სრულიად კანონზომიერია, რომ ტ ბ ო რ ე ფუძის ადრინდელი სახე — ტ ბ ა რ [ე] შემოგვინახა ქართული ენის ხევსურულმა დიალექტმა, რომელსაც, როგორც ცნობი-ლია, დაუცავს სხვა არაერთი არქაული მოვლენა ქართული ენის ის-ტორიისა.⁵

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის შენიშნული, რომ კნინობითობის, სიმცირის აღმნიშვნელი ფორმები სალიტერატუ-რო ქართულმა, არსებითად, დაკარგა.⁶ ამ მხრივ გამონაღისს არც რე ნაწილაკი წარმოადგენს. გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ქარ-თული ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე რე ნაწილაკი ფარ-თოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული და უფრო ხშირად წარმო-

⁴ თუ ხევსურულ ფორმას ტ ბ ა რ . რომელიც ამ დიალექტში დასტურდება მხოლოდ სიტყვა სისხლთან კავშირში(შდრ. სისხლით გაიტბარ, სისხლით გატბარულ და მისთ.) მაინც მივიჩნევდით მეორეულად, მიღებულად ტ ბ ო რ ფუძისაგან (კონტექსტში *სისხლით გაიტბორ, *სისხლით გატბორილ...) მეარი შესიტყვების ს ი ს ხ ლ ი ს ტ ბ ა დაღა, ს ი ს ხ ლ ი ს ტ ბ ა დააყენა და მისთ. გავლენით (რაც ჩვენ ნაკლებ სარწმუნოდ გვეჩვენება), მაშინ მისი (ტბორ ფუძის) ახსნის ერთადერთი გზა რჩება: ტ ბ ო რ < * ტ ბ უ რ ჟაო ცვლის შედეგად. სემანტიკური გადასვლა: ტ ბ უ რ ი „ტბის მსგავსი“ > ტ ბ ო რ ი „მცირე ტბა“ ბუნებრივია (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ზემოთ).

მაგრამ, როგორადაც არ უნდა აიხსნას ტ ბ ო რ ფუძის წარმოავლობა: ტ ბ ო რ < * ტ ბ უ რ, თუ ტ ბ ო რ < * ტ ბ ა - რ ე, ერთი უდავოა: ტ ბ ო რ ისევე, როგორც მ დ ა ბ ო რ ფორმა, არ გამოდგება -ორ სუფიქსით ნაწარმოებ ფუძეთა ნიშულად, ორსავე შემთხვევაში იგი მეორეული წარმოშობისაა (შდრ. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 14-15; ბ. ქ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, მ. კ ო ბ ა ი ძ ე. ბ ე რ ი ძ ე, დასა. ნაშრ., გვ. 352-353 და სხვ.).

⁵ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული დებულება — მთის კილოთა არქაიზმი ვერ სცილდება საშუალ ქართულს (თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, 1986, გვ. 60, ზოგადად, ალბათ, სწორი, შეიძლება ეხებოდეს გრამატიკულ, სისტემური სახის ენობრივ მოვლენებს. იგი არ შეიძლება გავრცელდეს ლექსიკის სფეროზე. ძველი ქართული ენის ძეგლებში ამა თუ იმ ლექსემის დაუდასტურებლობა არ ნიშნავს მის არარსებობას ამ ეპოქისათვის.

⁶ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1978, გვ. 123.

დგენილი არსებით სახელებთანაც მათი ზომით, სიდიდით ნაკლებობის გამოსახატავად, ვიდრე ეს ძველ ქართულში გვაქვს. ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში არსებითი სახელების იშვიათად ხმარებული რე-ნაწილაკიანი ფორმები წარმოადგენს ძველისძველ გადმონაშთს. ერთ-ერთი ასეთი გადმონაშთი შეიძლება იყოს ტ ბ ო რ ე ფუძეც.

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ:

ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში დასტურდება ტ ბ ო [ვ] რ ი, ტ ბ ო რ ე, ტ ბ უ რ ი, ტ ბ უ რ ე ვარიანტული ფორმები.

ტ ბ უ რ ი ფორმა, რომელიც გვხვდება „სიყრმშ უფლისაჲ-ს“ ტექსტში და „სახისა სიტყუაჲ“-ს ზოგ გამოცემაში, სიტყვის არასწორი წაკითხვის შედეგია.

ტ ბ უ რ ე ვარიანტი, ფიქსირებული „სახისა სიტყუაჲ“-ს ტექსტში (ნ. მ ა რ ი, მ. ჭ ა ბ ა შ ვ ი ლ ი...), მიღებული უნდა იყოს ო-უ გრაფიკული მონაცვლეობით (ტბორე-ტბურე).

ტ ბ ო რ ე / ტ ბ ო რ ი ფორმათაგან ამოსავალი ჩანს ტ ბ ო რ ე ვარიანტი (ორ მოქმედი სადერივაციო სუფიქსი ქართულში არა გვაქვს). ტ ბ ო რ - ი < ტ ბ ო რ ე ბოლოკიდური ე'ს მოშლით.

ტ ბ ო რ ე მიღებული უნდა იყოს ტ ბ ა სახელურ ფუძეზე რე ოდნობის ნაწილაკის დართვით: *ტბა-რე>ტბორე (ა>ო ლაბიალური ფონემის ასიმილატორული გავლენით). ეტიმოლოგიურად ტ ბ ო რ ე ნიშნავს მცირე ტბას.

ტ ბ ო რ ე ფუძის თავდაპირველი, ამოსავალი სახე ტ ბ ა რ ე შემონახული ჩანს ხევსურულში დასველების სპეციფიკური სემანტიკის — სისხლით დასვრა-დასველების აღმნიშვნელ ზმნურ ფორმებში: ს ი ს ხ ლ ი თ გ ა ი ტ ბ ა რ..., ს ი ს ხ ლ ი თ გ ა ტ ბ ა რ უ ლ... (ტ ბ ა რ < *ტ ბ ა რ ე).

ისევ გულისკმა კომპოზიტის შესახებ*

ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში (IX საუკუნის ოლოსა და მომდევნო საუკუნეების ხელნაწერებში) კომპოზიტური ჰედგენილობის სიტყვა **გულისკმა** („გაგება“, „მიხვედრა“, „გონება“, „ჭკუა“) და მისგან ნაწარმოები ფორმები ორგვარი დაწერილობით ვხვდება — ვარით და ხანით. ნიმუშები:

გულისკმა / გულისხმა: ხოლო ზრახვად უფლისაჲ უკუნისამდე ზეის და **გულისკმაჲ** გულისა მისისაჲ — თესლითი თესლამდე, ფსალ. 32, 112 Ⴀ; დიდ არს უფალი ჩუენი, დიდ არს ძალი მისი და **კულისხმისა** მისისაჲ არა არს რიცხუ, სინ. მრ. 147, 31.

გულისკმეირი / გულისხმეირი „გონიერი“, „ჭკვიანი“. **გულისკმეირ** იყო ყოველთა შინა, II შჯ. 1, 13 Ⴀ; გონიერ და **გულისხმეირ** გყო შენ გზასა მას, რომელსაცა ხვდოდი შენ, ფსალ. 31, 82 Ⴀ;

უგულისკმო / უგულისხმო „უგუნური“, „მიუხვედრელი“, „გაუგებელი“. და ჰრქუა მათ: ეგრევე თქუენცა **უგულისკმო** (უგულისხმო E) ხართა და არა გიცნობიეს, რამეთუ ყოველი გარეშე შემაგალი კაცსა არა შეაგინებს? მრ. 7, 18; იყოს ეფრემ, ვითარცა ტრედი **უგულისკმოჲ**, ოფსე, 7, 31 O.

უგულისკმოება / უგულისხმოება „უგუნურება“. **უგულისკმოებისა** და უწყალოებისა მისისათჳს მე წყალობასა მოველი იესუ ქრისტჳს მიერ უფლისა ჩემისა, შუშ. XVI 38.

გულისკმის-ყოფა / გულისხმის-ყოფა „გაგება“, „მიხვედრა“, „შეტყობა“. **გულისკმა-ყო** იესო ზაკულებად იგი მათი, მ. 22, 18 D; შემდგომად საქმისა მის ცოდვისა **გულისხმა-ყო** და მოეგონა ძალი შეცოდებისაჲ მის, სინ. მრ. 105, 23. ჰეშმარიტად მადლმან სულისა წმიდისამან **გულისხმა-ყო** მას მაცხოვრისაჲცა მათ შორის ყოფად, სინ. მრ. 80, 5.

და განუკრდებოდა მათ ყოველთა, რომელთა ესმოდა მისი **გულისკმის-ყოფაჲ** იგი, ლ. 2, 47, DE; ნუ იყოფვით, ვითარცა ცხენი და ჯორი, რომელთა თანა არა არს **გულისხმის-ყოფაჲ**, ფსალ. 31, 9.

* წაკითხულია არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 57-ე სამეცნიერო სესიაზე 1998 წელს; იხ. სესიის მასალები, გვ. 50-51. გამოქვეყნდა ჟურნალში „ენათმეცნიერების საკითხები“, 1. 2002.

გულისკმის-მყოფელი / გულისხმის-მყოფელი „გონიერი“, „ქკვიანი“. ღმერთმან ზეცით მოხედნა ყოველთა ზედა ძეთა კაცთასა ხილვად, იყო თუ ვინმე **გულისკმის-მყოფელ**, ანუ გამომეძიებელ ღმრთისა, ფსალ. 52, 3; ძენი უცნობონი არიან და არა **გულისხმის-მყოფელნი**, იერემ. 23;

გულისკმის-ხაყოფელი / გულისხმის-ხაყოფელი „საგრძნობელი“. **გულისკმის-ხაყოფელნი** გულისა ჩემისანი კუნესის, იერემ. 4, 190, ომ. ვისა უკუე არა **გულისხმის** — საყოფელ არს, რამეთუ არა არიან იგინი ღმერთ? ებ. 51 C.¹

სპეციალურ ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით იმთავითვე ორი ერთმანეთის საპირისპირო თვალსაზრისი ჩამოყალიბდა.

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით **გულისკმა/ გულისხმა** ფორმათაგან ამოსავალია **გულისხმა** ვარიანტი, სადაც კომპოზიტის მეორე წევრი — **ხმა** წარმოშობით არის მასდარი *ხუმა*, უ დაკარგულია ბაგისმიერი ფონემის მეზობლობაში (შდრ. ძვ. ქ. *სუმა > ხმა, თქუმა > თქმა, ჭუარცუმა > ჭუარცმა*...). ეს მოსაზრება სათავეს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში იღებს: „გულისხმა ესე არს გონებით ახმა და გულთა შეღება. ვიეთთა გულისკმად აღუწერიათ; გულსა არა აქუს ჳმა(ფ), არამედ ახმა და შეღება, რომელ(ი) ითქმის გულისხმად“. აღნიშნული შეხედულება გაზიარებულია მკვლევართა დიდი ნაწილის მიერ (Март 1909, 71; Кипшидзе 1918, 45; Кекелидзе 1912, XXIV; კეკელიძე 1918, XLVII; აბულაძე 1973; ქავთარაძე 1954, 242-243; იმნაიშვილი 1975, 23-29)...

სხვა შეხედულების მიხედვით **გულის-ხმა** კომპოზიტის მეორე კომპონენტი არის სუბსტანტივი **ხმა** „რიაოც“. სემანტიკურად და ფორმოზრივად იგი ისევეა ნაწარმოები, როგორც: გულის-სიტყუა, გულის-თქუმა, გულის-ზრახვა, გულის-ყური და მისთ. ივარაუდება, რომ ამ რთული სიტყვის (resp. შესიტყვების) გაკომპოზიტების შედეგად ხ'ს მომდევნო პოზიციაში წარმოდგენილი ჳ მისი (სანის) გავლენით გადავიდა ხ'ში, ესე იგი ხდება ჳ'ს ასიმილაცია ხ'ს მიერ წარმოების ადგილის მიხედვით: *გულის-კმა > გულის-ხმა* (მანიძე იხ. თოფურია 1979, 51; ჯანაშია 1925, 23; თოფურია 1979, 51; ჩიქო-

¹ აქ და ქვემოთ დამოწმებული ზოგი ნიმუში ამოღებულია ი. აბულაძის ლექსიკონიდან.

ბავა 1938, 66; მარტიროსოვი 1966, 23-25).²

1. რა უშლის ხელს იმას, რომ **გულის-ხმა** კომპოზიტში **ხმა** მას-
ღარად მივიჩნიოთ: **ხმა < ხუმა**?

1) უპირველეს ყოვლისა ის, რომ ზმნური ფუძე მასში წარ-
მოდგენილია მხოლოდ მრავლობითის ფორმით — **-ხმა (< ხუმა)** და
არასოდეს გვხვდება მხოლობითში — გულის-ღება; შდრ. გულად-
ღება, გულად-ხუმა (ეს ფაქტი შენიშნული აქვს თვით ი. იმნაიშ-
ვილს). იგი გადაულახავი დაბრკოლებაა იმ თვალსაზრისისათვის, რო-
მელსაც მკვლევარი იცავს. ავტორის განცხადება: „სხვა რომ არა იყო
რა, შეგვიძლია დაეუშვათ, რომ გულის-ხმის საყოფელი ობიექტი
მრავლობითად იგულისხმებოდა“ (იმნაიშვილი 1975, 26) — არ არის
ახსნა. არ იძლევა პასუხს კითხვაზე: რატომ? კომპოზიტთა მთელ რიგ
წყებაში: ველთ-ბორკილი, ველთ-საქმე, ფერჯთ-შესასხმელი და სხვ.
პირველი კომპონენტის მრავლობითში წარმოდგენა სავსებით გასაგე-
ბია ისევე, როგორც თუალთ-ხუმა და მისთ. რთულ სიტყვაში ზმნური
ფუძის მრავლობითის ფორმით დადასტურება.

2) აღნიშნული ვარაუდისათვის (გულის-ხმა კომპოზიტის მეორე
შემადგენელი ელემენტი არის მასდარი ხმა<ხუმა). ჩვენი აზრით, ასევე
სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის ისიც, რომ მასში სახელადი ნაწილი
წარმოდგენილია ნათესაობითის ფორმით — გულის-ხმა და არა მიცე-
მითისა — გულს-ხმა, როგორც ეს ასეთ შემთხვევაში იყო მოსალოდ-
ნელი.

თუ **გულის-ხმა** რთული სიტყვის მეორე კომპონენტი მასდარია,
სათანადო ზმნურ ფორმად სავარაუდოა აწმყოში გვექონოდა **გულს-
იხუამს** „გულში (გულად) იღებს, შეაქვს (მარვალი)“ — ნ. ძირ.
გულს-იხუნა (შდრ. გულად-იხუნა). აღნიშნული ზმნიანი კომპოზიტის
სახელადი ნაწილი **გულს** ფუნქციით ადგილის გარემოებაა. მასდა-
რულ ფორმაში იგი, წესით, იმავე ბრუნვაში — მიცემითში უნდა

² პირველი თვალსაზრისის (გულის-ხმა < გულის-ხუმა) დასაბუთების ცდა
მოცემულია ი. იმნაიშვილის ნაშრომში „სინური მრავალთავი“ (1975, 23-29).
აღნიშნულ სტატიაზე პასუხი წარმოადგინა და საპირისპირო თვალსაზრისის
არგუმენტირება ცადა ა. მარტიროსოვმა მოხსენებაში: გულის-ჰმა თუ გულის-ხმა
(<გულის-ხუმა)? (1996, 23-25), მაგრამ იმის გამო, რომ მკვლევარი ი. იმნაიშვილის
ხსენებულ ნაშრომში დასმულ რიგ საკითხს უპასუხოდ ტოვებს და ამასთან, არ
ვეთანხმებით ზოგ მის არგუმენტაციას, საკიროდ მივიჩნიეთ საკითხს — გულის-ჰმა თუ
გულის-ხმა — შევხებოდი ჩვენც.

ყოფილიყო წარმოდგენილი და არა ნათესაობითში; ე. ი. უნდა გვეკონოდა: *გულს-ხმა* (<გულს-ხუმა) და არა *გულის-ხმა* (<გულის-ხუმა).

ასეთი სტრუქტურისაა სხვა ანალოგიური შესიტყვებები ძველ ქართულში. მაგალითად:

გულს-იდგინეს დამდაბლებამ ჩემი, ფსალ. 16, 11; შდრ. სული ჩემი *გულს-მოდგინე* არს, ხოლო ჳორცნი უძღურ, მრკ. 14, 38 C.

ვიდრემდე *თავს-ვიდებდე* თქუენსა, მ. 17, 17. ნუ მისცემ *თავს-დებად* თავსა შენსა სირცხვლითა პირისაფთა, O იგ. სოლ. 22, 26; ნუ მიენდვები *თავს-მდებსა* მისსა, მ. სწ. 304, 27.

რამთამცა *კუალს-ადგინა* იგი, ეს. 40, 13; ოშ; ბრძენთა კაცთა მცირედნიცა სიტყუანი შემძლებელ არიან *კუალს-დგინებად*, ოქრ. და მარხ. და იონ. 110, 28.

აჰა ესერა ქალწული *მუტლად-იღებს*, სინ. მრ. 34, 5; შენ *მუტლად-იღო* და ჰშვე ძმ, ლ. 1, 31; საკვრველნი და სასწაულნი *მუტლად-ღებისა* შენისანი განმაკრთობენ, ათონ. ივერ. 179, 20; გაქვებთ შენ, ვითარცა ძისა ღმრთისა *მუტლად-მღებელსა* საშოსა შენსა, უძგ. იადგ. 407, 32.

რომელთა-ეგე ჳერ-არს სმენად, *ყურად-იღეთ*, სინ. მრ. 247, 34; არა *ყურად-იხუამს*, რაჟამს... უდებებით ვითხოვდეთ, ეფრ. მც.; ფსალ. თარგმ. 93, 21; ჳერ-არს ქუეყანის-აღმწერელთა მათ მითხრობისა *ყურად-ღებად*, ექუს. ღლ., 45, 20 და სხვ.

როგორც ვხედავთ, ჳმნიან შესიტყვებაში მიცემითის ან ვითარებითის ფორმით წარმოდგენილი სახელადი ნაწილი, ფუნქციით ადგილის გარემოება (resp. ირიბი ობიექტი), მასდარულ შესიტყვებაში იმავე ბრუნვაში რჩება.

სხვაგვარია ვითარება, როდესაც რთული ჳმნის სახელად ნაწილს პირდაპირი ობიექტი ან სუბიექტი წარმოდგენს. ასეთ შემთხვევაში ისინი მასდარის შემცველ ფორმებში ნათესაობით ბრუნვაშია მოცემული. მაგალითად:

გული-მითქუმიდა პასქასა ამასა ჳამად თქუენთანა, ლ. 22, 15; *გულის-თქუმად* მამისა თქუენისაჲ გნებავს ყოფად, ი. 4, 28.

ჩემდა *გული-გიწყრების*, რამეთუ სრულიად კაცი განვაცხოველე შაფათსა შინა? ი. 7, 23 C; აღივსნეს ყოველნი *გულის-წყრომითა*, ლ. 4, 28.

ესრეთ *სიტყუას-უგებ* მღდელთმოდღუარსა მაგას, ი. 18, 22 C;

რომელთა ესმოდა სიბრძნე მისი და *სიტყვს-გებაჲ*, ლ. 2, 47 და სხვ.¹

ამგვარად, ზემოთ წარმოდგენილი მასალის ანალიზი ადასტურებს, რომ **გულის-ხმა** რთული სიტყვის მეორე კომპონენტი — **ხმა** არ უნდა იყოს მასდარული ფორმა — **ხუმა**. ასეთ შემთხვევაში მასთან შეწყობილი სახელი მიცემით ბრუნვაში იქნებოდა დასმული და არა ნათესაობითში; ე. ი. გვექნებოდა **გულს-ხმა** (ავულს-ხუმა) და არა **გულის-ხმა**, როგორც ეს ძველ ქართულშია გაგრძელებული.

3) ა. მარტიროსოვის აზრთ **გულის-ხმა** ფორმის თავდაპირველ (ამოსავალ) ვარიანტად მიჩნევას ხელს უშლის ისიც, რომ ძველ ქართულში არც თვით **ხუმა** და არც **ხმა** დამოუკიდებელ საწყისად საერთოდ არ დასტურდება (მარტიროსოვი, 1996, 23).

ფენიქრობთ, ეს ფაქტი არ გამოდგება აღნიშნული თვალსაზრისის საწინააღმდეგო არგუმენტად. უდავოა, რომ მასდარი **ხმა** < **ხუმა** ისევე, როგორც **ღება** (მხ. ფორმა), რომელიც ძველ ქართულში ასევე არ არის ფიქსირებული დამოუკიდებელი სახით, მთელი რიგი კომპოზიციის შემადგენლობაში მონაწილეობს. მაგ.: **თჳღათ-ხუმა**, **ყურად-ღება**, **ნათლის-ღება** და მისთ. ასე რომ, სხვა დაბრკოლებები რომ არა, **გულის-ხმა** კომპოზიციც მათ რიგში შეიძლება განხილულიყო.²

ჩვენი აზრთ, ძირითადად, ზემოთ განხილული ეს ორი არგუმენტი: ზმნის ფუძის წარმოდგენა მრავლობითის ფორმით (**ხუმა**), სახელური კომპონენტისა — ნათესაობითში (**გულის-**), ქმნის სერიოზულ დაბრკოლებას იმ თვალსაზრისისათვის, რომლის მიხედვითაც

¹ რაც შეეხება მასდარულ შესიტყვებას — გულის-კლება (მიიყვანეს აგრიპა მეფისა გულის-კლებისათჳს მისისა. სინ. მრ. 246, 35-36) მოსალოდნელი *გულს-კლება* > *გულ-კლება*ს ნაცვლად (მდრ. შესაბამისი ზმნიანი შესიტყვება: ნუ გულსა გაკლს მ. ცხ. 123 V), შესაძლოა იგი შეესაბამებოდეს, ჩვენი აზრით, მეორეული გული აკლს ზმნურ ფორმას (მდრ. ახ ქართ. გული აკლია, გული წყდება...) და არა *გულს-აკლს* გამოთქმას. ამგვარ დაშვებას მხარს უჭერს მიმდებარე შესიტყვება *გულ-კლებული* < *გულს-კლებული* (მდრ. ვცანთ მანდა ყოფაჲ თქუენი და ფრად *გულ-კლებული* ვართ“ ი. — ე. 25, 22).

² ჩვენ არ ვეთანხმებით ა. მარტიროსოვის არც იმ აზრს, თითქოს ი. იმნაიშვილი გულის-ხმა ფორმაში ჯარს მიღებულად თვის ხანისაგან ფონეტიკური გზით. ავტორის განცხადება: „ამ საინტერესო სიტყვაში (გულის-ხმა ლ. 6.) პირველად ხანი უნდა ვცნოთ, ხოლო ჯარის გაჩენა მოკვიანო ხანაში აღრევის შედეგად უნდა მივიჩნიოთ“. გულისხმობს ჯარისა და ხანის აღრევას გულის-ხმა კომპოზიციის დაწერილობაში. ამას ადასტურებს მისი შემდგომი მსჯელობა (იხ. ი. იმნაიშვილი, 1975, 28-29).

გულის-ხმა რთული სიტყვის მეორე წევრი არის მასდარი **ხუმა**.

II. რა წინააღმდეგობები ახლავს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც გულის-ხმა კომპოზიტის მეორე წევრი არის სუბსტანტივი „**რო-აოც**“. გულის-ხმა > გულის-ხმა (სჯ>სხ). ასეთად ი. იმნაიშვილი ასახელებს შემდეგს:

1) ხელნაწერების ჩვენება: მკვლევრის აზრით გულის-ხმა კომპოზიტში ხანის პირველადობას მხარს უჭერს უძველესი (V-IX სს.) ქეგლების მონაცემები. ხანმეტ და ჰანმეტ ტექსტებში, სინურ მრავალთავში, ასევე X საუკუნის მთელ რიგ, მისი თქმით, საუკეთესო ხელნაწერებში (სვანური მრავალთავი, ოშკის ბიბლია, შატბერდის კრებული და სხვ.). აღნიშნული სიტყვა მხოლოდ ხანით არის წარმოდგენილი (ხანისა და ჯარის აღრევა IX საუკუნის ბოლოს იწყება, ი. იმნაიშვილი, 1975, 26).

ა. მარტიროსოვმა, რომელმაც საგანგებოდ განიხილა ი. იმნაშვილის ხსენებული ნაშრომი, ჩვენი აზრით, დამაჭერებლად აჩვენა ამ არგუმენტის უსაფუძვლობა (ა. მარტიროსოვი, 1996, 27-28).

უძველესი ხელნაწერების ჩვენება საყურადღებოა, მაგრამ არაა გადამწყვეტი. მართებულად მიგვაჩნია ა. მარტიროსოვის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც *გულისკმა* / *გულისხმა* სიტყვის განსხვავებული დაწერილობა ძველი ქართული ენის ძეგლებში (რიგ მათგანში მხოლოდ ხანისანი ფორმების ხმარება, ზოგში — მხოლოდ ჯარიანი ფორმებისა), სხვადასხვა მწიგნობრული სკოლის შემონატანია, რომელთაც განსხვავებული თვალსაზრისი და ენობრივ-სტილისტური ნორმები ახასიათებდათ.¹ ხოლო აღნიშნული კომპოზიტის ორგვარი სახით (ხანით და ჯარით) დადასტურება ერთსა და იმავე ძეგლში გადამწერის ნაკლებ განსწავლულობაზე უნდა მიგვანიშნებდეს (მარ-

¹ ამის დამადასტურებელია ზოგი თანამედროვე მეცნიერის სარედაქციო საკმარისობა. მაგალითად, კ. კეკელიძე „ცხოვრებად სვიონ მესუეტისაჲ“-ს ტექსტის ანალიზისას აღნიშნავს, რომ ხსენებული ტექსტი ამოღებულია საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერებიდან: №№ 105-117. „ჩვენს გამოცემაში, განაგრძობს მკვლევარი, ზემოაღნიშნული „მუნთქუესვე“ ჩვენ „მუნქუესვე“-დ შევცვალეთ, აგრეთვე „გულის-კმაჲ“ და მისგან წარმომდგარი სიტყვები — „გულის-ხმაჲ“ (კეკელიძე 1918, 23, XLVII).

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო ფაქტია ისიც, რომ „მამათა სწავლანის“ ერთ ნუსხაში C (1040 წ.), როგორც ზ. სარაჯველაძე შენიშნავს, სისტემატურად გატარებულია გულისკმა დაწერილობა, A (X ს. I ნახ.) და B (977 წ.) ნუსხებში — გულისხმა (სარაჯველაძე, 1984, 297).

ტიროსოვი, 1996, 24).

2) ი. იმნაიშვილის აზრით, **გულისხმა** არ უნდა იყოს მიღებული *გულისჯმისა*-გან **სჯ** კომპლექსის **სს** ში გადასვლის შედეგად, რადგან **სჯ** მიმდევრობა, მისი თქმით, არ არის დასაშვები ძირეულ მორფემებში (შდრ. სხუა, სისხლი, მსხუერპლი...), მორფემათა ზღვარზე (რთულ სიტყვებში) **სჯ** მიმდევრობა შესაძლებელია და დასტურდება კიდევ ძველ ქართულში. ნიმუშად დასახელებულია *ჯელს-ჯელ* (რადთა არა ჯელს-ჯელ გუემნეს ამისთჳს გეჳენიათა მით, სინ. მრ. 102, 29) (იმნაიშვილი 1975, 242).

უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, **სჯ** *გულის-ჯმა* კომპოზიტში დიაქრონიულად მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი კომპლექსია, მაგრამ სინქრონიულ დონეზე იგი მყარ ფონემათმიმდევრობას წარმოადგენს (შდრ. ხსაჯნეთ, ხშორავს და მისთ., სადაც **ხ** პირის ნიშნის მონაწილეობით შექმნილი **ხხ**, **ხშ** კომპლექსები მერყევია, ცვალებადი). ამიტომაც შეიძლება ხორციელდებოდეს **სჯ>ხხ** *გულისჯმა* კომპოზიტში და არ დასტურდებოდეს ამის საპირისპირო (დისიმილაციური?) პროცესი: **ხხ > ჳს** (**ხსაჯ-ნეთ > ჳსაჯნეთ**), **ხშ > ჳშ** (**ხშორავს > ჳშორავს**) და მისთ.

ის ფაქტი, რომ *ჯელს-ჯელ* („მაშინვე“, „საჩქაროდ“) რთულ სიტყვაში (სინური მრავალთავის ტექსტში წარმოდგენილი *ჯელს-ჯელ* (102, 29) მცდარი ფორმა ჩანს) **ს**'ს მომდევნოდ **ჯ** დაცულია, არ გამოდგება გულისხმა კომპოზიტში სავარაუდო **სჯ>ხხ** პროცესის უარსაყოფად (შდრ. ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 24). *ჯელს-ჯელ* სიტყვაში ამგვარ გარდაქმნას უნდა აბრკოლებდეს **ჯელ** ფუძის გაორკეცებული სახით წარმოდგენა, რაც **ჯ**'ს პოზიციას მყარს ხდის.

3) ი. იმნაიშვილის შემდეგი არგუმენტი *გულისხმა* კომპოზიტში მეორე წევრად **ჯმა** სუბსტანტივის დაშვების საწინააღმდეგოდ სიტყვის სემანტიკური მხარეა. მისი თქმით, *გულისხმა* ში **ხმა** („ხუმა— ნიშნავს „აღებას“, „მიტანას“, „შეტანას“ (ობიექტით მრავლობითში), გულისხმის-ყოფა ამის მიხედვით იქნება „გულთან მიტანა“, „გულში შეტანა“ ანუ „გაგება“ (იმნაიშვილი 1975, 24).

ავტორის აზრით, ამასვე ადასტურებს ძველ ქართულში *გულისხმის-ყოფის* პარალელურად (თუმცა შედარებით იშვიათად) ხმარებული დაახლოებით იმავე მნიშვნელობის კომპოზიტი: *გულად-ღება*, *გულად-ხუმა* (შდრ. ღმრთისა მიერ გულად-ილო საქმშ ესე, რადთა დამდაბლდეს... კიმ. II 155, 12; და ესრეთ ყოველნივე საღმრთონი

წერილი ძეგლისა და ახლისა სჯულისანი... კეთილად გულად-იხუნა, ლიტ. ქრესტ. I 192, 9). რა შინაარსისაც არის გულად-ღებასა და გულად-ხმაში ხმა (ახუმა) იმავე მნიშვნელობისა უნდა იყოს იგი გულისხმის-ყოფაში და მისი თავდაპირველი მართლწერა სწორედ ხანს უნდა შეიცავდეს (იმნაიშვილი 1075, 25-26).

მკვლევრის თქმით, არსებითად, ასეთივე ვითარება გვაქვს სვანურშიც, სადაც გულ ანჯანდ ნიშნავს „გაიგო“ (სტყვა-სიტყვით: „გულად მოვიდა“),¹ გულ ლიხანდ „გაგება“ („გულად მოსვლა“).²

ი. იმნაიშვილის აზრით, „ქართული გ უ ლ ი ს ხ მ ი ს ყ ო ფ ა პარალელს პოულობს ზოგ სხვა ენაში, მათ შორის სომხურ ენაშიც. სომხურშიც, როგორც ძველ ქართულში, ცნებები „გაგება“, „მიხვედრა“, „შეტყობა“ გამოხატულია სწორედ როგორც „გულთან მიტანა“, „გულში შეტანა“ (გულთა შეღება, საბას განმარტებით), მაგალითად: გულისხმის-ყოფა *ჩ ნჟა ააიხილ*; გულისხმა-ყო *ჩ ნჟა ააიხილ* (მ. 13, 23), გულისხმა-ყვეს — *ჩ ნჟა ააიხი* და სხვ.“ (იმნაიშვილი, 1975, 25).

მაშასადამე, დაასკვნის ავტორი, გულისხმა-(ყო) კომპოზიციის „მეორე შემადგენელი სიტყვა არ შეიძლება ჳჳჳჳ („ГОЛОС“) იყოს. ის წარმოადგენს ცნობილი ჳჳჳჳის საწყისის ხმა (<ხუმა) და აგებულებითა და შინაარსით გვერდში უდგას სომხურ ფორმას *ჩ ნჟა ააიხილ*. ამიტომ ამ სიტყვაში თავიდანვე ხანი უნდა გვექონოდა და არა ჳჳჳჳ“ (იმნაიშვილი 1975, 26).³

ზემოთ ჩვენ ვაჩვენეთ, რა დაბრკოლებები ახლავს გულისხმა კომპოზიტიში დიაქრონიულად ხუმა მასდარის დაშვებას. რომ ვავიმეოროთ, ეს არის: 1. ჳჳჳჳური ფუძის წარმოდგენა მრ. რიცხვის

¹ საყურადღებოა, რომ ანალოგიური გამოთქმა დასტურდება კახურში: გულად გავიდა „მიხვდა“, „გაიგო“ (ბ. შავხელიშვილი). ასევე — თუშურში: გულად გავიდ „id“ (თ. უთურგაიძე).

² მოსალოდნელი იყო, ამ კონტექსტში ყოფილიყო განხილული ძველ ქართულში დადასტურებული დაახლოებით ამავე მნიშვნელობის მქონე გამოთქმა: გულსა მოუღდა, მოჳჳდა გულსა მისსა „აზრად მოუვიდა“, „მოიფიქრა“, „მოისაზრა“ (შდრ. გულსა მოუღდა ამას მონაზონებაჳ მ. ცხ 76, 23; მომიჳდა ოდესმე გულსა, რა-მთა წარვიდე პალესტინედ, სინ. მრ. 266, 4; მოჳჳდა გულსა მისსა შშნებად ტაჳარი O მეფ. III 8, 18 და სხვ.).

³ ა. მარტიროსოვის განმარტებით, გულისხმის-ყოფა კომპოზიციის შესაბამისი ძველი სომხური *ჩ ნჟა ააიხილ* ეტიმოლოგიურად ნიშნავს „ჳჳჳჳში, გონებაში ქმნას“-ს. ვფიქრობთ, ამ კონტექსტში ეს არსებითად არაფერს ცვლის (შდრ. მარტიროსოვი 1996, 23).

ფორმით. 2. სახელის გაფორმება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით (და არა მიცემითისა, როგორც ეს ასეთ შემთხვევაში იყო მოსალოდნელი), რაც იძლევა საფუძველს იმისას, რომ აღნიშნული რთული სიტყვის მეორე კომპონენტად სახელი ვმა („ГОНИМ“) ვივარაუდოთ და არა მასდარი ხუმა.

გულისკმა კომპოზიტის ამგვარ ინტერპრეტაციას, ჩვენი აზრით, არ უქმნის დაბრკოლებას ის ფაქტი, რომ ძველ ქართულში მის პარალელურად იხმარება დაახლოებით იმავე მნიშვნელობის რთული სიტყვა, გულად-ღება, გულად-ხუმა, რომლის მეორე კომპონენტს უდავოდ ზმნური ფუძე წარმოადგენს. ხელს არ უშლის ისიც, რომ ანალოგიური წარმოება გვაქვს სვანურში: გუდ ანჰად „გაიგო“ (სიტყვა-სიტყვით: „გულად მოვიდა“, შდრ. ძვ. ქართული: გულსა მოუჰდა, მოჰდა გულსსა მისსა). მითუმეტეს — არც ტიპოლოგიურად შესატყვისი ფორმის დადასტურება ძველ სომხურში — *ի յիս անուկ* „შეტყობა“, „გაგება“.

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს გულად-ღება / გულად-ხუმა წარმოების სიძველეზე,⁴ მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ქართულში ამასთან ერთად, ე. ი. ზმნიანი კომპოზიტის გვერდით გვექონოდა სხვა სტრუქტურის სახელური შედგენილობის ფორმაც — გულის-კმა, შდრ. გულის-ყური, ყურად-ღება (*ყურად-ხუმა*), სადაც რეალურად არის დადასტურებული პირველი შემთხვევისათვის ნა-გულისხმევი ვითარება.

ამ მოსაზრებათა გამო მისაღებად მიგვაჩნია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც გულის-კმა / გულის-ხმა ვარიანტთაგან თავდაპირველი (ამოსავალი) უნდა იყოს გულის-კმა ფორმა, სადაც სიტყვა ვმა წარმოადგენს სუბსტანტივს („ГОНИМ“). გულის-ხმა ვარიანტი მეორეულია, მიღებული ფონეტიკური გზით — ჯახ ს'ს მომდევნო პოზიციაში.

⁴ გულის-კმა, გულად-ხუმა, გულსა მოჰდომა, სვ. გუდ. ლიჰად, თუშ. გულად გასვლაჲ, ძვ. სომხ. *ի յիս անուկ* რთული სიტყვები და გამოთქმები არსებითად ერთ სემანტიკურ ჯგუფს ქმნის. ამიტომ ხსენებული სომხური გამოთქმა შეიძლება განხილული იქნას თითოეულ მათგანთან მიმართებაში.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

თოფურია 1979 — ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, III; შრომები, III, თბ., 1979.

იმნაიშვილი 1975 — ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი (გამოკვლევა და ლექსიკონი), თბ., 1975.

კეკელიძე 1918 — კ. კეკელიძე, კიმენი, I, თბ., 1918.

მარტიროსოვი 1996 — ა. მარტიროსოვი, გულის-ჯმა თუ გულის-ხმა (<გულის-ხუმა)?, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 55-ე სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1996.

სარჯველაძე 1984 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

ქავთარაძე 1954 — ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.

ჯანაშია 1925 — ს. ჯანაშია, ცხორებაჲ საბა ასურისაჲ, „არილი“, 1925.

კეკელიძე 1912 — К. Кекелидзе, Древне-грузинский Архиператикон, Т., 1912.

უფშიძე 1918 — И. Кипшидзе, Грузинская древнелитературная хрестоматия, Т., 1918.

მარი 1909 — Н. Я. Марр, Антиох Стратиг, Пленение Иерусалима, Т р. IX, 1909.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 0179, ი. ჯავახიძის ბაზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@inbmeLge